

**ქუთაისის ილია ჭავჭავაძის
სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა**

Kutaisi Ilia Chavchavadze Public Library

წ ე ლ ი წ დ ე უ ლ ი

IX

ე ბ ლ გ ნ ე ბ ა

**ქართველ საზოგადო მოღვაწეს, ეთნოგრაფსა და პუბლიცისტს
ეგნატე გაბლიანს**

Dedicated to

the Georgian public man, ethnograph and publicist Egnate Gablian

ქუთაისი

2017

Kutaisi

“წელიწედეულში” იბეჭდება ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები, ასევე რეცენზირებული ქართველობის განვითარების (ენათმეცნიერული, ლიტერატურათმცოდნეობითი, ფოლკლორული, ისტორიოგრაფიული, კულტუროლოგიური, ეთნოლოგიური...) გამოკვლევები.

სარედაქციო საბჭო:

იოსებ ასათიანი, ნომადი ბართაია, მერაბ ბერიძე, მერაბ გვაზავა, თეიმურაზ გვანცელაძე, ეკა დადიანი, ზურაბ თოდუა, რუსულან კაშია, მერაბ კეზევაძე, მაია მიქაუტაძე (რედაქტორი), ავთანდილ ნიკოლეიშვილი, ნათია სვინტრაძე, ნინო უგულავა (ინგლისური ტექსტის რედაქტორი), ტარიელ ფუტკარაძე (მთავარი რედაქტორი), ლეილა ქველიძე, რევაზ შეროზია, რიტა წაქაძე (პასუხისმგებელი მდიგანი), სტივენ ჭონსი.

პროექტის დირექტორი
ნარგიზ ჩოგოვაძე

ISSN 1987 - 9288

რედაქციის მისამართი: 4600, ქ. ქუთაისი, ლ. ნუცუბიძის ქ. №1
ელ-ფოსტა: k.library1873@gmail.com

Anual publishes the papers of the Kutaisi Ilia Chavchavadze public library IX International Scientific Conferencee and other reviewed research papers in Kartvelology (linguistic, literary studies, folklore, historiography, culture studies, ethnology, etc..).

EDITORIAL BOARD:

Ioseb Asatiani, Nomadi Bartaia, Merab Beridze, Merab Gvazava, Teimuraz Gvantseladze, Eka Dadiani, Zurab Todua, Rusudan Kashia, Merab Kezevadze, Maia Mikautadze (editor), Avtandil Nikoleishvili, Natia Svintradze, Nino Ugulava (editor of the English texts), Tariel Putkaradze (editor in chief), Leila Kvelidze, Revaz Sherozia, Rita Tsakadze (secretary responsible), Stephen Jones.

Project Director
Nargiz Tchogovadze

Address of the Editorial Office: L. Nutsubidze str. #1
e-mail: k.library1873@gmail.com

© Publishing Centre "Kutaisi" , 2017

შინაარსი

როზეტა გუჯეჯიანი - ეგნატე გაბლიანის (1881-1937 წწ.) ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი ასპექტები.....	9
Rozeta Gujejiani - Main Aspects of Egnate Gablianis (1881-1937) Life and Deeds.....	14
ნინო აბაკელია, გულნარა კვანტიძე - სარიტუალო სამოსის მნიშვნელობა სვანურ გლოგასა და დაკრძალვის წესებში.....	15
Nino Abakelia, Gulnara Kvantidze - The importance of ritual garment in the rules of Svan mourning and funeral.....	25
მაკა ბარაბაძე - ღვთაება ბარბარ-ბაბარი სვანეთში.....	26
Maka Barabadze - The deity Barbar-babari in Svaneti.....	31
თამარ გოგოლაძე - სვანეთი სიმონ ჩიქოვანის პოეზიაში.....	32
Tamar Gogoladze - Svaneti in the poetry of Simon Chikovani.....	36
ქეთევან გურჩიანი - მეოთხე თურმეობითის წარმოებისათვის სვანურში ეცერული კილოკავის მიხედვით.....	37
Ketevan Gurchiani - On the formation of the IV turmeobiti in Svaneti language according to Etseri sub-dialect.....	44
მარიკა თედორაძე - სვანური მეტყველების კვალიფიკაციის საჭირო გაზეთ "ივერიის" ფურცლებზე	45
Marika Tedoradze - The qualification issue of the Svanetian language on the pages of the newspaper "Iveria".....	50
ეთერ ინტკირველი - მითისა და რიტუალის ურთიერთმმართება სვანურ ფოლკლორსა და ყოფაში.....	51
Eter Intskirveli - Interrelation of myth and ritual in Svanetian folk and every day existence	65
რუსულან კაშია - სვანური სარწმუნოებრივი წეს-ჩვეულებანი (ძირსალოცავები).....	66
Rusudan Kashia - Religius habits (shrines) of Svaneti.....	70

მარიამ კობერიძე - სვანეთის ეთნოგრაფიული ყოფის ამსახველი ლექსიკა XIX საუკუნის II ნახევრის პრესის მასალებში (ლაზარე დადუანის, ბესარიონ ნიჟარაძისა და ივანე მარგიანის წერილების მიხედვით).....	71
Mariam Koberidze - Vocabulary describing the ethnographic life of Svaneti in the II part of the XIX century press (According to the Letters of Lazare Daduani, Besarion Nizharadze and Ivane Margiani).....	79
ზვიად კვიციანი, ლერი ჯიბლაძე, ალექსანდრე ოქტავიანიძე - არქეოლოგიური დაზვერვები მდ. ცხენისწყლის ხეობაში (ლენტეხის მუნიციპალიტეტი).....	80
Zviad Kvitsiani, Leri Jibladze, Aleksandre Oqropiridze - Archaeological surveys in the valley of the river Tskhenistkhali (Lentekhi municipality)	87
თამილა კოშორიძე - ბარბარობის საკითხისთვის სვანეთსა და შიდა ქართლში.....	88
Tamila Koshoridze - On the issue of Barbaroba celebration in Svaneti and Shida Kartli.....	93
მარჯანიშვილი - ტრავმული ცნობიერება გივი გაბლიანის მოგონებაში.....	94
Mariam Marjanishvili - Traumatic Consciousness in Givi Gablian's Memory.....	100
მაია მიქაუთაძე - წყვილბაგისმიერი ვ ქართულ ენაში სვანეთის წერილობითი ძევლების მიხედვით.....	101
Maia Mikautadze - Bilabial V in Georgian language according to Svanetian manuscripts.....	107
ნორა ნიკოლაძე-ლომსიანიძე - სვანური ლეგენდები და წეს-ჩვეულებანი.....	108
Nora Nikoladze- Lomsianidze - Legends and customs of Svaneti.....	117
ავთაძეილ ნიკოლაძე-ლომსიანიძე - გრიგოლ რობაქიძის "ქალღმერთის ზახილის" მითოლოგიური სპექტრი.....	118
Avtandil Nikoleishvili - Mythologic spectrum of "The calling of the godess" of Grigol Robakidze.....	123
თამარ ნინიძე - ზმის კონსტრუქციები ეფუძნისტური ფუნქციით სვანეთის ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებში.....	124

Tamar Ninidze - Verb constructions with euphemism function in will and footnotes of Svaneti manuscripts	128
ლელა ნიჯარაძე - თავისუფალი სვანი - "იმერეთის ეპისკოპოსის, გაბრიელის მოგზაურობა სვანეთში 1866-1873 წწ."	129
Lela Nijaradze - An independent Svanetian man - A Journey of Gabriel - the Bishop of Imereti in Svaneti 1866 -1873.....	132
ნიკოლოზ ოთიანაშვილი - სვანეთიდან მიგრაციის ამსახველი ტოპონიმები რაჭასა და შიდა ქართლში.....	133
Nikoloz Otinashvili - Toponyms representing of migration from Svaneti to Racha and Shida Kartli.....	138
რუსულან საღინაძე - ენობრივ ცვლილებათა ტენდენციები სვანეთის ეპიგრაფიკულ ძეგლთა მიხედვით (XI-XIII სს.).....	139
Rusudan Saghinadze - Tendencies of linguistic changes according to epigraphic monuments of Svaneti (XI-XIII centuries).....	150
მადინა უგლავა-ჯინჯიხაძე - სვანური ქუდი (დამზადების ტექნოლოგია).....	151
Madina Uglava-Jinjikhadze - Svanetian Hat (Manufacturing technology).....	154
ტარიელ ფუტკარაძე - სვანური დიალექტებისათვის ამოსავალი ენობრივი სისტემის ბგერითი შემადგენლობის შესახებ.....	155
Tariel Putkaradze - On the matter of sound composition of original language system of Svanetian dialects	172
ჯამბულ ქაშიბაძე - სვანეთის სამიწათმოქმედო კულტურის ისტორიიდან.....	174
Jambul Kashibadze - From the history of Svaneti agriculture.....	178
დავით შავიანიძე - ნაკრა-ლახამულას ეთნოგრაფიული ექსპედიცია.....	179
Davit Shavianidze - Ethnographic expedition of Nakra- Lakhamula.....	190

ლელა შათირიშვილი - ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული დადეშქელიანისეული სახარების ფრაგმენტები	192
Lela Shatirishvili - Fragments of the Gospel from the private archive of Dadeshkeliani kept in the national centre of manuscripts.....	196
რევაზ შეროზია - სვანურ და მეგრულ-ლაზურ მეტყველებებში ძირთა ურთიერთმიმართების საკითხისათვის.....	197
Revaz Sherozia - On the issue of stem inter-relations in Svanetian and Mengrelian-Lazi speeches.....	199
იზა ჩანტლაძე, თამარ მელაძე - სვანურის მივიწყებული მკვლევარი (ევდოკია კოჟევნიკოვა – გუგუშვილი).....	200
Iza Chantladze, Tamar Meladze - The forgotten researcher of Svaneti (Evdokia Kojhevnikova-Gugushvili).....	205
მერაბ ჩუხუა - -შ/-შუ მარკერიანი მოქმედებითი ბრუნვის ადგილისათვის სვანურში.....	206
Merab Chukhua - Towards the place of Instrumental case with -š w/-wš markers in Svan.....	209
ემზარ ტანტურიძე - რუსეთის კოლონიალური პოლიტიკა და 1875–1876 წლების შეიარაღებული აჯანყება სვანეთში.....	210
Emzar Tchanturidze - Georgian collonial policy and 1875-1876 armed rebellion in Svaneti.....	217
ლუიზა ხაჭაპურიძე, რამაზ ხაჭაპურიძე - ერთი სვანური ლეგენდისათვის “წყალი” (ბეჭო - 2015 წლის ექსპედიციის მასალების მიხედვით).....	218
Luiza Khatchapuridze, Ramaz Khatchapuridze - About the one Svanetian legend “water” (Becho - according to the materials of 2015 expedition).....	221
მანანა ხიზანიშვილი, ნინო ცერეძიანი, მადონა ჩამგელიანი - უცნობი საარქივო მასალა საქართველოს ეროვნული მუზეუმის ეთნოგრაფიის ფონდიდან.....	222
Manana Khizanishvili, Nino Tserediani, Madona Chamgeliani - Ethnographic Study of Svaneti (Recordings of Evdokia Kozhevnikova).....	233

მზია ხოსიტაშვილი - საბიბლიოთეკო წყაროების	
გამოყენება სვანეთის ტურისტულ მარკეტინგში.....	234
Mzia Khositashvili - Using library materials in touristic marketing	
of Svaneti.....	241
 საინტერესო ლერნილები	
Interesting Letters.....	242
 ელენე გაბლიანი ეგნატე გაბლიანის შესახებ.....	
Elene Gabliani about Egnate Gabliani.....	243
	244

ქათაისის საჯარო ბიბლიოთეკის წლიუნდებული
ANNUAL OF KUTAISI PUBLIC LIBRARY

IX

2017

როზეტა გუჯეჯიანი

**ეგნატე გაბლიანის (1881-1937 წწ.) ცხოვრებისა და
მოღვაწეობის ძირითადი ასაეპთება**

ეგნატე გაბლიანის ეროვნული დვაწლი და მეცნიერული მემკვიდრეობა მნიშვნელოვანია ქართული კულტურისათვის. ეგნატე იყო მეცნიერი და მრავალმხრივი საზოგადო მოღვაწე: საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი, სვანეთის მასშტაბური ანტიბოლშევიკური აჭანებების (1921-1924 წწ.) ერთ-ერთი ხელმძღვანელი. ამავე დროს, ეგნატე გახლდათ პუბლიცისტი. მისი მრავალი წერილია დაბეჭდილი ქართულ პერიოდულ გამოცემებში. ეგნატეს სახელს უკავშირდება სვანეთის სიძეველეთა მოძიებისა და დაცვის ისტორია: ის არის ზემო სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დამფუძნებელი და სულისხამდგმელი, სამუზეუმო კოლექციების (ქრისტიანული სიწმიდეები, ხელნაწერები, დგამ-ავეგი, საბრძოლო და შრომითი იარაღები, სხვადასხვა ინვენტარი...) შემკრები. ეგნატეს ცხოვრების მნიშვნელოვანი ფურცელია მისი მონაწილეობა ლენქერის საავტომობილო გზის გაყვანაში, სამეგრელოსთან მაკავშირებელი ხიდის გადება და სხვ.

ეგნატე გაბლიანი 1881 წელს დაბადა მულახის თემში (ზემო სვანეთი), გიორგი (გუტა) გაბლიანის ოჯაში. მულახის თემში გაბლიანთა ისტორიული სოფელია ზარდლაში. ეგნატე სწავლობდა სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე. მიიღო მრავალმხრივი და ფუნდამენტური განათლება. იყო სანკტ-პეტერბურგის აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ ეგნატე მუშაობდა სხვადასხვა აღმინისტრაციულ თანამდებობაზე: ბეჭის მაზრის უფროსად, ბოქაულად და სხვ. გახლდათ სვანეთის მოსახლეობის პრობლემების მომწესრიგებელი. ეგნატე იყო ერთ-ერთი მასპინძელი სვანეთით დაინტერესებული მეცნიერებისა და მოგზაურებისა. თუკი ამ წლების უცხოელ მოგზაურთა წერილებში სწორად არის ასახული სვანეთში შექმნილი დიდი ქართული ტრადიციული კულტურის ესა თუ ის ელემენტი, წარმოჩენილია სვანეთის მოსახლეობის სწრაფვა რუსული კოლონიალური რეჟიმისაგან გათავისუფლებისაკენ, ეს უთუოდ ეგნატე გაბლიანის, ივანე მარგიანის, ლევან დადეშქელიანის და სხვა მოღვაწეთა დამსახურებაა.

ეგნატეს განუზომელი წვლილი მიუძღვის ქართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, XIX საუკუნის მიწურულისა და XX საუკუნის I მეოთხედის სვანეთში მეწინავე ქართული საზოგადოებრივი აზრისა და იდეალების ფორმირებაში. ეგნატე გაბლიანი აქტიურად ეხმიანებოდა ყოველ სასიკეთო საზოგადოებრივ წამოწყებას, ფხიზლად აღევნებდა თვალს ერის მაჭისცემას, კრიტიკულად აანალიზებდა სვანეთის შესახებ გამოქვეყნებულ

მასალებს, ყოველ პრობლემას ეროვნული თვალთახედვით ჭვრეტდა და უბირისპირდებოდა ანტიქართულ პროცესებს, მიუხედავად იმისა, რომ ამ ღრმოს სახელმწიფო მოხელე იყო. ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია ეგნატე გაბლიანის დიდი წვლილი სვანეთის სკოლებში ქართული ენის სწავლების შენარჩუნების საქმეში. ე. გაბლიანი ამხელდა რუსეთის იმპერიული დაკვეთით შესრულებულ და სვანეთისათვის თავსმოხვეულ ცრუ სამეცნიერო “თეორიებს” სვანების ვითომდა არაქართული წარმომავლობისა და სვანური კილოების არა ქართულის ნაწილ, არამედ ქართულისაგან განსხვავებულ “ენად” მიჩნევის ტენდენციებს (რ. გუჯეჯიანი, 2011).

ცნობილია, რუსეთის იმპერიის მესვეურებმა რამდენიმეჯერ სცადეს საქართველოს ზოგიერთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარიდან (სამეგრელო, აფხაზეთი, სვანეთი) ქართული ენის განდევნა, რაც მიზნად ისახავდა ამ მხარეებში მცხოვრებ ქართველთა შორის ქართული ეროვნული იდენტობის გაქრობას. რუსითვიათორული საგანმანათლებლო პოლიტიკა ხორციელდებოდა მთელი ოქუპაციის პერიოდის განმავლობაში. დამპყრობლის მხრიდან დაგეგმილი ყოველი ანტიქართული ქმედება ქართველი საზოგადოების ბუნებრივ წინააღმდეგობას აწყდებოდა. ამ მხრივ მნიშვნელოვან როლს სვანეთისა და სამეგრელოს მოსახლეობაც ასრულებდა. ეგნატე გაბლიანი, სხვა ადგილობრივ მოღვაწეთა მხარდამხარ (დეკანზი ბესარიონ ნიჟარაძე, დეკანზი იოანე მარგიანი, თავადი ლევან დადეშქელიანი, თაგადი ქაიხოსრო გელოვანი და სხვ.), იბრძოდა სვანეთის საგანმანათლებლო სივრცეში დედაენის (ქართულის) სწავლების აღდგენისა და შენარჩუნებისათვის. იგი მრავალჯერ გამოიხმაურა ამ თემატიკას პერიოდული გამოცემების ფურცლებზე.

მეოთხველს შეუძლია გაეცნოს ეგნატე გაბლიანის პუბლიცისტიკას, რომელშიც ღრმა მეცნიერული არგუმენტაციით არის დასაბუთებული სვანური კილოების ქართულობა და გაკრიტიკებულია რუსეთის იმპერიის მიერ გამოგზავნილი სახელმწიფო მოხელეებისა და მკვლევარ-მოგზაურების (ბართლომეი, უსლარი, ტეპცოვი, სტოიანვი...) ანტიქართული და არამეცნიერული “დებულებები”. რამდენიმე ამონარიდი ეგნატე გაბლიანის წერილებიდან: “ჩავაგალი მეცნიერული საბუთი ნათლად დადადებს სვანებისა და დანარჩენ მის მოძე ქართველ ტომების ერთიანობაზე და ნათესაობაზე. მაგრამ... ამ საკითხზე დღემდე გრძელდება ბუნდოვანი აზრების გამოთქმა და ფაქტების დამახინჯება იმ პირების მიერ, რომლებსაც საქართველოს წარსულზე თითქმის არაფერი გაეგებოდათ და იგი... გამარტინებელი პოლიტიკის ნაკარნახევათ უნდა ჩაითვალოს”; “ამეამათ თამაშად შეიძლება ითქვას, რომ სვანური... უნდა წარმოადგენდეს უძველესი ქართული ენის ნაშთს და დღესაც მის ერთ შტოთ უნდა ჩაითვალოს”; “ის კი თამაშად შეიძლება ითქვას, რომ სვანურში... ბევრი ისეთი სიტუაცია შემონახულა, რომლებიც ქართულ ლიტერატურაში ერთ დროს ხმარებაში ყოფილია, მაგრამ შემდეგში მას ეს სიტუაცია დაუკარგავს და მარტო სვანურს შერჩენია დღემდე”. სვანეთის საზოგადოების პროტესტს, რომელიც მოჰყვა ხელისუფლების მხრიდან სკოლებში მხოლოდ რუსული ენის დამკვიდრების ცდას, ეგნატე

შემდეგნაირად აღწერს: “სვანებმა ერთი ალიაქოთი მოახდინეს, “არ გვინდა ჩვენ რუსული პრაშნი-პრუშნიო”, ჩვენ მაშა-პაბურად და ძელებურად გვინდა ვიცხოვროთ” (ე. გაბლიანი, 1903). ეგნატე გაბლიანი აქვეყნებს ლექსიკონსაც, რომელშიც საერთოქართული ლექსიკური ერთეულებია დაფიქსირებული.

საქართველოს პირველი რესპუბლიკის პერიოდში ეგნატე გაბლიანი დიდ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა, ცდილობდა სვანეთის ცხოვრების მოწესრიგებას ძველი ქართული სამართლის ამოქმედებით, რომელიც ყველაზე ცოცხლად სვანეთშია შემონახული ჩვეულებითი სამართლის სახით (ე. გაბლიანი, 1927).

საქართველოს ხელახლი ოკუპაციის შემდეგ (1921 წ.) ეგნატე გაბლიანის ცხოვრებაში უმძიმესი პერიოდი დგება. ეგნატე იწყებს დაუცხრომელ ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ცნობილია, სვანეთი დიდი საპროტესტო მუხტით შეხვდა საქართველოს ოკუპაციას, სისხლი 1921 წელს. სვანეთი, ნესტორ გარდაფხაძის, მოსახლეობის დადგმელიანის, ბიძინა პირველის, ძმები დადგინჯების (რომლებიც დელით დადგმელიანები იყვნენ და ნახევრად სვანეთში იზრდებოდნენ) თაოსნობით, დაირაზმა რუსული ოკუპაციის წინააღმდეგ. სვანეთის რაზმები ლენქერის გზაზე (მოინარე ენგვარის ხეობა) ჩაუსაფრდნენ დამბყრობლის ჯარს და გაანადგურეს “წითლების” რაზმები. სვანეთის აჯანყების ამბავი ფართოდ გავრცელდა საქართველოს ყველა მხარეში და საზღვარგარეთ (ო. ჭანელიძე, 2008). სვანეთის აჯანყება ისახა საქართველოს პატრიარქის მემორანდუმშიც (გენუის კონფერენცია). ეგნატე გაბლიანი ხანგრძლივ პატიმრობას გადაურჩა, რადგანაც სვანეთის მოსახლეობაში უდიდესი ავტორიტეტი ჰქონდა და ხელისუფლებამ მისი შემორიგება არჩია. მის დაცვას მუდამ ცდილობდა ბოლშევიკი სილიბისტრო ნავერიანი, რომელიც, ეროვნული ხედვის გამო, საბოლოოდ საბჭოური რეპრესიების მსხვერპლი გახდა. ეგნატე აქტიურად მონაწილეობდა 1924 წლის აჯანყებაშიც. რამდენიმეგზის რეპრესირებული ეგნატე ხელახლა დააპატიმრეს და დახვრიტეს 1937 წელს. რეპრესიების მთელი სიმძიმე იწვნია ეგნატე გაბლიანის ოჯახმაც. საბჭოთა ხელისუფლებამ დააპატიმრა და ხანგრძლივად გადაასახლა ეგნატე გაბლიანის მეუღლე, ცნობილი პედაგოგი ვერა თევზაძე. მამის დახვრეტიდან ორი წლისთვაზე გარდაიცვალა ეგნატე გაბლიანის ქალიშვილი ეთერი. ეგნატეს მეორე შვილის გივი გაბლიანის (1915-2001 წწ.) ცხოვრების გზა საქართველოს უახლესი ისტორიის განუყოფელი ნაწილია. გივი იყო პროფესიით ექიმი. ის ვერ ურიგდებოდა ბოლშევიკურ რეჟიმს და ცდილობდა საქართველოს გათავისუფლებას. სწორედ ამ მიზნით, გივი, მეორე მსოფლიო ომის დროს, ტყველ ჩაბარდა გერმანულ მხარეს. გერმანულ მხარეს გადასული, დაუკავშირდა ქართულ ემიგრაციას და გახდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის (საზღვარგარეთ) ერთ-ერთი ხელმძღვანელი. ცნობილია, რომ გივი გაბლიანმა ომის წლებში დაღუპვას გადაარჩინა მრავალი ქართველი და ებრაელი ტყვე. ომის შემდეგ გივი ამერიკის მოქალაქე გახდა, თანამშრომლობდა ემიგრაციულ გამოცემებთან. გივი გაბლიანის ღვაწლი ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ცალკე განხილვის თემაა. სასიხარულოა, რომ ქართულ ენაზე გამოიცა ამ დიდი მოღვაწის მოგონებები, რითაც მისი სახელი ფართო საზღვადოებისათვის გახდა ცნობილი (გ. გაბლიანი, 1998). სვანეთში კი იგი

მუდამ ახსოვდათ და მის სახელს სასოებით ახსენებლნენ ყოველ ოჯახში. გივი გაბლიანი ერთგვარ ლეგნდად იქცა ამ მხარეში, მასზე საუბრობლნენ ჩუმად, მაგრამ დიდი სიამაყით. გვი გაბლიანი სიცოცხლის ბოლო წუთამდე ფიქრით და ღვაწლით საქართველოსთან იყო დაკავშირებული. ღვთის წყალობით, იგი საქართველოს ხელახალ გათავისუფლებას და ნათესავებთან შეხვედრასაც მოეწოდო, მასთან სტუმრად ჩასულ ახლო ნათესავს ქალბატონ ციური გაბლიანს საქართველოსა და მშობლიური სვანეთის ყოფის ყოველი ნიუბნის შესახებ ესაუბრა დაწვრილებით.

საბჭოთა ოკუპაციის წლებში (1937 წლამდე) ეგნატე გაბლიანი მუხლჩაუხრელად იღვწოდა ქართული ეროვნული საგანძუროს მოძიების, თავმოყრისა და გადარჩენისათვის. მან საფუძველი ჩაუყარა მესტიის მუზეუმს (იგი დღეს ეროვნული მუზეუმის ნაწილია), აქ დაუნჩხებული უნიკალური საგანძუროთ. ამავე წლებში, ეგნატე გაბლიანმა მოიპოვა არქეოლოგიური გათხრების ჩატარების უფლება, დაზვერვითი სამუშაოები შესარულა ჩუბერევის, ლახამულისა და ჭუბერის ტერიტორიებზე.

ეგნატე გაბლიანის უმთავრესი შეცნიერული კვლევები ქართველთა ეთნოლოგიის შესწავლისაკენ იყო მიმართული. ეგნატე ქართული ეთნოლოგიური სკოლის პირველი თაობის წარმომადგენელია. ცნობილია, რომ ეთნოლოგია საქართველოში ცალკე შეცნიერების დარგად, სამეცნიერო სკოლად XX საუკუნის 20-იანი წლებიდან ყალიბდება. ეგნატე გაბლიანის არაერთი ეთნოგრაფიული წერილი, გამოქვეყნებული ქართულ პერიოდულ გამოცემებში, ბევრად ადრეულია. ეგნატე აქტიურად თანამშრომლობდა ქართულ ურნალგაზეთებთან, რომელთაგანც განსაკუთრებით ფასეული წერილები “ივერიაში”, “ცნობის ფურცელში”, “შინაურ საქმეებში” და სხვ. ქვეყნდებოდა. პრესაში გაბნეულ წერილებში წარმოდგენილია სვანეთის ყოფისა და კულტურის ზოგადი მიმოხილვაც და კონკრეტული ფაქტების თხრობა-ანალიზიც. არის წერილები, რომლებშიც მიმდინარე ამბებია აღწერილი და საჭირობოროტო პრობლემებია წამოჭრილი.

განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ეგნატეს ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები და ორი სამეცნიერო მონოგრაფია: “ძველი და ახალი სვანეთი” (ე. გაბლიანი, 1925) და “თავისუფალი სვანეთი” (ე. გაბლიანი, 1927). ეს მონოგრაფიები დღემდე ძირითა წყაროდ რჩება სვანეთის წარსულით, ყოფითა და კულტურით დაინტერესებული მკვლევარებისათვის. რასაკვირველია, ამ სამეცნიერო ნაშრომებს ეტყობა ცენზურის მძიმე კვალი, მაგრამ სტრიქონებს შორის იძულებით ჩაწერილი ხელოვნური ფრაზების მიღმა მოჩანს ავტორის უდიდესი ერუდიცია და მეცნიერული ანალიზის უნარი. ეგნატე გაბლიანის კვლევის თეორიული ამოსავალი და მეთოდოლოგია მომდინარეობდა იმ დროს მთელ მსოფლიოში გაბატონებული ისტორიულ-შედარებითი სკოლის თეორიებიდან.

ეგნატე გაბლიანის მონოგრაფიები არ არის მხოლოდ წმინდა ეთნოგრაფიული კვლევები. მეცნიერი ყოველ საკითხს განიხილავს კომპლექსურად, ისტორიულ-არქეოლოგიურ წყაროთა ანალიზის საფუძველზე და ისტორიული განვითარების დინამიკის ჩვენებით, ამიტომ ეგნატე გაბლიანი უნდა მივიჩიოთ ისტორიული ეთნოლოგიის ერთ-ერთ ჩამოყალიბებლად საქართველოში. ეგნატეს

დახვრეტის შემდეგ აიკრძალა მისი წიგნებიც. წიგნები დააპატიმრეს და გაანადგურეს. ბიბლიოთეკებში არსებული ეგზემპლარები კი საიდუმლო ფონდებს გადასცეს. გავიდა ათწლეულები, ვიდრე მყითხველებს ამ წიგნების თავიდან გაცნობის შესაძლებლობა მიეცემოდათ. სწორედ ამ მიზეზით აიხსნება ის ფაქტი, რომ ადრეული პერიოდის ქართველი საბჭოთა ეთნოგრაფები არ იმოწმებენ და არ იხსენიებენ ეგნატე გაბლიანის მეცნიერულ შემკვიდრეობას.

ეგნატეს მონოგრაფიებში წარმოდგენილია სვანეთის ისტორიის საკვანძო პრობლემები, განხილულია საისტორიო წყაროები და არქეოლოგიური არტეფაქტები. წარმოქმნილია სვანეთის როლი საქართველოს ისტორიაში. შესწავლილია შემდეგი მნიშვნელოვანი თემები: სვანეთის ისტორია, სვანეთის მატერიალური კულტურის ძეგლები, სვანეთის ეთნოგრაფია. მეტად საყურადღებოა ეგნატეს მიერ შეკრებილი მასალა სვანეთის საეკლესიო საგანძურის (ეკლესიების, ჯვარ-ხატების, წარწერების), საეკლესიო დღეობებისა და რიტუალების, სვანეთის ჩვეულებითი სამართლის (ქალთა ქონებრივი უფლებების, ქორწინების, განქორწინების, სამედიატორო სასამართლოს), სვანების საოჯახო ყოფის და სხვა ეთნოგრაფიული თემების შესახებ. მეცნიერის შესწავლილი აქვს სვანური ფოლკლორი: ლეგენდები, გადმოცემები, არაკები, ზღაპრები, ლექსები, ფერხულები. მეცნიერი, მასალის შეკრებასთან ერთად, ახდენს ინფორმაციის დაჯგუფებას, ანალიზს, გვაწვდის არგუმენტირებულ დასკვნებს. ზოგიერთი ეთნოგრაფიული ფაქტი მხოლოდ ეგნატე გაბლიანის წიგნებიდან შემოგვენახა, რადგან ის თავად იყო მასალის შემკრები და ამა თუ იმ კონკრეტული ამბის, სამართლებრივი დავის, რიტუალის მონაწილე, ზოგჯერ ორგანიზატორიც.

ბუნებრივია, რომ ეგნატე გაბლიანის მრავალმხრივი მოღვაწეობა, მისი ნაშრომ-ნააზრევის არაერთი ასპექტი კიდევ დიდხანს იქნება მეცნიერების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლების კვლევისა და ანალიზის საგანი.

დამოწმებული ლიტერატურა

გ. გაბლიანი, 1998 — გივი გაბლიანი, ჩემი მოგონებანი, თბ., ქუთაისი, 1998.

ე. გაბლიანი, 1903 — ე. გაბლიანი, ზემო სვანეთი, — გაზ. “ივერია”, 16 აპრილი, №82, 1903.

ე. გაბლიანი, 1925 — ე. გაბლიანი, ძელი და ახალი სვანეთი, ტფ., 1925.

ე. გაბლიანი, 1927 — ე. გაბლიანი, თავისუფალი სვანეთი, ტფ., 1927.

რ. გუჯეგიანი, 2011 — რ. გუჯეგიანი, ეგნატე გაბლიანი, ჟურნ. “ჯვარი ვაზისა”, №1-2, თბ., “საქართველოს საბატრიარქო”, 2011.

ო. ჯანელიძე, 2008 — ო. ჯანელიძე, ბოლშევიკური კულტაციის წინააღმდეგ სვანეთის განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან, — კრ., სვანეთი — ქართული კულტურის სავანე, გამომცემლობა “ზვამლი”, თბ., 2008.

ROZETA GUJEJIANI**MAIN ASPECTS OF EGNATE GABLIANI (1881-1937)
LIFE AND DEEDS**

The national activities of Egnate Gablian and his scholarly heritage have a great importance for Georgian culture. Egnate was a scholar, archeograph, one of the founders of Georgian ethnography, public man of wide range of activities: outstanding representative of Georgian national movement during the Russian and later Soviet occupation, one of the leaders of Svanteian antibolshevik uprisings (in 1921-1924). At the same time Egnate was a publicist. His several papers are published in Georgian periodical editions. His name is associated with the chronicles of collection and preservation of Svanetian antiquities: he is a founder of upper Svaneti historical-ethnographic museum; collector of museum anthologies (Christian artifacts, manuscripts, furniture, martial and economic tools, other supplies). The important fact of Egnate's life is his involvement in the construction of the Lenkheri motorway, building of the bridge to Samegrelo etc. The monographs and articles of Egnate Gablian are valuable for Georgian ethnography, he describes and analyzes almost all elements of Svan traditional everyday life and culture: history of Svaneti, social being, historical monuments, folk architecture, churches, monasteries, traditional low, religious festivals, rituals, etc.

ქათაისის საჯარო ბიბლიოთეკის წელიწლეული
ANNUAL OF KUTAISI PUBLIC LIBRARY

IX

2017

**ნინო აბაკელია
გულნარა კვანტიძე**

**სარიტუალო სამოსის მნიშვნელობა სვანერ
გლობასა და დაკრძალვის წესები**

წინამდებარე სტატია ეხება სვანურ ყოფაში, კერძოდ დაკრძალვისა და გლოვის წესებში, დაცულ საწესო რეგიონულ სამოსა და მის მნიშვნელობას. ნაშრომი მიზნად ისახავს ნიკო მარის მოსწავლის, დინა კოუევნიკოვას საარქივო მასალის გააქტიურებას, მის შემოტანას სამეცნიერო ბრუნვასა და შესაბამისი ანალიზის გაკეთებას. აქედან გამომდინარე, ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს ლინა კოუევნიკოვას მიერ სვანეთში 1927-1946 წწ.-ში შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალა, რომელიც 1987 წელს სიმონ ჭანაშიას სახელმისამართის მუზეუმის ისტორიისა და ეთნოლოგიის კოლექციებში შევიდა და საარქივო სახე მიეცა (ზ. ხიზანაშვილი, 2003, გვ. 195). სტატიისთვის დამატებით წყაროდ ასევე გამოყენებულია ეთნოგრაფიული კვლევები, რომლებიც საშუალებას იძლევა შესაბამისი წარმოდგენა შეიქმნას ქართულ საწესო ყოფაში რეგიონულ სამოსა და მის ფუნქციონირებაზე. აღწერითი, სტრუქტურულ-ფუნქციონალისტური, შედარების მეთოდების გარდა, სტატიაში გამოიყენება ენისა და კულტურის მოვლენათა სემიოტიკური და რეტროსპექტიული ანალიზი.

**ამონარიდები დინა კოუევნიკოვას ჩანაწერებიდან და
ზოგიერთი მოგვიანო ხანის კომენტარი:**

დინა კოუევნიკოვას 1927 წლის ჩანაწერებში აღწერილი აქვს წყალში დამხრჩალი კესა ჩართოლანის შემთხვევა. დღეისთვის აღნიშნული რიტუალი კარგად არის ცნობილი ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში, მაგრამ უშუალო დამკვირვებლის მიერ გასული საუკუნის 30-იან წლებში ჩანიშნული შტრიხები დღესაც არ კარგავს თავის მნიშვნელობას და მასზე რეფლექსირებისას არსებულ სპეციალურ ლიტერატურასთან ერთად ახალი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა.

დინა კოუევნიკოვას აღწერილი აქვს პროცესია, რომელშიც ცხვრის ტყავის გადაბრუნებულ სამოსში (ბეწვით გარეთ) გამოწყობილი ქალები ხელით მიჰყავთ და მიემართებიან გარდაცვლილის „სულის დასაჭერად“; კაცები ქუდმოხდილები არიან. პროცესიაში დაფიქსირებულია მოხუცი კაცი, რომელიც ნელა გამოჟერავდა ხელს შავ, არფისმაგვარ ინსტრუმენტის სიმებს, ხოლო მეორეს იღლიაში მამალი ჰყავდა ამოჩრილი... (სურ. 1) (ე. კოუევნიკოვა, გ. 1927-1946).

არფისმაგვარ ინსტრუმენტში, როგორც ჩანს, იგულისხმება სვანური ჩანგი „ში-მეკვშე“, რომლის ეტიმოლოგია, სპეციალისტების აზრით, უკავშირდება მოტეხილ ხელს, გარდაცვლილის სხეულიდან საკრავის გაკეთების მოტივსა და მის გამოყენებას დაკრძალვისა და გლოვის წესებში (დ. არაყიშვილი, 1950, გვ. 42-44; მ. შილაკაძე, 1987, გვ. 252). აღნიშნული წესები გულისხმობს: 1. სვანეთში ჭუნირზე (ზემიან საკრავზე) დაკვრის წესს მიცვალებულის დაკრძალვის წინა

ღმეს; 2. ახალი წლის ციკლის ერთ-ერთი დღესასწაულის — ლიფანალის — ფროს გარდაცვლილთა სულების “სტუმრობას” (ვ. ბარდაველიძე, 1951, გვ. 59); 3. სვანეთში მიცვალებულის “სულის დაჭერის” წესს. ტრადიციული წესის დაცვისას, სხვა ადგილას გარდაცვლილი ადამიანის სული სახლში უნდა დაბრუნებინათ (ქუთინი ლიტხეს/სულის დაბრუნების წესი) და შემდეგ ფაქტურულავებინათ. სულის წაყოლას ამოწმებდნენ ჭუნირზე ან ჩანგზე დაკრით (ზ. ნიუარაძე, 1964, გვ. 71-72), მამლის ყვილითა და სხვ. (ზ. შილაკაძე, 1987, გვ. 252).

როდესაც დინა კოუევნიკოვა გარდაცვლილის ეზოში მივიდა (პერიფრაზი რომ გავაკეთოთ), მას შემდეგი სურათი დახვდა: ეზოს განაპირას სამი მხრიდან კუნძებზე დადებული იყო გრძელი, ვიწრო ფიცრები და მაგიდად გამოიყენებოდა. მაგიდაზე იღო მრგვალი ბურები, ხაჭაპური, ყველი და ორაყი. ნათესავები და თანასოფლელები ისტორენ მაგიდის გასწვრივ ჭველად, სვამდნენ არაყს სპილენძის ფოქიდან და გადასცემდნენ მას ერთმანეთს რიგრიგობით დასალევად. დალევამდე სიტყვას ამბობდნენ... ეზოს შიგნით, ადამიანთა გუნდის შუაში იდგა ცხენი, რომელსაც შავი შალის ნაჭერი ჰქონდა გადაფარებული. უნაგირზე ენთო ხელნაკეთი ცვილის სანთელი.

გარდაცვლილი იყო ლურჯ ფართოსახელოიან ბლუზასა და ისეთივე ქვედაბოლოში; ფეხზე ეცვა წალები (ფეხსაცმელი), ფერხთ ედო წყვილი ჩუსტი, ხელებზე ეცვა ტყავის ყავისფერი ხელთამანები; თავზე თეთრი აბრეშუმის თავსაფარი ეხურა; გულმკერდზე ვერცხლის სამკაულები ეწყო, მათ ზემოდან კი მღვდლის დიდი ჭვარი იდო. მიცვალებულის თავთან დადგმულ მაგიდაზე დადგმულ თეფშზე მოსულების მიერ შეწირული ქაღალდის 5, 3, 10 მანეთიანები ეყარა შავი ძაფის გორგალთან ერთად. კუბოს გვერდით ენთო ხელნაკეთი ცვილის სანთელი, რომელსაც შემოხვეული ჰქონდა ნაჭრის ფითილი.

ჩანაშერებიდან ირკვევა, აგრეთვე, ისიც, რომ სვანეთში ცალ-ცალკე ამზადებდნენ გარდაცვლილი ქალებისა და კაცებისთვის სარიტუალო კელაპტრებს (სურ. 2) (ე. კოუევნიკოვა, გ. 1927-1946). ამ უკანასკნელ ნივთში შეიცნობა კელაპტარი, მეგრ. კილანტარი, აფხაზური ა-კილანტარ, რომელსაც, როგორც რიტუალურ საგანს, დაკრძალვისა და გლოვის წესებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა დასავლეთ საქართველოში (ნ. აბაკელია, 2009, გვ. 31-41).

შავებში ან გადმობრუნებული ცხვრის ტყავის ქურთუკებში ჩაცმული ახლო ნათესავი ქალები, ნათესაური სიახლოვის მიხედვით, თმაგაშლილები, რიგრიგობით მიღიობნენ კუბოსთან და სახით გარდაცვლილისკენ მიმართულები ცისკენ აპყრობილი ხელებით იწყებდნენ ტირილს. შემდეგ სახეს თითქოს იხოკდნენ, დანარჩენი ქალები კი ყოველი ფრაზის შემდეგ ხმამალლა მოთქვამდნენ. ეზოში მდგომი კაცები იმავე მოძრაობებს აკეთებდნენ, თითქოს წვერს იგლეჭდნენ. დროდადრო მოთქვმდნენ, ხელს ჰქილებდნენ ხანგალს, მაგრამ ქარქაშიდან არ იღებდნენ. გუნდურად დაიტირებდნენ მიცვალებულს (სურ. 3).

კუბოს გარშემო ჩამუხლული ქალები ხმამალლა ტიროდნენ. გარდაცვლილის დასა და ქმარს, რომლებიც თმებს იგლეჭდნენ და სახეს იხოკავდნენ, ხელით აკავებდნენ, არ ჩერდებოდნენ, ასევე, გარეთ, მუხლებზე დაჩოქილი კაცები.

კაცების მიერ შექმნილ ნახევარწრესთან ქალები გამოვიდნენ, ისინი ყოველი კაცის წინ ტირილით ჩერდებოდნენ, თითქოსდა თავს აცოდებდნენ მათ და

გლოვის დამოწმებას სთხოვდნენ. თითოეული მათგანის შემოვლის შემდეგ კვლავ დაბრუნდნენ კუბოსთან, კაცებიც რიგრიგობით მიღიოდნენ მიცვალებულთან და გრძელი სიტყვებით გამოდიოდნენ და სხვ. (დ. კოჟევნიკოვა, გ. 1927-1946).

ოჯახის წევრის ან ახლობლის გარდაცვალებისას იცვამდნენ შავი ფერის სამოსს. ქალი, რომელსაც დედა, მამა ან ძმა გარდაცვლებოდა ორი წელი არ იხდიდა შავებს. დასაფლავების დროს ქალები იცვამდნენ ახალი ქსოვილისაგან ნაკერ შავ, ბოლოჩამოგლებილ, შემოუკეცავ ტანსაცმელს, ზემოღან იცოდნენ გადმობრუნებული ცხვრის ტყაბუჭის (კეშ-ის) მოცმა და თმები აუცილებლად გაშლილი უნდა ჰქონდათ; ჩვეულებრივ, სკანი ქალი თავმოხდილი არც შინ და არც გარეთ არ გაივლიდა. კაცები ერთი წლის მანძილზე თმას არ იჭრიდნენ და არც მღეროდნენ. მიცვალებულს ყველაზე ახლობელი ადამიანები (მკვდართ მმოსველნი, ვახუშტი ბატონიშვილის ტერმინი რომ მოვიშველიოთ) აცმევდნენ საუკეთესო ტანსაცმელსა და მიცვალებულს მხოლოდ საშ დღეს აჩერებდნენ სახლში.

სამოსი, როგორც ადამიანის ნაწილი და მისი პირობითი სახე:

როგორც ეთნოგრაფიული მასალა გვაჩვენებს ზოგადად, სამოსი სვანეთის ეთნოგრაფიულ ყოფაში (ისევე როგორც სხვაგან) გაიაზრებოდა არა როგორც საგანი პერ სე, როგორც ადამიანის კუთვნილება, არამედ, როგორც მისი ნაწილი, რომელსაც გააჩნდა ადამიანის ნიშნები, თვისებები და ავადმყოფობაც კი. საინტერესოა, რომ ხალხურ ყოფაში და კერძოდ დაკრძალვისა და გლოვის წესებში მას ნიშანს//ლიშანს ეძახდნენ. ეს კი ნიშანვადა, რომ ამა თუ იმ წეს-ჩვეულებათა შესრულებისას, გარკვეული სამოსის ჩაცმა, რომელსაც ის არ ჩაიცვამდა ყოველდღიურობაში აქცევდა მას ერთგვარ პირობით სახედ და სხვ. მაგალითისთვის აქ შეიძლება გავიხსენოთ ბერიკაობა-ყევნობა (ნ. აბაკელია, 2017, გვ. 112-156).

სამოსი, როგორც დაკრძალვისა და გლოვის წეს-ჩვეულებათა კომპონენტი:

რიტუალურ სამოსში მკვლევრები გამოყოფენ საქორწილო, სამგლოვიარო და მიცვალებულის სამოსს (ც. ბეზარაშვილი, 1970, გვ. 181). ხშირად ქალის საქორწილოდ და დასაკრძალად ერთი და იგივე სამოსი გამოიყენებოდა. ეს ფაქტი მრავალჯერ არის დადასტურებული როგორც სვანეთის ყოფაში, ასევე საქართველოს სხვა კუთხებშიც, ამიტომ, დასაკრძალი სამოსის აღწერისას, რიგ შემთხვევაში, ფაქტობრივად, საქორწილო სამოსი აღიწერება, რომლის აუცილებელი ატრიბუტია გულსამყაული და ამავდროულად საჟინძი — ჩაფრასტი (გ. კვანტიძე, 2018, გვ. 13), მიცვალებულს დაკრძალვამდე, სამოსის გულისპირზე სამკაულებს აწყობდნენ, არ ამაგრებდნენ, ხოლო ქორწილის შემთხვევაში, პატარძალი ლხინის დასრულებამდე სამკაულით შემკულ სამოსში რჩებოდა (დ. კოჟევნიკოვა, ა, 1927-1946).

¹ ტერმინები დაფიქსირებულია ც. ბეზარაშვილის მიერ (იხ. მისი 1970, გვ. 183). აღნიშნული ტერმინები, ასევე, გადავამოწმეთ ანა გუჭეჭიანთან, რომელმაც გვითხრა, რომ ქვემო სვანური “ლაქტნა” და ზემო სვანური ჩაბუა და მათგან ნაწარმოები “ლაქტნო ლერექტს” ეჩებუსთე ლერექტს სინონიმებია. ბოლო დროს, მისი თქმით, ზემო სვანეთში უფრო ხშირად ლაქვნას ხმარობენ საიქიოს აღსანიშნავად (ნ. აბაკელია, 2018).

მიცვალებულის სამოსს ქემო სვანეთში “ლაქუნა”, “ლაქუნთე ლერექუს” (ე.ი. სულეთის სამოსს)¹ და ზემო სვანეთში “ეჩებუსთე ლერექუს” უწოდებდნენ. ხოლო საიქიოს, რომელიც, სვანური რწმენა-წარმოდგენების მიხედვით, მზით განათებული ვრცელი, მუდამ მწვანე ბალახით დაფარული მინდორი იყო — ლაქუნთეს. სულები საიქიოში წარმოიდგინებიან ლანდებად, რომლებიც შემოსილნი იყვნენ იმ სამოსით, რომელიც ჩაჰუგათ საფლავში, ან იმ სამოსით, რაც შემდეგ უნდა ეკურთხათ (ც. ბეზარაშვილი, 1970, გვ. 179).

საქართველოში ზოგადად გავრცელებული ხალხური რწმენის თანახმად, სულეთში თავს კარგად და ლალად ის გარდაცვლილი გრძნობდა, რომელსაც შეეწირებოდა შესაწირი: პირუტყვი, საკვები, სამოსელი და სხვ. (დ. გიორგაძე, 2010, გვ. 153); მაგრამ, ყველაფერი ეს საიქიოში რომ მოხვედრილიყო, უნდა განხორციელებულიყო რიტუალური ქმედებები, რომლებიც საშუალებას მისცემდა დაინტერესებულ პირს, შეჭრილიყო საკრალურ სივრცეში და გარკვეული ფასეულობები გადაეტანა სამზეოდან სულეთში” (ი. სურგულაძე, 2003, გვ. 292).

როგორც სპეციალური ლიტერატურიდანაა ცნობილი, დასამარხი სამოსი შეიცავდა სვან ქალის მიერ ხმარებული სამოსის თითო ცალ ყველა ელემენტს. რამდენადაც მიცვალებულისთვის გასატანებელი სამოსის საუკეთესო ნიმუშს საქორწილო სამოსი წარმოადგნდა, ამიტომ ის წარმოუდგენელი იყო **ლუბუმბაი კაბის**, დიდი თავსაფრის, შუბლსაკრავისა და ვერცხლის სამკაულების გარეშე, რომლითაც უხვად იყო შემქული ძველ დროს მოხმარებული საქორწილო კაბა (ც. ბეზარაშვილი 1970, გვ. 181-182) (სურ. 5).

სულეთის სამოსი, გლოვა და გლოვის დასასრული:

სვანეთში, ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, მიცვალებულზე განსაკუთრებულად ზრუნავდნენ. გარდაცვლილს ახლო ნათესავები განბანდნენ და საგანგებო სამოსს ჩააცმევდნენ. სულეთის ტანსაცმელზე ზრუნვას მოხუცები სიცოცხლეშივე იწყებდნენ. ერთი ხელი ტანისამოსის გამზადება აუცილებელი იყო, შეძლებული ქალი მეორე ხელსაც გამზადებდა. წესი იყო, რომ საიქიოსთვის გამიზნული ტანსაცმელი სამზეოში სამჯერ მაინც უნდა ყოფილიყო ჩაცმული, ვიდრე იგი თავისი ძირითად ფუნქციას არ შეასრულებდა. ჩაცმის დღეებსაც არჩევდნენ, ახალ წელს, აღდგომასა და “დიდი ხატობის” დღეს (ც. ბეზარაშვილი, 1970, გვ. 184).

მიცვალებულის ტანსაცმლის აღმნიშვნელი ტერმინები, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა სახელწოდებით გახვდება: “სულის ტალავარი”, “სამარხი ტალავარი” (ზევსურეთი); “სუდარი”//“სუდარა”, “სასუდრე ტანსაცმელი”, “სამკვდრო ჩასაცმელი”, “საშიშლო” (სამეგრელო); “საშიშო”//“საშიში” (თუშეთი); (ც. ბეზარაშვილის, 1970, გვ. 153; დ. გიორგაძე, 1987, გვ. 8-11; თ. სახოვია, 1940, გვ. 168), მიცვალებულის შესამოსლის აღსანიშნავად “სუდარასთან” ერთად ადგილობრივი ტერმინები “შესაგრაგნელი”//“საგრაგნელი”, “წასაბურავიც” გამოიყენებოდა; თავდაპირველად ისინი ტყავისგან მზადდებოდა, რომელიც შემდგომ სელის ან კანაფისაგან დამზადებულმა ქსოვილმა შეცვალა. ამგვარი სუდარის გამოყენების მრავალი ფაქტი ეთნოგრაფიულმა ყოფამ გვიანობამდე შემოინახა (სელის მნიშვნელობის შესახებ იხ.: ჭ. რუხაძე, 1976, გვ. 62-83). ასეთი სუდარა იხმარებოდა სვანეთში, რომელსაც ზოგჯერ თაფლის სანთელშიც ავლებდნენ ხოლმე. ასე იქცეოდნენ უშგულში, სადაც მიცვალებულს აკლდამაში

ჭურჭლის გარეშე მარხავდნენ (ზ. ყავრიშვილი, 1926, გვ. 51); იმერეთშიც მიცვალებულისათვის გასანთლული ტილო იხმარებოდა. გურიაში მიცვალებულს სახლში მოქსოვილ უხეშ, ზოგჯერ კი სანთელში ამოვლებული ტილოში ახვევდნენ და ამ სახით ასაფლავებდნენ (გ. ლორთქიფანიძე, 1970; თ. მამალაძე, 1893). სამეგრელოშიც ამ მიზნით კანაფისაგან დამზადებულ ქსოვილს იყენებდნენ და სხვ. (ივ. ჯავახიშვილი, 1962).

ცოცხალთათვის განკუთვნილი ხევსურული ტალავარი შალისა იყო, სასულრო პერანგები კი — ბამბისა, ამიტომ ვარაუდობენ, რომ მიცვალებულის ბამბის პერანგებით შემოსვა სარწმუნოებრივი ხასიათის არქაული აღკვეთით განცირობებული ჩვეულება იყო და განაპირობებდა მცენარეული მასალისაგან დამზადებულ სუდარაში დაკრძალვის სავალდებულო წესს... (დ. გიორგაძე, 2010, გვ. 160). ხევსურეთში სუდარად სამი ფერის პერანგი გამოიყენება. თუშეთში თუ გარდაცვლილი მოხუცი იყო, სუდარად შავი ან ლურჯი ფერის სამოსი უნდა გამოიყენებონათ, ახალგაზღიულისათვის კი — წითელი. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის რწმენა-წარმოდგენების მიხედვით, სულთასამყოფელის ფერი შავია, საიქიოს მაცხოვრებელთა ფერი — თეთრი/მტრედის ფერი, წითელი — სიცოცხლის სიმბოლურ ნიშანს წარმოადგენდა. ხევსურულ სუდარაში ფერთა გარკვეული რიგით მონაცვლეობას მკვლევარნი მაგიურ-აპოტრობეულ დანიშნულებად მიიჩნევენ (ვ. ბარდაველიძე, გ. ჩიტაია, 1939, გვ. 11), ამავე დროს, მათ სამი სკნელის (ზესკნელი ანუ ციური სამყარო — თეთრი, შუასკნელი ანუ სამზეო — წითელი, ქვესკნელი ანუ საიქიო/შავეთი — შავი) არსებობის რწმენასთან აკავშირებენ და ფერთა სიმბოლიკასაც ამ სკნელთა შესაბამისად ამიარებენ (ფერთა სიმბოლიკაზე იხ.: მ. ხიდაშელი, 2010, გვ. 454-474).

სეანური სამგლოვიარო სამოსი, გლოვის სიმბიმის ხარისხის მიხედვით, სამგვარი ფორმითა მოღწეული. მძიმე დანაკლისის დროს, გლოვის მთელ მანძილზე გარკვეული დროის ვადით სამივე სახის სამოსი იყო მოხმარებული. სამგლოვიარო კომბლექსში შედიოდა თითქმის ყველა ელემენტი ყოველდღიურად სახმარი სამოსისა, შავი ფერის, მორთულობისა და სამქაულების გარეშე. გლოვის დროს პირველ რიგში ჩასაცმელ სამოსს ძაძრი ერქვა, მის შემაღენლობაში შესული ზედატანისა და ქვედატანის ნაპირები მერცხლის კუდის მსგავსად იყო შეჭრილი. დიდი გლოვის დროს ქვედატანზე ნაპირის პარალელურად, ორ რიგად, ასეთივე წესით შეჭრილ ნაჭრებს აკერებდნენ. ასევე შეჭრიდნენ თავსაფრის კიდეებსაც. ძაძრის განვითარების შემდგომ ხმარობდნენ შელებილ, ნაპირებზე მოშლილ სამოსს — “ლალფურბლ ლერექტ”, გლოვის დასრულების წინ შავი, შემოტეხილი, ჩვეულებრივ წესზე შეკერილი სამოსი უნდა სცმოდათ — “მეშე ლერექტ”... ქმრის ნათესავის გარდაცვალების შემთხვევაში ძაძას არ ატარებდნენ. გლოვის დროს წესად იყო სამივე დასახელების სამოსის ტარება რიგრიგობით, თითო წლის ვადით, საერთო ჯამში — სამი წლის ხანგრძლივობით. თალხების ტარების საერთო მიღებული წესიდან გამონაკლისს აკეთებდნენ ბავშვებისა და ლრმა მოხუცებულების გარდაცვალების შემთხვევაში (ც. ბეჭარაშვილი 1970, გვ. 186). უმეტესობას სწამდა, რომ ძაძის განახლებას სიკეთე არ მოჰყვებოდა.

მიცვალებულის ჯერ კიდევ სახლში ყოფნის პერიოდში დაიწყებდნენ ჭირისუფლებისათვის სამგლოვიარო სამოსზე ზრუნვას. მიცვალებულის გვარის

ქალს არ ჰქონდა უფლება ამ სამოსისთვის ხელი შეევლო; ამბობდნენ, ჭირისუფალს ისევ საზიანოდ წაუვა საქმეო. ოჯახის რძალს, როგორც სხვა გვარის წარმომადგენელს, უფლება ჰქონდა მიეღო ამ სამოსის გამზადებაში მონაწილეობა.

დაკრძალვის პროცესის დროს ჭირისუფალი ქალები ლეჩაქმოხდილები და თმაჩამოშლილები იყვნენ, შუბლთან მარტო შავი შუბლსაკრავის ფორმაზე დაკეცილი თავსაკრავით ჰქონდათ თმა დამაგრებული.

სვანეთში, ისევე როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მთაში, სამგლოვიარო ფერად მუქი წითელი ფერიც ითვლებოდა. დამოწმებულია სამგლოვიარო სამოსალ მუქი წითელი ფერის თავსაბურავის გამოყენება. ამ ფერის თავსაფრის სამგლოვიაროდ უფრო ქმრის სანათესაოს დაკარგვის შემთხვევაში დასტურდება. მას გამოიყენებოდნენ, აგრეთვე, იმ პირობებში, როცა შავი თავსაფრიდან პირდაპირ თეთრ, სამხიარულო თავსაფარზე გადასცლა უჭირდათ. შავი ფერის სამოსის ხმარების დროს სხვა ფერიდან მხოლოდ წითლის გარევა შეიძლებოდა, რადგან ძველად ზემო სვანეთში გავრცელებული წესით, შავთან ერთად, წითელიც სამგლოვიარო ფერად იყო მიჩნეული.

სამგლოვიარო სამოსიდან ძაძის გახდა, ხარჯის გათავებასთან, წლისთავის გადახდასთან იყო დაკავშირებული. თუ მას გაუცეოთელს გაიხდიდნენ, არ შეინახავდნენ, ჭირი არ შეგვენახოს, ან დაგლეჭდნენ, ან დასწვავდნენ, პირჯვარს დაწერდნენ და დაილოცებოდნენ — ღმერთო შენ შეგვეწი, ამისთანა ამბავი მოგვაშორეო (ბ. ნიუარაძე, 1962, გვ. 179).

წლის განმავლობაში მიცვალებულის ოჯახში ყოველი პურისჭამის დროს, დღეში სამჯერ, მიცვალებულის სახელზე კერძი და სასმელი იყო გაშლილი. ყოველი ხარჯის გაღების დროს, განსაკუთხით კი წლისთავზე — “კათხ-ტაბაშობას” (იგივე კონჩხაშრი, იგივე ალაპი) იცოდნენ მიცვალებულის “ლიშანზე” (ნიშანზე) დაჭრომა. ამ მიზნით, მიცვალებულის სახელზე შეკერილი სამოსის ყველა ელემენტს სკამზე ან კედელზე ისეთი წესით აწყობდნენ, როგორც მას ადამიანის სიცოცხლეში ხმარობდნენ, სახესაც ნაჭრით გაუკეთებდნენ ისე, რომ შორიდან შეხედვის დროს ნამდვილ ადამიანსა ჰყავდა. ზემო სვანეთში მას “ნახაზ”-ს უწოდებდნენ. (სპეციალურ ლიტერატურაში ნიშანი/ლიშანი ზოგჯერ განისაზღვრება როგორც “თოჯა” (“თოჯინა”) (ბ. ყავრიშვილი, 1926, გვ. 51; ც. ბეზარაშვილი, 1970, გვ. 184).)

ნახაზს სვანეთში ორი გადაჯვარედინებული ჭირისგან აკეთებდნენ, სირბილისათვის ბამბას ან თივას, ხოლო ზემოდან ნაჭერს შემოახვევდნენ. ნახაზს მოსავდნენ მიცვალებულის ნაქმნი ან ახალი ტანსაცმლით, რომელსაც იგი სიცოცხლეშივე უნდა ეკურთხებინა. კოჟევნიკოვას ფოტოალბომში №3 მოცემულია სურათები (სურ. 6, 7), რომელიც კარგად აღიქმება სუფრასთან მჯდომი ნახაზი. იგი ყველა დადგენილი წესის დაცვითაა ჩაცმულ-დასურული. როგორც დინა კოჟევნიკოვას ჩანაწერების მიხედვით დადგინდა, სურათზე №6-ზე გამოსახული ნიშანი/ლიშანი/თოჯა აფრასიონ წერედიანს ეკუთვნის, რომელიც თურმე სიცოცხლეში მილიციონერი ყოფილა და სწორედ ამ ნიშნის მიხედვითაა მისი ნახაზი შემოსილი კიტელით.

სუფრასთან დასმულ ნახაზს მეუღლე უნდა სჯდომოდა გვერდით, რაც ასევე მკაფიოდაა გადმოცემული ფოტოზე (სურ. 6).

მეუღლე უზის გვერდით, ჭერჭერობით უცნობი პირის ნახაზს, რომელიც მიღებული ჩვეულებისამებრაა ჩაცმულ-დახურული (სურ. 7) (ე. კოუვნიკოვა გ, 1927-1946). მას ყოველდღიურ ყოფაში აცვია სამშვენის-სამკაულისაგან თავისუფალი ზედა და ქვედა სამოსი და თავწაკრულია...

აღნიშნულ წესს ავსებს საქართველოს სხვა კუთხებში დადასტურებული მასალა, რომლის მიხედვით წლის ხარჯზე საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (სვანეთი, სამეგრელო, ფშავი, ხევსურეთი, თუშეთი და სხვ.) სამოსის სემიოტიკური ხარისხი კულმინაციას აღწევდა მასზე დატირებასა და სხვადასხვა სახის შეჯიბრებებში, რომლითაც, ფაქტობრივად, გლოვა სრულდებოდა. ასეთი იყო მაგ.: დოლის გამართვის წესი, რომელშიც ადგილობრივი რწმენებით იგულისხმებოდა გარდაცვლილის სულის მონაწილეობა ე.წ. “სულის ცხენით” (ნ. აბაკელია, 2000, გვ. 9).

სამეგრელოში, მარულას//დოლის დღეს იცოდნენ ე.წ. თარჩის წესი: საღამო ჟამს მიცვალებულის ერთი ვინმე საყვარელი ადამიანი შეჯდებოდა შავად (უფრო ადრე წითლად და ლურჯად) შემოსილ ცხენზე და “თარჩის” გააკეთებდა, იწყებოდა თარეში. სიტყვა თარეშს ძარცვის კონტაციაც რომ გააჩნია, ჩანს რიტუალიდან, რომლის დროსაც ზემოთ ხსენებულ ცხენს გამოედევნებოდნენ სხვები და ცდილობდნენ ცხენისთვის შავები შემოეხიათ. შავების შემოფლეთით და სხვა შეჯიბრებებით გლოვა მთავრდებოდა. მიცვალებულის ცხენს ან მის ახლობელს აჩუქებდნენ ან ველად გაუშვებდნენ თავისუფლად² (ნ. აბაკელია, 2009, გვ. 31-41).

სამოსს, როგორც წეს-ჩვეულებათა აუცილებელ კომპონენტს, გააჩნია სიმბოლური მნიშვნელობის სხვადასხვაგარი ასპექტი, რაც განაპირობებს მისი სემანტიკური სტრუქტურის მრავალი დონის არსებობას. ამასთან, ყოველი კონკრეტული დონე აქტუალიზდება მხოლოდ კონკრეტული საწესო რიტუალის კონტექსტში. მაგ.: სვანეთში, ქალის ტყავ-კაბა — კეშ ისევე, როგორც ხევსურული ტალავარი, ორგვარ სიტუაციაში გვხვდება — ყოველდღიურობასა და სამგლოვიარო რიტუალში.

თბილი, სამუშაოდ გამოყენებული ტყავ-კაბა — კეშ (ცხვრის ტყაბუჭი), თუ მას გაღმოაბრუნებენ (ბეწვით ზემოთ) და ისე ჩაიცვამენ, ის ხდება გლოვის ნიშანი; ასევე, ტალავარი, თუ ის დამზადებული იქნება ბამბისგან სულეთისთვის, საგანგებო სამოსს წარმოადგენს, რომელიც განსხვავდება ცოცხალთა ტალავრისგან.

სამოსი, როდესაც ის იმგვარ სემიოტიკურ სისტემაშია ჩართული, როგორიც სამგლოვიარო რიტუალია, იღებს გლოვის ნიშნის ფუნქციას, ანუ ადამიანის მიერ ხელოვნურად შექმნილ სემიოტიკურ სკალაზე იყავებს აღგილს. რიტუალიდან გამოვარდნილი და ყოველდღიურიაში მოქცეული, ის ფუნქციონირებს როგორც ჩვეულებრივი, “უტილიტარული” საგანი (ნ. აბაკელია, 2007, გვ. 15-18).

სემიოტიკური პერსპექტივიდან სამოსი, როგორც საგანი და სიმბოლო, რიტუალში ხსნის საგანთა გამჭრალ მნიშვნელობას, რომელმაც ერთ დროს შექმნა კულტურის ინფორმაციული სივრცე, დღეს — ტრადიციული სივრცე. სამოსის საგნობრივი სტატუსი ავლენს კულტურის საგნობრივ სამყაროს, ხოლო

²დაწვრილებით აღნიშნული რიტუალის მნიშვნელობაზე იხ. ნ. აბაკელია, 2017, გვ. 141-156.

სამყაროს სურათის უნივერსალიებში ჩამჯდარი სამოსის ფერთა სიმბოლური კლასიფიკაცია, ნიშანი/ნახაზი, ტრადიციული წესის შესრულება და სხვ. ქმნის იმ სემანტიკურ სტრუქტურასა და სივრცეს, რომლის მეშვეობით ხდება კულტურის სემიოიდენტიფიკაცია.

დამოწმებული ლიტერატურა

- ნ. აბაკელია, 2000** — ნ. აბაკელია, ნიშნისა და სიმბოლოს ურთერთმიმართებისთვის (დისკუსია), თბ., 2000.
- ნ. აბაკელია, 2007** — ნ. აბაკელია, ციკლური სიმბოლიზმი დაკრძალვისა და გლოვის წესებში დასავლურ ქართულ ტრადიციაში, ქუთ., 2007.
- ნ. აბაკელია, 2009** — ნ. აბაკელია, საკრალური ხე და მისი ალომორფული ვარიაციები, დაკრძალვისა და გლოვის წესები საქართველოში, თბ., 2009.
- ნ. აბაკელია, 2017** — ნ. აბაკელია, უძველესი კოსმოლოგიური კონცეპტები და არქაული რელიგიური სიმბოლოები ქართველთა კულტურულ მექსიერებაში, თბ., 2017.
- დ. არაყიშვილი, 1950** — დ. არაყიშვილი, სვანური ხალხური სიმღერები, თბ., 1950.
- ვ. ბარდაველიძე, 1951** — ვ. ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, 4, იან დეცემბერი, თბ., 1951.
- ვ. ბარდაველიძე, გ. ჩიტაია, 1939** — ვ. ბარდაველიძე, გ. ჩიტაია, ქართული ხალხური ორნამენტი, 1. ხევსურული, თბ., 1939.
- ც. ბეზარაშვილი, 1970** — ც. ბეზარაშვილი, სვანეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 1970.
- ც. ბეზარაშვილი, 1980** — ც. ბეზარაშვილი, სამეგრელოში ქალის ჩაცმულობა, თბ., 1980.
- დ. გიორგაძე, 1987** — დ. გიორგაძე, დაკრძალვისა და გლოვის წესები საქართველოში, თბ., 1987.
- დ. გიორგაძე, 2010** — დ. გიორგაძე, რიტუალური სამოსელის საკითხისათვის (“სულის ტალავარი”) თბ., 2010.
- გ. კვანტიძე, 2018** — გ. კვანტიძე, ქართული ჩაცმულობა (XVI-XVIII ს.), თბ., 2018.
- ე. კოშევნიკოვა, ა., 1927-1946** — ე. კოშევნიკოვა, არქივი, ეთნოგრაფიული ჩანაწერები, სვანეთი 1927-1946.
- ე. კოშევნიკოვა, ბ., 1927-1946** — ე. კოშევნიკოვა, არქივი, ეთნოგრაფიული ჩანაწერები, სვანეთი 1927-1946, Записано 19 июля от Георгия Навериани.
- ე. კოშევნიკოვა, გ., 1927-1946** — ე. კოშევნიკოვას არქივი, ფოტოალბომი №3, Похоронные и поминальные обряды, 1927-1946.
- გ. ლორთქიფანიძე, 1970** — Г. Лорткипанидзе, К истории древней Колхиды, Тб., 1970.
- თ. მამალაძე, 1893** — Т. Мамаладзе, Народные обычай и поверья гуриицев, Тиф., 1893.

- ბ. ნიუარაძე, 1962** — ბ. ნიუარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები (თავისუფალი სკანი), თბ., 1962.
- ქ. რუხაძე, 1976** — ქ. რუხაძე, ხალხური აგრიკულტურა დასავლეთ საქართველოში, თბ., 1976.
- თ. სახოკია, 1940** — თ. სახოკია, მიცვალებულის კულტი სამეგრელოში, თბ., 1940.
- ი. სურგულაძე, 2003** — ი. სურგულაძე, მითოსი, კულტი, რიტუალი საქართველოში, თბ., 2003.
- გ. ხიდაშელი, 2010** — გ. ხიდაშელი, საქართველოს ძელი კულტურის საკითხები, თბ., 2010.
- ქ. ხიზანიშვილი, 2003** — ქ. ხიზანიშვილი, ევდოკია კოჭევნიკოვა და მისი ეთნოგრაფიული ჩანაწერები, თბ., 2003.
- მ. შილაკაძე, 1987** — მ. შილაკაძე, გაღმოცემები სიმებიან საკრავთა წარმოშობის შესახებ, თბ., 1987.
- ბ. ყავრიშვილი, 1926** — ბ. ყავრიშვილი, სვანეთი, თბ., 1926.
- ივ. ჭავახიშვილი, 1962** — ივ. ჭავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1962.

ილუსტრაციების აღწერილობები

სურ.1. პროცესია—“სულის დაჭერა”.

სურ. 2 გარდაცვლილთათვის კელაპტრების დამზადება.

სურ. 3. მიცვალებულის დატირება.

სურ. 4. სვანი ქალის საქორწილო სამოსი.

სურ. 5. ნახაზი/ლიშანი/ნიშანი.

სურ. 6. ნახაზი/ლიშანი/ნიშანი.



სურ.1



სურ.2

Приготовление из бересклета
жарких факелов в день
прихода духа мерджана.



სურ.3



სურ.4



სურ.5



სურ.6

NINO ABAKELIA, GULNARA KVANTIDZE**THE IMPORTANCE OF RITUAL GARMENT IN THE RULES
OF SVAN MOURNING AND FUNERAL**

The present paper aims to analyze archival ethnographic data of Evdokia Kojhevnikova. The topic under scrutiny is ritual clothing in mortuary customs in the lifestyle of Svans (i.e. western Georgian mountaineers). Hence, one of the sources of the paper is E. Kojhevnikova's ethnographic data gathered in Svaneti, that had been introduced to the Simon Janashia museum of Georgia, to the historical and ethnologic collections in 1987 and had been archived. For additional sources the paper uses the ethnographic researches, that enable the authors to form an appropriate impression (image) about the regional ritual clothing and its functioning in the life of the mountaineers. Besides the descriptive, structural-functionalistic and comparative methods the paper uses the semiotic and retrospective analyzes of language and culture.

Clothing as one of the essential components of customary rites has different aspects of symbolic meaning, which conditions the existence of several levels in the semantic structure. Besides, every concrete level is actualized only within the frame of a concrete ritual context.

E.g. in Svaneti woman's clothing of everyday use, called *kesh* as well as Khevsurian woman's dress called *talavari* could be met in double (twofold) situations in everyday life and in the mourning rituals.

Warm, working leather-dress, called *kesh* (i.e. made of sheep hide) if it is turned inside out (with the fur outside) and is worn so, it becomes the sign of mourning; In the same way if the *talavari* is made of cotton wool dedicated for the nether world, represents a special clothing, which differs from the dress of the living. Clothes placed in such semiotic system as is a mourning ritual receives the function of a mourning sign i.e. it takes its place on the artificial man-made scale.

Thrown out of rituals and placed within the frame of everydayness, it functions as a habitual and "utilitarian" object.

Seen from the semiotic perspective, clothing as a ritual object and symbol explains the faded meaning, that once and initially created the informational space of the culture, now known as a traditional space. The status of an object reveals the cultural world of objects and as for the symbolic classification of colors set within the picture of the world, the signs such as *nishani/nakhazi/toja* (i.e. specially made mannequin or artificial man), performance of the traditional rites, etc. form such semantic structure that the semio-identification of culture becomes possible.

შაჲთაისის საჯარო ბიბლიოთეკის წელიწლეული
ANNUAL OF KUTAISI PUBLIC LIBRARY

IX

2017

მაკა ბარაბაძე

დოკუმენტი ბარბარ-ბაბარი სვანეთში

სვანეთის სულიერი ყოფის ამსახველ, მრავალსაუკუნოვანი წარსულის მქონე წეს-ჩვეულებებს და მათში შემორჩენილ სარწმუნოებრივი ხასიათის გადმონაშთებს ხალხის მეხსიერებასა და ყოფაში შემორჩენილი ტრადიციებით ვეცნობით.

უძველესი ქართული სარწმუნოებრივი ხასიათის გადმონაშთები უმთავრესად რელიგიური სინკრეტიზმის სახით გვევლინება. ეს გადმონაშთები ყველაზე მეტად ქრისტიანულ ელემენტებთან არის შერწყმული იმდენად, რამდენადაც ქრისტიანობა იყო ერთადერთი, ოფიციალური და ძლიერად ფეხმოკიდებული რელიგია ჩვენში დღიდან გავრცელებისა. უნდა ითქვას, რომ ქრისტიანობა ხალხურ სარწმუნოებას შედარებით ნაკლებად შექო, იგი უფრო ხალხური სარწმუნოების გარეგნულ, სადემონსტრაციო, ყველასათვის თვალსაჩინო მხარეში აისახა. მხედველობაში მიღებულ უნდა იქნეს ის გარემოება, რომ ქრისტიანობა ქართველების კულტურული განვითარების დროის მხოლოდ ერთ მონაკვეთში იყო მოცემული და რომ ქრისტიანულ ხანას წინ უსწრებდა განვითარების გრძელი პერიოდი, რომელიც იდეოლოგიის ხაზით უძველეს, მდიდარ სარწმუნოებებსა და კულტებს შეიცავდა. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ქართულ რელიგიურ სინკრეტიზმში ქრისტიანულ ელემენტებს წარმართული სჭარბობს, ქრისტიანული წმინდანების სახელით, უძრავლეს შემთხვევაში, უძველესი ხალხური ღვთაებები იგულისხმება, ქრისტიანული უქმე-დღესასწაულების სახელწოდებით და ამ უქმე-დღესასწაულებისთვის განკუთვნილ დღეებში არსებითად წარმართული წეს-ჩვეულებები სრულდება.

სვანეთში დამოწმებულია ღვთაება ბარბარ-ბაბარის არსებობა, რომლის ადგილი ქრისტიანმა წმინდანმა ბარბარემ დაიკავა.

ქრისტიანული ბარბარე ცნობილია როგორც აღმოსავლური წმინდანი. მართლმადიდებელ აღმოსავლეთში ძველთაგანვე დამყარებული ყოფილა რწმენა ბარბარეს შესახებ, როგორც სხვადასხავა სენისგან მეურნალ და ავაღმყოფობის მფარველ და დამცველ წმინდანზე. იმავე დროს წმინდა ბარბარეს სახელი ზეციურ ცეცხლთანაც ყოფილა დაკავშირებული. ამგვარ რწმენა-წარმოდგენებს ასახავს წმინდა ბარბარეს ცხოვრების სირიულ, ზოგიერთ ბერძნულ და სხვა უძველეს რედაქციებში მოყვანილი სასწაულმოქმედებანი. მათი მსგავსია წმინდა ბარბარეს ცხოვრების უძველესი ქართული რედაქციებიც, სადაც მისი სახელი ასევე ზეციურ ცეცხლთან არის დაკავშირებული.

არსებულა, აგრეთვე, ჩვეულება, რომლის მიხედვით მძიმე ავაღმყოფობის დროს წმინდა ბარბარეს მიმართავდნენ და დახმარებას სთხოვდნენ.

ქართული ბარბარე-ბარბალეს შესახებ წარმოდგენები, როგორც ციურ ცეცხლთან დაკავშირებულ და სხვადასხვა სნეულებისგან მეურნალ წმინდანსა თუ ღვთაებაზე, ქართველ ხალხშიც არსებობდა.

ხალხურ სარწმუნოებაში დაცული და წმინდა ბარბარეს ცხოვრებაში ასახული ბარბარეს კულტის ძირითადი ელემენტების ამგვარმა შეხვედრამ სპეციალურ ლიტერატურაში წარმოშვა შემდეგი საკითხი: ბარბარეს სახელზე ხალხში არსებული რწმენა ოფიციალური რელიგიიდან - ლიტერატურიდან არის გადასული, თუ იგი ხალხური წარმოშობისაა.

ზოგ ავტორს წმინდანის ცხოვრებისა და ხალხური სარწმუნოების პარალელური ელემენტები, ვარაუდად, ხალხურიდან მომდინარედ მიაჩნია. ამ მხრივ ქართული ხალხური სარწმუნოება უამრავ მასალას იძლევა.

ქართული ხალხური ბარბარეს ბუნებასა და ფუნქციებს ყველაზე თვალსაჩინოდ მის სახელზე განკუთვნილი დღეობები ასახავს. ბარბალე-ბარბარეს სვანურად ბალს ქვემოთ ბარბალ, ბალს ზემოთ და ქვემო სვანეთში ბარბალ ჰქვია. ხალხის ძირითად რწმენა-წარმოდგენებში ბარბარე უდავოდ ღვთაება იყო, მაგრამ რელიგიური სინკრეტიზმის ზეგავლენით მას ანგელოზსაც უწყოდებდნენ. ღვთაება ბარბარეს სახელობის დღეობათაგან ერთი მთავარი დღეობათაგანი ბარბარობა იყო. ამ დღეობას ბალს ქვემოთ ბარბოლ ერქვა, ბალს ზემოთ და ქვემო სვანეთში ბარბლაშ.

ღვთაება ბარბარ-ბაბარის საქმაოდ ბევრი ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული. იგი, პირველ ყოვლისა, მესაქონლეობის მფარველი ქალ-ღვთაებაა. თუ დავაკვირდებით ბალს ქვემოურ ბარბალობას, ვნახავთ, რომ იგი მთელი თავისი რიტუალით და მასში ასახული რწმენა-წარმოდგენებით მსხვილფეხა საქონლის მეურნეობასთან არის დაკავშირებული და მსხვილფეხა საქონლის კულტს შეიცავს.

დღეობა ბარბოლის რიტუალის შესრულება ხდებოდა სახლში, მხის მხარეს ან საქონლის სადგომის (ლეჭენდა) წინ ან ზოგჯერ კერის უკან, ე.წ. ლაშდართან (დარბაზიდან საქონლის საკვების ჩასაყრელ ადგილზე საზამთრო სადგომში (სგირ-ში). სადღეობო რიტუალს ასრულებდნენ: სახლის უფროსები აღმოსავლეთ კედლის მარჯვენა სარკმელთან. მგნი (საქონლის მკვებავი მამაკაცი) ხარების ბაგის წინ და მგშებალი (ძროხის მწველავი ქალი) ძროხების ბაგის წინ (ვ. ბარდაველიძე, 1941, გვ. 7).

დღეობა ბარბოლი (4 დეკემბერი) დიდი უქმე იყო. ხალხის შეხედულებით ამ დღიდან საში დღის განმავლობაში შეზ არ იძვროდა, ხოლო ამის შემდეგ, დღე თანადათან მატულობდა და ყველაზე გრძელი დღე „ქრისტეში“ (შობა) იყო, რაღაც ამ დღეს მზე ვერძის სამ ნახტომს აკეთებსო (ვ. ბარდაველიძე, 1939, გვ. 1). ამ დღეს დილით სახლის უფროსი ქალი, რომელსაც ბალს ქვემოთ დისხალი ეწოდებოდა, მოხარუავდა რძის ფაფას (ლგვეგმი გაგ-ს) წმინდა პურის ფეხილისგან, შინაური საქონლის მფარველი ღვთაების სახელზე შესწირავდა, თან შემდეგ ლოცვას წარმოთქვამდა: „საქონლის სალოცავო ღმერთო, ამის მწველელი გაგვიმრავლე, მაღლი გექნება“. გათავდებოდა თუა არა ლაშტური (ლოცვა და წირვის მიტანა ერთად), ოჯახის წევრები შეწირულ ფაფას შეექცეოდნენ.

სალომის უკვე დიასახლისი გამოაცხობდა ყველიან კვერებს - „ქუთებს“ და მათ შორის შედარებით დიდი ზომის ორ კვერს: ერთს, ძროხის მწველავი ქალისთვის (მგშებალ) და მეორეს, საქონლის მკვებავი მამაკაცისთვის (მგნი). ერთს მგშებალიაშ ლემზირ, მეორეს მგნი ლემზირს ეძახდნენ.

ვახშემის წინ თავ-თავისი ლემზირებით ხელში მგშებალ-ი ძროხების, ხოლო მგნი ხარების ბაგასთან მიღიოდა, პირს საქონლისკენ მიაბრუნებდა და ხმამაღლა

ლოცულობდა. მგშგალის ლოცვა: “ზარბოლ ბატონო, მაღლიანო, საწველი გაგვიმრავლე, მადლი გექნება”. მგნის ლოცვა: “ზარბოლ ბატონო, მაღლიანო, საკვები ბლომად მოვვეცი, ჩემგან მიცემული საკვები სასარგებლოდ უყავ, მაღლიანო ზარბოლ”.

ლოცვის გათავების შემდეგ ისინი იქვე შეექცეოდნენ შეწირულ ლემზირებს, არც ხმას იღებდნენ და არც კერისისკენ იყურებოდნენ. ამს შემდეგ წვრილ-წვრილი ლემზირებით ხელში და ოჯახის ყველა წევრის თანხლებით სახლის უფროსი შევიდოდა სგირ-ის აღმოსავლეთის კედლის მარჯვენა სარკმელთან და იქ ლოცულობდა ბარბოლის სახელზე - “დიდებამც მოგსვლოდეს, მაღლიმც მოგსვლოდეს ბარბალე ანგელოზ! ბარბალე ანგელოზო, დიდებამც მოგსვლოდეს, ჩვენი საქონელი გაამრავლე და ზეთი და ერბი ადულე ჩვენს სახლში”.

ამ დღეს შეწირული რძის ფაფა და ლემზირები ყველა უწონეში იყო, ე.ი. ოჯახის წევრების გარდა მათი დანახვა და შეჭმა არავის არ შეეძლო. სვანი ძალიან ერიდებოდა უწონაშის გატეხას. მისი რწმენით, უწონაშის გამტეხს საქონელი ამოუწყდებოდა (ვ. ბარბალელიძე, 1939, გვ. 2, 3).

როგორც ლოცვის წარმოთქმის ადგილიდან და შინაარსიდან ჩანს, ბარბოლი მსხვილფეხა საქონლის მფარველი ლვთაებაა, რომელსაც შეუძლია ძროხისა და ხარის გამრავლება, წველის ბარაქის მატება და საზოგადო მსხვილფეხა საქონლის მეურნეობასთან დაკავშირებული ყოველგვარი სკეთის მინიჭება. ამიტომ მიმართავდნენ მას შესაფერისი ლოცვა-ვედრებით და ცხიმიან შესაწირავებს უძღვნიდნენ.

ბალსზემოური და ქვემოსვანური ბარბალობის რიტუალში აღარ ჩანან საქონლის მწველელი ქალი მეშვალი და საქონლის მკვებავი მენი ანუ მენენი დღეობის მთავარ მოქმედ პირებად. არც საგანგებო კვერები ცხვებოდა პირებისთვის. მიუხედავად ამისა, მესაქონლეობასთან დაკავშირებით ბარბარეს კულტის გაღმონაშობი ამ კუთხის ლლეობებში მაინც მოაპოვება.

ბარბლაშის შესტიის ვარიანტით ამ დღეობაზე, სხვათა შორის, ე.წ. ლანნონალ ლემზირებს აცხობდნენ (ლანნონალ-ი ეწოდებოდა სვანური საცხოვრებელი სახლის მაჩუბ-ის იმ ადგილს, სადაც მენ-ი სახლის მეორე სართულიდან საქონელს საკვებს ჩამოუყრიდა ხოლმე) და საგანგებოდ მოწყობილ კერის წინ სწირავდნენ ბარბოლის სახელზე შესაფერისი ლოცვა-ვედრებით: “ო-ო, დიდება მოგსვლოდეს, მადლი მოგსვლოდეს, ბარბლაშ! ბარბალ ღმერთო, შენი ლოცვა გაგვამარჯვე, სიმრავლე მიეცი ჩემს საქონელს, მარცხი ააშორე, საეჭიმოდ არ გაგვიხადო, დიდება მოგსვლოდეს ბარბალ! სანამ დღევანდელი ლოცვა არ შეგიწყვიტოთ, მანამ ჩვენს საქონელს მარცხი არ მიაყენო, დიდება მოგსვლოდეს დღეს წმინდა ბარბალს” (ვ. ბარბალელიძე, 1939, გვ. 11-12).

ქრისტიანობის ზეგავლენით, ბალს ზემოთ და ქვემოთ სვანეთში დამყარებული იყო რწმენა იმის შესახებ, რომ ბარბალობას მარხვაა და ამ მარხვის გატეხა ცოდვად ითვლებოდა, ამიტომ ბარბლაშ დღეს სწირავდნენ სამარხვო ტაბლებს - ცერცვს, მარილს, კანაფის თუ ნიგვზის გულიანებს. მაგრამ ამის გვერდით არსებობდა ერთი მეტად საინტერესო ჩვეულება ბალს ზემოთ. ბარბლაშს საღამოს, ვახშმის გათავების შემდეგ, მამრობითი სქესის ბავშვები (ბიჭები) გარეთ გაცვივდებოლნენ და სარკმელიდან შინ შესძახებდნენ: “დედე ნავახშმევი პური გამოგვიცვეო. ამის შემდეგ

დიასახლისი ყველისგულიან კვერებს გამოაცხობდა, რომელსაც იმავე ღამეს დაინაწილებდნენ და შეჭამდნენ (ვ. ბარდაველიძე, 1941, გვ. 25).

ნადიარობურეს წეს-ჩვეულება წარმოადგენს უძველესი ხანიდან მომდინარე იმ რიტუალის გადმონაშთს, რომელიც მდგომარეობდა ლვთაება ბარბარის სახელზე აუცილებლად ცხიმიანი (ყველისგულიანი) შესაწირავების მიძღვნაში. ე.ი. ქრისტიანობაში ბარბარობას თავისი დალი დაასვა, დღეობის ძველ წეს-ჩვეულებებში გარკვეული ცვლილებები შეიტანა, მაგრამ წარმართული ტრადიცია - ბარბარეს სახელზე ცხიმიანი შესაწირავებით ზიარებისა, ვერ აღმოფხვრა.

ფართოდ იყო გავრცელებული, აგრეთვე, ბარბარობას მეკვლეობის წეს-ჩვეულება, როგორც წარმართული გადმონაშთი, რომელიც, ქრისტიანობის გავლენის მიუხედავად, მაინც განაგრძობს არსებობას დღემდე და არა მარტო სვანეთში.

“ბარბლაშ დილით ლოცვა-ვედრების და შესაწირავების მიტანის შემდეგ, მორწმუნე სვანი თავისითან მიიწვევდა ერთგულ მეზობელს, რომლის მეკვლეობა წინა წლებში კარგად ჰქონდა და ცდილი. სახლში შესვლისთანავე მეკვლე საქონლის ბაგას მიუახლოვდებოდა, ბაგაში მოთავსებულ თივას აიღებდა, საქონელს ხელით შეაჭმევდა და თან ხმამალლა წარმოთქვამდა: დღევანდელი დღის ძალმა ეს საქონელი და ამ სახლის ხალხი გამრავლოსო. შემდეგ ოჯახის წევრებს მიუბრუნდებოდა და ეტყოდა, მრავალი კარგი ბარბარობა გაგითენდეს კარგ გულზეო. მეკვლეს კარგად გაუმასპინძლდებოდნენ და ისე გაისტუმრებდნენ” (ვ. ბარდაველიძე, 1939, გვ. 16).

თუ ვინმეს წლის განმავლობაში რამე ზარალი მოუვიდოდა, საქონელი დაუზიანდებოდა, მიწის მოსავალი ნაკლები ექნებოდა, ვინმე აგად გაუხდებოდა, მარცხს და ფათერაკს გადაეყრებოდა, ყველაფერი ეს მეკვლეს მიეწერებოდა, ცუდი ფეხი ჰქონდათ და მომავალ წელს მას ოჯახში მეკვლედ აღარ მიიწვევდნენ.

აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ დღეობა ბარბარობა გადამწყვეტი მნიშვნელობისა იყო მთელი წლის ავკარგიანობისთვის. ამაზე მიუთითებს სწორედ ბედობისა და მეკვლეობის არსებობაც.

ბარბარობის გარდა, ბალს ქვემოთ, ბარბარობის რიტუალის მსგავსად, ბარბარეს, როგორც მსხვილფეხა საქონლის მფარველი ლვთაების, სახელზე სრულდებოდა სხვა დღეობებიც: ლიკფუარ, დაღუარე ცაშ, ფურრე უიჭმ.

ყველიერის წინა პარასკევის ბალს ქვემოთ ლიკფუარ ეწოდებოდა. ამ დღეს უქმბდნენ და ასრულებდნენ გარკვეული სახის რიტუალს, რომელიც მეწველი საქონლის, საგანგებოდ ძრობის და თხის გაშრობის საწინააღმდეგოდ იყო განკუთვნილი; გარდა ამისა, ამ წეს-ჩვეულების დანიშნულებას, აგრეთვე, შეადგენდა შინაური საქონლის ყოველგვარი მარცხისგან დაცვაც. ამ დღეს აცხობდნენ ცხიმიან კვერებს და სწირავდნენ ბარბოლს საქონლის გამრავლებისთვის ლოცვა-ვედრებით (ვ. ბარდაველიძე, 1941, გვ. 11).

ყველიერის ხუთშაბათს დაღუარე ცაშ ეწოდებოდა (დედლების ხუთშაბათი), რომელშიც მხოლოდ ქალები მონაწილეობდნენ. ისინი ფეტვის ან ფქვილის ფაფს მოხარუშავდნენ და ბარბოლს წველის ბარაქას, მეწველი საქონლის გამრავლებას, ქალების ჭანმრთელობასა და მათ ყოველ საქმეში გამარჯვებას ევედრებოდნენ (ვ. ბარდაველიძე, 1941, გვ. 13).

ფურრე უიჭმ ნიშნავს ფურების მარხვას, რომელიც განკუთვნილი იყო ძროხების სახელზე და წველის გადიდებისთვის (ვ. ბარდაველიძე, 1941, გვ. 19).

ასეთი უქმე დღეობები, რომლებიც ღვთაება ბარბალეს სახელზე სრულდებოდა, ბარბალეს გამოავლენს როგორც საგანგებოდ ძროხების, მათი წველის ბარაქიანობისა და ქალების მფარველ ღვთაებას.

ბარბალობის გარდა, ბალზემოურ და ქვემო სვანეთში არსებობდა სხვა დღეობები, რომლებიც ბარბარეს სხვაგვარ ფუნქციებს გამოავლენს. ასეთი დღეობებია: ლიმდუარი, მეისარბი მიშლადელ, ლიქურაში და ლიჭონჭი.

ლიმდუარი და მეისარბი მიშლადელ სასოფლო დღეობებია. მათი რიტუალი სოფლის მცხოვრებთა საერთო ხარჯზე სრულდებოდა. ყველას სახელით ხდებოდა სოფლის მიერ შეძენილი ძრობისა და არაყის, აგრეთვე, ყველისგულიანი ბარბლა დიარების, შეწირვა და ლოცვა-ვედრებაც სოფლის მოსავლის სიუხვისთვის იყო განკუთვნილი. ძრობას ან საფურა ხბოს ბარბარეს სახელზე შეწირვისთანავე სახელად ბარბულას არქმევდნენ (ვ. ბარდაველიძე, 1941, გვ. 28-29).

ლიქურაში სალასკარო დღეობა იყო. დღეობისთვის ხარჯის გაწევა და დღეობის გადახდა ხდებოდა არა ცალკეული ოჯახების შიგნით და არც კოლექტიურად სოფლის ფარგლებში, არამედ ერთი ან რამდენიმე გვარის ოჯახი ცალ-ცალკე გადუფებს (ლასკარებს) ქმნიდნენ, თითოეული გაფუფის შიგნით ერთ წელს ერთ ოჯახში, მეორე წელს მეორე ოჯახში და ასე შემდეგ მორიგეობით იკრიბებოდნენ და დღეობას მორიგეს ხარჯზე იხდიდნენ. ბარბარს კი ლასკარის მშვიდობას და კეთილდღეობას შესთხოვდნენ. ამ დღეობაზე ასრულებდნენ საგალობელ ბარბალ-დოლაშს (ვ. ბარდაველიძე, 1941, გვ. 30).

ბესარიონ ნიუარაძე თავის ნაშრომში “ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები” აღნიშნავს, რომ “ლიქურაში”-ი განსკუთრებული დღესასწაულია წმინდა ბარბალეს სადიდებლად (ზ. ნიუარაძე, 1964, გვ. 60).

ლიჭონჭი დღეობაზე კი ბარბარეს სწირავდნენ ლიჭონჭი ლემზირებს და ვაჟიშვილების გამრავლებას შესთხოვდნენ (ვ. ბარდაველიძე, 1941, გვ. 32).

განხილული დღეობებიდან ჩანს, რომ ბარბალე ნაყოფიერება-მოსავლიანობის მფარველ ღვთაებადაც ისახება და ვაჟიშვილების გამრავლების ფუნქციაც ეკისრება.

დღეობა ბარბარობა და, აქედან გამომდინარე, თავად ღვთაება ბარბარის არსებობა დადასტურებულია საქართველოს ყველა კუთხეში. მთიელი ხალხისთვის ის არის მესაქონლეობის, განსაკუთრებით მდედრობითი სქესის არსებათა ნაყოფიერებისა და გამრავლების ღვთაება, აგრეთვე, ნაწილობრივ მიწათმოქმედებისიც. ხოლო ბარელების რშმენაში ბარბალე უმთავრესად შინაურ ფრინველთა გამამრავლებელი უზენაასი არსება. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ დღეობისთვის ყველგან დამახასიათებლი იყო მეკვლეობის ტრადიცია.

ღვთაება ბარბარი უფრო ძველია და ქრისტიანული წმინდა ბარბარესგან არ არის წარმომდგარი. ამას ადასტურებს დეკემბრის სვანური ხალხური სახელწოდება - ბარბლაშ. საფიქრებელია, რომ ბარბლაშ თვის ძველთაძეელი სახელია, რამდენადაც იგი უძველესი დღეობიდან არის მიღებული. დღეობას, როგორც ითქვა, ეწოდება ბარბლაშ და ამ სიტყვას იმეორებს დეკემბრის სვანური სახელწოდებაც (ვ. ბარდაველიძე, 1941 გვ. 94).

ბარბარ-ბაბარი ითვლება მზის ღვთაებად. მიჩნეულია, აგრეთვე, თვალის გადამდები დაავადებებისგან ხალხის დამცველ ღვთაებად.

ამრიგად, ბარბალე უძველესი ქართული ღვთაებაა, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ქრისტიანულ წმინდა ბარბარესთან. ქრისტიანულმა ბარბარობამ თავისი თარიღის დამთხვევით მართლმადიდებელ საქართველოში უძველესი წარმართული დღეობა ოფიციალურად დააკანონა და იგი საბოლოო განადგურებას გადაარჩინა.

დამოწმებული ლიტერატურა

- 3. ბარბაველიძე, 1941** - ვ. ბარბაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბარ-ბაბარი), თბ., 1941.
- 3. ბარბაველიძე, 1939** - ვ. ბარბაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, I, თბ., 1939.
- ბ. ნიუარაძე, 1964** - ბ. ნიუარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, თბ., 1964.

MAKA BARABADZE

THE DEITY BARBAR-BABARI IN SVANETI

The subject matter of the paper is pagan religious relics in Svaneti, in particular worshiping the deity *Barbar-babari*. Co-habitation of Christianity and paganism used to exist during centuries. People of *Svaneti* worshiped both the Christian saints and pagan deities, it is visible in pagan habits still prevailing in Christian celebrations.

Old traditions are retained in Svaneti, rituals mixed with Christian celebrations, folk sayings are still kept by people, together with archaeological materials they hold great scientific values in terms of exploring the past spiritual practice of our people.

თამარ გოგოლაძე

სვანეთი სიმონ ჩიქოვანის პოეზიაში

პოეტ სიმონ ჩიქოვანის პოეზია გამორჩეული ნაწილია მე-20 საუკუნის ქართული ლირიკისა. ღრმითი კატაკლიზმებისა თუ მიმართულება-სკოლების ცვლის მიუხედავად, მეცნიერი თუ მკითხველი მას იმავე ესთეტიზმითა და აზრის სიწრფელით აღიქვამს, როგორც ადრე, შემოქმედის სიცოცხლეშივე. ლუი არაგონის სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ “საქმე ეხება მწერლების კლასიფიკაციას იმის მიხედვით, “... რომელ ჯგუფს ეკუთვნიან ისინი, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს კლასიფიკაცია თვითონებურია და პირობითი”, მაშინ, თუ “... ამ მიმდინარეობებს იქით ვერ დავინახავთ იმას, რასაც ისინი ასახავენ, რადგან მწერლების ისტორია — ეს არ არის მხოლოდ ლიტერატურის ისტორიის ერთი თავი...” (ს. ჩიქოვანი, 1975, გვ. 9), მით უმეტეს, რომ 21-ე საუკუნის 10-იანი წლების გადასახელიდან ვუყურებთ და თავისუფალი აზრი ბარიერს არ ეჭახება. დიახაც, თავისი ეპოქის შვილი იყო სიმონ ჩიქოვანი, ფუტურისტიც, სოცრეალიზმის წენებში მოქცეული, მაგრამ საოცრად პოპულარული სწორედ თავისი უმშვენიერების ლირიკით, სადაც შინაარსი და ფორმა არ ეჭახება ერთმანეთს. თუ 1932 წლის საკავშირო ცეკვას დადგენილების (“სალიტერატურო-სამხატვრო ორგანიზაციების გარდა ქმნის შესახებ”) ყველა განსხვავებული იდეურესთეტიკურ პოზიციებზე მყოფი ხელოვანი, ფორმალიზმისა და ნატურალიზმის წინააღმდეგ გაჩაღებული ბრძოლის, ხორციელად კი გადასახლებისა და დახვრეტისათვის განწირული, ასახავს რეალობას, არ უნდა გაგვიკვირდეს ლირიკის გადასარჩენად გააზრებული თუ ქვეშეცნეული პროცესის მონაწილის დაინტერესება კომკავშირით, წარსულის უარყოფით, უკეთესი მომავლისთვის თავგანწირული შრომის შექმნით, უწივნურობის აღმოფხვრითა და ცხოვრების “კომუნისტური თვალთახედვით” გაუჩინობესებით.

ასე წარმოუდგება 21-ე საუკუნის მკითხველს, თუ მკვლევარს ულამაზესი ლექსების ციკლი მთაზე, რომელიც 20-30-იანი წლების მიჯნაზე სვანეთში და ვაჟას ნაკავლევზე მოგზაურობის შთაბეჭდილებების ქვეშ შეიქმნა.

მით უმეტეს, რომ მისი დაბადების დღეს ცას ერთი ვარსკვლავი მოსწყდა და გალურსულ მთებში ჩაიგარგა: “სიყრმის უამს ძლიერ მაკვირვებდა, თუ რისთვის გადაინაცვლა იმ ვარსკვლავმა შორეულ ციდან მახლობელ მთაში... მას შემდეგ დავეძებ იმ მოწყვეტილ ვარსკვლააგ” (ს. ჩიქოვანი, 1975, გვ. 5). ვარსკვლავს დაეძებს პოეტი სვანეთის მთებში ციკლით “მთაო, გადმიშვი”, საიდანაც სვანეთთან დაკავშირებული რამდენიმე ლექსი შევარჩიეთ მწერლის სულიერი სამყაროს პოეტური წარმოსახვის ჩეტრისტებისათვის: “გადასულა გორგაშვე (1929-1939 წ.), “უშგული” (1929 წ.), “სვანეთში გაგზავნილი ბარათი კომკავშირელ ქალისაღმი” (1936 წ.), “სვანური იავნანა” (1929 წ.), “ბარათი მთიდან” (1929 წ.), “სვანეთის გზაზე” (1951 წ.), “ლრუბლებს ჩავუთქვი” (1947 წ.).

შერჩევა შემთხვევითი არაა. სწორედ აქ მოჩანს ის ძირითადი პროცესები მწერლურ ლაბორატორიაში, მისი ე.წ. იდეურ სახეცვლილებასა თუ

თავისთავადობის შენარჩუნებისა, რასაც სვანეთში ყოფნამ, იქაურმა შთაბეჭდილებებმა შეუწყო ხელი.

როგორც 70-იანი წლების ლიტერატურათმცოდნე გიორგი მარგველაშვილი პოეტის შემოქმედების ოთხტომეულის წინასიტყვაობაში (“სიმონ ჩიქოვანი”) შენიშვნას, “ცხოვრების იმ ქარიშხლიანმა ღინებამ, რომელმაც ჩვენს ქვეყანაში ოცდაათიანი წლების დამდგეს იჩინა თავი, მისცა მყარი ნიადაგი და მტკიცე საფუძველი პოეტის შემოქმედების ახალ გაქანებას, “შის ფერიცვალებას” (ს. ჩიქოვანი, 1975, გვ. 22).

რაში გამოიხატებოდა, მკვლევარის აზრით, ეს ცვლილება? “თუ ოციან წლებში სიმონ ჩიქოვანის ლირიკის საუკეთესო ნიმუშებსაც კი დაჲკრავდა ერთგვარი ელფერი განყენებული პოეტური აზროვნებისა, პოეტის შემდგომმა ძიებებმა მიაკვლიეს იგი სწორედ სახეების მზარდ კონკრეტობასთან, აღწერისა და თხრობის ხაზგასმით ეპიკურ ხასიათთან, ხშირად ლექსის შეგნებულ პროზაიზაციასთან (ს. ჩიქოვანი, 1975, გვ. 20). იყო, არის თუ არა, დამახასიათებელი სიმონ ჩიქოვანისათვის?

რა იყო?

“ფუტურისტები თავიანთი ყურადღების კონცენტრირებას მოძრაობასა და სისწრაფეზე ახდენდნენ. ისინი უარყოფნენ საყოველთაოდ მიღებულ ნორმებს, ფარსულის მემკვიდრეობას და გამოცდილებას ... მათ მიაჩნდათ, რომ ძველი სამყარო ძალითა და ბუნტით უხდა დაენგრიათ და აეშენებინათ ახალი, რომელშიც ადამიანი ძველი პირობითობებისაგან თავისუფალი იქნებოდა”. (ზაზი ჩვენია — თ. გ.) (ნ. გაფრინდაშვილი, მ. მირესაშვილი, 2008, გვ. 251).

“სიბნელემ ჩანთქა მთელი გორგაში
ისე, რომ თვალთან თითს ვერ მიიტან

მაგრამ წითლდება სხივით ლატუარი
ლრუბლებში სხივი აშენებს შუქას”

(“გადასვლა გორგაშზე”).

დღეს ცვლის ღამე და ღამეს დილა, როცა მეგზური სვანი მიუძღვება პოეტს გორგაშზე.

“შემოვიდა ვაჟი მშვიდი,
მიუხურა კარი ქარებს.

ორთქლი იდგა სვანურ სუფრის
ვერ დაგვძლია უკუნეთმა”

(“სვანეთში გაგზავნილი ბარათი კომკავშირელ
ქალისადმი”).

ღროის მონაკვეთები სწრაფად ენაცვლება ერთმანეთს...

სურვილი სიახლისა, ფუტურისტი სიმონ ჩიქოვანისათვის გაურკვეველის, ახალი, რეალისტი პოეტისათვის კომუნისტური მომავლისათვის ბრძოლის:

“სვანს უნდა ნისლით სული დანამოს,
მთას მოაშუროს წარსულის ფითრი”

(“გადასვლა გორგაშზე”).

“კომკავშირელო პირბე და რაჟდენ,

უშგულს შრომა და სინათლე იხსნის”
 (“უშგული”).

“სვანეთი ბარის ცხოვრებას ერთვის”
 (“უშგული”).

“ჩავა ენგურუში შხარას დიდება”
 (“უშგული”)

“ზენ სამშობლომ მოგვცა ღონე,
 გაიშალა სეანის მხრებიც”

(“სვანეთში გაგზავნილი ბარათი
 კომპავშირელ ქალისადმი”).

კოშკი, როგორც წარსულის ნაშთი, უარყოფილია, სახლი ძველია, ხისა და არ ვარგა. პოეტის შეყვარებული ქალი კარგი მშრომელია, მონაცირეც, თუმცა უწიგნური, მაგრამ ეს არაა მთავარი, ის კომპავშირელია, მომავლის მშენებელი.... აქაა მხოლოდ ახალი ტალღის შემოქროლვა. ამას XX საუკუნის 70-იანი წლების მკვლევარი ახსნის, როგორც პოეტის სიცოცხლის ალღოს გამახვილებით, მწიფობით “და აქ პირდაპირ უნდა ითქვას; გადამწყვეტი როლი ამ მწიფობაში საქართველოს სოციალისტურმა გარდაქმნამ და ალორძინებამ ითამაშა” (ს. ჩიქვანი, 1975, გვ. 6). “ამ დროს ძნელი იყო მიგვესადაგებინა სოცრეალიზმის ჩარჩო ხელოვნების ისეთი დარგებისათვის, როგორებიცაა: არქიტექტურა, გამოყენებითი და დეკორატული ხელოვნება, მუსიკა. ასევე გაუგებარია, როგორ უნდა იხელმძღვანელო სოციალისტური რეალიზმის პრინციპებით ისეთი ჟანრების შემთხვევაში, როგორებიცაა პეიზაჟი და ნატურმორტი” (ნ. გაფრინდაშვილი. მ. მირესაშვილი, 2008, გვ. 233) — წერენ 21-ე საუკუნის მკვლევარნი, თუმცა სიმონ ჩიქვანთან პეიზაჟი და იქნებ ნატიურმორტიც საოცარ კომპაქტურ, მეტაფორულ ფორმაშია გადმოცემული და აქ არ აქვს აღგილი ხელოვნურობას.

გორვაშზე ასვლა პოეტისათვის ახალ, მისთვის უცნობ, ვარსკვლავის საძიებელ მეტაფორულ ფორმაში ისეა წარმოდგენილი, რომ გრძნობ სვანეთის მთების განუმეორებლობასა და სეანი მეტზურის საოცარ სიმამაცეს, ბუნებრივად რომ ეჭიდება ბილიკს და თანამდევ მგზავრსაც ასე მოუწოდებს:

“გზა არ დაკარგო, იცქირე ჩემსკენ”,
 მეძახის თელხვში ჩაფლული სეანი,
 ჯანი ჰერი მთაზე ამოსულ ქვესკნელს,
 და სადღაც დაბლა შრიალებს ფშანი”
(“გადასვლა გორვაშზე”).

პეიზაჟი ტექსტში ისეთი ცხადია, თვით სეან მკითხველსაც კი მოიყვანს აღტაცებაში:

“ბუნება იხდის ღრუბელს თუ თათმანს”;
 “ღამე ჩამჭდარა უშგულის გულში”;
 “თითქოს წინ შხარა ყინვის ცერძია”;
 “კლდით აფრინდება დიდი არწივი,
 დაარწევს ფრთებს და გასცურავს ლაშვარდს.
 მთების კრებული გალობას იტყვის,
 ჩაჰყვება ინგურს შხარას დიდება,
 ფერდში დაჭრილი ახტება ჭინვი,
 და კლდეზე რქებით დაეკიდება”.

ხელოვნურია თუ ბუნებრივი ცალმხრივი, სულიერი სიყვარული მშვენიერი სვანი ქალიშვილისადმი, რომელიც ერთგვარ ერთიან პოეტურ ხაზს ქმნის სვანეთისადმი მიძღვნილი ლექსების მთელ ციკლში? პირბე, რომელსაც პოეტი ხანაც ივლითად მოახსენიებს, სვანი რაუდენის მეუღლეა. მან იცის ადათი, მაგრამ სიახლის შუქით ბრწყინავს ოჯახშიც და შრომაშიც, კევრში... პოეტი არ ქმნის პორტრეტს, მაგრამ ლირიკული გმირის სატრფო ისეთი სახოვანია, შედარებებით იგება თითოეული სტრიქონი:

“შენც ფეხშიშველი დადიხარ, ივდით,
მხარზე გყიდია სავსე ოხარო,
ირემი ხარ თუ უშველის შველი,
ფართო თვალს კერას შუქივით ახლი.
წაბლისფერი ხარ და ფეხშიშველი”;

“სათნოების დას გამსგავსე,
მთის ფრინველი საოცარი;
როგორც შაირს, კითხულობდი,
ავდრის შეთხზულს მაღალ მთაზე.
გზას ჰყარგავდი, მიგვიძლვოდი,
და ნისლს სჭრიდა სილამაზე”

(“სვანეთში გაგზავნილი ბარათი...”).

და აი აქ მოულოდნელად ქალღვთავბა დალისთან შედარების მცდელობასაც რომ არ დაუშვებს პოეტი, აღტაცებული აცხადებს:

“აქ არა სჩანს დალის თვალი,
აქ არ ელავს მისი სახე,
მაგრამ ელავს სვანის ქალი,
კომკავშირის სიამაყე”.

შემდგომ უცებ ხასანის ტბის ტრაგედიაც (“ზტრის გასრესა გასახარი და ხმლის ელვა მირანგულას”).

ეს გრძნობა, შორით გრძნობა, რომელშიც მოჩანს ქმრის ეჭვიც, თუმცა უსაფუძვლო, რადგანაც არაა გაცხადებული ტრფიალი ლირიკული გმირის მიერ. მხოლოდ ქმარს მიუძღვის ქალის სინაზე, მაცდური ლიმილი კი ნისლში იმაღება. და შენატრის ბეჭე ქმრისას, რადგანაც ყივჩაღი არ გამოსჩენია, ცოლის წამრთმეველი. და აი თითქმის 18 წლის შემდეგ კვლავ იხსენებს პოეტი “მაშინ მიგბრუნდი და ჩამრჩა ხსოვნაში ცეცხლივით ცელქი შენი სიცილი”.

აქ უკვე ამხელს ლირიკული გმირი თავის განცდას თითქოს და შესთხოვს სვანის ქალს: “თუ გენატრები, ლრუბლებს ჩაუთქვი და მე მეტყვიან ბარში წვიმები” (“ლრუბლებს ჩაუთქვი”).

ს. ჩიქოვანი უცნაური სითბოთი, დელის განცდაში გარდასახული, თავის “იაგნანას” ჰქმნის. აქ დედა ზოგადი სახეა პაწიწინა მარესი, ხოლო ლექსში, რომელსაც “იაგნანას” წარმართული ტექსტის ხაზები გასდევს, ოცნებაა უკეთეს მომავალზე: იყოს ოჯახის მომხმარე, კომკავშირელი, ესმოდეს სოფლის ჭირვარამი, იყოს კარგი მონადირე და მთესველი, გაარკვიოს, ჩასწვდეს, რა სჭირდება მომავალს სვანის და რა უნდა გააკეთოს ამისათვის სამომავლოდ:

“დიდი მთები დარდად გვაწევს,
ზედ ორბები მიფრენენ.
თუ არ ინადირებ,

წიგნში ნახე ნახატი.
იქ გაარკვევ, შვილო,
რაც გვაკლია ჩვენ,
გაიგონე ნაპრალის ჩახლეჩილი ღალადი,
მალე სმენას, მარე, ქარიშხალსაც მიაჩვევ”
(“უვანური იავნანა”).

ტექსტში ავტორი ურთავს სვანურ ლექსიკურ ერთეულებს: დედე, ღიაღელი, დიფრაბელ, იდამ მედელხი, რომლებიც ორგანულად ერწყმის ტექსტში სალიტერატურო ენას. სხვა ლექსებში ავტორი მხოლოდ მთებს ასახელებს, სვანეთის მთებს: გორვაში, ლატფარი, უშგული, ლაორბი, ტვიბერი... აქ არ გრძნობს მკითხველი გაუცხოებას, ლექსი ლალიბს ამ ლექსიკით.

არის კი “შეკვეთილი ლექსი” სვანეთისადმი მიძლვნილ ციკლში? აქ ჩვეული რეალობაა, 30-იანი წლების სვანეთის რეალობა, რომელსაც უხამებს ეპოქის მოთხოვნებს თავისი აუცილებელი ლექსიკით, რომელშიც უნდა ფიგურირებდეს კომკავშირელი ცოლ-ქმარი: პირბე და რაჟდენი.

ლირიზმი სვანეთის ციკლში თითქოს მაქსიმალურია და, ამავდროულად, ძლიერი, გორვაშის მთასავით მაღალი, ზვიადი, რაც განუმეორებელს ხდის “ვარსკვლავის მაძიებელ” პოეტს.

დამოწმებული ლიტერატურა

ს. ჩიქოვანი, 1975 — ს. ჩიქოვანი, თხზულებანი ოთხ ტომად, ტ. I, თბ., 1975.

ნ. გაფრინდაშვილი, მ. მირესაშვილი, 2008 — ნ. გაფრინდაშვილი, მ. მირესაშვილი, ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლები, თბ., 2008.

TAMAR GOGOLADZE

SVANETI IN THE POETRY OF SIMON CHIKOVANI

In the poetics of Simon Chikovani the main position is given to the cycle of poems “Mountain, let me go”, which also contains the verses dedicated to Svaneti. The big part of the poems are created in 1929 when the poet travelled in Svaneti with the help of Svanetian guide Rajden by name, there he met his future wife - Pirbe, to whom he felt the mysterious feeling and dedicated the selection of poems.

S. Chikovani admires the mountains of Svaneti, their arrogance and beauty; the world of Svanetian guide - expert of steep slopes.

The poems dedicated to Svaneti are characterized with lyricism and enthusiasm towards Svaneti, in this part we don't encounter the author's support towards the political movement of socialists of the 30s of the XX century.

ძალაცის საქართველოს გილიონთეპის წელიწლები
ANNUAL OF KUTAISI PUBLIC LIBRARY

IX

2017

ქეთევან გურჩიანი

**მეოთხე თარმეობითის წარმოებისათვის სვანერში
ეცერები კილომეტრის მიხედვით**

სვანერ კილოებში, სხვა ქართველური ქვესისტემების (მეგრ., ლაზ., იმერ., ლეჩ., რაჭ., გურ.) მსგავსად, გამოიყოფა დრო-კილოთა IV ჯგუფი (სერია), რომელშიც შედის IV თურმეობითი.

ზოგადად IV სერიის ფორმები ადრეული გრამატიკული ლიტერატურის მიხედვით I სერიაშია გაერთიანებული (გ. თოფურია, 1967, გვ. 130-136). შდრ.: დრო-კილოთა III ჯგუფის ფორმათა პარალელურ წარმოებად არის მიჩნეული მეგრულში (ი. ყიფშიძე, 1914, გვ. 089; არნ. ჩიქობავა 1936, გვ. 146).

IV სერიის ზმნურ ფორმათა ცალკე სერიად გამოყოფა გ. როგავას სახელს უკავშირდება. მკვლევარმა აღნიშნულ ფორმებს აწმუნს თურმეობითის მწყრივები უწოდა, განსხვავებით აორისტის თურმეობითის (III სერიის) მწყრივებისაგან. დრო-კილოთა სხვა ჯგუფის ფორმებისაგან მათ განასხვავებს ყალიბი, ფუნქცია, კონსტრუქცია (გ. როგავა, 1953, გვ. 18).

სვანერ კილოებში IV სერია წარმოდგენილია ორი მწყრივით: III თურმეობითი, IV თურმეობითი (გ. როგავა, 1953; ზ. ჭუმბურიძე, 1986; ა. ანიანი, 1998; შდრ., ვ. თოფურია, 1967, გვ. 130-136; ქ. მარგიანი-სუბარი, 2012).

საანალიზო ფორმები საერთოქართველური მოვლენა ჩანს და არა რომელიმე დიალექტის ან დიალექტთა ჯგუფის კუთვნილება.

წარმოდგენილ სტატიაში განვიხილავთ IV თურმეობითის წარმოების თავისებურებებს ბალსქვემოური კილოს ეცერული კილოკავის მიხედვით.

ზოგადად, სვანერ კილოთა IV თურმეობითის (თურმეობითი II - ვ. თოფურია, ქ. მარგიანი-სუბარი) ყალიბია: **ლგ- + მა- + აწმუნს ფუნქცია + უნ-ე, ან: ლგ- + მა- + (აწმუნს ფუნქცია) ე + მეშველი ზმნა.** სალიტერატურო ქართულში ზუსტი შესატყვისი ზმნური ფორმა არ არის. შეესაბამება შემდეგ კონსტრუქციას: ნა- პრეფიქსიანი მიმღება + მეშველი ზმნა: ლგმბგემ ხური “ნაშენებვარ“.

უღლების ნიმუშები ცალკეული კილოების/კილოკავების მიხედვით: ბ%. ეცერ. ბეჩ. ლშ. ლტ. ლგმგბმნე ხური ლგმგემნელ ხური ლგმგემ ხური ლგმგბმუნ ხი ლგმგბმინ ხი ლგმგემნელ ხი ლგმგემ ხი ლგმგბმუნ ლი ლგმგემინ ლი ლგმგემნელი ლგმგემ ლი (გ. თოფურია, 1967, გვ. 131).

ჩანს, IV თურმეობითის წარმოების მხრივ სვანერი კილოები და კილოკავები სხვაობას წარმოაჩენენ როგორც ფონეტიკის დონეზე, ისე მაწარმოებელი აფიქსების მხრივაც. საინტერესო ვითარებას გვიჩვენებს ბალსქვემოური კილოს ეცერული კილოკავი. გარდამავალი და გარდაუვალი ზმნების უღლება მეტ-ნაკლებად განსხვავებულია.

გარდამავალ ზენათა წარმოება.	ნიმუშად წარმოვადგენთ ლემბაშენე(ლ)-ხუი ვნაბამვარ / ვაბამლი თურმე, ზმის პარადიგმას, რომელიც სხვადასხვა ვარიანტის სახით იხმარება.
მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
I3. ლგმ-ბშ/ემ-ნე(ლ)-ხუი	i ლგმ-ბშ/ემ-ნე(ლ)-ხუიდ e ლგმ-ბშ/ემ-ნე(ლ)-ლიდ
II3. ლგმ-ბშ/ემ-ნე(ლ)-ხი	ლგმ-ბშ/ემ-ნე(ლ)-ხიდ
III3. ლგმ-ბშ/ემ-ნე(ლ)-ლი	ლგმ-ბშ/ემ-ნე(ლ)-ლიხ
I3. ლგმ-ბშ/ემ-ელ-ნე(ლ)-ხუი	i ლგმ-ბშ/ემ-ელ-ნე(ლ)-ხუიდ e ლგმ-ბშ/ემ-ელ-ნე(ლ)-ლიდ
II3. ლგმ-ბშ/ემ-ელ-ნე(ლ)-ხი	ლგმ-ბშ/ემ-ელ-ნე(ლ)-ხიდ
III3. ლგმ-ბშ/ემ-ელ-ნე(ლ)-ლი	ლგმ-ბშ/ემ-ელ-ნე(ლ)-ლიხ
I3. ლგმ-ბშ/ემ-ინ-ხუი	i ლგმ-ბშ/ემ-ინ-ხუიდ e ლგმ-ბშ/ემ-ინ-ლიდ
II3. ლგმ-ბშ/ემ-ინ-ხი	ლგმ-ბშ/ემ-ინ-ხიდ
III3. ლგმ-ბშ/ემ-ინ-(ლი)	ლგმ-ბშ/ემ-ინ-(ლი)ხ
I3. ლგმ-ბშ/ემ-ი/უ/გნ-ხუი	i ლგმ-ბშ/ემ-ი/უ/გნ-ხუიდ e ლგმ-ბშ/ემ-ი/უ/გნ-ლიდ
II3. ლგმ-ბშ/ემ-ი/უ/გნ-ხი	ლგმ-ბშ/ემ-ი/უ/გნ-ხიდ
III3. ლგმ-ბშ/ემ-ი/უ/გნ-ლი	ლგმ-ბშ/ემ-ი/უ/გნ-ლიხ
I3. ლგმ-ბშ/ემ-უ/გნ-ინ-ხუი	i ლგმ-ბშ/ემ-უ/გნ-ინ-ხუიდ e ლგმ-ბშ/ემ-უ/გნ-ინ-ლიდ
II3. ლგმ-ბშ/ემ-უ/გნ-ინ-ხი	ლგმ-ბშ/ემ-უ/გნ-ინ-ხიდ
III3. ლგმ-ბშ/ემ-უ/გნ-ინ-ლი	ლგმ-ბშ/ემ-უ/გნ-ინ-ლიხ
I3. ლგმ-ბშ/ემ-ხუი	i ლგმ-ბშ/ემ-ხუიდ e ლგმ-ბშ/ემ-ლიდ
II3. ლგმ-ბშ/ემ-ხი	ლგმ-ბშ/ემ-ხიდ
III3. ლგმ-ბშ/ემ-ლი	ლგმ-ბშ/ემ-ლიხ
როგორც ვხედავთ, მოცემული ზენა ეცერულ მეტყველებაში IV თურმეობითში სხვადასხვა ნაირსახეობით გამოიყენება. პრეფიქსები ყოველთვის წარმოდგენილია, სუფიქსები, ძირითადად, სახეზეა, იშვიათად კი არ ჩანს, (ლენტეხურის მსგავსად). კონკრეტულად:	
a) ლგ- პრეფიქსი უცვლელი სახით გვხვდება;	
b) -მა- პრეფიქსისეული ა ხმოვანი, როგორც შესი, გაუჩინარებულია:	
გა- > გ- შდრ., ლენტეხური, სადაც ის ყველა შემთხვევაში დაცულია პალატალიზებული (უმღაუტიანი) სახით. ლგმბრდე(ლ)ხუი “ვიყავი თურმე“. ეს გარდაუვალია და ა ხმოვანი სახეზეა.	
გ) -უნ-ე სუფიქსისეული -ე ხშირად მოკვეცილია, -უ კი ვიწროვდება და მის მონაცვლედ ნეიტრალური ხმოვანი (გ) გვევლინება: -უნ-ე > -	

გ6. ზოგჯერ საერთოდ უჩინარდება. -უნ- ეცერულში ფონეტიკურ ნიადაგზე, აგრეთვე, იცვლება -ინ-ად: -უნ-ე > -გნ- > -უინ- > -ინ-. შდრ.: ინ ჩვეულებრივი სუფიქსია ბებიურში, ლაშეურში, იშვიათია ბზ.-ში. -უნ/-გნ სუფიქსთან ერთად ზმნურ ფორმაში წარმოდგენილია -ინ: ლგმ-ბპ/ემ-უ/გნ-ინ-ხტი. -უნ-ე სუფიქსისეული უ შეიძლება დაიკარგოს და ჩვეულებრივ - გნ-ს სახით იყოს წარმოდგენილი ეცერულში (აგრეთვე, ბალზემოურსა და ლაშეურში): ლგმმარ-ნე-ლი (“ნამზადება”), ლგმჟან-ნე-ლი (“ნახნავა”)... ეცერულში, ბალსზემოურისა და ლაშეურის მსგავსად, III პირის ლგ-ნიშანი შეხორცებულია და გვხვდება სამივე პირის ფორმაში. შდრ.: ლშე. ლგმჟან-ნელ ხტი (“ნახნავა”), ლგმჟან-ნელ ხი (“ნახნავხარ”), ლგმჟან-ნელი (“ნახნავა”)... ეცერულში -ნე სუფიქსის წინ შეიძლება ჩაერთოს - ლგ სუფიქსი: ლგმ-ბპ/ემ-ელ-ნე(ლ)-ხტი... იშვიათად ზმნური ფორმები IV თურმეობითში -უნ-ე-ს გარეშეც იწარმოება: ლგმ-ბემ-ხტი. მსგავსი წარმოება ლენტეხურისათვისაა დამახასიათებელი: ლგმშხატბუ ლი (“ნახატავა”), ლგმბარ ლი (“ნაწერა”)... სხვა კილოებში ანალოგიური ფაქტები იშვიათია. -უნ- გ უცვლელი სახით იშვიათად გვხვდება ეცერულში (აგრეთვე, ლახამულურში) სხვა ზმნებთან: ლგმ-კარ-უნ-ე ლი (“ნაღება”)... ასევე, -უნ-ე > -უნ-ე გვაქვს ეცერულში (ზოგჯერ ბალსზემოურშიც) სხვა ნიმუშებში. მაგ.: ლგმდიგ-უნე ლი (“ნაქრობა”), ლგმტიხ-უნე ლი (“ნაბრუნება”)... დ) ეცერულში III პირში -ინ სუფიქსი გამოვლინდება: ლგმ-ბპ/ემ-ინ. სხვა ნიმუშები: ლგმჟან-ინ (“ნახნავა”), ლგმჟალუ-ინ (“ნალეჭა კალოს”). მსგავსი წარმოება დასტურდება ლაშეურში.

ე) -უნ-ე (და მისი ფონეტიკური სახესხვაობები: -უნ-ე//-ნ-ე, -გნ/-უინ//ინ) ხშირად არ გააჩნია -ჟლ... ელემენტიან ზმნებს ეცერულში: ლგმლირბლ (“ნამღერა”), ლგმგრბბლ (“ნაცხობა”), ლგმჭუედბლ (“ნაკითხავა”)... ასევა -იელ ელემენტიანი ზმნები ბალსზემოურში: ლგმგრბიელ (“ნაცხობა”), ლგმჭუედიელ (“ნაკითხავა”). შდრ., ეცრ. ლგმლირბლ-ინ ნამღერა“, ლგმგრბბლ-ინ (“ნაცხობა”).

ვ) მოცემული ზმნის ფუტე ეცერულში ჟ/ე პარალელური გახმოვანებით იხმარება.

IV თურმეობითის მაწარმოებელი აფიქსების წარმომავლობის შესახებ არსებობს სხვადასხვა მოსაზრება. კერძოდ:

ვ. თოფურიას ვარაუდით, IV თურმეობითის - თურმეობით II-ის (ლგ- + გა- + -უნ-ე) აფიქსებში ლგ- ნამყოს მიმღეობის ლგ- უნდა იყოს. ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს: 1. -ე ბოლოსართის გამოვლენა, 2. მეშვეობი ზმნის გამოყენება და 3. ძირითადი -ან, -ეს, ლა- პრევერბის მოხმარება. მართლაც, ყველა ეს (ნამყოს მიმღეობისაგან ნაწარმოებ) აღწერით ფორმებს ახასიათებს“ (ვ. თოფურია, 1967, გვ. 134-135).

სვანურ კილოებში ნამყო დროის მიმღეობის ძირითად მაწარმოებლად სწორედ ლგ- პრეფიქსი გამოიყენება, მაგ.: ლგ-გ-ე “აგებული”, ლგ-ქტით “მოპარული”, ლგ-მ-ე “შეჭმული”, ლგ-ბ-ე “დაბმული”... (ვ. თოფურია, 1979, გვ. 218-219). ნა- პრეფიქსი წარსული დროის ფორმებში შედარებით იშვიათია. ამით უნდა აიხსნას ნა-ს ნაცვლად ლგ- პრეფიქსის გამოყენება IV თურმეობითის ფორმებთან.

შესაძლოა, სვან. **ლგ-** მომდინარეობს **ლა-** პრეფიქსისგან, რომელიც საერთოქართველური ნა-/სა-ს ეკვივალენტი ჩანს (ე. დადიანი, ტ. ფუტკარაძე, 2005, გვ. 42). ამდენად, სვანური კილოების IV თურმეობითი სტრუქტურული თვალსაზრისით მეტრულ-იმეტრულ-ლეჩემურ-რაჭულ **ნა-** პრეფიქსიან ფორმათა გვერდით დადგება.

ვ. თოფურიას აზრით, სხვა ფორმანტების, სახელდობრ, -ძა-, -უნ-ის ფუნქცია სარკვევია“ (ვ. თოფურია, 1967, გვ. 134-135).

შდრ., **მგ** (<-მა-) პრეფიქსიც მიმღეობურია, კერძოდ, სასუბიექტო მიმღეობისა (ქ. მარგიან-სუბარი, 2012, გვ. 96).

ზოგადად, სვანურ კილოებში ნამყოს მიმღეობის მაწარმოებლად **ლგ-** პრეფიქსთან თავისუფლად მონაცვლეობს **მგ-** პრეფიქსი.

ქ. მარგიანი-სუბარის აზრით, აღნიშნული აფიქსების ფუნქცია მიმღეობებში მხოლოდ დროის ასახვა არ უნდა იყოს; ისინი ერთმანეთს უბრალოდ კი არ ენაცვლებიან (თუმცა ტენდენცია მათი გაერთმნიშვნელიანებისა მართლაც ძლიერია), არამედ აქტივისა და პასივის ნიუანსებს განასხვავებენ:

ლგ-ჯბბ - “ის რაც მოხარშეს”, **მგჯბბ** - “მოხარშული, არა უმი”;

ლგ-კრ-ე - “გალებული” (ვინესგან), **მგკრ-ე** - “ლია”;

ლგ-ურ-ე “დასველებული”, **მგ-ურ** “სველი”...

მ-იან მიმღეობებს ის ზმნები შეესაბამება, რომელთა სუბიექტი თვითმოქმედია, თვითმოძრავია, მაგრამ მხოლოდ სემანტიკურად გრამატიკულად ისინი გარდაუვალი ზმნებია და ნომინატიური კონსტრუქციისაა, თუმცა ეს **მგ**-ს ფუნქციას ეჭვეჭვეშ ვერ აყენებს. ვინაიდან თურმეობითი II (IV თურმეობითი - ქ.გ.) ნებისმიერ შემთხვევაში პროცესს გულისხმობს, მწკრივში დამკვიდრდა **მგ**- (<-მა-) პრეფიქსი, რომლის ფუნქციაც დინამიკის, აქტივობის ასახვა“ (ქ. მარგიან-სუბარი, 2012, გვ. 97).

აღნიშნულია ისიც, რომ საანალიზო ფორმა დინამიკურობასთან ერთად, უნახაობასაც გამოხატავს, რისთვისაც მან **უნ** სუფიქსი გამოიყენა.

აღნიშნული სუფიქსი არქაულია და მომდინარეობს ოდენ სემანტიკური ჯგუფების არსებობის დროიდან, მისი ფუნქციის დიფერენციაცია მწკრივთა მიხედვით მოგვიანებით უნდა მომხდარიყო, თუმცა ვითარება, რომელსაც ეს სუფიქსი ანიჭებს სხვადასხვა მწკრივს, მაინც იკვეთება ერთგან - ეს არის მოქმედების აქტი, ევიდენციალობა“ (იქვე, გვ. 100).

მკვლევრის ვარაუდით, შესაძლოა, **უნ** და **ინ** აფიქსები იმთავითვე სხვადასხვა კილოს კუთვნილება ყოფილიყო ერთი და იმავე სემანტიკური დატვირთვით.

გარდაუგალ ზმნათა წარმოება. ვნებითის ფორმები სვანურ კილოებში დაირთავენ **-ოლ** / **-ოლ** სუფიქსს, რის შედეგადაც **ინ-ა** / **/ უნ-ა** იკუმშება. **-ოლ** / **-ოლ** სუფიქსთან ერთად ლაშეურში დაცულია **-ენ**. შდრ., ლენტეხურში გვევლინება **-ენ** და ბალზემოურში **ჲნ** (<-ენ) - **ოლ** სუფიქსის გარეშე (ბზ. **ხაკუშან[უ]ნა**, ლნტ. **ხაკუშენ-ნა** // **ხაკუშ-ოლ-ნა**, ბქვ. **ხაკუშ-ოლ-ნა**, ლშხ. **ხაკუშენ-ოლ-ნა**, ეცრ. **ხაკუშ-ოლ-ნა**, **ხაკუშ-ენ-ოლ-ნა/ ხაკუშ-ენ-ნა** “უტყდებოდა თურმე“).

უღლების ნიმუშები:

ბზ.	ლშ.	ლნტ.
1 ლგმბპ-ოლ-უნ ხუი	ლგმბენ-ოლ-ნელ ხუი	ლგმბენ-ოლ ხუი
3 ლგმბპ-ოლ-უნ 『ლი』	ლგმბენ-ოლ-ნელ ხუი//ლგმბენ-ოლ-ინ ლგმბენ-ოლ 『ლი』	
ბქვ. 1 ლგმბემ-ოლ-ინ ხუი // ეცრ. ლგმბემ-ოლ-ნე ხუი “ვიბმებოდი თურმე”		
3 ლგმბემ-ოლ-ინ 『ლი』 // ეცრ. ლგმბემ-ოლ-ნე ლი “იბმებოდა თურმე” ფუქედრეკადი ზმნები		
ბზ.	ლშ.	ლნტ.
1 ლგმტპ-უინ ხუი	ლგმტენ-ოლ-ნელ-ხუი	ლგმტეხ-ენ ხუი
3 ლგმტპ-უინ 『ლი』	ლგმტეხ-ოლ-ნელი//ლგმტეხ-ოლ-ინ	ლგმტეხ-ენ
『ლი』		
ბქვ. 1 ლგმტეხ-ოლ-ინ ხუი// ეცრ. ლგმტეხ-ოლ-ნე ხუი “ვბრუნდებოდი თურმე”		
3 ლგმტეხ-ოლ-ინ // ლგმტეხ-ოლ-ნე ლი “ბრუნდებოდა თურმე” (ვ. თოფურია, 1967, გვ. 192-193).		
აქვე წარმოვადგენთ აღნიშნული ზმნის ლგმ-ბემ-ოლ-ნე(ლ)-ხუი “ვიბმებოდი თურმე” უღლების ნიმუშებს (ვარიანტებს) ეცერული კილოკავის მიხედვით:		
მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი	
I3. ლგმ-ბემ-ოლ-ნე(ლ)-ხუი	i ლგმ-ბემ-ოლ-ნე(ლ)-ხუიდ	(1)
II3. ლგმ-ბემ-ოლ-ნე(ლ)-ხი	e ლგმ-ბემ-ოლ-ნე-ლიდ	
III3. ლგმ-ბემ-ოლ-ნე-ლი	ლგმ-ბემ-ოლ-ნე(ლ)-ხიდ	
	ლგმ-ბემ-ოლ-ნე-ლიხ	
I3. ლგმ-ბემ-ოლ-უ/ი/გნ-ხუი	i ლგმ-ბემ-ოლ-უ/ი/გნ-ხუიდ	(2)
II3. ლგმ-ბემ-ოლ-უ/ი/გნ-ხი	e ლგმ-ბემ-ოლ-უ/ი/გნ-ლიდ	
III3. ლგმ-ბემ-ოლ-უ/ი/გნ-ლი	ლგმ-ბემ-ოლ-უ/ი/გნ-ხიდ	
	ლგმ-ბემ-ოლ-უ/ი/გნ-ლიხ	
I3. ლგ-ბმ-ე-ხუი	i ლგმ-ბმ-ე-ხუიდ	(3)
II3. ლგმ-ბმ-ე-ხი	e ლგმ-ბმ-ე-ლიდ	
III3. ლგმ-ბმ-ე-ლი	ლგმ-ბმ-ე-ხიდ	
ლგ-ბმ-ე-ლი	ლგმ-ბმ-ე-ლიხ	
ეცერულ კილოკავში გარდაუვალ ზმნებთან, გარდამავალ ზმნათა მსგავსად, წარმოდგენილია -უნ-ე სუფიქსი (ფონეტიკური ვარიანტებით): -ნე, -უნ-ინ/-გნ (№ ნიმუში); შედარებით იშვიათად -ე სუფიქსი გვაძეს, -ოლ სუფიქსი კი არ ჩანს.		
შდრ., ზოგ ფორმაში მეშველი ზმნა (ლი, ლიხ) III პირში ჩვეულებრივ არ ახლავს -ე მოკვეცილ ფორმებს, მრავლობითობის -ხ პირდაპირ მიერთვის ფუქს: ეცერ. ლგმბრდ “ყოფილა”, ლგმბრდ-ხ “ყოფილან”. ასეა სხვა კილოებშიც: ლშ. ლგმარდ, ლგმარდ-ხ; ბზ. ლგმბრდ, ლგმბრდ-ხ... ამგვარი წარმოების ზმნებია, აგრეთვე: ეცერ. ბზ., ლხმ. ლგმზიგ, ლნტ. ლგმბზიგ (“სახლობდა თურმე, ნაცხოვრება”).		

საინტერესოა ის ფაქტი, რომ სვანურ კილოებში IV თურმეობითის მაწარმოებელი მეშველი ზმნა არა მარტო აწმყოს ფორმითაა წარმოდგენილი, არამედ შეიძლება იყოს უწყვეტელსა (ნამყო უსრულსა) და I კავშირებითშიც. მაგალითად: ბზ. ლგმპრ ხუსტ (ყოფილიყავ), ლგმპრ ხასტ (ყოფილიყავ), ლგმპრ ლასტ (ყოფილიყო); ლგმპრხვეს (ყოფილიყო), ლგმპრ ხესტ (ყოფილიყო)... და სხვა. ასეა სხვა დიალექტებშიც: ლშხ. ლგმპრელას (ყოფილიყო), ლგმპრელასხ (ყოფილიყვნენ), ლნტ. ლგმპრდლას (ყოფილიყო)... (სხვა ფორმებთან ხშირად გვაქვს მეშველი ზმნა უწყვეტელში, ხოლო იშვიათად - I კავშირებითში). ეცერულშიც ასეა: ლგმ-ბპ/ემ-ნე(ლ)-ხუსტ, ლგმ-ბპ/ემ-ხუსტ... ლგმ-ბპ/ემ-ნე(ლ)-ხვეს, ლგმ-ბპ/ემ-ხესტ...

ვ. თოფურიას აზრით, **-ლლ/-ლლ-** გვხვდება ნამყო უსრულსა (შემდეგ აქედან კონიუნქტივ I-სა და პირობითში), თურმეობითებსა და, რაც საინტერესოა, მყოფადსრულშიც. ამდენად, ის ნამყო უსრულის მაწარმოებლად კი არ გამოდის, არამედ ვნებითის ერთ-ერთ ფორმანტად დროთა I ჯგუფში” (ვ. თოფურია, 1967, გვ. 193).

ვ. თოფურია ვრცლად საუბრობს I თურმეობითსა (resp. III თურმეობითსა) და II თურმეობითს (resp. IV თურმეობითს) შორის არსებულ მსგავსება-განსხვავებაზე.

ძირითად განმასხვავებელ ნიშნად გამოყოფილია მათი შედგენილობა: I თურმეობითი რელატიურია, II თურმეობითი - აბსოლუტური. მათი მაწარმოებელი აფიქსებიც განსხვავებულია.

საერთო მახასიათებლებად დასახელებულია:

1. მსგავსი სემანტიკა: ორივეთი გადმოიცემა უნახავი მოქმედება;
2. ორივე ეყრდნობა აწმყოს ფუქს. აწმყოსეული **-ებ,** **-ერ,** **-ესგ-**

• სუფიქსები და ფუქსდრეკად ზმნათა აწმყოს ფუქს აქ არის წარმოდგენილი:

3. ორივე მწყრივში ფუქსისეული **-ე/-ე- > -პ/-ა-** ჩვეულებრივ ბალსზემოურსა და ზოგჯერ ეცერულში... (ვ. თოფურია, 1967, გვ. 135-136).

ამგვარად, ეცერული კილოკავი IV თურმეობითის წარმოების მიხედვით დანარჩენი სვანური კილოების მსგავს ვითარებას გვიჩვენებს; დაცულია ზოგადი ყალიბი: ორივე ტიპის ზმნებთან ლგმ-პრეფიქსი ყოველთვის სახეზეა, სუფიქსები კი მეტ-ნაკლებად განსხვავდება. ამასთან, ეცერულ მეტყველებაში, საერთო ნიშნებთან ერთად, ვლინდება სპეციფიკური ფაქტებიც როგორც ფონეტიკური, ისე მორფოლოგიური ხასიათისა.

დამოწმებული ლიტერატურა

ე. დადიანი, ტ. ფუტკარაძე, 2005 - ე. დადიანი, ტ. ფუტკარაძე, ნა-
/ნო- პრეფიქსიან ზმნურ ფორმათა წარმოების ზოგიერთი საკითხი
ქართველურ ქვესისტემებში. ქართველოლოგიური კრებული, IV, თბ., 2005.

ვ. თოფურია, 1967 - ვ. თოფურია, სვანური ენა (ზმნა): შრომები, I,
თბ., 1967.

ქ. მარგიან-სუბარი, 2012 - ქ. მარგიან-სუბარი, ევიდენციალობის
კატეგორია სვანურ ენაში, თბ., 2012.

ა. ონიანი, 1998 - ა. ონიანი, სვანური ენა, თბ., 1998.

გ. როგავა, 1953 - გ. როგავა, დრო-კილოთა მეოთხე ჯგუფის ნაკვთები
ქართველურ ენებში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, თბ., 1953.

მ. ქალდანი, 1958 - მ. ქალდანი, ბალსქვემოური კილოს ეცერული
კილოკავის თავისებურებანი, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ.
IX-X, თბ., 1958.

ი. ყიფშიძე, 1914 - И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского)
языка с хрестоматией и словарем, С.Пб., 1914: ი.ყიფშიძე, რჩეული
თხზულებანი, თბ., 1994.

არნ. ჩიქობავა 1936 - არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი,
ტფ., თბ., 1936.

ზ. ჭუმბურიძე, 1986 - ზ. ჭუმბურიძე, მყოფადი ქართველურ ენებში,
თბ., 1986.

KETEVAN GURCHIANI**ON THE FORMATION OF THE IV TURMEOBITI IN SVANETI LANGUAGE ACCORDING TO ETSERI SUB-DIALECT**

In svanetian dialects like other Kartvelian sub-systems (of Samegrelo, Lazistan, Lechkhumi, Ratcha, Guria) form the IV group of tense and dialect, which contains the IV turmeobiti.

Generally the form of IV turmeobiti of Svaneti dialects is L + ma + the stem of oresent tense + un+ e or L+ma + (stem of oresent tense) e + auxiliary verb. In literary Georgian there is no exactly revelvant verbal form. It coreesponds to the following construction: na - participle with prefix + auxiliary verb: lmgem khui "nashenebvar".

Etseri sub-dialect of balskvemouri dialect reveal the same condition of other Svaneti dialects in terms of forming IV turmeobiti; the follow the general form: with the verbs of both types (transitive, intransitive) lm - prefix is always present, suffixes are more or less different. Also, together with common signs in Etheri speech there are specific facts of phonetic and morphological character.

ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის წელიწლები
ANNUAL OF KUTAISI PUBLIC LIBRARY

IX

2017

მარიკა თედორაძე

სვანერი მეტყველების პვალიზიკაციის საკითხები
გაგეთ "ივერიის" ფურცლები

სამეცნიერო ლიტერატურაში აქტუალურია ქართველური ენა-კილოების კვალიფიკაციის საკითხი. კერძოდ, დავა მეგრულ-სვანურის კვალიფიკაციის განსაზღვრას ეხება: მათ მეტყველებას ან დამოუკიდებელ ენად მიიჩნევენ, ან დიალექტის სტატუსს ანიჭებენ და ქართული ენის სხვა კილოებს შორის ათავსებენ.

ქართველურ სამეტყველო ერთეულთა განსხვავებული კვალიფიკაციები სათავეს იღებს მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან. აღნიშნულ საკითხს გამორჩეულ ყურადღებას უთმობდა იმდროინდელი ქართული პრესა.

მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში ხშირად იბეჭდებოდა წერილები, რომლებშიც მეგრულებს, სვანებს, აჭარლებს დანარჩენი ქართველებისგან განსხვავებულ ეთნოსებად იხსენიებდნენ. ქართველი საზოგადოება ყოველთვის უპირისპირობით ქვეყნის დაშლა-დანაწევრების ამ მიზანმიმართულ ღონისძიებას.

სტატიაში განვხილავთ გაზეთ "ივერიაში" მიმდინარე დისკუსიას **სვანური მეტყველების გალიფიკაციის** შესახებ.

გაზეთი "ივერია" გამოიიდა თბილისში 1877-1906 წლებში. სხვადასხვა ღროს მას რედაქტორობდნენ: ი. ჭავჭავაძე, ს. მესხი, ი. მაჩაბელი, გრ. ყიფშიძე...

გაზეთი ფართოდ აშუქებდა საშინაო და საგარეო პოლიტიკის მწვავე საკითხებს. სხვადასხვა პუბლიკაციებში ფიქსირდება საინტერესო თვალსაზრისები, პოზიციები ქართველური ენა-კილოების მიმართების საკითხთან დაკავშირებით.

საკვლევ პუბლიკისტურ მასალაში ობიექტური თვალთახედვით არის გაშუქებული იმპერიული პოლიტიკის ყველა უარყოფითი მხარე. უპირველეს ყოვლისა, ქართული ენის შეზღუდული მდგომარეობა, მისით გამოწვეული სავალალო შედეგები. ამასთანავე, აღსანიშნავია თვით გაზეთ "ივერიის" რედაქტორთა და თანამშრომელთა სწორი მსოფლმხედველობრივი და გამოკვეთილად ეროვნული პოზიცია.

გაზეთ "ივერიაში" მოძიებული მასალის მიხედვით, საინტერესო ქართველი ხალხის ეროვნული მთლიანობის დაშლისაკენ მიმართული ღონისძიებები - სვანური ანბანის შექმნის პროცესი ცდები; სვანეთის ეკლესია-მონასტრებში წირვა-ლოცვის სვანურად შემოღება.

ანტიქართული პოლიტიკის მესვეურნი ცდილობდნენ, სვანეთიდან განედევნათ ქართული ენა. ამ ჩანაფიქრის განხორციელებას თვითმაპყრობელობა დამწერლობის ცალკეული სისტემების შექმნით ესწრაფოდა. ამ მიზნით, 1864 წელს თბილისში გამოვიდა რესული შრიფტით შედგენილი სვანური ანბანი 1200 ცალის რაოდენობით. ის შედგენელი იყო ბარონ უსლარის მეცნიერული კონსულტაციით; ანბანი, რომელსაც სვანურად "ლუშნუ ანბანი" ეწოდებოდა, ადგილობრივთათვის სრულიად მიუღებელი აღმოჩნდა. ამის შესახებ, ერთ-ერთი სკოლის მაგალითზე, ბესარიონ ნიუარაძე აღნიშნავდა: "დღესაც

ხელუხლებლად დგას აქ რამდენიმე ყუთი სხვა-და-სხვა სასწავლო ნივთით გამოტენილი, მომეტებულად "ლუშნუ ანბანით", რომელიც შესდგა განსვენებულის პ. უსლარის მოგონილის ასოებით".

ვითარებას ართულებდა ის გარემოებაც, რომ რუსული ალფავიტი, რომლის საფუძველზედაც "ახალი დამწერლობა" შემუშავდა ვერ გამოსახავდა სკონტაქტისათვის დამახასიათებელ 13 ბგერას, ხოლო შესაბამისი ქართული დამწერლობითი ნიშნები, გასაგები მოსაზრებით, არ გამოუყენებიათ. სავსებით ცხადია, რომ სახელდახელოდ შეთითხნილი "ლუშნუ ანბანი" პრაქტიკაში გამოყენების თვალსაზრისითაც სრულიად უვარესი იყო" (გაზ. "ივერია", 1891, №125:2-3).

იმავე გაზეთის 126 ნომერში **თავადი სვანი (ბ. ნიგარაძე)** წერს, რომ სინამდვილეს არ შეეფერება ის აზრი, რომლის მიხედვითაც სვანეთში ქართული არავინ იცის, პირიქით, ის თავად დასწრებია ლენტების სოფლის ყრილობას, სადაც მამასახლისს ასეთი პასუხი მიუცია: "მეხუმრებით თუ მართლა მკითხავთო? ლენტებში ახლა დიდებმა კი არა, აკვანში მწოლარე ბაღნებმაც-კი ქართული იციანო" (გაზ. "ივერია", 1891, №126:2-3).

სვანური მეტყველება, რომ ერთიანი სალიტერატურო ქართულის შემაღენებლი ნაწილია კიდევ ერთხელ ხაზგასმით ალნიშნავს ბესარიონ ნიუარაძე: "სვანური ნამდვილად ქართულია, მხოლოდ აქა-იქ შეცვლილია, მაგრამ ზოგიერთები ვერ შეჰქიცებიან ამ აზრს და გაიძახიან, სვანები სულ სხვა ხალხიაო! ნეტავ ვიცოდე, ვისთვის ან ჩისთვისაა საჭირო ის დაუინება და სვანების გასხვისტომება".

სავსებით ცხადია, რომ სახელდახელოდ შეთითხნილი "ლუშნუ ანბანი" პრაქტიკაში გამოყენების თვალსაზრისითაც სრულიად უვარესი იყო. გაზეთ "ივერიაში" გამოქვეყნებულ ქაიხოსრო გელოვანის წერილში, რომელიც იმავდროულად რედაქტირის პოზიციასაც გამოხატავდა, ხაზგასმულია, რომ: "სვანები ჩვენი მოძმე ქართველი ხალხია, მაშასადამე მათთვისაც ქართული ენის, ქართული წერა-კითხვის შესწავლა და ცოდნა ისეთივე აუცილებელი საჭიროებაა, როგორც თითოეული ქართველისათვის". თავადი ქაიხოსრო ვრცლად საუბრობს ქართული ენის, როგორც სვანებისათვის აუცილებელ საოჯახო მეტყველების საჭიროებაზე, რომ დედაენაზე სწავლება არა მარტო სკოლებში არის აუცილებელი, არამედ სახლშიდაც. ის სვანებსა და მეგრელებს ქართველების მოძმე ხალხს უწოდებს "თუ გვინდა ჩვენი დედაენა არ მოკვდეს, არ განქრეს, თუ გვინდა ჩვენი ქართული ეროვნული სახე შევინარჩუნოთ მომავალშიც უნდა ვეცადოთ ქართული ოჯახის აღდგენას და შეურჩეველ საუზადველზე დამყარებას, სადაც უმთავრესი ურადღება უნდა ჰქონდეს დედაენის ამ ენაზე არსებული მწიგნობრობის ზედმიწევნით შესწავლას" (გაზ. "ივერია", 1903, №269:2).

ამ წერილის საპასუხოდ გაზეთ "ივერიის" №273 ნომერში დაიბეჭდა **ოლდა დადეშეცლიანის** წერილი, რომელშიც აკრიტიკებს ბატონ ქაიხოსრო გელოვანის წერილს - "ოჯახებში ვინ გვიშლის", რომელშიც ის წერს, "სამეგრელოსა და სვანეთის სკოლაში ქართული ენა სრულიად მოსპობილა და თუმცა ვცდილობთ მის აღდგენასა, მაგრამ ამავე დროს თვითონ ჩვენს ოჯახში, სახლობაში, სადაც სრული ბატონისა გვეკუთვნის, დედა-ენა ათვალწუნებული გვაქვს და

გაუქმებულიო" (გაზ. "ივერია", 1903, №269:2). **დადეშქელიანი** გელოვანის ამ შეხედულებას "გაზვიადებულ სამწუხარო მოვლენას" უწოდებს, რომელსაც ფაქტობრივად კერძო მნიშვნელობა აქვს და ავტორს კი საზოგადო სენად გამოჰყავს, რომელიც ჩვენის ეროვნების მტერს ხელში მისცემს მარჯვე იარაღს, უნარსა და გაბედულობას განუძლიერებს, ხოლო მოყვარეს უიმედობით მოსწამლავს..." (გაზ. "ივერია", 1903, №273:1). სვანეთის სკოლების რეალურ სურათს კი ასე გვიხატავს: "მართალია, სამეგრელოსა და სვანეთის სკოლებს კარგა ხანია მოაკლდა ქართულის ენისა და წიგნის სწავლება; მაგრამ **სვანეთის სამრევლო სკოლებში ქრიოვანი ადგილი ეჭირა ჩვენს დედა-ენასა და ახლაც უჭირავს, რაღაც ამგვარ სკოლაში სწავლება არ შეიძლება არ იყოს იმ ენაზედ, რომელზედაც სრულდება წირვა-ლოცვა და ქადაგება" (გაზ. "ივერია", 1903, №273:1).**

არაერთი საგაზეთო პუბლიკაცია გვაუწყებს სვანეთის მოსახლეობის ღიდ გულისტკივილს, გამოწვეულს საერო და სამრევლო სასწავლებლებიდან ქართული ენის გამოდევნით. შექმნილი ვითარება - უცხო, რუსულ ენაზე სწავლება მნიშვნელოვნობა დაბრკოლებას უქმნიდა მოსწავლეებს, მიეღოთ სათანადო განათლება, ამიტომაც მტკიცედ მოითხოვეს ლეჩხუმის მაზრის თავად-აზნაურთა კრებაზე დაწყებით კლასებში მშობლიურ ენაზე სწავლების აუცილებლობა. გაზეთ "ივერიის" 1903 წლის №79 ნომერში ვკითხულობთ, "ეთხოვთ მომავალ საგუბერნიო თავად-აზნაურთა კრებას, შუამდგომლობა აღიძრას იმის შესახებ, რომ სვანეთს როგორც საქართველოს ერთ მხარეს და თვით ქართველთა ტომით დასახლებულს, არ მოესპოს პირველ დაწყებით სკოლებში ქართული ენაო. ასეთი დადგენილება გამოუწვევია იმ გარემოებას, რომ ზოგიერთი გადამთითელი პოლიტიკანი ქადაგებს ჩვენს დაყოფას, დანაწილებას, სვანები და მეგრელები ქართველები არ არიან და ქართულს ენას რა ხელი აქვს, ან მათ სასწავლოში, ან მათ სალოცავში. საბრალოა, როცა გინმე... ამტკიცებს, სადაც უჭობს, სვანური და მეგრული ქართული არ არის" (გაზ. "ივერია", 1903, №79:1). მოსახლეობა იმასაც კარგად გრძნობდა, რომ სვანური ანბანის გამოგონებით ხელისუფლება ქართველი ერის ერთიანობას საფუძველს უთხრიდა. ქართველი ხალხის ავისმოსურნეთა საპირისპიროდ სვანეთის მოსახლეობა ურყევ ეროვნულ პოზიციას ამჟღავნებდა და მშობლიური ენის დაცვას საქართველოში ლირსების საქმედ თვლიდა. სვანების განწყობილებას მტკიცედ გადმოგვცემს ლ. დაგდაშდან გიელან სვანი (იგივე ლევან დაღიშქელიანი). ის წერს: "ყოველი სვანი თავის დედაენად აღიარებს ქართულს. ქართულის შემწეობით სწავლის სარგებლობას ნათლად გვიხატავს ორნაირის ტიბის სკოლების არსებობა სვანეთში" (გაზ. "ივერია", 1903, №7:2).

ცარიზმის ანტიეროვნული პოლიტიკა განსაკუთრებული სიმკაცრით ვლინდებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხის მოსახლეობის დაპირისპირების მიმართულებით. ხელისუფლება შეფარვით ცდილობდა ქართველი ერის დაქსაქსვას და საერთო ეროვნული კულტურის აღმოფხვრას საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში. სვან და მეგრელ მოსახლეობას ოფიციალურად აცხადებდა განსხვავებულ ეთნოსებად. სვანებს არ თვლიდნენ ქართველებად (ამ აზრს

ავითარებდნენ რუსი ჩინოვნიკები), ხოლო სვანურს არაქართულ "ენად" მიიჩნევდნენ. მაგალითად, გაჩ. "ივერიის" 1903 წლის ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნებულია მღვდელი ბლალოჩინის ივ. მარგიანის პასუხი "სვანური ენის შესახებ", რომელშიც საუბარია კავკასიის სასწავლო ოლქის მმართველის სტოიანოვის მიერ გამოცხადებული ამბის შესახებ, რომ "**სვანურს ენას არაგითარი დამოკიდებულება არა აქვს ქართულ ენასთან**". სტოიანოვი წერს: "ამბობენ, რომ სვანური ენა დამახინჯებული ქართულიაო, მაგრამ საკვირველია, რომ სვანებს არ ესმით ერთი სიტყვაც კი ქართულად; ლაპარაკობენ ცოტათი უშებულში. ლაპარაკობენ ქართულად თავადები, ლაპარაკობენ დიაკვნები და ეკლესიის მნათები, ლაპარაკობენ იასაულები სვანეთის ბოქაულისა. მსურს გავიგო - კიდევ ვინ ლაპარაკობს, ან ვის ესმის ქართული სვანეთში? - სწერს ბატონი სტოიანოვი თავის მოგზაურობის აღწერაში (გაჩ. "ივერია", 1903, №191:3).

ივ. მარგიანი აკრიტიკებს კავკასიის სასწავლო ოლქის მმართველის სტოიანოვის შეხედულებას "**სვანურს ენას არაგითარი დამოკიდებულება არა აქვს ქართულ ენასთან**" და ქართული და სვანური სიტყვების ერთმანეთთან შედარების საფუძველზე ასკვნის, რომ "ეს სიტყვები, როგორც მიხვდება მყითხველი, ყველა ქართულია, მაგრამ არი კიდევ იმისთანა სიტყვები (აქაც ჩვენ მაგალითისთვის მხოლოდ რადენიმე გამოყურიეთ) რომლებიც პირველს გაგონებაზედ ვერ შეიტყობთ მსგავსებას ქართულს სიტყვებთან, მაგრამ ძირი კი ნამდვილად ქართული სიტყვებისაა" (გაჩ. "ივერია", 1903, №191:3).

ივ. მარგიანის მამულიშვილური პოზიცია მკვეთრად მოჩანს მის ერთ-ერთ პუბლიკაციაში: 1891 წელს ზემო სვანეთში სკოლა გაიხსნა, მაგრამ ამ სასიხარულო მოვლენას უარყოფითი დატვირთვაც ახლდა და ეს ფაქტი მყისვე გაახმაურა ივანე მარგიანმა: "**ქართულს არ ასწავლიან და ეს გარემოებალა დაგვრჩენია სამწუხაროდ**".

ივ. მარგიანის კალამს ეკუთვნის ასევე საყურადღებო წერილი "რა ენით აღიდებდნენ და აღიდებენ სვანები ღმერთს", ამ წერილში ის წერს "**სვანების ენა ნამდვილი ქართულია**, მხოლოდ აქა-იქ შეცვლილი. მაგრამ ზოგიერთები ვერ შეპრიგებიან ამ აზრს და გაიძახიან, სვანები სულ სხვა ხალხიაო!... სვანების ქართველებთან ნათესაობა აისხება იმით, რომ იქ ღვთის დიდება ძველთაგანვე ქართულს ენაზედ სწარმოებდა და ეხლაც სწარმოებს, რომელ მათვის უცხო ენას შეეძლო ქრისტიანობის დაცვა ამ მიგარდნილს ქვეყანაში, თუ არა, ისევ ქართულსა, რომელიც სვანებს დედაენად მიაჩიათ?!" (გაჩ. ივერია, 1904, №28:2).

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, საინტერესოა გაზეთ "ივერიაში" გამოქვეყნებული კიდევ ერთი წერილი - "ორიოდე სიტყვა ქართული ენის შესახებ" - ავტორია სვანეთის მკვიდრი დონ-აგალიანი (დავით აგალიანი). წერილი იწყება ფრაზით "რა ენა წარხდეს - ერიც განქარდეს": "თითქმის ყოველს დამოუკიდებელს ან ძალადობით დამოუკიდებელს ერს აქვს თავისი საკუთარი ენა, რომელიც განიუოფება კილოებად და გამოთქმებად. ამ კანონს ვერ ასცდენია ქართული ენაც და დროთა განმავლობაში შექმნილა რამდენიმე კილო, რომელთაგან

ზოგი იმდენად დაშორებია ნამდგილ ქართულ ენას, რომ ამ კილოთი ლაპარაკს შეუჩვეველი ყური ვერც კი გაიგებს. ასეთია მოგეხსენებათ **მეგრული და სვანური.** ზოგი თუმცა დიდათ არის დაშორებული, მაგრამ თავისი ელფერი მაინც დაჭრავს, როგორიცაა მაგალითად; ფშავ-ხევსურთა და საზოგადოდ მთიელ ქართველთა კილოები" (გაზ. "ივერია" 1904, №101:2-3).

როგორც განხილული წერილებიდან ჩანს, სვანური მეტყველების კვალიფიკაციის საკითხი მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართულენოვან პრესაში, კერძოდ, კი გაზეთ "ივერიაში" საქმიოდ აქტუალური იყო. **რუსი მოხელეები** ამტკიცებდნენ, რომ სვანური დამოუკიდებელი ენაა და არაფერი აქვს საერთო ქართულთან, ხოლო **ქართველი საზოგადო მოღვაწენი** კონკრეტული არგუმენტებით ეწინააღმდეგებოდნენ ამ მოსაზრებას და ამტკიცებდნენ, რომ სვანური იგივე ქართულია და არსებობს ქართველების მხოლოდ ერთი "სამშობლო ენა". ქართული ენა, მათი აზრით, ისეთივე მშობლიურია სვანისათვის, როგორც იმერელისთვის, კახელისთვის, გურულისთვის, ნებისმიერი კუთხის ქართველისთვის.

დამოწმებული ლიტერატურა

დონ-ავალიანი (დავით ავალიანი), 1904 - დონ-ავალიანი, ორიოდე სიტყვა ქართულის ენის შესახებ, გაზ. "ივერია" №101, 1904.

ლ. დაგდაშდან გიელან სვანი (ლევან დადეშქელიანი), 1903 - ლ. დაგდაშდან გიელან სვანი, ჩვენებური ამბებია - სვანეთი, გაზ. "ივერია", №7, 1903.

მ. დადეშქელიანი, 1903 - მ. დადეშქელიანი, ტფილისი, 21 დეკემბერი, გაზ. "ივერია", №273, 1903.

ქ. გელოვანი, 1903 - ქ. გელოვანი, ოჯახებში ვინ გვიშლის?, გაზ. "ივერია", №269, 1903.

ა. კალანდაძე, 1986 - ა. კალანდაძე, ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, თბილისი "განათლება", 1986.

ივ. მარგიანი, 1893 - ივ. მარგიანი, სვანური ენის შესახებ, გაზ. "ივერია", №188, 1893.

ივ. მარგიანი, 1904 - ივ. მარგიანი, რა ენით ადიდებდნენ და ადიდებენ სვანები ღმერთს, გაზ. "ივერია", №28, 1904.

ნარგვევი, 1903 - გაზ. "ივერია", №191, 1903.

ბ. ნიუარაძე, 1891 - ბ. ნიუარაძე ფელეტონი - საბიბლიოოგრაფიო შენიშვნა, გაზ. "ივერია", №125, 1891.

ბ. ნიუარაძე, 1891 - ბ. ნიუარაძე, ქართული ენის გავრცელება სვანეთში, გაზ. "ივერია", №126, 1891.

ტფილისი, 12 აპრილი, 1903 - გაზ. "ივერია", №79, 1903.

ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, ტ. 3, ნაკვ. 1-2, თბ., 1963-1964; ტ. 4, თბ., 1965; ტ. 5, ნაკვ. 1, თბ., 1967; ტ. 6, ნაკვ. 1, თბ., 1969.

MARIKA TEDORADZE**THE QUALIFICATION ISSUE OF THE SVANETIAN LANGUAGE ON THE PAGES OF THE NEWSPAPER “IVERIA”**

In scientific literature the qualification issue of Kartvelian languages and dialects is an actual topic. In particular the debates refer to determining the qualification of Mengrelian and Svanetian languages: they are considered either as independent languages or they are assigned the status of dialects and are placed among other dialects of the Georgian language. Different qualifications of the Georgian speech units originate from the 2nd part of the 19th century. This issue was given the significant attention by the press of that time.

The article discusses the debate in the newspaper “Iveria” about the qualification of Svanetian speech. The newspaper “Iveria” was issued in Tbilisi 1877-1906. In different times its editors were I. Tchavtchavadze, S. Meskhi, I. Machabeli, Gr. Kifshidze...

The newspaper broadly highlighted the issues of domestic and foreign politics. Different publications reveal the interesting viewpoints about the qualification issue of Svanetian speech. According to the materials found in the newspaper “Iveria” activities focusing on the destruction of the national unity of Georgians need proper interest: provocative endeavors of creating Svanetian alphabet; initiation of conducting the church services in Svanetian language.

The newspaper used to actively publish the letters of B. Nijaradze, I. Margiani, K. Gelovani, O. Dadeshkeliani, Iv. Margiani, etc.

From the materials discussed in the newspaper “Iveria” the qualification of the Svanetian speech was very active in the 2nd part of the 19th century: Russian officials used to assert that Svanetian was the independent language and had nothing common with the Georgian, the Georgian public men resisted those ideas with concrete arguments and insisted that Svanetian language is the Georgian language and there is only one “home language” for Georgians.

ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის წელიწლეული
ANNUAL OF KUTAISI PUBLIC LIBRARY

IX

2017

ეთერ ინწკირველი

**მითისა და რიტუალის ურთიერთობისართვაა
სვანერ ზოღულორსა და ყოფაში**

ლიტერატურა. ორ წელიწადში ერთხელ სვანეთში, უშგულში, კერძოდ ჩვიბიანის ფუსდის გალავანში სადღესასწაულოდ შეკრებილი ხალხი ერთი სანახაობის მომსწრე ხდება. სანახაობა, ტრადიციულად, გამოთვლილ დროს, აგვისტოს პირველივე კვირადღეს იმართება. სპეციალურად ამ დღისთვის უშგულის თემის ყოველი ოჯახი მთელი წლის განმავლობაში საგანგებოდ ზრდის სამსხვერპლო ვერძს, აგვისტოს პირველივე კვირადღეს კი მსხვერპლშეწირვის რიტუალს წინ უძღვის ვერძების ერთმანეთთან შეჭიდების რიტუალი, კერძოდ, ორთაბრძოლა. ორთაბრძოლის დასრულების შემდეგ დაკლავენ როგორც “დამარცხებულ”, ისე “გამარჯვებულ” ვერძს, ამ უკანასკნელს კი “ლამარის გადამრჩენელს უწოდებენ” (შ. ქალდანი),¹ ხოლო მის პატრონს საჩუქრად გულსაკიდი ერგება - ვერძის გამოსახულებით (ს. ნიუარაძე). მსხვერპლშეწირვის რიტუალის შესრულების შემდეგ იმართება სახალხო დღეობა.

ყოველ მეორე წელიწად იმავე დღეს - აგვისტოს პირველივე კვირადღეს, ზუსტად იმავე ადგილას - ფუსდის გალავანში - ვერძების შეჭიდების რიტუალის (რომელსაც ხალხში ვერძობას, გიცრიშს უწოდებენ) მაგივრად ტარდება საღმრთო ხარის მსხვერპლშეწირვა - ლიუსხურარი: უშგულის თემი ერთიანი ძალებით ყიდულობს ხარს, ეს ხარი იკვლება და ყოველ ოჯახზე ნაწილდება. ლიუსხურარი, ადგილობრივთა განმარტებით, “საღმრთო სამთიბლოა” (ნ. კაკურიაშვილი), რადგან უშუალოდ უკავშირდება თიბვის დასაწყისს: ლიუსხურარის რიტუალის მესამე დღეს, სამშაბათს, უშგულში თიბვა იწყება. თიბვის პირველ დღეს სვანეთში ახანახა² ეწოდება. ახანახა დღეს უნდა გამოცხვეს სამი ლემზირი (შესაწირი ხაჭაპური), ასევე ნათხუმ (გამოხდისას პირველად გამოსული რახი), ხოლო მოსავლიანობას და კარგ ამინდებს შესთხოვენ ახანახა ლიჭმალებს (თიბვის ლმერთს).

“საღვთო სამთიბლო”. უპირველეს ყოვლისა, ალვნიშნავთ, რომ სვანეთში ბალახი მოსავლად ითვლებოდა და სამთიბლო მოსავალს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პირუტყვის გამოსაზამთრებლად. თიბვის პერიოდად საქართველოს ბარის რეგიონებში ივლისი (თიბათვე) ითვლებოდა, ხოლო მთიან რეგიონებში (მაგ., ხევსურეთში) ის ხშირად აგვისტოს თვეს უკავშირდებოდა, რასაც განაპირობებდა სათიბის სპეციფიკური მზაობა მოსათიბად: ანუ ბალახი არც ზედმეტად გამომშრალი უნდა ყოფილიყო და არც ნოტიო, რომ ზამთარიც გადაეტანა და კვებითი ლირებულებაც შეენარჩუნებინა.

¹ დ. ნაკანი (მესტია): “წელიწადში ერთხელ აღდგომიდან რამდენიმე კვირაში უშგულში ყველა ოჯახს გამოჰქიავს ვერძი. ახლა ვერძები ძნელად იშოვება და ხშირად ხბოები გამოჰქიავთ, ჩემს ბაგშვობაში სულ ვერძები გამოჰქიავდათ უშგულშიც და მესტიაშიც. ლანჩვალში არის ფუსდის (ზამა ლმერთის) ყალესა და იქ მოყვავთ ვერძები. ამ სამსხვერპლო ვერძებს ერთმანეთს აჯახებენ, აჩხუბებენ და რომელიც გაიმარჯვეს, ეწოდება ლამარის გადამრჩენელი” (2017 წ. მესტია).

² დალი ფალიანის თქმით, ახანახა ნაყოფიერების ლმერთია.

თიბვის დასაწყისი ყოველთვის გარანტირებული არ იყო, რადგან ამ პერიოდს ხშირად უკავშირდებოდა სტიქიური მოვლენა წყალდიდობის სახით. კვირიკობის დღესასწაულს (28 ივლისი) ხშირად თან სდევდა წყალდიდობა. მულახელი მუხრან ქალდანი იხსენებს: “ზოგჯერ ისე აღიდდებოდა ენგური და წაიღებდა ხიდებს, რომ კალაში ველარ ავდიოდით”. წყალდიდობა მოსალოდნელი იყო კვირიკობამდეც და კვირიკობის შემდგომაც, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა სათიბს, ასველებდა, აფუჭებდა და უვარგისს ქმნიდა³. სწორედ წყალდიდობის თავიდან აცილების მიზნით სვანეთში, სხვადასხვა ადგილას (ლაშხერი, მესტია), პეტრე-პავლობის მარხვის წინა შაბათ-კვირას ყოველწლიურად იმართებოდა ჰოლიშობის (ჰოლიშ - მყინვარი) დღესასწაული, თანმდევი დოლით, ლემის გამოტანით და ა.შ.: “ადრე შხარას მხარეს მყინვარი მოწყვეტილა, მას ენგური დაუგუბებია დიდი ხნით, როცა მყინვარი და წყალი დაძრულა, წაულეკავს მრავალი სოფელი. ამ უბედურების აღსანიშნავად და ღვთის სალოცავად ხალხს დაუწესებია ეს დღესასწაული” (ნ. კაკრიაშვილი, 2010, გვ. 67). გადმოცემის მიხედვით, ჰოლიშობის დღესასწაულის საფუძველში სწორედ წყალდიდობით გამოწვეული უბედურება ჩანს, მაგრამ, მეორე მხრივ, ხალხის მიერ “ღვთის სალოცავად” დაწესებული დღე ერთგვარი მაგიური რიტუალის ხასიათს ატარებს, რათა სტიქიური მოვლენის წინაშე ყოვლად უძლური მოსახლეობა დაეცვა მოსალოდნელი უბედურებისაგან; არ უნდა დაგვაგიწყდეს, რომ საქმე გვაქვს არა სეკულარულ, არამედ რელიგიურ საზოგადოებასთან, რომელსაც ღრმად სწამს, რომ ნებისმიერი, მათ შორის ყოველი მეტეოროლოგიური, მოვლენა სწორედ უფლის ნებაზე, მის კეთილგანწყობაზეა დამოკიდებული... მოცემული გადმოცემა საყურადღებოა, ასევე, იმდენად, რამდენადაც ტექსტში ფიგურირებს შხარას მხარეს მოწყვეტილი მყინვარი. შხარასთან ყველაზე ახლოს უშესების თემი ცხოვრობს, მაგრამ ჰოლიშობა აღინიშნება ქვემო სვანეთშიც კი. ისიც სავარაუდებელია, რომ ენგურის წყალდიდობა (ან პერიოდული წყალდიდობები) შესაძლოა, გამოწვეული ყოფილიყო არა მხოლოდ მყინვარის მოწყვეტით, არამედ საგუბით დასაშვებია, რომ წყალდიდობის გამომწვევი მიზეზი ყოფილიყო სვანეთის რომელიმე კლდიდან ჩამოშლილი ქანების ან მოწყვეტილი ლოდის მიერ მდინარის შეგუბებება და ტერიტორიის დატბორვა.

ნარატივი. ერთი სვანური გადმოცემა “ღვთისმშობლის და დევის ჩხუბი”, რომელიც ექვთიმე თაყაიშვილმა ჩაიწერა ერთი საუკუნის წინ, მოგვითხრობს განრისხებული დევის მიერ ლამარიას დასალუბავად ენგურის ხეობის საგანგებოდ შეგუბებაზე მას შემდეგ, რაც უშესების ლამარიამ დევს ცოლობაზე უარი უთხრა:

“უშესების ლამარია მეტისმეტად ლამაზი იყო. ძლიერ მოეწონა დევს ლამარია და მონძომა მისი ცოლად შერთვა, მაგრამ ლამარიამ უარი უთხრა. სიტყვით რომ ვერა გაახერხა რა, დევმა ლამარიას ძალით დამორჩილება მოინდომა, აირჩია ერთი ადგილი ენგურის ხეობაში სოფელ კალასა და უშესებ შუა, ამოაშენა ქვიტკირით, რომ ენგური შეეგუბა. წყალი იმდენი დაგუბდა, რომ უშესების აიწია და სულ დაფარა ვაკე ადგილები.

³ “სვანეთში ბალაზი იყო მოსავალი” (ნაპო კაკრიაშვილი, უშესები).

სოფელი ძლიერ შეწუხდა, სულ წალენება წყალმა ყანები. ლამარიას გული მოუყიდა და გამოუშვა ვერძი, რომელსაც კალის ლეგურკამ თავისი ვერძიც მიაშველა. ორივენი დაეჭახნენ ქვიტკირს და გაანგრიეს. ახლაც უჩვენებენ ამ ქვიტკირის ნაშენებს სვანები” (ე. თაყაიშვილი 1913, IV, გვ. 35).

იგივე ამბავი სამონადირეო მითოლოგიის ჭრილშია წარმოდგენილი ეგნატე გაბლიანთან. წყლის შეგუბებისა და ლამარიას დაღუბვის ეპიზოდი უცვლელადაა გადმოცემული, შეცვლილია მხოლოდ დევის მიერ წყლის შეგუბების მოტივაცია: დევი და მონადირე ტყეში შეხვდებიან ერთმანეთს, მონადირე მოკლავს დევს, დევის შვილი ცდილობს შურისძიებას, მაგრამ დევის შვილისთვის მამის მკვლელის სისხლი მამის მკვლელობის საკომპენსაციოდ საქმარისი არ არის, ამიტომ გადაწყვეტს უშგულის ღვთისმშობლის დახრჩხობას. უშგულის დასავლეთით, ენგურის ყველაზე ვიწრო აღვილას ააგებს კედელს და შეაგუბებს მღინარეს. ამ ადგილს დღესაც “დაგანაგმალვარ” ანუ “დევის ნაშენები” ჰქვია. ჩანაწერის მიხედვით, ლამარია დახმარებას სთხოვს კვირიკეს, რომლის მიერ დასავლეთიდან გამოშვებული “ოქროსრქიანი ვერძი” გაანგრევს კედელს და იხსნის არა მხოლოდ ლამარიას, არამედ მთელ უშგულის თემს. დევი ამ დროს იფარის თემის ტყეებში იმყოფებოდა და კედლის გასამაგრებლად ექებდა დიდ ქვებს. როდესაც ენგურს გადმოხედა, მიხვდა, რაც მომხდარიყო და ზურგზე დაწყობილი ქვები ერთი ჩრდილოეთით გადაისროლა, მეორე - სამხრეთით, რომელიც შეჩერდა იფარიდან ერთი ვერძის მანძილზე, სადაც ხალხის მიერ აშენებულ იქნა დღემდე აქ არსებული კაშკი, რომელსაც საძირკვლად ის დიდი ქვა უდევს (ე. გაბლიანი, 2008, გვ. 67-68).

თაყაიშვილისული ჩანაწერის ლეთაებასთან ქორწინების მოტივს ეგნატე გაბლიანთან სამონადირეო ციკლი ცვლის, რაც ფოლკლორული მოვლენით აიხსნება და სავსებით დასაშებია, მით უფრო, რომ შედარებით გვიანდელ, ჰიეროგამით მოტივირებულ ვარიინტში ლამარიას ცოლობის მთხოვნელ დევს ენაცვლება წმინდა გიორგი (ჯგრაგ), რომელიც გადაწყვეტს მის შეცდენას, მაგრამ ვერ ახერხებს, რის გამოც კალასა და უშგულს შორის ენგურის გადახიდვას გადაწყვეტს. ლამარია დახმარებას დიდ ღმერთს (“ზოშა ღერბეთ”) შესთხოვს, რომელიც შეახსენებს მას: “ჯერ შენმა ვერძმა სცადოს თავისი ძალათ. ლამარიას ჰყოლია ერთი ვერძი, ეს ვერძი ორჯერ დაეტაყა კლდეს, მესამეჯერ რომ დაეტაყა - გაანგრია, მაგრამ ორივე რქა ძირში მოატყდა. ასე თვითშეწირვით გადაარჩინა ლამარიას ვერძმა უშგულელები” (რ. ცანვა, 1984, გვ. 95).

ჩანაწერებში გადმოცემული ამბავი თავისი არსით კოსმოგონიურია, რაღაც თითოეულის უცვლელ მოტივს სწორედ დატბორილი წყლისაგან ხმელეთის გათავისუფლება წარმოადგენს (ე. ინწყირველი, 2017, გვ. 23-32), მაგრამ სავსებით დასაშენებია, რომ სვანურ მითოსში ის ემპირიული გამოცდილებით გაჩენილიყო სრულიად კონკრეტული წყალდიდობის შედეგად, როცა მოსახლეობა კარსმომდგარ წარლვნას გადაურჩა, ხოლო ხსნა, ტრადიციულად, ღვთაებას მიეწერა, როგორც ნამდვილად რელიგიურ საზოგადოებას შეეფერება. საინტერესოა, რომ ყველა ჩანაწერში ხაზგასმით ლამარიას დახრჩხობაზეა საუბარი, მაგრამ ასევე ყოველი მათგანის ფინალში აღნიშნულია ხალხის - უშგულის თემის - გადარჩენა დახრჩხობისაგან. ამიტომ ჩნდება კითხვა, რეალურად რას გამოხატავს მოცემული მითი და შესაძლებელია თუ არა, რომ ვერძობის რიტუალი სწორედ ამ მითოსის პერფორმანსს წარმოადგენდეს.

სვანურ რელიგიურ სისტემას ერთი წინააღმდეგობა ახასიათებს: რიტუალები აღესრულება ქრისტიანული წმინდანის სახელზე, მის საღიდებლად, მაგრამ თვალის ერთი შევლებითაც შესმჩნევია რიტუალთა წარმართული ხასიათი. ეს ორმაგობა გარკვეულ ორაზროვნებას ქმნის კულტის მკვლევარისა და გარეშე პირთათვის, თუმცა აბსოლუტურად მისაღები და იმდენად შინაგანია თვითონ სვანებისთვის, რომ მათს შეგნებაში ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება ქრისტიანული და წარმართული ელემენტები. ჩანს, რომ აქ საქმე გვაქვს რელიგიურ საზოგადოებასთან, რომლის ტრადიციაში ჩვენ მიერ წინააღმდეგობრივად შეფასებული მოვლენა მთელი თავისი მთლიანობით არის აღქმული.

საუბრობს რა ზურაბ კიკნაძე აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის საყმოთა ტრადიციულ საზოგადოებრივ და საკულტო ყოფაზე, განსაზღვრავს წარმართობას, როგორც ცნებას და აზესტებს მის ორ ფორმას: ისტორიულ წარმართობას, როგორც კლასიკურ პაგანიზმს, რომელიც არსებობდა ქართლის გაქრისტიანებამდე და გარკვეულ ხანს მის შემდეგაც, და წარმართობას, რომელიც სტიქიურად აღმოცენდება ნებისმიერ ეპოქაში, თუ მისი გაჩენის პირობები შეიქმნა. მკვლევარი ფშავ-ხევსურული ჯვარ-ხატების რელიგიური სისტემის შეფასებისას ქრისტიანობას სუბსტრატულ ფენად მიიჩნევს და არა შემდეგდროინდელ დანაშრევად: “წარმართობა არის ქრექი, რომლის შიგნით ჩვენ შეგვიძლია ქრისტიანული შინაარსი დავინახოთ” (ზ. კიკნაძე, 2016, გვ. 237).

თითქმის მსგავს მოვლენასთან გვაქვს საქმე სვანურ საკულტო ყოფაში, ცხადია, გარკვეული თავისებურებით, რაც განასხვავებს აღმოსავლეთ და დასავლეთ მთიანეთს.

უშესულის ლამარია. სვანს რომ ჰყითხო, ლამარია ვინ არისო, ის აუცილებლად გიპასუხებთ, რომ ლამარია ღვთისმშობელია, მაგრამ არსებობს ლამარიასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენათა და რიტუალთა მთელი კომპლექსი, რომელთაც არავითარი საერთო არ აქვთ მარიამ ღვთისმშობელთან და მით უფრო ქრისტიანულ რელიგიასთან. იქნება ამიტომ, შეისწავლიან რა ეთნოგრაფები ლამარიასთან დაკავშირებულ კულტმსახურებასა და უწინარეს ყოვლისა თვალშისაცემ რიტუალებს, დაწინაურდა მოსაზრება, რომ ლამარიას კულტი წარმართული მიწის ღვთაების კულტის ჩანაცვლებას წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით თუ შევხედავთ და ლამარიას ყოველივე ქრისტიანულს ჩამოვაცილებთ, ვილებთ ნაყოფიერების (მიწის) ქალმერთის კლასიკურ სახეს:

ღვთაებათა სქესობრივი დიფერენცირების ფონზე, ლამარია მდედრი ღვთაებაა; მას მიწის ნაყოფიერებას შესთხოვდნენ სვანები, როგორც მიწის ღვთაებას. ნაყოფიერების მონიჟებელი ქალღვთაების ფუნქციები ვრცელდება არა მხოლოდ მიწაზე (სამეურნეო პლანში), არამედ ქალების შვილობისაზეც (ბიოლოგიურ პლანში) და შეიძლება ითქვას, ლამარიას ფუნქციები სვანურ მითორიტუალურ სისტემაში მიწისა და ქალის ანალოგიას მიუთითებს: მიწა გაიგივებული იყო ქალთან და ქალის სიწმინდე უზრუნველყოფდა მიწის სიწმინდეს. სამიწათმოქმედო და მესაქონლეობის საქმიანობის განსაზღვრისას ეთნოგრაფი მიხეილ ჩართოლანი მკვეთრად განასხვავებს ქალურ (სამიწათმოქმედო) და მამაკაცურ (მესაქონლეობის) საქმიანობას (ზ. ჩართოლანი, 1961, გვ. 130-131).

სამიწათმოქმედო საქმიანობაში სვანი ქალების მონაწილეობა იყო აუცილებელი პირობა ორივე - როგორც რიტუალური, ისე პრაქტიკული - თვალსაზრისით⁴.

საყურადღებოა ამ რიტუალთა შესრულების ფორმა: მაგალითად, უშგულში მარიამობის დღეს ეკლესიის გვერდით მაჩ-ში იკრიბებოდნენ ქალები, ოჯახიდან თითო, და წინასწარ შეგროვებული ფქვილისა და ყველისაგან იქვე გამართულ კერაზე აცხობდნენ პურებს - კალოს ლემზირებს (კალა ლემზირ). ლემზირების რაოდენობა ერთით აღმატებოდა ქალების რაოდენობას და ის - “ზაჩა ლემზირ” - განკუთვნილი იყო ბარაქის მომცემი მეზირისთვის, რომელსაც მერბიელი ქალი მიწაში, ქვით დახურულ ხვრელში დებდა უშგულის ლამარიას მაჩ-ში, შეუმჩნეველ ადგილას. მიხეილ ჩართოლანს მოჰყავს საკმაოდ ვრცელი მასალა, რომელთა შექერებით გასაგები ხდება, რომ მსგავსი რიტუალი უშგულში სრულდებოდა სხვადასხვა დროს, მლოცველებს პირი აღმოსავლეთით ჰქონდათ, თავი კი მიწაზე დამხობილი (მ. ჩართოლანი, 1961, გვ. 188-190).

ზემოთ მოყვანილ რიტუალებში ყურადღებას იქცევს რამდენიმე საკითხი: რიტუალში მხოლოდ ქალების, როგორც ქურუმების, მონაწილეობა, ლამარიასადმი თავდასხრილი ლოცვა მოსავლიანობისთვის, რიტუალური საკვების ფორმა (ზცენარეული - პური მარილით ან ნიგვზით შერეული - ყველიანი პური), სარიტუალო ტრაპეზი მიწაზე, ღვთაებისთვის განკუთვნილი პურის მიწაში დამარხვა. ჩვენ ვხედავთ, რომ ლამარია მოაზრებულია, როგორც ნაყოფიერების ღვთაება, შესაწირავი წარმოდგენილია მიწისა და პურეული მსხვერპლის სახით, ხოლო კულტმსახურთა მდედრობითი სქესი მის სპეციფიკურ წარმოშობაზე მიანიშნებს.

რიტუალის ფორმა და საზრისი. ერთია რიტუალის გარეგნული მხარე და სრულიად სხვაა საზრისი, რომლითაც ტარდება ესა თუ ის რიტუალი სვანეთში. ყოველი სვანი, მნიშვნელობა არ აქვს, მონაწილეობს თუ არა ამა თუ იმ რიტუალში, დარწმუნებულია, რომ ამ რიტუალების საშუალებით ის თაყვანს სცემს არა წარმართულ დარგობრივ ღვთაებას, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ქრისტიანულს. ყოველი სვანი დარწმუნებულია, რომ უშგულის ლამარია ღვთისმშობელია. ამ კულტის არსში ქრისტიანობაა საგულვებელი, მაგრამ კულტის თანმდევი მკვეთრად გამოხატული წარმართული ხასიათის რიტუალები მრავალ კითხვას აჩენს გარეშე დამკვირვებელი თვალისთვის. მთელი XX საუკუნის ქართული ეთნოგრაფიული სკოლა, სწავლობდა რა სვანურ მითორიტუალურ სისტემას, ფიქრობდა, რომ ქრისტიანობა მხოლოდ დეკორაცია იყო ამა თუ იმ კულტისთვის, რომ წარმართულ ღვთაებებს ჩაენაცვლა

⁴ მაგალითად, ეს გამოიხატებოდა მეზირის კულტის ტაბუირების სისტემაში, რომელშიც ერთმანეთთანა გადახლართული სახლის კულტი სახლონგელოზი, კერის კულტი და მიწის კულტი (მ. ჩართოლანი, 1961, გვ. 172). მეზირის კულტის სარიტუალო სისტემაში მხოლოდ ქალები მონაწილეობდნენ. ცხვბოდა სპეციალური “ლამარიაშ ლემზირ”, რომლის მომზადების პროცესში არათუ მამაკაცები, ბავშვებიც კი არ უნდა ყოფილიყნენ შინ. ლოცულობიდნენ მიწის მეზირის (გომი მეზირ) და ლამარიას მიმართ. ლამარიას ეკვერცხობოდნენ მეწველ dრობას, თივას და ოჯახის გახარებას. გამომცხვარი ხაჭაპურები ისე უნდა ეჭამათ ოჯახის ქალებს, რომ ერთი ნამცეციც არ უნდა დავარღნილიყო ძირს, ამიტომ ქალები მიწაზე სხდებოდნენ და ამგვარად ჰქონდნენ; ხოლო როცა დასრულდებოდა რიტუალური პურის ჭამა, ნამცეციც კალოას ცეცხლში იბერტუცვლნენ (მ. ჩართოლანი, 1961, გვ. 178). ერთი ლემზირი კი განკუთხილი იყო მეზირისთვის და მას სახლი (ქორ) განსაზღვრულ ადგილას, მიწაში საგანგებოდ გათხრილ ხვრელში დებდნენ.

ქრისტიანული წმინდანები, შეიცვალა მხოლოდ კულტის სახელწოდება, შინაარსი და ფუნქცია კი იგივე დარჩა. გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან ასე წახალისებული სამეცნიერო დარგის (ვგულისხმობთ ეთნოგრაფიას) მიერ აღმოჩენილი ნებისმიერი სიახლე, რომელიც ამა თუ იმ კულტურის არქაულობას გამოკვეთდა, ასევე წახალისებული და აღიარებული იყო. ამ მოვლენას ორი მხარე ჰქონდა: ერთის მხრივ პრიორიტეტი გახდა და საამაყოც კულტურის, კულტმსახურების არქაულობა, მეორეს მხრივ კი, სწორედ ამგვარი პრიორიტეტების დადგენით იჩქმალებოდა ქრისტიანული რელიგიურობა ხალხში. იყო ეს მეთოდი, მითითება თუ სხვა რამ, ერთი რამ ცხადია: ქართველ ეთნოგრაფთა ნაშრომებში ქრისტიანული რელიგია არქაიზმის (წარმართობის) ჩრდილქვეშაა მოქცეული, თითქოს ხალხში ფესვგამდგარია არა ქრისტეს რელიგია, არამედ ჯერ კიდევ წარმართული კულტების თაყვანისცემა მიმდინარეობს ქრისტიანობის სახელით⁵.

თითქოს თავიდანვე გამოირიცხა პროცესის პირულ წარმართვის - ხალხურ კულტურაში არა რელიგიური გაღმონაშობის ძიების, არამედ ქრისტიანული რელიგიის გახალხურების, გაყოფითების - შესაძლებლობა. საქმე ისაა, რომ ქრისტიანული რელიგიის გავრცელება არ ყოფილა სტიქიური მოვლენა. პირიქით, ქრისტიანობა, როგორც წიგნიერი რელიგია, შემოდიოდა მთელი თავისი მთლიანობით, მთელი თავისი სისტემით: არქიტექტურით, ლიტურგიით, საეკლესიო იერარქიით და ა.შ. იქნებ ეკლესია დასთანხმებოდა ტაძრების შენებას წარმართული კულტების ადგილას, რასაც თავისი გამართლება და მიზანი ჰქონდა, მაგრამ ის არ დაუშვებდა წარმართულ კულტმსახურებას და ყველა საშუალებით შეებრძოლებოდა მას; იქნებ გარკვეულ კომპრომისებზეც წასულიყო, მაგრამ არა ლიტურგიულ სფეროში. სხვა საკითხია, რა სდევდა თან ამ პროცესს სხვადასხვა ქვეყანაში თუ კუთხეში; მაგალითად, სვანეთში, სადაც ქრისტიანული წმინდანების მიმართ ვერა და ვერ დამკვიდრდა ეპითეტი “წმინდანი”, მიუხედავად იმისა, რომ მისი შესატყვიის არსებობს სვანურ ენაში - “წყლიან”/“წყილიან” ნიშნავს “წმინდას”, “სუფთას”, მაგრამ ხალხურ მეტყველებაში ის გამოიყენება მხოლოდ მსაზღვრელის ფუნქციით - მაგ.: “გუიწყლიან” - გულწრფელი, “წყლიანი” - წმინდად, სუფთად (სვანური, 2000, გვ. 1920) - და არა ქრისტიანული წმინდანების მიმართ. ღმერთი - “ღერბეთ” შეიძლება შეგვხვდეს მხოლოდ ხოშა-ლერბეთსა (დიდი ღმერთი) და ქრისტე-ღერბეთთან, ხოლო წმინდანები პირდაპირ სახელით მოიხსენიებიან.

ექვთიმე თაყაიშვილი იხსენებს გაბრიელ ეპისკოპოსის მიერ სვანეთში, კერძოდ, იფარის საზოგადოებაში, პირველი პარაკლისის ჩატარების ამბავს, როდესაც მღვდელმთავარი განცვითებული დარჩენილა ჯერ პაპების განსხვავებული წირვა-ლოცვით, ხოლო შემდეგ მათთან საუბრით, რომლებიც საკუთარ ღმერთებს მრავლობით რიცხვში მოიხსენიებდნენ: “არც ჩვენი ღმერთები

⁵ გასაგებია XX ს.-ის 30-იანი წლების პოლიტიკური პათოსიც. მაგალითად, ცნობილი ეთნოგრაფი ვერა ბარდაველიძე “სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდრის” შესაბამის წერის: “სვანური ხალხური კალენდრის შესწავლას შევუდევი 1931 წელს ზაფხულში, როდესაც მატერიალური კულტურის სახელმწიფო აკადემიის (ლენინგრადში), მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ცენტრალური საბჭოს (მოსკოვში) და საქართველოს მუზეუმის მიერ მივლინებული ვიყავი სვანეთსა და რაჭა-ლეჩხუმში რელიგიური გაღმონაშობის შესასწავლად” (ც. ბარდაველიძე, 1939, XIII). აგტორი შეუფარავად წერს, რომ ის “რელიგიური გაღმონაშობის” შესასწავლად მიავლინეს და არა რეალური სურათის აღსაწერად.

წუნობენ ჩვენს სამსახურსო”, ხოლო გაბრიელის კითხვაზე, თუ რამდენი იყო მათი აზრით ღმერთი, დაიწყეს ჩამოთვლა: ლამარია, მაცხოვარ, ჭირაგ, ლეგურკა და სხვანი... (ე. თაყაიშვილი, 1913, გვ. 25). ამ ერთეული მაგალითითაც კი არსებობს მკვლევართათვის ცდუნება სვანურ პოლითეისტურ პანთეონზე სასაუბროდ, თუ გავითვალისწინებთ ერთის მხრივ, ქრისტიანულ წმინდანთა დასის შემადგენლობას, მათს სომრავლეს, ხოლო შეორე მხრივ, “წმინდანის” ნაცვლად “ღმერთის” გამოყენებას, რაც, ცნობიერად თუ არაცნობიერად, შესაძლოა, ხალხში ქრისტიანული კულტის თავისებური ტრანსფორმაციის საფუძველი და ქრისტიანული წმინდანების ღვთაებებად დიფერენცირების (დარგობრივ ღვთაებებად ჩამოყალიბების) ხელშემწყობი ყოფილიყო.

თუმცა შეიძლება ვითიქროთ ისიც, რომ სვანურ რწმენა-წარმოდგენებში ქრისტიანული წმინდანები, ე.წ. “ნახორცივლარნი” (ხორციელი ადამიანები, რომლებიც წმინდანები გახდნენ) იმდენად შემოიჭრნენ სვანურ ყოფაში, იმდენად გაიშინაურა ისინი სვანეოთმა, რომ პირდაპირ სახელით მოიხსენიებიან, მამა ღმერთისა და ქრისტე ღმერთისგან განსხვავებით. ამას კიდევ გვაფიქრებინებს ერთი სვანური ანდაზა: “ლერმათს ჩუბავ “სი მარე” ჩი ესერ ხექვი” - ღმერთს დაბლა “შე კაცო” ყველას ეთქმისო (ალ. დავითიანი, 1973, გვ. 156); თითქოს წმინდანს არ სჭირდება ეპითეტი და მსაზღვრელი, იმდენად შინაური და ახლობელია ის.

ფუსდი/”ფუსნა ბუსდიშ“ სვანურ მითორიტუალურ სისტემაში სამყაროს პატრონი, იგივე “დამბადებელ ხოშა ღერბეთ” დამბადებელი დიდი ღმერთია, რომელმაც გაჟედა ცა და მიწას საფუძველი ჩაუყარა; ფუსნა ბუსდიშ არა მხოლოდ შემქმნელია ამ სამყაროსი, არამედ შისი შმართველი და მომწესრიგებელი. ყველა დანარჩენი ღმერთის პატრონი და უფროსია, რომელმაც მათ თავიანთი ფუნქციები გაუნაშილა, რაც კარგად ჩანს მეკვლის მის მიმართ საახალწლო ლოცვაში: “ღმერთო მადლიანო, კარგი ფეხი მომატანინე, ყველას წყალობა მოგვეცი! წელი ახალი, წლის შემცვლელო, კარგი წელი შეუცვალე ჩემს სახლს; ყველა ღმერთის წყალობა მოგვეცი, ადამიანის შშვილობა და ოთხფეხის სიმრავლე!...” (ვ. ბარდაველიძე, 1953, გვ. 76).

იქმნება შთაბეჭდილება, რომ ხოშა ღერბეთ პოლითეისტური პანთეონის სათავეში დგას და მას შესთხოვნ ადამიანებისა და ოთხფეხის გამო; აქვე ნათელი ხდება ის იერარქია, რაც ფუსნასა და დანარჩენ “ყველა ღმერთს” შორის არსებობს. მაგალითად, ლახამულაში ჩაწერილი საახალწლო დიალოგი ოჯახსა და მეკვლეს შორის:

- “ - კარი გამიღეთ!
 - რა გაქვს, შე ბეღნიერო?
 - დიდი ღმერთის წყალობა მაქვს, მიქამ თარგლეზერის წყალობა მაქვს, ჯგრაგის წყალობა მაქვს, კარი გამიღეთ”.
 - კიდევ რა გაქვს, შე ბეღნიერო?
 - ლამარიას წყალობა მომაქვს, ოთხფეხის სიმრავლე მომაქვს, თორმეტი კასრი რე მომაქვს, პური ბლომად მომაქვს ლამარიას წყალობა. მოვდივარ და ვერ მოვდივარ, კარი გამიღეთ!
 - შინ, შინ, შე ბეღნიერო!”
- (ვ. ბარდაველიძე, 1939, გვ. 120-121).

თვალშისაცემია, რომ დიალოგში დიდი ღმერთი, მთავარანგელოზი და წმინდა გიორგი ერთად მოიხსენიებიან, რომელთაგან წყალიბას მოელის მთქმელი, ლამარია კი - მიწისა და ქალთა ნაყოფიერების მომნიჭებელი - მეორე ბლოკში ცალკეა დასახელებული.⁶ ეს თანმიმდევრობა ძირითადად დაცულია სალოცავ ტექსტებში, მცირეოდენი გადახვევებით (შეიძლება ჩამატებული იქნას სხვადასხვა სალოცავი, მაგრამ ლამარია აუცილებლად ბოლოს ხვდება) და თანამედროვეობაშიც ნარჩუნდება. საღლევრძელოების თანმიმდევრობას, რიგს ზეპირსიტყვიერების კვლევაში წერილობითი დოკუმენტის ძალა აქვს: ის მოწესრიგებულია და საყოველთაოდ მიღებული. ამ თანმიმდევრობაში კი სწორედ ქრისტიანული იერარქია იკითხება და წარმართობასთან მას ფაქტობრივად სეროო არ აქვს.

ჩვენი საკვლევი მითოლოგიური ნარატივის ერთ-ერთ ვარიანტში ლამარია დახმარებას სწორედ დიდ ღმერთს - ხოშა ღერბეთს (ფუსნაბუასდიშს) სთხოვს, რომელმაც წესით თავისი ხარი უნდა გამოუშვას ლამარიას დასახმარებლად (რადგან ფუსნა ხარების მფლობელია), მაგრამ ამ ვარიანტში ლამარიას ვერძი გაარღვევს აშენებულ კედელს და თვითონ ითავისუფლებს თავს (რ. ცანავა, 1984, გვ. 95).

მართალია, ლამარიას მითოსის ნარატიული ნაწილის არც ერთ ვარიანტში არ გვხვდება ხარი, როგორც ელემენტი, მაგრამ ის ფიგურირებს ლიუსხუარის - ვერძობის ჩატუალის პარალელურ - რიტუალში. ამ ორმაგობას სეანები იმით ხსნიან, რომ ლამარიას მითოსში შეგუბებული ტერიტორიის გასათავისუფლებლად ლამარიამ ვერძი გამოუშვა, ხოლო კალადან ხარი წამოვიდა (ს. ნიუარაძე, 2017). ფუნქცია არსებითად იგივეა, ორივე რიტუალი თიბვის დასაწყისს უძღვის წინ. სავარაუდებელია, რომ უძველეს წარსულში ორივე რიტუალი ერთდროულად აღსრულებოდა და მოგვიანებით დაკანონდა მათი მონაცელება. მაგრამ ყურადღებას იმსახურებს არა იმდენად მათი მონაცელება, რამდენადაც რიტუალის უცვლელი ორი ელემენტი - დრო და სივრცე (აგვისტოს პირველი კვირადღე და ფუსდის გალავანი).

ისმის კითხვა, რატომ ტარდება ჩვენ მიერ მოხმობილი ვერძების შეჭიდების რიტუალი ფუსდის გალავანში, თუკი ნარატივში ის არ ფიგურირებს როგორც ლამარიას მხსნელი. ლიუსხუარს - უსხობას, უსხის (შეწირული ცხოველის) ფლეობას ვ. ბარდაველიძე სწორედ ფუსნაბუასდიას კულტს უკავშირებს (ვ. ბარდაველიძე, 1953, გვ. 119) და მიიჩნევს, რომ ფუსნაბუასდის კულტი ხარისა და მზის კულტების შერწყმის საფუძველზე განვითარდა (ვ. ბარდაველიძე, 1953, გვ. 118). ფუსნასადმი სარიტუალო პარაქტიკისა და რწმენა-წარმოდგენების სინთეზმა მკვლევარი მიიყვანა დასკვამდე, რომ სამყაროს უფალი - ფუსნა ბუასდიშ უძველესი წარმართული კულტების ევოლუციის შედეგად მიღებული სახეა. გამოდის, რომ იყო რაღაც კულტები (მაგ., ხარის, მზის), შემდეგ ეს

⁶ ეთნოგრაფ ვ. ბარდაველიძის აზრით, სეანების დიდი ღმერთის კულტში სინკრეტიზებული იქნა სხვადასხვა ლვთაების კულტები, რომლებიც სხვადასხვა ადრეული საფეხურების ზედნაშენებს წარმადგენინენ. სეანების რელიგიაში დიდი ღმერთის სწავლებამ გამეფა მკაცრი პატრიარქატი, შექმნა მამრობითი სქესის ლვთაებათა სამეული (დიდი ღმერთი, მისი ვაზირი - თარგლეზერ და ადამიანთა, უმთავრესად მამაკაცთა, მფარველი ჯგრაგი), ხოლო ლვთაებათა პანთეონში უფროს-უმცროსობის ახალი თანრიგის დაწესებით მზისა და პურეული ძველი ქალმერთები უკანასკნელ რიგში მოექცნენ (ვ. ბარდაველიძე, 1953, გვ. 76-77).

კულტები გაერთიანდა და შეიქმნა ერთი მაღალი ღმერთი - ხოშა ღერბეთ, იგივე ფუსნა ბუასდიშ - სამყაროს უფალი. თუ რელიგიის ისტორიაში ამგვარი რამ შესაძლებელია, ალბათ მხოლოდ მკვეთრად განსაზღვრული მსოფლმხედველობის პირობებში, მხოლოდ მიზანმიმართული მუშაობის შედეგად. სამაგიეროდ, რელიგიის ისტორიაში მრავლადაა მაგალითები, როცა კულტი განიცდის პირუკუ პროცესს - შორდება თავდაპირველ სახეს და ხალხურდება, რის ერთ მაგალითს წარმოადგენს გაღმოცემა ხარების მოშინაურების შესახებ:

“შველად საქონელი ერთჩლიქიანი იყო, ერთხელ ჯგრაგმა ფუსდს უთხრა - ხარს აპეურს შევაბამ და თუ მან ეს აპეური გაწყვიტა, ხარი ისევ შენი საკუთრება იყოს. მაგრამ თუ მან აპეური ვერ გაწყვიტა, მაშინ ხარი მე დამრჩესო. ფუსდმა თანხმობა განაცხადა და თან გაიფიქრა - განა შესაძლებელია, რომ ხარმა ეგოდენ წვრილი აპეური ვერ გაწყვიტოს?! და თუ მან ეს ვერ შესძლო, მაშინ ასეთი ხარი აბა მე რალად მინდაო. ჯგრაგმა ხარს აპეური შეაბა. ბევრს ეწვალა ხარი, მაგრამ ვერ გაწყვიტა, განრისხებულმა ფუსდმა მას თავისი მუჭირი დაარტყა და ჩლიქი ორად გაუბო. ჩლიქგაყოფილი ხარები იმ დღიდან გაჩნდნენ” (ვ. ბარდაველიძე, 1953, გვ. 157).

გაღმოცემის მიხედვით, ფუსდი მოიაზრება ხარების უზენაეს ბატონ-პატრონად, რომელიც მათი სამეურნეო მიზნით, ე.ი. სეკულარული დანიშნულებით გამოყენებას არ უშვებს და მხოლოდ საკულტო (სამსვერპლო) ფუნქციას ანიჭებს. სწორედ ამიტომ სახეოთში ფუსნაბუასდის უსს ხარებს არ ამუშავებდნენ, არც დაკოდავდნენ, არამედ ნებაზე უშვებდნენ - საუფლო ხარი არ უნდა დატვირთულიყო მიწაზე მუშაობით, რითიც რიტუალურად ხდება მათი თავდაპირველ ყოფაში დაბრუნება⁷. მართალია, ჯგრაგი საღვთო ცხოველს მხვნელის ფუნქციას ანიჭებს, მაგრამ ხარების საკულტო მსხვერპლშეწირვა მაინც ფუსდის სახელზე ჩეხება. ჯგრაგი კი, რომელიც მამაკაცების მფარველად ითვლება, ადამიანებისთვის გამოსაყენებელს ხდის ხარის სოციალურ, უფრო ზუსტად - სამეურნეო ფუნქციას, გამოიყენებს რა მათ მხვნელად, ადამიანების დამხმარედ, რაც ძალიან ჰყავს წმინდა გიორგის ფუნქციას, რომელიც მას ქართულ ფოლკლორში განესაზღვრა, როცა ნარატივებში ის ქრისტე ღმერთზე მეტად ზრუნავს ხალხზე და მფარველობს მას, რაც ასევე კულტის გახალხურების შედეგია.

ფოლკლორის კვლევის სპეციფიკა მოითხოვს, რომ განვიხილოთ ლამარიას მითოსის ის ვარიანტიც, სადაც ჯგრაგი ანტაგონისტის როლში გამოდის, როგორც ლამარიას შეცდენის მსურველი. ამ ტექსტის მიხედვით, დევის მიერ ენგურის ჩახერგვა ჯგრაგის შურისძიების შედეგია, ხოლო დევი - მისი მოკავშირე (რ. ცანავა, 1984, გვ. 95)⁸. ტექსტი მნიშვნელოვანია იმითაც, რომ მასში არ მონაწილეობს კალას ლიგურეკ და ლამარია შეველას ხოშა ღერბეთს სთხოვს, რომელიც ლამარიას ვერძის გამოშვებას ურჩევს, ეს უკანასკნელი კი მარტო გაანგრევს კედელს. მოცემულ ნარატივში ჰიეროგამიის მსურველი ჯგრაგი დევთან ერთად არის წარმოდგენილი, ის თითქოს ანტაგონისტური ძალაა, ქაოსის

⁷ ანალოგიურად თავის ნებაზე იყო მიშვებული კობალას კურატები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში.

⁸ ფშავ-ხევსურულ მითოსში წმინდა გიორგი ან თვითონ ებრძების გველეშაბს, ან მისი ხარი/კურატი ებრძების.

ნიშნით აღბეჭდილი, რაც იქნებ ფოლკლორულ ვარიანტად ითვლება, მაგრამ სწორედ ამ თვალსაზრისით იქმნება შთაბეჭდილება, რომ ჯგრაგი (ხარის სეკულარული ფუნქციით აღჭურვილი) ისწრაფვის ლამარიას (როგორც მიწის ქალღვთაების) დასაუფლებლად, რათა განახორციელოს გამანაყოფიერებლის ფუნქცია (როგორც ხარი ემსახურება მიწის ნაყოფიერებას). ამ აზრით, მოცემული მითი კოსმოგონიური მითოსს რკალში ექცევა და ლამარიას დაუფლების სურვილი საგესტით გამართლებულია.

მხენელი ზოომორფული ჰიპოსტასით. აღსანიშნავია, რომ ლამარიაც და მისი მოკაფიირეც ტექსტებში თავიანთი ზოომორფული ჰიპოსტასებითურთ არიან წარმოდგენილნი. სვანურ ფოლკლორში ძირითადად ფიგურირებს ვერძი ან “ოქროსრქიანი ვერძი”, ე.წ. წმინდა ცხოველი, რომელიც მსხვერპლად უნდა შეიწიროს საღვთო რიტუალის დროს.⁹

ცონბილია, რომ სამსხვერპლოდ გამზადებულ ცხოველს დაბადებითვე განსაზღვრავდნენ სვანეთში (ამას განაპირობებდა ახალშობილი პირუტყვის განსაკუთრებული ფერი, ნიშანი ან სხვ.). სამსხვერპლოდ განკუთვნილ ცხოველს არასოდეს აბამლენენ, არ ამუშავებდნენ, განსაზღვრულ ტერიტორიაზე თავისუფლად უშვებდნენ და ამგვარად ამზადებდნენ საღვთოდ. სამსხვერპლო ცხოველისთვის, განსაკუთრებით ხარისთვის, სამეურნეო საქმიანობის ჩამოცილება უპირატესობას ანიჭებდა მის სამსხვერპლო ფუნქციას. მართალია, სამსხვერპლო ხარი არ იღებდა მონაწილეობას ხვნაში, არ ებროდა ულელში, მაგრამ მისი ნებაყოფლობითი ურთიერთობა მიწასთან - რქით მიწის ჩიჩქნა ანუ ბულრაობა, - შეუძლებელია, გულგრილად აღქმულიყო სვანების მიერ. ამიტომაც მთავარანგელოზის საღიდებელ სვანურ სიმღერაში თარინგზელის სამსხვერპლო ცხოველებზე ითქმის:

“შეწირული მისი ხარები,
მოჭედილი რქები ჰქონიათ,
მოედანი გადატყაული ჰქონია,
ქედ-ქედ ბულრაობენ,
შეწირული მისი ვერძები
ქედ-ქედ რქენენ [ერთმანეთს]...”
(სვანური, 1939, გვ. 317).

ცხადია, რომ ხენისაგან გათავისუფლებული, “სამღვთოდ” გამზადებული ხარი, რიტუალურად იბრუნებს თავის სოციალურ ფუნქციას და მისი ბულრაობა - რქით მიწის ჩიჩქნა - მოიაზრება მიწის გამანაყოფიერებელ ქმედებად; ამ ერთგვარი მაგიური ქმედებით სამსხვერპლო ცხოველი ორმაგ ფუნქციას ითავსებს, ხოლო მიწისა და ხარის კავშირი ღვთაებრივი კავშირის მატერიალიზებული გამოვლინებაა.

მთავარანგელოზის საღიდებელში მობულრავე ხარებისა და მოჭიდავე ვერძების გვერდიგვერდ მოხსენიება მათ ანალოგიაზე მიგვანიშნებს სამსხვერპლო ნიშნით. აღსანიშნავია, რომ ლამარიას ან კვირიკეს ვერძს მითოსის ფშაურ და კახურ ვარიანტებში წმ. გიორგის ხარი ან კურატი ენაცვლება, რომელიც

⁹ მითის სხვა - კახურ, ხევსურულ, ფშაურ - ვარიანტებში, რომლებშიც ასევე მთავარი მოტივი დატბორილი ტერიტორიის გათავისუფლებაა, მხსნელად გვევლინება წმინდა გიორგი ან მისი ხარი, ხშირად კურატი. ვერძი მხოლოდ სვანურ ფოლკლორში გვხვდება.

ებრძვის გველეშაპს და ამგვარად ათავისუფლებს დატბორილ ტერიტორიას. მითის ამ ვერსიებში იყვეთება ხარის (ლვთაების ჰიპოსტასის) კიდევ ერთი ფუნქცია - მიწის დაცვა: წმინდა გიორგის ხარი/კურატი მოდის როგორც მხსნელი, რომელიც მიწას წარდგნისგან გამოიხსნის. კვირიკეს ვერძი მისი კორელატია და მათი მთავარი ფუნქცია სწორედ მიწის (ლამარიას) გამოხსნაა. ამ აზრით, მოცემული მითოლოგიური ნარატივი სოტერიოლოგიური მითოსის უანრში ექცევა, სადაც სვანეთის მთავარი სალოცავები (კვირიკე, თარგლეზერი) მიწის გადასარჩენად იღვწიან. ხშირ შემთხვევაში ხსნა გველეშაპთან ბრძოლის მითოსური სქემით გამოიხატება, რაც კედლის განგრევის ფოლკლორულ ვარიანტს წარმოადგენს და თხრობის პერფორმანსულ ელემენტად გაიგება, რადგან ბრძოლის მომენტი არსებითად არაფერს ცვლის ტექსტში, არამედ, მხოლოდ და მხოლოდ ამძაფრებს ქაოს-კოსმოსის დაპირისპირებას. ამაზე მიგვანიშნებს ისიც, რომ ფშავ-ხევსურულ ტექსტებში, სვანურისგან განსხვავებით, ბრძოლა სახელდობრ მიწისთვის, დატბორილი ტერიტორიის წყლისაგან გათავისუფლებისთვის ხდება და არა რომელიმე კონკრეტული წმინდანის ან სალოცავისთვის. სვანურ ფოლკლორში არ გვხვდება ბრძოლის მოტივი და ლამარია უშგულის თემთან ერთად გამოხსნილია თავისი მოკავშირის მიერ. ამიტომ თავისი არსით სვანური ვერსია უფრო სოტერიოლოგიურია, ვიდრე დუალისტური; მაგრამ არც ის არის გამორიცხული, რომ საზოგადოების განვითარების რომელიმე ეტაპზე ხსნის მოტივის ნაცვლად ბრძოლის მოტივი ყოფილიყო, როგორც დუალისტური მსოფლებელის გამოვლინება, რაკი რიტუალურად ის შემორჩენილია ვერძობის სახით, ხოლო ფშავ-ხევსურულში ნარატიულადც დასტურდება.

გასათვალისწინებელია კიდევ ერთი ფაქტორი: სვანურ მთავარანგელოზის სადიდებელ სიმღერაში მობუღრავე ხარებთან ერთად მოხსენიებულია სამსხვერბლოდ შეწირული ვერძები, რომელიც “ქედ-ქედ რქენენ (ერთმანეთს)”. რა საერთო აქვს “ლილეს” ამ ეპიზოდს ლამარიას მითოსთან? ჩვენ მიერ გასულ წელს მოპოვებული ჩანაწერის მიხედვით, “დევმა რომ დაამთავრა ხევში უკვე კედლის აშენება და უკვე წყალი უშგულს მიადგა, “ლამარია” შეწუხებულა, ანუ ლვთისმშობელი. ეს მთავარანგელოს გაუგია და მიზეზი რომ გაუგია, უთქვამს ლვთისმშობლისთვის, წუნილი სიხარულით შეეცვალა, რადგან კედლის დასანგრევად თავის ვერძებს გამოუშვებდა. ლვთისმშობელს ძალიან გახარებია ეს ამბავი და მთავარანგელოზს გამოუშვია თავისი ორი ვერძი, რომლებსაც დაუნგრევიათ ის კედელი და ასე გადარჩენილა უშგული. ახლა რა ხდება: ეს დღესასწაული ტარდება თურმე მთავარანგელოზის ეკლესიაში და რიტუალიც მანდვე ეზოში, ანუ ვერძების შეჭიბრება. ხოდა ითვლება, რომ რომელი ოჯახის ვერძიც გაიმარჯვებს, იმ ოჯახში იქნება იმ წელს დიდი მადლი, სიხარული, შვილობა და მომატება, ანუ სიმრავლე” (შ. ქალდანი, მულახი, 2017). უპირველეს ყოვლისა, ჩანაწერში აშენაა ლამარიასა და ლვთისმშობლის იდენტურობა, მხსნელად კი გვევლინება არა წმინდა კვირიკე, არამედ თვით მთავარანგელოზი.

თარგლეზერი, როგორც “ყველა ლმერთის ვეზირი” იერარქიულად ხოშა ლერბეთის შემდეგ პირველია სვანურ რწმენა-წარმოდგენებში¹⁰. ჩანაწერში

¹⁰ მართალია, მას არ შეუქმნია სამყარო, მაგრამ მის მიმართ ლოცვაში: “კაიშა თარინგზელო, ნაშენებს და ცა-მიწას შენი შესაქრავი შემოაკარი” (ვ. ბარდაველიძე, 1939, გვ. 68) ჩანს, რომ ის აკონტროლებს მეწყერს, შეუძლია, შეარყიოს სახლების საძირკველი, თავისი შესაკრავით (სარტყელით/შდრ., კვირიას ლახტი ხევსურეთში) შეუძლია მიწა-წყალი დაიჭიროს.

შეცვლილია ფუსდის გალავანი, მაგრამ ცნობილია, რომ ვერძების შეჯიბრების რიტუალი არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ უშგულით, არამედ მთელი სვანეთის მასშტაბით ტარდებოდა, მათ შორის, მესტიაშიც. კვირიკესა და მთავარანგელოზის ვარიაციები კი კიდევ უფრო გამოკვეთს მათ ერთიან კულტად მოაზრებას. იგულისხმება, რომ თუკი ერთი და იგივე ფუნქცია - ამ შემთხვევაში გამოხსნის ფუნქცია - მიეწერება ორ განსხვავებულ პირს, ეს მარტო ფოლკლორული სახესხვაობა კი არ არის, არამედ მათი შინაგანი ერთიანობის დამადასტურებელია. აქვე აღვნიშვნათ, რომ ერთ ვარიანტში (ლამარია ხოშა ლერბეთს სთხოვს დახმარებას, ხოლო დახმარების სახით მისაგან იღებს ჩეხებას, რომ საკუთარი ვერძი გაუშვას უშგულილან და ასე გადაირჩინოს თავი) მაღალი ღმერთი არ ერევა მოქმედებაში, მაგრამ მისი ჩეხება, - რომელიც შეიძლება გავიგოთ, როგორც კურთხევაც და მაღლიც, - ოდენ სიტყვიერ მოწოდებად კი არ ჩეხბა, არამედ ლამარიასაღმი მოწოდება ხსნის პირობა ხდება და ქმედითი ძალა აქვს. ხოშა ლერბეთს არ სჭირდება მოქმედებაში ჩაერიოს, როგორც პერსონაჟი, მაგრამ მისი დასის წმინდანები - მთავარანგელოზი თუ კვირიკე, უკვე ნარატივის პერსონაჟები არიან.

თუმცა ერთია მითი, როგორც ფოლკლორული ჟანრი, და მეორე - მითი, როგორც ჩელიგიური კულტის შემადგენელი ნაწილი რიტუალთან და/ან ჩრდილი ტარმოდენებთან ერთად. დრო მუშაობს ფოლკლორზე და საკულტო ზეპირსიტყვიერება დროთა განმავლობაში შეიძლება ტრანსფორმირდეს, იმდენად შეიცვალოს, რომ დასცილდეს თავის თავდაპირველ საზრისს. ესაა ხალხური რელიგია, “ზალხური ქრისტიანობა” და, ბუნებრივა, მან თავისი ჩამოყალიბების გარკვეული ეტაპები განვლო, ვიღრე ჩენაძე მოაღწევდა იმ სახით, რა სახითაც მოაღწია. შეუძლებელია, რომ სვანეთში, როგორც მაღალმთიან რეგიონში, ქრისტიანული რელიგია იმგვარადვე განვითარებულიყო, როგორც ბარში - ქართლ-კახეთში, იმერეთსა და სხვა ჩეგიონებში - ვითარდებოდა, მაგრამ არც ის მგონია, რომ ჩვენს წინაპრებს სვანეთი ისტორიულად ქართულ სიწმინდეთა ყველაზე სანდო სახიზარად ექციათ და საფრთხეში დაეყენებინათ ქართული ქრისტიანული კულტურული მემკვიდრეობა ხატების, წიგნებისა თუ საეკლესიო განძეულის სახით. ვის გაუჩნდებოდა აზრი, რომ ქრისტიანული სიწმინდე “წარმართული სვანეთისთვის” მიენდო და ამგვარად გადაემალა? რომ აღარაფერი ვთქვათ სვანეთის უძრავ სიწმინდეებზე - ტაძრებისა და მათი მოხატულობის სახით: დაუშვებდა ისტორიულად უბატონო სვანეთი, - რაც ამ კუთხის ხასიათის თავისებურებასაც განსაზღვრავს, რის ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი უნდა ჰქონდეს სვანეთის გეოგრაფიულ მდებარეობას, - ქრისტიანული ტაძრების ასეთი რაოდენობით შენებას საკუთარ მიწა-წყალზე, თუ თავისი წარმართული კულტების დაცვას და შენარჩუნებას შეეცდებოდა?

შესაბამისი ინფრასტრუქტურის არარსებობა, ერთგვარი მოწყვეტა ბარის რეგიონებისგან, ზემო სვანეთს დიდ საფრთხეს უქმნიდა როგორც ეკონომიკური, ისე კულტურული თვალსაზრისით. ეს მართლაც იყო ბარისგან იზოლირებული კუთხე, რასაც კიდევ უფრო ამძაფრებდა წელიწადში შვიდ ან რვათვიანი მეტრი ზამთარი. რა უნდა ექნა მთებში გამოკეტილ კაცს, რომლის უბირველესი საზრუნვი რჩანის დაცვა და გამოკვება იყო? ქრისტიანობა, რომელმაც მთელი თავისი სწავლება ადამიანის სულიერ გამოხსნაზე დააფუძნა, ვერ უზრუნველყოფდა

მის პრაგმატულ მოთხოვნილებებს. პირველყოფილი რელიგიებისგან განსხვავებით, რომლებიც, ძირითადად, ნაყოფიერების კულტით იყო წარმოდგენილი და მითორიტუალური სისტემაც, შესაბამისად, ნაყოფიერების გაზრდას ემსახურებოდა, - ხსნა და გადარჩენა სამიწათმოქმედო თუ სამესაქონლო საქმიანობის დავლათიანობაში მოიაზრებოდა, - ქრისტიანობამ ადამიანის სულიერი ხსნა და გადარჩენა გახადა პრიორიტეტი და არა მიწის ნაყოფიერება, როგორც ადამიანის ფიზიკური გადარჩენის პირობა. ამიტომაც მიგვაჩინა, რომ არჩევანი, რომელიც ქრისტიანობამ გააკეთა, ნამდვილად იყო კაცობრიობის გამარჯვება, ხოლო ქრისტიანობა იყო ცალკეული ერის თუ ადამიანის არჩევანი ხსნისა და გადარჩენის გზაზე.

მაგრამ ხალხური რელიგია მიღრეკილია პრაგმატულობისკენ და დასაშვებია ისიც, რომ ნებისმიერ ეტაპზე შესაძლებელია აღმოცენდეს რაღაც სტრუქტურა, რომელიც დაემთხვევა ძველ სტრუქტურას. ნაყოფიერება ყველგან და ყოველთვის საჭირო იყო, ქრისტიანობამდეც და ქრისტიანობის შემდეგაც. თუ წარმართობას განვისაზღვრავთ როგორც ნაყოფიერების კულტს (რაც არის კიდეც მისი მთავარი ბუნება), ის შეიძლება წარმოიშვას და გააქტიურდეს ნებისმიერ ეპოქაში, ისტორიულად (გარეშე მტრების შემოტევებით, ქრისტიანული ეკლესიის ყურადღების მოღვნებით, მეზობლებთან ურთიერთობით და ა.შ.) ან ემპირიულად, რასაც კონკრეტული მისწრაფებები აჩენს და შესაძლოა, განპირობებული იყოს როგორც საზოგადოებრივი ან სოციალური მოთხოვნილებებითა და ყოფა-ცხოვრებით, ისე გეოგრაფიული მდებარეობით, გარეშე გავლენებით და სხვ.

მსგავს მოვლენას შენიშვნას ზურაბ კიკნაძე ისრაელის ისტორიაში, როცა უფლის რჩეული ერი პერიოდულად ბაალისტური კულტების, როგორც ნაყოფიერების გარანტების, თაყვანისცემას იწყებდა. ქანანური ბაალიზმი ნაყოფიერების კულტის მთელ სისტემას წარმოადგენდა ბაალ-აშერას ღვთაებრივი წყვილით, საკულტო გორაკებით, ოქროს ხბოს კერძებით და მსხვერპლშეწირვის რიტუალებით. საქმე ის იყო, რომ “მამა-პაპის შორეული, არსებითად მიუწვდომელი ღმერთის გვერდით ადგილობრივი ბაალების თაყვანისცემა მიწის ნაყოფიერების მოსაბოვებლად არ იწვევდა მათს (ისრაელის) სარწმუნოებრივ ცნობერებაში კონფლიქტს... ბაალი და აშერა უფრო გასაგები და მისაწვდომია ხალხისთვის, ვიდრე აბრაამის, ისაკის და იაკობის უხილავი და გამოუსახველი ღმერთი, რა ეპითეტებითაც უნდა ყოფილიყო იგი შემკული... ხალხისთვის კი აქ და ამჟამად არსებული სასიცოცხლო მოთხოვნილებებია გადამწყვეტი¹¹. სახეზეა აშკარად ტიპური მოვლენა, რომელიც ისრაელის თითქმის მთელ ისტორიას გასდევს და რაც იყო კიდეც ისტორიის ღმერთის, მიუხედავად მისი არაკომპეტურულობისა ნაყოფიერების საკითხებში, მთავარი საყვედური უფლის ერის მიმართ. იაჰვეს, როგორც მონოთეისტური ღმერთის, პარალელურად ბაალის თაყვანისცემა გაუცნობიერებლად იყო იაჰვეს უარყოფა, რასაც გამუდმებით ახსენებდა უფალი თავის რჩეულ ხალხს. ეს შეხსენება კი არც თუ იშვითად სჭირდებოდა ქანანის მიწაზე დასახლებულ ისრაელის ერს.

დიდი სასხელია უნაყოფო მიწა მიწის მკვიდრთათვის. ადამიანი მიბმულია მასზე და ეს ის საბედისწერო კავშირია, რომელიც შექმნითვე ჩაიდო კაცის

¹¹ ციტატები დამოწმებულია ზურაბ კიკნაძის ხელნაწერიდან, რომელიც პირადად გამაცნო, ვიდრე ბეჭდურ სახეს მიიღებს ავტორის ახალი წიგნი.

ბუნებაში. ადამიანმა იცის, რომ მიწისგან შეიქმნა და მიწად იქცევა; მშობელივით უყვარს ეს მიწა, იგია მისი საზრდოც და საზრუნავიც; შვილივით ზრუნავს მასზე და ხარობს მისი ნაყოფით, საკუთარი ნაღვაწით, როგორც შემოქმედი. უნდა თუ არა, მიწას უკავშირდება მისი კეთილდღეობა, ყოფნა-არყოფნა, ამდენად უნაყოფო ქალზე ღიდი წუხილია უნაყოფო მიწა. ერთია, რას სთავაზობს მას ქრისტიანული რელიგია და მეორე - როგორ ქმნის ადამიანი საკუთარ რელიგიას, როგორც კავშირს, მიწასთან. ამიტომ რა გასაკვირია, რომ თუნდაც ქრისტიანობის ხანაში დროდადრო თავი ეჩინა ხალხურ რელიგიას იმისგან დამოუკიდებლად, რას ისმენდა ის წირვა-ლოცვაზე; ეჩინა სწორედ იმ სახით, რა სახითაც ის ჩნდებოდა საუკუნეების განმავლობაში სხვადასხვა კულტურაში, სხვადასხვა კონტინენტზე; ეჩინა ზუსტად იმ ფორმებით, რა ფორმითაც ის ჩნდებოდა პრიმიტიულ - ე.ი. მთელი კაცობრიობის თავდაპირველ მდგომარეობასთან ყველაზე ახლოს მდგომ - საზოგადოებებში.

დამოწმებული ლიტერატურა

- 3. ბარდაველიძე, 1939** - ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, I, ახალწლის ციკლი, სსრკ მეცნ. აკადემიის საქ. ფილიალის გამ-ბა, თბ., 1939.
- 3. ბარდაველიძე, 1953** - ვ. ბარდაველიძე, ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, საქ. სსრ მეცნ. აკად, გამ-ბა, თბ., 1953.
- 3. გაბლიანი, 2008** - ე. გაბლიანი, ჭიხვი სვანეთის მთებში, თბ., 2008.
- ალ. დავითიანი, 1973** - ალ. დავითიანი, სვანური ანდაზები, ა. შანიძისა და მ. ქალდანის რედაქტიოთ, “შეცნიერება”, თბ., 1973.
- 3. თაყაიშვილი, 1913** - ე. თაყაიშვილი, ძველი საქართველო, ტ. II, ელექტრო-მბეჭდავი სპირიდონ ლოსაბერიძისა, თბ., 1913.
- 3. ინწყირველი, 2017** - ე. ინწყირველი, ბიბლიური ამბები ხალხურ ტრადიციაში, “შერიდიანი”, თბ., 2017.
- 3. კაკრიაშვილი, 2010** - ნ. კაკრიაშვილი, უშგული - სვანეთის საქართველოს ევროპის სათავე, “უნივერსალი”, თბ., 2010.
- 3. კიგნაძე, 2016** - ზ. კიგნაძე, ქართული მითოლოგია, I, ჭვარი და საყმო, ილიაშვილის გამ-ბა, თბ., 2016.
- სვანური ლექსიკონი, 2000** - სვანური ლექსიკონი, შემდგ. ვ. თოფურია და მ. ქალდანი, თბ., 2000. - ინტერნეტ-ვერსია.
- სვანური პოეზია, 1939** - სვანური პოეზია, I, სიმღერები შეკრიბეს და ქართულად თარგმნეს ა. შანიძემ, ვ. თოფურიამ, მ. გუჯეჩიანმა, სსრკ მეცნ. აკად. ფილიალის გამ-ბა, თბ., 1939.
- 3. ჩართოლანი, 1961** - მ. ჩართოლანი, ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა, თბ., 1961.
- რ. ცანავა, 1984** - რ. ცანავა, ოქროს საწმისი, მუხა, გველეშაბი არგონავტების მითსა და ქართულ ფოლკლორში, ქართული ფოლკლორი, XIV, “შეცნიერება”, თბ., 1984, გვ. 93-107.

ETER INTSKIRVELI

INTERRELATION OF MYTH AND RITUAL IN SVANETIAN FOLK AND EVERYDAY EXISTENCE

The paper tries to deal with the issue of the origin of Svanetian folk ritual - *Liuskhuari*. In Svanetian folk it is connected to famous tale about congestion of Enguri and flooding Ushguli territory which was the revenge of *Devi* against *Lamaria*. This ritual precedes the beginning of mowing in Svanetian living style. The work analyses not only the relation of myth and ritual, but also, it explains the Christian base of pagan ritual according to this concrete example and Svanetian mythoritual system peculiarities.

ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის წელიწლები
ANNUAL OF KUTAISI PUBLIC LIBRARY

IX

2017

რუსულან ქაშია

სვანერი სარწმუნოებრივი წეს-ჩვეულებაზე
(ძირსალოცავები)

სვანეთიდან ბარის რეგიონებში შიდა მიგრაცია XXL. 70-80-იან წლებში ორგანიზებული წესით მოხდა. მშობლიური კუთხიდან საქართველოს სხვა კუთხებში ჩასახლება, გარდა ურბანული პროცესებისა, სვანეთში მომხდარმა სტიქიურმა უბედურებებმა გამოიწვია.

1987 წელს სვანეთში სტიქიურმა უბედურებამ 2 ათასამდე სახლი დაანგრია. დაიღუპა 87 ადამიანი. უსახლეაროდ დარჩენილები ჩასახლეს ქვემო ქართლში: ბოლნისის, დმანისის, გარდაბნის, საგარეჯოსა და თეთრიწყაროს რაიონებში. დასავლეთ საქართველოში — ოზურგეთის, ხონის, ხობისა და წყალტუბოს რაიონებში. მოგვიანებით ეს დასახლებები ახალი მიგრანტებით შეივსო.

ბარის სხვადასხვა რაიონში სვანები, ძირითადად, კომბაქტურად არიან ჩასახლებულნი. ისინი არ წყვეტინ კავშირს წინაპართა საცხოვრებელთან, ძირსალოცავებთან. მათ შემოიღეს ახალი დღესასწაული — საგვარეულო შეკრებები, რომლებიც ეწყობა მთაში არსებული სასოფლო და სათემო დღესასწაულების დროს (რ. თოფჩიშვილი, 2015, გვ. 180-181).

ქრისტიანული დღესასწაულები, ცხადია, საქართველოს ყველა კუთხეში ერთნაირად ტარდება.

სვანური საწესო ტრადიციების შენარჩუნება, თვითგამიჯვნა, ძირითადად, ძირსალოცავებთან კავშირსა და სვანური ხალხური დღეობების აღნიშვნაში გამოიხატება, როდესაც სვანეთიდან ჩამოსულები საკუთარ რიტუალურ წეს-ჩვეულებებს ატარებენ და ადგილობრივი მოსახლეობა მასში მონაწილეობას არ იღებს.

ჩვენ მიერ მოკვლეული ეთნოგრაფიული მასალებით ვასკნით, რომ ძირსალოცავებთან კავშირი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დღემდეა შენარჩუნებული. ასე მაგალითად, ილორის ტაძარში (ბოლო წლებამდე) ჩადიოდნენ სალოცავად იმერეთში, ს. მათხოვში მცხოვრები ფარცხალაძეები და აღამიები.

ლეჩებუმის მკვიდრი სილაგაძეები სალოცავად მიღიან ს. ლეშვაშში, წმინდა ხის - მუხით წარმოდგენილ სალოცავზე ელიობას. ასევე, მულახიდან ქოჩიანები დასახლებულან ზესხოსა და ცაბაში, ლოცულობენ მულახის სალოცავზე ბარბარობის დღესასწაულს. სოციალური დაპირისპირების გამო ლეჩებუმს თავშეფარებული ბახსოლიანები ლოცულობენ წმინდა ხესთან (დ. შავიანიძე, 2007, გვ. 386).

სვანები განსაკუთრებით ინარჩუნებენ კავშირს ძირსალოცავებთან, უბირველესად თავიანთი სოფლის ეკლესიებთან: ყველაზე მთავარანგელოზი, ხოფურის წმ. გიორგი, ჭველიერის მთავარანგელოზი და სხვ. “იმ ეკლესიის შემკრედ” თვლიან თავს. ლენტეხის მოსახლეობას აერთიანებს ფაყის სალოცავი, როგორც უწოდებენ — “ყველაზე ძლიერი სალოცავი”. საქართველოს სხვა

კუთხებში ჩასახლებული სვანური ოჯახების მყარი ტრადიციად ყოველწლიურად ფაქობის, იმავე სკალდობის, დღესასწაულზე დასწრება და შესაწირის მიტანა.

აღდგომიდან მეშვიდე კვირას, ქვემო სვანეთში, სკალდის მთაზე, მთავარანგელოზის ეკლესიაში აღინიშნება სკალდობის დღესასწაული. აქ ქალები არ დაიშვებიან, იგი მხოლოდ მამაკაცთა სალოცავია. ქალები სკალდის მთის ძირში, სოფელ ფაყში მდებარე ღვთისმრბლის მიძინების ტაძრში ლოცულობენ, ამიტომ დღესასწაული ასევე ფაყობის სახელითაა ცნობილი. დღეობა მოძრავია და ემთხვევა ქრისტიანულ სულთმოფენობას.

ამ დღისათვის აცხობენ განსაკუთრებულ ყურებიან პურებს, შესაწირს ამზადებენ იმ სოფლებში, სადაც ცხოვრობენ და იქიდან მიაქვთ სვანეთში. ის ოჯახები, რომლებიც ვერ ახერხებენ წასვლას, სხვადასხვა მიზეზის გამო, შესაწირს ატანენ თავიანთ ახლობლებს.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ჩასახლებული სვანების მიერ სვანური საწესო ტრადიციების შენარჩუნება, მარტო ძირსალოცავებთან კავშირით არ შემოიფარგლება, ისინი ტრადიციული წესების დაცვით ასრულებენ სვანურ ხალხურ დღეობებს.

როგორც აღვნიშნეთ, არსებით განსხვავებას ძირითადად ხალხური დღეობები ქმნის, რაც სვანურ მოსახლეობას თვითგამიჯვნის, კუთხობრივი იდენტობის შენარჩუნების შესაძლებლობას აძლევს. ამ საკითხთან დაკავშირებით ასეთი შეფასებები მოვისმინეთ: “ჩემ ღმერთს უულოცავ” — გვითხრა 66 წლის ქათორ ტვილდიანმა. “ჩვენ ჩვენი წესებით მიყვობით ამ დღესასწაულებს და აქანე ხალხის წესებში არ ვერევით” (მთხრობელი მელაშო ლიპარტელიანი, 72 წლის. მასალა ჩაწერილია ხონის არაინის ს. კუჭში, 1996წ.).

ტრადიციულ დღეობებს იმერეთში დამკვიდრებული სვანები სკარობას - საერთო დღესასწაულს უწოდებენ. აღარ აღინიშნება დღესასწაულთა ის რთული, რიტუალებით დატვირთული ახალწლის სადღესასწაულო სისტემა, რომელიც სრულადაა აღწერილი მკვლევარ ვერა ბარდაველიძის შრომებში.

სკარობა (სალასკარო დღეობა) ვ. ბარდაველიძის ნაშრომში განმარტებულია, როგორც “მოსახლეობის სადღეობო დაწესებება, რომელიც ერთი ან რამდენიმე გვარის მეზობლად მოსახლე ოჯახებისაგან შედგება” (ვ. ბარდაველიძე, 1939, გვ. 207).

სკარობა აღინიშნება კენჭისყრით ვინმეს ოჯაში. ამ დღეს სწირავენ მოზვერს და სანთლების წინ სვანურად ლოცულობენ. იმერეთში სკარობა ერთი სოფლიდან ჩამოსული მოსახლეობის “შემკრელ” ითვლება. სკარობას სოფლის უბნები სხვადასხვა ღროს აღინიშნავენ. ერთგან ტარდება აღდგომიდან ორი კვირის შემდეგ (ემთხვევა ფუსტალ-ტაბლიერის დღეობას), ზოგან ტარდება სვანური ბემბლუს დღეობის ღროს (ყველიერის წინა შაბათი) და ა. შ.

იმერეთში მცხოვრები სვანები ინარჩუნებენ და ყველა რიტუალური წესის დაცვით ასრულებენ სვანურ ხალხურ დღეობას - “სულთა მობრძანებას”. ქვემო სვანეთში, ლენტებში, ამ დღეობას ქუნარეში ჰქვია, ზემო სვანეთში იგი ლიფანალის სახელითაა ცნობილი. ჩოლურის თემიდან ჩამოსულები, ზემო სვანეთის მსგავსად, დღეობას ლიფანალს უწოდებენ.

ლეჩენუშში “სულთა მობრძანება” ერთი დღით, ნათლისღების წინა დღეს აღინიშნება. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (ხევსურეთში, ფშავში,

თუშეთში) ოჯახის წინაპართა კულტის პატივისცემის რწმენის გამომხატველია სულთაკრების რიტუალი, როცა ყველა წინაპარი, ხალხური რწმენით, სახლში ბრუნდება და ოჯახის ცოცხალი წევრების ვალია მათი სტუმრობა და სათანადოდ გამასპინძლება. აღმოსავლეთ საქართველოს მთანეთში სულთა კრება დიდმარხვის მეორე კვირის შაბათ დღეს იმართება (დ. გიორგაძე, 1973, გვ. 400).

სხვადასხვა კუთხეში ჩასახლებული სვანები ინარჩუნებენ რწმენას, რომ წინაპართა სულები ადამიანთა ცხოვრებაზე ზეგავლენას ახდენენ, ამიტომ საჭიროა მათი გამასპინძლება, გულის მოგება, ყველა ტრადიციული წესის შესრულება, რათა სულებმა ოჯახს არაფერი ავნონ, როგორც ამბობენ, “ვინმე არ წაიყვანონ იმ წელიწადში” (მთხრობელი ციალა ონიანი, ს. კუხი, 1997წ.).

ლიფანალი ზემო სვანეთში შედარებით მყარი დღეობაა, რადგანაც იგი წყალკურთხევის წინადღეს, ესე იგი 5 იანვარს იწყება და მომდევნო ორშაბათს მთავრდება. ქვემო სვანეთში (ლენტეხი, ლაშეთი, ჩოლური), ქუნარეში შედარებით მოძრავია: იწყება მუდამ ახალწლის ხუთშაბათს და მომდევნო ხუთშაბათამდე გრძელდება. თუ მაგალითად, ახალი წელი სამშაბათს ან ოთხშაბათს დაემთხვევა, მაშინ “სულთა მობრძანება” მის წინ ხუთშაბათს იქნება, ხოლო თუ ახალი წელი სხვა დღეს მოხვდება, მაშინ დღეობა ახალი წლის შემდეგ პირველ ხუთშაბათს დაიწყება (ვ. ბარდაველიძე, 1939, გვ. XI). ზემო სვანეთში ლიფანალის მეორე დღე წყალკურთხევის, განცხადების სახელითაა ცნობილი. ქვემო სვანეთში კი, იმის მიხედვით, რომელ დღეს იწყება ქუნარეში, ხან შედის მასში წყალკურთხევა, ხან არა (ვ. ბარდაველიძე, 1953, გვ. 263).

როდესაც ვადარებთ იმ სოფლებში ჩაწერილ მასალას, სადაც სვანები კომპაქტურად ცხოვრობენ, ვერა ბარდაველიძის მიერ სარულად აღწერილ და შესწავლილ ქუნარეშის (ლიფანალის) დღეობას, ვრწმუნდებით, რომ იმერეთში მცხოვრები ლენტეხელი სვანები ძირითადად ინარჩუნებენ სულთა მობრძანების რთული რიტუალური წესებით მდიდარ ტრადიციას; ვიტყვით მხოლოდ, რომ ზოგიერთი წესი რამდენადმე გამარტივებულია, ზოგმა კი სახე იცვალა. ჩვენ არ შევუდგებით ყველა რიტუალის აღწერას, რომელიც ხუთშაბათიდან სწორ ხუთშაბათამდე სრულდება. გამოვყოფთ მხოლოდ რამდენიმე წესს, რომელსაც იმერეთში მცხოვრები სვანები სახეცვლილი ფორმით ასრულებენ: გამარტივებულია ადათი, რომელიც ჭანმრთელი და “კოჭლი”, ან “დავრდომილი სულების” მობრძანების დროს ასხვავებს (ხალხური რწმენით, კოჭლ და დავრდომილ სულს სიარული უჭირს, ამიტომ მათი სულები დაგვიანებით მოდიან). ეს დღე სვანეთში ჩალგარობის სახელითაა (ცნობილი). იმერეთში ამ დღეს ცალკე აღარ გამოყოფენ. ასევე გამარტივებულია სასაკურთხე კვერების ცხობის დროს ხულის (ტყეში ამ დღისათვის მოჭრილი არყის ტოტები) გამოყენების სვანური ტრადიცია, იმერეთში იგი ნიგვზის ტოტებმა შეცვალა. შესუსტებულია ქუნარეშის დღეებში ნახშირის წასმის წესი. სვანური ტრადიციით, ეს იყო ნიშანი, რათა მიცვალებულთა სულებს არ არეოდათ და არ წაეყვანათ ცოცხალი აღამიანი იმქვეყნად. იმერეთში ჩასახლებული სვანები მხოლოდ ბავშვებს უსამძენ ნახშირს სულთა გასტუმრების დროს. უმრავლესობამ აღარ იცის, რა რწმენას ემსახურებოდა ეს წესი.

ყველა სხვა რიტუალი, იქნება ეს აღდგომის, სულთმოფენობის, საკურთხის სუფრის, საღამოობით სულების გართობის, გასტუმრების წესები და სხვა, ძველი, სვანური ტრადიციის ზუსტი დაცვით სრულდება.

ჩოლურიდან ჩამოსულებს საკუთარი დღეობა აქვთ — ხატიშობა ანუ “ხატის გამობრძანება”. ამ დღეობაში მონაწილეობას არ იღებენ არც ლენტეხილან და არც ლაშეთიდან ჩამოსულები.

ხატიშობა ჩოლურში დაუთქვამთ, მათივე თქმით, “უხსოვარ დროს” ჰირის ეპიდემიის გამო. დღეობა მოძრავია, ტარდება ხორციელის წინა სამშაბათს. ჩოლურში ამ დღეს ეკლესიიდან ხატს გამოაბრძანებდნენ და ლოცულობდნენ. ხატიშობას იმერეთში მცხოვრები ჩოლურიდან ჩამოსული მოსახლეობა კენჭისყრით ვინმეს ოჯახში აღნიშნავს. ამ დღისთვის კლავენ მოზვერს, აცხობენ სპეციალურ ნიგვზიან პურებს, რომელსაც ჯვარი უკეთდება, მას “მამაკაცის ვარსკვლავს” ეძახიან. ამ დღის ლოცვას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ.

ბარის რეგიონებში ჩასახლებული სვანები დიდი მზრუნველობით იცავენ და ინარჩუნებენ სარწმუნოებრივ წეს-ჩვეულებებს, რომლებიც ძირსალოცავებთან კავშირითა და სვანური ხალხური დღეობების აღნიშვნით გამოიხატება.

დამოწმებული ლიტერატურა

- 3. ბარდაველიძე, 1953** — ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, VI, თბ., 1953.
- 3. ბარდაველიძე, 1939** — ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, I, ახალწლის ციკლი, თბ., 1939.
- 3. ბარდაველიძე, 1953** — ვ. ბარდაველიძე, ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, თბ., 1953.
- დ. გორგაძე, 1973** — დ. გორგაძე, მიცვალებულთა სულების მოსახსენიებელი დღე — სულთა კრება, აღმოსავლეთ საქართველოს მთიულები, საისტორიო კრებული, თბ., 1973.
- რ. თოფჩიშვილი, 2015** — რ. თოფჩიშვილი, სვანეთი და სვანეთის მკვიდრნი, თბ., 2015.
- დ. შავიანიძე, 2007** — დ. შავიანიძე, საქართველოს მთის მოსახლეობის ეთნოსტორიიდან (სვანეთის რამდენიმე სოფლის ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით), ქართველური მემკვიდრეობა, XI, ქუთ., 2007.

RUSUDAN KASHIA

RELIGIOUS HABITS (SHRINES) OF SVANETI

Domestic migration from Svaneti to lowland regions took place during the 70-80s of the XX century in organized manner. It was primarily caused by the natural disasters.

Svaneti people compactly settled in lowland villages don't suspend the relations with the lands of their ancestors, shrines, first of all to the village churches: Archangel of Kvedreshi, St. Giorgi of Khopuri, Archangel of Tchvelieri. The population of Lentekhi is united by the shrine of Paki. Attending the celebration of Paki and make donations is one of the most stable traditions of Svaneti population. Retaining traditions is also revealed performing folk celebrations by Svaneti people living in different regions.

Svans living in Imereti maintain the folk performance - "coming of souls" and perform it according to all the rules of the ritual.

Skaroba is celebrated by voting in someone's family. They sacrifice the cow and prey in a local way with candles. In Imereti Skaroba is considered as a gatherer of a population of one village. People from Choluri have their own celebration - Khatishoba which means "worshiping the icon".

**ქათაისის საჯარო ბიბლიოთეკის წლიური განცხადება
ANNUAL OF KUTAISI PUBLIC LIBRARY**

IX

2017

მარიამ კობერიძე

**სვანეთის ეთნოგრაფიული ყოფის ამსახველი ლექსიკა
XIX საუკუნის II ნახევრის პრესის მასალები
(ლაზარე დადუანის, ბესარიონ ნიუარაძისა და ივანე მარგიანის
წერილების მიხედვით)**

ნაშრომში განალიზებულია ლაზარე დადუანის, ბესარიონ ნიუარაძისა და ივანე მარგიანის მიერ XIX საუკუნის II ნახევრის ქართულ პრესაში გამოქვეყნებულ წერილებში დადასტურებული ძველი სვანეთის ყოფა-ცხოვრებისათვის დამახასიათებელი ნიშნების, ადათ-წესების, ცხოვრების პირობებისა და ხალხის მისწრაფებების აღმნიშვნელი ლექსიკა. ძველ პერიოდიკაში გაბნეულ ამ წერილების მნიშვნელობა განუზომელია ეთნოგრაფიისა და ლექსიკოლოგიისათვის.

ლაზარე დადუანს, ბესარიონ ნიუარაძესა და ივანე მარგიანს უდიდესი ლვაწლი მიუძღვით სვანეთის შესწავლის საქმეში. ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ იმ დიდ ეროვნულ-განმანათლებელ მოძრაობაში, რომელიც ილია ჭავჭავაძემ და მისმა თაობამ დაიწყო. სვანეთის მრავალრიცხოვანი კოშკები, ეკლესიები, სვანური სიმღერები, ცეკვები, საყოფაცხოვრებო ტრადიციები და მათი სახელწოდებები ამ კულტის დიდ კულტურულ წარსულთან ერთად მიგვანიშნებს ლექსიკური მარაგის სიუჩვეზე.

ლაზარე დადუანი დაიბადა 1851 წელს ზემო სვანეთში, მულახის თემის სოფელ მუჟალში, გარდაიცვალა 1894 წელს. იგი სვანეთის ბირველი მკვიდრია, რომელმაც მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში გაზეთებისათვის წერილების მიწოდება დაიწყო და ამით შესაძლებლობა მისცა ქართველ მკითხველს ცოტად თუ ბევრად გასცნობოდა საუკუნეობით მიძინებული და მივიწყებული სვანეთის ყოფა-ცხოვრებას. ათი წლის მანძილზე აწვდიდა პრესას ლაზარე დადუანი თავის წერილებს. ამ ხნის განმავლობაში იგი თითქმის მარტოდმარტო წერდა სვანეთზე. ცნობილი მოღვაწის ბესარიონ ნიუარაძის თანამშრომლობა ქართულ უურნალ-გაზეთებში ძირითადად 1880 წლიდან იწყება. საინტერესოა ის გარემოება, რომ 1881 წლიდან, როდესაც ბესარიონ ნიუარაძე იწყებს ინტენსიურ სამწერლო მოღვაწეობას, ლაზარე დადუანი ძირითადად წყვეტს თანამშრომლობას ქართულ ბერიოდიკაში და ამის შემდეგ მისი მხოლოდ ორი წერილი გვხვდება (გ. ავალიანი, გ. ზურაბიანი, 1973, გვ. 7-8). ლაზარე დადუანის პრესაში გამოქვეყნებული წერილებიდან აღსანიშნავია: “შობა-ხალწელიწადი სვანეთში” (“დროება”, 1875, I, 17, №8), “უფლიშის დღესასწაული სვანეთში” (1876, VI, 20, №62), “კოხი (სეტყვა) სვანეთში” (“სასოფლო გაზეთი”, 1875, VI, 30, №4), “მამასახლისი და სუდიები სვანეთში” (“სასოფლო გაზეთი”, 1875, №5), სოფ. ბექო (სვანეთი) (გაზეთი “ივერია”, 1891, I, 129, №22).

ლაზარე დადუანის ეთნოგრაფიულ წერილებში დასტურდება: **აღაბი.** “სვანეთის ჩვეულებებს შუა მეტისმეტად შესანიშნავია მკვდრის დასაფლავება,

მისი სუფრის კურთხევა, **აღაპის გადახდა** და სხვა... მკვდრის ჭირისუფალი მოამზადებს მრავალ არაყს, პურს, ხუთ ხარს, მთელ მახლობელ სოფლებს დაპატიჟებს, დაათრობს, გააძლებს და გაუშვებს სახლში” (ლ. დადუანი, 1973, გვ. 12-13). შდრ.: “აღაპი - მკვდრისათვის ჭამა” (საბა, 1991, გვ. 75). **აღაპის** ერთ-ერთი სახეა **ლაგვანი**. ”ამ **ლაგვანზედ** მკვდრის ჭირისუფალი მოაგროვებს ხოლმე მარტო პურს და არაყს. პური ბლომათ უნდა იყოს გამომცხვარი. დაპატიჟებს თითქმის მთელს მახლობელ სოფლელებს და შორებლებსაც” (ლ. დადუანი, 1973, გვ. 13). შდრ.: ”ლაგვნი პირფართო სარწყული” (საბა, 1991, გვ. 403). **ლაგვანს** მოსდევს დიდი **აღაპი** ”რომელსაც ეძახიან ბაცხს” (იქვე).

მაკვლიერდი (მეკვლე). ”მოიმარაგებენ თაფლს, ყველს, ხორცს და სხვას. **გიდელში** ჩაწყობენ და კარებთან დაჰკიდებენ, რომ მაკვლიერლს მზად დახვდეს” (“დროება”, 1875, I, 17, №8).

კარგა. ”მაგან უნდა მაძლიოს წელიწადში, შენ ხარ ჩემი ბატონი, ერთი **კარგა პური**” (კარვა - ერთი აბაზი პური) (“სასოფლო გაზეთი”, 1875, №5).

კოხი. ”ვგონებ, ჩვენს საქართველოს ადგილებში ისე ხშირად მოდის **სეტყვა (კოხი)**, როგორც სვანეთში”... (“სასოფლო გაზეთი”, 1875, VI, 30, №4). შდრ.: ”კოხი ქვა, რომელიც ცეცხლში არ დასქდება” (საბა, 1991, გვ. 387). ზემოაჭარულში დაუმუშავებელი, ქვიანი მიწა არის კოხი (მ. კობერიძე, 2011, გვ. 69).

უფლიში (კვირაცხოვლობა). ”თუმცა სვანები დღესასწაულობენ წმინდა აღდგომას ქრისტიანულად, მაგრამ ისრე სიხარულით არ მიეგებებიან, როგორც უფლიშს (კვირაცხოვლობა)... ეს კვირა უფლიშის წინამორბედია; ამ კვირიდამ დაიწყებს ის მოსახლე არყის შზადებას უფლიშისათვის; არაყი უნდა მოხარუს თავის საკუთარ ჭირნახულიდამ ათ ქვაბამდინ, თვითო ქვაბში გამოვა თვითო ვედრო არაყი; ამ მოსახლესვე უნდა ჰყვანდეს გასუქებული საკლავები, ხარი ან ვერძები და სხვა **წერილმანი საკლავები**. თვითოეული მოსახლე უნდა შეეწიოს ორ-ორ ვედრო არაყი. ამგვარ შეკრებულებას ეძახიან **“სკარს” (სკარი ქართულად სხვებრ არ გადითარგმნება თუ არ ფსონობა)**. **“სკარი** ყველას არ ექნება, ზოგიერთი მარტო თავის სახლში დღესასწაულობს, მაგრამ მილოცვაში კი ყველგან დაესწრება” (“დროება”, 1876, VI, 20, №62). ”ფსონის” ბერძნულიდან ნასესხობაზე მიუთითებს ნიკო ჩუბინაშვილი, რომელსაც ასე განმარტავს: ”პური, ქართულად უხმობენ ამხანაგთაგან ნადიმსა პურის მტედ სანოვაგეთ შემოკრებითა, ანუ თავთავისის პურით გინა ხარჯით, ვითა ყრმათა ფსონსა ეწოდების არითანა. მისგან ამფსონი პურის მტე” (ნ. ჩუბინაშვილი, 1961, გვ. 361, 397).

გიდელი კვარი. ”რა უნდა გაძლიოს შენ ამ ერთმა გლეხმაც რალაცაზედ უჩივლა ამ აზნაურს-ერთი **გიდელი კვარი**” (“სასოფლო გაზეთი”, 1875, №5). ”გიდელი სკივრი დაწნული” (საბა, 1991, გვ. 169). ”გიდელი (გიდელისა) მოგრძო პირგანიერი და ძირწაზეტილი, უყურო გოდორი (იყენებდნენ მაღლარზე მოკრეფილი ხილის ჩამოსაშვებად, ძირს ჩამოსატანად) (ქეგლ, 2010, გვ. 1549). ”კვარი ფიჭვის (ან ნაძვის) ანახეთქი ფისიანი ნაჭერი, სანთელივით იწვის” (www.nplg.gov/gwdict/index.php?a=term&d=14&t=29478).

ორცეხური სიძლერა (ორხმიანი სიძლერა). ”შოდით აქ, ხელი მომკიდეთ და გავაბათ ძველი ჩვენი მამა-პაპური **ორცეხური სიძლერა** და გავაგონოთ

ჩვენს ახალგაზრდებს, თუ როგორ იმღეროდნენ ჩვენზე უკეთესები ჩვენი ძველები” (“დროება”, 1876, VI, 20, №62).

გაკოწვილი (შემწვარი, შებოლილი). “სადილად დასხდებოდნენ თვითონეულ მოსახლიდამ თვითო კაცი არყით, პურით და ცეცხლის ალზე გაკოწვილი ბირუტყვის ლვიძლით (თვითონეული სვანი აგიხსნით, რომ ეს ლვიძლის შეწირვა ძველითანვე აქვთ ნაანდერძევი)” (“დროება”, 1876, VI, 20, №62).

ხოშა ლერმეთი (ლვთაება). “წავლენ ერთ მაღალ გორაზედ, სადაც არის ძველი ნაეკლესიევი; იქ შესწირავენ თავიანთ საგზალს ხოშა ლერმეთს (ლვთაებას) და თვითონვე შესჭამებ” (“დროება”, 1876, VI, 20, №62).

ავადმყოფობის სახეები: “წელს მთელს სვანეთში განშირებულია ყოველნაირი ავადმყოფობა: ცხელება, მუცელა, ფერდა, წითელა, ჟავილი და სხვა” (“ივერია”, 1891, I, 29, №22).

გინგლა. “მივიდა ეს დედაბერი და გინგლა მოიბარა” (“ივერია”, 1891, I, 29, №22). შდრ.: “გინგილა საღიაპნო ოლარი მნარჩედ გადასაკიდები გრძლად წინ და უკან” (ნ. ჩუბინაშვილი, 1961, გვ. 178).

ბესარიონ ნიუარაძე, ანუ როგორც ქართულ უურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული წერილების უმრავლესობას აწერს, “თავისუფალი სვანი”, ქართველი მყითხველისათვის კარგად ცნობილი მოღვაწეა. მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი ცნობები ასეთია: ბესარიონ შიოშის ძე (შიოს ძე) ნიუარაძე დაიბადა 1852 წლის 21 ნოემბერს ზემო სვანეთში, სოფელ უშგულში. 1866 წელს იგი შევიდა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, რომელიც დაამთავრა 1874 წელს და ჩაირიცხა თბილისის სასულიერო სემინარიაში. მსახურობდა მღვდლად იფარისა და მესტიის ეკლესიებში, ამასთან სისტემატურად მასწავლებლობდა და აქტიურად თანამშრომლობდა ქართულ უურნალ-გაზეთებში, გარდაიცვალა 1919 წლის მაისში, დაკრძალულია უშგულის ლამარის ეკლესიის გალავანში (გ. ავალიანი, გ. ზურაბიანი, 1973, გვ. 47). სხვადასხვა დროს გაზეთ “დროებისა” და გაზეთ “ივერიის” ფურცლებზე დაიბეჭდა მისი წერილები: “სვანეთიდამ, 31 დეკემბერს” (“დროება”, 1870, I, 11), “სვანეთი” (1883, IV, 10), “სწავლა-განათლების საქმე სვანეთში” (1883, IV, 26), “სვანეთი, 27 აგვისტო” (“ივერია”, 1887, IX, 17), “წერილი რედაქციის მიმართ” (“ივერია”, 1893, I, 19) და სხვა.

ბესარიონ ნიუარაძის წერილებში დასტურდება საინტერესო ლექსიკური ერთეულები. მაგ.: **“შალიანი”**. “ეკლესიაში სხვა ხატებს შორის, შესანიშნავი არის ერთი, რომელსაც სვანები **“შალიანის”** უწოდებენ. ეს შალიანი ჯვარცმის ხატია. ზეპირსიტყვიერების მიხედვით შალიანი კაცის სახელი ყოფილა” (“დროება”, 1884, №204).

“ლელვლიაქი” (პურის საწყაო). “გამოიღეს კომლზე თვითო **“ლელვლიაქი”** ქერი (ლელვლიაქი პურის საწყაო - 1 ფუთი) (“დროება”, 1884, №204). ამ მოგროვილი ქერით, რომელსაც სვანურად **“ზორ”** (ქართულად ზორა) ჰქვია, ხალხი ყიდულობს საკლავებს მსვეერპლად ღვთისადმი. მარტში ხალხი იხდის კომლზე თვითო **“ჩაბანალ”** ქერს (ჩაბანალი ლელვლიაქის მეექვსედია, აბაზად ჰლორს), რომელიც ფულად შეადგენს 13 მან. ა 40 კაბ. სულ საზოგადოებიდან მოიბოჭება 201 **ლელვლიაქი**” (“დროება”, 1884, №204).

“მუგვანე”. “მიცვალებულს კაცებზე უწინ ქალები იტირებენ. ამათ წინ მიუძღვის ერთი “შოტირალი” ქალი (მუგვანე), გამოცდილი, რომლის განსაკუთრებით ხელობასაც შეაღენს ნაჩენები საქმე” (“დროება”, 1884, №204).

“ლევდუნი”. “მიცვალებულის საფლავზე მიაქვთ ჯამის მსგავსი ხის ჭურჭელი და შიგ უდევს სამი პაწია პური; პურებს შუა დგას ხის სტაქანი თაფლით. ამ ჭურჭელს თავისი მოწყობილობით სვანურად ჰქვია “ლევდუნი” და წამოებ კაცს “ლევდუნი მუესი” (“დროება”, 1884, №204).

“ლაშონებალი” (სამარხი სადილი). “რომელიც შედგება პურის, სამარხოს და არაყისაგან” (70).

“შესაწიგარი”. “სვანეთში არსებობს ჩვეულება ჭირისუფლის შეწევნისა. ენგურის ხეობაში მდებარე სვანეთში ეს შესაწიგარი (ნაწიგა) შეაღენს მანეთის სალირალ არაყს, მოსავალს, წმინდა სანთელს, მარილს და სხვა” (“დროება”, 1884, №47).

“ასაბია” (სასაფლაოზე წამყოლი კაცები დაკრძალვის დღეს). “ახლო ნათესავი წაიღებს დამარხვის დღეს მიცვალებულთან იმდენ ხორაგვულობას: სასმელს, პურს და სამარხოს, რამდენ კაცსაც წაიყვანს “ასაბიად” (“დროება”, 1884, №47).

ლეფანე (მიცვალებულის სახელზე შესაწირი). “ცხვარი ათ ყველჩართულ პურიანად (ლეფანე) ეძლეოდა უწინ პაპებს და ახლა მღვდელს”.

მიცვალებულის სავალდებულო საკურთხად ითვლება კიდევ “ლაგვანი” (“დროება”, 1884, №47).

“შობის წინა ღამეს, ნავაზშევს ოჯახი ვაჟიშვილს ჩაცმევს ქალურად, კერიას უკან დასვამს, წინ რძით სავსე ქოთანს დაუდგამს, ვაჟიშვილს ყველს მიუტანენ და შეაჭმევენ. ამ ჩვეულებას ხალხი ეძახის “ტუნუ ლოშვინ ლისგვრე” (ქოთნის უკან ჯღომა). რას ნიშნავს ეს ჩვეულება? ხალხმა არ იცის” (“ივერია”, 1886, №143).

“კირკადოლი” (გორგალი). ნათლისლების დღესვე ნაკურთხის წყლით მოადედებენ წმ. პურს. ამ ცომიდან გამოაცხობენ შვიდ სეფისკვერის ოდენა პურს, შუაში გახვრეტილ სამ პურს ჰქვიან “კირკადოლ”. ამ შვიდ “კირკადოლს” ბაწარს გაუყრიან, ჩამოჰკიდებენ საღმე სახლში, უმეტეს ნაწილად კოშკში და შეინახვენ დიდ მარხვამდინ (“ივერია”, 1886, №143).

“ბაციკი” ჰქვიან ცომისაგან გაკეთებულს რომელიმე ოთხების საქონელის, შინაურის, გინა გარეულის და ფრინველის სახეს” (“ივერია”, 1886, №143). შდრ.: “ბაციკი - ნახევარი წლის თხა” (საბა, 1991, გვ. 317).

“ფანი”. “შუა დიდმარხვის დღეს, სახელდობრ ორშაბათს მოსახლე აცხობს ერთ დიდ პურს, რომელიც ოთხ კაცს ეყოფა. ამ პურს ხალხი ეძახის “ფანს”. ვაზშმად ამ პურს დასჭრიან იმდენ ნაწილად, რამდენი ყანაც მეოჭახეს აქვს. პურს სჭრიან დანით. დაჭრის დროს კაცი მარცხნა ხელით მარილის სამტკრევს ქვას ურტყამს და ამბობს: ასე გაიჭრას ჩემი ყანის (დაასახელებს თვითეულად) ჭაობი, ან სათიბის ჭაობი” (“ივერია”, 1886, №143).

“ლილოვი” (გალობა). ბზობის საღამოს თვითეულის სოფლის ქალიშვილები, რომელნიც ჭერ ჰასაკში არ შესულან, სოფლის უკაცურ სახლში და გალობის ხმაზე ღალადებენ (ლილოვი). “კირილე (კირილეისონ) ქრისტე, ამა და ამ ჩემ მიცვალებულს (დაასახელებს) ცოდვანი მისნი შეუნდევ: ამა და

ამ ოჯახის წევრს ან ნათესავს (დაასახელებს) დღეგრძელება და ყოველ საქმეში გამარჩვება მიეცი” (იქვე).

“ლაპატრას”. „ღორების პატრონად ხალხი რაღაც “ლაპატრას” სთვლის. მეისრობას ყოველი მოსახლე ღორსა ჰყლავს, მის ენას და ერთს პურს საღორეს კარზე შეალოცვენ “ლაპატრას”, რომ ღორები გაამრავლოს” (82). ”ნადირის მოცემას მონადირე სთხოვს წპ. გოორების, “დალს”, “აფხათს” და “სეიმ-ბერ-მოძღვარს” (83). როცა “პური გამოცხვება, რომელსაც “ლეშვნის” (დახემსებას) ეძახის, მთელი ოჯახი ჩამოირიგებს, ცოტ-ცოტას ყველა დაიხემსებს, მოპკებებს ნაპირებზე და ერთი მეორეს გადასცემს. დახემსების დროს ფეხქვეშ ყველას დანა და ნახშირი აქვს მოტანილი და ამბობს: “ღმერთო, ბარაქიანი ჰქენი ჩვენი კიდობანიო”, ამავე დროს აცხობენ მეორე “ლეშვნისაც”, რომელიც გარეშე კაცს, ვისაც ოჯახი ერთგულ და ბეღნიერ კაცად იცნობს უნდა ახემსონ” (“ივერია”, 1886, №143).

“მეში” (დამუშავებული ტყავი). ”როცა ავაღმყოფი მორჩება მგლის კბილს და დათვის კლანჭებს გამოპკრავენ მეში და ჩამოპკიდებენ კისერზე. ამას ეძახიან ”ქისუმბურას” (კისერბმული) (“ივერია”, 1886, №143). მამალ ჯიხვს სვანები ეძახიან ”კვიცრას”, ”ლვაშს” და ”ხანს” (ხარი), შუათანა ჯიხვს ე. ი. ახალგაზრდას - ”მუღვისოს”, ერთი წლის თიკანს - ”ფოთრას”, დედალ ჯიხვს - ”დი-კვიცრას” ან ”დახულ-კვიცრას” (“ივერია”, 1887, IV, 29, №84).

”ფრინველებში სვანებს ძლიერ უყვართ შურთხი, რომელსაც სვანები სამ სახელს უწოდებენ, თავისუფალ და სადადიანო სვანეთში “კოჩა ქათალ” (კლდის ქათამი) და ”მუყელ” (მყივანა), საბატონო სვანეთში კი ”უგან” (იქვე).

ივანე მარგიანი დაიბადა 1872 წელს ზემო სვანეთში, მულახის თემის სოფელ მუჟალში. ის თავის სასულიერო საქმიანობას წარმატებით უთავსებდა საზოგადოებრივ მოლვაწეობას და როგორც მრავალმხრივ განათლებული პიროვნება, თავდაუზოგავად იღვწოდა ხალხში სწავლა-განათლების შეტანისათვის. ივანე მარგიანი თავის წერილებში სიმართლით და დიდი გულისტკივილით წარმოგვიღებს ძველი სვანეთის ყოფა-ცხოვრებას, სახავს სვანეთში სწავლა-განათლების, მიმოსკლის საშუალებებისა და სამედიცინო მომსახურების, აგრეთვე ბევრი სხვა მოუგვარებელი საქმის შეძლებისდაგვარად გაუმჯობესების გზებს. (გ. ავალიანი, გ. ზურაბიანი, 1973, გვ. 1130). ივანე მარგიანის წერილებიდან გამორჩეულია: ”სოფელი მუჟალი (ზემო სვანეთი)” (“ივერია”, 1891, IX, 25), ”სვანეთი” (“მოგზაური”, 1902, №6, 7; 1903, №1, 2, 11, 12), ”წერილი სვანეთიდან” (“ივერია”, 1898, III, 19) ”ვინ იყვნენ პაპები” ანუ ბაპები?“ (“მწყემსი”, 1902, №1, 3, 4), ”წირვა-ლოცვის შესახებ”, ”ნათოლა”, ”გვირგვინის კურთხევ”, ”ზეთის კურთხევა”, ”მიცვალებულის დამარხვის წესი”, ”ბასექი (თანაფ)“ (“ცნობის ფურცელი”, 1902, VI, 8, № 1831).

“სალაიმალექი” (საქონლის დაავადება). ”10-12 აგვისტოს ს. ხალდეში (სვანეთშია) გაჩნდა საქონლის ჭირი, რომელსაც იქ ”სალაიმალექს” ეძახიან. ეს ჭირი საქონელს გამოჰყოლია რაჭიდან და სულ მუსრს ავლებს (ი. მარგიანი, 1973, გვ. 120).

სვანურს სოფლებს უმეტეს ნაწილად ქართული სახელები ჰქვია. სვანური გვარები ხომ სულ ქართული გვარებია. ეს აზრი არც ქართველ მემატიანეთა

აზრს ეწინააღმდეგება. სიტყვა სვანეთი მათის ფიქრით წარმოსდგება სიტყვისაგან „სავანეთი“. ამავე აზრის სასარგებლოდ ლაპარაკობს ის, რომ სვანები თავისი ქვეყნის გაყოფის დროს ხმარობენ სიტყვებს „**უაბე ხევ**“ (ზედა ხევი) და „**ჩვაბე ხევ**“ (ქვედა ხევი). ასევე ხმარობლენ წინეთ საქართველოს მთიული ხალხიც (ი. მარგიანი, 1973, გვ. 131.).

„შესანიშნავი მწვერვალებია: **ვიშბა** (17000 ფუტი), **თვეთნულდი**, **მუშურ**, **ლატფარ**, **ლეხზირ**, **ლასილ**. ეს სიტყვა, ვგონებ, თათრულია: **ვიჩ ბაშ-სამი თავი**; ორი წვერი ეხლაც ჩანს, ხოლო მესამემ ალბათ იკლო და გასწორდა დანარჩენებთან (შენიშვნა ეკუთვნის ი. მარგიანს) (ი. მარგიანი, 1973, გვ. 136.).

წორი (სისხლის ფასი). „ორთა შუა რიცხვით უდრიდა 1500 მანეთს, მაგრამ განირჩეოდა გლეხის „წორი“ აზნაურის „წორისაგან“, რომელიც პირველზედ თითქმის ორჯერ მეტი იყო“ (ი. მარგიანი, 1973, გვ. 136.).

ნაცვრიელი. „ცოლ-ქმრებისაგან, ან დანიშნულებისაგან ერთმანეთის მიტოვება თითქმის სისხლის სამართლის საქმესავით ძნელად მიდიოდა და მორიგების შემდეგ მოსამართლენი სწყვეტდნენ ეგრეთ წოდებულს „**ნაცვრიელს**“ (დატოვების მაგიერი), რომელიც 500-600 მანეთამდე ადიოდა (ი. მარგიანი, 1973, გვ. 142). შდრ.: „ნაცვალგება (ნაცვალვაგებ) მაგიერის გარდახდა (იერემ. 51, 56) (ნ. ჩუბინაშვილი, 1961, გვ. 316).“

ფიცი სვანეთში ორგვარი არსებობდა: „ერთი **უბრალო ფიცი**, რომელსაც სვანები „**ლინბანალს**“ ანუ „**ნაბანს**“ ეძახიან. ეს სიტყვა წარმოსდგება უთუოდ ნაბანისაგან, რაღაც ძველათ დაფიცების დროს ხშირად ხატის ნაბანსაც ასმევდნენ ხოლმე. მეორე უფრო **მაგარი ფიცი** არის **უგრეთწოდებული** „**გარცამ**“ წარმომდგარია გარდაცემისაგან, რაღაც ესე გვარი ფიცის მილება, თითქმის გადაცემასა ჰგავს“ (ი. მარგიანი, 1973, გვ. 143).

ქსენონი (საავადმყოფო). „ჩემი აზრით, ვერავითარი დახმარება იმდენს სარგებლობას ვერ გაუწევს სვანებს, როგორც ავალმყოფებისათვის **ქსენონის** ფაარსება“ (ი. მარგიანი, 1973, გვ. 128). შდრ.: „ქსენონი ლ. ოსპიდალე“ (საბა, 1993, გვ. 173).

ალება (დღიური სამუშაოდან ალებული თანხა). „სვანი თითქმის მუდამ ჩივის ხოლმე „**ალების**“ (ასე ეძახიანი იმას, ვისთანაც მუშაობს) უსამართლობა-გაიძევრობაზედ“ (ი. მარგიანი, 1973, გვ. 150).

ფერის აღმნიშვნელი ლექსიკა. „სვანი იცნობს შემდეგს ფერულობას: **თეთრის** (თვეთნე), **შავს** (მეშე), **ყვითელს** (ყვითელ), **წითელს** (წირნი), **ლურჯს** (ირჯი), **რუსს** (ფარვ) და სხვას. არჩევს, აგრეთვე, თაგვის ფერს („**შდუგვმიშ ფერიშ**“) (ი. მარგიანი, 1973, გვ. 136). მისი ჩამოთვლით, „სვანეთში არის სულ 11 საზოგადოება: 1. **უშგულისა**, 2. **ალისა**, 3. **იფარისა**, 4. **ულასისა**, 5. **მესტიისა**, 6. **ენჯერისა**, 7. **ატალისა**, 8. **ბექოისა**, 9. **ეცერისა**, 10. **ფარისა** და 11. **ჩუბენევისა** (იქვე).“

უამი (დააგადება). ბევრს ალაგას შეხვდებით სახლების ნანგრევებს და მიტოვებულს ბატარა სოფლებს. ამ სოფლების დაცარიელება-განადგურებას სვანები მიაწერენ 1812 წლის **უამს**, რომელიც აქ სასტიკად მძვინვარებდა

თურმე” (ი. მარგიანი, 1973, გვ. 136). შდრ.: “უამი და უამობა ჭირი, მომსვრელი სენი” (ნ. ჩუბინაშვილი, 1961, გვ. 332).

შეენებლობის აღმნიშვნელი ლექსიგა. “სახლი ყველგან ყავრითაა გადახურული და ზედ ქვები ლურსმნის მაგივრობას უწევენ, გარდა ს.ს. კალა-უშგულისა, სადაც სახლებს ქვის ფიცრითა (ასბიდის ქვა) ხურავენ (ი. მარგიანი, 1973: 160) ”პირველად ჰყირიან საძირკველს, რომელსაც სვანები ეძახიან “ხუნს”, ზედ აჲყავთ კედლები. ერთი კაცი “ხელვან” შიგნით მუშაობს, მეორე გარედან ადგია; სხვები უზიდავენ ქვა-კირსა და “ხალიკსა” (ხვინჩები). კარების ძირში უდებენ ქვის “ნაგერას”, რომელსაც აქ ეძახიან “ლაგავის” (იქვე).

“სვანის სახლი უფრო ორსართულიანია. ქვედა სართული თავის მხრით განიყოფება რამდენიმე ნაწილად. ამ განიყოფილებებში შეგიყვანთ ერთი საზოგადო კარი: პირველად გაივლით ჰაგაშს, რომელიც წინა ოთახს მოგვაგონებს. აქ ინახავენ სხვადასხვა ავეჯეულობას, საიდანაც წარმოსდგება მისი სახელი ჰაგაშ (ჰადგამი). მეორე სახელი ჰქვია “საწველ” (საწოლ) (ი. მარგიანი, 1973, გვ. 160.). ”მარებაშია სიტყვა ბაგა. ზედა სართული განიყოფება ორ ნაწილად: “დარბაზად” და “გუბანდად”. დარბაზში ინახავენ თივასა და ბზეს, “გუბანდი” კი დანიშნულია საზაფხულო სამყოფად” (ი. მარგიანი, 1973, გვ. 160.).

“კოშკი განიყოფება ოთხ-ხუთ სართულად. პირველს ოთხს სართულს ეძახიან, ”გუბანდი“ (შუა-გული-ბანი) და ზედას, რომელიც უფრო დაბალია, ”უიბე გუბანდი“ (ზედა გუბანდი). არეულობა-ჩხუბის დროს (მეზობლობაში უფრო) იქ შეიკრიბებოდნენ მეთოფურნი და ”შდურვალებიდან“ (ფანჯრებიდან) ნიშანში იღებდნენ მტერს და ეომებოდნენ”. ეს კოშკები აგონებენ სვანს წარსულ არე-დარევის დროს, რომელსაც იგი ხშირად მოიგონებს ხოლმე და ”ლიშვანს“ (სვანობა) ეძახის. სახლის ახლოს კალოა და კალოს რომელსამე მხარეს ”ლალჩა“ აგებული (ზის შენობა, რომელსაც წინა მხარე ღია აქვს) და შიგ ინახავენ ნამჭას გალეწვამდე” (ი. მარგიანი, 1973, გვ. 161- 162).

ავეგისა და ქამ-ჭურჭლის აღმნიშვნელი ლექსიკიდან
დასტურდება: საკურცხვილ (კრესლო), სკამ (საგამი), ბანდარ (გრძელი სკამი), ლურგიმ (დივნის მსაგავსი გრძელი საჭდომი), კვილ (მრგვალი ხის გადანაჭერი), ჰასკამ (საზურგეთი). კერიასა და დგამებს შუა აღგილს ეძახიან ”უველფს“ (ლეჩეუმშიც ხმარობენ ამ სიტყვას). ჭურჭლები: თვინგ (ტუნგი), კარდალ (კარდალი), ცხვად ანუ ზამ (ქვაბი), ლაპრაკია ცხვად (საარაუე ქვაბი), ლულლენ (დიდი ქვაბი), რომელშიც ერთი ან ორი ხარი მოიხარშვის ერთბაშად), სეგდა (რძის საწველი ჭურჭელი), თხარ (წყლის ჭურჭელი - ხმარზე გადაიკიდებენ), კიურ (წყლის სასმელი ყურიანი), ლვებ (ლოფურა ლეჩეუმში), ბარქაშ (გობი-სამეგრელოშიც ბარქაშს ეძახიან), სტამან (კოკა-სტამანი სახარებაში), ფაქნი, ანუ ფაგან (სახარებაში პინაკი-ჭამი); სარწყული ჭურჭელი (საჩულ და კვიდოლ, კოდი) (ი. მარგიანი, 1973, გვ. 163-164).

“სვანი ხმარობს შემდეგს რკინის იარაღებს: ნახას (ქადა), წალდს (ნასოლ), ბურღვს (სიფრით), ხორცის ამოსაღებად ჩანგალს

(ფუცხ), ასტამს; ნისას: ორთითას, ფიწალს, უღელს (უღვა), ფორჩას (ლუშდიქ-ლაფცხი). სახვნელს (ლენწიშ), ფარცხი (ლაჭადირი)" (იქვე).

საინტერესო მასალებს გვაწვდის ივანე მარგიანის მცირე ლექსიკონი, რომელშიც ავტორი ცდილობს დაძებნოს სიტყვათა მსგავსი ძირები ქართულ სალიტერატურო ენასთან მიმართებით. მაგალითად: აბჭარ-აბჭარი, აბრეგ-აბრეგი, ავტორ-ავლარი, ამგვარ-ამგვარი, ამზუმ-ამზომა, ამოდენა, ამიშთან-ამისთანა, არდგილ-ადგილი, არი-არის, ამბავ-ამბავი, ასაბია-ასაბია, მომხმარე, ათცუდა-გააცუდა, გაუწყრა, ჰაბადა-ბადაგი, ბალდუმ-ბალდუმი, ბევშვ-ბოვშვი, ბოგ-ბოგირი, გვარ-გვარი, გზავრობ-მგზავრობა. გარცამ-გარდაცემა-ფიცი. გულჩენტე-გულჩენტი (ი. მარგიანი, 1973, გვ. 185).

ამრიგად, ლაზარე დადუანის, ბესარიონ ნიუარაძისა და ივანე მარგიანის XIX საუკუნის II ნახევრის პრესაში გამოქვეყნებულ წერილებში დადასტურებული ეთნოგრაფიული ყოფის ამსახველი ლექსიკის თავმოყრას და ანალიზს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. სამომავლოდ აღნიშნული მასალების კვლევა დღევანდელობასთან მიმართებაში საინტერესო ენობრივ მოვლენებს წარმოაჩენს.

დამოწმებული ლიტერატურა

გ. ავალიანი, გ. ზურაბიანი, 1973 - გ. ავალიანი, გ. ზურაბიანი, ეთნოგრაფიული წერილები სვანეთზე, თბ., 1973.

ლ. დადუანი, 1973 - ლ. დადუანი, წერილები: გ. ავალიანი, გ. ზურაბიანი, ეთნოგრაფიული წერილები სვანეთზე, თბ., 1973.

“დროება”, 1875 - გაზეთი “დროება”, I, 17, №8, 1875.

“დროება”, 1876 - გაზეთი “დროება”, VI, 20, №62, 1876.

“დროება”, 1880 - გაზეთი “დროება”, № 143, I, 11, 1880.

“დროება”, 1883 - გაზეთი “დროება”, IV, 10, № 74, 1883.

“დროება”, 1883 - გაზეთი “დროება”, №204, 1884.

“დროება”, 1885 - გაზეთი “დროება”, №47, 1885.

“ივერია”, 1886 - გაზეთი “ივერია”, № 143, 1886.

“ივერია”, 1887 - გაზეთი “ივერია”, IX, 17, 1887.

“ივერია”, 1891 - გაზეთი “ივერია”, I, 129, №22, 1891.

“ივერია”, 1891 - გაზეთი “ივერია”, IX, 25, 1891.

“ივერია”, 1893 - გაზეთი “ივერია”, № 12, I, 19, თბ., 1893.

“ივერია”, 1898 - ჟურნალი “ივერია”, 1898, III, 1998.

პ. კობერიძე, 2011 - მ. კობერიძე, ზემოაჭარულის დარგობრივი ლექსიკა, თბ., 2011.

ი. მარგიანი, 1973 - ი. მარგიანი, წერილები: გ. ავალიანი, გ. ზურაბიანი, ეთნოგრაფიული წერილები სვანეთზე, თბ., 1973.

“მოგზაური”, 1902 - ჟურნალი “მოგზაური”, №6, 7, 1902.

“მოგზაური”, 1903 - ჟურნალი “მოგზაური”, №1, 2, 11, 12, 1903, №1.

“მწყემსი”, 1902 - “მწყემსი”, №1, 3, 4, 1902.

ბ. ნიუარაძე, 1973 - ბ. ნიუარაძე, წერილები: გ. ავალიანი, გ. ზურაბიანი, ეთნოგრაფიული წერილები სვანეთზე, თბ., 1973.

“სასოფლო გაზეთი”, 1875 - “სასოფლო გაზეთი”, VI, 30, №4, 1875.

საბა, 1991 - სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თბ., 1991.

საბა, 1993 - სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თბ., 1993.

ქეგლ, 2010 - ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, II, თბ., 2010.

ნ. ჩუბინაშვილი, 1961 - ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბ., 1961.

“ცნობის ფურცელი”, 1902 - გაზეთი “ცნობის ფურცელი”, 1902, VI, 8, № 1831.

<https://www.nplg.gov/gwdict/index.php?a=term&d=14&t=29478>

MARIAM KOBERIDZE

VOCABULARY DESCRIBING THE ETHNOGRAPHIC LIFE OF SVANETI IN THE II PART OF THE XIX CENTURY PRESS (ACCORDING TO THE LETTERS OF LAZARE DADUANI, BESARION NIZHARADZE AND IVANE MARGIANI)

The work analyzes the vocabulary describing characteristics of the life of old Svaneti, customs, living conditions and people's aspirations confirmed in the letters of famous figures of 19th century – Lazare Daduani, Besarion Nizharadze and Ivane Margiani published in Georgian press. Together with obtaining the new materials about Svaneti, gathering of old terms and chronological analyzes have the great importance.

Lazare Daduani, Besarion Nizharadze and Ivane Margiani made the great contribution in terms of studying of Svaneti. They actively participated in national-educational movement, which was started by Ilia Chavchavadze and his generation. Numerous towers, churches, Svan songs, dances and household traditions of Svaneti together with its great cultural past indicate the abundance of the vocabulary.

From the sectional dictionary of Svaneti confirmed in the press materials the following lexical units should be noted: Kokhi (hail), Karva (unit of measurement), Uplishi (Kviratskhovloba - new week or Easter update, otherwise known as Thoma's week), Orpekhuri (two-voiced song), Papi (priest), Pani (big bread), Lighlovi (chant), Ksenoni (hospital), Kirkadolin (ball of thread), Bandar (bench), Okhar (water vessel), Lughlun (big pot), Tvetne (white), Meshkhe (black), Meshi (Leather).

ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის წელიწლები
ANNUAL OF KUTAISI PUBLIC LIBRARY

IX

2017

**ზვიად ქვიციანი
ლერი ჯიბლაძე
ალექსანდრე ოქროპირიძე**

**არქეოლოგიური დაგვერვები გდ. ცხენისწყლის ხეობაში
(ლენტების მანისტიკი)**

2011-2012-2013-2014-2015-2016 წლებში ივ. ჭავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგის ინსტიტუტის მიერ განხორციელდა სკანერის სასწავლო-სამეცნიერო არქეოლოგიური ექსპედიციები არქეოლოგის მიმართულების სტუდენტთა მონაწილეობით (ხელმძღვანელი პროფ. ზ. კვიციანი). 2017 წელს შესასრულებელი საველე სამუშაოები განსაზღვრული იყო საქართველოს კულტურული მემკიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს არქეოლოგიური კომისიის მიერ 2017 წლის 5 აპრილს გაცემული ლია ფურცლით, რაც ითვალისწინებს არქეოლოგიური გათხრების (დაზვერვების) ჩატარებას მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მდინარეების: ენგურის, ნენსკრის, დოლრის, ნაკრისა და ცხენისწყლის მაღალმთიან ზოლში. 2017 წლის 4 ოქტომბრიდან 20 ოქტომბრამდე თსუ სვანეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელი პროფ. ზ. კვიციანი) არქეოლოგიური სამუშაოები აწარმოა მდ. ცხენისწყლის ხეობაში ლენტების მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სადაც ჩატარდა არქეოლოგიური სადაზვერვო ხასიათის სამუშაოები, რომელიც მიზნად ისახავდა: ზედაპირული დათვალიერების შედეგად არქეოლოგიური ობიექტების გამოვლენას, ხუროთმოძღვრული ნაგებობების დაფიქსირებას, საჭიროებისამებრ აღმოჩენილ ძეგლებზე მცირე გაწმენდითი-გათხრითი სამუშაოების ჩატარებას. ასევე პარალელურად უნდა შეგვეგროვებინა ინფორმაცია ადგილობრივ მოსახლეობაში, სავარაუდოდ, გაბნეული არქეოლოგიური არტეფაქტების გამოსავლენად.

1. პირველი ობიექტი, რომელიც დაზვერვილი იქნა, არის სოფ. ბაბილში ადგილ “ლენსკრაში” მარტივი ტიპის სამლოცველო და ნაეკლესიარი. მათი კონტინატებია: X 0316779, Y 4740278, სიმაღლე ზღვის დონიდან 848 მ. (სურ. 1, 2, 3, 4). ისინი მდებარეობს მდ. ცხენისწყლის მარცხენა სანაპიროზე, დაქანებულ ფერდზე. ოვალური ფორმის სამლოცველო (ზომები: სიგრძე 3,90 მ, სიგანე 2,80მ) საზღვრების დადგენის მიზნით გაიწმინდა ეკალ-ბარდებისგან და მის ქვეშ მოქცეული აკლდამის შესასვლელის გამოსახენად მცირე გათხრითი სამუშაოები განხორციელდა. ყველაზე უკეთ შემორჩენილი კედლის სისქეა 80 სმ. სამლოცველო ორიენტირებულია სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით. ნაგებია ერთ რიგად საშუალო და დიდი ზომის კლდოვანი ფლეთილი ქვებისგან. მისი გაწმენდისას იატაკზე გამოჩნდა საკურთხევლის ქვა (47 X32 მ-ზე). ასევე აღმოსავლეთ კედლში ჩადგენული იყო ნიშა. სამლოცველოს ქვეშ დაფიქსირდა ფლეთილი ქვებისგან გამართული კირხსნარით შელესილი აკლდამა (სიგრძე 2 მ, სიგანე 1,9 მ, სიმაღლე 1,20 მ). სამარხს გააჩნდა

მომრგვალებული გადახურვა და გარე მხრიდან კირქვაქვისგან გამოჭრილი თაღოვანი შესასვლელი (სიმაღლე 76 სმ, სიგანე 56 სმ, კედლის სისქე 7 სმ (სურ. 3)). აკლდამის შიდა მხარე ამოყვანილი იყო მასიური თაღოვანი გრანიტის მაგვარი ქვით. სამარხის შესასვლელი და მისი ჩამკეტი ბრტყელი ქვა (სიგრძე 1,10 სმ, სიგანე 70 სმ, სისქე 7 სმ) კარგად გამოიკვეთა წინა მხრიდან მიწის მოხსნისას, რის შემდეგაც დაზიანების თავიდან აცილების მიზნით, მიწით იქნა შეესებული და დაკონსერვდა (სურ. 4). ფაქტია, რომ უაღრესად საყურადღებო ძეგლთან უნდა გვქონდეს საქმე.

ეს კომპლექსი ზოგადად უნდა განისაზღვროს აღრე შუასაუკუნეების ხანით. შესაძლოა, ამ დათარილებას ერთგარად ამაგრებდეს აქვე აღმოჩენილი ამავე პერიოდის თიხის ჭურჭლის ყურ-ვერდის ფრაგმენტი. უახლოეს პერიოდში აუცილებელია სამლოცველოსა და აკლდამის ცალკე შემოლობა, ასევე გადახურვა, რათა შემდგომში მოხდეს მისი რესტავრაცია. შესაძლებელი იქნება მისი ტურისტულ მარშრუტში შეტანა. როგორც ჩანს, ბაბილონი აღრე და შუასაუკუნეების ხანის საკმაოდ მოზრდილ სამონასტრო კომპლექსთან უნდა გვქონდეს საქმე.

სამლოცველოს ჩრდილოეთით 20 მეტრის დაშორებით აღმოჩნდა ოთკუთხა ფორმის კელესის ნაგრევები, რომლის სამი კედელი იყო შემორჩენილი (სიგრძე 8 მ, სიგანე 3,5 მ. (სურ. 5)). იგი ნაგებია მშრალი წყობით, ორ რიგად, საშუალო და დიდი ზომის ფლეთილი ქვებისგან. კედლების დიდი ნაწილი მორღვეული აღმოჩნდა. შედარებით კარგად შემონახული სამხრეთი კედლის სიმაღლეა 1მ. ნაეკლესიარის კორდინატებია: X 0316775, Y 4740289, სიმაღლე ზღვის დონიდან 858 მ. ჩვენი ვარაუდით, ეს ნაგებობა უფრო მოგვიანო ხანისა ჩანს, ვიდრე სამლოცველო და აკლდამა. მისი ასაკი შესაძლოა განისაზღვროს განვითარებული შუა საუკუნეების ხანით. საინტერესოა, რომ ეკლესისა და სამლოცველოს ასაგებად საჭირო საშენი მასალა 1 კმ. მანძილზე მოიპოვებოდა.

კელესის კომპლექსიდან აღმოსავლეთით 300-400 მეტრის დაშორებით ზედაპირული დათვალიერებით გამოიკვეთა ქვაყუთის ერთი კედლის ფრაგმენტი. როგორც გადმოგვცეს, ეს დეტალი ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-90-იან წლებში ამ აღვილზე აღმოჩენილი ქვაყუთის შემაღვენელ ნაწილს უნდა წარმოადგენდეს.

2. მდ. ცხენისწყლის ორივე სანაპიროზე, ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით, ჩოლურისა და ლაშეთის თემებში შემაგალ სოფლებში ჩატარდა მიწისზედა სადაზვერვო ხასიათის არქეოლოგიური სამუშაოები. კერძოდ, ერთ-ერთ მათგანში ლევშერიერში (“დამეწურილი მიწა”) არქეოლოგიური ობიექტი არ დაფიქსირდა. საინტერესოა, რომ აქ მდებარეობს თავად გარდაფხამის საგვარეულო კოშკი, რომელიც ძლიერ დაზიანებული აღმოჩნდა, განსაკუთრებით სამხრეთ-აღმოსავლეთი მხრიდან. კოორდინატებია: X 0327903, Y 4744785 (სურ. 6). ამავე სოფელშია განთავსებული მთავარანგელოზის ეკლესია. სადაზვერვო სამუშაოები ასევე განხორციელდა ფანაგაში, ჭველიერში, საიდანაც არის ზემო სვანეთში (უშგული) ლატფარის გადასასვლელი. ფანაგას მოპირდაპირე მხარეს მდებარეობს სოფ. ლუხის ტერიტორია, სადაც განთავსებულია ეკლესია.

ზოგიერთ სოფელში (ჟახუნდერი) შემთხვევით აღმოჩენილია ძვ.წ.III ათასწლეულის ბრინჯაოს არტეფაქტი-შუბისპირი. ხოლო სოფ. სასაშში 1944

აღმოჩნდა ბრინჯაოს კოლხური ცული, რომელიც ამჟამად ინახება ცაგერის მუზეუმში (ინვ. 183) (სურ. 7).

მელეში, მაღალ კლდეზე გამოვლინდა ძველი ნაკოშარი, რომლის მხოლოდ ნაშთები იყითხება. კორდინატები: X 0341494, Y 4739811, ზღვის დონიდან სიმაღლეა 1291 მ. ამ ობიექტს იმიტომაც მივაქციეთ ყურადღება, რომ ადგილობრივი მაცხოვრებლის ცნობით (იმედა ონიანი), გასული საუკუნის 60-იან წლებში აქ ოქრო უბოვიათ, რომლის ბედი შემდგომში უცნობია. იქვე ახლოსაა მეორე საეჭვო ობიექტი, სადაც თითქოსდა შეინიშნება ქვების წყობის ნაშთი. თუმცა მისი რაობის გარკვევა ზედაპირული დათვალიერებით ვერ მოხერხდა. კორდინატებია: X 0341492, Y 4739824, ზღვის დონიდან სიმაღლეა 1297 მ. მელეშია XI ს-ის ეკლესია, ხოლო მარგვეშში კი IX ს-ის ეკლესია.

ადგილ ბენიერში ორ ადგილზე დაფიქსირდა ძველი ნაკოშარის ფუნდამენტი: 1-კორდინატები: X 0343556, Y 4740355, სიმაღლე ზღვის დონიდან 1356 მ; 2-ბენიერი ადგილი რიერი. კორდინატები: X 0344662, Y 4770701, სიმაღლე ზღვის დონიდან 1330 მ. პირველი ნაკოშარიდან რამდენიმე მეტრის დაშორებით, სამხრეთ-აღმოსავლეთის დამხრობით, შემორჩენილია 20 მეტრის სიგრძის ქვის გალავნის ფუნდამენტი. იგი ნაგებია საშუალო და დიდი ზომის ქვებისგან. ბენიერის გავლის შემდეგ ჩვენ მიერ დაზვერვილი ბოლო პუნქტი იყო ლაშეთის ერთ-ერთი პუნქტი ძუღვის ში (ისტორიული ქალაქი). კორდინატები: X 0345529, Y 4741458.

3. ასევე განხორციელდა არქეოლოგიური დაზვერვები ლენტების რაიონის სოფ. ხოფურში, რომელიც მდებარეობს მდ. ცხენისწყლის მარცხენა სანაპიროზე, სადაც აწ გარდაცვლილი გურგენ ქურასბედიანის საკარმიდამო ნაკვეთში განთავსებულია ნაეკლესიარი. კორდინატები: X 0317672, Y 4734127 (სურ. 8). სიმაღლე ზღვის დონიდან 852 მ. ნაეკლესიარი ოთხუთხა ფორმისაა. შემორჩენილია ფუნდამენტი, რომელიც ნაგებია ორ რიგად დიდი და საშუალო ზომის ფლეთილი ქვებისგან. დამხრობილია სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით. სიგრძეა 6,90 მ, სიგანე 3მ, კარგად შემონახული კედლის სისქეა 18. ეკლესიას შესასვლელი ჰქონია დასავლეთის მხრიდან. საკურთხევლი მიღვმული იყო აღმოსავლეთ კედლთან. ნაგებობას სამხრეთ-აღმოსავლეთი მხრიდან მიშენებული აქვს აკლდამა, როგორც ჩანს, თაღისებური გადახურვით, სადაც ადგილობრივი მაცხოვრებლების გადმოცემით აღმოჩენილა 12-მდე მიცვალებულის თავის ქალა. აქ მცირე მასშტაბის გათხრები უწარმოებია სვანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიღრიონდელ ხელმძღვანელს შოთა ჩართოლანს. ასევე, ეს ადგილი მოუნახულებია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს არქეოლოგ ვახტანგ ლიქელს.

ნაეკლესიარის მახლობლად ვახტანგ ქურასბედიანის (გურგენ ქურასბედიანის ბიძა) სახლის სარდაფის დაღაბლებისას აღმოუჩენია შუბისპირები, რკინის ცულები და სხვა ნივთები. როგორც გაღმოგვცეს, მათი მცირე ნაწილი მოხვდა ლენტების მუზეუმში. დანარჩენის ბედი კი ჩვენთვის უცნობია. დიდი აღბათობით აქ გვიანანტიკურ და ადრეშუასაუკუნეების წანის სამაროვანთან უნდა გვქონდეს საქმე.

4. სვანეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციაშ მოინახულა და გაარკვია „მაცხვარ ლამეზირში“ ბაზილის ბრინჯაოს კოლექციის სახელით ცნობილი 2001

წლის აღმოჩენის ვითარება. ამ არტეფაქტების მიმგნებმა გიორგი ქურასბედიანმა ჩეგნთან პირად საუბარში აღნიშნა, რომ ბრინჯაოს ნივთები უძოვიათ იქვე ახლოს მდებარე კოშქს ქვემოთ სპილენძის ჭურჭელში. თუ დავეყრდნობით ამ მონაცემებს, მაშინ უფრო სარწმუნო ჩანს, რომ ბაბილის ბრინჯაოს ნივთების სახით საქმე უნდა გვქონდეს არა სამარხეულ ინვეტართან, არამედ მიწაში ჩაფლულ განძთან, რომელიც ყურადღებას იპყრობს მასში შემავალი ნივთების შემადგენლობით (სურ. 9). საინტერესოა, რომ, არქეოლოგიური ლიტერატურის მიხედვით, ლენტეზის ტერიტორიაზე “მაცხვარ ლამზირის” (ბაბილის) განძი პირველი აღმოჩენაა.

5. არქეოლოგიური სადაზერვო ხასიათის სამუშაოები განხორციელდა მდ. ცხენისწყლის მარცხენა სანაპიროზე, სოფ. ნანარში, საიდანაც მომდინარეობს ბრინჯაოს ხანის კოლხური ცული (ძვ.წ. XV-XIVს), რომელიც საკარმიდამო ნაკვეთის დამუშავებისას უპოვია აწ გარდაცვლილ ჭუმბერ ქურასბედიანს. ეს ნივთი ამჟამად დაცულია მის ოჯახში. საინტერესოა, რომ სოფ. ნანარის მკვიდრის — გურამ ქურასბედიანის ცნობით, იმავე ჭუმბერ ქურასბედიანს საკარმიდამო ნაკვეთის დამუშავებისას ცულის აღმოჩენის ადგილთან ახლოს უპოვია ბრინჯაოს სამაჭურები, მძივები და სხვა სახის ნივთები. კოორდინატები: X 0319834, Y 4734492, სიმაღლე ზღვის დონიდან 1043 მ. როგორც გაღმოგვცეს, ეს არტეფაქტები ლენტეზის მუზეუმში არ შესულა და ამდენად მათი შემდგომი ადგილ-სამყოფელი ჩვენთვის უცნობია.

როგორც ადგილობრივმა მაცხოვრებელმა გურამ ქურასბედიანმა მოგვითხრო, სოფ. ნანარის ტერიტორიის ზედა მხარეში ხშირად პოულობენ ბრინჯაოს მეტალურგიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ ნივთებს: წიდებს, საქშენ მილებს, ზოგჯერ ბრინჯაოს დაყალიბებულ ზოდებს და სხვა არტეფაქტებს (ურთხელ 18 კგ. ზოდი უპოვიათ და გასუყიდიათ). ამ ფაქტებიდან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ უძველეს პერიოდში სოფლის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა ბრინჯაოს მეტალურგიული წარმოება. კერძოდ, სპილენძის ნედლეულის მოპოვება, მისი გადამუშავება, ზოდებად ჩამოსხმა და სხვა. საინტერესოა, რომ სოფლის თავზე გადაის ძველი გზა, რომელიც სავარაუდოდ რაჭას აკავშირებდა ცხენისწყლის ხეობასთან. ცხადია, ეს საკომუნიკაციო გზა აქ არ წყდებოდა და შემდეგ ცხენისწყლის დინების საწინააღმდეგო მიმართულებით ზემოდან ალბურ ზონას გასდევდა.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ლენტეზის მუნიციპალიტეტის ტერიტორია არქეოლოგიურად თითქმის შეუსწავლელია. აღსანიშნავია, რომ ეს მხარე გვიანენეოლითური ხანიდან ჩანს დასახლებული. მხედველობაში გვაქვს გასული საუკუნის 70-ანი წლებში სვანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ჩელმდღვანელი შ. ჩართოლანი) ცხენისწყლის მარგვენა სანაპიროზე, ადგილ “ლაზგაში” ზედაპირულად აკრეფილი მასალების მიხედვით გვიანენეოლითური ხანის ძეგლის გამოვლენა. მონაპოვარი მასალები დაცულია ლენტეზის მუზეუმში. უძველესი არტეფაქტების შემთხვევითი აღმოჩენების მხრივ ასევე ყურადღებას იპყრობს საკუთრივ მუნიციპალიტეტის ცენტრის ლენტეზის ტერიტორია, სადაც ჯერ კიდევ გასული საუკუნის წლებში რესტორან “ლილეს” მშენებლობისას აღმოჩნდა აღრებრინჯაოს ხანის (ძვ.წ. XXIII-XIIს.) საჩერული ტიპის ორი ყუამილიანი ცული, რომელიც დაცულია ლენტეზის მუზეუმში. ორი ასეთივე

ტიპის ცული მომდინარეობს ამავე რაიონიდან. ერთი მათგანი ინახება ბესარიონ ლიპარტელიანთან, მეორის ადგილმდებარეობა კი უცნობია. ვფიქრობთ, მომავალში სასურველი იქნებოდა, თავმოყრილი იქნეს ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოპოვებული მასალები და მოხდეს მათი სრული პუბლიკაცია. ამისათვის კი ლენტეხის მუზეუმში არსებულ მასალებთან ერთად შესწავლილი უნდა იქნას ცაგერის, ქუთაისისა და საქართველოს ეროვნულ მუზეუმებში დაცული მასალები.

ამრიგად, ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებული ზედაპირული არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად ჯერჯერობით გამოვლენილია ოთხი მეტად საყურადღებო არქეოლოგიური ობიექტი, ესენია: ნანარი, ხოფური, ყველრეში და ბაბილი. აუცილებელი და გადაუდებელია ზემოთ აღნიშნული არქეოლოგიური ობიექტების შესწავლა.

ექსპედიციის მიერ გამოვლენილი არქეოლოგიური მასალები მნიშვნელოვნად ავსებენ ამ კუთხის მატერიალური კულტურის ძეგლებს, რომელთაც პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვთ არა მარტო სვანეთის, არამედ კავკასიონის მთიან ზოლში მოსახლე სხვა ქართველი ტომების შორეული წარსულის გასაშუქებლად, საქართველოს ისტორიაში მათი როლისა და მნიშვნელობის გასარკვევად. აღნიშნული ძეგლები ასევე საინტერესოა მეზობელ და შორეულ ქვეყნებთან საგაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის ისტორიის თვალსაზრისით.

დამოწმებული ლიტერატურა

შ. ჩართოლანი, 1996 — შ. ჩართოლანი, ძელი სვანეთი, 1996.

შ. ჩართოლანი, 1976 — შ. ჩართოლანი, მასალები სვანეთის არქეოლოგისათვის, თბ., 1976.

ზ. კვიციანი, ლ. ჭიბლაძე, 2015 — ზ. კვიციანი, ლ. ჭიბლაძე, უახლესი არქეოლოგიური აღმოჩენები სვანეთში, თბ., 2015.

ზ. კვიციანი, თ. თოდუა, რ. ხვისტანი, გ. ჩინდელიანი და სხვები, სვანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 2011 წლის ანგარიში.

ზ. კვიციანი, თ. თოდუა, რ. ხვისტანი და სხვები, სვანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 2012 წლის ანგარიში.

ზ. კვიციანი, თ. თოდუა, რ. ხვისტანი და სხვები, სვანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 2013 წლის ანგარიში.

ზ. კვიციანი, დ. სურმანიძე, ი. ანჩაბაძე და სხვები, სვანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 2014 წლის ანგარიში.

ზ. კვიციანი, 2013 — ზ. კვიციანი, სვანეთი რომაულ სასაზღვრო ციხე-სიმაგრეების სისტემაში, თსუ ისტორიის შრომები, ტ. X, 2013.

ზ. კვიციანი, ლ. ჭიბლაძე, 2010 — კოლხეთის მთისა და ბარის ურთიერთობის საკითხები ბრინჯაოს ხანაში (ზოგადი მიმოხილვა სვანეთის მასალების მიხედვით), პროფ. გ. ლორთქიფანიძის საიუბილეო თსუ კრებული, თბ., 2010.

ზ. კვიციანი, 1999 — ზ. კვიციანი, საქართველო-ჩრდილო კავკასიის საკომუნიკაციო საშუალებები (სვანეთის სამიმოსვლო გზები), კრებული კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები, ტ. V, 1999.

რ. ხვისტანი, 2003 — რ. ხვისტანი, შუა საუკუნეთა ხანის სვანეთის ნასოფლარების შესწავლისათვის, შუა საუკუნეთა ხანის ქართული სოფელი არქეოლოგიური მასალების მიხედვით, II კონფერენცია, მოხსენებათა მოკლე შინაარსები, თბ., 2003.

რ. ხვისტანი, მ. ცინდელიანი, 2000 — რ. ხვისტანი, მ. ცინდელიანი, ჰეშკილდის წმინდა გიორგი, ძიებანი, ჭ. 2000.

ლ. ჯიბლაძე, 2007 — ლ. ჯიბლაძე, კოლხეთის დაბლობის ძვ. წ. III-II ათასწლეულების ნამოსახლარები, 2007.

ტაბულები:



სურათი № 1



სურათი № 2



სურათი № 3




სურათი № 4



სურათი № 5



სურათი № 6



სურათი № 7



სურათი № 8



სურათი № 9

**ZVIAD KVITSIANI, LERI JIBLADZE,
ALEKSANDRE OQROPIRIDZE**

**ARCHAEOLOGICAL SURVEYS IN THE VALLEY OF
THE RIVER TSKHENISTHKALI
(LENTEKHI MUNICIPALITY)**

Institute of the Archeology under Ivane Javakhishvili Tbilisi State University(TSU), conducted archeological expeditions in Svaneti (Head of the expedition - Prof. Z. Kvitsiani) from 2011 to 2016.

According to the order of archeological commission of the national agency of the preservation of cultural heritage of Georgia, students of TSU participated in archaeological excavations held in the highlands of Enguri, Nenskra, Dolar, Nakris and Tskhenistskali river valleys in April 2017.

From October 4 to October 20, 2017 archeological works were carried out in the Lentekhi municipality (head of the expedition - prof. Z. Kvitsiani) organized by Tbilisi State University.

The aim of the archaeological survey was to identify archeological objects, conduct surface inspection, observe their structures, perform small cleaning works on them.

At the same time, we were collecting information about the archaeological artefacts which are scattered around among the local people.

1. The first object was discovered in a village Babil, at place called “Lenskra”. A simple type of chapel and church, these types of complexes generally belongs to the early medieval period.

2. Archaeological surveys were conducted on both coastal areas of riv. Tskhenistskali, in the north-east direction, in the Choluri and Lashkhevi communities. Particularly, in Levesheri (“Lost Land”), we did not find an archaeological object, but in a village Jakhunderi we discovered a bronze spear, III mill. BC, also we found bronze Colchian axe in a village Sasashi, they are now stored in Tsageri museum.

3. Also, archeological activities were carried out in the village Khofuri, our team visited the church located in George Kurasbedian’s homeland.

4. The members of Svaneti archeological expedition visited and reevaluated the circumstances of the “Babil Bronze Collection” discovery in 2001. We found out that it wasn’t burial inventory, but a treasure.

5. Archeological survey was carried out on the left bank of riv. Tskhenistskali, village Nanari where Bronze Age Colchian axe was discovered.

Thus, in the framework of the archaeological expeditions in the Lentekhi municipality area, we worked in four notable archaeological sites: Nanari, Khopuri, Kvedreshi and Bobili. It is necessary and urgent to study the above mentioned archaeological objects.

შუალედობის საქართველოს გიბლიოთეკის წელიწლები
ANNUAL OF KUTAISI PUBLIC LIBRARY

IX

2017

თამილა კოშორიძე

**ბარბარობის საკითხისთვის სვანეთსა და
შიდა ქართლი**

ხალხური დღესასწაულის საუკუნეების განმავლობაში დადგენილი წესით აღნიშვნა მნიშვნელოვანია საქართველოს ყველა კუთხის მოსახლეობისათვის.

ქართულ ხალხურ დღეობათა ათვლა ტრადიციულად იწყება ბარბარობით, რომელიც "თავთარიღად" ითვლება. "ეს არის კეთილდღეობის, სიუხვებარაქიანობის, ადამიანისა და მსხვილფეხა რქოსანი საქონლისა და შინაური ფრინველის გამრავლების უზრუნველყოფლის, ინფექციურ დაავადებებთაგან ადამიანის მფარველ-მკურნალის, მზის წარმართული ღვთაების დღე" (ვ. ბარბარიღადის, 2006, გვ. 7). 17(4) დეკემბერი ქრისტიანული წმინდანის ბარბარეს ხსენების დღეა, მაგრამ მასში ქართველი ხალხის რწმენა-წარმოდგენების რამდენიმე ეტაპი იკვეთება. სწორედ ამან განაპირობა მასში ხალხური წეს-ჩვეულებების სიმრავლე.

უნდა აღინიშნოს, რომ ხალხური დღესასწაულისთვის დამახასიათებელი რელიგიური სინკრეტიზმი ყველაზე კარგად ბარბარობის ზოგადქართულ აღნიშვნაში ვლინდება. ბარბარობას საქართველოს ყველა კუთხეში აღნიშნავდნენ. მიუხედავად მათი საერთო ქართული სახისა, მისდამი მიძღვნილი რიტუალები და საწესო აღკვეთა - ქმედებები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა.

სეანეთში, სადაც ბარბარეს დღეობები ყველაზე უკეთ არის შემონახული, ბარბარე (ბარბოლი) მსხვილფეხა საქონლის, კერძოდ, ძროხების ნაყოფიერებსა და გამრავლების ღვთაებაა. საქონლის კეთილდღეობასა და უხვგამოსავლიანობასთან დაკავშირებული ქმედებანი ჩვენ მიერ დადასტურებულია გორის რაიონის სოფელ ქორდშიც. აქ ბარბარეს სალოცავში მიაქვთ ერბოს ზედაშე, ქადები და მას შესთხოვენ უხვ და ღალიან რძეს. ვერა ბარბარის დაკვირვებით, "ბარბარე თავის ძალას არა მარტო საქონლის მიმართ იჩენდა. ამის დასტურია ის, რომ ბარბარეს სახელობის უქმე დღეობებზე ქალები ბარბოლს თავის კეთილდღეობასაც შესთხოვდნენ. ამ ღვთაებას საგანგებოდ ქალთათვის ნაყოფიერების მინიჭება მიეწერებოდა" (ვ. ბარბარიღადის, 2006, გვ. 27). მეცნიერს ამ დასკვნის საშუალება მისცა მის მიერ 1931 და 1936 წლებში სვანეთში, კერძოდ, სოფ. ფარში დამოწმებულმა ქალების სალოცავმა, სადაც შესაწირავი კვირისტავები და მსგავსი საგნები მხოლოდ ქალების მიერ იყო მიტანილი.

სეანეთში, დღესასწაულის აღნიშვნის საერთო წესის მიუხედავად, გარკვეული სხვაობა შეინიშნება ბალსქვემო, ბალსზემო სეანეთის ტრადიციებს შორის. ბალს ქვემო სვანების რწმენით, ბარბარობიდან სამი დღის განმავლობაში მზე არ იძგროდა. სამი დღის შემდეგ კი, დღე თანდათან მატულობდა. "ამ დღეს დილით სახლის უფროსი ქალი, რომელსაც ბალს ქვემოთ დიხსალი ეწოდება, მოხარშავდა რძის ფაფას (ლეჯმი გაგ-ს) წმინდა პურის ფქვილისაგან და

შინაური საქონლის მფარველი ღვთაების სახელზე შესწირავდა; თან შემდეგ ლოცვას წარმოსთვამდა: **საქონლის სალოცავო ღმერთო, ამის მწველელი გავიმრავლე, მადლი გექნება**" (ვ. ბარდაველიძე, 1939, გვ. 1). ლოცვის შემდეგ ოჯახის წევრები შეწირულ ფაფას მიირთმევდნენ. სალამოს კი დიასახლისი გამოაცხობდა ყველიან კვერებს, რომლებსაც მლოცველი საქონლის ბაგასთან მიიტანდა. ეს დღე უქმება და ამ დღის ფაფა და ლემზირები ყველა უწონაშ-ია (მისი მირთმევა მხოლოდ ოჯახის წევრებს შეეძლოთ), რის გამოც სვანები ერიდებოდნენ ბარბარობას სტუმრად სიარულს (აქვე უნდა ალინიშნოს, რომ სტუმრად სიარულის აკრძალვა ჩემ მიერ შიდა ქართლშიც იქნა დადასტურებული).

ბალს ზემო სვანებისთვის "ბარბალაშ" საქონლისა და ადამიანის ავადმყოფობის საწინააღმდეგოდ განკუთვნილი უქმებდება. აქ, საწესო პურებისთვის ფქვილი ჭერ კიდევ ზაფხულში, კალოობას შზადდებოდა. ამისათვის გადარჩევდნენ საუკეთესო ხორბლეულს, დაფქვავდნენ და ცალკე კიდობანში შეინახვდნენ სხვადასხვა დღეობებზე ლემზირების გამოსაცხობად. აქაც მისგან გამომცხვარი პურების ნახვა და მირთმევა, ოჯახის წევრების გარდა, არავის შეეძლო (ვ. ბარდაველიძე, 1939, გვ. 9).

ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი საწესო ქმედებები აშკარად წინაქრისტიანული ხასიათისაა, მაგრამ მესტიაში დღესასწაულში უკვე იკვეთება ქრისტიანული ხასიათი: "ბარბალაშ-ის სამი დღის განმავლობაში განსაკუთრებული მოვალეობა აწვა მესტიის მაცხოვრის სახელობის ეკლესიის ყმებს ანუ კაცებს ე.წ. მაცხუარი მარ-ებს თავის სალოცავის მიმართ. ბარბალაშ-ის განმავლობაში თვითეულ მოსახლეს უნდა შეეწირა მაცხუარ-ისათვის 18 ცალი ლემზირები... ეს ლემზირები სამარხვო იყო" (ვ. ბარდაველიძე, 1939, გვ. 13). ამ ქმედებაში მნიშვნელოვანია საწესო პურების ეკლესიაში მიტანა და მათი სამარხვო წესით გამოცხობა, რაც ზემო სვანეთის სხვა სოფლებში არ დასტურდება.

ქვემო სვანეთის სოფლებში ბარბალაშ-ის დღეს ხველისა და გადამდებ სნეულებათა საწინააღმდეგოდ განკუთვნილი საწესო ქმედებები იმართებოდა. ცხვებოდა ნიგვზიანი (ისევე, როგორც შიდა ქართლში) ან ყველიანი კვერები, რომლებზეც ქორა მახუში ილოცებოდა: "ღმერთო, შენ დაგვიცავი ცუდი სენისაგან, ცუდი ავადმყოფობა აგვაცილე, კარგი ზამთარი მოგვეცი, გაზაფხულს მოგვასწარი მშვიდობით" (ვ. ბარდაველიძე, 1939, გვ. 19). გარკვეულ სოფლებში ილოცებოდა ოჯახის დიასახლისი, რომელიც ლოცვის ვრცელ ტექსტში ხშირად მიმართავდა ბარბარეს, როგორც მყურნალს, იცოდნენ კერიაზე საკმევლის დაკმევა (შიდა ქართლშ-ბაზმა).

შიდა ქართლში ბარბარობა პირველი მეკვლეობაა. "მთავარი მეკვლეობა ბარბარობა იყო. თუ ვინმეს ფეხი დაცლილი გვქონდა, იმას მოვიწვევდით, თუ არა და შემოსწრებული იქნება მეკვლე" (გიემ 4629, გვ. 41). ამ დღეს შიდა ქართლში, განსხვავებით სვანეთისაგან, შინაური ფრინველების გამრავლებისათვის განკუთვნილად მიიჩნევენ. "ბარბარობა დილას ქართლელები ტახტზე ქერის, ხორბლის ან სიმინდის მარცვლებს მოაბნევდნენ უხვად და სახლში შემოსულ მეკვლეს ზედ დასვამდნენ, ფეხებს მოაკეცინებდნენ და თან დასძახებდნენ: - მეკვლევ, კარგად მოიკეცე, რომ წრეულს კრუხებმა კარგად გამოჩეკონ და წიწილები ბლომად მოგვცენო. ამ დღეს ნაბაღმოსხმულ კაცს შინ არ შეუშვებდნენ

- ბარბალობას ნაბდიანი კაცის სახლში შესვლამ "მოფუზული" (მობუზული თ.კ.) წიწილები იცისო" (ც. ბარბარელიძე, 2006, გვ. 44). ჩვენ მიერ მოძიებული მასალის მიხედვით, მეკვლე დიდხანს და დინჯად უნდა მჯდარიყო ტახტზე. თუ ის ადრე ადგებოდა, იმ წელს ოჯახის დიასახლისი კრუს ვერ გააჩერებდა კვერცხებზე. ამავე დღეს ცხვებოდა ნიგვზიანი ქადები, რომლებიც გზაჯვარედინზე გაპჭონდათ, ჭრიდნენ და გამკვლელ-გამომკლელს ურიგებდნენ, რომ ბავშვებს ინფექციური დაავადებები მშვიდობიანად მოეხადათ. ოჯახში იშლებოდა სუფრა, ანთებდნენ სანთლებს, ზოგი 7 ანგელოზის სახელზე 7 კაკალს ჩააგდებდა ცეცხლში, ზოგიც ხატისთვის დიდ ქადას - ცხრაფურცელას გამოაცხობდა (ნ. აბაკელია, 1991, გვ. 7).

დღეისათვის შიდა ქართლის მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის ბარბარობა ისევ პირველი მეკვლეობაა, თუმცა ის გასცდა ტრადიციული რწმენის საზღვრებს და ალარ უკავშირდება მხოლოდ შინაური ფრინველების გამრავლებას. ხალხის რწმენით, ესეც ჩვეულებრივი მეკვლეობაა და ამ დღეს შესრულებული რიტუალები მიმართულია მომავალ წელს დოვლათისა და ბარაქის დასახევებლად.

ბარბარობას მნიშვნელოვანია ამ დღისთვის გამზადებული ტაბლა. შიდა ქართლში დღეისათვის დასტურდება ბარბარობას ლობიანების გამოცხობა, თუმცა ეს ჩვეულება გვიანდელი უნდა იყოს. ძველად ბარბარობას სცოდნიათ ნიგვზიანი ქადების გამოცხობა - გამომდინარე იქიდან, რომ ამ დღეს მარხვაა. თუმცა, სვანეთში ბარბარობას ყველიანი საწესო პურებიც ცხვებოდა. ქრისტიანობამ ბარბარობაზე დიდი ზეგავლენა მოახდინა და დღეობის ძველ წეს-ჩვეულებებში გარკვეული ცვლილება შეიტანა. დღეისათვის საქართველოს ყველა კუთხეში ბარბარობას ცხვება სამარხვო ლობიანები, ხოლო შიდა ქართლში ძველი ტრადიციული ოჯახის დიასახლისი აცხობს ნიგვზიან და "გულიან" (სამარხვო), ქადებსაც.

ქართლის ბარბარეში სნეულებისაგან განმეურნებელი ძალა მკვეთრად არის გამოხატული. ამ კუთხით ჩვენ მიერ შიდა ქართლის სოფლებში მოძიებული იქნა საკმაოდ საინტერესო მასალა. მრავალმხრივ საინტერესო ცნობებს გვაწვდის სერგი მაკალათიას მიერ XX საუკუნის 30-40-იან წლებში შიდა ქართლში წარმოებული ექსპედიციების ჩანაწერები.

ჩვენთვის საყურადღებო ეთნოგრაფიული მასალის შესაკრებად ს. მაკალათიას 1934 წ. უმუშავია ძირითადად ბატარა ლიახვის ხეობაში და ფეტალურად აღუშტერია ის სტატიაში "ცრუშმორწმუნოების გადმონაშები ქართლში". დღესასწაულების ჩამონათვალს ავტორი იწყებს სალოცავ ბარბარეზე საუბრით და აღნიშნავს, რომ "წმ. ბარბარე ქართლში დიდ სალოცავად ითვლება". ამ კონკრეტულ შემთხვევაში მეცნიერი აღწერს ბატარა ლიახვის ხეობაში, სოფ. ქორდში მდებარე წმ. ბარბარეს ეკლესიას და იმ რიტუალებს, რომელიც აქ სრულდებოდა. ქორდის ბარბარე მთელს ქართლში განთქმული ყოფილა როგორც "ბატონების" ანუ ყვავილის მამიდა და "ყვავილისაგან მფარველი ლვთაება". მისი ეკლესია მცირე ზომის, რიყის ქვით ნაგები ბაზილიკაა. ს. მაკალათიას ექსპედიციის დროს ეკლესია ცარიელი და გაბარტახებული ყოფილა. მეცნიერს აქვე, შესასვლელი კარის მარცხენა მხარეს უნახავს ქვა მხედრული წარწერით. მიუხედავად იმისა, რომ წარწერა მკრთალი იყო და ძნელად იკითხებოდა, პალეოგრაფიული ნიშნებით ს. მაკალათია მას ათარიღებს XVI-

XVII ს. ბარბარე მდებარეობს ეწ. ხაჩიურთ მამულში და მას ეს გვარი პატრონობდა. ხაჩიურები სოფ. ქორდში დღესაც ცხოვრობენ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რამდენიმე წლის წინ, ხაჩიურების ინიციატივით, ქორდის მცხოვრებლებმა აღადგინეს ბარბარეს ტაძარი, თუმცა ეს მოხდა სპეციალისტების ჩარევის გარეშე, რამაც ტაძარს პირვანდლელი სახე დაუკარგა.

ს. მაკალათის ჩანაწერის მიხედვით, ბარბარეში მლოცველი ორშაბათობით მიღის (გიგ 5942. გვ. 2). აქ მეცნიერი არ აკონკრეტებს რომელ ორშაბათს. როგორც ჩანს, ეს შესაძლებელი იყო მთელი წლის განმავლობაში - ყოველ ორშაბათს, განსხვავებით ზოგადქრისტიანული ბარბარობისა და ატენის ბარბარესაგან. ზოგი ამ დღეს უქმობდა კიდეც. ბარბარეში ყოფილა ერთი დიდი, ამოლრუტნული ქვა, რომელშიც ესხა წყალი. თვალის ჩინი ვისაც აკლდა, ამ წყალს მოლესავდა და თვალებზე მოისვამდა. მლოცვის აზრით, თვალის ტყივილისათვის, ბატონები რომ უტოვებდა, ეს კარგი იყო (ზ. შველიძე, 1983, გვ. 54). უნდა აღინიშნოს, რომ ქორდის ბარბარე არა მარტო რამდენიმე სოფლის, არამედ მთლიანად დიდი და პატარა ლიახვის სოფლების მოსახლეობის უმნიშვნელოვანების სალოცავად ითვლებოდა.

ქორდის ბარბარეში, ისევე როგორც ყველგან, სალოცავად მიღიოდნენ ყვავილნახადნიც და ისინიც, ვისაც შეთქმული ჰქონდათ ბარბარეს კარზე საწირით მისვლა და ლამის თევა. ს. მაკალათისა დაკვირვებით, "ყვავილმა ავადმყოფს თვალი რომ არ დაუზიანოს, ბარბარეს შეევედრებიან და თვალის კაკლებს შეუთქვამენ" (გიგ 5942, გვ. 3). კაკლები, როგორც წესი, ცვილისაგან კეთდებოდა და ძაფზე ასხმულ ორ კაკალს ავადმყოფის თავთან ჰკიდებდნენ. (მე თვითონ მახსოვეს ბაგშვილებაში ჩემს ოჯახში განცალკევებით და სათუთად შენახული სანთლის ორი კაკალი, რომელიც ბებიამ დაამზადა ჩემი პატარა ღის ავადმყოფობის შემდეგ და ინახავდა ატენის "ბარბაროში" წალებად). ავადმყოფს მამალსაც შემოავლებდნენ. ზოგი კი ბარბარეს ბატანსა და კაკლის ჭვარს შეუთქვამდა. როდესაც ავადმყოფი ყვავილისაგან მორჩება, კაკლის ტანზე "ბატონების ჭვარს" ამოჭრიან და ყელზე შეაბამენ. "ეს კაკლის ხეც ბატონებზეა მიკუთვნილი და როცა ის დაიბერტყება, იმის ნიგვზისაგან ქადებს აცხობენ და ბარბარეში მიაქვთ. ნებლისაგან კი ბაზმას აკეთებენ და კალმასზე მიაქვთ" (გიგ 5942, გვ. 3). ბატონების გასტუმრების შემდეგ ოჯახი მიღიოდა ქორდის ბარბარეში. ნაავადმყოფარი აუცილებლად თეთრებში იყო გამოწყობილი, გულზე ეკიდა თვალის კაკლები ან კაკლის ჭვარი და ხელში ხატის დროშით მუხლის მოყრით სამჭერ შემოუვლიდა ბარბარეს. შესაწირს ამწყალობებდა "ხაჩიანთ" გვარის მნათე. ამის შემდეგ მლოცველები ბარბარეს ეზოში სუფრას გაშლიდნენ და "ბატონების" სადღეგრძელოს სვამდნენ.

"ბატონების" გასტუმრებისას სრულდებოდა რიტუალი, რომელსაც შიდა ქართლში ბაზმა - კალმას უწოდებენ. ამ რიტუალს დღესაც ასრულებენ სოფელ ლამისყანაში ყოველ ბარბარობას და არა მხოლოდ ბატონებისათვის. აქვე, ბატონების მოხდის შემდგომ, გაუტეხავ კაკალს აასხამდნენ მძივივით, ყელზე შეაბამდნენ ნაავადმყოფარ ბაგშვს და წავიდოდნენ ბარბარეს ნიშში.

ის, რომ წმინდა ბარბარე ინფექციურ სხეულებათაგან მფარველ ღვთაებადაა მიჩნეული შიდა ქართლში, ნათლად ჩანს ატენის ბარბარობაში, რომელიც, ამავე დროს, ამ სოფლის დღეობაცაა.

თუ ქორდის ბარბარეში მლოცვი მიღიოდა ყოველ ორშაბათს, ატენის ბარბარეში ეს დაწესებული დღეა. აქ მლოცვი მიღის აღდგომის შემდეგი კვირის - კვირაცხოვლობის მეორე დღეს და შემდეგ ყოველ ორშაბათს.

ატენის ბარბარეს სამლოცველო მდებარეობს გარდატენში (სოფლის ერთ-ერთი უბანი - თ.კ.) და წარმოადგენს პატარა ეკლესიას. ამ დღეს აქ ბევრი მლოცვი მოდის გორის რაიონის სხვადასხვა სოფლიდნ, განსაკუთრებით ისინი, ვისაც ბატონებისაგან შეთქმული აქვს აქ გამოლოცვა.

"მლოცვავები ბარბარეს ეკლესიას სამჯერ შემოუვლიან შესაწირით: ზოგს ილიაში მამალი ჰყავს და ხელში სანთლები უჭირავს, ზოგი უვლის ცხვარ-ბატკით, რომელსაც ყელზე შებმული აქვს წითელი ჩვარი. მოჰყავთ უმთავრესად ბავშვები, ვინც ყვავილნახადია. მუხლის მოყრით ლოცულობდნენ, ტოვებდნენ უღლებს, წითელ დროშებს, კაკლის ჯვრებს და სხვ" (გიგ 5179, გვ. 7). აქ საინტერესოა ხატისათვის შესაწირი დროშის ფერი. ქორდის ბარბარეში დროშა თეთრი ფერისაა (იხ. დანართი №7, ატენის ბარბარეში, კი წითელი. საერთოდ, ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში, ბატონებისათვის შესაწირში დომინირებს სწორედ წითელი ფერი: "წითელები რო ჭირს, შინდის კურკას თეფშზე დავაწყობ და დავანთებ, კარგია წითელებისთვნა. თხოულობს წითელები შინდის კურკას. წითელი ეამება იმას. წითელი უნდა ყოფილიყო ქათამი ბარბალეში. ბარბალე წითელი ყვავილის ანგელოზია. ლენტი უნდა გაუკეთო წითელი, ტანისამოსი და ისე უნდა წაიყვანო" (ჭ. რუხაძე, 2010, გვ. 132-133). მართალია, აქ საუბარია კონკრეტულად წითელაზე, მაგრამ მასალა ცხადყოფს, რომ "ბატონებს" წითელი ფერი უყვართ.

ამრიგად, ქართულ ხალხურ დღეობათა წლიურ კალენდარულ ციკლში უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია ბარბარობას, დღესასწაულს, რომელიც ავლენს ქართველი ხალხის წინაქრისტიანული და ქრისტიანული რწმენის, საწესო ქმედებების, დამოკიდებულებების შერწყმას და წარმოაჩენს რელიგიური სისტემების ცვალებადობის ეტაპებს.

დამოწებული ლიტერატურა

- 6. აბაკელია, 1991** — ნ. აბაკელია, ნ. ლამბაშიძე ქ. ალავერდაშვილი, ქართულ ხალხურ დღეობათა კალენდარი, თბ., 1991.
- 3. ბარდაველიძე, 2006** — ვ. ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბალ-ბაბარ), თბ., 2006.
- 3. ბარდაველიძე, 1939** — ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, I, ახალწლის ციკლი, თბ., 1939.
- გიგ 5942** — გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, საქმე N5942, ს. მაკალათია, ცრუმორწმუნების გადმონაშთები ქართლში.
- გიგ 5179; 5179/6.** — გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, საქმე N5179; 5179/6, მასალები ატენის ხეობის შესახებ.
- გიგ 4628; 4629** - გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, საქმე N4628-29, ფრონეს ხეობაში შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალები მ. ხუციშვილისა და ყიფშიძის მიერ.

გიგ 8003/1-11 - გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, საქმე N8003/1-11. ალის ფრონესა და ფცის ფრონეს შესახებ შეკრებილი მასალები, 1957-59წწ.

გიგ 8004/1,2,3 - გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, საქმე N8004/1,2,3, ფრონესა და ფცის ხეობებში შეკრებილი მასალები.

ქ. რუხაძე, 2010 - ქ. რუხაძე, ქართლი I, პურის კულტი ქართველთა რწმენა-წარმოდგენებში, თბ., 2010.

მ. შველიძე, 1983 - მ. შველიძე, "ზატონები" და მასთან დაკავშირებული ცრურწმენანი ქართლში/რელიგიის ისტორია და ათეიზმი საქართველოში, ტ.VIII, თბ., 1989.

მთხოობელები:

ტერაშვილი უსუუნა, დაბ. 1928წ., სოფ. ქორდი.

რაზმაძე ლამარა, დაბ. 1935წ., სოფ. ხიდისთავი.

ცუცუნაშვილი სოფიო, დაბ. 1952წ., სოფ. ლამისყანა.

TAMILA KOSHORIDZE

ON THE ISSUE OF BARBAROBA CELEBRATION IN SVANETI AND SHIDA KARTLI

One of the celebrations known for Svanetian people is the day of the goddess Barbare (Barboli) who was considered as a rescuer of cows, their fertility and reproduction. In Svanetian beliefs Barbare was the owner of the cows, she could recover or even kill them according to her wish.

The annual cycle of folk holidays in Shida Kartli begins with Barbaroba – every family bakes walnut pies . Another traditional meal for Barbaroba is Lobiani - a bean pie. In the past people used to take them in streets and give them to everyone. Svanetian people believed also in “mekvle” which was a person - a first visitor in their homes at Barbare holiday. “Mekvle” was believed as a definer of the future of a host family.

December 17 already a Christian holiday commemorating St. Barbare, who is considered as the savior of Children. The name of Barbare comprises both Christian and pagan beliefs, she is the symbol of productivity and fertility in pagan beliefs and the savior of children from diseases in Christian faith.

ქუთაისის საქართველოს გიბლიოთეკის წელიწლები
ANNUAL OF KUTAISI PUBLIC LIBRARY

IX

2017

მარიამ მარჯანიშვილი

ტრავმული ცნობილება გიზო გაბლიანის მოგონებაში

დღეს, უკვე ეჭვს არ იწვევს ის პროცესები, რომელიც ლენინის მიერ შექმნილმა სისტემამ შეაძლებინა სტალინს. ამ სისტემამ სტალინის უსაზღვრო ფიქტატურას შეუქმნა საფუძველი, რომლის მითითებას ახორციელებდა შინაგანი რაოდ მოწინავე ინტელიგენცია შეთითხნილი ბრალდებების წაყენებით მიზანმიმართულად მოქადაცებით.

ამ განასერში წარმოვადგენთ ეგნატე გაბლიანის ცხოვრება-მოლვაშეობის იმ ეპიზოდებს, რომელიც მისმა ვაჟიშვილმა გივი გაბლიანმა გაახმიანა თავის წიგნში “ჩემი მოგონებანი”.

მოგონებათა ავტორი თანმიმდევრულად გაღმოვალებს ჭერ მათ ოჯახში დატრიალებული ტრაგედიის მოტივებს და შემდეგ, აქედან გამომდინარე, მისი ემიგრაციაში გახიზვნის მიზნებს.

ცნობილია, რომ 1937 წლის ზაფხულში ეგნატე გაბლიანი შინაგანმა სვანეთში აიყვანა. მისი ხევდრი, სხვა მრავალ ქართველთან ერთად, მათი ოჯახის დიდი ხნის ერთგულმა მეგობარმა ილია ფალიანმაც გაიზიარა.

საბყრობილიდან თავდალწეულმა ილია ფალიანმა დაუზოგავად ამხილა ჭერ კიდევ ყმაწვილ გივი გაბლიანთან ბოლშევიკური ტირანის სისასტიკე და თან მამაშვილურად დაარიგა: “შინაგანმის თანამშრომლებს წამებით სიკვდილის პირამდე მივყავდით. ცოტას რომ მოვსულიერდებოდით, თავიდან იწყებდნენ ჩემს წამებას. ასე გრძელდებოდა უსასრულოდ, ვიდრე არ ვალიარებდით თავს დამნაშავეთ...

შენ ისეთი აღზრდილი და თანაც ისეთი ამაყი ხარ, რომ თავს არ დაიზოგავ ბრძოლებში, გთხოვ, ნუ მოიქცევი ასე. ჩვენი მთავრობა ბოროტმოქმედია, რაც მალე დაემხმბა, მით უკეთესი” (გ. გაბლიანი, 1998, გვ. 58).

ამ შეხვედრაზე გივი გაბლიანი ემიგრაციაზე დაწერილ თავის წიგნში ხაზგასმით მიუთითებდა: “მე ხმის ამოუღებლად ვუსმენდი. საშინელმა ფიქრმა გამიელვა. რა ტანჯვა-წამება უნდა გადაეტანა მამას, ვიდრე დახვრეტდნენ.

ილია ფალიანთან ამ მოულოდნელმა შეხვედრამ ძალიან დიდი ზემოქმედება მოახდინა ჩემზე. მის სიტყვებს ისე აღვიჩვამდი, თითქოს მამის უკანასკნელ სურვილს ვისმენდი...

არავითარი გზა არ ჩანდა, რომ საკუთარი ძალებითა და შვიდობიანი გზით უსამართლობა აგველაგმა, რადგან არსებული სისტემა საშუალებას აძლევდა საზარელ დიქტატორს და მის თანამზრაზველთ განუკითხავად ებატონათ მთელ ქვეყანაში... ერთადერთი შესაძლებლობა ტოტალიტარული რეჟიმის დამხობისა იყო, მომხდარიყო რაიმე დიდი მოვლენა, როგორიც არის, მაგალითთად, ომი. სწორედ ამას გულისხმობდა ძია ილია. გამომშვიდობებისას ვუთხარი, თქვენს აზრს ვიზიარებ და არ ვაპირებ თავი გავწირო არსებული რეჟიმის დასაცავად-მეთქი” (გ. გაბლიანი, 1998, გვ. 58-59).

ბოლშევიკური რეჟიმის მიერ 1936-37 წლებში მოწყობილმა "წმენდებმა", მამის ტრაგედიაშ, რასაც ერთადერთი დის სიკვდილიც დაერთო, გივი გაბლიანის სააზროვნო სისტემა და მისი სულიერი სამყარო ისე შეცვალა, რომ სამშობლოზე უბადლოდ შეყვარებულმა ახალგაზრდა ქართველმა მკაცრი გადაწყვეტილება-განაჩენი მიიღო, რამაც ბეჭვის ხიდზე შეაყენა მისი მომავალი. მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე გერმანელთა მხარეზე გადასულმა გივი გაბლიანმა მტკიცედ გადაწყვიტა ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციასთან ერთად ებრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობის კვლავ აღდგენისა და მისი საბჭოური რუსეთის სიგრძიდან გამოსახსნელად.

"მთიელებში არის რაღაც დონ-კიხოტური. ისინი არიან ჭიუტები, ზედმეტად ამაყები და ყოველთვის მზად არიან დაიცვან საკუთარი ლირსება" (გ. გაბლიანი, 1998, გვ. 143).

ქართველ მთიელთა ამ თვისებამ ბევრი რამ შეაძლებინა გივი გაბლიანს, რათა მის ქვეყანას დახმარებოდა. მის მსგავს ვაჟკაცებს კავკასიონის მთების "შევარდნებს" ეძახდნენ.

საერთოდ, გაბლიანები აფხაზეთის მკიდრნი ყოფილან. ეგნატე გაბლიანის თქმით: "გაბლიან და გაბლიანი ერთი და იგივე გვარია. ერთ დროს აფხაზეთში მცხოვრებ გაბლიასა და ერთ გავლენიან ოჯახს შორის მტრობა ჩამოვარდნილა, მერე მათ შორის სისხლიც დაღვრილა. ამიტომაც გაბლიების ერთი ნაწილი მეზობლად, მთიან "თავისუფალ სვანეთში გადასახლებულა, სადაც ყველა თანასწორი იყო. ასე მოინათლნენ აფხაზი გაბლიები სვანეთში გაბლიანებად". სვანეთში ყველა "კლანს" საკუთარი ციხე-კოშეი — "მურყვანი" ჰქონდა, ასევე, ქვით ნაგები დიდი სახლი.

ახალგაზრდა ეგნატე გაბლიანმა და მისმა მეულლებ პედაგოგმა ვერა თევზაძემ თავიანთი საუკეთესო წლები სვანეთში გაატარეს, სადაც უანგაროდ ემსახურებოლნენ ამ ლეგენდარული კუთხის მცხოვრებთ.

სვანებსაც ძლიერ უყვარდათ ეგნატე გაბლიანი და მას თავიანთ წინამძღვრლად აღიარებდნენ. იგი სვანეთის გამგებელი იყო საქართველოში მეფის რუსეთის ბატონობის დროიდან დაწყებული საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის დროსაც.

საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ბოლშევიკებმა იგი ქუთაისში დააპატიმრეს, მაგრამ სასწაულებრივად გადარჩა. რუსი ოკუპანტების ზიზლი ეგნატე გაბლიანს არასოდეს განელებია. 1924 წლის აგვისტოში, საქართველოში ბოლშევიკების წინააღმდეგ იგი აქტიურად ჩაეგა ქაქუცა ჩოლოყაშვილის მეთაურობით დაწყებულ აჯანყებაში და მშობლიურ მხარეში ერთ-ერთი პირველი მეამბოხე იყო. უბატონო სვანეთშია სწრაფად მოახდინა ადგილობრივი ბოლშევიკური აღმინისტრაციის ჩამოგდება.

აჯანყებულები ლეჩხუმის მაზრის ქალაქ ცაგერშიც შევიდნენ, სადაც გაიგეს, რომ მთელს საქართველოში აჯანყება რეგულარულმა წითელმა არმიაშ ჩახშო. ეგნატე გაბლიანი თავის რაზმთან ერთად იძულებული გახდა უკან დაბრუნებულიყო და თავის ცოლ-შვილთან ერთად მთებს შეაფარა თავი. მაშინ დასავლეთმა საქართველოს ვერ გაუწია ის დახმარება, რასაც ჩვენი მამულიშვილები ელოდნენ.

და, როცა წითელმა არმიაშ სვანეთის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი დაიბყრო, ეგნატე გაბლიანის სახლი დინამიტით ააფეთქეს, მთელი საქონელი წაასხეს, მაგრამ იგი და მისი რაზმი ვერ დაიჭირეს, რაც თბილისის ბოლშევიკურ მთავრობას დიდად აწუხებდა. შინსახომი ცდილობდა მოსახლეობის გადმობირების გზით, ეგნატე გაბლიანის დაჭერას, მაგრამ უშედეგოდ.

ბოლოს ბოლშევიკებმა მას ხალხი მიუგზავნეს და დაპირიძნენ სრულ ამნისტიასა და თავისუფლების გარანტიას, იმ შემთხვევაში თუ ნებაყოფლობით ჩავიდოდა თბილისში, ბრძოლაზე ხელს აიღებდა და რეგისტრაციაში "ჩეკას" ხელმძღვანელობასთან გატარდებოდა. უკვე წინააღმდეგობას აზრი აღარ ჰქონდა, რადგან ამ დროს სვანეთის აჯანყების მთავარი ხელმძღვანელი ბიძინა პირველი მთავრობამ ყოველგვარი მოლაპარაკებისა და დაპირების გარეშე დააპატიმრა.

სამშობლოზე ფანატიკურად შეყვარებულ ეგნატე გაბლიანს არ შეეძლო საქართველოს დატოვება და ამიტომაც შემოთავაზებული პირობები მიიღო. ბოლშევიკებმა ნაწილობრივ შეასრულეს პირობა და ფორმალურად მას სასამართლომ 10 წელი მიუსაჭა. იმ პერიოდისათვის ეს ყველაზე გრძელვადიანი სასჯელი იყო, შემდეგი ზომა კი სიკვდილი გახლდათ.

ამასთანავე, ორი წლით ეკრძალებოდა თბილისიდან გასვლა, რადგან პერიოდულად ქალაქში ყოფნის დასადასტურებლად ჩეკას კომისიაზე გამოცხადება ევალებოდა. აქედან მოყოლებული ეგნატე გაბლიანი ფორმალურად ჩამოშორდა პოლიტიკურ მოღვაწეობას და მთელი თავისი ენერგია კვლევითი საქმიანობისაკენ მიმართა.

ეგნატე გაბლიანს სვანეთში ხანგრძლივი ეთნოლოგიური და ისტორიული კვლევის შედეგად დაწერილი ჰქონდა სამეცნიერო შრომები და პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტიც გახლდათ. იგი ცნობილი პროფესორის — ნიკო მარის მოწაფე იყო.

მალე მას მთავრობამ მესტიაში ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დაარსება და მისი ხელმძღვანელობა დაავალა. ეგნატე გაბლიანის მთელი ცხოვრების მიზანი იყო სვანეთის ფასდაუდებელი ხატების, სხვა განძეულობისა და ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლების შენარჩუნებისათვის ზრუნვა. აკი, ქართველმა მეფეებმაც სვანებს ანდეს საუკუნეების მანძილზე ამ განძეულობის დაცვაც!

ამ მუზეუმს დიდი სამეცნიერო მნიშვნელობა ჰქონდა ქართველ მკვლევართათვის. გარდა ამისა, ეგნატე გაბლიანი ჩაუყენეს სათავეში ასევე სვანეთის მთებში პირველი გზის გაყვანის პროექტსაც.

ბოლშევიკებმა გამოიყენეს მისი პოპულარობა და ჯიუტ მთიელებთან შემრიგებლური პოლიტიკის დასტურად ეგნატე გაბლიანი ზემო სვანეთის გამგებლის მოადგილედ დანიშნეს, რადგან გამგებელი მხოლოდ და მხოლოდ ბოლშევიკური პარტიის წევრი უნდა ყოფილიყო.

"მდინარე ენგურის გზის მშენებლობისას მამაჩემი წააწყდა ცალ მხარეს მზისგან დამწვარ უძველეს თიხის მიღებს. მამამ დაიწყო გათხრები და აღმოჩნდა ძველი სახელოსნოების ნაკვალევი, სადაც აღნობდნენ რკინას და ამუშავებდნენ შესანიშნავ მინანქარს. ძალზე საინტერესო იყო ისიც, რომ გლეხები მიწის სამუშაოების დროს ოქროს მონეტებსა და ნაკეთობებს პოულობდნენ. ერთმა სვანმა მონადირემ ტყეში იპოვნა რაღაც ძველი ნაგებობა. სახურავი ჩაინგრა

და მონაღირე ძირს ჩავარდა. იქაურობა სავსე აღმოჩნდა ოქროს მონეტებითა და ნაკეთობებით. მონაღირეს არავისთვის გაუმხელია ეს ამბავი. ოქროს მონეტები მეწვრილმანეს გაუცვალა საოჯახო ნივთებში. გავიდა დრო და უბედურება უბედურებაზე დაატყდა ამ ოჯახს.

მონადირემ ეს განრისხებული ღმერთის წყველად მიიჩნია, რადგან "განძი" ლვთიურ საკუთრებად ითვლებოდა. დარჩენილი განძი იმავე აღგიღას მიიტანა, უფრო კარგად დამალა და სიკვდილამდე ეს საიდუმლო არავისთვის გაუმჯობესებია. სწორედ ეს რამდენიმე მონეტა იპოვნა მამაჩემზა და გადასცა მუზეუმს.

ერთ-ერთზე ამოტვიფრული იყო სახელი "ალექსანდრე". ის უსათუოდ ალექსანდრე დიდს ეკუთვნოდა. მონეტის მეორე მხარეს გამოსახული იყო კისერში ისარგარჭობილი ცხენის თავი.

მამაჩემის აზრით, კოლხების ერთ-ერთი ძირითადი საქმიანობა იყო ოქროს მოპოვება და მისგან მონეტებისა და ძეირფასი ნივთების დამზადება, რასაც დიდი ხელოვნებით ასრულებდნენ" (გ. გაბლიანი, 1998, გვ. 143).

ეს ვრცელი ამონარიდი გივი გაბლიანის წიგნიდან "ჩემი მოგონება" აქ საგანგებოდ იმისათვის მოვიყვანეთ, რათა გვეჩენებინა, თუ როგორი რუდუნებით იგსებოდა არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებული უნიკალური ნივთებით სვანეთის მუზეუმი.

ცნობილია, რომ წითელმა რუსეთმა, საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ, საერთაშორისო კანონის დარღვევით მოახდინა მისი ოქუპაცია. 1924 წელს, როცა ქართველი ხალხი აღდგა და დიდი აჯანყება მოაწყო ოკუპანტებისაგან თავდასახსნელად, აჯანყების ლიდერთა და მონაწილეთა სიკვდილით დასჯის შემდეგ, ბოლშევიკები ვითარებას განაგებდნენ. რადგან სვანებს ძლიერ უყვარდათ ეგნატე გაბლიანი და თავიანთ წინამძლოლად აღიარებდნენ, სწორედ, მას დაავალეს ზემოთ აღნიშნული სვანეთის გზის შენებლობა, რის გამოც საჭირო თანხების მოსაპოვებლად სვანეთიდან კრემლში მისი ხელმძღვანელობით დელეგაცია გაიგზავნა.

ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილმა, ქამარხანჯლიანმა, ტანმაღალმა სვანებმა, რომლებიც კავკასიის ლეგენდარულ გმირებს ჰეგვალნენ, მოსკოვის ქუჩებში გამოჩენისთანავე ხალხის ყურადღება მიიპყრეს. ამიტომაც მათ ხალხიც ჯგუფ-ჯგუფად დაჲყვებოდა. სვანეთის დელეგაცია მიხეილ კალინინმა მიიღო. ასეთ ძნელად მისაღომ ადგილებში გზის გასაყვანად ამდენი თანხის გამოყოფა მან უაზრობად მიიჩნია და სვანებს ბარში ჩამოსახლება შესთავაზა.

ცნობილ ბოლშევიკს აბელ ენუქიძეს მაშინ კალინინისათვის განუმარტას: "სვანები ამ წინაპართა მიწაზე საუკუნეების მანძილზე სახლობენ და ცოცხალი თავით ამ ადგილებს არ დატოვებენ. შემდეგ ენუქიძემ კალინინს მამაჩემზე მიუთითა და ამახსენა: "იცით, ამხანაგო კალინინ, ეს ის ეგნატე გაბლიანია, ჩემს წინააღმდეგ აჯანყებას, რომ ხელმძღვანელობდა". კალინინი მიუბრუნდა მამაჩემს და ჰკითხა: "მართალია? რატომ?" ენუქიძე ისევ ჩაერია საუბარში: "მიხაილ ივანოვიჩ, მაშინ ბევრი შეცდომა იყო დაშვებული, რასაც შემდეგ გაუგებრობანი მოჰყვა".

კრემლიდან რომ გამოვიდნენ, მამა მიუბრუნდა ენუქიძეს და უსაყვედურა: "აბელ, ჩემი სიკვდილით დასჯა თუ გინდოდა, ამხელა გზაზე რისთვის ჩამომიყვანე?"

ენუქიძეს სიცილი აუტყდა და უბასუხა: "არა, ბატონო ეგნატე, თქვენ დიდი შთაბეჭდილება მოახდინეთ ამხანაგ კალინინზე. კარგია, რომ გაიგო,

როგორები ხართ. სანაძლეოს ვდებ, თქვენი გზისათვის სახსრებს გამოგიყოფთ" (გ. გაბლიანი, 1998, გვ. 94).

ენუქიძე მართალი აღმოჩნდა. კალინინმა სვანებს გზის მშენებლობისათვის საჭირო თანხები მართლაც გამოუყო. ეგნატე გაბლიანისათვის ყველაზე უჩვეულო და პარადოქსული დავალება გახლდათ საქართველოს ბოლშევიკური მთავრობისაგან მისი და სკანების დელეგაციის კრემლში მიწვევა.

ეგნატე გაბლიანი, როგორც საქართველოს ფედერალისტური პარტიის აქტიური წევრი მთელი შეგნებით ყოველთვის ეროვნულ პოზიციაზე იდგა და იგი მუდამ ილია ჭავჭავაძის იდეებს: "ჩენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდეს" იზიარებდა.

ბოლშევიკურმა მთავრობამ ეგნატე გაბლიანი თითქოს შემოირიგა, მაგრამ იგი სტალინურ "წმენდას" მაინც ვერ აცდა: "1937 წელს, მამაჩემი რომ დააპატიმრეს, სკანებმა გადაწყვიტეს ადგილობრივ ციხეზე თავდასხმა და მამაჩემის გამოხსნა, ვიდრე შინსახომის თვითმფრინავით თბილისში გადააფრენდნენ. მაშინვე ვაცნობე მამას, მაგრამ მან უარყო ეს გეგმა და "სიგიჟე" უწოდა. სჯეროდა, რომ მისი დაპატიმრება შეცდობა იყო და ცენტრალური ხელისუფლება მალე გაამართლებდა და გაათავისუფლებდა.

მე კი, იმ დროინდელ ამბებს რომ ვიხსენებ, ვნანობ, ის გეგმა რომ არ განხორციელდა. მაშინ ჩვენ ორივეს შეგვეძლოვ იქვე სადმე დამალვა და შემდეგ ჩრდილოეთ კავკასიაში გადასვლა. მამას იქ ძველი მეგობრები ჰყავდა და ისინი დაგვმალავლნენ. იქიდან კი მოვახერხებდით უკრაინის ან რუსეთის რომელიმე დიდ ქალაქში "ჩაკარგვას" (გ. გაბლიანი, 1998, გვ. 95).

ეგნატე გაბლიანის დაპატიმრებამ ტკივილთან ერთად დიდი სულიერი დალი დასავა მათ ოჯახს. ისინი თბილისში მთის ძირში მდგარ დიდი წითელი აგურის სახლის ზედა სართულზე ცხოვრობდნენ. მამის დაპატიმრების შემდეგ "საქართვის იყო, მანქანა გამოიწყო ჩვენს სახლთან, რომ მაშინვე გაგველვინა და შიშით ავკანკალებულიყავით, რადგან გვეგონა, რომ დედასაც დააპატიმრებდნენ. ასეთი იყო პოლიტიკურ პატიმართა ცოლების ბედი. არც მომდევნო ოთხი წლის მანძილზე დაუბატიმრებიათ დედა. ეს შეიძლება იმით აგვეხსა, რომ მამაჩემის დაპატიმრება და ამ ფაქტის რეგისტრაცია სვანეთში მოხდა, ხოლო დედა ამ დროს თბილისში იმყოფებოდა" (გ. გაბლიანი, 1998, გვ. 50).

თუმცა ცნობილი პედაგოგი ვერა თევზაძე მაინც ვერ გადაურჩა რეპრესიას. მისი შეილის გივი გაბლიანის დასავლეთში გაუჩინარების გამო, იგი 1950 წელს ყაზახეთში გადაასახლეს. სტალინის ბოროტმოქედებათა დაგმიბის შემდეგ ხრუშჩოვის ამინისტრით 1956 წელს ვერა თევზაძე სამშობლოში დაბრუნდა.

იმ დროისათვის თამაშების სამყაროს ჰორიზონტზე ჩანდნენ: იმპერიალისტური მესიანური კომუნიზმი, რომლის მექა იყო მოსკოვში; ფაშიზმი — იტალიაში და მისი გერმანული ნაირსახეობა — ნაციზმი. ზოგიერთი იმედგაცრუებული ემიგრანტი ფაშისტურ ექსპერიმენტში ჩაერთო და როგორც პოეტი სიმონიკა ბერეჟიანი ერთ ლექსში ამბობდა: "კიდევ ერთ გზას ვცდი ეშმაკს დაუწყებ ვედრებას, ალბათ მხოლოდ ის გაიგებს ჩემს სასოწარკვეთას".

ამ აზრის კონსტატაციაა ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ზოგიერთი ნაწილის გერმანიის მხარეზე ანტისაბჭოთა ორგანიზაციებში ჩაბმა. ერთი მათგანი გახლდათ გივი გაბლიანიც, რომელიც ისევ და ისევ თავისი ქვეყნის სიყვარულის

გამო ჩაება ამ პოლიტიკურ ორომტრიალში. იგი იმ ქართველ ემიგრანტებს, რომლებსაც გერმანიის დახმარებით საქართველოს დამოუკიდებლობის კვლავ აღდგენის იდეა სწამდათ, მამის მეგობარმა, ცნობილმა ქართველმა მწერალმა გრიგოლ რობაქიძემ დაახლოვა.

ემიგრაციაში გივი გაბლიანმა მთელი სიცოცხლე წმინდად ატარა მამის ხატება და თავისი ფესვებისათვის არასოდეს უღალატია.

და ბოლოს, შეიძლება თამამად აღინიშნოს, რომ XX საუკუნის ქართული ემიგრანტული მწერლობა დღესაც ივსება ახალ-ახალი მასალით, დოკუმენტებით, რომლებიც უცხოეთიდან ნელ-ნელა უბრუნდება სამშობლოს.

ამ პროცესებში იკვეთება პოზიციები, რომ “ტრავმული ცნობიერება, ნოსტალგია ქმნის ავტობიოგრაფიულ ჟანრს, მემუარულ ლიტერატურას, მოგონებებს, მხატვრულ-დოკუმენტურ პროზას. ემიგრანტ მწერალს უგროვდება ბიოგრაფიული და ინფორმაციული კაპიტალი: სწორედ ამ ბიოგრაფების მოყოლით შეეძლოთ ემიგრანტებს უცხოეთში იდენტობის შენარჩუნება, როგორც თავიანთ სამშობლოსადმი, ასევე საკუთარი პიროვნებისადმი ინტერესის გაღვივება” (ა. კარტოზია, ნ. ჩიტაური, 2016, გვ. 115).

საერთოდ, მოგონებების, გახსენების ნაკადი ორი პარალელური ხაზით ვითარდება: ესაა მოგონებები დაკავშირებული მშობლიურ სახლსა და ახლობლებთან, ან — საბჭოთა ყოფის ამსახველ მეხსიერებით არსენალთან.

გივი გაბლიანის “ჩემი მოგონებანი” გახსენების ორივე ნაკადითაა გადმოცემული.

დამოწმებული ლიტერატურა

- გ. გაბლიანი, 1998** - გ. გაბლიანი, ჩემი მოგონებანი, ტ. I, ქუთ., 1998.
- გ. გაბლიანი, 1998** - გ. გაბლიანი, ჩემი მოგონებანი, ტ. II, ქუთ., 2000.
- გ. გაბლიანი, www.nplg.gov.ge**
- ა. კარტოზია, ნ. ჩიტაური, შ. შამანაძე, ნ. პოპიაშვილი, ი. მოდებაძე, ნ. გაგოშაშვილი, 2016** - ა. კარტოზია, ნ. ჩიტაური, შ. შამანაძე, ნ. პოპიაშვილი, ი. მოდებაძე, ნ. გაგოშაშვილი, ქართული მწერლობის ინტერკულტურული მოდელი და ნაციონალური იდენტობის პრობლემა, თბ., 2016.

MARIAM MARJANISHVILI**TRAUMATIC CONSCIOUSNESS IN GIVI GABLIANI'S MEMORY**

In Georgia, during great repressions, there was a purposeful “purge” of *intelligensia*. Among them was a member of federal party, an eminent activist of Georgian national liberation movement of 1921-1924, one of the leaders of the rebellion in Svaneti in 1921 alongside Nestor Gardapkhadze and Bidzina Pirveli and also a participant of the national rebellion in August 1924, the governor of Svaneti during Russian imperialistic domination and independence of Georgia, Egnate Gablian.

Bolsheviks used his popularity and after establishing conciliatory policy with stubborn mountain dwellers, they sent him back to the highlands of Svaneti, this time as a deputy governor as the governor himself had to be a Bolshevik.

The government entrusted him to establish a historical-ethnographic museum in Mestia and supervise it. Egnate Gablian's main aim in life was to preserve invaluable icons, other treasures and historical-architectural monuments of Svaneti. It is a fact that Georgian kings trusted Svani people to protect this treasure for centuries.

This museum had a great scientific significance for Georgian researchers. Besides, Egnate Gablian supervised the project of building the first road in Svaneti mountains.

While working in Svaneti Egnate Gablian also took part in intensive archaeological excavations. At the same time, as a result of ethnological and historical research, he wrote a number of scientific works and was a member-correspondent of Petersburg Scientific Academy. He was a student of a famous professor, Niko Marr.

Bolshevik government reconciled with Egnate Gablian, but he couldn't escape Stalin's “purge”: “In 1937, when my father was arrested, the Svani decided to attack the local prison and free my father, before he was taken to Tbilisi. I informed my father at once, but he turned down this plan and called it “madness”. He believed that his arrest was a mistake and the central authorities would soon acquit and free him”.

Due to his father repression, Givi Gablian had to emigrate, but all his life he carried his father's icon. In his book “My memorial” he depicted a lot of characteristic episodes from his father's, Egnate Gablian's life.

ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის წელიწლები
ANNUAL OF KUTAISI PUBLIC LIBRARY

IX

2017

მაია მიქაუტაძე

**ნევილ გაბისმიერი ვ ქართულ ენაში
სახელის წერილობითი ძეგლების მიხედვით**

სამეცნიერო ლიტერატურაში საკამათოდაა ქცეული ქ., ღ. ვ., უ, ფ გრაფემებით გამოსახული ბერების კვალიფიკაციისა და ურთიერმიმართების საკითხი; კერძოდ:

ანტონ პირველმა თავის “ქართულ ლრამატიკაში” პირველად მოგვცა ერთი მხრივ, კბილბაგისმიერ და წყვილბაგისმიერ ნაპრალოვან თანხმოვანთა, მეორე მხრივ კი - ბაგისმიერ მარცვლოვან და უმარცვლო ვარიანტთა განაწილების მეცნიერული ანალიზი. ის თვლის, რომ თუ უ ხმოვანი “სიტყვის შუაში” მოქცევა, გაბრჯუვდება (ანტონ I, 1767, გვ. 116).

“ფერეიდნულის მთავარი თავისებურებების” განხილვისას არნ. ჩიქობავასთვის ვ გრაფემა კბილბაგისმიერს გამოხატავს, უ - წყვილბაგისმიერს (არნ. ჩიქობავა, 1927, გვ. 205-207).

გ. ახვლედიანი თვლის, რომ უ-ს ცოცხალ მეტყველებაში შესაფერისი წყვილბაგისმიერი გამოთქმა უნდა ჰქონოდა, თუმცა სალიტერატურო ენაში უ გაკბილბაგისმიერდა და ამიტომ ყველგან იწერება ვ (გ. ახვლედიანი, 1949, გვ. 158).

ს. ულენტის მიხედვით, ძველ ქართულში პარალელურად არსებული კბილბაგისმიერი [ვ]-სა და წყვილბაგისმიერი [უ]-ს ნაცვლად დღეს ლიტერატურულ წარმოთქმაში მხოლოდ კბილბაგისმიერი [ვ] სონანტია; დიალექტებში კი, უმეტეს შემთხვევაში, ისევ წყვილბაგისმიერი ბერაა შემონახული (ს. ულენტი, 1956, გვ. 159).

გ. როგორაც დასკვნით, ძველ სალიტერატურო ქართულ ენაში ვ ასოთი უნდა ყოფილიყო გადმოცემული ორი ფორმა: ერთი წყვილბაგისმიერი ვ (უ) — ვალ, ვედ, თავ (resp. უმარცვლო უ წინამავალ თანხმოვნებთან — კუალი, ძუალი და სხვ.), მეორე — ვ ზმნურ სუფიქსებში — კლავს, დაუტევა..., სახელებში — ქვა, საზღვარი და სხვა..., რომელიც შეიძლება ყოფილიყო თითქოს კბილბაგისმიერისაკენ გადახრილი... შეიძლება უფრო ვიწრო სპირანტი, ვინედ წყვილბაგისმიერი უ (გ. როგორაც, 1962, გვ. 113). აქვე გ. როგორაც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ “ქართული ვ წყვილბაგისმიერი სპირანტია... ეს არის საერთოდ ქართული ვ-ს დამახასიათებელი ნიშანი. თუკი სალიტერატურო ქართულზე მოლაპარაკებ ვ მართლაც გამოთქვა როგორც კბილბაგისმიერი, ეს გამოთქმის არაბუნებრიობას ან სხვა ენის გავლენას უნდა მიეწეროს” (გ. როგორაც, 1962, გვ. 116).

ივ. ქავთარაძე ისტორიულ ქართულში ვ-ს წყვილბაგისმიერად და ოდნავი უკანა არტიკულაციის მქონედ მიიჩნევს (ივ. ქავთარაძე, 1964, გვ. 94).

თ. უთურგაიძისათვის [ვ] და [უ] ძველ ქართულში ერთი ფონემის — /ვ/-ს ალოფონებია. რაც შეეხება ამ ბერათა ფიზიოლოგიურ განსხვავებულობას: როგორც მკვლევართა უმრავლესობა, თ. უთურგაიძეც ძველ ქართულში [ვ]-ს მიიჩნევს კბილბაგისმიერად, ხოლო [უ]-ს წყვილბაგისმიერად; მისი აზრით, ქართული

ანბანიდან უს ამოგდება განაპირობა ამ ბგერებს შორის შინაარსობრივი ოპოზიციის უქონლობამ“ (თ. უთურგაიძე, 1966, გვ. 107).

თ. გამყრელიძე თვლის, რომ “...ვ და უს სპირანტები ქართულში საერთო ბაგისმიერი სპირანტული ვარი (პოზიციური/ფაქულტატიური) ვარიანტია: “კბილბაგისმიერი“ [ვ] და “წყვილბაგისმიერი“ [უ] (თ. გამყრელიძე, 2000, გვ. 255, შენიშვნა 1).

ტ. ფუტკარაძის თვალსაზრისით, თანამედროვე სალიტერატურო ქართული ენის მონაცემთა მიხედვით ისტორიული ხანის ქართულ ძეგლებში ვინი გრაფემით დადასტურებული ბგერის უეჭველად კბილბაგისმიერად ჩათვლა (ყ. შანიძე) ნაკლებად სარწმუნოა. მისი ვარაუდით, არა მხოლოდ საერთოქართველურსა და არქაულ სამწიგნობრო ენაში, არამედ თანამედროვე ქართულის ყველა ქვესისტემაშიც (სამწიგნობრი ენის ჩათვლით) ძირითადი ბგერაა უმარცვლო წყვილბაგისმიერი სპირანტი, ხოლო მისი ალოფონი - კბილბაგისმიერი ვარიანტი - იშვიათად რეალიზდება; შესაბამისად, ტ. ფუტკარაძეს მიაჩნია, რომ ქართულ ასომთავრულ ანბანში მე-6 ნიშნით თავიდანვე აღნიშნული იყო წყვილბაგისმიერი ვარიანტი (რომელიც მოვარინებით აღინიშნა უს გრაფემით). სონანტების ალოფონთა გამოხატვაში, არსებული რყევა გამოიწვია ბერძნულის გავლენით ტყ დიგრამის შემოლებამ; კბილბაგისმიერი სპირანტი ანბანში არ გამოიხატებოდა (ტ. ფუტკარაძე, 1998, გვ. 89).

აღნიშნულ სადაც საკითხს ჩვენც არაერთგზის შევხებივართ (იხ.: მ. მიქაელაძე, 2004; მ. მიქაელაძე, 2005, გვ. 19-45, ტ. ფუტკარაძე, მ. მიქაელაძე, 2008, გვ. 316-321...).

ჩვენ დაკვირვებით, V-XI სს. წერილობით ძეგლებში წყვილბაგისმიერი სპირანტი გადმოიცემოდა, ერთი მხრივ, ბერძნულის ზეგავლენით შემოლებული ტყ დიგრაფით, მეორე მხრივ, ტრადიციული უ გრაფემით; უფრო კონკრეტულად: C₁-V და C-C პოზიციებში წყვილბაგისმიერი სპირანტი გადმოიცემოდა ტყ და უ, ზოგჯერ დ გრაფემებით; #-V და V-C პოზიციებში - უ და დ (იშვიათად) გრაფემებით; C₂-V, V-V, V-, # -C პოზიციებში - უ გრაფემით. #-V, V-V, V-C, V-, # -C პოზიციებში გამოვლენილი უ შეიძლება გადმოსცემდეს თითქოს უფრო “კბილბაგისმიერობისკენ გადახრილ“ ბგერას, როგორც ამას გაკვრით აღნიშნავს არნ. ჩიქობავა (მ. მიქაელაძე, 2005, გვ. 42-43). ასევე, ვფიქრობთ, რომ ანტონმა უს შემოილო საკუთრივ უ-სგან მიღებული უმარცვლო ვარიანტის აღსანიშნავად, ვინაიდან ამ დროისთვის ქართული ანბანის ვარიანტით გამოხატული ბგერა ლათინურის გავლენით კბილბაგისმიერადაა გააზრებული (იქვე).

თანამედროვე ქართულ მეტყველებაში, როგორც ცნობილია, მკვეთრად გამოხატული წყვილბაგისმიერი უს ქართული ენის დიალექტთა უმეტესობაშია დადასტურებული: მოხეურში, ქართლურში, კახურში, ინგილოურში, ფერეიდნულში, იმერულში, ლეჩუმურში, გურულში, აჭარულში, იმერხეულში (მ. ჯორბეგაძე, 1998, გვ. 80). სვანურში საერთოდ არ არის კბილბაგისმიერი ტყ ბგერა.

წყვილბაგისმიერი ვარიანტის გავრცელების თვალსაზრისით საინტერესოა ბ. ჯორბეგაძის დაკვირვება: “ღირსსაცნობია: რაც უფრო დასავლეთისაკენ მივდივართ, მით უფრო მკვიდრია და ფართო გავრცელებისაა

ც არა მხოლოდ ისტორიულად შეპირობებულ პოზიციაში, არამედ კბილბაგისმიერი **ვ** თანმხოვნისა და ლაბიალური **უ** ხმოვნის პოზიციებშიც” (ბ. ჯორბენაძე, 1998, გვ. 86).

საყურადღებოა სვანურ ლაპიდარულ წარწერათა და ისტორიული საბუთების მონაცემები.

რამდენადაც სვანთა მეტყველებისათვის უცხოა კბილბაგისმიერი ვინი, ამდენად ძალზე საინტერესოა, თუ რა პოზიციებში და რა ბგერების გაღმოსაცემად გამოიყენებოდა როგორც ასომთავრული წი და **Qd**, ასევე მხედრული ვ და უ გრაფემები სვანური წერილობითი ძეგლების მონაცემების მიხედვით.

თუკი ასომთავრული წი კბილბაგისმიერი ვინის აღმნიშვნელი იყო, მაშინ იგი ნაკლებ უნდა დადასტურებულიყოს ვანთა ზეპირი მეტყველების ფიქსირებისას (ეპიგრაფიკულ წარწერათა ენაში); შესაბამისად, მოსალოდნელი იყო დიგრაფი (თავისი ვარიანტებით). წერილობითი ძეგლების შესწავლის შედეგად კი სახეზე სრულიად განსხვავებული სურათი გვაქვს:

IX-XIს. სვანეთის წერილობით ძეგლებში არასონორ თანხმოვნისა და ხმოვანს შორის პოზიციაში 93,9% წი გრაფემა წერია და 6,1% — **Qd**.

შდრ.: X-XI ს. კორიფეთის საბუთებში ეს შეფარდებაა — 20%—80%; ი.დოლიძის გამოქვეყნებულ იმავე პერიოდის სამართლის ძეგლებში — 49,4%—50,6%.

მაგალითები: სვანეთის წერილობითი ძეგლებიდან:

Qd გრაფემა მხოლოდ ოთხ სხვადასხვა ფუძეში ზის, აქედან ერთი ქარაგმიანია: მარჯუნიორ(IIIგ.1-2; IIIგ.1-3); კუირიკიანი (IIIგ.3-123; IIIგ.3—125); გუითვალეთ (IIIგ.3-5); შეაჩუქნეცა (IIIგ.3-277).

ყველა სხვა შემთხვევაში წარწერებში ამ პოზიციაში მხოლოდ წი —ა:

მიცვალებულთა (IIIგ.1-9); გვიშლიდეს (IIIგ.3-156); საყვირისასა (IIIგ.3-222); სვეტი (IIIგ.3-42); მიუთვალა (IIIგ.3-219); ხვაარბალი (IIIგ.3-54); ხვიბლიანი (IIIგ.3-54); მოსწყვიდის (IIIგ.3-65); ომშერააძვირესა (IIIგ.3-136); გვარამელიანი (IIIგ.3-221); ჩხივიანი (IIIგ.3-114); გაუსვენე (IIIგ.3-218); მარხვანი (IIIგ.3-156); აზრვიოს (IIIგ.3-54); განკითხვისასა (IIIგ.3-231) ...

სონორ თანხმოვნისა და ხმოვანს შორის პოზიციაში ჩვენ მიერ შესწავლილ IX-XI ს. ხელნაწერებსა და ლაბიდარულ წარწერებში მხოლოდ წი ზის: ლაზარე მოჟალველი (IIIგ.3-232); ამგალვიანი (IIIგ.3-9); იანვარსა (IIIგ.3-281); ფარვან (IIIგ. 1-6)...

თანხმოვნებს შორის პოზიციაში სვანეთის წერილობით ძეგლებში ერთ შემთხვევაში წერია **Qd** და ორში — წი: მხატვრისათა (IIIგ.1-9); გვრთავს (IIIგ.3-54); ნესტუსა მას (IIIგ.3-222)...

შდრ.: კორიფეთის საბუთებში ერთადერთ შემთხვევაშია **Qd დაწერილობა; სამართლის ძეგლებში — 77,7%.**

XII-XVIII ს. ხუცურ ძეგლებში წი და **Qd** გრაფემების გამოვლენისას თავისებურებანი ჩვენთვის საინტერესო C-V და C-C პოზიციებში იმატებს.

სონორ თანხმოვნისა და ხმოვანს შორის პოზიციაში ჩვენ მიერ შესწავლილ XII -XVIII ს. ყველა ძეგლში მხოლოდ წი —ა (ბ. მიქაუტაძე, 2005).

C-C პოზიციაში სვანეთის ისტორიულ საბუთებში — 13,7% **უნია** და დანარჩენ შემთხვევებში — **გინი:** მირვლიანი (IIIგ.3—66); მხატვრისათა

(IIIვ.1–11) ... დამისკუნია (IIIვ.1–40); სიკუდილითა (IIIვ.1–7); დაგუწერეთ (IIIვ.1–16); დახუდეს (IIIვ.1–27)...

შედრ.: აბუსერისძე ტბელთან 72,7% უნია და 27,3% ვინი; “სიტყუად ართრონთათვაში” 96,6%-ია უნი; ნუსხურ ისტორიულ საბუთებში — 50%; XII–XIII სს. ლაპილარულ წარწერებში — 27,2% (მ. მიქაელაძე, 2005).

მხედრულით შესრულებულ ძეგლებში ვ და უ გრაფემათა გამოვლენის პოზიციები ძირითადად მსგავსია ასომთავრულ ძეგლებში რა და **Q4** გრაფემათა გამოვლენის პოზიციებისა.

ჩვენთვის საინტერესო C_N და C_C პოზიციებში ვ და უ ასო-ნიშანთა განაწილების სურათი ასეთია:

არასონორ თანხმოვანსა და ხმოვანს შორის პოზიციაში XII–XIII სს. სვანეთის წერილობით ძეგლებში 7,5%-ია **უ** გრაფემა; XIV–XVI სს. სვანეთის წერილობით ძეგლებში (წარწერებში) — 24%; XIII–XVI სს. სვანეთის ისტორიულ საბუთებში — 17%; სხვა შეთხვევებში აღნიშნულ ძეგლებში **ვინია**.

მაგალითები: ოვანე სუანი (IIIვ.3–182); სუანთა ერისთვობასა (IIIვ.1–24); დავათუალეთ (IIIვ.1–36); შემოსრულობისთუინ (IIIვ.1–100); ქუემო (IIIვ.1–6)... განკითხვისასა (IIIვ.3–237); ქვერებისკობოსი (IIIვ.3–63); კვამლისაგან (IIIვ.1–16); ხატვასა (IIIვ.1–15); დედვალაი (საკ.სახ. IIIვ.3–81); თქვენსა (IIIვ.3–160); გამარჯვებაი (IIIვ.3–160); დაგვიდარე (IIIვ.3–152); გვედიან (საკ.სახ. IIIვ.3–251); ჩართველანს (IIIვ.1–19); დაარღვია (IIIვ.1–22); ფერმიდველთა (IIIვ.3–141); გამოგვიჩდეს (IIIვ.3–153); მოგვინდა (IIIვ.3–260); თქვენცა (II სვ.3–97)... მოჰყვეს (IIIვ.1–7); ქვედა (IIIვ.1–8); რაგვარცა (IIIვ.1–15); შვამან (IIIვ.1–8) ყველაბან (იქვე); შემოსრულობისათვის (IIIვ.1–24) ...

სონორ თანხმოვანსა და ხმოვანს შორის პოზიციაში ჩვენ მიერ შესწავლილ XII–XVIII სს. ყველა ძეგლში მხოლოდ **ვინია**:

შალვა (IIIვ.1–21); საფარველსა (IIIვ.3–160); თევდორე მაქრვემიანი (IIIვ.3–151)...

თანხმოვების შორის C_C პოზიციაში მხედრულით შესრულებულ სვანურ ისტორიულ საბუთებში — 86,3% **უ** დაწერილობაა. სხვა შემთხვევებში აღნიშნულ პოზიციაში **3** გრაფემა გვხვდება.

შედრ.: ისტორიულ საბუთებში 66,7%-ია უ გრაფემა; ანასეულ “ქართლის ცხოვრებაში” — 95,8%; მარიამისეულში — 95,8%; კორილოთის XII–XIII სს. საბუთებში 60%; XII–XIII სს. “სამართლის ძეგლებში” — 84%; XV ს. “სამართლის ძეგლებში” — 80% (მ. მიქაელაძე, 2005, გვ.).

სვანურ ისტორიულ საბუთებში **V–V** პოზიციაში ძირითადად **3**-ა, მხოლოდ ორ შემთხვევაშია სვანური მეტყველებისთვის ბუნებრივი წყვილბაგისმიერი ბგერა **უ** ნიშნით გადმოცემული. **V–C** პოზიციაში — 58,8% — **უ**-ა და 41,2% — **3**.

4 გრაფემა სვანურ ძეგლებში უიშვიათესად გამოიყენება და მხოლოდ [უ]-ს ან [უ]-ს აღნიშნავს: ჭართა (IIIვ.1–27) ... სკლ-სა (IIIვ.1–27); აზნაჭრთა (IIIვ.1–11) ...

[**30**] კომპლექსი სვანურ წერილობით ძეგლებში ასევეა ჭარმოდგენილი ძირითადად: ჩხიკვიანი (IIIვ.3–114); ომშერაძგირესა (IIIვ.3–136); გვიშლიდეს (IIIვ.3–156); ხვიბლიანი (IIIვ.3–222); დაგვიდარე (IIIვ.3–152); განკითხვისასა (IIIვ.3–238) ...

მხოლოდ ერთ პროცენტში ეს კომპლექსი გამოისახება **უ** (//Q47) ან **კი** (/ /47) დაწერილობით: სულისათუის (IIIვ.1–4); შვილი (IIIვ.3–219); ჩემისათვის (IIIვ.1–27) ...

ზემოთ წარმოდგენილი სვანური მეტყველების ამსახველი წარწერებისა და ისტორიული საბუთების ენათა ანალიზიდან შეიძლება დავასკვნათ:

რამდენადაც სვანთა მეტყველებისათვის უცხოა კბილბაგისმიერი **ვინი**, იმ შემთხვევაში თუკი ასომთავრული **ზ** ამ ბერის აღმნიშვნელი იყო (შესაბამისად, ქართული ენისათვის ძირითადია სწორედ კბილბაგისმიერი ვ ბერა), იგი ნაკლებ უნდა დადასტურებულიყო სვანთა ზეპირი მეტყველების ფიქსირებისას (ეპიგრაფიკულ წარწერათა ენაში).

როგორც დავინახეთ, აბსოლუტურად საპირისპირო ვითარება გვაქვს:

სხვადასხვა ბერიობის სვანეთის წერილობით ძეგლებში **C_n—V, C_s—V, C—C, V—V, V—C** პოზიციებში ასეთი მაღალი სიხშირით დადასტურებული როგორც ასომთავრული **ზ**, ასევე ნუსხური რ და მხედრული **ვ** გრაფემები, ძირითადად, წყვილბაგისმიერი ბერის გადმოსაცემად გამოიყენებოდა.

სვანური მეტყველების ამსახველი წარწერებისა და ისტორიული საბუთების ენათა ანალიზი, ჩვენი აზრით, კიდევ ერთი დამატებითი არგუმენტია იმისა, რომ როგორც ასომთავრულით, ასევე მისგან მომდინარე ნუსხურითა და მხედრულით შესრულებულ ისტორიული ხანის ძეგლებში **ზ**, **V**, **რ**, **ვ** გრაფემებით გადმოცემული ბერა, უმეტეს შემთხვევაში, წყვილბაგისმიერია და, შესაბამისად, ქართული ენისთვისაც ძირითადი სწორედ /ვ/ ფონემის წყვილბაგისმიერი ალოფონია.

შემოკლებანი

სვ.I — სვანეთის წერილობითი ძეგლები I.

სვ.II — სვანეთის წერილობითი ძეგლები II.

დამოწმებული ლიტერატურა

ანტონ I, 1767 - ანტონ პირველი, ქართული ლრამმატიკა (შეორე რედაქცია - 1767). ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს ელენე ბაბუნაშვილმა, ნარგიზა გოგუაძემ, ლია კიკნაძემ. ლექსიკონი დაურთო ელენე ბაბუნაშვილმა, თბილისი 1997.

გ. ახვლედიანი, 1949 - გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949.

თ. გამყრელიძე, 2000 - თ. გამყრელიძე, თანხმოვანთა “განდასება” ქართულში, ჟ/ქ და ყ/ქ/ბ ფონემათა სტატუსისათვის ქართულსა და კავკასიურში, რჩეული ქართველოლოგიური შრომები, თბ., 2000.

გ. სილოვანა, 1986 - სვანეთის წერილობითი ძეგლები I, ისტორიული საბუთები და სულთა მატიანები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები და სამეცნიერო-საცნობარო აპარატი დაურთო ვალერი სილოვანა, თბ., 1986.

გ. სილოვანა, 1988 - სვანეთის წერილობითი ძეგლები II, ეპიგრაფიკული ძეგლები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები და სამეცნიერო-საცნობარო აპარატი დაურთო ვალერი სილოვანა, თბ., 1988.

- გ. მიქელაძე, 2004** - ასომთავრულ ქ და ცდ გრაფემათა გამოვლენის სიხშირე და ამ გრაფემებით გადმოცემული ბგერები V-XI სს. ძეგლებში, ქართველური მემკვიდრეობა, VIII, ქუთაისი, 2004.
- გ. მიქელაძე, 2005** – ქართული ენის ფონემატური სტრუქტურის საკითხები V-XI საუკუნეთა წერილობითი ძეგლების მიხედვით, ქუთაისი, 2005.
- ს. ულენტი, 1956** – ს. ულენტი, ქართული ენის ფონეტიკა, თბ., 1956.
- გ. როგავა, 1962** - გ. როგავა, ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხები, თბ., 1962.
- თ. უთურგაიძე, 1966** - თ. უთურგაიძე, ქართული ენის მთის კილოთა ვოკალიზმი, მეტყველების ანალიზისა და სინთეზის საკითხები, თბ., 1966.
- თ. უთურგაიძე, 1976** - თ. უთურგაიძე, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბ., 1976.
- თ. უთურგაიძე, 1995** - თ. უთურგაიძე, [ვ]-სა და [უ]-ს მიმართებისათვის ძველი ქართულის ფონემატურ სისტემაში; ფილოლოგიური ძიებანი, თბ., 1995.
- თ. უთურგაიძე, 2000** - თ. უთურგაიძე, კვლავ წყვილბაგისმიერი უ და კბილბაგისმიერი ვ თანხმოვნების სტატუსისთვის ძველ ქართულში, იქნ, XXXIV, თბ., 2000.
- ტ. ფუტკარაძე, 1998** - ტ. ფუტკარაძე, სონანტების ალოფონთა ასახვისათვის ასომთავრულში (სამეტყველო კოდების შერევის ერთი ნიმუში), ქუთაისური საუბრები V, სიმპოზიუმის მასალები, ქუთაისი, 1998.
- ტ. ფუტკარაძე, გ. მიქელაძე, 2008** - კვლავ ქართული წყვილბაგისმიერი სპირანტის შესახებ (იმერხეული მასალის ანალიზი), ქართველური მემკვიდრეობა, ტ. XII, ქუთაისი, 2008.
- ივ. ქავთარაძე, 1964** - ივ. ქავთარაძე, ქართული ენის ისტორიისათვის, თბ., 1964.
- არნ. ჩიქობავა, 1927** - არნ. ჩიქობავა, ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი, ტფილისის უნივერსიტეტის მასშტაბში, VII, ტფ., 1927.
- ბ. ჭორბენაძე, 1998** - ბ. ჭორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, II, თბ., 1998.

MAIA MIKAUTADZE

BILABIAL V IN GEORGIAN LANGUAGE ACCORDING TO SVANETIAN MANUSCRIPTS

In scientific literature the qualification issue of the V sound is the matter of discussion in historic and in modern Georgian language as well. According to the one side of the scientists the dento-labial alphony of this sound is basic for Georgian speech (G. Akhvlediani, S. Jgenti, T. Gamkrelidze), for the second side of them - it is bilabial alphony (Iv. Kavtaradze, G.Rogava, T. Uturgaidze, T. Putkaradze)

In this respect, the data of Svanetian lapidary recordings and historical documents are important. In case if the sources done with majuscule, minuscule and millitary alphabets the sixth letter-sign of the Georgian alphabet was the denoter of dento-labial V (and accordingly, this alphony is the basic for Georgian alphabet), it should have been presented in a seldom mode while fixing Svanetian verbal speech (in the language of epigraphs) due to the fact that for Svanetian language dento-labial *Vini* is strange.

We have absolutely the different situation: in Svanetian manuscripts of different periods (IX-XVIII centuries) in C_N-V, C_s-V, C-C, V-V, V-C positions, majuscule, minuscule and military images signifyinf V are presented with big frequency. That's why dento-labial V sound is strange for Svanetian anguage, these images primarily were used to express bilabial sounds. Accordingly, the bilabial alphony in basic for the Georgian language.

შაჲთაისის საჭარო ბიბლიოთეკის წელიწლეული
ANNUAL OF KUTAISI PUBLIC LIBRARY

IX

2017

ნორა ნიკოლაძე-ლომისიანიძე

სვანერი ლეგენდები და წეს-ჩვეულებები

ლეგენდა არის ფოლკლორის სრულიად დამოუკიდებელი ჟანრი, რომელიც რელიგიურ რწმენას ემყარება და ფანტასტიკურ-სასწაულებრივ ამბავს სინამდვილის სახით გადმოგვცემს.

სამეცნიერო ლიტერატურაში ლეგენდის შესახებ მცირე ცნობები მოგვეპოვება. ამის მიზეზი ის უნდა იყოს, რომ ლეგენდას ზღაპრის სახესხვაობად განხილვდნენ, რაც არასწორია. მიხეილ ჩიქოვანმა ზღაპრის სხვა ჟანრებს შორის ლეგენდას თავისი კუთვნილი ადგილი მიუჩინა (მ. ჩიქოვანი, 1938, გვ. 10-14).

ლეგენდის წარმოშობა ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრების უძველეს ეპოქას მიეკუთვნება. ცნობილია, რომ შუამდინარეთის ხალხებს ჯერ კიდევ მესამე ათასწლეულში (ჩვენს წელთაღრიცხვამდე) მოეპოვებოდათ ლეგენდები.

“ლეგენდა თავდაპირველად აღნიშნავდა წმინდანების “ცხოვრებისა” და “ვნებების” ნაწყვეტებს, რომლებიც ამ წმინდანებისადმი მიძღვნილ საეკლესიო მსახურებისა და მონასტრული ტრაპეზის დღეებში იყითხებოდა” (ქართული ფოლკლორი, 1974, გვ. 230). შემდეგ იგი გამოყენებულ იქნა როგორც ქრისტიანული, ისე არაქრისტიანული რელიგიურ-დიდაქტიკური მოთხოვნების აღსანიშნავად. გარდა სასულიერო მოღვაწეებისა, ლეგენდას ხშირად ერისკაცებსაც — მეფეებს, დიდ ფეოდალებს, ხალხის სახელოვან ადამიანებს უკავშირებდნენ და მათ ცხოვრებას რელიგიურ საბურველში ხევვლნენ.

უნდა შევნიშნოთ, რომ მკვლევრები ლეგენდებში, თქმულებებსა და გადმოცემებში ყოველთვის სინამდვილის ანარეკლს ხედავდნენ. ილია ჭავჭავაძე ამ საკითხთან დაკავშირებით წერდა. “ეს ზღაპარ-ნარევი ამბები, ლეგენდები, თქმულებანი, რა თქმა უნდა, მოწმედ და საბუთად მოსატანი არ არიან რომელსამე ყოფილი საქმისა, ამ მხრივ იგინი ძალიან ცოტად დასაჭერნი და სანდონი არიან, მაგრამ ხშირად ამისთანა ამბებში ვპოულობთ ბევრს მართალს აღწერას ზნე-ჩვეულებისა” (ი. ჭავჭავაძე, 1941, გვ. 483). ამასვე მიუთითებს ვაჟა-ფშაველა: “ვგონებ, რომ ერთს თქმულებაზედ თვით ეპოქა მოქმედებს და ამიტომ ხდება, რომ ერთი შესანიშნავის საუკუნის შესანიშნავს მოვლენას ამბად, ზღაპრად, ლეგენდად, ან ლექსად გამოიტყვის ხოლმე” (ვაჟა-ფშაველა, 1956, გვ. 180). ეთნოგრაფი ბ. ნიუარაძე წერს: “ამგვარი გადმოცემანი ცოტად თუ ბევრად დაწერილი ისტორიის მაგივრობას სწევნ” (ბ. ნიუარაძე, 1962, გვ. 18). დიდი ქართველი მწერალი კონსტანტინე გამსახურდიაც ლეგენდის წყაროთმცოდნეობით ღირებულებას აღიარებს. მისი აზრით, “ყოველი ერის ისტორია ლეგენდიდან მოღის” (კ. გამსახურდია, 1965, გვ. 3) ანალოგიურ მოსაზრებას გამოთქვამს ჯუზებე კოკიარა წიგნში — “ევროპის ფოლკლორისტიკის ისტორია” (კ. კოკიარა, 1960, გვ. 78).

როგორც ცნობილია, ქრისტიანული რელიგია საქართველოში წარმართულ რწმენებსა და წარმოდგენებთან ბრძოლაში მკვიდრდებოდა და ყალიბდებოდა.

სალვოთო წერილებმა და აპოკრიფულმა ლიტერატურამ ნოყიერი ნიადაგი შეუქმნეს მრავალი ახალი ლეგენდის წარმოქმნასა და გავრცელებას.

ქართულ ფოლკლორში გვაქვს როგორც ქრისტიანულ-რელიგიური, ისე წარმართული რწმენის ამსახველი ლეგენდები. ი. ჯავახიშვილის ცნობით, “ზოგიერთი ლეგენდა კი ამ ორივე რწმენის უძველ კვალს ატარებს” (ი. ჯავახიშვილი, 1960, გვ. 43).

ამჟამად ჩვენი ინტერესის სფეროს შეადგენს სვანური ლეგენდები და წეს-ჩვეულებები.

საერთოდ, ლეგენდები თემატიკის მიხედვით, რამდენიმე ჯგუფად იყოფა. არსებობს კოსმოგონური, აპოკრიფული, წარლენის, ისტორიული და სხვ.

სვანეთში მეტ-ნაკლებად ყველა მათგანი არსებობს.

სამყაროს საიდუმლოების ახსნას უხსოვარი დროიდან ცდილობდნენ ადამიანები, ასე შეიქმნა ხალხური კოსმოგონური ლეგენდები, რომლებშიც შეიძლება ორი ძირითადი საკითხი გამოიყოს: 1. სამყაროს წარმოშობა და პირველ ადამიანთა გაჩენა, 2. პირველი ადამიანების შეცოდება და მათი დასჭა.

ქართული ლეგენდის ლექსითი ვარიანტების მიხედვით, ღმერთის მიერ ქვეყნის შექმნის მოტივი ბიბლიურ ლეგენდას ემთხვევა. თითქმის ყველგან ღმერთია აქტიური ძალა, რომელიც სამყაროს ქმნის:

ღმერთო, შენი დაილოცოს საქორი და სამართალი,

გააჩინე ცა, ქვეყანა, ზედ გამართე მთა და ბარი

(ვ. ბარნოვი, 1964, გვ. 27).

ქართული ლეგენდის სვანური ვარიანტი შუმერულ ლეგენდას უფრო ეხმაურება, ვიდრე ბიბლიურს. შუმერული ლეგენდის მიხედვით, სამყაროს პირველსაწყისი წყალია, საიდანაც ჩნდებიან ღმერთები, შემდეგ კი ეს უკანასკნელნი ცას და დედამიწას გაჩენენ. სვანურ ვარიანტშიც “უწინარეს ყოვლისა, ქვეყნიერება წყლით იყო მოცული. ღმერთი კი თავდაბირველად ისე მოისუსტებდა, კინალამ წყალში დაიხრჩო” (“კავკაზი”, 1905, გვ. 3).

საგულისხმოა, რომ სვანურ ლეგენდაში, პოლითეისტური რწმენის კვალიც ჩანს, შემოქმედ ღმერთს მარტოდმარტო არ ძალუძი ქვეყნის შექმნა და სხვათა დახმარებას საჭიროებს. ლეგენდაში მოთხრობილია, რომ სამყაროს მოწესრიგებაში მონაწილეობას იღებენ ღმერთი, სამოელი, მიქელ და გაბრიელ მთავარანგელოზები. სამოელს თითქმის ღმერთზე მეტი დამსახურებაც კი მიუძღვის. მის უბირატესობაში მთავარანგელოზებიც არიან დარწმუნებულნი და გაჭირვების უამს უკანასკნელ იმედად მიიჩნევენ.

გავიხსენოთ შუმერული ლეგენდა. სამყაროს აქაც ღმერთა მთელი რაზმი აწესრიგებს, რომელთა შორის ბრძენ ეს მოწინავე აღგილი უჭირავს.

სვანური ლეგენდის ერთ ვარიანტში სამოელი გაცილებით ძლიერია ღმერთზე. აქ ღმერთი საქმაოდ უნდილად და არცთუ ჭკვიანად გამოიყურება:

ღმერთი, მიქელ და გაბრიელ მთავარანგელოზები გზაზე მიდიოდნენ. მათ წინ მრგვალი ქვა მიგორავდა. ღმერთმა თქვა: მოდი, გავტეხოთ ეს ქვაო. ანგელოზებმა დაუშალეს, ნუ გატეხავ, თორემ ბოლოს ვინანებთო. ღმერთმა არ დაიშალა, ჰერა ქვას ფეხი და შუაზე გახეთქა. ქვიდან სამოელი გამოვარდა, ღმერთს ყელში ეცა და მნამდე არ ჩამოეხსნა, სანამ “საუკუნო სოფელი არ ჩამოართვა”. ღმერთი ვერც მიხვდა თავის დანაშაულს, სანამ ანგელოზებმა არ

უთხრეს: ცუდი საქმე მოვიმოქმედეთ, ამიერიდან ყოველი კაცის სული მაგის ხელში იქნება. რასაც მიცვალებულს უკურთხებენ, ყველა სამოელს მიუვა და რაჯი ეს ადამიანებსაც ეცოდინებათ, ჩვენ ვინდა განგვადიდებსო (ზ. ნიუარაძე, 1962, გვ. 142).

სვანური ლეგენდის სხვა ვარიანტს ჩამწერის ასეთი შენიშვნა ახლავს:

“სამოელი-ერთი მთავარი ეშმაკთაგანი”. ჭერ ერთი, სვანური ლეგენდის სამოელს ისეთი რამ მიეწერება, რაც ეშმაკს არ ახასიათებს. მეორეც: ქართულ დემონოლოგიაზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ეშმაკის სინონიმად იხმარება ეშმა, ქაჯი, ბელიარი, მავნე, ავი სული, ბოროტი სული, სატანა, ტარტაროზი, შაითანი, მაცდური, ბელზებილი... სამოელი კი არსად გვხვდება. ბიბლიური სამოელი არც ღვთისმშობელს ებრძის, არც ქრისტეს, არის ჩვეულებრივი ქურუმი და ბოროტი სულის არავითარი ნიშნები არ გააჩნია. მაშ რით ავხსნათ სვანურ ლეგენდაში სამოელის ხსენება?

ივ. გავახიშვილი მსჯელობს რა ქართველთა წარმართობაზე, აღნიშნავს, რომ “უეჭველია, უნდა ყოფილიყვნენ ყველა ტომთათვის საზოგადო ღვთაებანი და ამასთანავე თვითოვეულ ტომის თავისი საკუთარი ღვთაებანიც ეყოლებოდა; თანდათან ... განვითარების ან ერთ-ერთი ტომის გაძლიერებისა და დანარჩენებზე გაბატონების დროს, ზოგიერთი საკუთარი ღვთაებანი საზოგადო ხდებოდნენ და ამის გამო ზოგჯერ ერთსა და იმავე ღვთაებისათვის არამდენიმე სახელი არის ხოლმე შემონახული: ზოგიერთ მათგანს სხვადასხვა ტომის კერძო ღვთაებათა სახელები შერჩენია, ზოგი კი მეზობელთაგან არის შეთვისებული” (ზ. ნიუარაძე, 1962, გვ. 138).

ნ. შამანაძის აზრით, ბიბლიურ “სამოელს” სვანთა რომელიოდაც ტომობრივი წარმართული ღვთაებაა ამოფარებული. სვანებს ზოგჯერ უყვართ ქართული სახელის შეცვლა უცხოურით (ნ. შამანაძე, 1973, გვ. 24).

სვანური ლეგენდის ზოგ ვარიანტში ნათლად ჩანს წარმართობისა და ქრისტიანობის ბრძოლათა ანარეკლი. სამოელი, რომელიც სვანურ ლეგენდაში წარმართული ღვთაების სახეცვლილება უნდა იყოს, ხშირად თვალთმაჯცობს ქრისტესთან და რიგ შემთხვევაში კიდეც ატყუებს მას. ამ მხრივ საინტერესოა ლეგენდა სვანეთში ვენახის არგაშენების თაობაზე:

“იესო ქრისტეს რომ დაუვლია საქართველო, ყველგან უკურთხებია ვენახი. აქედან სვანეთისაკენ წამოსულა. შეხვედრია ტბაზე ეშმაკი. უკითხავს ეშმაკს. რატომ მობრძანდები აქეთო? ვენახი უნდა ვაკურთხოო. მე ვაკურთხე იქით ყველგან ვენახით, უთქამს ეშმაკს”; ქრისტე მოტყუებულა და უკან დაბრუნებულა” (ზალხური სიბრძნე, 1964, გვ. 245).

ამ ლეგენდის მეორე ვარიანტში ეშმაკის მიერ ქრისტეს მოტყუება კიდევ უფრო მეტ კომიურ ელფერს იღებს. სვანეთში მიმავალ “ქვეყნის შემოქმედს” ცხენისწყლის ხეობაში ეშმაკი დახვდება, რომელსაც სვანეთში ვაზის ნაცვლად კოწახური დაურგავს. იგი ქრისტეს კოწახურის ნაყოფს აჩვენებს, აი, ამგვარი გავაშენეო, ამაზე უფრო წითელი და უკეთესი ყურძნის ჭიში არც მე გამიშენებიაო, ჩაილაბარაკებს ქრისტე და დაბრუნდება უკან (ე. არჭევანიძე, 1971, გვ. 176).

ქრისტიანობის დამკვიდრებისათვის წარმართულ რელიგიასთან ბრძოლის კვალი ნათლად ჩანს ერთ სვანურ წეს-ჩვეულებაში, რომელიც ბ. ნიუარაძეს ჩაუწერია. ამ წეს-ჩვეულებას თუ ღრმად და გონების თვალით ჩავაკვირდებით, შეიძლება, შემდეგი დასკვნები გამოვიტანოთ: 1. სვანი ხალხი უკანასკნელ

დრომდე ასრულებდა თავისებურ ღვთისმსახურებას, რომელიც მთავრობაშ აუკრძალა, II. მთავრობაშ იმიტომ აუკრძალა, რომ ქრისტიანულ რიტუალებთან ერთად იგრძნობდა წარმართული რიტუალის კვალიც, III. ქრისტეს მსახურისა და სამოელის როლების გათამაშება ქრისტიანობისა და წარმართობის ბრძოლათა თავისებურ ინსცენირებას წარმოადგენს, IV. სამოელის როლის შემსრულებელი რომ ეკლესიაში შედის, კარებს აწვება და ხალხს არ უშვებს, ეს ქრისტიანობის წინააღმდეგ წარმართობის უკანასკნელ ბრძოლათა სცენური განსახიერებაა, V. ეკლესიაში ხალხის ძალით შევარდნა და სამოელის როლის შემსრულებლისთვის მჯილების ჩარტყმა, წარმართობის საბოლოოდ დამარცხებას უნდა ნიშნავდეს.

როგორც ზემოთ აღნიშნეთ, სვანური ლეგენდის ჩამწერი სამოელს “ერთ მთავარ ეშმაკთაგანს” უწოდებს. ცნობილია, რომ ქრისტიანობის დამკვიდრების ეპოქაში წარმართობა ეშმაკობად იხსენიებოდა, წარმართული ღვთაებანი კი ეშმაკებად. ამას ადასტურებს ცნობა, რომელიც თან ახლავს ანტიოქიის საეკლესიო მსოფლიო კრების ძეგლის წერის ქართულ თარგმანს (ივ. ჭავახიშვილი, 1960, გვ. 88).

ეშმაკის ძირითადი მიზანია ხელი შეუშალოს ღმერთს მის ყოველ კეთილ საქმეში, აცდუნოს ადამიანი, ააცდინოს ჭეშმარიტ გზას, დააკარგვინოს სამოთხე და თავი ამოაყოფინოს ჭოჭოხეთში.

“ქვეყნის შექმნის” ქართულ ლეგენდაში შემოქმედ ღმერთთან ერთად ხშირად ეშმაკიც იხსენიება, მაგრამ ერთი რამაა საყურადღებო: ღმერთს სამოელი თუ მუდამ მტკიცე მეტოქეობას უწევს, უშმაკი თითქმის ყოველთვის მარცხდება.

“ქვეყნის შექმნის” ერთ-ერთი მთავარი მოტივთაგანი მიწისაგან ადამიანის გაჩენაა. ეს მოტივი გვხვდება ჭერ კიდევ შუმერულ ლეგენდაში, მაგრამ იქ ცოტა თავისებურადაა მოცემული: ღმერთები თავისი მეტოქის — აბზუს სისტლით მოზელენ თიხას და აღამიანს ამ გზით გააჩენენ (ზ. კოსიდოვსკი, 1968, გვ. 27). გილგამეშის ეპოსშიაც ნათქვამია, რომ აზილეს თიხა. ბიბლიაში ვეცნობით: ღმერთი თიხას გამოქერწავს, მერე სულს შთაბერავს და ასე ქმნის ადამიანს “ხატად და მსგავსად თვისად” (ძეგლი აღთქმა; 1998, გვ. 6).

სვანური ლეგენდის მიხედვით, “შემდეგ წყლისა და ხმელეთის გაყოფისას, ლმერთმა შვიდი დღის განმავლობაში გააჩინა ყველა ცხოველი კაცითურთ. პირველი კაცები იყვნენ ევა და ადამი. ლმერთმა მიწა ამოიღო, ჩაბერა სული და გაჩნდნენ ევა და ადამი ორივე ბრძანი” (ზ. ნიუარაძე, 1962, გვ. 139).

ჩვენი აზრით, მიწისაგან ადამიანის გაჩენის მოტივს ქართველი ხალხი გაცილებით უფრო ადრე იცნობდა, სანამ ბიბლია ითარგმნებოდა. როგორც ცნობილია, ჩვენი წინაპრები ერთ-ერთი უძველესი მიწათმოქმედი ხალხი იყო მსოფლიოში. ამ მოტივში მიწისადმი ადამიანის უჩვეულო სიყვარული აირევდა. ჩვენი ხალხის ეს ძვირფასი თვისება უცხოელ მკვლევრებსაც კი შეუნიშნავთ. მაგალითად, ი. კლინგენი წერს: “ქართველები ისე შესისხლხორცებული არიან მიწასთან, როგორც არავინ არსად დედამიწის ზურგზე” (გ. ჩიტაია, 1964, გვ. 169). ასე რომ, მიწისაგან ადამიანის გაჩენის მოტივი არ უნდა იყოს ბიბლიის გავლენით შექმნილი, იგი უნდა ჩასახულიყო მიწათმოქმედების განვითარებასთან ერთად.

შუმერთა ლეგენდისა და ბიბლიის მიხედვით, აღამიანების გაჩენის შემდეგ ლომერთი მათ ედემს ანუ სამოთხეს შეუქმნის. სვანურ ვარიანტში სამოთხე სულაც არაა ნახსენები. თანაც აღამს და ევას ლმერთი კი არა, მიქელ მთავარანგელოზი პატრიონობს, იგი მიუჩენს მათ საცხოვრებელ ადგილს. “მიქელ მთავარანგელოზმა დაუნიშნა მათ სამყოფი აღგილი და დაუბარა, რომ სანამ მე არ მოვიდე, მანამ არავის არაფერი გაუგონოთო და გასწია თავისთვის” (ბ. ნიუარაძე, 1962, გვ. 138).

ბიბლიის მიხედვით, აღამს და ევას ცნობადის ხის ჭამა აქვთ აკრძალული. ქართულ ლეგენდებში კი ცნობადის ხე საერთოდ არ არის ნახსენები; ზოგ ვარიანტში ზოგადად “ერთ რიგ” ხილზეა საუბარი, ზოგჯერ კი აკრძალული ლელვია:

ყოველი ხილი მიირთვი, ყოვლიერათ მოსახდენი,
ლელვი არავინ შეგტყულს, საძაგელათ შესაჭმელი.
(ფოლ. არქივი, უმიკაშვილისეული, გვ. 217).

სვანურ ლეგენდაში კი აკრძალულ ხილად ვაშლი იხსენიება (ბ. ნიუარაძე, 1962, გვ. 139).

გილგამეშის ეპოსში, ბიბლიასა და ქართული ლეგენდების მრავალ ვარიანტში აღამიანს ბედნიერებასა და უკვდავებას გველი აკარგვინებს. სვანური ლეგენდა კი მოგვითხრობს, რომ “ევა და აღამი მარტო დარჩენ. ამ დროს მოვიდა მათთან სამოელი თხის სახით და უთხრა: რას გაჩერებულხართ, აი თქვენს ახლოს ვაშლის ხეა, აცოცდით მასზე, სჭამეთ მისი ნაყოფი და თვალხილული იქნებითო. ევამ დაუჭერა, აცოცდა ხეზე, მოსწყვიტა ვაშლი, ჩაბიჩა და მერე აღამს გადასცა” (იქვე, გვ. 139). გველის მაგივრად ძაცდუნებლად რომ აქ ეშმაკია გამოყვანილი, ეს მომენტი აპოკრიფის გავლენის შედეგი უნდა იყოს. ეს აპოკრიფია: “საკითხავი ადამ და ევაის სამოთხით გამოსვლისაი”.

ქართულ ფოლკლორში გვხვდება მრავალი აპოკრიფული ლეგენდა, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, “ღმრთისმშობლის მიმოსვლას” უკავშირდება. ამასთან ქართულ აპოკრიფულ ლეგენდებში წარმართული რწმენის გადმონაშთებიც შეიმჩნევა.

ქართველ ტომებს სულის უკვდავებისა და საიქიოს შესახებ წარმართობის ხანგრძლივ ებოქაში გარკვეული შეხედულებანი გამოუმუშავებიათ.

ვაჟა-ფშაველა ერთ თავის წერილში აღნიშნავდა: “ფშაველის წარმოდგენით საიქიო ქვეყნის შუაგულში არის; საიქიოს ის ეძახის “შავეთ”. შავეთში მართალნი არიან მკრთალს ნათელში. ეს ნათელი ისე აქვს წარმოდგენილი ფშაველს, როგორც ჩასულის მზის ახლად გამქრალი სხივები მთის წვერებზედ; ყველამ იცის, რომ მთის წვერები ცოტად-და არიან ამ დროს წითლები, ამას ფშაველი ეძახის “მკვდართა მზეს” (ვაჟა-ფშაველა, 1956, გვ. 16).

დაახლოებით ასეთივეა “სვანების საიქიოც”. მობიბინე ბალახით დაფარულ შუა მინდორში ბრძანდება ქრისტე. მას წინ უდგას სხვადასხვა სანოვაგით სავსე სუფრა, მთელი მინდორი მზითაა განათებული, ქრისტეს სიახლოვეს მეტი მზე და სინათლეა, მისგან დაშორებით კი სხივთა სიკაშვაშე იკლებს. ამიტომ ვინც ქრისტესთან ახლოსაა, ის უფრო კმაყოფილია (ბ. ნიუარაძე, 1962, გვ. 128).

აქ ქრისტე გვიანდელი დროის დანამატი უნდა იყოს. ამას აღასტურებს ბ. ნიუარაძეც: “სვანეთის კარგი სასულეთიც, ან სამოთხე ბევრად ჩამოუგარდება

ქრისტეს სასუფეველსა, შესანიშნავია, რომ სვანების სამოთხეში მამა ღმერთს ადგილი არა აქვს და სული წმინდის ხსენება სულ არ არის. სვანი არასოდეს არ გაურევს ღვთის მსხვერპლს მიცვალებულის საკურთხს (იქვე, გვ. 180).

როგორც ფშაველთა, ისე სვანთა ზემოთ მოტანილ წარმოდგენებში მთვარია მზე. ისაა ადამიანთა მასულდგმულებელი და გამხარებელი როგორც ამ ქვეყნად, ისე საიქიოში; ქრისტე კი ზის სულებთან და მათ ბედს იზიარებს. სულები თანატოლივით შეჰყურებენ მას, ემუსაიფებიან კიდეც. ქრისტეს იმიტომ უჭირავს საიქიოს შუაგული, რომ იქ მეტი მზეა. ამგვარად, “სვანთა საიქიოს” წარმოდგენაში წინა პლანზე წამოწეულია მზე, რაც ამ მნათობის თაყვანისცემის მანიშნებელია. სვანები მზეს უფრო სცემდნენ თაყვანს, ვიდრე მთვარეს; მათი რწმენით, მზე და მთვარე ძმები არიან. “ერთხელ ღმერთმა გამოუცხადა მზის და მთვარის დედებს, რომ მათ ეყოლებათ ვაჟიშვილები. ამათგან ერთი იქნება დღის მანათობლად და მეორე - ღამისა, იმის მიხედვით, ვინ გაიღვიძებს აღრე დედების დაუხმარებლად. მთვარე, რათა აღრიანად გაეღვიძა, ჩაწვა ეკლიან ლოგინში, დიდხანს არ დაეძინა, მხოლოდ გამთენისას მილულა თვალი. მზე კი აღრე დაწვა, აღრევე გაეღვიძა და მოჰყონა სხივი დედამიწას (ვ. კოტეტიშვილი, 1934, გვ. 358). მზე რომ გაცილებით დიადი და ძლევამოსილია, მთვარესთან შედარებით, ამას ადასტურებს ერთი სვანური თქმულება, რომელშიაც თქმულების გმირი მაფუნჩხიერი მთვარეს ეხვეწება: “მზესთან შემწეობა გამიწიეთო”. მთვარე მზეს მორიდებით გადასცემს მაფუნჩხიერის დანაბარებს (იქვე).

მზისადმი სვანთა თაყვანისცემა ყველაზე კარგად ჩანს უძველეს საგალობელში “ლილე”. ამიტომ არ არის გასაკირი, მზის კულტმა “სვანთა საიქიოშიც” თუ იჩინა თავი. სვანთა საიქიოში სმა-ჭამა არ არის, მაგრამ სასმელ-საჭმელი აუცილებელია. ამიტომ ჭირისუფალი ყოველთვის ცდილობს თავის მიცვალებულს კარგი საკურთხი გაუკეთოს. სვანთა წარმოდგენით, სულები საიქიოში გაშლილ სუფრასთან სხედან და საჭმლის სუნითა და მისი ცქერით ტკბებიან.

ბ. ნიუარაძის გადმოცემით, სვანები მხოლოდ სინათლეში ვახშმობენ, სიბნელეში სმა-ჭამა თურმე დიდ სირცვილად მიაჩნიათ. ამ ჩვეულებას მათ “საიქიოშიც” უპოვია გამოძახილი. სვანთა რწმენით, წაწყმედილ მიცვალებულებს სულეთში ცალკე კუნძული უჭირავთ, საღაც ისეთი სიბნელეა, ერთმანეთს ვერ არჩევენ. ჭირისუფლის საკურთხი მათაც მისდით, მაგრამ საჭმელი უგემურია, უმარილოა, რაღაც სიბნელეში უნდა მოიხმარონ (ბ. ნიუარაძე, 1962, გვ. 178).

სულთა-შავეთის ციკლის ნაწარმოებებში ხშირად იხსენიება, რომ საიქიოში მთის ცივი წყაროებია, რომელიც სასმელად ძალიან გემრიელია. ს. მაკალათიასეულ ვარიანტში ნაირფერი საჭმლით გაშლილ სუფრას ამშვენებს მთის ცივი წყალი და მარილი. მთიელი, რა თქმა უნდა, მთის წყაროს სიკვდილის შემდეგაც ვერ შეელევა და საიქიოს უიმიშოლ ვერ წარმოიდგენს. მარილს კი ძველად, ყოველდღიურ საჭიროებასთან ერთად, საღვთო დანიშნულებაც ჰქონდა. მაგალითად, სვანები მსხვერპლს უმარილოდ ვერ შესწირავდნენ. ისინი მარილს იმ ფქვილში ურევდნენ, რომლიდანაც ღვთის შესაჭირავი პური (ლემზირ) უნდა გამოეცხოთ. მარილს უეჭველად გადააყრიდნენ, აგრეთვე, მიცვალებულთა საბატივცემულოდ გაშლილ სუფრას (იქვე, გვ. 180).

სვანებს ღრმად სჭერათ, რომ მიცვალებულთა სულები ცოცხლებთან კავშირს არ წყვეტინ, “რადგან მიცვალებულის სული შეიძლება ცოცხლებთან გარკვეულ — კეთილ ან მტრულ დამოკიდებულებაში იმყოფებოდეს, ამის გამო

გარდაცვლილთა სულებს სხვადასხვა წესით იმადლიერებენ, მათთან კეთილ განწყობილებას ამყარებენ” (შ. ჩიქოვანი, 1946, გვ. 352).

მიცვალებულთა სულების მოსამადლიერებლადაა სვანეთში დაწესებული დღეობა „ლიფანალი”. სვანთა რწმენით, ყოველი წლის 5 იანვარს ჭირისუფლებს საიქიოდან ესტუმრებიან სულები და პირველ ორშაბათამდე რჩებიან.

ამ დღეობისათვის ჭირისუფლები საგანგებოდ ეზადებინ, ცდილობენ, რაც შეიძლება გულუხვი სუფრა გაშალონ, რადგან თუ მომდურავი გაუშვეს მიცვალებულთა სულები, უკანასკნელი სასტიკად დასჭიან: მოუვლენენ სწორებას, მოუკლავენ ოჯახის წევრს, წაუხდენენ ნახნავ-ნათესებს, ამოუწყვეტენ პირუტყვს და სხვა მრავალს უბედურებას გადაჰკიდებენ” (შ. ნიუარაძე, 1962, გვ. 182).

სვანთა შეხედულებით, ცოდვილი სასტიკად ისჯებიან საიქიოში, ჭოჭოხეთში. მათი ზეობრივი კოდექსით მყაცრად იყო დაცული ნათელმირონობა. ნათელმირონობის გამტეხნი, მათი აზრით, საიქიოში ფისის ტბაში იტანჯებიან და მათ საკურთხიც არ მისდით. ხალხურ ლექსებშიც ამგვარადვეა ასახული:

ნათლიის უბატიურსა ცეცხლში უდგია ფეხია

(ფოლკ. არქივი, უმიკაშვ. № 225).

ნათელმირონობის შებლალვა მკვლელობასთან არის გათანაბრებული:

კუპრი დუღს, კუპრი გადმოდის, კუპრი ქოთქოთებს ცხელია,

კაცისა მკვლელიც იქ არის, ნათლიის შემგმენელია...

თავზე ადგიათ ეშმაკი, რომელიც უფრო შტერია.

(ფოლკ. არქივი კ¹⁶⁵, გვ. 31).

ჭოჭოხეთის ციკლის ფოლკლორულ ნაწარმოებებში, ქრისტესთან ერთად, ეშმაკიც ხშირად ფიგურირებს. სვანურ ლეგენდაში ეშმაკი სამოელად იხსენიება. სამოელსა და ქრისტეს შორის მწვავე ბრძოლაა გაჩაღებული. ქრისტე სამოელს ხელწერილ ანუ “საფიცარს” რომ წაართმევს, ეს უკანასკნელი გაბრაზდება და ისე დააბნელებს ჭოჭოხეთს, რომ ქრისტე და მისი მხლებლები ჭოჭოხეთიდან გამოსასვლელ გზას ვერ პოულობენ. ქრისტე მხლებლებს მიმართავს, ეგება ვინმე კარს მიაგნოთ. ასეთი კაციც გამოჩნდა, რომელსაც ჭოჭოხეთში შესვლისას გარეთ დაეტოვებინა ვირი, რომელმაც იცნო პატრონის ხმა და გამოეხმიანა. ამ კაცმა ჭოჭოხეთიდან გაყვანის საფასურად საჩუქარი მოითხოვა. ქრისტე იმდენ ოქროს შეპარდა, რამდენსაც ეს კაცი აიწონიდა. ჭოჭოხეთიდან რომ გამოვიდნენ, ვირის პატრონმა უბიდან კაცის გული ამოილო და ქრისტეს უთხრა: “ეს გული დამითარე ოქროთი და მეტი მე არათერი მინდაო. ქრისტემ გულზე უნგარიშო ოქრო დააყარა, მაგრამ გული მაინც ვერ დაჰთარა: რამდენსაც მეტ ოქროს დააყრიდა, იმდენჯერ გული ზევით ხტებოდა ... ამ დროს გამოვიდა ერთი კაცი, აიღო ერთი მუჭა მიწა და გულს დააყარა. გული მაშინვე მოკვდა და გაჩერდა (პ. უმიკაშვილი, 1937, გვ. 223).

სვანურ ლეგენდებში ქრისტე ღმინდა მარიამი ხშირად ადამიანის შემწედ გვევლინებიან, მაგრამ მათ ზოგჯერ გვარიანი განრისხებაც იციან. ერთი სვანური ლეგენდა მოვითხრობს, ფუთა დალეშელიანის და მისი მხლებლების გამო, უშგულელებზე ღვთისმშობლის გაბრაზებას. მან უშგულელებს ასეთი სასერი მოუვლინა: დაე, ყველა ძროხა ბერწად დარჩეს და ერთი წვეთი რძეც ვერ გამოიწველოს. დასჭილმა სოფელმა სამი წლის შემდეგ მსხვერპლის შეწირვითა და ლოცვა ვედრებით ძლიერს მოალბო წმინდა მარიამის გული და სასწელი მოახსნევინა (პ. ბარნოვი, 1964, გვ. 243).

სვანურ ლეგენდებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს წარლვნას, როგორც დიდ, ისე მცირეს და ასევე მოსალოდნელ აპოკალიფსს. ამ მხრივ საინტერესოა ლეგენდა „ღვთისმშობლის და დევის ჩხუბი“. უშგულის ლამარია, ანუ ოვთისმშობელი მოსწონებია ღვთა მეფეს და მისი ცოლად შერთვა განუზრახავს. ლამარიას უარი უთქვამს. დევი განრისხებულა. ენგურის ხეობაში ყველაზე ვიწრო ადგილი შეურჩევია, შიგ ჯებირი ამოუშენებია და მდინარე შეუგუბებია. წყალს მთებამდე აუწევია და მთელი სოფელი წარლვნის მოლოდინში ყოფილა. ლამარიას და წმინდა კვირიკეს გამოუშვიათ ვერძები, რომლებიც ჯებირს დასჭახებიან, წყალი გაუშვიათ და სოფელი დაღუპვას გადაურჩენიათ (ძველი საქართველო, 1914, გვ. 35).

ქართულ ლეგენდებში ხალხს რომ მფარველობენ და წარლვნისგან იხსნიან, გვევლინებიან ხარი, ვერძი და ლორი, რაც შემთხვევითი არ უნდა იყოს. აქ იმ უშორესი ებოქის გამოძახილია, როცა ჩვენი წინაპრების შეგნებაში ტოტემისტური რწმენა ბატონობდა და ზოგიერთ ცხოველს ღვთიურ არსებად მიიჩნევდნენ. ამის შესახებ ქართლის ცხოვრებაშიც არის ნათქვამი.

ხარის კულტთან დაკავშირებით საინტერესო ცნობებს გვაწვდის ნიკო მარი. იგი აღნიშნავს: „სვანები და აფხაზები ხარს წმინდა ცხოველად მიიჩნევდნენ, სამსხვერპლო ხარს სვანები ყანიდანაც არ გამოდევნიდნენ, ისე დიდი იყო მათი მოკრძალება ამ მუშა პირუტყვისაღმი“ (ნ. მარი, 1922, გვ. 16).

ხარის კულტი გავრცელებული იყო არა მარტო სვანეთში, არამედ სრულიად საქართველოში. ხარი ნაყოფიერებასა და კერის კულტთან იყო დაკავშირებული.

რაც შეეხება ლეგენდაში ნახსენებ ბოროტ არსებას — დევს, რომელიც ზოგჯერ ფოლკლორში ვეშაპს (ან გველეშაპს) ენაცვლება, გვიანდელი შემოსული უნდა იყოს (გ. ჩიქოვანი, 1949, გვ. 262). „დევი“ ქართული სიტყვა არაა. იგი ქართულში აღმოსავლეთის გავლენით გაჩნდა (გ. ჩიქოვანი, 1959, გვ. 166).

ამრიგად, კოსმოგონურ, აპოკრიფულ, წარლვნის ლეგენდებში მოიპოვება როგორც წარმართული, ისე ქრისტიანულ-რელიგიური რწმენის კვალი.

დამოწმებული ლიტერატურა

- ე. არქევანიძე, 1971** — ე. არქევანიძე, ანოტირებული ბიბლიოგრაფია, თბ., 1971.
- გ. ბარნოვი, 1964** — გ. ბარნოვი, თხზულებანი, ტ. X, თბ., 1964.
- ქ. გამსახურდია, 1965** — ქ. გამსახურდია, უკვდავი ფლორენციელი, “ლიტ. საქართველო”, №27, თბ., 1965.
- ვაჟა-ფშაველა, 1956** — ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, ტ. VII, თბ., 1956.
- “კავკაზი”, 1905** — Кавказ, №99, 1905.
- გ. კოტეტიშვილი, 1934** — გ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, ქუთ., 1934.
- გ. კოსიძოვსკი, 1968** — გ. Косидовский, Вабльейские сказания, М., 1968.
- ქ. კოკიარა, 1960** — Дж. Коккяра, История фольклористика в европе, М., 1960.
- ბ. მარი, 1922** — Н. Mapp, Тольши, II, 1922.
- ბ. ნიუარაძე, 1962** — ბ. ნიუარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, I, თბ., 1962.
- ბ. უმიკაშვილი, 1937** — ბ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, I, თბ., 1937.
- ქ. ფრეზერი, 1931** — Дж. фрезер, Библейские сказания, 1931.
- ქართული ფოლკლორი, 1974** — ქართული ფოლკლორი, IV მასალები და გამოკვლევები, თბ., 1974.
- ნ. შამანაძე, 1973** — ნ. შამანაძე, ქართული ხალხური ლეგენდები, თბ., 1973.
- გ. ჩიქოვანი, 1946** — გ. ჩიქოვანი, ქართული ფოლკლორი, თბ., 1946.
- გ. ჩიქოვანი, 1938** — გ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური ზღაპრები, თბ., 1938.
- გ. ჩიქოვანი, 1949** — გ. ჩიქოვანი, ვეშაპთმებრძოლი გმირი და წმინდა მხედარი, თბი შრომები, VII, თბ., 1949.
- გ. ჩიქოვანი, 1959** — გ. ჩიქოვანი, ქართული ეპოსი, თბ., 1959.
- გ. ჩიტაა, 1964** — გ. ჩიტაა, ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფა და მატერიალური კულტურა, თბ., 1964.
- ძველი აღთქმა, 1898** — ძველი აღთქმა, 1898.
- ძველი საქართველო, 1914** — ძველი საქართველო, ტ. II, თბ., 1914.
- ი. ჭავჭავაძე, 1941** — ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, II, თბ., 1941.
- ხალხური სიბრძნე, 1964** — ხალხური სიბრძნე, III, ელ. ვირსალაძის რედ. თბ., 1964.
- ჯავახიშვილი, 1960** — ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1960.

NORA NIKOLADZE-LOMSIANIDZE**LEGENDS AND CUSTOMS OF SVANETI**

Legend is the independent genre of folklore, which is based on the religious faith and represents the fantastic stories as reality. The notes about legends are few in scientific literature, the reason is that legend is considered as the variation of the fairy tale which is a mistake.

The famous researcher Mikheil Chikovani gave the legend its proper place among the different genres of fairy tale. The legend originates from the ancient times. We know that the people of Mesopotamia had legends in the III century B.C. Originally, legend stood for the life of saints and the passages reflecting their martyrdom, they were read during church services dedicated to those saints. After that the term denotes Christian (non-Christian as well) religious-didactic stories. Besides the church people, the legends were also assigned to secular people - kings, lords, famous public men and their lives were veiled in religious framework. Researchers envisage the reflection of reality if legends. The same is confirmed by Ilia Tchavtchavadze, Akaki Tsereteli, Vaja-Pshavela. Konstantine Gamsakhurdia recognizes the legend as a condenser of history. According to him "the history of every nation originates from legends". The same idea is expressed by Giuseppe Cociarro in his book "the history of European folk culture".

As it is well-known Christian religion was being formed in the clash with pagan faith in Georgia. Holy scriptures and Apocryphal literature prepared the nourishing sole for creating and spreading numerous new legends. Legends are prevalent in different parts of Georgia. In this case the subject matter of our interest is the Svanetian legends and customs. This part of Georgia keeps the legends of different origin - cosmogon, apocryphal, biblical flood (great and small floods) time, historical, etc. reflecting the Christian as well as pagan faith. There are also legends which convey the both traits. Svaneti is also rich with its customs. The work presents the relevant examples.

ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის წელიშვილი
ANNUAL OF KUTAISI PUBLIC LIBRARY

IX

2017

ავთანდილ ნიკოლეიშვილი

გრიბოლ რობაჭიძის "ქალღმერთის გახილის" მითოლოგიური საექტრი

იმის გამო, რომ გრიგოლ რობაჭიძის (1880-1962წ.) მიერ ემიგრაციაში შექმნილ ნაწარმოებთა უმეტესობა (როგორც ცნობილია, გრ. რობაჭიძე) ემიგრაციაში წავიდა 1931 წელს) გერმანულ ენაზე იყო დაწერილი და ქართველ ეკითხველთა და სპეციალისტთა დიდი ნაწილისთვის ბოლო დრომდე მხოლოდ ზოგადად ცნობილი, მწერლის შემოქმედებითი მემკვიდრეობის ეს მხარე სათანადო მეცნიერული სილრმით ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი. საბედნიეროდ, ამ თვალსაზრისით არსებული არასასურველი მდგომარეობა ბოლო დროს არსებითად შეიცვალა და დღესდღეობით უკვე ცნობილ გრ. რობაჭიძის გერმანულობან ტექსტთა ქართული თარგმანები თავისუფლადაა ხელმისაწვდომი ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის.

როგორც მეითხველი გრ. რობაჭიძის გერმანული პერიოდის შემოქმედებისთვის თვალის უბრალო გადავლებითაც აცვილად დარწმუნდება, ემიგრაციაში ცხოვრების მიუხედავად, მისი ლიტერატურული შთაგონების უმთავრეს საფუძველს კვლავაც საქართველოსა და ქართველი ხალხის ყოფასთან დაკავშირებულ პრობლემათა მხატვრული წარმოსახვა წარმოადგენდა. ასე რომ, სამშობლოს ფიზიკურად დაშორებული მწერალი თავისი შემოქმედებით თანმიმდევრულად აგრძელებდა ლიტერატურული მოღვაწეობის აღრინდელ გზას და კვლავაც უღალატოდ ერთგული ჩერებოდა ძველი მსოფლმხედველობრივი და მხატვრულ-ესთეტიკური პრინციპებისა.

ხსენებული ნაწარმოებების მნიშვნელობას არსებითად ზრდიდა ის ფაქტიც, რომ მაღალი სიტყვიერი ხელოვნებით შექმნილი ამ ტექსტებით მწერალი ევროპელ ეკითხველს არა მარტო ზოგად წარმოდგენას უქმნიდა მისთვის სრულიად უცნობ ქართულ ყოფაზე, არამედ თავადაც აძლევდა ამ ეგზოტიკური სამყაროს სილრმისეულად შეცნობისა და ემოციური სიმძაფრით თანაგანცდის შესაძლებლობას.

ამ მიზნის მისაღწევად გრ. რობაჭიძე განსაკუთრებულ მნიშვნელობას, უპირველეს ყოვლისა, მითოლოგიურ წიაღსვლებს (როგორც ქართულს, ისე მსოფლიოში კარგად ცნობილს), უძველეს ფოლკლორულ გადმოცემებსა და საუკუნეთა განმავლობაში დამკვიდრებული ქართული ადათ-ტრადიციების რომანტიზმებული სახით წარმოსახვას სძენდა. საქართველოში მოღვაწეობის პერიოდში შექმნილ მხატვრულ ტექსტებში მყარად საფუძველჩაყრილი ეს ტენდენცია გრ. რობაჭიძემ კიდევ უფრო მეტად გააღრმავა და განამტკიცა უცხოეთში შექმნილ თავის ნაწარმოებებში.

საკუთარი შემოქმედებითი ინდივიდუალობის განსაზღვრის დროს მწერალს არაერთგზის გაუსვამს ხაზი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იმ როლისთვის, რომელსაც ზემოთ აღნიშნული ფაქტორები ასრულებენ მის მხატვრულ ტექსტებში. მაგალითად, თავად მისივე თქმით, "ვისაც სიმბოლო და მითოსი არ ესმის, იგი მის შემოქმედებას ვერ გაიგებს" (გრ. რობაჭიძე, 1996, გვ. 81).

გრ. რობაქიძის ამ თვითშეფასებაში გადაჭარბებული რომ არაფერია, ამას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ მისი მხატვრული ტექსტების უდიდესი ნაწილის სიუჟეტურ და აზრობრივ-მსოფლმხედველობრივ საფუძვლად ქართული და მსოფლიო მითოლოგიდან აღებული ამა თუ იმ მითის კარგად ცნობილი ან თავად ავტორის მიერ მოდერნიზებული ვარიანტია ქცეული. მაგალითად, მწერლისავე განმარტებით, მისი რომანის — "შეგის" (ნაწარმოების სრული სახელწოდებაა "შეგი — ქართველი გოგონა") მთავარი პერსონაჟის მხატვრულ სახეში, უპირველეს ყოვლისა, "შედეას" მითოსი ისხამს ხორცს, ხოლო "ქალღმერთის ზახილის" მთავარი მოქმედი პირი — ივლიტე, ფაქტობრივად, სვანური მითოლოგიდან კარგად ცნობილი "ტყის დედოფალი" დალია, "ერთსა და იმავე დროს მითიური ქალიცა და რეალურიც... ორმაგობა: მითიური წამსვე რეალურში გადადის, რეალური მყისვე მითიურში" (გრ. რობაქიძე, 1996, გვ. 86).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ქვემოთ შევეცდები, სწორედ აღნიშნული ტენდენციის გათვალისწინებით განვიხილო გრ. რობაქიძის რომანი "ქალღმერთის ზახილი", რომელიც ქართული მითოლოგიური სახე-სიმბოლოებისა და რწმენა-წარმოდგენების თავისებურ განვრცობად და გალრმავებად შეიძლება მივიჩნიოთ.

გერმანიაში ცხოვრების პერიოდში გერმანულ ენაზე დაწერილი ეს რომანი, რომელიც ქართულ ენაზე დალი ფანჯიქიძემ თარგმნა, გრ. რობაქიძემ თავდაპირველად გერმანიაშივე გამოსცა 1934 წელს "დალის" სახელწოდებით, რითაც სათაურიდანვე გაუსვა ხაზი აშკარად გამოვლენილ იმ გენეტიკურ სიახლოესს, რაც ნაწარმოების ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის — ივლიტეს მხატვრულ სახესა და სვანური მითოლოგიდან კარგად ცნობილ დალის შორის არსებობს.

თავად მწერლის განმარტებით, სვანეთში უპირველეს მონალიტედ ცნობილი თანბი, რომელიც რომანში ხშირად "დალელუკდუნეს" (სვანურად, დალით გაშმაგებულის) სახელითაცაა ხოლმე მოხსენიებული, გაორებული სიყვარულის გრძნობით შეყყრობილ პიროვნებას წარმოადგენს. როგორც რომანიდან ნათლად ჩანს, თანბის ცნობიერებაში ერთმანეთისაგან მკვეთრად არაა გამიჭნული მისი გაშმაგებული სიყვარული სვანური მითოლოგიდან ფართოდ ცნობილ ქალღმერთ დალისა და რეალურად არსებული ქალისადმი — ივლიტე გელოვანისადმი. მწერლის მიერ წარმოსახულ პერსონაჟთა პიროვნულ სახეებს შორის არსებულ ამგვარ მსგავსებას ავტორი არა მარტო ცალკეული სიუჟეტური პასაჟებითა და მინიშნებებით უსვამს ხაზს, არამედ რომანისთვის თანდართული მისეული მინაწერითაც.

კერძოდ, მისი განმარტებით, ივლიტეზე თავდავიწყებით შეყვარებულ თანბის "ქალი "დალად" მოეჩვენება (რომანის კვანძი სვანთა "დალი" არის). მათ შორის იშვის ტრფობა, რომელიც სხეულურ ტყბობაში, უკანასკნელში არ გადადის. დრამატიზმი: ქალი ვაჟის ტრფობაში ხან რეალური ივლიტეა, ხან მითიური დალი: იშვიათად ორივე ერთად. მკითხველი წარმოიდგენს, თუ რა სიძნელე მქონდა აქ დასაძლევი (მეტარებოდა სვანთა ყოფა, რომლითგანაც ეს მითოსი აღმოცენებული: ვშლიდი ამ ყოფას, ცენდებოდა მითოსი). ერთხელ ვაჟში ივლიტე "დალს" გადაძლევს და: ვაჟი, მითოსის ხაზით, იღუბება" (გრ. რობაქიძე, 2013, გვ. 245).

იქიდან გამომდინარე, რომ გერმანულ ენაზე დაწერილი და გამოცემული თავისი რომანით გრ. რობაქიძეს, პირველ ყოვლისა, ისეთ მკითხველთან უწევდა შეხვედრა, ვისთვისაც სრულიად უცნობი იყო ქართველი ხალხის ადათ-ტრადიციები და ფოლკლორულ-მითოლოგიური გადმოცემები, ნაწარმოებში საქმაოდ ღიდი ადგილი აქვს დათმობილი ამ მოვლენათა სიღრმისეულ წარმოსახვასა და მათთან დაკავშირებული სიმბოლური ალეგორიების წარმოჩენას. ამ თვალსაზრისით გრ. რობაქიძის რომანი ევროპელი მყითხველისათვის სრულიად უცხო ქართული ყოფის ეგზოტიკურ მხარეთა ფართოდ წარმომჩენ მხატვრულ ტექსტადაც თავისუფლად შეიძლება შევაფასოთ.

არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ რომანის სხვა ღირსებებთან ერთად, ეს მხარეც იქცა არაქართულ სამყაროში ნაწარმოების ფართოდ აღიარებისა და პოპულარობის განმსაზღვრელ ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა რომანის ის ეპიზოდები, სადაც დალისთან და სვანურ მითო-რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებთან დაკავშირებული ეგზოტიკური ამბებია მოთხრობილი. მაგალითად, სვანეთში უპირველეს მონადირედ აღიარებული თანბი, რომელიც ბაგშვობიდანვე ისმენდა დალიზე, როგორც მონადირეთა მაცდუნებელ და ვნებათა ლელვას ყყოლილ ავხორც ქალღმერთზე, სვანების მიერ შეთხზულ ზღაპრებსა და სიმღერებს, დღენიადაგ ოცნებობდა იმ დღეზე, როცა ერთხელ მაინც მიეცემოდა ყოველი სვანი მონადირისათვის რომანტიკული სიყვარულის ობიექტად ქცეულ ამ გრძელ არსებასთან პირადად შეხვედრისა და გამიჯნურების შესაძლებლობა.

სვანეთში ფართოდ გავრცელებული გადმოცემის მიხედვით, ერთადერთი ადამიანი, რომელმაც ამ ოცნების რეალურად ახდენა შეძლო, თანბის პაპისპაპა ყოფილა. მწერლის ხაზგამით, ამ ამბის შეტყობიდან მოყოლებული, გრძელ ქალღმერთის იდუმალი და უჩინარი სახე თანბის ანდამატური ძალით იზიდავდა და იგი "სწორედ იმის იმედით გახდა მონადირე, რომ დალი ერთხელ მაინც ენახა. თავისი პაპისპაპის შურდა, რომელსაც თურმე დალის ვნება დაეცხო, მაგრამ როცა მას მიწიერ ქალთან უღალატა, გრძელ დალიმ ბოლო მოუღო" (გრ. რობაქიძე, 2013, გვ. 135).

მიუხედავად საკუთარი თავის იმაში არაერთგზის დარწმუნებისა, რომ თანბი მისი წინაპრის მიერ დაშვებულ სახედისწერო შეცდომას არასოდეს გაიმეორებდა და სიცოცხლის ბოლომდე დარჩებოდა ქალღმერთისაღმი სიყვარულის უღალატო და ერთგული, ამის გაკეთება მან მაინც ვერ შეძლო და ივლიტესაღმი თავისი სამიჯნურო ურთიერთობით თავადვე გამოაცალა საფუძველი დალისაღმი მის სიყვარულს, რაც საბოლოოდ მისი ტრაგიკული დალუბგით დასრულდა.

ავტორისეული თხრობისათვის მკაფიოდ დამახასიათებელ ერთ-ერთ მთავარ თავისებურებად ისიც უნდა მივიჩნიოთ, რომ მწერლის მიერ წარმოსახული რეალური და ფანტასტიკური პასუხები ყოველთვის არაა ერთმანეთისაგან მკვეთრად გამიჯნული. მაგალითად, ლეჩესუმში, მდინარე ცხენისწყალთან ღამით განმარტოებული თანბისათვის (და შესაბამისად მკითხველისთვისც) ბოლომდე დარჩა გაურკვეველი, მდინარის ტალღებში დანახული ქალი მართლაც გრძელ დალი იყო, თუ მისი წარმოსახვის შედეგად დალის არსებაში გარდასახული ივლიტე.

დალისა და ივლიტეს მხატვრულ სახეთა ამგარ გაორებას თუ შინაგან ერთობას რომანში სხვა დროსაც მიზანმიმართულად ესმება ხაზი. მაგალითად, აღნიშნული ეპიზოდის კომენტირების დროს მწერალი არაორაზროვნად

გვარწმუნებს იმაში, რომ თანბის მიერ ზემოთ ხსენებულ სიტუაციაში დანახული გრძელებული არსება დალი იყო.

ამ ამბის გაცნობიერებით აღელვებულმა თანბიმ "ბრძასავით გადადგა რამდენიმე ნაბიჭი, მაგრამ ქალთან მიკარება ვერ გაბედა. და მაინც, როგორც მზის სხივი შეეჭრება ხოლმე ყვავილში, ისე გადავლო მამაკაცისაგან წამოსული ტალღა ქალის სხეულს. შვანს მოეჩვენა, რომ ქალმა თავი დაღწია მთვლემარე ყოფას და ცეცხლმა წალევა მთელი მისი არსება. აღმა რაღაც წაიჩურჩულა, რაც კაცმა ვერ გაიგო, მაგრამ მისმა რბილმა, მკერდისმიერმა ხმამ, მთის წყაროსავით ანკარამ და სხივმფრნარემ, ეჭვი აღარ დაუტოვა, რომ ეს ნამდვილად ტყის ჭაღოქარი დალი უნდა ყოფილიყო" (გრ. რობაქიძე, 2013, გვ. 150).

თანბის პიროვნული სახის ხორცშესხმის დროს რომანში განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული მისი გაორებული ადამიანური გრძნობების წარმოსახვას, ერთი მხრივ, ტყის გრძნეულ ქალღმერთად სახელდებული მითოლოგიური დალისა და, მეორე მხრივ, რეალურად არსებული ივლიტე გელოვანისადმი მის ზღვარდაუდებელ სიყვარულს შორის. პირველ ყოვლისა, თანბის სწორედ ამგვარად გაორებული ადამიანური ბუნების რეალურ წარმოჩენას ემსახურება რომანის ის სიუჟეტური პასაჟები, სადაც მწერალი დალისა და ივლიტეს პიროვნულ სახეებს შორის ავლებს გარკვეულ პარალელებს. ამ შემთხვევაში მეტად საგულისხმო ისიცაა, რომ ამგვარ მსგავსებას არა მარტო თავად ავტორი აღნიშნავს ხოლმე დროდადრო, არამედ ივლიტეცა და თანბიც.

მაგალითად, მწერლის თქმით, ივლიტესთან ურთიერთობის დამყარების შემდეგ თანბი "ტყის დედოფლისა და ქალბატონის ტრაფობით იწვოდა და მის გულს ვერ გადაეწყვიტა, ვისკენ გადახრილიყო. დალიმ ჩრდილებივით მორიალე სიზმარივით გაჟღინთა სინამდვილე, ივლიტემ კი სინამდვილე სიზმარეულ მდინარებად აქცია. ზოგჯერ ორივე ხატი ერთი დვრიტიდან ამოხეთქილს ჰგავდა და საბერინეროდ, ერთმანეთს ველარ დააცილებდი" (გრ. რობაქიძე, 2013, გვ. 174). ივლიტესადმი თანბის ამგვარ დამოკიდებულებას არსებითად განაპირობებდა ის ფაქტი, რომ მის წარმოსახვაში ივლიტე "თავად იყო დალი".

დალისთან ივლიტეს შინაგანი მეტოქეობისა და გაჭიბრების გრძნობას მწერალი მეტ სიმძაფრეს იმითაც სქენს, რომ გელოვანის ქალბატონი მასზე საბედისწეროდ გამიჯნურებულ თანბის თეთრი ჯიხვის რქების მიტანას ავალებს. მართალია, თანბიმ ივლიტეს ეს სურვილი კი შეუსრულა, მაგრამ სვანთა ტომის წმინდა ცხოველად მიჩნეული თეთრი ხარჯიხვის მოკვლით მან საუკუნეობით დამკვიდრებული ტრადიცია დაარღვია და ნაცვლად დალისა, რომელიც ასეთ მსხვერპლს მის მიერვე რეჟული მონადირისაგან მხოლოდა საუკუნეში ერთხელ შეიწირავდა, თანბიმ ეს წმინდა მსხვერპლი მის ორეულად დასახულ მიწიერ არსებას შესწირა, რითაც მიუტევებელი დანაშაული ჩაიდინა და ამ მოვლენას ტრაგიკულად შეეწირა კიდეც.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, რომანისადმი ინტერესს (განსაკუთრებით საქართველოს აღათ-ტრადიციების არმცოდნე მკითხველისათვის) მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ის გარემოება, რომ მასში საკმაოდ დიდი ადგილი აქვს დათმობილი ძველი ქართული (პირველ ყოვლისა, სვანური) ყოფისათვის დამახსინათებელი აღათ-ტრადიციებისა და ფოლკლორულ-მითოლოგიური რწმენა-წარმოდგენების კოლორიტული შთამბეჭდაობით აღწერას.

უცხოელი მყითხველისათვის ფაქტობრივად სრულიად უცნობ ამ ეგზოტიკურ მოვლენათა მაღალი სიტყვიერი ხელოვნებით წარმოსახვის შედეგად მწერალმა რომანში მოთხრობილ ამბავს კიდევ უფრო მეტი შთამბეჭდაობაშესძინა.

ნათქვამის ნათელსაყოფად აქ, ვთქმულობ, ნაწარმოების თუნდაც იმ ეპიზოდის გახსენებაც იქნება საკმარისი, სადაც, სვანეთში საუკუნეების განმავლობაში დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით, ტოტებად და წმინდა სამსხვერპლო ზვარაკად მიჩნეული ხარის მოკვლის ამბავია მოთხრობილი. ამ ფაქტით უსაზღვროდ აღშფოთებული ხალხი ხსენებული ბარბაროსული აქტის ჩამდენ თათარ დადეშელიანს სასიკვდილო განაჩენს გამოუტანს და ამ გადაწყვეტილების რეალურად აღსრულების შესაძლებლობაც მაღლე გაჩნდა: სვანებმა შეიტყვეს, რომ ლეჩხუმში სტუმრადწვეულ დადეშელიანს, რომელმაც მის მიმართ გამოტანილი განაჩენის შესახებ არაფერი იცოდა, გზად უშესულში უნდა გაევლო.

მთელი სოფელი დაირაზმა მის დასასჯელად, მაგრამ შურისძიების ამ გრძნობას მასზე არანაკლებ ძლიერი გრძნობა აღუდგა წინ — სტუმარმასპინძლობის ადათი. მამაპაპური ტრადიციების ერთგულმა უშესულებებმა ამ კრიტიკული მდგომარეობიდან ასეთი გამოსავალი მოძებნეს: "ყველამ ერთად უნდა მოვკლათ მტერი. პასუხისმგებლობა ყველამ უნდა იყისროს, დაიჩირჩიულა ერთმა მოხუცმა უშესულებებმა ძრწოლითა და იღუმალებით აღსავს ხმით.

ეს აზრი ყველასთვის შვება აღმოჩნდა" (გრ. რობაქიძე, 2013, გვ. 210).

და ის, იმისათვის, რომ სტუმარმასპინძლობის ადათ-ტრადიციათა დარღვევით გამოწვეული სირცხვილის გრძნობა ყველა უშესულებელს თანაბრად ეტვირთა, შურისძიებებლებმა ასეთი გამოსავალი მოძებნეს: ყველი მამაკაცის ტყვიიდან ჩამოფხევილი ნაწილისან ერთი საერთო ტყვია დაამზადეს და მტრისთვის სასიკვდილო გასროლის ერთობლივად აღსასრულებლად თოფს ერთი ზონარი გამოაბეს.

თანბისა და მოხუცი მონადირის — ბეჭუზას შეფასებით, თავიანთი ამგვარი ქმედებით უშესულებებმა მიუტევებელი დანაშაული ჩაიღინეს, რადგანაც "სტუმრის მოკვლაზე საშინელი" და "ძველი ადათ-ტრადიციების ხელყოფაზე სამარცხინო" არაფერია.

მიუხედავად იმისა, რომ ემიგრაციაში ცხოვრების პერიოდში გრ. რობაქიძის მიერ შექმნილ ნაწარმოებთა უდიდესი ნაწილი გერმანულ ენაზე იყო დაწერილი, თავისი შემოქმედების თემატიკითაც და პრობლემატიკითაც იგი სიცოცხლის ბოლომდე დარჩა საქართველოსა და მშობლიურ ეროვნულ ფესვებთან განუყოფელად შესისხლორცებულ მწერლად. ამ შემთხვევაში ხაზგასმით აღსანიშნავი ისიცაა, რომ აღნიშნულ გარემოებას მისი ნაწარმოებების უცხოელი შემფასებლებიც ანიჭებდნენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას და მწერლის ლიტერატურული ღვაწლის წარმოჩენის დროს, პირველ ყოვლისა, სწორედ მისი შემოქმედების ამ მხარეს მიაცყრობდნენ ხოლმე უმთავრეს ყურადღებას.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, "ქალღმერთის ზახილში" გრ. რობაქიძის უმთავრეს მიზანს ქართველი ხალხის ცნობიერებაში საუკუნეების წინათ დამკვიდრებული ფოლკლორულ-მითოლოგიური რწმენა-წარმოდგენებისა და ადათ-ტრადიციების რომანტიზებული და სიმბოლურ-ალეგორიული ფორმით წარმოსახვა წარმოადგენდა. ის სოციალური და ეროვნულ-პოლიტიკური მოვლენები კი, რომლებიც მწერლისდროინდელ საქართველოში არსებობდა და ემიგრაციაში მისი გადაწვეშის განმაპირობებელ უმთავრეს ფაქტორად იქცა, მათში ეპიზოდურადც კი არ ასახულა.

დამოწმებული ლიტერატურა

- ა. ბაქრაძე, 1999** - ა. ბაქრაძე, კარდუ ანუ გრიგოლ რობაქიძის ცხოვრება და ღვაწლი, თბ., 1999.
- ქ. სალია, 1964** - კ. სალია, გრიგოლ რობაქიძე, ჟურნ. "ბედი ქართლისა", პარიზი, 1964, №47.
- გრ. რობაქიძე, 1996** - გრ. რობაქიძე, ჩემთვის სიმართლე ყველაფერია... კრებული, თბ., 1996.
- გრ. რობაქიძე, 2012** - გრ. რობაქიძე, პირადი მიმოწერა. შეადგინა, წინასიტყვაობა, კომენტარები და საძიებლები დაურთო ეთერ ქავთარაძემ, თბ., 2012.
- გრ. რობაქიძე, 2013** - გრ. რობაქიძე, 3 რომანი, თბ., 2013.

AVTANDIL NIKOLEISHVILI

MYTHOLOGIC SPECTRUM OF "THE CALLING OF THE GODESS" OF GRIGOL ROBAKIDZE

Due to the fact that majority of Grigol Robakidze's (1880-1962) works made in emigration time are written in German, Georgian readers and specialists had just general understanding till present time. This part of the creative inheritance of the writer is not studied properly. Fortunately, this unwanted condition has essentially changed recently and today the Georgian translations of Grigol Robakidze famous works are widely available for readers. Despite living in emigration, the main source of his literary inspiration was again the creative description of the problems of Georgia and Georgian people, he was devoted to old artistic-aesthetic outlooks and principles.

In the creations of emigrant period mythological indices, romantic reflections of ancient folk stories and Georgian customs and traditions take the major part. From this point of view his novel "Goddess calling" (1934) is especially interesting. It can be considered as an extension of Georgian, in particular Svanetian folk-mythological faith.

Description of exotic events, completely unknown to the foreign reader, with high lexical art gives much more impression to the novel.

ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის წელიწლეული
ANNUAL OF KUTAISI PUBLIC LIBRARY

IX

2017

თამარ ნინიძე

**გმირის პრესტიჟული ევფემიერი ფუნდით სვანეთის
ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერები**

ენობრივი ეთიკეტი საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში სხვადასხვაგვარად რეალიზდება. საზოგადოდ, ენას უხვად მოეპოვება მოქრძალებისა და თავიზიანობის გამოხატვის როგორც ლექსიკური, ისე გრამატიკული რესურსი, რაც, საერთო ჭამში, ქმნის ენობრივ ეთიკეტს. უხსოვარი ღრმობისა მოყოლებული ადამიანებს არაფრის მიმართ არ გააჩნიათ იმაზე ღიღი კრძალვა და რიდი, როგორც ზეციური ძალისა. უზენაესისადმი სწორედ მათი ეს განსაკუთრებული დამოკიდებულება ფორმირებულია სხვადასხვა რელიგიად და მრავალმხრივი დაკვირვების საინტერესო ობიექტია, როგორც აღამიანის მსოფლმხედველობის ერთ-ერთი ინტიმური მხარე.

რელიგია, სხვა ფაქტორებთან ერთად, ვლინდება უფალთან ვერბალურ ან წერილობით ურთიერთობაშიც. სტანდარტული ლოკვის გარდა, ადამიანი უფალს სხვაგვარადაც მიმართავს. ამ საშუალებათა შორის შეიძლება იყოს წარწერები ეკლესია-მონასტრებზე, მოსახსენიებლები და ა. შ. შესაბამისად, საინტერესოა ქართული სამეტყველო ეთიკეტის ის მხარე, რომელშიც გაცხადებულია რწმენისადმი, უფლისადმი ადამიანის დამოკიდებულება ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერების მიხედვით. აქედან გამომდინარე, მათი შექმნის საფუძველიც განსაკუთრებულია. ანდერძ-მინაწერების მიზანია მოგვითხროს ხელნაწერთა წარმოშობასა და მის შექმნაში მონაწილე პირთა შესახებ, სოხოვოს მკითხველს მათი ლოცვაში მოხსენიება... ანდერძ-მინაწერთა ავტორები, გარდა ხელნაწერთა გადამწერებისა, შეიძლება იყვნენ, აგრეთვე, ხელნაწერთა მომგებელნი, დამყაზმველნი და სხვანიც, ვინც ასე თუ ისე დაკავშირებულია ხელნაწერის "ბიოგრაფიასთან" (ა. აბდალაძე, 2005, გვ. 14).

სვანეთის ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერები გამოქვეყნებულია წიგნში "სვანეთის წერილობითი ძეგლები I" (ვ. სილოგავას რედაქტ., 1986). საანალიზო ანდერძ-მინაწერთა ტექსტები დაცულია IX-XIV საუკუნეთა სვანური ხელნაწერების არშიებზე. ეს ხელნაწერებია:

- M - 1 – მესტიის ოთხთავი (1033 წ.);
 - M - 22 – ადიშის ოთხთავი (897 წ.);
 - A - 26 – ლაბსყალდის ოთხთავი (XII-XIII ს.);
 - M - 27 – იენაშის ოთხთავი (XIII ს.-ის 10-იანი წლები);
 - M - 52 – ლაპილის ოთხთავი (XIV ს.);
- ლახამულის ოთხთავი (XII ს.);
ლახუშტის სახარება-აპრაკოსი (1322 წ.);
ქურაშის ოთხთავი (XII ს.).

სვანეთის ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერების შინაარსი შეიცავს ვედრებას უფლისადმი, წმინდანებისადმი, თხოვნას, რომ დაიფარონ ხელნაწერის გადამწერი,

“შემმოსველი” თუ მრევლი. ანდერძ-მინაწერების ტექსტებს ახლავს გარკვეული ინტიმურობა და გულწრფელობა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ მათში უშუალოდ არის გამოხატული ავტორების სათქმელი, განწყობა და ფსიქოლოგია.

როგორც ცნობილია, ხელნაწერის გადაწერა, შეკრება, შემმოსვა თუ ამ საქმეთა ფინანსური შეწევნა (მომგებლობა) ფრიად საპატიო ღვაწლად ითვლებოდა და, ბუნებრივია, ეს ყველას არ შეეძლო, თუმცა, ამგვარი საქმის განმახორციელებლები, მსგავსად აგიოგრაფიული ნაწარმოებების ავტორებისა, თავს უფლის, წმინდანთა... ნების აღმსრულებლებად თვლილნენ, რაც, ვფიქრობთ, განპირობებულია საზოგადოებაში არსებული რელიგიური ნორმებითა და მსოფლმხედველობით. ხელნაწერთა მინაწერებში, ანდერძებში საკუთარ ვინაობასაც არ მოიხსენიებდნენ. გარდა ამისა, იყენებდნენ ისეთ ენობრივ ფორმებს, რომლებშიც მათი თავმდაბლობა არის გაცხადებული. სწორედ ამიტომ, ჩვენს საანალიზო მასალაში დაცულია არაერთი საინტერესო ენობრივი ეთიკეტური ერთეული, რომელთა მეშვეობითაც გადმოიცემა მოქრძალება და პატივისცემა მისამართი ობიექტისადმი. ამ მხრივ საყურადღებოა ზმნური კონსტრუქციებით ევფემიზმის გამოხატვის შემთხვევები.

პასიური კონსტრუქცია. როგორც ზ. სარჯველაძე მიუთითებს, პასიური კონსტრუქცია, ძირითადად, თარგმანებშია გავრცელებული. იქ, სადაც მოქმედებითი გვარის ზმნაა ქართულისათვის ბუნებრივი, ჩანაცვლებულია ვნებითი. ამ მოვლენას მეცნიერი ბერძნულის გავლენით ხსნის. მისივე დაკვირვებით, თარგმანების გავლენით პასიური კონსტრუქცია ორიგინალურ ძეგლებშიც ჩნდება, ახალ ქართულში კი ასეთ შემთხვევებში რუსული ენის გავლენასაც არ გამორიცხავენ (ზ. სარჯველაძე, 2004, გვ. 177-178).

რ. ზექალაშვილის აზრით, გვარის კატეგორიაშ შესაძლოა ხაზი გაუსვას თავაზიანობას. როცა მოუბარი პირი საჭიროდ თვლის, რომ მოქმედების სუბიექტი მიჩქალოს, თავი აარიდოს მის პირდაპირ დასხელებას, ამის მიზეზი შესაძლოა იყოს სამეტყველო ეთიკეტი (თქვენ არასწორად წერთ ამ საკითხზე – ამ საკითხზე ხშირად არასწორად იწერება ხოლმე) (რ. ზექალაშვილი, 2012, გვ. 123).

პასიური კონსტრუქციის გამოყენება დღესაც ხშირია ეთიკეტური ფუნქციით. მისთვის ეს ფუნქცია ახალი არაა, რადგან დასტურდება ძველ წერილობით (ორიგინალურ და ნათარგმნ) ძეგლებში. ასეთი კონსტრუქციის ზმნა უკანა პლანზე სწევს სუბიექტს და ყურადღებას ობიექტზე ამახვილებს. პასიური კონსტრუქციები გვხვდება ანდერძ-მინაწერებშიც. მაგალითად:

“დაესრულა || წ(მიდა) ესე წიგნი ს(ა)ხ(ა)რ(ე)ბისად” (მესტიის ოთხთავი, M-1, 1033 წ., ანდერძი მომგებლისა, ვ. სილოგავა, 1986, გვ. 41);

“დაიწერა წ(მიდა) ესე ოთხთავი... (ადიშის ოთხთავი, M-22, 879 წ., გადამწერის ანდერძი, ვ. სილოგავა, 1986, გვ. 47).

მოცემულ შემთხვევებში ვფიქრობთ, პასიური კონსტრუქციის ზმნები დაესრულა, დაიწერა გარკვეულწილად ევფემისტური დატვირთვის მქონეა.

პასიური კონსტრუქციის გვერდით არაიშვიათად ეთიკეტის გამომხატველია თვითდამცრობის სემანტიკის შემცველი ენობრივი საშუალებებიც: **ულისი, ცოდვილი, ფრიად ცოდვილი, სულით საწყალებელი...** მაგალითად:

"დაესრულა თავი მარკოზისი წელითა ფრიად ცოდვილისა იონადსითა" (იენაშის ოთხთავი, M-27, მინაწერი, XIII სკ.-ის 10-იანი წლები, ვ. სილოგავა, 1986, გვ. 52);

"სრულ-იქმნა მათეს თავი სახარებად წელითა ცოდვილისა იონადსითა" (იენაშის ოთხთავი, M-27, მინაწერი, XIII სკ.-ის 10-იანი წლები, ვ. სილოგავა, 1986, გვ. 52);

მასდარული კონსტრუქცია:

"დირს ვიქმენ მე, გლახაკი [ს][ო]ფრონ, აღსრულებად წ(მიღ)სა ამ|[ს] წიგნსა სახ|[არებ]ასა ოთხ|[თავსა...]" (ადიშის ოთხთავი, M-22, 879 წ., მომებლის ანდერძი, ვ. სილოგავა, 1986, გვ. 47-48);

"...მეცა, ც(ო)დვ(ი)ლი ტიმოთე დირს მყო აღწერვებად წმიდისა ამის სახარებისა" (ლახუშტის სახარება-პარაკოსი, 1322 წ., ანდერძი, ვ. სილოგავა, 1986, გვ. 58).

ამ მაგალითებშიც გვხვდება პეიორატიული ფორმები გლახაკი და ცოდვილი, რომებიც ევფემისტურობას აძლიერებს.

განხილული მასალიდან იჩევევა, რომ აქტიური კონსტრუქციის ზმნური ფორმების გვერდით ანდერძ-მინაწერებში გვხვდება პასიური, აღწერითი კონსტრუქციები, რომელთაც გარკვეულ კონტექსტებში ევფემისტური დატვირთვა ეკისრება:

დავასრულე მე ის – დაესრულა ის, სრულ-იქმნა ის;

დავწერე მე ის – დაიწერა ის;

აღვასრულე მე ის – ლირს ვიქმენ აღსრულებად მე

აღვწერე მე ის – ლირს მყო აღწერვებად მან (ლვთისმშობელმან) მე...

ზოგჯერ, როცა საანალიზო ტექსტებში მსგავს კონტექსტში (ანდერძის ავტორის საკუთარ თავზე საუბრისას) გამოყენებულია აქტიური კონსტრუქციები, ევფემისტურობა კი მიღწეულია სხვა ენობრივი საშუალებებით, მაგალითად, ეპითეტების სიმრავლით, რომელთაც ენიჭება ფუნქცია, შეამკოს ის, ვისი (ჟფლის, ლვთისმშობლის, წმინდა სამების...) სახელითაც მოქმედებენ (გადაწერენ, "შემოსავენ" ...), და "დაამდაბლოს" ავტორის (მომებლის, გადამწერის...) პიროვნება და მისი ღვაწლი მათთან შედარებით:

"სახელითა არსება-და[უბადებ(ე)ლისა], || ყ(ოვლა)დ წ(მიღ)ისა ს(ა)მ(ე)ბისა დთა, მ(ეო)ხ(ე)ბ(ი)თ [ა ყ(ოვლა)დ წ(მიღი)სა] || ღ(მრ)თისმშ(ო)ბ(ე)ლისა დთა, შეწე[ვნითა და] წყ(ა)ლ(ო)ბითა წ(მიღა)თა მთ(ა)ვ(არა)ნგ(ე)ლ(ო)ს[თაითა], მ(ეო)ხ(ე)ბ(ი)თა და შეწევნითა ყ(ოვე)ლ[თა წ(მიღა)თა და]||თა, მე, ნ(ი)კ(ო)ლ(აო)ს, ...ულირ[სმ(ა)ნ და]|| ს(უ)ლითა ს(ა)წყ(ა)ლ(ო)ბ(ე)ლ(ე)ნ ფ(რია)დითა ხ[არკ]||ებითა ...შე[ვკრ]||იბენ წ[მიღა]ნი ესე წიგნი..." (ადიშის ოთხთავი, M-22, 879 წ., მომებლის ანდერძი, XV-XVIII სს., ვ. სილოგავა, 1986, გვ. 48).

მოცემულ წინადადებაში გამოყენებულია აქტიური კონსტრუქციის ზმნა შეგრიბენ, ევფემიზაცია კი მიღწეულია სხვა ენობრივი რესურსით – დასაწყისში წმინდა სამების, ლვთისმშობლისა და ანგელოზების ხსენებით, ხოლო შემდგომ თვითდამცრობის გამომხატველი ავტორისეული ფრაზით ულირსმან და სულითა საწყალობელმან.

როგორც ჩანს, მინაწერებში თავის დამდაბლების გამოხატვა უნივერსალურია და სხვა ენობრივი სამყაროსთვისაც არის დამასახიათებელი. სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ, მაგალითად, სომხური ხელნაწერების მინაწერთა დასაწყისში ქებით არიან მოხსენიებული ის პირები, რომელთაც გადამწერს ხელნაწერის დამზადების საშუალება მისცეს; ასევე აღნიშნულია მომგებლის სახელი და თხოვნა, რომ ლოცვებში მოიხსენიონ იგი. შემდეგ ავტორი წარმოგვიდგენს საკუთარი თავის დამდაბლებას ეპითეტების მთელი სერიით, რითაც დახასიათებულია მისი ოსტატობის დონე და "უღირსი" და "ცოდვებით აღსავსე" ცხოვრება (ა. აბდალაძე, 2005, გვ. 18).

თვითდამცრიბის გამომხატველი ენობრივი ფორმების გამოყენება ნაკარნახევია საკუთარი თავის შეფასების იმპლიცირებით, ასევე, აღრესატისადმი მოკრძალებული დამოკიდებულებით, რაც ქმნის სვანეთის წერილობით ძეგლთა ანდერძ-მინაწერების ენობრივ ეთიკეტს.

დამოწმებული ლიტერატურა

ალ. აბდალაძე, 2005 – ალ. აბდალაძე, სომხურ ხელნაწერთა X-XIII საუკუნეების ანდერძ-მინაწერების ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 2005.

რ. ზექალაშვილი, 2012 – რ. ზექალაშვილი, ქართული დიალოგური მეტყველება (ძირითადი ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური მახასიათებლები), თბ., 2012.

ზ. სარჯველაძე, 2004 – ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენა, თბ., 2004.

გ. სილოგავა, 1986 – გ. სილოგავა, სვანეთის წერილობითი ძეგლები, I, ისტორიული საბუთები და სულთა მატიანეები. ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები და სამეცნიერო-საცნობარო აპარატები დაურთო ვალერი სილოგავამ, თბ., 1986.

TAMAR NINIDZE**VERB CONSTRUCTIONS WITH EUPHEMISM FUNCTION
IN WILL AND FOOTNOTES OF SVANETI MANUSCRIPTS**

Manuscripts created and kept in Svaneti always attracted the attention of scientists. Most interesting are the footnotes of manuscripts which contain the preys towards god, saints, to save the re-writer of the manuscript, dresser or ordinary parish.

The article discusses the language etiquette forms, in particular passive and masdar constructions which express awe and respect towards the object shown in footnotes. Instead of active verb constructions we meet the passive, masdar constructions in the footnotes of the wills, which hold the euphemist meaning: I finished it - it was finished, it was accoomplished; I wrote it - it was written' I conducted it - I was worth to conduct it; I described it - I was worth to describe it by her (St. Virgin) ...

The usage of this language form is dictated by the implication of self-evaluation, also respectful approach towards addressee, which is the interesting part of the language etiquette.

**ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის წელიწლეული
ANNUAL OF KUTAISI PUBLIC LIBRARY**

IX

2017

ლელა ნიუარაძე

**თავისებალი სეანი – "იმპერატის ეკისარაოსის,
გაბრიელის მოგზაურობა სვანეთში 1866-1873 წწ."**

ცნობილი საზოგადო მოღაწე, პუბლიცისტი, მწიგნობარი, ილია ჭავჭავაძის თანამებრძოლი და მეგობარი ბესარიონ ნიუარაძე სისტემატურად თანამშრომლობდა იმდროინდელ ჟურნალ-გაზეთებში თავისუფალი სვანის ფსევდონიმით.

მრავალმხრივი და მრავალფეროვანია ბ. ნიუარაძის წერილების თემატიკა, რომელიც ეხება სვანეთის ისტორიას, ეთნოგრაფიას, არქეოლოგიას, ფოლკლორს და ენის საკითხებს.

მისი ყველა ნარკვევი შეიცავს ძვირფას ცნობებს სვანეთის ყოფა-ცხოვრების სხვადასხვა მხარის შესახებ. ა. შანიძე თავის წერილებში აღნიშნავდა, რომ ბ. ნიუარაძის ეთნოგრაფიული წერილები და ხალხური სიტყვიერების მასალა იგივეა სვანეთისათვის, რაც კაუა-ფშაველას “ფშაველი და მისი წუთისოფელი” ფშავისთვის.

ბ. ნიუარაძის ნაწერებს დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა, მეტიც, შეიძლება ითქვას, ისინი მეტად საჭიროა ბევრი საკითხის გარკვევისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ 1962-64 წწ. გამოიცა ბ. ნიუარაძის “ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები” ორ ტომად, რომელიც დღეს უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა, მკვლევრის არქივსა და ძნელად საშოგარ ჟურნალ-გაზეთებში გაინც ბევრია ისეთი ნაშრომი, რომელიც ფართო საზოგადოებისათვის ხელმიუწვდომელია. ჯერჯერობით ვერ მოხერხდა ყველაფრის ერთად თავმოყრა და გამოცემა. ნაწილი ამ შრომებისა “ქართულ-სვანურ-რუსული ლექსიკონი”, დათარიღებული 1888 წლით. ასევე, “მოკლე განხილვა სვანური გრამატიკისა” და “სვანეთის ხელნაწერები” შესწავლილია და გამოცემულია ჩვენ მიერ, მაგრამ არის კიდევ ბევრი საინტერესო და მნიშვნელოვანი მასალა, რომელიც მკითხველს უთუოდ დააინტერესებს.

მინდა მკითხველის ყურადღება მიგაპყრო თავისუფალი სვანის სტატიას, დათარიღებულს 1896 წლით: “იმერეთის ეპისკოპოსის, გაბრიელის მოგზაურობა სვანეთში 1866-1873წწ.” (ავტორის სტილი დაცულია):

“20 ივნისს სვანეთის სამლოდელოებაში გადაიხადა წირვა და პანაშვილი განსვენებულის, იმერეთის ეპისკოპოსის, გაბრიელის სულის მოსახსენებლად. სამლოდელოება კარგად გრძნობდა, რომ ეს თავისი მოვალეობა უფრო აღრე უნდა აღესრულებინა, მაგრამ სასტიკმა ზამთარმა და, მის გამო სიცივე-უგზოობამ ნება არ მოგვცა ერთ ადგილს შეკრებისა.

დანიშნულს რიცხვისთვის ლატალის მრევლის მღვდელმა გაიოზ ძიმისტარიშვილმან მოიწვია სვანეთის მთელი კრებული თავის ეკლესიაში, სადაც საერთოდ გადახდილ იქმნა წირვა და პანაშვილი. წირვის შემდეგ პატივცემულმა ძიმისტარიშვილმა მთელი სამლოდელოება მიიწვია თავის სახლში სადილად.

ყველას დიდი მწუხარება ემჩნეოდა სახეზე. იხსენებდა რა განსვენებულის მღვდელმთავრის ამაგს და მოღვაწეობას სვანეთისა და სვანების სასარგებლოდ. (იქვე გაიმართა ხელისმოწერა განსვენებულის ფონდისათვის და ოთხ თუმნამდე ფული შეიკრიბა). ეს ამაგი ძეირთასის მწყემსმთავრისა ხალხსაც იმდენად შეგნებული ჰქონდა, რომ მისმა მიცვალებამ საერთო გლოვა გამოიწვია სვანეთში. გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას, რომ ასეთი საზოგადო მწუხარება სვანებისა არც ერთ აღამიანს არ რჩებია წილათ. დაუვიწყარი მღვდელმთავარი ორჯერ (1866-1873წწ.). ბრძანდებოდა სვანეთში და ამიტომ ხალხი მას პირადად იცნობდა. სვანეთი ახლაც მოკლებულია გზას, თორებ რა იქნებოდა ოცდაათი წლის წინეთ, როდესაც პირველად ელირსა სვანეთი განსვენებულის ხილვას.

1866წ. იგი იძულებული იყო რაჭით გადაევლო გაგნისის ულელტეხილი და ისე მიეღწია სვანეთს. აი, რანაირი გზები ხედებოდა განათლებულ მღვდელმთავარს, როდესაც სწერს იგი თავის მოგზაურობაში — “მივაღწიეთ გაგნის მწვერვალზე. დიდი თოვლი დამხვდა, ზოგმა დაკეცილი ღართები დაიდვეს ქვეშ და ისე ჩამოსრიალდნენ თოვლზე თავდალმა. მე კი ფეხით ჩამოსვლა ვამჯობინე, თუმცა მორბილებული თოვლი ვერ მიმაგრებდა და მუხლამდე ვეფლობოდი”. მეორე ადგილას მოგვითხრობს: “ზიღზე უნდა გავსულვიყავით, ბარგიანი ცხენების სიმძიმეს ხიდმა ვეღარ გაუძლო და ყირამალა გადავარდა ცხენი. ხიდი გვერდზე გადაიხარა, ცხენმა წონასწორობა დაკარგა, გადავარდა ჟუჭყიანი წყლის შუანაწილში და წაიღო წყლის ძლიერმა დინებამ”. ამგვარი შემთხვევები არაერთი აქვს აღწერილი თავის მარტივ, მაგრამ სიმართლით სავსე მოგზაურობაში. მიუხედავად ამგვარი სირთულეებისა, იგი მაინც ვერ შეაშინა დაბრკოლებებმა და ქრისტეს სწავლების დროშის მაღლა დამჭერი ხელმეორედ მიდის სვანეთს 1873წ.

ამჟამად იგი სხვა გზას ირჩევს, ვითომ “უკეთეს”, მაგრამ ეს გზა პირველზე უარესი აღმოჩნდება. ასე რომ, სვანეთში მისმა ორგზის მოგზაურობამ დიდ განსაკლელში ჩასგდო ქრისტეს სწავლით აღჭურვილის მქადაგებლის სიცოცხლე. ით პერეპრავ ცერეზ ინგურ — სწერს ყოვლად სამღვდელო: “გზა იყო სველი და სრიალა, მაგრამ კველაზე წვრილ ადგილას, შუა ნაწილში, ჩემს ცხენს ფეხი დაუცდა აღმართს და გადაიხარა უკან... მე თავი ვერ შევიყავე და გადმოვვარდი ცხენიდან. საბედნიეროდ, ცოტა მოშორებით გადმოვვარდი და გადავრჩი იმით, რომ რამდენიმე დღე ვკოჭლობდი”.

უნდა შევნიშოთ, რომ ქრისტიანობა სვანეთში იმ დროს, როდესაც ეს კუთხე ჩაბარდა განსვენებულს მღვდელმთავარს, “უკანასკნელ სულს ლევდა და მისი შუქი ძლიერს ბჟუტავდა”. როდესაც სვანეთის ძელი სასულიერო წოდება თავისი მოვალეობის ცოდნით დაქვეითებულა, ძვირფასი ხელნაწერები და სხვა საეკლესიო განძი ალალბედზე და ეკლესიის მტვერ-ნაგავში იყო მიყრილ-მოყრილი სწორედ განვებამ მოუვლინა სვანებს ამ საჭირო დროს გაბრიელ ეპისკოპოზი, მისმა ორგზის მობრძანებამ, მჭერმეტყველურმა ქადაგება-დარიგებამ და მართებული ზომების მიღებამ იხსნა ქრისტეს სწავლება გაქრობისაგან ამ კუთხეში. გონიერმა მღვდელმთავარმა პირველად ესრეთ წოდებულ “ბაბებს” მიაქცია ყურადღება. რამდენიმე მათგანი გაგზავნა მონასტერში საღმრთო წერილის შესასწავლად. იმათგანი დღესაც ზოგი მღვდელია და ზოგიც მედავითნე.

გაბრიელ ეპისკოპოზმა, რომელმაც სვანეთში იმოგზაურა და საკუთარი თვალით ნანახის შედეგად დარწმუნდა სვანეთში სწავლა-განათლების შეტანის აუცილებლობაში, მოახერხა „ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოებისაგან“ სვანების შვილებისათვის შვიდი სტიპენდია დაანიშვნინა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში. ერთი ამ სტიპენდიანტთაგანი მე ვიყავი (ივარაუდება, რომ ბ. ნიუარაძის ჩარიცხვა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში 1866 წლის შემდეგ უნდა მომხდარიყო. დაახლოებით 1869 წ., როგორც კავკასიაში მართლმადიდებელი ეკლესიის აღმდგენელი საზოგადოების პანსიონერი). უნდა გეყურებინა, როგორი მამაშვილური ქცევით გვეპყრობოდა განსვენებული სვან მოსწავლეებს. ამ მამობრიულის მოპყრობის ერთი საბუთი დღესაც ხელთ მაქეს.

1871 წელს სემინარიის მესამე კლასში გადავედი. ქართულის ენის მასწავლებლმა საკანიკულოთ მოსწავლებს თემა მოგვცა დასაწერად „წემი წრევანდელი კანიკულის დღიური“. როგორც მე, ისევე ჩემმა ამხანაგებმა სექტემბრის თვეში დაწერილი მივუტანეთ, ვის როგორ შეგვეძლო, ისე. ერთ დღეს მასწავლებელმა ყველა მოსწავლეს შემოგვიტანა ჩვენი ნაწერები გარჩეული და, სხვათა შორის, მითხრა: შენი ნაწერი სჭობია ყველას და, ეს რომ გაზეთში გაიგზავნოს, დაბეჭდვენო. ამ ქებამ, ნამეტნურ, გაზეთში დაბეჭდვის იმედმა ძრიელ გამახარა და იქვე ვკითხე მასწავლებელს, თუ სად და როგორ გამეგზავნა გაზეთში დასაბეჭდლად. მან ამისნა, რომ გაზავნა თბილისში უნდა „დროებაში“ ფისტით, ერთი მარკა უნდა დააკრა და წაიღებენო. მარკის ფული მე არ მქონდა და მაშინვე გავიქეცი აწ განსვენებულ გაბრიელ ეპიზოდოსთან. იგი ეზოში დასეირნობდა და წიგნს კითხულობდა. რომ დამინახა მისკენ მიმავალი, მითხრა: რა გინდა სვანო? მე რვეული გარდავეცი და ავუხსენი, რადენადაც მაშინ შემეძლო. კარგიო, მითხრა. მე ნაწერი წავუკითხე. მერე გეტყვი, ახლა წადიო. შორიდან თვალს ვადევნებდი, ვხედავდი, რომ ჩემს ნაწერს კითხულობდა. მეორე დიღლას დამიბარა, მივედი, თავისი სახლის კარებთან შემხვდა, სოფლად მიდიოდა, ჩემი რვეული ხელში ეჭირა, გაღმომცა ისიც და ორი აბაზიც ზედ დააყოლა. ამით ქართული წიგნი იყიდეო. მაშინვე მოგვურცხელე შინ, დავხედე რვეულს და შემდეგი წარწერა ჰქონდა ბოლოში: „გაქებ, რომ ქართული ენა გვარიანათ გისწავლია, მაგრამ დაბეჭდვა არ შეიძლება, რადგანაც ბავშვური მოთხრობა არის და არა რითმე შესანიშნავი“. „ეჲ, გაბრიელი!... არ მიამა არ მოწონება მოთხრობისა, მაგრამ რას ვიზამდი? დავრწმუნდი კი, რომ ჩვენს ქართულის მასწავლებელზე ეპისკოპოზს უკეთ სცოდნია ქართული. ეს რვეული ზედ წარწერით დღესაც მოწიწებით ინახება ჩემს ქალალდებში“.

ჩვენი მხრივ კი დავსძენთ: ალბათ, გაბრიელ ეპისკოპოსის დიდმა ამაგმა, გავლენამ და ღვაწლმა შეუწყო ხელი ბესარიონ ნიუარაძის შემდგომ მოღვაწეობასაც. ქუთაისისა და თბილისის სასულიერო სემინარიებში განსწავლული ბესარიონ ნიუარაძე სვანეთში საეკლესიო სამსახურში გადადის. ბესარიონი გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა გრიგოლმა აკურთხა მღვდლად. იგი ჯერ ითარის წმინდა გიორგის ეკლესიაში მსახურობდა, ხოლო შემდეგ, მესტიის წმინდა გიორგის ეკლესიის მღვდლმსახური იყო.

ბ. ნიუარაძემ არაერთი უნიკალური ხელნაწერი და ძეგლი გადაარჩინა დაღუპვის და შემოუნახა შთამომავლობას. მის სახელთან არის დაკავშირებული, სხვა მრავალ საგანძურთან ერთად, ყველაზე მნიშვნელოვანი ძეგლების: „აღიშის ოთხთავისა“ და „იერუსალიმის კანონარის“ გადარჩენა.

ბ. ნიუარაძის მოღვაწეობას მაღალ შეფასებას აძლევდნენ ნ. მარი, ალ. ცაგარელი, ივ. ჭავახიშვილი, ა. შანიძე, კ. კეკელიძე, დ. კარიჭაშვილი, მ. ილინა და სხვები.

“თქვენი შრომები თქვენი სამშობლო ენის და მხარის გამოკვლევაზედ ორსი არიან ყოველივე ქებისა და პატივისა” — ამ სიტყვებით ალ. ცაგარელმა გამოხატა იმდროინდელი ქართველი მოწინავე საზოგადოების აზრი, მათში მოცემული მაღალი შეფასება ბ. ნიუარაძემ სავსებით დაიმსახურა.

დამოწმებული ლიტერატურა

ბ. ნიუარაძე, 1896 — ბ. ნიუარაძე, კორესპონდენცია, “მწყემსი” №15-16, ტფ., 1896.

ბ. ნიუარაძე, 1962 — ბ. ნიუარაძე, “ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები”, ტომი I, თბ., 1962.

ბ. ნიუარაძე, 1964 — ბ. ნიუარაძე, “ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები”, ტომი II, თბ., 1964.

ლ. ნიუარაძე, 2008 — ლ. ნიუარაძე, “ბესარიონ ნიუარაძე და მისი ლექსიკოგრაფიული ნაშრომი ”ქართულ-სვანურ-რუსული ლექსიკონი”, ინტერდისციპლინარული სამეცნიერო კრებული “სვანეთი III”, თბ., 2008.

ალ. ცაგარელი, 1907 - ალ. ცაგარელი, წერილი ბესარიონ ნიუარაძეს, წერილი ინახება ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილების არქივში, თბ., 1907.

LELA NIJARADZE

AN INDEPENDENT SVANETIAN MAN - A JOURNEY OF GABRIEL - THE BISHOP OF IMERETI IN SVANETI 1866 – 1873

The article describes a journey of Gabriel the bishop of Imereti in Svaneti, which happened two times (1866-1873). The bishop Gabriel visited Svaneti in times when Christianity faced the danger of disappearance. His endeavor and exploits played he great role in terms of strengthening the Christian faith in Svaneti. The bishop gave huge attention to inserting the education issues in Svaneti. He asked the organization “Christianity Reconciliation Society” to assign seven scholarships to students from Svaneti, one of the scholarship holders was Besarion Nijaradze.

is enormous, wither in terms of strengthening Christian faith or developing education policy. Bishop Gabriel enjoyed the huge positive publicity. His support was largely appreciated by the locals, his death caused great grief and public mourning in Svaneti.

ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის წელიწლები
ANNUAL OF KUTAISI PUBLIC LIBRARY

IX

2017

ნიკოლოზ ოთინაშვილი

**სვანეთიდან მიზრაცხის ამსახველი ტოარნიშვილი
რაჭასა და მიზა ქართლში**

ჩვენი წარსულის შესასწავლად ერთ-ერთი საინტერესო უბანია ონომასტიკა, რომელიც აერთიანებს სახელებს, გვარსახელებს, ტოპონიმებსა და სხვა. ხშირად ადამიანები მართებულად ვერ ერკვევიან ამა თუ იმ საკუთარი სახელის ან ანთროპონიმის წარმომავლობაში და უფრო ეყრდნობიან ხალხურ ეტიმოლოგიას, რაც, რა თქმა უნდა, არადამაჯერებელია და საერთო არაფერი აქვს მეცნიერულ ეტიმოლოგიასთან. ქართული გვარსახელები სხვადასხვანაირად არის კლასიფიცირებული და რამდენიმე გამოიყოფა, მათ შორის ტოპონიმური, ეპონიმური, რომელიც წინაპრისგან მომდინარეობს, ეთნონიმური, როცა გვარში ჩანს რომელიმე ეთნოკური ჯგუფის ფუძე, მაგალითად ბერძენი, თურქი, ლეკი, აფხაზი და გვაქვს გვარები ამ ლექსიკური ერთულებიდან.

ქართულ სინამდვილეში მომხდარია მთელი რიგი პოლიტიკური მოვლენები, ბრძოლები, მიგრაცია, იმიგრაცია, რაც ახალი ტოპონიმიკური ერთულებისა და ანთროპონიმების წარმოქმნას უწყობდა ხელს.

ასეთ დროს იქნება განსაკუთრებული სისტემები ენაში და მათი ანალიზი აქედან უნდა დაიწყოს. საკუთარი სახელი ენათმეცნიერული მეთოდებით უნდა იქნეს შესწავლილი, რაც გულისხმობს სახელდების ზოგადი საკითხების კვლევას, გარკვევას, წარმოების საშუალებათა ანალიზს.

აღნიშნული წერილი ეძღვნება იმ პრობლემის განხილვას, რომელიც საქართველოს ერთ-ერთი ძევლი კუთხის სვანეთის ონომასტიკური ერთულების გარჩევას ეხება. ჩვენი მიზანია სვანეთიდან მიგრაციის შედეგად შიდა ქართლში განსახლებული სვანური ელემენტის შედეგად მიღებული ერთულების წარმოჩენა, ასევე რაჭაში ჩაწერილი მასალების განხილვა.

სვანური ელემენტის შესახებ შიდა ქართლში რამდენიმე ისტორიული დოკუმენტი გვაძლევს ცნობებს, რომელთა შესწავლა და გამოქვეყნება საჭირო საქმეა. ასეთი წყაროა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული საბუთები, რომელთა საარქივო ნომრებია: 1606, 1611 და 9324. აღნიშნულ საბუთებში დაცულია შვიდი ათეული დასახლებული პუნქტის, მათ შორის დიდი ლიახვის ხეობის მოსახლეობის აღწერის მონაცემები. სამივე დოკუმენტი თარიღდება მეთვრამეტე საუკუნის ბოლო მეოთხედით (ა. თაბუაშვილი, 2013, გვ. 70-71).

სოფელი ხეითი, რომელიც მდინარე დიდი ლიახვის მარცხენა მხარეს მდებარეობს, იმ დროისათვის ცნობილი ფეოდალის ფარსადან მაჩაბლის საკუთრება ყოფილა. აქ ცხოვრობდნენ ნიდაშელი დალაქის შვილი ერთი კომლი, ნიდაშელი გიორგი, თამაზა და მამუკა, ნიდაშელი ნინია და მისი ძმა გლახა.

როგორც ზეპირგადმოცემები გვიდასტურებს, რომლებიც კატო ხიდაშელის, შალვა და ანტონ ნიდაშელებისაგან გვაქვს ჩაწერილი, ხიდაშელის პირველი გვარი მუშკუდიანი ყოფილა, სვანეთში უცხოვრია, კაცი შემოვდომია და რაჭის სოფელ ნაკიეთში შეხიზულა, შემდეგ მოსისხლეები შერიგებულან, მაგრამ

დამნაშავე თავის ძმასთან ერთად ტყეში წასულა, რომელსაც ეძახდნენ „ხიდეშს“ და ამ ძმებისათვის „ნაკიეთელებს“ ხიდეშელი უწოდებიათ და შემდგომ გვარადაც ქცეულა. ისინი სოფელ ხეითში ჩამოსულან და ამ ორი ძმის შთამომავლები ყოფილან ზემოხსენებულ დოკუმენტში აღნუსხული ხიდეშელები, რომლებიც ძველად იწოდებოდნენ როგორც ხიდეშელი. როგორც მთხობელები მოგვითხრობენ, მათ წინაპრებს მისვლა-მოსვლა ჰქონდათ რაჭის სოფლის ნაკიეთის მცხოვრებლებთან და ეკლესიაშიც დადიოდნენ.

დღეს ხიდაშელების უბანი ლოკალიზდება საბაწმინდის ტაძრის სიახლოეს, რომელიც მათი საღლოცავიც არის. ამ გვარის უბანი ენობრივად იწარმოება, როგორც ხიდაშლიერენთი, რაც კუთვნილებას ნიშავს, ხოლო ხიდაშლიანი არის კრებითი სახელი, რომელიც კრებითობას აღნიშნავს გვარის აღამიანებისას.

შტო-გვარის სახელებიც ანალოგიურად იწარმოება: ილაანი – ილაანთი, ბესაანი – ბესაანთი, სანდროაანი – სანდროაანთი, მიხაანი – მიხაანთი, ზურაანი – ზურაანთი...

რაც შეეხება ზემოხსენებულ დავთარში მოხსენებულ პირებს, მათგან შემორჩენილია: ხიდაშელ დალაქიდან – დალაქიერენთი, თამაზადან – თამაზანთი, ნინიადან – ნინიკაანთი, რომლებიც მცირე ტოპონიმიკური ლექსიკის აღმნიშვნელებია.

-ურ სუფიქსი, გავრცელებული მოსაზრებით, არაადამიანთა საღაურობა-წარმომავლობას აღნიშნავს, მაგრამ **-ურ** სუფიქსმა ქართლურში შეიძლება წარმომავლობაც აღნიშნოს. ლიახვის ხეობაში **-ურ** სუფიქსი კუთვნილებას აღნიშნავს და ნაწარმოებია ანთროპონიმისაგან. ამასთანავე გამოყენებულია საკუთრივ ტოპონიმის საწარმოებლადაც. მაგალითად ხიდაშელის გვარის ქალი როცა გათხოვდება სხვა სოფელში, ამ შემთხვევაში დიდი ლიახვის ხეობის სოფლებში ის იწოდება როგორც ხიდაშელიდან – ხიდაშლური. ასეთი მაგალითები რამდენიმე დავაფიქსირეთ სოფელ ქემეტრში, თვით სოფელ ხეითში, ძარწემში, კეხვში, თამარაშენში.

ამ დასახლებაში ტოპონიმები ფორმდება **-ურ** სუფიქსითაც: ბასილადან – ბასილაური, ივანა – ივანაური, **ურის** დისიმილაციით **-ულ**, პეტრე - პეტრეული, ბერო – ბერიული...

მოსახლეობის შიდა მიგრაციული პროცესები ხშირად დიდი სირთულით მიმღინარეობდა და ყოველთვის არ მოჰქონდა სასურველი შედეგი, თუნდაც იმიტომ, რომ ეთნოსი ეთნიკურად იცვლებოდა, ასე მოხდა ამ და სხვა შემთხვევებშიც.

ცნობილია, რომ აზნაური **მაჭავარიანები** იმერეთში, ქართლისა და კახეთის მთელ ჩიგ ადგილებში იყვნენ და დღესაც არიან განსახლებულები. ეს გვარი წარმოშობით სვანეთიდან არის, რაც რამდენიმე დოკუმენტით დასტურდება. მეთოთხმეტე-შეთხუთმეტე საუკუნეების ერთი საბუთის მიხედვით, რომელიც სვანეთშია შედგენილი, ჩხეტმაჭავარიანი და მისი ნათესავები არიან მოხსენებული (ვ. სილოგავა, 1988, №96).

მაჭავარიანები ცხოვრობდნენ ცხინვალში, კერძოდ ქალაქის აღმოსავლეთი დოევანდელი სტადიონის ადგილები მათი მამული იყო, ასევე მათ ეკუთვნოდათ იქვე ახლოს ადგილი, რომელსაც „ქულბაქი, ქულბაქები“ ეწოდება, რაც სავაჭრო ადგილს წარმოადგენდა. ცხინვალიდან ცნობილია ალექსი მაჭავარიანი.

მაჭავარიანები ცხოვრობდნენ და აზნაურის ტიტული ჰქონდათ ქართლში, გვერდისძირის სოფელ ჯარიაშენში, სადაც ოთხი ოჯახი დღესაც ცხოვრობს. ასევე მათი კუთვნილება იყო დღევანდელი ნასოფლარი “შატათგორი”, რომელიც სოფლის ჩრდილოეთით იყო და სოფელს იქიდან აქვს გამოყვანილი სასმელი წყალი. შატათგორი ძელი სოფელია, რომელიც მოხსენებულია ვახუშტი და იოანე ბაგრატიონების “აღწერებში” (ვ. ბაგრატიონი, 1991, გვ. 21; ი. ბაგრატიონი, 1986, გვ. 38).

მაჭავარიანებს დღევანდელი ზემო არცევის აღმოსავლეთით ჰქონდათ 100 ჰექტარი მამული, რომელიც მერე მთიდან ჩამოსულ მოახალ შენებს დაურიგეს. ცნობილი პიროვნება იყო სოფელში იოსებ მაჭავარიანი, რომელსაც ასევე ცნობილი შვილები ჰყავდა – დავითი და ნიკოლოზი. ამ გვარიდან შემორჩენილია შტოგვარები: დათიკოაანი – დათიკოაანთი, იოსებაანი – იოსებაანთი, ნიკაანი – ნიკაანთი. დღეს სოფელში ცხოვრობენ ზურაბ, ფარვიზ, დავით და იური მაჭავარიანები, რომლებიც წინაპართა ტრადიციების ლირსეული გამგრძელებლები არიან.

სვანაძის რამდენიმე ოჯახი ცხოვრობდა ცხინვალში, რომლებიც წარმომავლობით სვანები იყვნენ, რაჭიდან მოსულები. იოანე ბაგრატიონი ზემოხსენებულ შრომაში აღნიშნავს, რომ “სვანაძე – არიან სვანეთის აზნაურნი მუნითგან გადმოსულნი სვანის ძედ წოდებულნი” (ი. ბაგრატიონი, 1997, გვ. 127). აღნიშნულ გვარს **-ეთ** სუფიქსით სახელობითში დაერთვის “ნ” თანხმოვანი და ვლებულობთ: სვანაეთი. ამგვარის შტოგვარებია: ვანოაანთი, ვალიკოაანთი, სერგოაანთი. ასევე გვართან არის დაკავშირებული განსხვავებული სვანიძე, რომელიც ასევე სვანური წარმოშობისაა, ისინი ცხოვრობდნენ და ახლაც არიან რაჭის სოფელ ბაჭში, ასევე იმერეთის სოფლებში ინაშაურში, ისრეთში.

ყიფიანის გვარი გვხვდება ქართლის რამდენიმე სოფელში, მთელი დასახლებაა ქარელის სიახლოეს, რომელსაც ეწოდება ყიფიანთ უბანი. ი. ბაგრატიონი “შემკლებით აღწერაში” აღნიშნავს: “ამათნი წინაპარნი არიან მოსრულნი სვანეთითგან, რომელნიცა მეფეთაგან მიღებული იქნა თავადად, ამათნი გვარნი სახლობენ სვანეთს, ახალციხეს, იმერეთსა და ქართლში” (ი. ბაგრატიონი, გვ. 1986, 81). ყიფიანების თავდაპირველი საცხოვრებელი ჩოლურის თემის სოფელ ედიყში ყოფილა, რომელიც ამჟამად ნასოფლარია, სადაც ახლაც არის თავდაცვითი ნაგებობებისა და ეკლესის ნაშთები. ყიფიანების ერთ-ერთი შტო სვანეთიდან წამოსულანდა რაჭაში მოსულა, ისინი დღესაც ცხოვრობენ სოფელ ჭრებალოსა და ხვანჩერაში.

სოფელი **ისროლისევი** მდებარეობს მდინარე მეჯუდის სათავეში და ისტორიული წყაროების მიხედვით (ვახუშტი და იოანე ბაგრატიონები) არი იყო ამ სახელით, რაც ვახუშტის მიერ 1745 წელს შედგენილ რუკაზეა დაფიქსირებული.

მეცნიერებაში ამ პუნქტის შესახებ გამოთქმულია დამაჯერებელი ვარაუდი, რომ ისროლი სვანურად ისლს ნიშნავს, ხოლო აწ უკვე ნასოფლარები, რომლებიც გვარის მიხედვით არის ნაწარმოები “ფაჩური” და “ლაფაჩი”, პირველი ცაცხის სახელია, მეორე კი საცაცხვე სვანური კილოკავის მიხედვით. ამავე ხეობაში არის სხვა ხეობაში გადასასვლელი, რომელიც კლდეებით არის გადალობილი და ეწოდება კოჭორი, რაც სვანურად კლდეს ნიშნავს. აღსანიშნავია,

რომ ადრე მცხოვრები მოსახლეობა, გვარად გინტურები და ციცაგები, უწოდებდნენ და ახლაც უწოდებენ როგორც კლდეს, ისე კოჭორს – კოჭორებს.

ამ ხეობიდან აღმოსავლეთით არის დიდი კლდე, რომლის მერე მდებარეობდა პატარა სოფელი **ოლოფთა**, ამ კლდეს ეწოდება **კაცა**, რომელიც სვანურ კაცხ სიტყვას უკავშირდება, რაც **წვერს** ნიშნავს.

ქსნის ხეობაში მდებარეობს სოფელი **ლარგისი**, რომელიც “1774 წლის ქსნის ხეობის სტატისტიკური აღწერით”, ამ სახელით არის მოცემული. 1781 წლის აღწერით კი სოფელი მონასტერია. როგორც ადგილზე დაკვირვებით დავადგინეთ, ლარგვისის აღმოსავლეთით არის ტყიანი ფერდობი, რომელსაც “ლაგური” ეწოდება. “გურ” სვანურად ნიშნავს შუა ადგილს და, მართლაც, აღნიშნული ბუნქტი სამი მდინარის: ქსნის, ჭურთისწყალს – ჭურთულასა და ცხრაძმულას შორის – შესართავში არის მოქცეული. როგორც ჩანს, მონასტერი ეწოდება ამ სოფელს იმიტომ, რომ აქ ქსნის მარჯვენა მხარეს აღმართულია გუმბათოვანი ტაძარი – ლარგვისის მონასტერი და ეს სახელი ბუნქტივად ხალხის ხსოვნაშია დარჩენილი, ხოლო “ლარგუ”, სადაც ახლაც არის მცხოვრებთა სახლის ნაშთები, ეს სახელი გაფართოვდა და მას შეერწყა მონასტრის სახელი და მივიღეთ ლარგვისი, სადაც -ის სუფიქსი საკუთრებას გამოხატავს.

ლარგვისის სამხრეთით, მდინარის მარჯვენა მხარეს არის ნასოფლარი **ქვენიფნევი**, რომელიც არაერთ ისტორიულ წყაროშია მოხსენებული. ნასოფლარს ჩამოუდის დასავლეთით ტყიანი ფერდობიდან პატარა მდინარე **იფნეურა**, რომელიც იწარმოება ჰიდრონიმთა ცნობილი მაწარმოებლიდან ქართულში -ურა სუფიქსით. იფნანი არის სოფელი სვანეთში, რომელიც მცენარე ითანის აღმნიშვნელია. იფნანი ნიშნავს ითნიან ადგილს და სწორედ ამიტომ შეერქვა იფნანის მიხედვით იფნევი, სადაც -ევ სუფიქსი ძველ ქართულში მრავლობითობის აღმნიშვნელია. ნასოფლარის დასავლეთის მხარეს არის ითნის დიდი კორომი, რამაც ასახვა ჰპოვა სახელის დარქმევაში, ქვე კი ნიშნავს ქვემო ადგილს – სამხრეთს, სადაც ლარგვისის ქვემო მხარე არის ნაგულისხმევი.

ლარგვისი რომ ძველი გეოგრაფიული სახელწოდებაა, ამას აღნიშნავს ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანე “ძეგლი ერისთავთა” მეცამეტე-მეთოთხმეტე საუკუნეების მიზანზე. ლარგვისის მონასტერი მეთხუთმეტე საუკუნის მეორე ნახევარში განუახლებია ქსნის ერისთავს შალვა ქვენიფნეველს, რაც მოთხრობილია მის მიერ შედგენილ ტიპიკონში, რომელიც დაიწერა 1470 წელს, სადაც იფნევიდან იწარმოება გეოგრაფიული ტიპის გვარი ქვენიფნეველი.

რაჭის სოფლებში სვანური ელემენტი უფრო ჭარბად გვხვდება, რაც სვანეთიდან ტერიტორიის სიახლოვით არის განპირობებული.

გოგრიჭიანის გვარი გვხვდება შემდეგ სოფლებში: ჩორდში, სევასა და ლებში, რომლებიც ფაქტობრივად სვანურ დიალექტზე ვეღარ საუბრობენ. როცა ამ გვარის ხალხს ჩორდში გავესაუბრეთ მათ დაადასტურეს, რომ ბარად, კერძოდ ფრონეს ხეობაში, 1715 წლის რუისის საეპისკოპოსოს დავთარში მოხსენებული გოგრიჭიანი მარკოზი მათი სოფლიდან იყო წასული სხვა რაჭელებთან ერთად, რომლებიც სოფელ ძალინაში იყვნენ საცხოვრებლად წასულები (ე. თაყაიშვილი, 1907, გვ. 147). ხსენებული პირის შთამომავლები დადიოდნენ ჩორდში, მაგრამ დროთა განმავლობაში კავშირი გაწყდა, როცა ფრონეს ხეობაში, კერძოდ სოფელ ძალინაში რაჭიდან მიგრირებული ნამოსახლარი

მოვიკითხეთ, გვიჩვენეს სოფლის დასავლეთით ახლოს ტყე-ბუჩქნარი, რომელსაც “ღონაძის ახო” ეწოდება; სწორედ ამ ადგილებში ცხოვრობდა რაჭიდან ჩამოსული ხალხი, რომელიც შემდგომ ბარად, კერძოდ კი ქარელის რაიონის სოფლებში და სხვაგან არიან ჩასახლებულები.

სვანეთიდან წამოსული დავითულიანები ცხოვრობენ ამბროლაურში და სოფელ აბანოეთში. **ჭუჭეიანი** ცხოვრობს ონში, ამ გვარის ხალხს ნაცნობობა და მეგობრობა აქვთ გორის სოფელ ტინისხიდში მცხოვრებ ჭუჭეიანებთან.

სვანი ასეთი გვარი დავაღასტურეთ სოფელ ჭიბრევში. ამათი შტო გვარებია: პორფილენი, მაჭისმენი, მაგრამ შოთაანთი, არტემაანი – არტემაანთი.

სვანური ელემენტის გამოვლენა გრძელდება.

დამოწმებული ლიტერატურა

ა. თაბუაშვილი, 2013 – ა. თაბუაშვილი, ქალაქ ცხინვალისა და მისი მიმღებარე სოფლების აღწერის დავთრები (XVIII საუკუნის II ნახევარი), თბ., 2013.

ვ. ბაგრატიონი, 1895 – ვ. ბაგრატიონი, საქართველოს გეოგრაფია, ტფ., 1895.

ი. ბაგრატიონი, 1986 – ი. ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, თბ., 1986.

ი. ბაგრატიონი, 1997 – ი. ბაგრატიონი, შემოკლებითი აღწერა საქართველოსა შინამცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა, თბ., 1997.

სწა, 1988 – სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, ებიგრაფიკული ძეგლები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები და სამეცნიერო-საცნობარო აბარატი დაურთოვალერი სილოგავამ, თბ., 1988.

ე. თაყაიშვილი, 1907 – ე. თაყაიშვილი, მოგზაურობანი და შენიშვნანი, ტფ., 1907.

NIKOLOZ OTINASHVILI**TOPONIMS REPRESENTING OF MIGRATION FROM SVANETI TO RACHA AND SHIDA KARTLI**

One of the interesting things for studying our past is onomastics which unites names, surnames, toponyms, zoonyms. A number of political events, battles, migration, immigration, encourages to create the new toponymic units and anthroponyms.

Our aim is to show new units in ShidaKartli and Racha determined by the migration from Svaneti and discuss the recorded materials in Racha.

On the right side of the river Didi Liakhvi there is so called „Khidasheli district“, the people with the surname Khidasheli came from Racha to Svaneti. They had a different surname but one of them killed a man and escaped the death together with his brother. They hid in the wood which was near the village of Naketi. The villagers called that part „Khidasheli“.

There is a village Largvisi in Ksani gorge which was once a monastery. Largvisi holds Georgian-Svanetian toponymic meaning- in Svanetian dialect it means “the middle”.

Several families lived in Tskhinvali by the surname Svanadze from Racha. Ioane Bagrationi writes that “they are from Racha“ in his work.

According to the language peculiarity this surname was formed by *Rachvelian* dialect that is by names of „et“ suffix, we add the „n“ consonant and finally we get Svanaetni.

As for the Kipianis Ioane Bagrationi writes that their ancestor came from Svaneti and settled in Svaneti, Akhaltsikhe and Kartli. There is a village Kipiani in Kareli Region.

ქუთაისის საჯარო გიბლიოთეპის წლილები
ANNUAL OF KUTAISI PUBLIC LIBRARY

IX

2017

რუსუდან საღინაძე

**ენობრივ ცვლილებათა ტენდენციები
სვანეთის ეპიგრაფიკა
მეგლოთა მიხედვით (XI-XIII სს.)**

მეცნიერთა დიდი ძალისხმევის შედეგად ჩვენამდე მოღწეულია ქართული სულიერი კულტურის ამსახველი ლაპიდარული, ფრესკული, ჭედური, მოზაიკური, კერამიკული, ნაკაწრი (გრაფიტები), მინანქრული წარწერები. დღეისათვის ცნობილია V-XVIII საუკუნეების 10000-მდე ძეგლი ქართული წარწერა. მათ შორის ძალიან მნიშვნელოვანია სვანეთის ეპიგრაფიკული ძეგლები.

სვანეთის ტერიტორიაზე არსებული მრავალრიცხოვანი ეკლესია-მონასტრები ღია ქართული ქრისტიანული კულტურის მძლავრი კერები. სწორედ ამ მხარეში ჩამოყალიბდა საეკლესიო ხელოვნების, ფერწერის, ქვაში, ხესა და ლითონზე... კვეთის ძლიერი თვითმყოფადი სკოლები. სვანეთის მდიდარი და მრავალრიცხოვანი ჭვარ-ხატების მნიშვნელობის შესახებ საგანგებოდ მიუთითებს ექვთიმე თაყაიშვილი: "წინათ ფიქრობდნენ, სიმრავლე ჭვარ-ხატებისა და ხელნაწერებისა, რომელნიც სვანეთში იყო..., აისწებოდა იმით, რომ სვანეთში ეზიდებოდენ... ამ ნივთებს შესანახად და გადასარჩენად განადგურებისაგან მტერთა შემოსევის დროს. ეჭვი არ არის, ამასაც ადგილი ჰქონდა, მაგრამ ჩვენის დაკვირვებით, ცხრა მეათედი ჭვარ-ხატებისა თვით სვანეთშია დამზადებული. ამას მოწმობს სვანიზმები წარწერებისა, გვარები შემკვეთელებისა და ოქრომჭედელთა" (ე. თაყაიშვილი, 1991, გვ. 341). 1910 წელს ღერძნული და სვანეთში საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მიერ მოწყობილმა ექსპედიციამ, რომლის ხელმძღვანელიც ე. თაყაიშვილი იყო, შეისწავლა სვანეთისა და ლეჩხუმის ქრისტიანული კულტურის ძეგლების დიდი ნაწილი.

ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანია სვანეთის ეპიგრაფიკა ენობრივად. წარწერათა ენა, სვანიზმები, ონომასტიკონი შეიცავს ქართული სულიერი და მატერიალური კულტურის ისტორიისათვის ფასეულ საკმაოდ მდიდარ მონაცემებს.

იმის გასარკვევად, თუ როგორ გამოიყურება ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის ერთ-ერთი მონაკვეთი – XI-XIII საუკუნეების ენა, ჩვენ განვიხილავთ სვანეთის ეკლესია-მონასტრებსა და მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში არსებულ რამდენიმე წარწერას, რომელთაგან უმრავლესობა გამოქვეყნებულია ქართულ ეპიგრაფიკულ კორპუსში (ვ. სილოგავას მიერ).

უხვ მასალას იძლევა XI-XIII საუკუნეთა სვანეთის ეპიგრაფიკული ძეგლების განხილვა ფონეტიკა-ფონოლოგიის თვალსაზრისით. წარწერებში გამოიყოფა ის გრაფემები, რომელთა შესატყვისი ბგერები ნელ-ნელა იკარგება IX საუკუნიდან. მათგან უფრო მეტად არის გავრცელებული მ, ჭ და უმარცვლო უ, თუმცა არც ერთი მათგანის გამოყენებას არა აქვს სისტემური ხასიათი. მ გვხვდება რამდენიმე პოზიციაში:

ვა: "† სახ(ე)ლითა დოკუმენტა მოიხატა და შეიმკო წერე ესე ექლეს]იად
წმა კ(კრიკე]სი სად(ი)დებელ(ი)დ და ს(ალოცველ(ი)დ ამის წევისა აზნაურთა
და ყ(ოვე)ლთა... (სვან. წერილ. ძეგლ., გვ. 73)... ამავე პოზიციაში დამავალი
დიფორმანგი შენარჩუნებულია ჩუკულის ეკლესიის (ლენტეხი) ხის კარებზე
შემორჩენილ სწორი, ებიგრაფიული ნუსხურით შესრულებულ XI საუკუნის
წარწერებში (სულ 22 წარწ.): "წერო კრონ" = წ(მიდა)დ ურ(ი)ელ; "წერ
პლე" = წ(მიდა)დ პ(ი)ვლე... (სვან. წერილ. ძეგლ., გვ. 122); აგრეთვე,
ფხოტრერის (ეცერი) მთავარანგელოზის ეკლესიაში კანკელის წინ დასადგმელ
ჯვარზე XII საუკუნის წარწერაში: "წერ მთ როგორ გრ" = წ(მიდა)დ
მთა(ვა)რ(ან)გ(ელოზ)თა გ(უარ)ი (სვან. წერილ. ძეგლ., გვ. 129); "წერ კ(კრიკე)]
შე ი(ოვა)ნე წერალო[ბად] შენი მონასა შ(ე)ნსა || ზედანს ულხინე || არა
და(ი)ვიწ[ყ]ო [...]“ (იოვანეს წარწ., კალა, წმ. კვირიკეს ეკლესია ("ლაგურკა"),
XII-XIII სს.) (სვან. წერილ. ძეგლ., გვ. 284)...

ვა: "წერ გრ, მ (ე)ოხ ეყ(ა)ვ წ(ინაშ)ე ღ(მრ)თისა სულსა გაბისონა
ან" (გაბისოს წარწ., ასომთ., სვიფი (მესტიის რაიონი, ფარის სასოფლო
საბჭო), წმ. გიორგის ეკლესია XI სკ.) (დას. საქ. წარწ., გვ. 109)... ამავე
პოზიციაში მ არის ზმნაში ზმნისწინის შემდგომ მაცხვარიშის (ლატალი)
მაცხოვრის ეკლესიის ("მაცხვარ") 1140 წელს შესრულებულ ასომთავრულ
წარწერებში: "შოთატა საქადარი ესე მ ეფობასა დემეტრეს||ა წელსა || იე
ჰელი||თა მ(ი)ქ(ა)ლ|| მაღ[ლ]||აკელი||სათა" (მიქაელ მაღლაკელის წარწ.) (სვან.
წერილ. ძეგლ., გვ. 75); "ესე არს კ(კრიკე)ე მ(ა)მასახლისი რომელმან დ(ი)დი
შოთატა ამის ეკლესი(ი)სა ზედგომად ხატვასა ა(მე)ნ" (კვირიკე მამასახლისის
წარწ.). (იქვე, გვ. 78); "ვნეცა ამას ეკლესიას შიგნ მამასახლისი იყო, კვამლისაგ(უ)ნ
შეც[კ]რძალეთ [ხ(ა)ტუ]ლი რ(ომე)ლ ფე[რი] არ დ[ა] არ დ[ა] კლოს" (იქვე, გვ.
79). ალსანიშნავია ისიც, რომ ყოველთვის ასე არ არის და ეს განსაკუთრებით
ითქმის ისეთ ზმნებზე, რომლებიც ხშირად გამოიყენება წარწერების ენაში.
ასეთია, მაგალითად, **შეიწყალე**, თუმცა მოგვიანებით, XVI-XVII ს.-ში, ამ
ზმნასთანაც დადასტურდა მ ადიშის წმინდა გიორგის ეკლესიის მარჯვენა
სვეტზე ამოკაწრულ სოფლის ნუსხურ წარწერაში. **ვა:** წმიდა)ი ყ(ოველ)ი
გრ ქაშავთ(ი)ს შეიწყალე თავი ჩ(უნ)ი გლოხ(აკ)ი ს(უ)ლი შე(ი)წყალე
შ(ე)ნსა მაღლსა (სვან. წერილ. ძეგლ., გვ. 236)... სრული -ი არის, ასევე, და
ზმნისწინის შემდგომაც: "ქ. წერ კ(კრიკე)ე გვერლისაო|| შე ი(ოვან)ე ინასარისძე
დაიცევ [...] [...]“ (იოვანე ინასარისძის წარწ., კალა, წმ. კვირიკეს ეკლესია
("ლაგურკა"), XI სკ.) (სვან. წერილ. ძეგლ., გვ. 290)...

მV: "ღ(მრ)თისმშ(ო)ბ(ე)ლო შე მოვანე სუანი" (იოვანე სუანის წარწ.,
ასომთ., უშეგული, "ლამარია", XI-XII სს.); "ს(უ)ლსა მოვანე
მ(ა)მ(ა)სახ(ლ)(ი)სისა შე ღ(მრ)თისმშ(ო)ბ(ე)ლო" (იოვანე მამასახლისის წარწ., ასომთ., აცი (იელი),
მთავარანგელოზის ეკლესია ("თარინგზელ"), XI სკ.) (სვან. წერილ. ძეგლ., გვ.
70). შდრ. იოვანე მოძღვრის წარწერა, რომელიც მოთავსებულია იქვე, ეკლესიის
გარშემოსასვლელის დასავლეთ კედელზე, შილა მხარეს: "ქ შე შე იოვანე
მოძღ(უ)არი" (სვან. წერილ. ძეგლ., გვ. 349)...

გვხვდება მ-ს კლების, გასრულხმოვანების, აგრეთვე მოტამეტობის
შემთხვევები. მაგალითად, მ გასრულხმოვანებულია ფხოტრერის (ეცერი, მესტია)
მთავარანგელოზთა ეკლესიის აღმ. ფასალის XI ს.-ის წარწერაში: "წერ
ს(ა)მ(ე)ბ(ა)რ(ა)ო, შე ქ(ო)რ(ა)დ(ა)ო (დას. საქ. წარწ., გვ. 118); აგრეთვე: ქ. წერ

კ(კრიკ)ე შე დედვ(ა)ლაი ან“ (დედვალას წარწ., კალა, წმ. კვირიკეს ეკლესია, XII-XIII სს.) (სვან. წერილ. ძეგლ., გვ. 286)...

მოტამეტობის ნიმუშია გურანდუქტის წარწერა:

ც დ: "წ ლ ღ(მრ)თ(ი)ს(მ)შ(ო)ბ(ე)ლო, შე გ ნ თ

(გურა)ნ(დუ)ხ(ტ)ე“ (გურანდუქტის წარწ., მხედრულნარ. ნუსხ., ჟიბიანი (უშული, მესტია), ღმრთისმშობლის ეკლესია ("ლამარია"), XI სკ.) (სვან. წერილ. ძეგლ., გვ. 126; XI-XII სს. — დას. საქ. წარწ., გვ. 132). წარწერაში მესამე სტრიქონის **გ ნ თ** გახსნილია, როგორც გურანდუქტი. პ. ინგოროვა მიჩნევს, რომ ეს სახელი (იგივე გურანდუქტი) ამ ფორმით ჩვეულებრივია სვანეთის წერილობით ძეგლებში. ვ. სილოვანას აზრით, მისი შემოკლებული ფორმა უნდა იყოს **გვარდუქ** (დას. საქ. წარწ., გვ. 132)...

აქ: **გურანდუქტი** (148) || **გურანდუქტი** (33) — დედოფალი, დედა

ბაგრატ აფხაზთა და ქართველთა მეფისა და კურაპალატისა (პირთა, გეოგრაფიულ და ეთნიკურ სახელთა საძიებელი: დას. საქ. წარწ., გვ. 178). შდრ.: ბაგრატის ტაძრის (ქუთაისი) აღმ. ფასადზე ამოკვეთილი სამშ. წარწერაში მოხსენიებული (1001-1008 წწ.): "† შ(ე)წ(ე)ვ(ი)თა ღ(მრ)თის(ა)მთა, ბ(ე)გრ(ა)ტის(ა)გ(ე)ნ – ნ(ე)ბ[ი]თა ღ(მრ)თ[ი]სამთა აფხ(ა)ზთა და ქ(ე)რთვ(ე)ლთა მ(ე)ფ(ი)სა და კ(უ)რ(ა)პ(ი)ლ(ა)ტ(ი)სა და ღ(ე)დ(ი)სა მ(ა)თისა — **გ(უ)რ(ა)ნ(დუ)ხ(ტ)** ღ(ე)დ(ო)ფლისა, აღ(ე)შ(ე)ნა წ(მიდა)ი ესე ს(ა)ყდ(ა)რი წ(ე)ლითა [...]“ (დას. საქ. წარწ., გვ. 52)...

ჩვენი აზრით, თანხმოვნის შემდეგ **მ** გრაფემა **ი** ძართან აღრევის შედეგი უნდა იყოს.

მ: როგორც ცნობილია, X-XI საუკუნეთა და მომდევნო ხანის ძეგლებში ც-ს გამოყენება აღარ ემორჩილება წესებს (ზ. სარჯველაძე, 1984, გვ. 279). სვანეთის XI-XIII საუკუნეთა ეპიგრაფიკულ ძეგლებშიც შერყეულია მერვე **მ**-ს (მ) გამოყენების წესი: გვხვდება როგორც დამავალი დიუთონგი, ისე მისი მოშლის ფაქტებიც. ზოგან ედ გამოხატულია შესატყვისი **მ** გრაფემით, ზოგან დაწერილია პირდაბირ, დიფთონგის შესატყვისი გრაფემის გარეშე. ასეა დაწერილი, მაგალითად, სიტყვა ძე სახელობით ბრუნვაში: "ქ. წ(მიდა)ო მთავარანგელოზნო || შ(ეიწყალ)ე(თ) ბეორდო არმროლადისის წარწ., გარდამ. მხედრ., აცი (იელი), მთავარანგელოზთა ეკლესია ("თარინგზელ"), XI სკ.) (სვან. წერილ. ძეგლ., გვ. 238); "ქ. წ ლ კ შ შემიწყალე მწარედ ცოდვილი] || გ(იორგ)ი გ(კრიკ)ესეჭ გამომამრთე[ლე ყ(ოვლი)სა ჭირ]ისაგან“ (გიორგი კვირიკესძის წარწ., მხედრ., კალა, წმ. კვირიკეს ეკლესია, XI სკ.) (სვან. წერილ. ძეგლ., გვ. 282)... სხვა შემთხვევებში გვხვდება **ძეი:** "წ(მიდა)ო მთავარანგელოზნო || შ(ეიწყალ)ე ი(ოვან)ე გ(იორგ)ი ბერ(ი)სა || ძეი ორსავე ცხორებასა ზ(ედ)ა – ამასა საწ(უ)თროსა და იმ(ა)სა || საუკუნოსა“ (იოვანე გიორგი ბერის ძის წარწ., გარდამ. მხედრ., აცი (იელი), მთავარანგელოზთა ეკლესია ("თარინგზელ"), XI-XII სს.) (სვან. წერილ. ძეგლ., გვ. 242)...

გ: "წ ლ გ რ მ გნეო და მკედარო შემიწყალე მე ფ დ ცოდვილ[ი] ივანე და შემინდევ შეცოდება[ნი] ჩემნი ვინ ესე წა(ი)კ(ით)ხ(ოთ) ოქუენცა შეგინვ(ე)ნ ღ დ ღ (ივანეს წარწ., გარდამ. მხედრ., იფხი (ლატალი), წმ. გიორგის ეკლესია, XI სკ.) (სვან. წერილ. ძეგლ., გვ. 277); "[დემეტრ]ე მე[ფე]სა კრმ[ალსა] || აბმენ

დ(ავი)თ(ი)ს(ა)ს ე(რისთავ)ნ[ი]“ (დემეტრე I-ის მეფედ კურთხევის გამოსახულების წარწ., ასომთ., მაცხოვრის ეკლესია (ლატალი), 1140 წ.) (სვან. წერილ. ძეგლ., გვ. 77); “შო(იხა)ტა დასაბ(ა)მ(ი)თგ(ა)ნთა წელთა ხლიე ქრ(ო)ნ(ი)კ(ო)ნს[ა ტლა პელითა თ(ევდორ)ე მეფისა მხ(ა)ტვრ(ი)სახთა]“ (ქტიტორული წარწ., ასომთ., კალა, წმ. კვირიკეს ეკლესია, კალა, 1111 წ.) (სვან. წერილ. ძეგლ., გვ. 73); “სახელითა ღ(მრ)თ(ი)ს(ამთა) შე[ი]ქმ[ნ]ა|| ფათლომი ესე პელ[ი]თა გ(იორგ)ის[ის](ი)თ[ა]“ (ჭვრის კვარცხლბეკის სამშ. წარწ., ასომთ., ჩუკული (ლენტეხი), XII სკ.) (დას. საქ. წარწ., გვ. 152)...

3 გვედება ზმნურ ფორმებშიც: “ქ. წლ მთავარანგელოზო|| შე[ი]წყალე|| მონ(ა)ი შენი გმ ჯავიან[ი ვი]ნ ესე წაი[კით]ხოს იგიცა შეიწყალე მეცა მომიგხენე“ (გიორგი ჯავიანის წარწ., გარდამ. მხედრ., აცი (იელი), მთავარანგელოზთა ეკლესია, XI სკ.) (სვან. წერილ. ძეგლ., გვ. 240); “წლ კც შც გმ [...] მეცა მომიგხენე მოწყალებათა შ(ე)ნსა“ (გიორგის წარწ., მხედრ., კალა, წმ. კვირიკეს ეკლესია, XII-XIII სს.) (სვან. წერილ. ძეგლ., გვ. 283); “† წლ გმ იფ(ა)რისაო, ნუ ამგ[და] საფ(ა)რველსა შენსა,|| მომეც გამ(ა)რჯვებაი|| [მო]ნასა თქვენსა მა(რ)უშ(ია)ნსა“ (მარუშიანის წარწ., მხედრ., ნაკიფარი (იფარი), XII-XIII სს.) (სვან. წერილ. ძეგლ., გვ. 236).

3-ბ ობოზიციის საინტერესო ნიმუშია იფრარის (კალა) მთავარანგელოზთა ეკლესიის ერთ-ერთი წარწერა (“კელი კალელთა”, XI სკ., 1096 წ.-მდე): “ქ. „სახელითა ღ(მრ)თისა(ი)თა ესე|| პელი ჩ(უ)ნ კალელთა დავწერენეთ, დიდთა და მცირე[თ]ა, რ(ომე)ლ ამას ჟეო||ბასა შიგან ვართ, ა[დი]დენ ღ(მერთმა)ნ|| ავალიანი და ხვ [...].....ანი, შიგან გრვ||თაგს...“ (სვან. წერილ. ძეგლ., გვ. 269)... მოცემულ წინადადებაში **3-ბ ობოზიციია სახელი და პელი; ასეა ნაკიფარის (იფარი) წმინდა გიორგის ეკლესიის სამხრეთ კედელზე ამოკაწრულ ნუსხურ წარწერაში (XI სკ.): “[სა]ხელითა ღ(მრთისაი)თა] ესე პელი ჩ[ნ], მეფოვე[ლთ]|| დავწერეთ [მ]ას ჟა||მსა, ოდეს მამულს[ა]|| ჩ[ნ]სა არ[...] რომელთა მარხვენ[ი]|| [წა]იღეს, ჟევერბით ყ[ლ]ნი მეფოველნი,|| [დ]იღნი და მცირენი... (სვან. წერილ. ძეგლ., გვ. 333); **3-ბ ობოზიციის ნიმუშია, აგრეთვე, მაცხვარიშის (ლატალი)** მთავარანგელოზის ეკლესიის ცენტრალური თაღის ჩრდილოეთის სვეტზე ამოკაწრული ნუსხური წარწერა (XI სკ.): “[...]რანი ძულ[...] [სა]ხელითა ღ(მრთისაი)თა] ესე პელი მა[შ]ინ || დავწერეთ ოდეს...]“ (სვან. წერილ. ძეგლ., გვ. 302)...**

სვანეთის წარწერებიდანაც ჩანს, რომ **3-ბ სემანტიკურ სხვაობას ქმნის: სახელი** (წოდება): “სახელითა შენითა ვწინაწარმეტყველებდით“, მთ., 7, 22 (ი. აბულაძე, 1973, გვ. 383), ხოლო **პელი** – 1. ხელობა: “იყო მარჯუე ფრიად ჰელითა“ (იქვე, 567); 2. ხელწერილი, ხელნაწერი. “დაწერე ჰელი ორმოცდაათისა ლიტრისა აქრომასა“, ლიმ. 78, 10 (იქვე)...

წარწერებში არის ისეთი შემთხვევებიც, რაც გვიჩვენებს **3-ბ ობოზიციის მოშლის ტენდენციას.** ასეა, მაცალითად, XI საუკუნის წმიდა კვირიკეს ეკლესიის აბულეთის ნუსხურ წარწერაში: “წლ კ(კრიკ)ე შც მო(ნა)ი შ(ე)ნი აბ(ულე)თ ორთ(ავე) ცე(ორებასა) შ[ც]“ (სვან. წერილ. ძეგლ., გვ. 128). ძველად იყო ცხორება – ცხოვრება, “ქსნა”, “განრინება”, ცოცხლება, “სიცოცხლე”, მრთელობა, “მაცხოვარება”: მოვედ ცხორებად ჩუქნდა, ფს. 79, 8 (ი. აბულაძე, 1973, გვ. 522).

უმარცვლო უ სვანეთის წარწერებში გვხვდება რამდენიმე პოზიციაში:

CIV: ქ. წ. მ(ა)ც(ხ)ოვარო შე კ(უირიკ)ე კუირ[ი]კიანი დღეს[ა ამას განკითხვისასა] (კვირიკე კვირიკიანის წარწ., გარდამ. მხედრ., მაცხვარიში (ლატალი), მთავარანგელოზის ეკლესია ("თარინგზელ"), X სკ.) (სვან. წერილ. ძეგლ., გვ. 310); ქ შე გ კუირიკიანი (გიორგი კვირიკიანის წარწ., გარდამ. მხედრ., X-XI სს.) (იქვე, გვ. 312); ამავე პერიოდის დემეტრე კვირიკიანის წარწერაში წყვილბაგისმიერ უ-ს ცვლის კბილბაგისმიერი 3: ქ. წ. მაცხოვარო შე დემეტრე კვირიკიანი; 3 არის ანთროპონიმ კვირიკეშიც: ქ. წ. მაცხოვარო ს(ა)სოო [...]ებისავ] შე [ცო]დვ[ი]ლი გ დ კვირიკე[ს ძეი]... (გიორგი კვირიკესძის წარწ., II, XI სკ.) (იქვე, გვ. 324)... არ გვხვდება უმარცვლო უ სიტყვაში **სკარბალი:** ვინ ზროხა იპაროს – [კვ]ის[უ]ფალს წესიერად აზღვიოს, ჩ(უ)ნთ(კ)ს წზროხა ზღ[ოს], მესამედი – ჭირისუფლის იყ(ო)ს; თუ დაკილ იპაროს – ორი [ი]ყოს ჩ(უ)ნთ(კ)ს, ვის **სკარბალი**, შევიპყრათ – **შეუკრბეთ** თ(უ)ი[ო], შესგნი (ზელელი – ვ. ს.) ცეცხლით|| **დაუწვათ** (სვან. წერილ. ძეგლ., გვ. 269). ძველი ქართული ენის ნორმათა მიხედვით იყო ხუარბალი, რომელიც განმარტებულია ასე: ხორბალი, მარცვლეული. "წარილე ესე (კვლი) და დაჰთაღ ხუარბალსა შინა, რამთა ფერი იქციოს", ლიმ. 78, 17 (ი. აბულაძე, 1973, გვ. 564). **უ > გ:** ხუარბალი > ხგარბალი... მოცემულ კონტექსტში ჩვენი ყურადღება მიიბყრო შეუკრბეთ ზმნამ, რომელშიც **უ** (3) გამოხატავს S₁ პირს;

VIC: "ქ. წ. მაცხოვარო მაცხოუნებელო ყ(ოვე)ლ(თ)ა მაცხოუნებელ[ო] მე[ოხ] და მფ[ა]რველ მექმე...“ (, ომშერაძვირე ლომისძის წარწ., X სკ.-ის II ნახ., (სვანეთის წერილ. ძეგლ., გვ. 319)...

ბერის დაკარგვა: დაკარგულია თავკიდურა 3 კომპოზიტის პირველ კომპონენტში: "ქ. წ. თავა[რ]ანგელოზ[ო] შეიწყალე] || ი(ოვან)ე..." (იოვანეს წარწ., გარდამ. მხედრ., აცი (იელი), მთავარანგელოზთა ეკლესია, XI-XII სს.) (სვან. წერილ. ძეგლ., გვ. 245). სხვა წარწერათა მიხედვით იმავე სიტყვაში უმეტესად შენარჩუნებულია თავკიდურა 3: "წ. მთავარანგელოზო, შე იოვანე" (იოვანეს წარწ., ჩაუაში (უშგული), მაცხოვრის ეკლესია, XI-XII ს.) (სვანეთის წერილ. ძეგლ., გვ. 377)...

ბერიათა შერწყმა: "წ. მთავარანგე(ლო)ზო შე მ(ი))ქ(აელ ქვერებისკობოსის წარწ., ნუსხ., იფრარი (კალა), მთავარანგელოზთა ეკლესია, XII სკ.) (სვან. წერილ. ძეგლ., გვ. 273)..." აქ 30 კომპლექსი ჩვენი აზრით, თ-ს ნაცვლად უნდა იყოს გამოყენებული.

საინტერესო XI-XIII საუკუნეთა სვანეთის ეპიგრაფიკული ძეგლების მორფოლოგია. ხმოვანფუძიანი საზოგადო არსებითი სახელების სახელობითში, აგრეთვე უკვეცელი სახელების ნათესაობითსა და მოქმედებითში გვხვდება თ, მ, შ ალომორფები (იხ. ზემოთ).

თანხმოვანფუძიანი სახელების მოთხრობითში ძირითადად არის გაუმარტივებელი -მან: "ქ. წ. გ მ, მთავ(არ)მოწამეო, შ(ემიწყალ)ე მწარედ ცოდვილი მიქელა || შემწე და მფარველ მეყავ დღესა ბრძოლისასა;|| ვ(ი)ნ წაიკითხოთ, ლოცვ[აი გ]ვით[ხ]რათ, [თქუე]ნცა შეგინდვენ **ღ(მერ)თ(მა)ნ**" (მიქელას წარწ., გარდამ. მხედრ., იფხი (ლატალი), წმ. გიორგის ეკლესია, X-XI სკ.) (სვანეთის წერილ. ძეგლ., გვ. 277)...

შედარებით იშვიათია **-მა/-მ** ალომორფები. მაგალითად, **-მ** ნიშანი დადასტურდა სოფელ სვიფის წმინდა მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიის ერთ-ერთი ხატის წარწერაში (XI სკ.): "შე, გიორგი ლიბარიტის ძემ მოუჭედენ..."

მიცემითში, ნათესაობითსა და მოქმედებითში საზოგადო სახელი მეტწილად გავრცობილია. მაგალითად: **დღესა ჭირისასა უამ[სა] მბრძოლისასა ძესა ლოშისასა ყ(ოვ)ლედ ცოდვილსა [ა]მ[ა]ს ომშერააძვირე[სა]...** (ომშერააძვირე ლომისძის წარწ., X სკ.-ის II ნახ.) (სვანეთის წერილ. ძეგლ., გვ. 319)...

ვთოარებითში **-დ** შეიძლება დაყრუვდეს და იქცეს **-თ-დ**. მაცხოვრის ეკლესიის (ჩაჟაში, უშგული) XI-XII საუკუნეების იოვანეს წარწერაში ერთდროულად არის მოცემული ვთოარებითის **-დ/-თ** ალომორფები ერთსა და იმავე სიტყვაში: "წლ მთავარანგელოზო, შე იოვანე **მწარედ** ცოდვილი" (სვანეთის წერილ. ძეგლ., გვ. 377). შდრ., იქვე ლაზარეს წარწერა: "ქ წმიდანო მთავარანგელოზ(ნ)ო შე(იწყა)ლეთ **მწარეთ** ცოდვილი ლაზარე: ემენ იყავნ" (იქვე, გვ. 379)...

როგორც ცნობილია, საკუთარ და საზოგადო სახელთა ბრუნების გათანაბრება IX საუკუნიდან დაიწყო. ეს ტენდენცია კარგად ჩანს საქართველოს სხვა კუთხეთა, მაგალითად, იმერეთის ლაპიდარულ წარწერებშიც. სვანეთის ეპიგრაფიკაში ადამიანის (პირის) სახელები სახელობითში მეტწილად გაუფორმებელია: "ქ. წლ მაცხ(ო)ვ(ა)რო ॥ შე **მიქ(ა)ელ**" (მიქაელ მალლაკელის წარწ., ასომთ., მაცხვარიში (ლატალი), 1140 წ.) (სვან. წერილ. ძეგლ., გვ. 75); "ქ შე მ(ი)ქ(ა)ლ ॥ ჩეგიანი ॥ ან † ესე..." (მიქაელ ჩეგიანის წარწ., ასომთ., ადში, მაცხოვრის ეკლესია ("მაცხვარ"), XII სკ.) (იქვე, გვ. 81); "წლ გლ" (= წ(მიდა)ღ გ(ა)ბ(რიელ)) (წარწერა კანკელის წინ დასადგმელ ჯვარზე, ნუსხ., ლემსია (ლენჯერი), მაცხოვრის ეკლესია XI სკ.) (იქვე, გვ. 116); "წლ გბრლ გაშიფრულია ასე: წ(მიდა)ღ გ(ა)ბ(რიელ) (წარწერა კანკელის წინ დასადგმელ ჯვარზე, სწორი, ეპიგრაფიკული ნუსხ., გულიდა (ლენტეხი), XI სკ.) (სვან. წერილ. ძეგლ., გვ. 114); იმავე პერიოდის სხვა წარწერები ასე გამოიყურება: "წლ გლ" (= წ(მიდა)ღ გ(ა)ბ(რიელ)) (წარწერა კანკელის წინ დასადგმელ ჯვარზე, ასომთ., ლაშთხევრი (ლენჯერი), მთავარანგელოზის ეკლესია XI სკ.) (იქვე, გვ. 115); "წლ ანა" (= წლ ანა) (წარწერა კანკელის წინ დასადგმელ ჯვარზე, ასომთ., ლემსია (ლენჯერი), მაცხოვრის ეკლესია, XI სკ.) (იქვე, გვ. 115); "წლ ხარა|||ბიონ" (= წ(მიდა)ხ ხარა(ლამ)ბიონ) (წარწერა კანკელის წინ დასადგმელ ჯვარზე, ასომთ., ნესგუნი (ლენჯერი), მაცხოვრის უ ეკლესია, XI სკ.) (იქვე, გვ. 118)...

წარწერებში იშვიათად, მაგრამ მაინც X-XI საუკუნეებიდან გამოვლინდება ადამიანის (პირის) სახელის **-ი** ნიშნით გაფორმების ფაქტებიც: "ქ. წლ მაცხოვ[ვ]არო, შე **ქორ[დ]ათ** გ(იორგ)ის ძეი მ(ა)[ს დღესა]" (ქორდაი გიორგისძის წარწ., ნუსხ., იელი, მაცხოვრის ეკლესია, X-XI სკ.) (სვან. წერილ. ძეგლ., გვ. 258); "ქ შე გრი(გო)ლი" (გრიგოლის წარწ., გარდამ. მხედრ., იფხი(ლატალი), წმ. გიორგის ეკლესია ("მაცხვარ"), XI-XII სკ.) (სვან. წერილ. ძეგლ., გვ. 277); "წლ კც შე(ი)წყალე ॥ გრ(ი)გოლი" (გრიგოლის წარწ., მხედრ., კალა, წმ. კვირიკეს ეკლესია, XII-XIII სკ.) (სვან. წერილ. ძეგლ., გვ. 281); "წლ მაცხოვ(ვ)არო,

შე|| მ(ი)ქელი (მიქაელის წარწ., გარდამ. მხედრ., ნესგუნი (ლენჯერი), XI სკ.) (სვან. წერილ. ძეგლ., გვ. 238)...

იშვიათად ადამიანის (პირის სახელი) შეიძლება გავრცობილიც იყოს: "...სულსა გაბისობა" (გაბისოს წარწ., ასომთ., სვიფი (ფარი, მესტია), წმ. გიორგის ეკლესია XI სკ.) (დას. საქ. წარწ., გვ. 109)...

ნაწევრიანი სახელები. სვანეთის წარწერებში ჭარბობს განსაზღვრულ ნაწევრიანი სახელები: "სახელითა ღ(მრ)თ(ი)ს(ამთა) შე[ი]ქმ[ნ]ა|| ფათლომი ესე..." (ჯვრის კვარცხლბეკის სამშ. წარწ., ასომთ., ჩუქული (ლენტეხის რაიონი), XII სკ.) (დას. საქ. წარწ., გვ. 152); "წ[ო]რ მ(იქაელ) ადიდე ჭან||ბურ და სოფელი ესე და გ[ო]" (ჯანბურისა და გიორგის წარწ., ასომთ., ჩუქული (ლენტეხი), გაბრიელ მთავარანგელოზის ეკლესია, XII სკ.) (სვან. წერილ. ძეგლ., გვ. 127)...

მსაზღვრელ-საზღვრული. სვანეთის წარწერებში მრავალფეროვნებით გამოირჩევა მსაზღვრელ-საზღვრულის წყვილი. გვხვდება როგორც პრეპოზიციური, ისე პოსტპოზიციური წყობის ატრიბუტული მსაზღვრელი. წარწერის დასაწყისში მოცემულ მიმართვის ფორმებში, როგორიცაა: წმიდაო მაცხოვარო, წმიდაო გიორგი, წმიდაო ეკლესიაო... მსაზღვრელი მეტწილად პრეპოზიციური წყობისაა, სხვა შემთხვევებში კი უფრო პოსტპოზიციური წყობა ჭარბობს: "ქ. წ[ო]რ ეკლესიაო შე ი(ოვანე)|| წყალობითა შენითა" (იოვანეს წარწ., III, გარდამ. მხედრ., იელი, მაცხოვრის, X-XI სს.) (სვან. წერილ. ძეგლ., გვ. 260); "ქ. წ[ო]რ მთ(ა)ვარანგელ[ო]ზო შე მონაი შ(ე)ნი მჩიამ" (მჩიამის წარწ., მხედრ., აცი (იელი), მთავარანგელოზთა ეკლესია, XIII სკ.) (სვან. წერილ. ძეგლ., გვ. 237);

სვანეთის ეპიგრაფიკა განსაკუთრებით მდიდარია ვრცელი, მსაზღვრელ-საზღვრულის წყვილებით დატვირთული წარწერებით. ამის საუკეთესო ნიმუშია, მაგალითად, ერთიანი სვანეთის დროშის – "ლემის" ბუნიებზე მოთავსებული წარწერა: "ქ. უბედნიერენ ლმერთმან ერთობილსა ხევსა ბედნიერსა სუანეთისასა ლომი და დროშისთავი დროშითურთ ჩემ დიდისა მონასტრისა წინამძღვრისა გრიგოლ კოპასძისაგან მოხსენებული" (წმ. გიორგის, წმ. იონა წინასწარმეტყველის, მთავარანგელოზის გამოსახულებებით და "დიდი მონასტრის" წინამძღვრის, გრიგოლ კოპასძის, საქტიტორო წარწერით. XIII სკ., მესტიის თემი. ნაწილობრივ მოოქრული ვერცხლი). მსაზღვრელებით მდიდარია, ასევე, ლატალის თემის XIII საუკუნის გაბრიელ მთავარანგელოზის ხატის ვრცელი საქტიტორო წარწერა: "ქ. წმიდაო მთავარანგელოზო მუხერისაო, ხელთუქმარო, ადიდენ მეფენი ბაგრატუანიანი, და დადიანი და დიდებული და ერთობილი საქართველო და ერთობილი სუანი და ხევი ლატალისა და ალაშენე მაშენებელი შენი სოფელი ლაილისა და უფელნი მაღიდებელნი შენი. ამენ".

მსაზღვრელი შეიძლება გაღმოცემული იყოს სხვადასხვა მეტყველების ნაწილით:

ზეთსართავი სახელით: "ქ. წ[ო]რ გ[ო], შემიწყალე მე, მწარედ ცოდვილი ბენდე სვიანი..." (დაწერილი ბენდესი კობალის შეწირვისა, გარდამ. მხედრ., ითხი (ლატალი), წმ. გიორგის ეკლესია, X სკ. II ნახ.) (სვან. წერილ. ძეგლ., გვ. 274)...

რიცხვითი სახელით: "ქ. წ[ო]რ თავა[რ]ანგელო||ზ[ო შეიწყალე]|| ი(ოვანე)ე თრსავე ცორებასა || – ამ||ას საწუთროსა და იმასა საოკონო||[სა]"

(იოვანეს წარწ., გარდამ. მხედრ., აცი (იელი), მთავარანგელოზთა ეკლესია, XI-XII სს.) (სვან. წერილ. ძეგლ., გვ. 245)...

ნაცვალსახელებით: "ქ. წლ მთ(ა)ვარანგელ[ო]ზო შე მონაი შ(ე)ნი მჩიამ" (მჩიამის წარწ., მხედრ., აცი (იელი), მთავარანგელოზთა ეკლესია, XIII სკ.) (სვან. წერილ. ძეგლ., გვ. 237)...

რაც შეეხება სუბსტანტიურ მსაზღვრელს, იგი, ჩვეულებრივ, გადმოცემულია არსებითი სახელებით და, XI-XIII საუკუნეთა სვანეთის ეპიგრაფიკული ძეგლების მიხედვით, უმეტესად, პისტპოზიციური წყობისაა. მაგალითები:

"ქ. წლ მთავარანგელო[ზ] [ო] იოვანე მწარეთა ცო[ლ] [ილს] მ(ი)ქ(ა)ლს შემწე ეყა[ვ] || დღესა ჭ(ი)რისასა" (იოვანესა და მიქაელის წარწ., გარდამ. მხედრ., გული (ბერი), გაბრიელ მთავარანგელოზის ეკლესია, X-XI სს.) (სვან. წერილ. ძეგლ., გვ. 247); "დღესა ჭირისასა ჟამ[სა] მზრძოლისასა ძესა ლომისასა ყ(ოვ)ლედ ცოდვილსა [ა]მ[ა]ს ომშერაძვირე[სა]..." (ომშერაძვირე ლომისძის წარწ., X სკ.-ის II ნახ. (იქვე, გვ. 319); "ქ. მეუფეო მეუფეთაო და უ[ლ] უფ[ლ]ებათა[ო] || წლ მაცხოვარო აღიშისაო შე ს[ინელი მწა]|| ჩედ ცოდვ(ი)ლი დღესა მას საშინ[ელსა განკით]ხვისასა შ(ე)ნისა მას დიდებით მოსლვა[სა] || მათ დიდთა და დამომასა" (სინელის წარწ., აღიში, მაცხოვრის ეკლესია, XI სკ.) (სვან. წერილ. ძეგლ., გვ. 233)...

ზოგჯერ მსაზღვრელ-საზღვრული შეიძლება გათიშული იყოს სხვა მსაზღვრელითა და ნაწევრითაც: "ქ. წლ მთავარანგელოზო, შე სინელი ხ(უ)ცესი მწარედ ცოდვ(ი)ლი დღესა მას [სა]შინელსა განკითხვისასა ოდეს ღმ მიაგებდეს [...]" (სინელის წარწ., IV, მხედრ., მთავარანგელოზთა ეკლესია, X სკ.) (სვან. წერილ. ძეგლ., გვ. 236)...

სვანეთის XI-XIII სს. ეპიგრაფიკულ ძეგლთა ენაში ერთიანი ნორმა არ არსებობს ზმნის პირისა და რიცხვის გამოხატვის მხრივაც. მაგალითად, ზოგჯერ ზმნაში შეიძლება - 6 სუფიქსით იყოს გამოხატული ნარიან მრავლობითში მდგომი პირდაპირი აბიექტური პირი: "ქრისტე შეიწყალე სინელი იოვანეს თავის პოვასა წინადღესა თოვლმან სახლი დაარღვია და ძელნი დალეწნა" (სინელის წარწერა, მხედრ., აღიში, მთავარანგელოზის ეკლესია, XI სკ.) (სვან. წერილ. ძეგლ., გვ. 235). სხვა შემთხვევაში ძევლი ნორმა შეიძლება მოშლილი იყოს. მაგალითად: "აღაშენე... მადიდებელნი შენნი" (ერთიანი სვანეთის დროშის – "ლემის" ბუნიკის წარწ.).

ზმნისწინიანი ფორმები. სვანეთის XI-XIII საუკუნეთა წარწერებში არის ზმნისწინთა როგორც ძევლი (გაუმარტივებელი), ისე ახალი სისტემის (გამარტივებული) ზმნისწინები. ასეთია, მაგალითად, სვანეთისა და, საერთოდ, ქართულ ეპიგრაფიკაში, ხშირად გამოყენებული ზმნა აღვაშენე | ავაშენე....

ძევლი ნორმა შენარჩუნებული ძირითადად ზმნის მომავალი დროის გამოხატვაში. II კავშირებითის ფორმა, გარდა მისი პირველადი ფუნქციისა, მაგალითად, წინადადებაში: "შე მამასახლისა ცოდვილსა და დეკნოზსა ამბრამს შეუნდვენ ღმერთმან" (გაბრიელ მთავარანგელოზის ხატის წარწ., ლატალის თემი, XIII სკ.), გამოხატავს მომავალ დროსაც: "წლ გრ, მთავ(არ)მოწამეო შე მწარედ ცოდვილი მიქელა || შემწე და მფარველ მეყავ დღესა ბრძოლისასა ॥ ვინ წაიკითხოთ [ლო]ცვ[აი] გვით[ხ]რათ [თქუე]ნცა შეგ[ი]ნდვ(ე)ნ

ლენ“ (მიქელას წარწ., გარდამ. მხედრ., X-XI სკ.) (სვან. წერილ. ძეგლ., გვ. 277)...

წარწერებში **-მცა** ნაწილაკიან კონსტრუქციაში ჩართული I კავშირებითიც გვხვდება მომავალი ღრაის გამოხატვის ფუნქციით: "...ვინცა აქა **მოსწყვიდოს** **ცოდვაი-მცა ჩემი აქუს**" (დაწერილი ბენდესი კობალის შეწირვისა, გარდამ. მხედრ., იფხი (ლატალი), წმ. გორგის ეკლესია, X სკ. II ნახ.) (სვან. წერილ. ძეგლ., გვ. 274).

საინტერესოა სვანეთის XI-XIII სს. ეპიგრაფიკულ ძეგლთა **სინტაქსიც.** ეს განსაკუთრებით წინადადების წევრთა რიცხვში შეთანხმებას ეხება. ამ მხრივ საანალიზო მასალაში ერთანი ნორმა არ არსებობს. მაგალითად, განსაზღვრება საზღვრულ წევრთან შეიძლება იყოს შეთანხმებული და შეუთანხმებელიც. შეთანხმებულია: "[...]][შეუნდლევნ ყ(ოვე)ლ[ო]ცოდვანი გისნი ამ“ (წარწერის ფრაგმენტი, სწორი, ეპიგრაფიკული ნუსხ., მარგვიში (ლენტეხი), X-XI სს.) (სვან. წერილ. ძეგლ., გვ. 111)... შეთანხმება არ არის: “ქ. წმიდაო მთავარ[ანგელო]ზნო შე [ო] მიქაელ...“ (მიქაელის წარწ., მხედრ., გული (ბერი), გაბრიელ მთავარანგელოზის ეკლესია, XI სკ.) (სვან. წერილ. ძეგლ., გვ. 250)...

არაერთგვაროვანი ვითარებაა ზმნასთან შეთანხმების მხრივაც. მაგალითად, არ არის შეთანხმება: “წ(მიდან)ო მთავარანგელოზნო || შ(ეიწყალ)ე(თ) კოდმეს || ჯინჯოალანისქ და ცოდვანი შეუნდვე“ (კოდმეს ჯინჯოალანისძის წარწ., გარდამ. მხედრ., აცი (იელი), მთავარანგელოზთა ეკლესია, XI სკ.) (სვან. წერილ. ძეგლ., გვ. 240). ამ წინადადებაში ზმნაში არ არის ასახული არც პირდაპირი დამატების (ცოდვანი) მრავლობითობა. ასეა სხვა შემთხვევაშიც: “† წ(მიდან)ო მთ(ა)ვარანგელოზნო შ(ეიწყალ)ე(თ) შიო ანგალვიანი || და სული მთივსენე(თ) ჯ[-]ფნესა ძმისა ჩემის(ა)ი“ (შიო ანგალვიანის წარწ., გარდამ. მხედრ., X სკ.) (სვან. წერილ. ძეგლ., გვ. 237). წინა კონტექსტის მსგავსად, თითქოს მოსალოდნელია ზმნაში საზღვრული წევრის მრავლობითობის ასახვა, აღდგენილია (ფრანგილებშია ჩასმული) **-თ** სუფიქსი: შეიწყალე(თ), მოიქსენე(თ), მაგრამ ფაქტია, რომ ხშირ შემთხვევაში სწორედ მრავლობითობის სუფიქსი არ ჩანს წარწერაში.

შეთანხმება არ არის ამ წარწერაშიც: “† წ(მიდან)ო მთ(ა)ვ(ა)რანგ(ელო)ზო შეეწყეთ იოვანეს“ (იოვანეს წარწ., იფრარი (კალა), მთავარანგელოზთა ეკლესია, XI სკ., 1096 წ.-ძღე) (სვან. წერილ. ძეგლ., გვ. 271)...

მიმართვის ფორმები: “სამებაო, † წ(მიდან)ო ს(ა)მ(ე)ბ(ე)ბ(ე)ო, უ(ფალ)ო, † x მეუფეო, ი(ეს)უ ქ(რისტ)ე, ქ(რისტ)ე, † წ(მიდან)ო მამაო, წ(მიდან)ო ღ(მრ)ოთ(ი)ს(მ)შობელო, † წ(მიდან)ო მ(ი)ქ(ა)ლ, წ(მიდან)ო კ(კრიკ)ე, წ(მ)ოთევდორე, წ(მიდან)ო გ(იორგ)ი, წ(მიდან)ო ეკლესიაო, წ(მიდან)ო გ(იორგ)ი მთ(ავა)რმ(ო)წ(ა)მ(ე)ო, წ(მ)ოთევრინე, წ(მ)ოთ ბარბარა... წარწერის შემსრულებლის მიმართვის ობიექტები ძირითადად მაღალი იერარქიის პირებია, ამიტომ იგი თავმდაბლობის ნიშნად თავს ცოდვილად იხსენიებს: “ლ(ო)ცვ(ა)სა მომიქსენ(ე)თ [ც](ო)დვილ[ი]“. ამგვარი ხერხი ქმნის ეპიგრაფიკულ ძეგლთა შემსრულებლების გარკვეულ სტილს.

ანთროპონიმები. განსაკუთრებით მდიდარია სვანეთის ეპიგრაფიკულ ძეგლთა ონომასტიკონი. უმდიდრესი მასალაა შემონახული უძველეს ლაპიდარულ, ფრესკულ, ნაკარტ (გრაფიტები), აგრეთვე, ზარებსა თუ სხვა ნივთებზე

შესრულებულ წარწერებში. ისინი გამორჩეულია ანთროპონიმთა სიუხვითაც. ღმერთის, ანგელოზთა, წმინდანთა და მოწამეთა სახელებთან ერთად, ჩვეულებრივ, გვხვდება მაღალი და შედარებით დაბალი იქრარქიის პირების, წარწერათა შემკვეთებისა და შემსრულებლების სახელები და გვარები:

"შ(ა)ლგა | ქირქიშლიანსა ამა || ეკ(ლე)სი(ი)სა მაშენებელსა შ(ეუნდვე)ნ ღმ || მის(ს)ა ძმასა ნექეს შ(ეუნდვე)ნ ღმ || მ(ა)ნ დახატა ეკლესია ესე" (შალვა || ქირქიშლიანის წარწ., ასომთ., ლალამი (მესტია), მაცხოვრის ეკლესია ("შაცხვარ"), XII სკ.) (სვან. წერილ. ძეგლ., გვ. 88); "გ(იორგ)ი გ(ა)ლ(ა)ტ(ოზ)ი" (გიორგი და მიქაელ კალატოზების წარწერა, ასომთ., ლუჟა (ლუჟა, მესტია, ეცერი), XI-XII სს.) (დას. საქ. წარწ., გვ. 131); "წ(მ) გ(მ), შ(ე) ღალა" (ღალას წარწერა, ნუსხურნარ. ასომთ., ჯახუნდერი (ლენტეხის რაიონი), XI სკ.) (დას. საქ. წარწ., გვ. 129); "წ(მ) მ(ა)ცხ(ოვა)რო შ(ე) ი(ვან)ე ხეშ[კი]ლელი ამ იყავნ" (ივანე ხეშეილელის წარწ., ნუსხ., აღიში, მაცხოვრის ეკლესია, XI სკ.) (სვან. წერილ. ძეგლ., გვ. 233); "უ(მ) შეიწყალე აგილულიანი კ(ე)" (კვირიკე აგილულიანის წარწ., ნუსხ., მაცხვარიში (ლატალი), X-XI სს.) (სვან. წერილ. ძეგლ., გვ. 112); "ჭ(ე) შ(ე) გ(ა)ბ(უ)ცა" (გაბუცას წარწ., ნუსხ.) მაცხვარიში (ლატალი), X-XI სკ.)) (სვან. წერილ. ძეგლ., გვ. 113)...

უმდიდრეს და, შეიძლება ითქვას, უკიდეგანო ონომასტიკონში ჩვენ გამოვყოფთ ანთროპონიმს **სალირია/ა.** იგი, სვანეთის ეპიგრაფიკულ ძეგლთა მიხედვით, ძალიან გავრცელებული ყოფილა სვანეთში. ამ სახელისგან, სავარაუდოდ, მიღებულია გვარი **სალირისძე,** რომლისგანაც უნდა იყოს წარმომდგარი გვარი **სალინაძე.**

ჩვენი ყურადღება მიიბყრო ინტერნეტში განთავსებულმა ო. ცაგურიშვილის სტატიამ "ზემო სვანეთი" (გამოქვეყნებულია 29.10.2009) ფარში, კერძოდ, სოფელ სვიფში წმინდა მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიაში დაცული ხატების შესახებ: "ორი ხატი, აღსაყდრებული ქრისტეს გამოსახულებით, საინტერესოა, როგორც თომანიანების სახელოსნოში შემუშავებული მხატვრობის ნიმუში, ასევე ისტორიული წარწერებით. ერთ ხატზე, ჩარჩოს ზოლთან, მუხლმოდრეული ქტიორის ფიგურას ქრისტესენ ვეღრებით გაწვდილი ხელებით. მთელ სიგრძეზე მოთავსებულია ასომთავრული წარწერა, რომელიც გვამცნობს, რომ შენდობას ითხოვს **სალირაძე. სალირაძეს** "ქართლის ცხოვრება" იხსენიებს, როგორც თამარის მეფედ კურთხევის მონაწილეს" (<http://karibche.ambebi.ge/skhvadaskhva/chemi-sofeli/4763-zemo-svanethi.html>).

სტატიაში აღნიშნულ წარწერას ჩვენ ვერ მივაკვლიეთ. ეჭვს იწვევს გვარის **სალირაძე (< სალირი/ასძე)** ფორმა, რადგან საყოველთაოდ ცნობილია, რომ გვარების ჩამოყალიბება შედარებით გვინდ მოხდა (მაღლობას ვუხდით ბატონ რ. შეროზიას ამასთან დაკავშირებით მოსაზრების მოწოდებისთვის). როგორც ვ. სილოგავა მიუთითებს, სახელი **სალირი** მოხსენიებულია სვანეთის რამდენიმე ეკლესიის წარწერებში. ესენია: ჭოხულდი (ბერი), გული (ბერი), იფხი (ლატალი) და იფრარი (კალა). **ჭოხულდის** მდივანმწიგნობრულ წარწერაში ვკითხულობთ: "ძეო ღმრთისაო, სალირ შეიწყალე" (სვანეთის წერილ. ძეგლ., გვ. 23); **გულის** წარწერაში მოხსენიებული **სალირი იოვანეს ძეა:** "[ქ. წ(მ), მთავა]რანგელოზ[ო არა მოაკლო] წყალობაი შ(ე)ნ(ი) სალირს [იოვა]ნეს ძესა" (სალირ იოვანესძის წარწერა,

გარდამ. მხედრ., გული (ბეჭო), XI-XII სს.) (სვან. წერილ. ძეგლ. გვ. 248); **სალირი იფხის** წარწერაში: "ქ. წლ გთ შე მონ[აი] შენი ს[ა]ლირ" (სალირის წარწ., გარდამ. მხედრ., იფხი (ლატალი), წმ. გორგის ეკლესია, XI-XII სს.) (სვან. წერილ. ძეგლ., გვ. 279); იფრარის წარწერაში მოხსენიებული **სალირი გვარად არმანიანია:** "ქ. წლ მთავარანგელოზო შე მწარედ ცოდვილი || **სალირ არმანიანი** და შე[უ]ნდვე ყ(ოვე)ლ(ნ)ი ბრალნი მისნი და ვიწცა-ვინ იყითხვილეთ – ოქ(უენ)ცა შეგინდვენ ქ(რისტემა)ნ" (სალირ არმანიანის წარწ., მხედრ., XI სკ., 1096 წ.-მდე, იფრარი (კალა), მთავარანგელოზთა ეკლესია) (სვანეთის წერილ. ძეგლ., გვ. 265). იქვე მეორე წარწერაში მოხსენიებულია **გახდაგ არმანიანი,** რომელსაც ვ. სილოგავა სალირ არმანიანის ძმალ მიიჩნევს და გამორიცხავს ჭოხულდისა და იფხის წარწერების სალირთან მათს დაკავშირებას. სამაგიეროდ, ჭოხულდისა და გულის შესახებ აღნიშნავს: "შათი წარწერების თანადროულობა და მეზობელი სოფლების ეკლესიების კედლებზე ამოკაწვრა საფუძველს გვაძლევს ორივე სალირი გავაიგივოთ" (სვან. წერილ. ძეგლ. გვ. 24).

სვითის (ცხუმარის თემი) მთავარანგელოზის ეკლესიაში მაცხოვრის ხატის ასომთავრულ წარწერაში მოხსენიებულია **სალირ სალირისძე:** "ქ. წლ მცერ მეოხ ეყავ მშ დღესა გნეოთხვ მას წნ ღ ღმრთისა შ ნისა სალირს სალირისძესად. ე. თაყაიძვილი მიუთითებს, რომ "წარწერა უცნობია; დ. ბაქრაძე არ უჩვენებს; უვაროვისა და ა. ხახანაშვილი აქ არ ყოფილ არიან. **სალირისძები** თამარ მეფის გვირგვინის კურთხევის დროს არიან მოხსენებულნი (იხ. ქართ. ცხ. მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 400) და ხატიც ხელოუნების მიხედვით მე-12 საუკუნეს ეკუთვნის" (ე. თაყაიშვილი, გვ. 300).

ვფიქრობთ, ეჭვს არ უნდა იწვევდეს "ქართლის ცხოვრებაში" თამარ მეფის კურთხევის მონაწილედ მოხსენიებული პიროვნების **სალირისძის** (ანტონ სალირისძის) გვარის სახელისაგან **სალირია** წარმომავლობის საკითხი, თუმცა, ზოგადად, საკითხთან დაკავშირებით კიდევ ბევრი რამ არის საძიებელი და დასაზუსტებელი.

სვანეთის სხვადასხვა კუთხეში შემონახულ XI-XIII საუკუნეთა ეპიგრაფიკულ ძეგლთა შესახებ შეიძლება ითქვას, რომ მათში ასახულია ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესო მონაკვეთი, ნაჩვენებია, როგორ იცვლება ენა, როგორ ირღვევა საეკლესიო მწერლობის ენის ნორმები და როგორ შემოდის ენაში საერო სტილის ნაწარმოებთა ენისათვის დამახასიათებელი ფორმები, რომლებიც ნასაზრდოებია ცოცხალი მეტყველებაში გაჩენილი ინოვაციებით. ეს ის პერიოდია სალიტერატურო ენის ისტორიაში, როცა სალიტერატურო ენის სკოლები, გადამწერები თუ წარწერათა შემსრულებლები ცდილობენ, დაიცვან V-IX საუკუნეთა ნორმები. XI-XIII საუკუნეთა სვანეთის წარწერებში ჩანს წინააღმდეგობა წარწერების შემსრულებელთა ენობრივ სისტემასა და ენა-იდეალს შორის. მართალია, ისინი უპირატესობას ანიჭებენ ქართული საეკლესიო მწერლობის ერთიან ნორმებს, მაინც ვერ ახერხებენ საკუთარ ენობრივ სისტემაში გაჩენილი ახალი ფორმების თავიდან აცილებას.

სვანეთის წარწერათა ენობრივი მონაცემების გათვალისწინება ფასეული იქნება ენაში მომხდარ ცვლილებათა დადგენისა და ქართული ენის ისტორიის სრულყოფილი შესწავლისათვის.

დამოწმებული ლიტერატურა

- ი. აბულაძე, 1973** – ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.
დასავლეთ საქართველოს წარწერები, ნაკვ. I (IX-XIII სს.): ლაპიდარული წარწერები, II (შემდგ. ვ. სილოვავა), თბ., 1980.
- ე. თაყაიშვილი, 1991** – ე. თაყაიშვილი, დაბრუნება, მრავალტომეული, ტ. II (გ. შარაძის რედ.), თბ., 1991.
- სვანეთის წერილობითი ძეგლები, II (გამოც. ვ. სილოვავა), თბ., 1988.**
- ზ. სარგველაძე, 1984** – ზ., ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984.
- ა. ჭანიძე, 1976** – ა. ჭანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976.
<http://georgianencyclopedia.ge/index.php>
<http://ena.ge/explanatory-online>
<http://karibche.ambebi.ge/skhvadaskhva/chemi-sofeli/4763-zemo-svanethi.html>).

RUSUDAN SAGHINADZE

TENDENCIES OF LINGUISTIC CHANGES ACCORDING TO EPIGRAPHIC MONUMENTS OF SVANETI (XI-XIII CENTURIES)

Among the earliest Georgian epigraphic monuments that we have already acquired are the inscriptions of Svaneti, which have been searched and studied since 30s of the 19th century. In Georgian Lapidarium, unique epigraphic material is protected. Svaneti is rich with mural and hammered inscriptions, as well as with lapidary ones. The history of the country, the nation and the language, which is protected in epigraphic monuments are unique. Their study is important in a multilateral perspective, especially by – a linguistic aspect. The language of the inscriptions, svanisms, onomastikon gives the opportunity to make valuable conclusions for the history of Georgian spiritual and material culture. The best document of this is the opinion of Ekvtimé Takaishvili about Svaneti's cross-icons: "Nine-tenths of the cross-images are made in Svaneti itself. This is evidenced by the svanisms of the inscriptions, the surnames of the ones who ordered and the goldsmiths".

One of the sections of the history of Georgian literary language still has to be studied – the language of XI-XIII centuries. Thus, it is necessary to study the linguistic changes of Svaneti epigraphic monuments of this period. The tendencies of linguistic changes are shown in the article on the basis of analysis of Svaneti inscriptions from given period.

ქათაისის საქართო ბიბლიოთეკის წლიური განცხადი
ANNUAL OF KUTAISI PUBLIC LIBRARY

IX

2017

მადინა უგლავა-ჯინჯიხაძე

**სვანერი ქუდი
(დამგადების ტექნოლოგია)**

საქართველოს ისტორიაში არაერთი ცნობა არსებობს იმის შესახებ, რომ ქვეყნის დამპყრობლები ქართველი მოსახლეობისაგან ოქროსა და ვერცხლის თანაბრად იღებდნენ ქართველ ხელოსანთა ნამუშევრებს – ნაქარგებს, ხალიჩებს, ნაბღის ქუდებს, აბრეშუმს, სელს და ა. შ. ეს ნაწარმი წარმოადგენდა მუდმივ ექსპორტს აღმოსავლეთში, კერძოდ – ირანსა და თურქეთში. ქართველი ხალხის მიერ მატყლისაგან დამზადებულმა სახალხო მოხმარების საგნებმა გაუძლეს დროს და დღესაც რჩებიან არამარტო ტრადიციად, არამედ საჭირო და გამოსალებ ნივთებად.

ზოგადად ასე ხდება საქართველოს რომელიმე კუთხის აღწერისას – ხაზგასმულია ყოფა, ტრადიციები, წესჩვეულებები, საყოფაცხოვრებო ნივთები, კულინარია და სამოსი, მაგრამ ნაკლები ყურადღება ეთმობა მათი შექმნისა და დამუშავების ტექნოლოგიას.

მატყლის ნედლეულისაგან დამზადებული მოთელილი ქსოვილის ნაწარმი არამარტო საქართველოში, არამედ მთელს ამიერკავკასიაში იყო ცნობილი. მათგან ერთ-ერთი – ქუდები, რომელიც ყველა კუთხეს სხვადასხვა ფორმის ჰქონდა, განსაკუთრებით პოპულარული იყო. დიდი ნაწილი ნაბღის ქუდებისა შზადებოდა სვანეთში, მარტვილსა და ბანძაში (სენაკის მაზრა) და ჯვარში (ზუგდიდის მაზრა). ეს ქუდები ქალებს გაჰქინდათ ბაზრობაზე (ზონში, ზუგდიდში, სენაკში), სადაც მათ ებრაელები ძალიან იაფად, 12-30 მანეთად, ყიდულობდნენ. (შინა მრეწველობა, 1926, გვ. 119).

ნაბღის ნაკეთობებში თავისი თვისებებით, გამოყენების თვალსაზრისითა და ვიზუალით საუკეთესოა სვანური ქუდი. ის სვანეთში უხსოვარი დროიდან გამოიყენება. სვანი მამაკაცები მას თავიდან არასოდეს იშორებდნენ ჭირსა თუ ლხინში, შინ თუ გარეთ, დარსა თუ ავდარში. სვანები მას არ განიხილავენ მხოლოდ თავსაბურავად. სვანეთში თუ კაცი მიუღებელ ქმედებას ჩაიდენდა, იტყოდნენ “ისვე ფაყვ გიმს უხვეხა (შენი ქუდი მიწად დაენარცხოს)”, თუ სახელოვან საქმეს გააკეთებდა, “ოქრეშ ფაყვ ხარ (ოქრის ქუდი გხურავსო)”. სვანები ქუდის იხდიან პატივცემული პიროვნებისაღმი მისალმებისას, სამძიმრის თქმისას, ქუდმოხდილები მიასვენებდნენ მიცვალებულს სამარემდე, როცა მიცვალებულს საფლავში ჩასვენებდნენ და მეზარეები ზარს შეწყვეტდნენ, ქუდმოხდილი ხალხი, ჭირისუფლის გარდა, დახურვამდე ქუდს მიწაზე დააგდებდა, მარჯვენა მუხლს დააბიჯებდა და შემდეგ დაიხურავდა. ჭირისუფალთათვის წესი ასეთი იყო: ვიდრე ხალხი პურობას შეუდგებოდა, ერთი სოფლელთაგანი გამოიტანდა მიცვალებულის ქუდისა და ქამარს, მიაწოდებდა რიტუალის შემსრულებელ მამაკაცს, რომელიც დალოცავდა ჭირისუფალს შემდეგი სიტყვებით:

“ღმერთო ამით შეწყვიტე ამ ოჯახში სიკვდილი და სხვა ჭირი, კარგი ფერი შეუცვალე “ და გადასცემდა კუთვნილებისამებრ ქუდსა და ქამარს. მხოლოდ ამის შემდეგ ჰქონდა ნება ახალ მფლობელს მათი გამიყენებისა (ეთნოგრაფიული წერილები სვანეთზე, 1963, გვ. 56).

სვანებს “მიაქვთ თერგვა და ყუბანის ოლქში ზაფხულობით ზურგით: არაყი, ჩირი, დაფქული მსხალი, თაფლი და სხვა წილეულობა, ადგილობრივი ხელობის კალათები და სცვლიან მატყლზე, ქეჩებზე, ამ მატყლისაგან სვანი ქალები აკეთებენ მშვენიერ შალებს, ქუდებს” (ე. გაბლიანი, 1925, გვ. 18).

მეფის რუსეთის დროს სვანურ ქუდებს მაღალ შეფასებას აძლევდნენ. “1913 წელს რუსეთის მეორე შინამრეწველობის გამოფენაზე განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია სვანურ და თუშურ ქუდებმა თავისი ღირსებითა და სიიაფით, ზოგიერთის აზრით სვანურ ქუდმა რომ რამოდენიმედ ფორმა შეიცვალოს და შელებელის საქმე მოაწესრიგოს, ის დიდ მოხმარებას მოიპოვებს ქალაქის მოსახლეობას შორის და შეიძლება გამოაქვოს კიდეც რბილი უცხოეთის შლიაბები” (შინამრეწველობა, 1926, გვ. 177).

ფეოდალურ ეპოქაში სვანური ქუდი ეხურათ ჭავშანის ქვეშ. ომში მუშარადი შეიძლებოდა გაეჭრათ, ქუდი კი ძალიან იშვიათად გაიჭრებოდა ხოლმე და დარტყმის ძალისაგანაც იცავდა მეომარს. ამ ქუდით შეიძლებოდა წყლის დიდ მანძილზე წალება, რაც პრაქტიკული იყო მეომრისთვის, მონადირისთვის, მშრომელისა თუ მგზავრისთვის.

სვანური ქუდი სამი ფერის მზადდება: თეთრი, ნაცრისფერი და შავი. ნაცრისფერი თეთრი და შავი ფერის მატყლის შერევით მიიღება. მიაჩნდათ, რომ შავი ფერი ქვესკნელის ანუ გარდაცვლილთა სამეფოს აღნიშნავს, თეთრი – ზესკნელს ანუ ანგელოზთა სამკვიდროს, ხოლო ნაცრისფერი – სკნელს ანუ ცოცხალთა სამყაროს. ამის გათვალიშინებით საერო ადამიანები ნაცრისფერ ქუდს ატარებდნენ, შავ ქუდს ბერები და მგლოვიარებები იყენებდნენ, ხოლო თეთრი ქუდები ბავშვებისთვის მზადდებოდა. დღეს მიღებულია სამივე ფერის ქუდების გამოყენება.

მოთელილი ნაწარმის დამზადების ტექნოლოგიური პროცესი ერთნაირია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. მატყლმა უნდა გაიაროს შემდეგი პროცესები: დასველება, გარეცხვა, გაჩერვა, გაპენტვა და მოთელვა. მოთელილი მასალისაგან მზადდება ნაკეთობა. ცხვარი იკრიჭება წელიწადში ორჯერ – გაზაფხულსა და შემოდგომაზე. გაკრეჭვამდე ცხვარი უნდა დაიბანოს.

გარეცხვამდე მატყლი რამდენიმე საათით უნდა დალბეს ცივ წყალში ხის ვარცლში ან გამდინარე წყალში. ვარცლში ჩადებულ მატყლს ხელით აწვებიან, აბრუნებენ, წყალს უცვლიან. მდინარეში ჩასალებად კი მატყლს მოწნულ კალათში დებენ, სიმძიმისთვის ქვას ადგენ და ასე ათავსებენ გამდინარე წყალში. კარგად დასველების შემდეგ მატყლს ათავსებენ ქვებზე და რეცხვენ გამდინარე წყლით, ვიდრე სუფთა წყალი არ გამოეყოფა. ერთ მომუშავეს დღეში ორი ფუთი მატყლის გარეცხვა შეუძლია. გარეცხვის შემდეგ მატყლს სუფთად აფენენ მზეზე გასაშრობად, ამის შემდეგ კი მას ახარისხებენ ფერის და სიმსხოს მიხედვით.

გარეცხილი მატყლის გაწეწვა და გაწმენდა ხელით ხდება. გაწმენდა წარმოებს ლარით დაჭიმული მშვილდით. მას ფარავენ მატყლით, სიმს ურტყამენ

ჯოხს, სიმი სწრაფად მოძრაობს და რხევით წეწავს და ასუფთავებს მატყლს. ამ ნედლეულისაგან მზადდება ქეჩა და ნაბადი.

შემდგომი პროცესი არის მატყლის დაჩეჩვა საჩეჩელზე, რომელიც წარმოადგენს ხის ვიწრო, გრძელ პარალელებიცემში ორ-სამ რიგად ჩარჭობილ ფოლადის ნემსებს. თითოეული ბლუზა რამდენჯერმე იჩეჩება. ამ პროცესით მატყლის ბოჭკოები თანსწორივად თავსდება.

შემდეგ მატყლის გაფხვერებისთვის ხდება გაპენტვა წკეპლის საშუალებით, ხელით. ბლუზები იშლება და თანაბრძება.

ამ პროცედურების შემდეგ იწყება ყველაზე საბასუხისმგებლო პროცესი – მოთელვა, რაზეც დამოკიდებული ნაბდის ღირსება. მჭიდროდ ნაქსოვ უხეშ ქსოვილზე ან ჭილოფზე აფენენ სუფთა ტილოს, მასზე, რამდენადაც შესაძლებელია თანაბარი სისქით აფენენ ნედლეულს, პირველი შრის ზემოთ თავსდება მეორე, უფრო ხარისხიანი მატყლის შრე, ზემოდან აპკურებენ ცხელ წყალს, ჭილოფთან ერთად ცილინდრისებურად ახვევენ და აგორებენ, ანუ თელავენ მასალას შემკვრივებამდე, რაც საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია. მზა ნაბდის მისალებად, ნედლეულის გამკვრივებამდე, პროცესი გრძელდება ჭილოფის გარეშე.

თუ ნაბადს აქვს სპეციფიკური სუნი, ე.ი. ის არაა კარგი გარეცხილი და ის უნდა გაირეცხოს თავიდან ჯერ ტუტიან, შემდეგ კი ჩვეულებრივ წყალში. ტუტიან წყალს, ე.წ. ნაცარწმენდილს ამზადებენ განსაზღვრული ღოზებით.

მზა ნაბადს რუჩავენ ცეცხლზე.

სვანური ქუდის დასამზადებლად მატყლს აწყობენ წრის ფორმით, მოსათელად გამოიყენება ხის საგორავი, რომელზეც დახვეული მატყლი ითელება მშრალად. შემდეგ ხდება დამუშავება ცხელი, საპნიანი წყლით და გრძელდება თელვა, ვიდრე არ მიიღება კარგად მოთელილი ნაბადი. ნაბადს ხელით ანიჭებენ სიმრგვალეს, მის შიგა და გარე ზედაპირს პარსავენ, გარეცხავენ, გადაჭიმავენ ხის ფორმებზე, აწყობენ გასაშრობად და უკვე გამშრალს ზედმეტ ნაწილს შემოჭრიან მაკრატლით.

ქუდის გაფორმება ხდება წინასწარ დამზადებული, დაგრენილი მატყლის მსხვილი და წვრილი თასმებით, მათ მალული გვირისტით ამაგრებენ. წვრილი თასმა შემოევლება ქვედა განაჭერ ნაპირს. მსხვილი თასმა კი ქვედა განაჭერი ნაპირიდან 0,5 სმ და 4 - 4,5 სმ სიმალეზე წრიულად, ორჯერ შემოევლება ქუდის. ორი გადაჭვარედინებული თასმა მაგრდება ქუდის წვერზე, ჩამოჰყვება სიმრგვალეს და წრიულად შემოვლებულ, ზედა თასმაზე მაგრდება. ქუდის შიგა ზედაპირზე, გვერდითა მხრიდან დამაგრებულია დაახლოებით 25 სმ სიგრძის ე.წ. საქარე ზონარი.

სვანური ქუდის დამზადება საკმაოდ ხანგრძლივი და შრომატევადი პროცესია. ძველად მისი დამზადება უნდა სცოდნოდა ყველა ქალს. დღეს კი ამ პროცესის მცოდნე ორიოდე ოჯახილაა შემორჩენილი.

სვანური ქუდის ნედლეული ძალიან ძვირადირებულია, მაგრამ, მრავალი დადებითი თვისების გამო, დღესაც მოთხოვნად პროდუქტად ითვლება. მას ჯანმრთელობისთვის სასარგებლო თვისებებსაც მიაწერენ: ხასიათდება როგორც წნევის მარეგულირებელი, გამოიყენება თავის ტკივილის და დაჩრდილვის დროს, არ ახასიათებს სეზონურობა – ზამთარში თბილია და ზაფხულში გრილი. არ

ეკრის სხეულს, ინარჩუნებს მუდმივ ტემპერატურას. არ ატარებს წყალს, თუმცა ატარებს არაყს.

სვანური ქუდი ქართული ენდემური ნაწარმია. მისი დამზადების ტრადიციულ ტექნოლოგიას საქართველოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიანიჭეს.

დამოწმებული ლიტერატურა

ე. გაბლიანი, 1925 — ე. გაბლიანი, ძველი და ახალი სვანეთი, თბ., 1925.

რ. თოფჩიშვილი, 2015 — რ. თოფჩიშვილი, სვანეთი და სვანეთის მკვიდრნი, თბ., 2015.

ნ. ლუხუტაშვილი, 2002 — ნ. ლუხუტაშვილი, ახალი მასალის და მოთელვის ტექნოლოგიის შემუშავება მეორადი რესურსების გამოყენებით, საღისერტაციო ნაშრომი, ქუთ, ქუთ., 2002.

ბ. ნიუარაძე, 1962 — ბ. ნიუარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, თბ., 1962.

ეთნოგრაფიული წერილები სვანეთზე, შემდგენლები: ავალიანი, ზურაბიანი, თბ., 1963.

შინამრეწველობა, 1926 — შინამრეწველობა, ნარკვევები, ტფ., 1926.

ქსე, VI, 1993 — ქსე, VI, მატყლი, თბ., 1993.

MADINA UGLAVA-JINJIKHADZE

SVANETIAN HAT

(MANUFACTURING TECHNOLOGY)

Among the works of short-haired wool Svanetian hat is the best according to its features and visual. It is used in Svaneti from ancient times.

The process of making Svanetian hat is quite time consuming and hard. In the past it was the responsibility of every woman to know the technology of it. Today only two families are left with this profession.

The material for Svanetian hat is very expensive but it is still demanded at the market. It's also believed that it's good for health. Svanetian hat is a Georgian endemic product. The traditional technology of its manufacture holds the status of intangible cultural heritage monument.

**ქართაის საქართო ბიბლიოთეკის წლიური განცხადება
ANNUAL OF KUTAISI PUBLIC LIBRARY**

IX

2017

ტარიელ ფუტკარაძე

**სვანერი ღიალექტებისათვის ამოსავალი
ენობრივი სისტემის
ბგერითი შემადგენლობის შესახებ**

**(რომელი სვანური დიალექტის ფონემატური სტრუქტურა
ასახავს სვანურისათვის ამოსავალი ენობრივი სისტემის
ბგერით შემადგენლობას?)**

ქართველურ ენობრივ ველში, რამდენიმე სვანური კილოს გარდა, ერთგვაროვანია ფონემატური სტრუქტურა: ყველა დიალექტში თითქმის იგივე სამეტყველო ბგერებია, რაც იყო არქაულ სამწიგნობრო ენაში; მხოლოდ რამდენიმე სვანურ კილში გვაქვს განსხვავებული ვითარება.

მოკლედ სვანეთისა და სვანური კილოების შესახებ:

სვანეთი მდებარეობს დასავლეთ საქართველოში კავკასიონის კალთებზე; სვანეთი აღმოსავლეთით რაჭა ესაზღვრება, სამხრეთით — ლეჩეუმი და სამეგრელო, დასავლეთით — აფხაზეთი, ჩრდილოეთით — ყარაჩაი და ბალყარეთი. სვანები ანტიკურ წყაროებში მოხსენიებული არიან მისიძინელების სახელით. სვანების თვითსახელწოდება „მუ-შუან“ ბერძნულ ენაზე „მისიმიანად“ გარდაიქმნა (ს. ყაუხებიშვილი, 1936, გვ. 277-78; ო. მელიქიშვილი, 1965, გვ. 67). (შდრ., მეგრ. შონი „სვანი“, შონეთი „სვანეთი“).

ვახუშტი სვანეთის შესახებ წერს: “ხოლო სვანეთი ემზღვრების ყოვლითგან კავკასიის მთით, და არს რაჭა-ლეჩეუმის ჩრდილოთ და ოდიშის აღმოსავლეთით. და მზღვრის სვანეთს: აღმოსავლით სვანეთსა და ბასიანს შორისი კავკასია; ჩრდილოთ დიდ-ყაბართ-ჩერქეზია და ამას სვანეთს შორისი კავკასია; სამჯრით სვანეთსა და რაჭა-ლეჩეუმს შორისი კავკასი; დასავლით სვანეთსა და ოდიშს შორისი კავკასი და ალანის საზღვარი. წიგრძით არს რაჭის კავკასის თხემიდამ ოდიშის კავკასის თხემამდე და ალანამდე, და განით რაჭა-ლეჩეუმის კავკასის თხემიდამ ჩერქეზის კავკასის თხემამდე, და რაჭისაკენ ვიწრო, ხოლო ლეჩეუმისაკენ განიერი, და მას ქვეით, ოდიშის კერძოდ, უმეტეს განიერი. ამას უდის საშუალება მდინარე თვისი, რომელი იქმნების ბოლოს კაპპეტისა, გამოსდის რაჭის მთას კავკასის და მიდის დასავლეთს-ჩრდილოს შორის. ამ მდინარეს მოერთვიან ამიერ-იმიერიდამ ჰევნი მდინარენი. ხოლო რაჭა-ლეჩეუმის სამჯრით არს ლაშეთი, და ლეჩეუმის სამჯრით და ოდიშის აღმოსავლით არს ეცერი... არამედ სახელი ესე ეწოდა: ოდეს ვერდარა იტევდა ძურძუკეთი კაცთა, მეფებან საურმაგ აჭყარა მუნიდამ და მისცა აქა სავანე და დასხნა სულნი დიდალი. ამის გამო იწოდა სავანეთი... სარწმუნოებით არიან იმერთა თანა ქართულითა და უმეცარნი აწ მისნიცა. ენა თვისი აქუთ საკუთარი, გარნა უწყიან ქართულიცა“ (ვახუშტი, 1941, გვ. 172-173).

სალიტერატურო ქართულისაგან განსხვავებით სვანურს ახასიათებს გრძელი ხმოვნები და პალატალიზებული ხმოვნები; კერძოდ: ბალსზემოურ და ჩოლურულ კილოებში გვაქვს 18 ხმოვანი: **ა, ე, ო, ი, უ, გ; ა, ე, ი, ი, ი; შ, ი, შ, შ, შ, ი.** ბალსზემოური კილო გვაქვს: უშეულში, კალაში, იფარში, მულაში, იელში, წვირმიში, მესტიაში, ლენჯერსა და ლატალში. ჩოლურულ დიალექტზე მეტყველებენ ჩოლურის თემში, რომელშიც შეწდის შემდეგი სოფლები: საყდარი, ჭველიერი, ბულეში, დურაში, თეკალი, მამი, ტვიბი, ლემზაგორი, უკლეში, ფანაგა, ჭველფი, ლეუშერი, მუწდი.

ბალსქვემოურ კილოში გავქვს 9 ხმოვანი: **ა, ე, ო, ი, უ, გ; ა, ე.** ბალსქვემოური მოიცავს: ბეჩოს, ცეუმარს, ეცერს, ფარს, ჭუბერს, ლახამს, ნაკრას, ლუჰას, ლათას და აუარას.

ლაშხურ კილოში გვაქვს 12 ხმოვანი: **ა, ე, ო, ი, უ, გ; ა, ე, რ, ი, ი, ი.** ლაშხურ კილოზე საუბრობს უახუნდერის, სასაშის, ჩიხარეშის, მახაშის, ჩუკულის, იელის, ნაცულისა და ცანას მოსახლეობა.

ლენტეხურში გავქვს 9 ხმოვანი: **ა, ე, ო, ი, უ, გ; ა, ე, შ.** ლენტეხური კილოს არეალია: ხელედი, ლენტეხი, ხოფური, რცხმელური, ხახეში, გულიდა, კახირი, მელირი, ბავარი, ხოფირი, ფაყი, ყვეღრეში.

როგორც ვხედავთ, გრძელი ხმოვნები გვხვდება ბალსზემოურში, ჩოლურულსა და ლაშხურში; **პალატალიზებული** ხმოვნები კი ახასიათებს ბალსზემოურს, ჩოლურულს, ბალსქვემოურსა და ლენტეხურს. ყველა დიალექტში გვაქვს ნეიტრალური **გ.**

სხვა ქართველური ზეპირი ქვესისტემებისაგან განსხვავებული სვანურ კილოებს აქვს **მხოლოდ პალატალიზებული ხმოვნები,** რამდენადაც მეორეული გრძელი ხმოვნები ახასიათებს სხვა ქართველურ ქვესისტემებსაც; შესაბამისად, სამსჯელოა ე.წ. უმლაუტიანი ანუ პალატალიზებული ხმოვნების საკითხი:

ა, ე, შ, ა, ი, ი, ი გვქონდა თუ არა სვანური მეტყველებისათვის ამოსავალ ენობრივ ქვესისტემაში?

პირველ რიგში მოკლედ ამ ხმოვანთა აღმნიშვნელ ტერმინთა შესახებ:

ი, ი, შ... გრაფეტებით აღნიშნულ ბევრებს ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში რამდენიმე ტერმინი მიემართება; რამდენადაც, ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული ტერმინია “უმლაუტიანი ხმოვანი”, აუცილებლად მიგვაჩნია, ვიმსჯელოთ ჯერ ტერმინი **უმლაუტის** და, საერთოდ, **ამ მოვლენის შესახებ.** წინასწარვე აღვნიშნავთ, რომ სწორედ ტერმინოლოგიური სხვადასხვაობის გამო ბევრ გაუგებრობას ეყრება საფუძველი.

თაკობ ვრიმმა ტერმინი “უმლაუტი” შემოილო ხმოვანთა ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაციის აღსანიშნავად; ვ. ვინოგრადოვის აზრით (ვ. იარცევა, 1990), უმლაუტის ცნებაში უნდა მოიაზრებოდეს მხოლოდ ისეთი გადაბერება, რომელსაც შეძენილი აქვს გრამატიკული ღირებულება (ან: უმლაუტგანცდილი ხმოვანი ცვლის ლექსიკურ მნიშვნელობას).

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ტერმინ “უმლაუტით” სხვადასხვა რიგის ფონეტიკურ პროცესს მოიხსენიებენ, მაგალითად, გ. ახვლედიანი უმლაუტით თვლის გაიქცა→გეიქცა, გაუშვა→გოუშვა, ქუთაისი→ქუთევისი პროცესებსაც; იქვე, იგივე მაგალითები განხილულია ასიმილაციაშიც (გ. ახვლედიანი, 1949, გვ. 199, 208).

რა თქმა უნდა, წმინდა ფონეტიკური არსით, უმლაუტი ასიმილაციის ერთ-ერთი სახეა: რეგრესული უმლაუტის ცნებასთან დაკავშირებულია ლექსიკური თუ გრამატიკული მნიშვნელობის ცვლაც, ამდენად, აუცილებელია, მისგან გავშიჩნოთ მორფონოლოგიური ღირებულების არმქონე ფონეტიკური პროცესები, კერძოდ: ქუთაისი→ქუთევისი, გაიტანა→გეიტანა... პროცესები განპირობებულია ხმოვანთკომპლექსის დიფთონგიზაციისკენ სწრაფვით...

უფრო რთული სამსჯელოა მწყერ-მწყარ-, ბერგ-ბარგ- (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, 1965, გვ. 162-164), ჭერ-ჭვათ-, (იქვე) სემ-სამ-... (ბ. გიგინეიშვილი, 1980, გვ. 125-126), რეკ-რაკ-... ფუძეებში ა/ე მონაცვლეობის საკითხი.

წინასწარვე აღვნიშნავთ, რომ უძველეს პერიოდშივე დადასტურებული ეს მონაცვლეობანი უფრო აღტერნაციად უნდა ჩაითვალოს, ვიდრე უმლაუტად, ვინაიდან ყველა ქართველურ ქვესისტემაში უფრო ხშირად დასტურდება ისეთი სახელები, სადაც სახელობითის ი-ს პოვნიერების შემთხვევაშიც ფუძისეული ა უცვლელი რჩება. გარდა ამისა, არაიშვიათია ისეთი შემთხვევებიც, როცა ზმნური ფუძე დასტურდება ე გახმოვანებით, ხოლო სახელური ფუძე — ა გახმოვანებით; შდრ., იგივე: რეკს-რეკვა და რაკ-რაკი-რაკრაკებს, შდრ., ჰ. ფოგტი და ლ. ნოზაძე: რეკ-ს=რაკ-უნ-ი, კვნეტს-კნატუნი ველარული უმლაუტიაო (ჰ. ფოგტი, 1961, გვ. 12). შდრ., აგრეთვე: და-ვ-ძარ-/გავინძერ (ბ. ჭორბენაძე, 1985, გვ. 24).

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში □, □, ჟ, ჸ, რ, ჲ ბგერათა აღსანიშნავად სხვადასხვა ტერმინია გამოყენებული:

ა. შანიძის გამოკვლევაში ერთმანეთს ენაცვლება “უმლაუტები” და “უმლაუტქმნილი ხმოვნები” (ა. შანიძე, 1981, გვ. 321).

ტერმინი “უმლაუტიანი ხმოვნები” გამოიყენება ვ. თოფურიას (1941, გვ. 152-228), მ. ქალდანის (1969, გვ. 2) თ. შარაძენიძისა (1979, გვ. 62, 63, 66) ბ. ჭორბენაძის (1995, გვ. 81, 85) და სხვათა მიერ.

გივი მაჭავარიანი უპირატესობას ანიჭებს ტერმინს: “პალატალური”, ვინაიდან სვანურში ამ რიგის ხმოვნები დამოუკიდებელი ღირებულების მქონე სტრუქტურული ერთეულებია (გ. მაჭავარიანი, 1963, გვ. 139 და 170, გვ. 105...). ამავე ტერმინის გამოყენებას არჩევნ: თ. გამყრელიძე, ა. ონიანი...

თ. უთურგაიძე არჩევს “უმლაუტიზირებულ ხმოვნებს” (თ. უთურგაიძე, 1975, გვ. 12); იხ., აგრეთვე, თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი 1965 გვ. 153.

არნ. ჩიქობავა პარალელურად ხმარობს სამ ტერმინს (“პალატალიზებული”, “უმლაუტიანი”, “უმლაუტიზებული”), მაგრამ გარკვეულწილად, უპირატესობას ანიჭებს “პალატალიზებულ ხმოვანს” (არნ. ჩიქობავა, 1979, გვ. 47-48).

ჩვენი აზრით, მოცემულ ენაში რომელიმე ტერმინის შემუშავება-დამკვიდრების პროცესში აუცილებლად გასათვალისწინებელია, როგორც სხვა ენაში საანალიზო ტერმინის სემანტიკური ასპექტი, ასევე მოცემული ენის შინაფორმაში (სემანტიკურ სტრუქტურაში) ახალი ტერმინის ადგილის ბუნებრიობა. რამდენადაც უმლაუტი, უპირველეს ყოვლისა, პროცესია, ამდენად, თავისთავად ცხადია, □, □, უ... ხმოვანთა აღსანიშნავად ტერმინი “უმლაუტები” მოუხერხებელია. “უმლაუტების ხმოვნები” რუსული და გერმანული ტერმინების პირდაპირი თარგმანია (შდრ., „უმლაუტныє гласныє“-“უმლაუტგანცდილი ხმოვნები” და არა “უმლაუტიანი ხმოვნები”) და ალბათ, ამიტომაც, ეს ტერმინი ვერ დამკვიდრდა ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში. სემანტიკურად იმავე სტრუქტურისაა ტერმინი “უმლაუტიზირებული ხმოვანი”: უმლაუტიზაციით მიღება არა მხოლოდ ა, ო, უ, არამედ — ე, ა, გ ხმოვნებიც, ამდენად, ვერც “უმლაუტიზირებული“ გამოდგება “მეორეულ” ხმოვანთა ცალსახა დახასიათებისათვის.

დღეს ფართოდაა გავრცელებული ტერმინი “უმლაუტიანი ხმოვანი”. ჩვენი აზრით, იგი საკმაოდ მოუხერხებელია იმისათვის, რომ ერთპიროვნულად ვალიაროთ შესაბამისი ბერების აღმნიშვნელად; შდრ.: უმლაუტის მსგავსი ფონეტიკური პროცესია რედუქცია, ასიმილაცია... არავინ ამბობს “რედუქციანი”, “ასიმილაციანი”... გარდა ამისა, უმლაუტითვე მიღება სვანურ მეტყველებაში და სხვა ენებში ე, ა, გ... ხმოვნები; მაშინ ისინიც “უმლაუტიანები” გამოდის. ჩვენი აზრით, “უმლაუტიანი ხმოვნების” დამკვიდრებას ხელი შეუწყო რუსულიდან უხერხულმა თარგმანმა: “უმლაუტныє гласныє” უხდა ითარგმნოს “უმლაუტგანცდილ ხმოვნებად” და არა “უმლაუტიან ხმოვნებად”.

ამ ტერმინის უხერხულობას გრძნობდა ზოგი მკვლევარი, ამიტომაც შეეცადა, დაემკვიდრებინა ტერმინი “ბალატალური ხმოვნები”; “ბალატალური” ასახავს □, □, უ... ხმოვანთა არს, მაგრამ ვერ მიჩნავს მათ ე და ი ხმოვნებისაგან.

ჩვენი აზრით, უფრო მოსახერხებელი იქნება, თუკი □, □, უ ხმოვანთა ოღსანიშნავად დავამკვიდრებთ ტერმინს — “პალატალიზებული ხმოვნები”; ეს უკანასკნელი ბერებს ახასიათებს როგორც ფონოლოგიური, ასევე არტიკულაციური ასპექტითაც:

ფონემა დიფერენციალურ ნიშანთა კონაა: მათგან, როგორც წესი, ერთი დომინანტურია (შდრ., ნ. ტერტულეციო, 1960, გვ. 45). იშვიათად, განმსაზღვრელი ორი ან მეტი ნიშანი შეიძლება იყოს; ქართულში ე, ი ხმოვნებისთვის დომინანტურია პალატალურობა; არაბავისმიერობა და ლოკალური რიგი დიფერენციალური ნიშნებია, მაგრამ უმთავრესი მახასიათებელი მაინც პალატალურობაა (აწეულობა); ო, უ ხმოვნებისთვის დომინანტურია ლაბიოველარულობა; ა-სთვის - დაბალი აწეულობა. □, უ ბერებისათვის აუცილებელ კომპონენტებს წარმოადგენს, როგორც ლაბიოველარულობა, ასევე პალატალურობა; □-სთვის — ა-ზე მაღალი და ე-ზე დაბალი აწეულობა. სწორედ ამ მომენტის ხაზგასასმელად აუცილებლად საჭიროა, ერთმანეთისგან გაიმიჯნოს პალატალური და პალატალიზებული

ხმოვნები ქართველურ დიალექტებში: პალატალური - ი, ე; პალატალიზებული - ღ, ღა, ჟ.

პალატალიზებული ხმოვნები საკუთრივ ქართულ მასალაში, ფაქტობრივად, არ დასტურდება, თუმცა ტენდენცია მათი პოზიციების გაძლიერებისა აშკარაა. თურქულისაგან ნასესხებ ლექსიკაში პალატალიზებულ ხმოვნებს ქართველთა მეტყველებაშიც უკვე ფეხი აქვს მოკიდებული; შეიძლება ითქვას, რომ ორენოვნების პირობებში არსებული ორი ენის პერცეფციულ ბაზისთა ურთიერთშეღწევის პროცესი თურქეთის საქართველოში მცხოვრებ ქართველთა მეტყველებაში დაწყებულია. ჩვენ მიერ განხილულ პროცესზე უფრო კონცენტრირებული დაკვირვება საინტერესო შედეგებს უთურდ მოვცემს; აქვე აღვნიშნავთ, რომ, ერთი შეხედვით, მსგავს ჩვენებას იძლევა ლაზურის მონაცემებიც. საკითხი სპეციალურ შესწავლას საჭიროებს.

დიალექტური მასალის ანალიზი ცხადყოფს, რომ, სვანურის გარდა, ყველა სხვა ქართველურ ქვესისტემაში პალატალიზებული ხმოვნების ფორმირებისათვის აუცილებელია ორი პირობა:

- ე.წ. “საუმღაუტო პოზიცია”: ჟ-სთვის უი და ღ-სთვის - უე;

- **პერცეფციულ ბაზისში ორენოვნების შედეგად პალატალიზებული ხმოვნების ეტალონთა ჩამოყალიბება.**

ის ფაქტი, რომ საკუთრივ ქართულ მასალაში პალატალიზებული ღ არ ჩანს, მრავლისმეტყველია. გარდა ამისა, ქართველთა პერცეფციულ ბაზისში ჟ-სა და ღ-ს ეტალონები თუ არ არსებობს, ჩვენს მეტყველებაშივე არსებულ უი და უე დიფორმნებს ვერ აღიქვამთ ჟ და ღ ბგერებად; იქ სადაც პერცეფციულ ბაზისში ჟ-სა და ღ-ს ეტალონები ჩნდება, უი და უე დიფორმნები პალატალიზებულ ბგერებად აღიქმება.

შდრ., მაგ., ფშაურის მონაცემები:

ფშაურში თავისუფლად მონაცემებს ვე/ო: ხოყანა/ქვეყანა, რამთვენი/რამთონი (გ. ცოცანიძე, 1978).

განსხვავებული საფუძველი აქვს სვანური კილოების პალატალიზებული ბგერების წარმოქმნას: აქ პალატალიზებული ღ, ღა, ჟ, ბგერები ჩნდება იქ, სადაც დაკარგულია ი ხმოვანი, ან, ლაბიალური ბგერის გავლენით ხდება ე-ს დეპალატალიზაცია: ე.წ. უკანა მიმართულების უმღაუტად; ე → ღ → ა ფონეტიკურად დახასიათდება როგორც ლაბიალური (ლაბიოველარული) ბგერის გავლენით გამოწვეული დეპალატალიზაცია; შდრ., აგრეთვე, *თოკ → თეკუ → თღკუ, დეშდუ → ღღმდუ და სხვა... უკანა მიმართულების უმღაუტით მიღებულად ვერ ჩაითვლება “კრაჭუნი” ტიპის ფორმები (შდრ., ლ. ნოზაძე, 1996; მსჯელობისათვის იხ. ქვემოთ).

ფონეტიკური საფუძვლის მიუხედავად, მოცემული ენობრივი ერთეულის ფონემატურ სტრუქტურაში პალატალიზებული ბგერები ვერ გაჩნდება, თუკი, პირველ რიგში, ამ ენაზე მეტყველთა პერცეფციულ ბაზისში არ ჩამოყალიბდება პალატალიზებული ბგერების ეტალონები. როგორც წესი, დედაენისათვის უცხო ბგერების ეტალონები ჩნდება ბილინგვიზმის დროს, კერძოდ, მაშინ, როდესაც სამეტყველო კოდების შერევა აისახება პერცეფციულ ბაზისშიც; ჩვენს შემთხვევაში, ქართველთა (სვანთა ერთი

ნაწილის) საარტიკულაციო ბაზისში გამომუშავდა საერთოქართველურისათვის უცხო □, □ და უ ბგერათა ეტალონებიც და წარმოთქმის ჩვევაც¹.

ზემოთ მოყვანილ მსჯელობას ამყარებს შემდეგი სათანადო მაგალითები:

ფქ ქველ ქართულშივე შენიშნულია ტი→უ პროცესი: შენთტის→შენთუს;

შდრ., თანამედროვე დიალექტური მონაცემები: გოგოსთუს, კაცისთუს (ბ. ჯორბენაძე, 1998, გვ. 565);

რ იბერიულ-კავკასიურ ენათა სხვა ჯგუფშიც გვაქვს ანალოგიური ფაქტები; მაგ.: ანდიურში ვ-ს მომდევნოდ მოსალოდნელი ი ყოველთვის განიცდის ცვლილებას: წინამაგალი ვ-სთან ერთად გვაძლევს უ ხმოვანს;

რ თუკი ენაში ძლიერდება პალატალიზებულ ბგერათა პოზიციები, დისტანციურ პოზიციაში მყოფი ი/ე და უ-ც კი პალატალიზებულ ხმოვნად შეირწყმებიან; შდრ., ინგილოური: ფეტვი→ფეტ და მრავალი სხვა. შდრ., საპირისპირო პროცესი: ქართვ. გობი - სვან. *გუებ→გებტ.

ამრიგად, ქართველურ ქვესისტემებში პალატალიზებული ხმოვნები წარმოიქმნება ვე, უი კომპლექსთა შერწყმით, პალატალურ ხმოვანთა ლაბიალიზაციითა და ა, ო, უ ბგერათა პალატალიზაციით იმ შემთხვევაში, თუკი მოცემული საშეტყველო კოდის შემონა საზოგადოების პერცეფციულ ბაზისში ჩნდება პალატალიზებულ ხმოვანთა ეტალონები.

როდიდან შეიძლება არსებობდეს პალატალიზებულ ხმოვანთა ეტალონები ქართველთა პერცეფციულ ბაზისში?

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების მიხედვით, პალატალიზებული ხმოვნები და უმლაუტი, როგორც ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაცია, **ისტორიულად დასტურდებოდა ქართველურ კილოებში**; მაგ., აკ. შანიძე წერს: ჩვენ აქ შევეცადეთ, ჩამოგვეყალიბებინა სვანური უმლაუტის მთლიანი სისტემა ბალსზემოური მასალის მიხედვით, მაგრამ გზადაგზა სხვა კილოთა უმთავრესი დამახასიათებელი თავისებურებანიც იყო აღნუსხული და დაგრწმუნდით, რომ მიუხედავად დიალექტური განსხვავებისა, ტიპი სვანური უმლაუტისა, ყველგან ერთი ყოფილა“ (ა. შანიძე, 1981, გვ. 270; იხ., ასევე: ვ. თოფურია, 1927; ვ. თოფურია, 1967; ს. უღენტი, 1949; ზ. ჭუმბურიძე, 1960; მ. ქალდანი, 1969; გ. მაჭავარიანი, 1963; გ. მაჭავარიანი, 1970; ა. ონიანი, 1969; თ. შარაშენიძე, 1979 და სხვ... ზანური კილოების შესახებ იხ.: თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, 1965, გვ. 160-170; ჰ. ფერიანი, ზ. სარჯველაძე, 1990, გვ. 14... სხვა ქართული კილოების შესახებ იხ., ბ. გიგინეიშვილი, 1980; ზ. სარჯველაძე, 1985; ლ. ნოზაძე, 1966... ამ მიმართულებით ერთ-ერთი ბოლო გამოკვლევა: ი. ჩანტლაძე, უმლაუტი როგორც ფონოლოგიური მოვლენა ინდივიდუალურ, თურქულ და ქართველურ ენებში; ორდუს უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებთა ფაკულტეტის შრომები, 2001).

¹საპირისპირო პროცესის დაშვებაც ლოგიკურია: როცა ენაში (resp. პერცეფციულ ბაზისში!) ქრება პალატალიზებულ ბგერათა ეტალონები, საარტიკულაციო ბაზისშიც იშლება მათი წარმოთქმის ჩვევაც და უ, ც ბგერათა ნაცვლად ან მარტივ უ და ო, ან კიდევ უ და უ დიფორმაციებს ვიღებთ.

სვანური დიალექტების მკვლევრები საკუთრივ სვანური კილოების უმლაუტის ისტორიაში გამოყოფენ ორ ან სამ პერიოდს:

მ. ქალდანი (1969, გვ. 143-150):

I პ ე რ ი ო დ ი — ა-ს უმლაუტი ე-დ ი-ს გავლით და ო, უ-ს უმლაუტი ე, უ და ი ... უ-დ; I პერიოდის უმლაუტი გვქონდა სვანური კილოების ყველა დიალექტში;

II პ ე რ ი ო დ ი — ა, ო, უ-ს უმლაუტი ი, ი, უ-დ, რომელიც გავრცელებულია სვანურის სამ დიალექტში; პირველ და მეორე პერიოდებს შორის სვანური განიცდიდა „რომელიმე არაუმლაუტიანი ენის მჭიდრო და ხანგრძლივ კონტაქტს“, რომელმაც გამოიწვია I პერიოდის უმლაუტის შენელება; **ამ გავლენისგან განთავისუფლების** (ხაზი ჩვენია-ტ.ფ.) შემდეგ სვანურის სამ კილოში უმლაუტი ხელახლა აღორძინდა; ეტყობა, **ლაშეური** არაუმლაუტიანი ენის გავლენას უფრო დიდხანს განიცდიდა...

გ. მაჭავარიანი (1970, გვ. 96-105):

I პერიოდი — „ძველი“ უმლაუტი: ყველა სვანურ დიალექტში ყველა ა → ე;

II პერიოდი — „ახალი“ უმლაუტი: ა → ი; ამავე პერიოდში უმლაუტს განიცდის ო, უ, გ ხმონებიც... მეორე პერიოდის უმლაუტი გვქონდა ლაშეურშიც... ამ ორ პერიოდს შორის გვქონდა პარადიგმატული გასწორების პერიოდი, რომლის განმავლობაშიც ნაწილობრივ აღდგა უმლაუტამდელი მდგომარეობა (ე→ა)... პარადიგმატული გასწორების ტენდენცია გვაქვს თანამედროვე სვანურ დიალექტში: განსაკუთრებით ლაშეურში... „სემი“ ტიპის სახელები ე.წ. „ძლიერი ბრუნების“ ნიმუშები არიან, ამიტომ „პარადიგმატული გასწორების“ პერიოდში სემი → სამი არ განხორციელდა... უმლაუტის მეორე პერიოდში ჩამოყალიბდა ახალი პალატალური ხმოვანი ფონემები ი, ი, უ, ი, ე, ე...

თ. შარაშენიძე (თ. შარაშენიძე, 1970, გვ. 75-72):

პირველი პერიოდი — ა → ი → ე სვანურის ყველა დიალექტში (*უაღ → უეღ; *სამი → სემი... *თქები → თექშ, *ჟუშები → ჟიშები...);

მეორე პერიოდი — ა → ი → ე საკუთრივ ლაშეურში ($\delta\Box\text{h}$ → ბებ, $\delta\Box\text{m}\text{d}$ → დემდუ, $\Box\text{l}$ → $\Box\text{l}$...); ე.ი. უმლაუტი მოგვიანებით დაიკარგა მხოლოდ სვანურის ლაშეურ კილოში (თ. შარაშენიძე, 1970, გვ. 64);

მესამე პერიოდი — ა → ი → ე ბალსქვემოურში, რომელიც ყველაზე ახალია...

წარმოდგენილ მოსაზრებებთან მიმართებით ჩნდება რამდენიმე წინააღმდეგობა:

1. თუ მ. ქალდანის აზრს გავიზიარებთ და ორი პერიოდის უმლაუტს შორის დავუშვებთ არაუმლაუტიანი ენის გავლენას, გაჩნდება კითხვა, რომელი იყო ის ენა, რომლის **დროებით** გავლენას განიცდიდა სვანური?

2. რა კრიტერიუმებით დგინდება სვანურში „ძლიერი“ და „სუსტი“ ბრუნების არსებობა და რამდენად ბუნებრივია „პარადიგმატული გასწორების“ პერიოდის ორჯერ დაშვება (კერ სვანურის ყველა დიალექტში, შემდეგ კი მხოლოდ ლაშეურში)?

3. ბ□შ → ბეჩ, ნ□ბოზ → ნებოზ, მეგ□მ → მეგემ, დ□შდუ → დეშდუ... მაგალითები უმღაუტის II პერიოდის ნიმუშებად თუ ჩაითვლება, რომელი ხმოვანი მიიჩნევა შემდგომი პალატალიზაციის გამომწვევად, “ი” ხომ უკვე მოკვეცილია? უფრო მეტიც, დეშდუ ფორმაში ტ-ს გავლენით მოსალოდნელი იყო ე → □ → ა! აშკარაა, რომ თ. შარაშენიძის მიერ გამოყოფილი II და III პერიოდის პროცესები უმღაუტების მოშლის, უფრო ზუსტად, პალატალიზებული ხმოვნების მოშლა-გაქრობის ამსახველია, ვიდრე პროგრესული ნაწილობრივი ასიმილაციისა... ამიტომ მათი გათანაბრება პალატალური ხმოვნის გავლენით მომხდარ ა → □ → ე პროცესთან ხელოვნური ჩანს.

სვანურის უმღაუტთან დაკავშირებით ჩნდება უფრო ზოგადი ხასიათის კითხვებიც:

1. თვისობრივად ერთი და იგივე პროცესები არის თუ არა, ერთი მხრივ: სვანურის ყველა დიალექტში დადასტურებული *სამ → სემ- *ჟაღ → ჟეღ... და ჭაშ → ჭიშ, ხატ → ხიტ... მეორე მხრივ: თოკი → თეკუ / თეკუ, ფურ → ფირუ... და ტოტ- → ტიტ / ტუეტ, თოფ- → თიფ / თუეფ, აპოდ → აპიდ...

არ არის იმიტომ, რომ პირველი პროცესით თვისობრივად ახალი სამეტყველო ბგერა არ მიიღება; მეორე პროცესი კი დაკავშირებულია პერცეფციულ და საარტიკულაციო ბაზისში პალატალიზებული ხმოვნების პოვნიერებასთან.

2. ეწ. უმღაუტიანი ხმოვნების პოვნიერების პირობებში რატომ განხორციელდა ფურ → ფირუ პროცესი? უფრო მეტიც: □ **მოიშალა და შ განვითარდა?** იხ., მაგ.:

თოკ → თეკუ → თეკუ (უ-ს გავლენით) ... გვქონდა კი საერთოდ თეკ?

ერთადერთი პასუხია შესაძლებელი:

იმიტომ, რომ სვანურისათვის უცხო იყო პალატალიზებული ხმოვნები და ბოლომდე მაინც ვერ შეეგუა სვანთა ენობრივი ფსიქოლოგია ამ ბგერებს (დაიწყო პალატალიზებული ხმოვნების მოშლა).

3. ვინაიდან ლაშეურში ამოსავალი უუმღაუტო ვარიანტები დასტურდება საერთოქარველურ მორფემებში (შესატყვისობის მქონე ლექსიკურ ერთეულებსა და იმ ზმნისწინებში, რომლებიც თანდებულადაც დასტურდებიან), ხომ არ უნდა დავუშვათ, რომ ლაშეურში (ასევე ბალსქემიოურში), სხვა დიალექტების □, □-ს ფარდად, ე, □-ს გამოჩენა შეპირობებულია სამეტყველო კოდების შერევით?

სამეტყველო კოდების შერევისას პალატალიზებულ ხმოვნებს ვერ აღიქვამს ლაშელი და მათ ჩვეულებრივი პალატალური ხმოვნებით გადმოსცემს.

წარმოდგენილი კითხვების გამო საკითხისადმი ჩვენეული მიღვომა შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

სვანურ კილოებში ნავარაუდევი პირველი და მეორე საფეხურის “უმღაუტი” თვისობრივად სხვადასხვა მოვლენებია; კერძოდ: თუ

ფონეტიკური პროცესის არაცნობიერებისა და რეგულარობის ფაქტორს
(გ. ახვლედიანი, 1949, გვ. 249) გავითვალისწინებთ, თავისი
არარეგულარულობის გამო, **ქართველურ ქვესის ტემებში**
დადასტურებული ა/ე მონაცვლეობა ალტერნაციად უნდა ჩაითვალოს:
შდრ.: სემი / სამი, ჟელ / ძალ, ბარგ / ბერგ... შდრ.: ბარგ-უნ-ს, ბერგ-
უნ-ს (გ. თოფურია, 1996, გვ. 18.), მწყერ / *მწყარ...²

**პროცესის ალტერნაციად ჩათვლას მხარს უკერს ი ხმოვნის
მოუკეთებაც სვანურში.**

სვანურის მეორე საფეხურის უმღაუტი კი ფონეტიკურად
შეპირობებული ფონეტიკური პროცესია.

ქართველური ენობრივი ერთიანობის გვიანდელ პერიოდში ა/ე-ს
მონაცვლეობას უშვებენ თ. გამყრელიძე და გ. მაჭავარიანიც (თ. გამყრელიძე,
მ. მაჭავარიანი, 1965, გვ. 159): მათი აზრით, “ლაბილური გახმოვანების
მქონე ფუქები დიალექტურად იყვნენ განაწილებული”; ჩვენი აზრით,
საერთოქართველური ა-ს ფარდად სვანურში ე-ს გამოჩენა სწორედ ამ
საერთოქართველური ფუქების ლაბილურობის ამსახველია და არა ე.წ.
უმღაუტისა (შდრ., თ. გამყრელიძე, მ. მაჭავარიანი, 1965, გვ. 157).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე სვანური კილოების
ბრუნების პარადიგმაში დადასტურებული ე → □ა, □→ა (იხ., ჟელ →
ჟალტ, მშრე → მარტ... ტიპის მაგალითები) პროცესები განხორციელებულია
მიცემითი ბრუნვის ნიშნის ტ-ს გავლენით და ვერ ვიტყვით, რომ
მიცემითში ამოსავალი ვითარებაა დაცული; აღნიშნული პროცესები
ჩამოყალიბებულია ე.წ. უკანა მიმართულების უმღაუტად; ე → □ → ა
ფონეტიკურად დახასიათდება როგორც ლაბიალური (ლაბიოველარული)
ბგერის გავლენით გამოწვეული დეპალატალიზაცია; შდრ., აგრეთვე, *თოკ
→ თეკტ → თეკტ, დეშდტ → დეშდტ და სხვა... უკანა მიმართულების
უმღაუტით მიღებულად ვერ ჩაითვლება “კრაჭუნი” ტიპის ფორმები
(შდრ., ლ. ნოზაძე, 1996); აქ ჩვენ არც დეპალატალიზაციასთან უნდა
გვქონდეს საქმე; აღნიშნული ფუქებიც ლაბილური გახმოვანებისაა; უფრო
ლოგიკური იქნება თუ ვიტყვით, რომ აღნიშნულ ძირთა პარალელური
ვარიანტები ნაწილდება სახელური და ზმნური ფუქების გასამიჯნავად
(მსგავსი განაწილების შესახებ იხ., ბ. ჭორბენაძე, 1986; იხ., აგრეთვე, ტ.
ფუტკარაძე, 1991).

ამგვარად, ა/ე მონაცვლეობა უცხო არ არის ქართველური დიალექტების
განვითარების არც ერთ ეტაპზე.

ლაშეურში, იშვიათი გამონაკლისის გარდა, მუდამ პირველადი ანუ
ამოსავალი ხმოვანი გვაქვს დაცული (მ. ქალდანი, 1969, გვ. 23-24);
ჩვენი აზრით, ლაშეურში უმღაუტის (თუ პალატალიზებული ხმოვნების)
ადრე არსებობის სამტკიცებლად სამეცნიერო ლიტერატურაში მოყვანილი

² შდრ., ი. მელიქიშვილი, 1981, გვ. 81, სადაც ნაფარაუდევია სამი → სომი → სტემი
→ სემი პროცესი; თუკი ა / ე მონაცვლეობას კომბინატორულ მონაცვლეობად
ჩავთვლით, მაშინ სახელურ ფუქებში ა ხმოვანი საერთოდ აღარ უნდა შემოგვრჩენოდა...

არგუმენტები დამაჯერებლად ვერ გამოიყურება; **ლაშეურის ძირითად ლექსიკურ ფონდში - საერთოქართველურ მორფებში - ამოსავალი ვითარებაა შენარჩუნებული.**

უდავოდ მისაღები დებულებაა, რომ გრძელი ხმოვნები არც ლაშეურში და არც ლენტებურში პალატალურ ასიმილაციას არ განიცდიან (ა. ონიანი, 1969, გვ. 117); ბალსზემოურის □/□-ს ნაცვლად ე/□ -ს გამოჩენას კი სხვადასხვაგვარი ახსნა შეიძლება მოექებნოს; კერძოდ: ქართველური შესატყვისობების არმქონე მორფებში (ბეჭ, გებ... ედ-, ენ-, ლე) □-ს ნაცვლად ე-ს დამკვიდრება უნდა აიხსნას სამეტყველო კოდების შერევით; კერძოდ, სხვა დიალექტებში □-თი გახმოვანებული ფუძეები ლაშელთა პერცეფციული ბაზისის მიხედვით ე-დ აღიქმებოდა და, შესაბამისად, ❶ ვარიანტით მკვიდრდებოდა; შედრ.: გამყრელიძე, მაჭავარიანი, 1965, გვ. 155; ა. ონიანი, 1969, გვ. 107, სადაც ენ-, ედ-, ლე- ვარიანტების არსებობა ახსნილია პალატალური-არაპალატალური ოპოზიციის ფუნქციით... თუ ამ უკანასკნელ აზრს მივიღებთ, დაისმება კითხვა: ამდაგვარი ძლიერი ოპოზიცია რატომ არ აღმოაჩნდათ სხვა ზმნისწინებს?

ლაშეურში უმლაუტის არსებობის დასადასტურებლად სამეცნიერო ლიტერატურაში მოხმობილია, აგრეთვე, ვნებითი გვარის ზმნათა ერთი ჯგუფის ფორმებში დადასტურებული -ენ (ორთა ფორმაში: ოხმრენ, ეხმრენ, „მოემზადე“, „მოემზადე“ — ა. ონიანი, 1969, გვ. 118).

ჩვენი აზრით, თუ ლაშეურს ამოსავალი ვითარება არ აქვს დაცული (აქეთკენ გვიბიძგებს ლენტებურისა და ბალსზემოურის მონაცემებიც), ენ/□ და □/ნ (ასევე შლელ) მონაცვლეობანიც სამეტყველო კოდების შერევით უფრო ნაკლები წინააღმდეგობებით აიხსნება, ვიღრე დაუშვებთ რომ ლაშეურში ბალსზემოურის ტიპის უმლაუტის რეკონსტრუქციის დროს წარმოიქმნა. აქვე აღვნიშნავთ, რომ რა წარმატებითაც ფხულ-არ, ბალ-არ.. ტიპის ფორმებში -არ მორფება “ფორმათა გათანაბრების ტენდენციით” მიღებულ მეორეულ წარმონაქმნად შეიძლება ჩაითვალოს, იმავე წარმატებით შეიძლება ვამტკიცოთ ❶ ბოლოხმოვნიანებთან -ელ სუფიქსის გამოჩენა ❶ ბოლოხმოვნიანების ანალოგით; მით უმეტეს, ბალსზემოურის □/რ/ლ-ის დარად, ლაშეურში ყოველთვის გვაქვს -არსალ (მაგალითები იხ.: ა. ონიანი, 1969, გვ. 114-116).

სამეტყველო კოდების შერევის თვალსაზრისით საინტერესო მასალას იძლევა სვანურის სხვა დიალექტებიც; მაგალითად, ფაქტობრივად, ლენტებურში ე-ს მაუმლაუტირებელი ძალის გაჩენაც და გაფართოებაც სამეტყველო კოდების შერევით აიხსნება; კერძოდ, ზ. ჭუმბურიძე წერს: “უმლაუტის გაჩენა მჭიდროდ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული რედუქციასთან. უმლაუტი რედუქციის შედეგად დაკარგვის გზაზე მდგარი ❶ და ❷ ხმოვნების გავლენის შედეგი უნდა იყოს. უფრო ჭველი მდგომარეობის ამსახველი ჩანს ბალსზემოური კილო, ხოლო ლენტებურში ე-ს მაუმლაუტირებელი ძალის გაფართოებასთან უნდა გვქონდეს საქმე, რაც ადვილად აიხსნება ბალსზემოურის (აგრეთვე, სხვა კილოების) გავლენით:

ურედუქციონ ❶ ლენტეხურში უმლაუტს გამოიწვევდა ჯერ ისეთ ფორმებში, როცა ბალსზემოურში შესაბამის შემთხვევაში ❷ დაკარგული იყო რედუქციის ძალით და ამიტომ, უმლაუტსაც ჰქონდა ადგილი... შემდეგ კი, ამ ფორმათა ანალოგით, ურედუქციონ ❸ ლენტეხურში უმლაუტს გამოიწვევდა სხვა შემთხვევაშიც” (ზ. ჭუმბურიძე, 1960, გვ. 158); ლენტეხურში პალატალური ასიმილაციის სისუსტისა და მეორეულობის მიმანიშნებელია ისიც, რომ აქ, როგორც წესი, გრძელი ხმოვნის უმლაუტს ვერ იწვევს რედუცირებული ი/ე-ც (ზ. ჭუმბურიძე, 1960, გვ. 159-160); იქვე მრავლადაა მოხმობილი პალატალიზებულ, პალატალურ და არაპალატალურ ბგერათა შემცველ მორფემათა გვერდიგვერდ (პარალელურად) გამოვლენის ამსახველი მაგალითები.

შენიშვნა: სამეტყველო კოდების ურთიერთმიმართება ბევრ საინტერესო ლინგვისტურ, ფსიქოლოგიურ, ეთნოლოგიურ თუ ფოლკლორულ საკითხს სვამს, ამიტომ ქსუ დიალექტოლოგიის სამცენიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამუშაო პროგრამა-ინსტრუქციაში მასზე საგანგებო ყურადღება გვაქვს გამახვილებული.

სვანური კილოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე ბალსზემოურ კილოშიც შენიშნული □/ე მონაცვლეობა (თ. შარაშენიძე, 1979, გვ. 51, 66, 69); სხვადასხვა თაობის მეტყველებაში დადასტურებული რყევა (ახალგაზრდებში ეს გამოჩენა ინტენსიურდება!) გამოიწვეულია ქართული სალიტერატურო ენის გავლენით, კერძოდ, პერცეფციულ ბაზისში პალატალიზებული ხმოვნების ეტალონთა მოშლის ტენდენციით; რყევა ძლიერია ლახამულურში: ტა/ო, □/ე, ა/ე... □→ე, ტე→ე პროცესების შესახებ იხ., ქალდანი, 1955, გვ. 148-185.

პალატალური უმლაუტი დღეს არსებითად მკვდარია მთელ სვანურში (გ. მაჭავარიანი, 1963, გვ. 149), ხოლო ლაბიალური ასიმილაცია თითქმის ყველა ქართველურ ქვესისტემაშია. ეს მეტყველებს იმაზე, რომ **ქართველური დიალექტები ვერც მეორეულ პალატალიზებულ ხმოვნებს და ვერც პალატალურ ასიმილაციას საბოლოოდ მაინც ვერ გუბენ.**

აშკარაა, რომ **ქართველურ კილოებში** პალატალიზებული ხმოვნები პ, ჭ, ჲ, ჵ, ჸ, ჴ მეორეული წარმოებისაა და ისინი ჩამოყალიბდა პალატალიზებული ხმოვნების მქონე ენის გავლენით. შეიძლება დავუშვათ, რომ **პალატალიზებულ ხმოვანთა რიგი** სუპერსტრატული მონაცემია; მათი ფორმირება შეიძლება დავუკავშიროთ ან მეფე საურმაგის მიერ ძვ.წ.აღ. III საუკუნეში ჩრდილო კავკასიიდან - დედულეთიდან - მომე “კავკასიის ნათესავთა” წამოყვანას და “დიდოეთიდან ვიდრე ეგრისამდე” დასახლებას (ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 27), ანდა, **ჩრდილო კავკასიაში არსებული თურქულენოვანი მეზობლების (კარაჩაელებისა და ბალყარელების) გავლენას.** დამხვდურ ქართველურ ტომებთან ასიმილაციის შემდეგ, მათი სამეტყველო ენის კვალი სუპერსტრატის სახით აისახა ქართველური დიალექტების ფონეტიკაში; კერძოდ: მოხეურისა და სვანურ დიალექტებში პალატალიზებულ ხმოვანთა ეტალონების გაჩენა შეიძლება აიხსნას სწორედ ამ ერთგვაროვანი გავლენით; შდრ.: სვანურსა და მოხეურს აერთიანებს, აგრეთვე, ხალხური სიმღერების ერთგვარი არქიტექტონიკა (იხ., მ. შილაკაძე, 1988).


ჩვენს მოსაზრებებს უჭერს მხარს მთის კავკასიის ენებში პალატალიზებულ ხმოვანთა არსებობის ფაქტიც და, რაც მთავარია, მთის იბერიულ-კავკასიურ ენებში რეგრესული ნაწილობრივი ასიმილაციის - უმლაუტის - სვანურის ანალოგიური სისტემების არსებობა (იხ., დ. იმნაიშვილი, 1977, გვ. 168; ვ. შენგელია, 1983 და სხვ..., შდრ., ა. დესნიცკაია, 1981).

ყოველივე ზემოთქმული საფუძველს გვაძლევს, ვთქვათ: ქართველურ დიალექტებში “საფეხურებრივი უმლაუტი” არ დასტურდება. უმლაუტად ჩაითვლება მხოლოდ ჭაში→ჭიშ და დეშდუ→დშდო ტაბის პროცესები.

მხელობა ასე შეიძლება შევაჯამოთ:

უძველეს ქართველურ ტომთა დიალექტებიდან საერთოქართველური ენა (ქენობრივი კონი) ყალიბდება ქართველური მოდგმის მიერ კოლხურ-ყობანური კულტურის შექმნის დროს - ძვ.წ. II ათასწლეულის შუა პერიოდიდან ძვ.წ. I ათასწლეულის I ნახევრამდე. ძვ. წ. I ათასწლეულის II ნახევრაში ჩანან შემდეგი ქართველური თემები: მუშქები/მესხები, დაიანელები/ტაოხები, კოლაელები, ტიბარენები, იბერები/სასპეირები, ქუთები/კვიტები, კორაქსები, ჰალიძონები/ხალიბები, ხალდები/ქალდები, მაკრონები, ფასიანები, ეკრიკტიკეს მცხოვრები, ჰენიოხები, სანები, სანიგები/სანიკები... (ტ. ფუტარაძე, 2005, გვ. 250-252).





ქართველური ენობრივი სამყაროს თითქმის ყველა ცნობილი მკვლევარი მიიჩნევს, რომ თანამედროვე ქართველურ ენა-კილოთა ამოსავალ საერთოქართველურ მოდელს ძირითადად მიჰყება ქართული სამწიგნობრო ენა. პირველ რიგში დავიმოწმებთ არნოლდ ჩიქობავას დასკვნას:

“ჭანურისა და მეგრულის ფონეტიკურ-მორფოლოგიურ-სინტაქსურ მოვლენათა ანალიზისას ცხადი და ხელშესახები ხდება ამ მოვლენათა ისტორიული წარსული და გენეტური ურთიერთობა, როცა ამოსავლად გამოყენებულია ქართული ენა”. 1948 წელს კი არნ. ჩიქობავა წერს:

“ზანური (მეგრულ-ჭანური) ქართული ენის ტრანსფორმაციას წარმოადგენს; სვანური, თავის მხრივ, გარევული “აგრეგატია” ზანურისა და ადიღეური ენების კომბინირებით მიღებული”.¹

თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის ვარაუდით, საერთოქართველურში აღდგენილი ფუქები ძირითადად ემთხვევა სამწიგნობრო ქართულის მონაცემებს - მათ მიერ რეკონსტრუირებული ფუქენის ფონემატური სტრუქტურა ნაწილობრივ განსხვავდება ქართული სამწიგნობრო ენის მონაცემებისაგან; კერძოდ, მათი აზრით, საერთოქართველურში უნდა აღდგეს ფონემათა სამი კლასი: თანხმოვნები (ჩქამიერები, სონორები), ა, ე, ო ხმოვნები და *ი/□, *უ/ვ, *მი, *ნი, *რი, *ლი სონანტი ბგერები. თანხმოვანთა შორის კი სიბილანტურ სპირანტთა და აფრიკატთა მესამე რიგიც.

მ. ქურდიანის აზრით, სამწიგნობრო ქართულისაგან განსხვავებით საერთოქართველურში უნდა აღსდგეს მხოლოდ სიბილანტურ სპირანტთა და აფრიკატთა სამი რიგი: ძნე ცნობილი ზნე სნე

მ. ჩუხუას აზრით, გვიანდელ საერთოქართველურში აღდგება მხოლოდ სიბილანტთა ორი რიგი (თუმცა, უფრო აღრეულ პერიოდში შიშინა სიბილანტების ორგვარ წარმომავლობას ვარაუდობს).

არქაულ სამწიგნობრო ენაშიც და თანამედროვე ქართველურ ზეპირ მეტყველებებშიც არსებობს ი/□ და უ/ვ სონანტები; შესაბამისად, ვფიქრობთ, ლოგიკურია, საერთოქართველურშიც დავუშათ მათი არსებობა; ჩვენი აზრით, საერთოქართველური ფონემატური სტუქტურა ასე შეიძლება აღსდგეს:

ხშულები: *ბ, *ფ, *პ; *დ, *თ, *ტ; *ქ, *ც, *წ; *ქ, *ჩ, *ჭ; *გ, *ქ, *კ; *ქ, *ყ;
ნაპრალოგნები: *ზ, *ს; *უ, *ძ; *ღ, *ხ; *ჰ, *ჸ;

სონორები: *მ, *ნ, *რ, *ლ;

სონანტები: *ი/ვ, *უ/ვ;


ხმოვნები: *ა, *ე, *ო.

ვფიქრობთ, ლაზთა, მეგრელთა, იმერხეველთა, მესხთა, კახთა, სვანთა, ჰერთა, ფხოველთა და სხვა ქართველთა ამჟამინდელი საშინაო მეტყველება (კილოები) სათავეს იღებს წელთაღრიცხვათა მიჯნიდან. საყურადღებოა, რომ სწორედ ამ დროს ჩნდება მათი სხელები ისტორიულ წყაროებშიც. დასახელებული ქართული თემების ერთ ერად კონსოლიდაცია ხდება ქუჯისა და ფარნავაზის მიერ შექმნილ სახელმწიფოში; მათ ერად ძერწავს საერთოქართველური ენის ბაზაზე შექმნილი ქართველთა სამწიგნობრო ენა.


დიალექტურ მეტყველებებში სხვაობა კი უნდა აიხსნას გეოგრაფიული იზოლაციითა და გარე გავლენებით: დღევანდელი სვანური კილოების მეტად განსხვავებულობა საერთოქართველური ენობრივი მოდელისგან შეპირობებულია არა სვანურის სიძველით, არამედ კავკასიონის ქალთებზე სხვა იბერიულ-კავკასიურ, თურქულ და ალანურ ტომთა ხშირი მიგრაციებით; ამ პროცესებმა ქართველური ენის სვანურ მიკროსისტემებში სტიმული მისცა მრავალფეროვან ფონეტიკურ პროცესებს. სვანთა მეტყველებაში დიდია სუპერსტრატულ მოვლენათა კვალი ფონემატურ სტრუქტურასა და მორფოლოგიურ ინვენტარშიც კი.

ასე რომ, ყველა ძირითადი ქართველური ქვესისტემა ერთი ასაკისა; მათი ცვლილებები კი შეპირობებულია სხვადასხვა რანგის გავლენებით (შერვებით) და იზოლაციისა თუ სამწიგნობრო ენის გავლენის ხარისხით.

შდრ., სამეცნიერო ლიტერატურაში ქართველური ენობრივი ერთეულები სხვადასხვა ასაკის წარმონაქმნადაა მიჩნეული; **იხ., მაგ., გ. დეეტერსის სქემა:**



სრულიად განსხვავებულია არნ. ჩიქობავას დაშვება:
ცნობილი კავკასიოლოგი მიიჩნევს, რომ ქართულის ტრანსფორმაციითაა მიღებული ზანური; ზანურისა და მთის კავკასიური ენების შერევით კი - სვანური; არნ. ჩიქობავას სქემა დაახლოებით ასე გამოიყორება:




საერთო ქართველური ენა -> ქართული სამწიგნობრო ენა

არნ. ჩიქობავა თვლის, რომ საერთოქართველური უშუალოდ გააგრძელა ქართულმა ენამ; ქართულს გამოეყო ზანურ-სვანური დიალექტური ჯგუფი, რომელიც შემდეგ დაიშალა უმწერლობო სვანურ და ზანურ ენებად. არნ. ჩიქობავასვე აზრით, ქართული ენა არის ყველა ქართველის (მათ შორის, მეგრელ-ლაზ-სვანების) დედაენა:

“მეფის მთავრობის ცდა (მეცხრამეტე საუკუნის მეოთხმოცე წლებში) მეგრულად შემოედონ სწავლა სამეგრელოს სკოლებში და მით ქართული ენა სამეგრელოს სკოლებიდან განედევნა, მარცხით დამთავრდა: ოუდედა-ენას ასწავლიდნენ ქართველ ბავშვებს სკოლაში, ეს ენა ქართული იყო ყველა ქართველი ტომისათვის” (ხაზი ჩემია - ტ.ფ.).

შდრ., მ. ქურდიანის სქემა:



ჩვენი აზრით, **ქართველთა ენობრივი სამყაროს ისტორია**
სქემატურად ასე შეიძლება გამოვსახოთ:



ქ.წ. II-I ათასწლეულებში არსებულ საერთოქართველურ ენას აგრძელებს ქართველთა არქაული სამწიგნობრო ენა; მისი უშუალო გაგრძელებაა თანამედროვე სამწიგნობრო ენა; ამ სამწიგნობრო ენასთან ახლო თუ დისტანციური კონტაქტით ვითარდებოდნენ ქართველური ზეპირი მეტყველებები, რომელთა ცვლილების ხარისხს განსაზღვრავდა სამწიგნობრო ენის ველის ზემოქმედების სიძლიერე. საკუთრივ სვანური კილოებიც მომდინარეობს არქაული ქართულისაგან, რასაც ცხადყოფს სვანური კილოების ფონემატური სტრუქტურის ისტორია, სვანურ კილოებში შემონახული ხანებით და სხვა ენობრივი მოვლენები; ასევე, ის ფაქტიც, რომ სვანეთში დღემდე უცვლელადაა დაცული წარმართული შელოცვების ენა, რომელიც დიდად არ განსხვავდება ძველი ქართული საეკლესიო მწერლობის ენისაგან.

სქემაზე ძირითადი ხაზი - ხის ღერო - საერთოქართველურიდან მომდინარე სამწიგნობრო ქართულია; მის გარშემო რკალს ქმნიან სამწიგნობრო ენის მასაზრდოებელი ქართველური დიალექტები, ხოლო სამწიგნობრო ენის მიზიდულობის ველი გამოვსახეთ ზამბარისებრი წრებრუნვით.

ბოლოს, რაც შეეხება სტატიის სათაურში დასმული კითხვის პასუხს:

სვანური კილოებისათვის ამოსავალი ფონემატური სტრუქტურა დაცული აქვს **ლაშეურის**, რომელიც უფრო ახლოსაა საერთოქართველურთან, ვიდრე სხვა რომელიმე სვანური კილო.

დამოწმებული ლიტერატურა

- გ. ახვლედიანი, 1949** - გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949.
- თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი 1965** - თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაციი ქართველურ ენებში, თბ., 1965.
- ბ. გიგინეიშვილი, 1980** - ბ. გიგინეიშვილი, "სახისმეტყველის" ქართული თარგმანის ერთი ადგილის გაგებისათვის, მრავალთავი, VII, თბ., 1980.
- ა. დესნიცკაია, 1981** - А.В. Десницкая, К типологии явлений умлаута, ქრებული აკაკი შანიძეს, თბ., 1981.
- გ. თოფურია, 1967** - გ. თოფურია, სვანური კილოები, I, ზმნა, თბ., 1967.
- გ. თოფურია, 1979** - გ. თოფურია, მცენარეთა სახელწოდების შესწავლისათვის ქართველურ დიალექტებში, შრომები, III, თბ., 1979.
- გ. თოფურია, 1996** - გ. თოფურია, ქართველურ ენათა ლექსიკიდან, III, არნ. ჩიქობავას საკითხავები, თბ., 1996.
- გ. იარცევა, 1990** - Н. Я. Ярцева, лингвистический Энциклопедический словарь, М., 1991, гл. ред.
- დ. იმნაიშვილი, 1977** - Д. С. Имнаишвили, Историко-сравнительный анализ фонетики нахских языков, Тб., 1977.
- გ. მაჭავარიანი, 1970** - გ. მაჭავარიანი, უმლაციტის ისტორიიდან სვანურში, იკე, XII, თბ., 1970.
- გ. მაჭავარიანი, 1963** - გ. მაჭავარიანი, ხმოვანთა სისტემის დახასიათებისათვის სვანურში, თსუ შრომები, 96, თბ., 1963.
- ი. მელიქიშვილი, 1976** - ი. მელიქიშვილი, მარკირების მიმართება ფონოლოგიაში, თბ., 1976.
- ი. მელიქიშვილი, 1981** - ი. მელიქიშვილი, ქართველურ ენათა ორი იზოლირებული ბეგრათფარდობის ახსნისათვის; თზეს, VI, თბ., 1981.
- ნ. ტრუბეცკო, 1960** - Н. С. Трубецкой, Основы фонологии, М., 1960.
- თ. უთურგაიძე, 1976** - თ. უთურგაიძე, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბ., 1976.
- ჰ. ფოგტი, 1961** - ჰ. ფოგტი, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბ., 1961.
- ტ. ფუტკარაძე, 1991** - ტ. ფუტკარაძე, ღერუ→ღრუ, ყურუ→ყრუ ტიპის პროცესებისათვის ქართულში, ეტიმოლოგიური ძიებანი, თბ., 1991.
- ტ. ფუტკარაძე, 2005** - ტ. ფუტკარაძე, ქართველები, თბ., 2005.
- მ. ქალდანი, 1969** - მ. ქალდანი, სვანური კილოების ფონეტიკა (უმლაციტის სისტემა სვანურში), თბ., 1969.
- აკ. შანიძე, 1981** - აკ. შანიძე, უმლაციტი სვანურში, თხზულებანი, II, თბ., 1981.
- არნ. ჩიქობავა, 1979** - არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1979.
- გ. ცოცანიძე, 1978** - გ. ცოცანიძე, ფშაური დიალექტი, თბ., 1978.

- ჭ. ჯაფარიძე, 1975** - ჭ. ჯაფარიძე, პერცეფციული ფონეტიკის ძირითადი საკითხები, თბ., 1975.
- ბ. ჯორბენაძე, 1985** - ბ. ჯორბენაძე, ქართული ენის ფაკულტატიური გრამატიკის საკითხები, თბ., 1985.
- ბ. ჯორბენაძე, 1989** - ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1989.

TARIEL PUTKARADZE

ON THE MATTER OF SOUND COMPOSITION OF ORIGINAL LANGUAGE SYSTEM OF SVANETIAN DIALECTS (WHICH PHONEMIC STRUCTURE OF SVANETIAN DIALECT REPRESENTS THE COMPOSITION OF ORIGINAL LANGUAGE SYSTEM OF SVANETIAN SPEECH?)

Common Kartvelian phonemic structure can be restored in the following way:

Labials: *b, *p, *p; *d, *t, *t; *dz, *ts, *ts; *j, *ch, *tch; *g, *k, *k; *kh, *k;
 Fraudulents: *z, *s; *j, *s; *r, *x; *h;
 Sonors: *m, *n, *r, *l;
 Sonants: *i/oi, *u/v;
 Vowels: *a, *e, *o.

Presumably, common Kertvelian language existing between II-I centuries BC is continued by archaic literary language of Georgia; its linear part is the modern literary language. Kartvelian verbal speeches were developed in a close or distant contact with Georgian literary language, the quality of their changes were defined by the influence of the literary language frequency. We think that the domestic speech of the lazi, Mengrelian, Imerkhevian, Meskhs, Kakhetians, Svans, Hers, Fkhovelians, and others originate from the edge of B.C. and A.D.

Consolidation of the named Georgian communities take place in the state founded by Kuji and Parnavaz; they are sophisticated by Georgian literary language formed based on the common Kartvelian language. We can stipulate that it's more than 15 centuries the verbal Kartvelian idioms exist in parallel mode with the literary language; accordingly, **all the main Kartvelian sub-systems known for us are of the same age; the changes are conditioned by immanent changes and by the assimilations of different kind. The quality of immanent changes are determined by the influence level of the literary language. The history of Georgian language world** can be graphically represented in the following way:

Georgian literary language

Kartvelian dialects

Kartvelian dialects


Common Kartvelian language

The main link on the scheme - the trace from common Kartvelian language; it is Kertvelian dialects nourishing the literary language is shown in a form of spring ro

Most different from the literary language peculiarities of Svanetian dialect should be outer influences as well; in particular, the dialects from the common Kartvelian language of Svanetian, but by the frequent migrations of tribes on the planes of Caucasus mountainair phonetic processes in Svanetian micro sys

The trace of superstratic occasions in phonemic structure and even in morphology

Basic phonetic structure of Svaneti is closer to the common Kertvelian langu



non Kartvelian language

ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის წელიწლები
ANNUAL OF KUTAISI PUBLIC LIBRARY

IX

2017

ჯამბულ ქაშიბაძე

სვანეთის სამინისტროს კულტურის მისტრიდან

ცნობილია, რომ დასავლეთ საქართველოს მაღალმთიანი რეგიონი — სვანეთი, სამიწათმოქმედო კულტურის ისეთი მაღალი დონით ხასიათდება, როგორი დონეც, ა. გ. ძიძიგურის სამართლიანი შენიშვნით, “არა თუ იმავე, არამედ გაცილებით უკეთეს გეოგრაფიულ-კლიმატური ზონალობის კავკასიის მთიანეთის არც ერთ რეგიონში არ დასტურდება” (გ. ძიძიგური, 1983, გვ. 113). ცნობილია ისიც, რომ, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მოსახლეობა ოდითგანვე ერთნაირად განიცდიდა მიწათმოქმედების ფართო მასშტაბით განვითარებისათვის მიწის რესურსების უკმარისობას (საზოგადოდ აღნიშნული მოვლენა თითქმის ერთნაირადაა დამახსიათებელი, არა მარტო ამიერკავკასიის და ზოგადად კავკასიის, არამედ მსოფლიოს ყველა მაღალმთიანი რეგიონისთვის), აქედან გამომდინარე, სასოფლო-სამეურნეო რესურსების უკმარისობასაც; აღნიშნული მიზეზის გამო კი, ისინი ერთნაირად იყვნენ ორიენტირებულნი საქართველოს ბარზე, მაგრამ მეურნეობის მეორე უმნიშვნელოვანესი დარგის — მეცხოველეობის — განვითარების ოპელსაზრისით ეს ორი რეგიონი (დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი) აბსოლუტურად განსხვავებულ პირობებში იმყოფებოდა. კერძოდ, დასავლეთ საქართველოს მაღალმთიანეთის მოსახლეობა (განსაკუთრებით ხეობათა ზემო წელის, ჩვენს შემთხვევაში სვანეთის), რომელსაც ხელი არ მიუწვდებოდა საზამთრო საძოვრებზე და სათიბების ნაკლებობასაც განიცდიდა (იხ., გ. გასვიანი, 1979, გვ. 21-35; გ. გასვიანი, 1973, გვ. 247-248; მ. გეგეშიძე, 1961, გვ. 119-120), იძულებული ხდებოდა, მეცხოველეობის ნაკლებ რენტაბელური დარგის, მაგრამ ადგილობრივი პირობებისთვის შესაფერისი, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოშენებისათვის მიენიჭებინა პრიორიტეტული მნიშვნელობა (იხ., მ. გეგეშიძე, 1961, გვ. 119-120; გ. გასვიანი, 1979, გვ. 21-35), ამავე დროს თვით ამ დარგის განვითარებაც, ზემოთ აღნიშნულ მიზეზთა გამო, რეგლამენტირებული გაეხადა (იხ., გ. გასვიანი, 1973, გვ. 247-249; გ. გასვიანი, 1979, გვ. 21-35; მ. გეგეშიძე, 1961, გვ. 119-120). იგივე მიზეზები (მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის ფართო მასშტაბით განვითარების შესაძლებლობების არქონა), როგორც ქართული ისტორიოგრაფიაში სამართლიანადაა შენიშნული, აქაურ მოსახლეობას აიძულებდა, ერთი მხრივ, მიუხედავად მცირე მიწიანობისა (მეტადრე სახავ-სათესი სიმცირისა) მიწათმოქმედების მაღალი კულტურისათვის ეზრუნა (გაენაყოფირებინა ნაკელით, ბრძოლა ეწარმოებინა ეროზიასთან, მარცვლეული კულტურები კონკრეტულ გარემოსთან შეეფარდებინა, სათიბები მოერწყა და ა.შ.) (იხ., გ. გასვიანი, 1973, გვ. 242-248; გ. გასვიანი, 1979, გვ. 21-35; მ. გეგეშიძე, 1961, გვ. 114-120), მით უმეტეს მას შემდეგ, რაც საქართველოს ბარში საბოლოოდ გაბატონდა კარჩაკეტილი ნატურალური მეურნეობა (გვიანფეოდალური ხანის საქართველო), დაკინდა საქალაქო ცხოვრება

(განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში), გაქრა შავიზლვისპირა ქალაქები და ის დიდი ინტერესი, რასაც ადრე, როგორც მრავალფეროვანი ისტორიული წყაროებით დასტურდება, იჩენდნენ ამ ქალაქებში მოვაჭრენი სვანეთში დამზადებული ნაწარმის (ძვირფასი ბეჭვეულობის, ცხოველთა ტყავეულის, თაფლის, ცვილის და ა.შ.) მიმართ.

მეორე მხრივ, დასავლეთ საქართველოს მთიანეთის, განსაკუთრებით ზემო სვანეთისა და მთა რაჭის მოსახლეობა (გ. გასვიანი, 1979, გვ. 35; თ. ბერაძე, 1983, გვ. 64), ზემოთ აღნიშნულ პირობათა გამო (მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის ფართო მასშტაბით განვითარების შესაძლებლობების არქონა) იძულებული ხდებოდა, სამუშაო ძალა გაეტანა ბაზარზე ან ემსახურა ჯარში (საქართველოს ბაზში კარჩაკეტილი ნატურალური მეურნეობის გაბატონების შემდეგ — გვიანფეოდალური ხანის საქართველო, დასავლეთ საქართველოს მთიანეთის მოსახლეობას აღნიშნულის მხრივაც ასპარეზი შეეზლუდა და როგორც გ. გასვიანი სამართლიანად შენიშვანეს, სვანთა გარე სამუშაოზე გასვლა ფართო მასშტაბით მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევარში, საგლეხო რეფორმის შემდეგ ხდება შესაძლებელი (გ. გასვიანი, 1973, გვ. 241; გ. გასვიანი, 1979, გვ. 35).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აქაურ (დასავლეთ საქართველოს მაღალმთიანი რეგიონის მთა რაჭისა და სვანეთის, გვიანფეოდალურ ხანაში მხოლოდ ბალსზემო სვანეთის) მაცხოვრებელთ სეზონურ სამუშაოებზე გასვლის, ან თუნდაც სეზონურად ჯარში სამსახურის საშუალებას აძლევდა, ერთი მხრივ, პიროვნული თავისუფლება (ისინი ბატონიშვილ ულელში არ იყვნენ შებმული, მიწაზე არ იყვნენ მიმაგრებული), მეორე მხრივ, დასავლეთ საქართველოს მაღალმთიანი რეგიონის მოსახლეობის მიერ წარმოებული მეურნეობა — ხანმოკლე სავეგეტაციო პირობებს შეგუებული კულტურების მოყვანა და სათიბების უკმარისობის გამო, შეზღუდულ ფარგლებში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოშენება (მამაკაცების სეზონურ სამუშაოებზე ყოფნისას, ან თუნდაც ჯარში სამსახურისას, რომელიც ძირითადად ზამთარსა და შემოდგომაზე ხორციელდებოდა დასავლეთ საქართველოს მაღალმთიანეთის, კერძოდ სვანეთის, მეურნეობას ქალი უძლვებოდა (იხ., ბ. ნიუარაძე, 1962, გვ. 49).

რაც შეეხება აღმოსავლეთ საქართველოს მაღალმთიანეთის მცხოვრებთ, მათ საშუალება ეძლეოდათ, ესარგებლათ აღმოსავლეთ საქართველოს ბაზში არსებული საზამთრო საძოვრებით და ფართოდ განვითარებინათ მეცხოველეობის ისეთი რენტაბელური დარგის წარმოება, როგორიცაა მეცხვარეობა. მეცხოველეობის ეს დარგი კი უზრუნველყოფდა აქაურ (აღმოსავლეთ საქართველოს მაღალმთიანი რეგიონის) მცხოვრებთა ადგილზევე დასაქმებას მთელი წლის განმავლობაში და არ ქმნიდა საჭიროებას აღმოსავლეთ საქართველოს მაღალმთიანეთის მცხოვრებთა "მოსარეწელად სიარულისა", განსხვავებით დასავლეთ საქართველოს ანალოგიურ რეგიონთა, კერძოდ, სვანეთისა და მთა რაჭის მოსახლეობისგან. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, როგორც ქართულ ისტორიოგრაფიაში სამართლიანადაა შენიშნული, დასავლეთ საქართველოს მცხოვრებლებისაგან, სვანთა ცნობილი "მოსარეწელად სიარულის" ფაქტისა და მისი შედეგების გათვალისწინება, საშუალებას იძლევა ერთგვარი ახსნა მოქებნოს ერთ-ერთ "სვანურ ფენომენს" (გ. ძიძიგური, 1983, გვ. 113), კერძოდ, მაღალმთიანი სვანეთის სამიწათმოქმედო კულტურის მაღალ დონეს (იქვე), როგორი დონეც,

როგორც უკვე ავლნიშნეთ, ახლახან დამოწმებული ავტორის სამართლიანი შენიშვნით, “არა თუ იმავე, არამედ, გაცილებით უკეთესი გეოგრაფიულ-კლიმატური ზონალობის კავკასიის მთიანეთის არც ერთ რეგიონში არ დასტურდება” (იქვე). მისივე სიტყვებით, დასავლეთ საქართველოს მცხოვრებთა, სვანთა “მოსარეწელად სიარულის” შედეგად “ბარის მეურნეობის ტექნიკური თუ ტექნოლოგიური მიღწევები იმთავითვე ცნობილი ხდება მაღალმთიანი სვანეთისათვის. ამ გზით სვანები ამდიღრებდნენ არა მარტო საკუთარ გამოცდილებას, არამედ სრულიად ბუნებრივად ხელს უწყობდნენ აღნიშნული გამოცდილების გავრცელებას მთელი ქვეყნის მასშტაბით და მის ფარგლებს გარეთაც” (იქვე). მაგრამ, მიუხედავად აღნიშნულისა, მკვლევრის (გ. ძიძიგურის), სამართლიანი შენიშვნით “ასეთ ფონზედაც კი უჩვეულოდ მოჩანს სვანეთის სამიწათმოქმედო კულტურა. სვანი მეურნე რომ წლიურ სარჩოს ვერ იწევდა, ამასში საკვირველი არაფერია. საოცარი ისაა, როგორ ახერხებდა იგი მიწის არანორმალური ექსპლოატაციის პირობებში (მიწის სიმცირის გამო მისი დასვენება ან ნორმალური თესლბრუნვა შეუძლებელი იყო) ხუთჯერადი მოსავლის მიღებას. ეს ხომ აღმოსავლეთ საქართველოს ბარის საშუალო მოსავლის ნორმა იყო. რვაჯერად მოსავალს, რაც “დასტურლამაღლშია” ფიქსირებული, მხოლოდ საუკეთესო ხარისხის სარწყავი მიწები იძლეოდა” (იქვე, გვ. 113-114).

ჩვენი აზრით, აღნიშნული — “სვანური ფენომენის” (სვანეთის მაღალი სამიწათმოქმედო კულტურის) ასახსნელად საჭიროა მხარეში ერთდღროულად მოქმედი რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინება, კერძოდ, ერთი მხრივ: ქართულ ისტორიოგრაფიაში გ. ძიძიგურის მიერ ზემოთ აღნიშნული — დასავლეთ საქართველოს მცხოვრებთა, სვანთა ცნობილი “მოსარეწელად სიარულის” ფაქტისა და მისი შედეგების (ბარის მეურნეობის ტექნიკური თუ ტექნოლოგიური მიღწევების ადგილზე, სვანეთში დაწერგვა) გათვალისწინება. მეორე მხრივ, იმ ფაქტორისა, რომ სვანეთის მკვიდრთ, რომელთაც, როგორც ზემოთ უკვე შენიშნული გვქონდა, მცირემიწიანობის (მეტადრე სანავ-სათესის სიმცირის) გამო, მართალია, მიწათმოქმედების ფართო მასშტაბით განვითარების შესაძლებლობები წართმეული ჰქონდა, თუმცა, როგორც ქართულ ისტორიოგრაფიაში შენიშნული, სვანეთში მცხოვრები საზოგადოება მთლიანობაში ფლობდა რა ძირითად საარსებო საშუალებებს (მემინდვრეობა, მესაქონლეობა) (დ. მუსხელიშვილი, 1980, გვ. 107), ყოველ ღონეს მიმართავდა მიწათმოქმედების მაღალი კულტურის მისაღწევად.

სვან მეურნეს, რომელსაც, მცირე მიწიანობისა და სათიბების ნაკლებობის გამო, მეცხოველეობის ფართო მასშტაბით განვითარების შეუძლებლობა მიწათმოქმედების მაღალ კულტურაზე ზრუნვას რომ აიძულებდა, კარგად აქვს შენიშნული მკვლევარ მ. გეგეშიძესაც; კერძოდ, იგი მიუთითებს, რომ “სამეურნეო მასშტაბების ისტორიულადვე საგრძნობ შეზღუდულობას, რაც პირველ რიგში ადგილობრივი გარემოს თავისებურებებით იყო შეპირისპირებული, აქ (მკვლევარი გულისხმობს სვანეთს, კერძოდ ზემო — ენგურის ხეობის, სვანეთს — ჯ.ქ.) ადამიანისაგან მოუთხოვია მეურნეობის მეტისმეტად გულმოდგინებით წარმოება, ყოველგვარი ღონისძიებების იქეთკენ წარმართვა, რომ არსებულ პირობებში, რამე გარეგანი დამატებითი რესურსების დაუზმარებლად, მიღწეული ყოფილიყო მეტი სამეურნეო ეფექტი” (მ. გეგეშიძე, 1961, გვ. 119-120).

იმავე ვითარებას ხაზს უსვამს მკვლევარი გ. გასვიანიც: “შცირე მიწიანობა და მეტადრე სახნავი მიწების სიმცირე, გლეხობას (მკვლევარი გულისხმობს სვანეთში მტბოვრებ მწარმოებელ საზოგადოებას — ჭ.ქ.) აიძულებდა ყველაფერი ელონა მიწათმოქმედების მაღალი კულტურისათვის” (გ. გასვიანი, 1979, გვ. 22).

ამდენად, სვანი მიწათმოქმედელი, რომელსაც, მიწის სიმცირის გამო, მიწათმოქმედების ექსტენსიური განვითარების საშუალება წართმეული ჰქონდა, იძულებული ხდებოდა, მისი (მიწათმოქმედების) ინტენსიური განვითარებისათვის მიემართა; გაენაყოფიერებინა ნაკელით, ბრძოლა ეწარმოებია ეროზისათან, კონკრეტული გარემოსათვის შეეფარდებინა მარცვლეული კულტურები, სათიბები მოერწყო და ა.შ. (გ. გასვიანი, 1979, გვ. 21-35; მ. გეგეშიძე, 1961, გვ. 119-120), რაშიც, უდავოდ, ზემოთ დასახელებული ფაქტორიც (ბარში მიღებული გამოცდილება) ეხმარებოდა.

ჩვენი აზრით, სვანთა მაღალ სამიწათმოქმედო კულტურაზე საუბრისას გათვალისწინებული უნდა იქნას სვანეთის სამეურნეო ყოფის კიდევ ერთი, სპეციფიკური დეტალი. კერძოდ, როგორც ქართულ ისტორიოგრაფიაშია შენიშნული, აქ (სვანეთში) მეურნეობის ორი უმთავრესი: მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის (ძირითადად მსვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოშენება), დარგებიდან „ცალკეულად რომელიმე აღნიშნული დარგის ერთგვარი გამოყოფა, მისთვის წამყვანი და გაბატონებული მნიშვნელობის მინიჭება ამ მხარის მკვიდრთა სამეურნეო ცხოვრებაში ძნელი საგარაუდებელია, მით უმეტეს ფეოდალურ ხანაში“ (შ. შუკვანი, 1977, გვ. 111), და რომ აქ (სვანეთში) მიწათმოქმედება და მეცხოველეობა ერთმანეთისაგან განუყოფლად მჭიდროდ დაკავშირებულ დარგებს წარმოადგენდნენ და ურთიერთზე დიდ გავლენას ახდენდნენ აღმავლობისა და განვითარების ხაზით. კერძოდ, რაც უფრო მაღალპროდუქტიული იყო მეცხოველეობა, მით უფრო ინტენსიური გახლდათ მიწათმოქმედება და პირიქით (აღნიშნულთან დაკავშირებით იქვე, გვ. 111; გ. გასვიანი, 1979, გვ. 21-35; ი. ჯანიაშვილი, 1975, გვ. 10-11; მ. გეგეშიძე, 1961, გვ. 119-120.). ჩვენი აზრით, კი ეს უკანასკნელი ფაქტორი (სვანეთში მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ურთიერთგავლენა აღმავლობისა და განვითარების ხაზით) კიდევ ერთ მძლავრ ბიძგს აძლევდა ადგილობრივ სვან მიწათმოქმედს, რომ მაღალ სამიწათმოქმედო კულტურაზე ეზრუნა (ვინაიდან, როგორც ეს ზემოთ უკვე აღინიშნა, ჩამორჩენილობა მიწათმოქმედებაში, შესაბამისად აისახებოდა მესაქონლეობის სფეროშიც და პირიქით).

მეურნეობის ამ ორი უმთავრესი დარგის (მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის) ასე მკვეთრად გამოხატული ურთიერთდამოკიდებულება კაგვასის მთიანეთის სხვა არც ერთ რეგიონში არ დასტურდება და ისტორიოგრაფიაში შენიშნული ერთ-ერთი „სვანური ფენომენი“ (მაღალმთიანი სვანეთის სამიწათმოქმედო კულტურის მაღალი დონე — განსხვავებით არა თუ იმავე, არამედ გაცილებით უკეთს გეოგრაფიულ-კლიმატური ზონალობის კავკასიის მთიანეთის სხვა რეგიონებისაგან), მნიშვნელოვანწილად, სწორედ აღნიშნული ფაქტორით განისაზღვრებოდა.

ამდენად, ყოველივე ზემოთ აღნიშნული — მიწის სიმცირის გამო, მიწათმოქმედების (მემინდვრეობის) ექსტენსიური განვითარების საშუალება მოკლებული სვანი მიწათმოქმედის მიერ, მიწათმოქმედების ინტენსიური განვითარების მიზნით ბარში მიღებული გამოცდილების აღგილზე (სვანეთში)

დანერგვა, რისი მასტიმულირებელი მეცხოველეობის განვითარების მიწათმოქმედებაზე (მემინდვრეობაზე) დამოკიდებულებაც გახლდათ — ჩვენი აზრით, ძირითადად უზრუნველყოფდა სვანეთის მაღალ სამიწათმოქმედო კულტურას.

დამოწმებული ლიტერატურა

- თ. ბერაძე, 1983** — თ. ბერაძე, რაჭა, თბ., 1983.
- გ. გასვიანი, 1973** — გ. გასვიანი, დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, თბ., 1973.
- გ. გასვიანი, 1979** - გ. გასვიანი, დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1979.
- გ. გეგეშიძე, 1961** — გ. გეგეშიძე, სარწყავი მიწათმოქმედება საქართველოში, თბ., 1961.
- დ. მუსხელიშვილი, 1980** — დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, ტ. II, თბ., 1980.
- ბ. ნიუარაძე, 1964** — ბ. ნიუარაძე, ეთნოგრაფიული წერილები, II, თბ., 1964.
- შ. შუკვანი, 1977** — შ. შუკვანი, მიწათმოქმედების კულტურა სვანეთში, კრებული, სვანეთი I, კომპლექსური სწავლის მასალები, თბ., 1977.
- ი. ჯანიაშვილი, 1975** — ი. ჯანიაშვილი, მეცხოველეობის განვითარების ეკონომიკური პრობლემები საქართველოში, თბ., 1975.

JAMBUL KASHIBADZE

FROM THE HISTORY OF SVANETI AGRICULTURE

Svanetian people who were the land cultivators had been deprived from the extensive development of farming due to the lack of land, they were forced to intensify their farming skills to make to the specific environment to cereal crops, mowing and so on. In fact, the experience of lowlands was undoubtedly helpful.

Besides the high cultivating culture of Svaneti, one specific detail from the domestic life should be considered - the two main sources of agriculture: farming and livestock. Specifically, the productivity of the cattle breeding and intensiveness of a farm work used to condition each-other.

The article discusses the importance of the lowland farming traditions in the matter of surviving Svanetian agriculture.

ძეთაისის საჯარო ბიბლიოთეკის წელიწლეული
ANNUAL OF KUTAISI PUBLIC LIBRARY

IX

2017

დავით შავიანიძე

ნაკრა-ლახამულას ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალები

ნაკრა-ლახამულას 2017 წლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალები ეთნიკური ისტორიის, ტრადიციულ-ყოფითი, სამეურნეო-კულტურული ურთიერთობების ეტაპობრივი განვითარების, მასზე ახალი ყოფის გავლენის ხარისხის შემსწავლელი ერთ-ერთი პირველწყაროა.

“თათრობის¹” - ჩრდილო კავკასიის ხალხებთან ურთიერთობის

შესახებ: ნაკრასა და ლახამულას ეთნოგრაფიული მასალები ნაწილობრივ თანხვდება საისტორიო მონაცემებს არაქართველ, არაქრისტიან მეზობლებთან, თუ “გამეზობლებულებთან” როგორც კეთილი, ისე ე.წ. “თათრული/დამარბეველი დამოკიდებულების” შესახებ. ვერა ბარდაველიძის მიერ ჩაწერილ გაღმოცემას ეხმაურება ჩვენი მასალა ლახამულას ტაძრის მოწნული, გაფორმებული რკინის/გირგელის შესახებ, რომელიც ყარაჩაელთა შემოსევისას ხიდის წმინდა გიორგის პირდაპირ მდებარე კლდიდან ჩამოფრენილა² (ვ. ბარდაველიძე, 1941, გვ. 64-65; მთხრობელი ზ. ჭეკაძე, ლახამულა, ივლისი, 2017). **ეთნოგრაფიული მასალები:** “ურთიერთობა გვერნდა ყარაჩაელებთან³. სვანეთში აქედანაა ყველაზე ახლო გადასასვლელი. ჩვენი ნაწარმი გადაგვერნდა, იქ მიწაზე გმუშაობდით და სანაცვლოდ საქონელი მოგვყავდა, ვისაც უნდოდა ფულზე მუშაობდა”; “შევრი გვარებია იქ, აქედან ჩასახლებული სვანების. **ბესი გიბლიანი**, მეორე მსოფლიო ომის დროს, კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო. უფრო ადრე თავსაც გვესმოდნენ, თუმცა ყოფილა პერიოდები, როცა დაბეგრილიც კი გვყოლია”; “ლახამულაში დღემდე თხოვენ უფალს **მოხისხლებები** დაცვას. მორიგი თავდასხმის დროს ეკლესიაში ულოციათ და **ზაგაროზე** მისივე სახელობის ეკლესიაში დაბრძანებულ წმინდა გიორგის აუშვია, მისივე ნებით ცეცხლი გაჩენილა, ქარტეხილიც ამოვარდნილა და მტერი გადაურეკავთ. გადარჩენილა მხოლოდ ერთი აფხაზი. იგი აქაურ როზანს შეუფარებია. მერე წავიდა ეს გადარჩენილი და მოიყვანა თავისი ჭვეფი, გაქურდა ოჯახი და ბავშვებიც მოსტაცა” (მთხრობელები, ნ. საბანიძე, ნაკრა, ლახამულა, ივლისი, 2017); “ნაკრა და ჩუბე ხევის თემის სოფლები, თორემ კოშკებში, მომხვდლი მტერი ისედაც ვერ დაგვძლევდა. **სერი - ლაუჯრი ზაგ აფხაზებს** ჰქონიათ მიუუთვნებული და მერე დაგვიბრუნებია. ნაკრაში ადგილს ჰქვია **გმრერე ნაშდუბი/გმირების**, ანუ მტრად მოსულს ვინც თავი შეაკლა, იმათი სასაფლაო. ხელოვნურ თხრილში ხალხი თურმე რძეს აგრივებდა და ამ რძეში ბანდენ თათრობის დროს თავგამოჩენილ გმირებს” (მთხრობელები, ტ. ცინდელიანი, ავ. ქალდანი, დ. ეზესაძე, ნაკრა, ივლისი, 2017).

¹ ასე ეძახიან სვანები ყველა სამტროდ მომხვდლებს.

² ლახამულელები გიყვებინ გირგელის⁴ მობრძანების შესახებ, მაგრამ აღარ ახსოვთ (შესაძლოა, ჩვენ ვერ დაგვიტესირეთ), საიდან.

³ ვრცლად: დეკანზი იოანე მარგიანი, 2016, გვ.49; 62-63; ბ. ნიუარაძე, II, 1952, გვ. 52; რ. თოფჩიშვილი, 2015, გვ. 25.

ჩვენი მოსაზრება: 1. ჩუბე ხევის თემის სოფლებში შემოსევების შესახებ გაღმოცემებში წიგნიერი განათლების კვალი ჩანს. 2. არაა გამორიცხული, რომ “ჩრდილო კავკასიელ უცხოტომელთა” სურვილი ემთხვეოდა დამპყრობთა პოლიტიკურ ინტერესს და ამიტომაც უპრობლემოდ ეყენებინებოდა, ყველა შესაძლო შემთხვევით ცდილობდა მიეტაცებინა ქართველთა ისტორიული საცხოვრისი ტერიტორია. 3. საისტორიო მონაცემები არ გვეუწინებიან აფხაზთა სვანეთში ლაშქრობებზე. ცნობილ და ბოლო პერიოდის ისტორიული სინამდგილეს, რომ სოფელი **“შავარა გულრიფში”** ბოლო პუნქტი ყოფილა”; რომ “აწი რუსები უდგანან აფხაზებს და, რომ ზემო აფხაზეთად სახელდარქმეული დაღის ხეობაც რუსებმა მიასაკუთრებინეს” ურევნებელ კავკასიელთა საუკუნეების წინანდელ შემოსევებში; **-აფხაზი** უნდა ნიშნავდეს ჩრილო კავკასიელს, მაჰმადიანს. ტერმინმა მიიღო იგივე დატვირთვა, რა შინაარსითაც გამოიყენებოდა საქართველოში **-თათარი.** **შდრ:** ოკრიბაში დაუწლობელ, “სხვათა გამნიავებელ ადამიანს ეძახიან **-აფხაზს.** ხშირია გამოთქმა: “შენ აფხაზი ხომ არ ხარ?“ დღესაც იმერეთში, სვანეთში, სამეგრელოში, რაჭაში ჩაწერილი შელოცვის ტექსტებში იხსენიება: ლეკი, თათარი, ოსი, აფხაზი. ავადმყოფობა “უქმურთან” გაიგივებულია ის ხალხი, რომელთანაც ქვეყანას გართულებული ურთიერთობა ჰქონია: „...დაუდომის იყო, ადგომის იყო, გავლის იყო, გამოვლის იყო, ლეკი იყო, თათარი იყო, ოსი იყო, აფხაზი იყო, გამოდი ჟინჯლათ, გამოდი ოფლათ, გამოდი ქარით, გამოდი გამოეყარე“. **ქართული თვითშეგნება.** **მშობლიური ქართული და**

საოჯახო-სამეტულებელო: არა მხოლოდ ნაკრა-ლახამულას, არამედ ენგურის და ცხენისწყლის ხეობის მთელ სვანეთში წლების მანძილზე მოძიებული მასალით ხაზი ესმება სვანთა ქართველობით სიამაყეს, რომ “საქართველოს ქვეყნის ჩამოყალიბების დროსაც ქართულად ლაპარაკობდნენ, აზროვნებდნენ”; რომ “თანაბრად გასაფრთხილებელია „ვეფხისტყაოსნის“ ჩვენგანაც შექმნილი მშობლიური და კუთხის, სვანურიც. ბევრია მასში ჩვენი ძევლის შექმნილი“ (მთხრობელები: კლ. ცინდელიანი, სა. გვარმიანი. ნაკრა. ივლისი, 2017)⁴⁾. ეთნიკური თვითშეგნებით ნასაზრდოები, ქართული ეთნოსის სისხლხორცეულ ნაწილ სვანთა მშობლიური ქართულისადმი დამოკიდებულების გაცნობის შემდეგ რწმუნდები, რომ გამონათქვამებში: “დარეკეს, იყო საქართველოში”; “სტუმარი ყავთ საქართველოდან”, გულისხმობენ დანარჩენ საქართველოს. **შდრ:** აღმოსავლეთ საქართველოს მკვიდრი დღესაც იტყვის, რომ მიღის დასავლეთში, იმერეთში, სვანეთში, რაჭაში... რომ სტუმარი ყავს სამეგრელოდან, გურიიდან... ანუ სვანთა აღნიშნული გამონათქვამები არც გაორებაა და არც შედეგი საერთოქართული თვითშეგნების, ფსიქოლოგიის, ენისა და კულტურის წინააღმდეგ მიმართული დაყავი და იბატონეს “პოლიტიკისა. **სიფი** და **ლანყვაბ**. **სიფი** <—“სოფელ”//“სუფელიდან” მომდინარე ხალხის შესაკრებელი, საფიხვნო, სასოფლო მოედანი, იგივე ქვეყანა (ს. ჭანაშია, 1959; ივ. ჭავახიშვილი, დ. მუსხელიშვილი, 1980; რ. გუჯეჭიანი, 2008, გვ. 712, 130, 158, 15), სვანეთის ტრადიციული ყოფის ნაწილი, სოციალური სტატუსის მატარებელი, რელიგიური ცენტრი, ხალხური თვითმმართველობის

⁴⁾**შდრ:** “ინდივიდის ენა არის ინდივიდის ბიოგრაფია, ერის ენა არის ერის ბიოგრაფია” (ჰერდერი)

ორგანოების "სამუშაო", საკრებულო ადგილია. სიფი ეკლესიის და სასოფლო მოქმედნის მთლიანობაა (რ. გუჯგიანი, 2008, გვ. 21, 43, 48, 181-182)⁵. "ლახამულას სიფი დღეს ხალხის საკრებულო ადგილია. აქ იმართება-გრძელდება ძველთაგან შენარჩუნებული დღესასწაულების ნაწილი. სამართლის დროს სვიფში მდგარ საკულტო ხეზე ჰყიდებენ გირგედს"⁶; "სიფი ტრადიციულისადმი, ურთიერთისადმი საკრალურამდე მისული პატივისცემინი დამოკიდებულების მზრდელი ადგილია" (მთხრობელები: მ. ცინდელიანი და ჭ. ჭეკადუა. ლახამულა. ივლისი, 2017). რაც შეეხება ნაკრას, გვდება ტერმინი "ლანყვაბ", რომელსც, როგორც რ. გუჯგიანი აღნიშნავს "სასოფლო მოედნებისათვის ნიშნეული საკრალურობა და სოციალური დატვირთვა არ გააჩნია". **ეთნოგრაფიული მასალა:** "ადგილობრივთა ქმედება "ლანყვაბს" არგებს "სიფი-ს" შინაარსს. იქ ცუდი არ მოხდება, არ ითქმება. ვბჟობთ" (მთხრობელი, ვ. ცინდელიანი, ნაკრა, ივლისი, 2017).

მეურნეობა-შინამრეწველობის ტრადიციული ფორმები.

თანამედროვე სოფლის სამეურნეო-ყოფითი ურთიერთობები: XIX ს. ბოლო მეოთხედში ნაკრას დასახლების საფუძველი ძირითადად ჩუბეხევის თემის სოფლების **თავრერისა და ცალერის** მკვიდრთაგან სათესი მიწის ქონის სურვილი გამხდარა. ირკვევა, წარსულში სვანთაგან გამოყენებულ, სამეურნეო საქმიანობაში თავის დროზე უხვი მოსავლის გარანტი სისტემის სხვადასხვა გზა-საშუალებების, მიწათმოქმედ-მესაქონლეთა უკვე უფლენტიო კომპლექსების არსებობის შესახებ, რომ მესაქონლეობა სვანეთში ეკონომიკური მდგრმარეობის განმსაზღვრელი იყო; "ბაზრის მოთხოვნასთან" დაკავშირებული შინამრეწველობის⁷ ("დღეს რამდენიმე დარგი ფუნქციონირებს კუსტარულად"- ხაზი ჩვენია) განვითარების ხარისხი "ადგილობრივი რესურსების" და, როგორც ლიტერატურაშია აღნიშნული, გეოგრაფიულობის გამო, კარჩაკეტილობის შესაბამისი იყო.

ცნობილია, რომ სვანეთში დღემდეა შემორჩენილი საეკლესიო და სახატო მიწები, რომ სვანური თემი მჭიდროდაა დაკავშირებული თავის ტერიტორიაზე მდებარე, ტრადიციული-სამეურნეო ყოფის, სულიერი სფეროს მაკომიდინირებელ და მაკონსოლიდირებელ ცენტრ ეკლესიასთან" (რ. გუჯგიანი, 2008, გვ. 369).

ეთნოგრაფიული მასალა:

"გეოგრაფიულობის გამო, მცირემიწიან სვანეთში, სარიტუალო მარცვლეულის მოსაყვანა მიწებთან ერთად თითქმის ალარ რჩებოდა ვარგისი მიწა კერძო საკუთრებისთვის. სალოცვის მიწაზე რომ რამეს არ გაემართლებინა, "ბეგარა" საკუთარი უნდა მიგვერთმია. რწმენა გვინარჩუნდებოდა, ურწმენობა კი უწესობა და უკეთურებაა (მთხრობელი ვ. ცინდელიანი, ნაკრა, ივლისი, 2017).

⁵ მიაჩნიათ, რომ ბალს ქვემო სვანეთის რამდენიმე სასოფლო მოედანი წარმოიქმნა უფრო გვიან, ადგილობრივ თავადთა რეზიდენციებთან, როგორც მათი ხელისუფლების განხორციელების ადგილი (რ. გუჯგიანი, 2008, გვ. 182).

⁶ მსგავსი სახით სიფი შემორჩენილია ბეჩის სოფელ დოლში.

⁷ წნული ღობე; მატყლის დამუშავება; რთვა; ქსოვა; ქუდი; რიტუალური სამოსელი; კანაფის ქსოვა; ფეხსაცმლი; ხის მასალა; ფიცრის დამზადება; ავეჭი; საოჭახო ნივთები; ჭამ-ჭურჭელი; მახვშის სკამი; მჟედლობა; ოქროს მოპოვება.

"თავის რჩენის სავაჟკაცო მონადირეობასთან" დაკავშირებული აკრძალვა-დაშვებები, შესაწირი და შეწირვის რიტუალები დანარჩენ სვანეთში გავრცელებულის იდენტურია.

საინტერესოა ამ უკანასკნელის ხალხური ახსნა და მონადირის დახასიათება: "თემის წესრიგის შემქმნელ-დამცველი, მცოლე მონადირე უსაქმური, ურწმუნო, უსამართლო და ლაბარი ვერ იქნებოდა. ფიზიკურ-სულიერი წვრთნის ეს საშუალება მორალურ მზაობასაც გიმნიდა და სამხედრო მდგომარეობასაც. სამოთხიდან გამოძევებული აღამი უფალთან ურთიერთობის ფორმებს ეძებდა. რწმენით იქცევი, სამადლობელოს შესაწირს მიართმევ ნამუშაკევიდან, მონადირებულიდან, ე.ი. სათონ ხარ ღვთისთვის. ღმერთიც წარმატებით განადირებს, ოჯახიც ქონებიანი გაქვს (მთხრობელები ფრ. და რ. გვარმიანები).

რელიგიური აზროვნების განვითარების სხვადასხვა საფეხურის ამსახველი აგრარული წეს-ჩვეულებები, სამეურნეო ცოდნა-მეთოდებში ასახული წარმოდგენები მსოფლალქმასა და გარე სამყაროს შესახებ ადასტურებენ, რომ სოფლის სოციალურ-სამართლებრივი პრობლემების მოწესრიგებასა და ტრადიციული მეურნეობის შენარჩუნება-განვითარებისთვის პრიორიტეტულია ეთნოკულტურული მემკვიდრეობა, რომელმაც შემოგვინახა ფასეულობათა სისტემა, რელიგია, ქრისტიანობასთან წინარექტიანულის შერწყმის ყოფაში ასახული რწმენები.

"რწმენით/რელიგიურობით მართული გარე სამყარო, ავი ძალები": "ღმერთს მივმართავდით და რიტუალებს ვასრულებდით. გულში საჭეროდათ, გვკერა, რომ გამჩენელი და გამგებელი კაცის და ქვეყნის ღმერთია. ჰქონდა რა საქმიანობაში წარმატება, გრძნობდა, გრძნობს სვანი კაცი, რომ ღმერთი მასთანაა. ამიტომ დიდი ღმერთი მთავარ დასაფიცად, მისი რწმენა ძალად გვრჩება დღემდე"; "გვინდა ღმერთმა მოგვმადლოს. ამიტომ ვაშენებდით, გვაქვს ეკლესიები, ამიტომაა სავსე რელიგიურობით და რწმენით სვანების დღესასწაულები, საწესო ქმედებები. თანამედროვეობა? არც ყველაფრის უარყოფა და არც გაკეთებისთვის გაკეთებაა სამადლო საქმე, მაგრამ რელიგიურობა და რწმენა არ უნდა განგვისხვავდეს. ხატი უფრო ძლიერია, რამდენადაც ძლიერი ჰყავს პატრონი. ამიტომ ვაძლიერებთ რწმენით ნასაზრდოებ დღესასწაულებით ხატს" (მთხრობელები: ვ. გვიშანი, ნაკრა; ავთ. ჭკადუა, ლაბამულა. ივლისი 2017). ანუ, ქრისტიანული რელიგიურობა, ღვთისადმი რწმენა, შიშითა და კრძალვით შექმნილი ფსიქოლოგიურ-ზნეობრივი მახასიათებლები ქართული ტრადიციული ყოფის, ქცევა-დამოკიდებულებების შენარჩუნებას ემსახურება". "ტრადიციულისადმი მსახურება თავისუფლებასთან

⁸ სვანეთში მიწისმფლობელობისა და მიწათსარგებლობასთან დაკავშირებით იხ.: გ. ჯალაბაძე, 1990, გვ. 12.

⁹ **შრო:** ეკლესია აღასრულებს ევქარისტიას, "შადლობისა და ქების მიძლვნას მამა ღმერთისადმი, როგორც ქრისტეს მსხვერპლშეწირვისა და მისი სხეულის სახსოვარს, როგორც ქრისტეს თანამწრებას მისი სიტყვისა და სულის ძლიერების ძალით" (<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=16&t=1021>).

¹⁰ მაგ.: რწმენით გაჭერებული ერთობის, შრომის შეძლება, ნაყოფიერების უზრუნველმყოფელი და ამინდის გამომწვევ ძალთა სამეცნიერო რიტუალები; მსხვილფეხა საქონლის საკრალური როლი მიწათმოქმედებაში; სამუშაო და უქმე დღეების, მარხვა-ხსნილის, საწესო კვების დაცვის აუცილებლობით მიღწეული წარმატებული ცხოვრება.

ერთად რელიგიური სვანის ბედნიერებაცაა“ (მთხრობელი ავთ. ჭყალუა, ლახამუღლა, ივლისი, 2017); „ქრისტიანობამდე ქართველისთვის მთელი ბუნება გაპიროვნებული და განსაკუთრებული იყო. როგორც ყველა ქართველს, სვანსაც ჰყავდა უფროსი ღვთაება. თავის სალოცავი ჰქონდა სახლს, მეურნეობას, მონადირეობას... ქრისტიანობის მიღების მერე სვანი კაცისთვის ცხოვრების წესი იყო ქრისტიანული, ანუ სიყვარულიანი, რწმენიანი. ქრისტიანობაში მძღვრობაც იმ ქველ რწმენებში მტკიცედ დგომაზ განაპირობა. ღიღი ღმერთის რწმენით, ფიცით¹² ბადებდნენ საკუთარ თავში ადაპტაციის უნარებს, მართავდნენ და ნაკლებად იყნენ დამოკიდებული გარე ფაქტორებზე. სვანც, მთის პირობების შესაბამისად, თავისუფალია საკუთარი უნარების განვითარებაში. ქართული სახელმწიფოებრიობა იდეოლოგიურად იდგა ქრისტიანობაზე, სახელმწიფო კი ხელს უწყობდა ეკლესიას. ქრისტიანი სვანი აგებდა ეკლესიებს სულისთვის სალოცავად, რწმენის საძლიერებლად და იდგა ქართულობის, ქრისტიანობის დასაცავად¹³. აქაური კაცი ურწმუნო როგორ იქნება, როცა ახლაც ვიცით, რომ მიწის ნაწილი და ტყისაც ეკლესის კუთვნილი უნდა იყოს. მაგალითად შესაწირ კურატს, გარდა აღნიშნულისთვის განკუთვნილისა, არსაც მოაძოვნებენ, იქ შეყვანილ თივას სხვა საქონელს არ აჭმევენ. ვარგისი პირადი მიწის სიმცირე იმანაც ქნა, რომ რწმენიანი სვანისთვის თავის საკუთრებაში მყოფი მცირე ნაკვეთის ვარგისი ნაწილი ლელცხატ/ლალცხატ მიწა¹⁴. ჩუბექებში კამის მთავარანგელზე დღესაც აქვს ტყე, „ხვამლი“. მულახში არის, სოფელ ზარდალშის საეკლესიო ტყე. დაფიცებისას ლახამუღლას ტაძრიდან სახარებას არც კი აკადრებდნენ გამობრძანებას¹⁵. ხატზე მხოლოდ მართალნი იფიცებენ, ხატის შეწუხება ერიდებათ. ლიურდგულიშ ხატ ნიშნავს ერთგულების ფიცს¹⁶ ხატზე; გვაქვს ფუსდის ეკლესია. ფუსდ პატრიონისადმი, ღიღი ღმერთისადმი მსახურება დღესაც წეს-ტრადიციანი ცხოვრების გარანტია; თავრარის მაცხოვარს, ლაგურკას წმინდა კვირიკეს და ივლიტეს ეკლესია აკეთებდა ნაკურთხ წყალს, ვიღრე კომუნისტები აქცევდნენ აბანოდ. დღეს ეკლესია ჩვენთვის ისევ მთავარი ადგილია. პოლიტიკური დაშლილობა ეკლესიურ ძლიერებაზეც აისახა. სვანმა რწმენა რომ შეენარჩუნებინა, ეკლესის დასუსტების შერე ხალხურ დღესასწაულებზე გადაიტანა ყურადღება და გააძლიერა ლოცვა, ლემზირებით, შესაწირით. მემზირი/”მუღზონ“-ი ყველა წმინდანისადმი მიძღვნილი შესაბამის

¹¹ სვანეთის საისტორიო დოკუმენტებში აღნიშნული ეკლესის დაცულობის შესახებ იხ.: რ. გუჯეგიანი, 2008, გვ. 104.

¹² ნაბანისგან წარმომდგარი ფიცის ლინგანალ, ანუ ნაბან და მეორე, უფრო მაგარი ფიცის, გარდაცემისგან წარმომდგარი გარცამ-ის შესახებ იხილე: დეკანზ იოანე მარგიანი, 2016. გვ. 58-59.

¹³ „შესატია და ზემო სვანეთი არის საოცარი, სასიქადულო და სამაყო კუთხე საქართველოსი. აქ ცხოვრობენ ქართველები, რომ ლებიც საუკუნეების მანძილზე იცვდნენ და იცავენ სიწმინდეს, იცავენ ჩვენს ხატებს, ჩვენს ჯვრებს. სრულიად საქართველომ სწორედ ამ კუთხეს აწდო თავისი ღიღი საუნჯე“ (ილია II); აღნიშნულთან დაკავშირებით იხილე, აგრეთვე, რ. გუჯეგიანი, 2008, გვ. 56.

¹⁴ ვრცლად იხ., რ. გუჯეგიანი, საეკლესიო მიწები სვანეთში, 2008.

¹⁵ აღნიშნულთან დაკავშირებით ვრცლად იხ.: ეკ. გაბლიანი, ძველი და ახალი სვანეთი, სსსრ გამომცემლობა, ტფ. 1925, გვ. 134.

ლოცვას სვანურად თქმით კანონიკას,¹⁹ რომელიც არ იცის, არ არღვევს. აქ, თავრარში XIX ს. ბოლო მეოთხედში იყო მღვდელი წერეთელი, სვანის ცოლი შეირთო და ეწეოდა ჩვეულებრივ გლეხურ ცხოვრებას, ასრულებდა რიტუალებს, მიცვალებულს წესს უგებდა, **ლიგურგონი/ჭვრისწერის** და ნათლობის სხვა მთავარ საიდუმლოებებს ასრულებდა, მაგრამ ყოველ ახალ დღეს ეტყობოდა გასიმბოლურება დასუსტებული ქვეყნის და ეკლესიის წარმომადგენლის ხელში. ხალხი, საკუთარი რწმენა რომ შეენარჩუნებინა, მასაც უსმენდა და თავის გახალხურებულსაც ზედმიწევნით ასრულებდა. ისეა ახლაც, თუმცა შეიმჩნევა უკვე წმინდა ეკლესიურის გააქტიურება. ამ მდგომარეობას ქვია ის, რომ უცებ არაფერი ხდება. გადაჭრით რაღაცის მოთხოვა უარყოფით შედეგს მოგცემს. ახლა ნაკრაში მივალწიეთ იმას, რომ ვივიწყებთ გულ-ღვიძლის შეწირვას“; ”გახალხურებული ძალით არ უნდა დაატოვებინო ხალხს. აქ მღვდელი მოვიდა ლოტისმშობლის ეკლესიაში რამდენიმე ხნის წინ და იმან გამოყარა ეკლესიიდან ჯვრები. ზოგი ამონაჭრელი იყო ხატზე გადაცემის დროინდელი. ამ ძალადობისთვის ვერ ვიგუჟოთ. ლრმა რელიგიურობაა იმის საფუძველი, რომ ფლესაც გეტყვიან ბეჭიში, რომ ”**შეზრობის**“ დოქსასწაული თურმე წმინდა ბარბალეს სურვილის შესაბამისად დაწესდა“²⁰, რომ საწესო სუფრაზე შესრულებული ლოცვის რიტუალებიდან პირველი სამი მამა ლმერთისადმი, მიქაელ მთავარანგელოზისადმი და წმინდა გიორგისადმი, ბოლოს ლოტისმშობლისადმი (ლამარია) მიძღვნა/ლოცვა/სადღეგრძელოა“ (მთხრობელები: კორნ. გვარმიანი და ავთ. ქალდანი, ნაკრა, ივლისი, 2017).

საკუთარი სახელები. ტერიტორიულ-სამეზობლო თემი: ნაკრაშიც და ლახამულაშიც დასტურდება მონოგენური უბნების (მოვიძეთ მასალები გვარმიანების, ცინდელიანების, ანსიანების, ქალდანების, ვიბლიანების, სუბელიანების, ოთხუანების, ჭკადუების, საბანიძეების გვარებზე), ანთროპოლოგიზების, მონოგენური სასაფლაოების და სასაფლაოთა მონოგენური უბნების შესახებ. ირკვევა, ზოგადად სახელთა ლინგვისტური,

¹⁶ **შდრ.**: ”ახლაც, დიდ ხნის წინანდელი დავა დამთავრდა ისე, ხატი არ შევაწუხეთ. ხატს რომ აწუხებ მთლად მართალი უნდა იყო, თორებ ის მსაჯულია. მერე შენი ლირსება და კაცობა?“ (მთხრობელი, ჭ. ჭვალუა, ლახამულა, ივლისი, 2017); ”ტრადიციული სვანი თვლის, რომ ცოდვა დანაშაულია და დანაშაული იგივე ცოდვაა. ამ ლრმას იგი სარწმუნოებრივი პრინციპებიდან ამოდის, ისევე როგორც ეს იყო ძეველ საქართველოში“ (რ. გუჯეგიანი, 2008, გვ. 107).

¹⁷ **შდრ.**: გრიგოლ რობაქიძის ”წერილი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ეფრემ II-სადმი. ”ქრისტე - პირვენება - ხომ ინდივიდუ-ალურ მოვლინდა! გონებისათვის ეს საიდუმლო თითქმის აუსქერდია. ამის გამოა: რომ გრწმდეს ლმერთი ათასჯერ უფრო ადვილია, ვიდრე გრწმდეს ქრისტე“ (https://www.facebook.com/permalink.php?story_fbid=1849651378683688&id=100009165324722).

ვრცლად იხილე, გ. გასვიანი, სვანეთის საეკლესიო კრებათა მეორე მატიანე, მაცნე, ისტორიის... სერია, N2, თბ. 1972, გვ. 111).

¹⁹ ”საეკლესიო გადმოცემისა და საღმრთო მსახურების შეუჩრევნელი პირველადი სახით და ფორმით დაცვა მხოლოდ ძლიერი საეკლესიო ორგანიზაციის პირობებშია შესაძლებელი“ (რ. გუჯეგიანი, 2008, გვ. 40). საწესო კვების დაცვის აუცილებლობით მიღწეული წარმატებული ცხოვრება.

²⁰ აღნიშნულთან, **ლიკვრეში/ლიკვლიშის** რიტუალის ლოკალური ვარიანტის, ”მეზრობის“ შესახებ იხილე (რ. გუჯეგიანი, 2008, გვ. 137).

ექსტრალინგვისტური (ისტორიულ-ეთნოგრაფიული, სოციალური, გეოგრაფიული, ლოგიკურ-ფსიქოლოგიური) წარმოების ზოგადქართული წესის შესახებ, რომ სვანურ საკუთარ სახელთა სემანტიკა ძირითადად განსაზღვრულია ეპონიმით და რომ ისინი მატობონიმირებელი აფიქსებით არიან წარმოებული.

სვანეთის ტერიტორიულ-სამეზზობლო თემი (მსჯელობისათვის იხ.: რ. თოფჩიშვილი, 2015, გვ. 12) "არის რამდენიმე სოფლის, საგვაროვნო, ერთობით შეკრული სოციური, რომელიც არ ცხოვრობს შეურაცხყოფა-შეგინებული ცხოვრებით, ურწმენობით, სხვათა სხვადასხვა სახის საკუთრების მითვისებით, ფალგენილი სამართლის შეუსარულებლობით, ტრადიცია-უდაოების დარღვევით, თავად წარმართავს თავის სამეურნეო და სოციალურ-ყოფით ცხოვრებას. შესაბამისად, თემის შეკრებილობაზე განიხილებოდა არსებობა-თავდაცვის ინტერესი. თემს განაცემდნენ ერთგული, გონიერი, დარბაისელი, სამართლით მსჯელი მახვშები. რუს-კომუნისტობამ იერიში მიიტანეს მახვშის ინსტიტუტზეც. ხელფასიანი მამასახლისები, მდიგანბეგები, თავმჯდომარე-გამგებლები დანიშნეს და ფულიანი სამსახურებით თემის ერთობა დააცალკავეს. ძველებური თემობაც დღეს თითქმის საქებარია" (მთხრობელი, მ. ცინდელიანი, ნაკრა, 2017წ).

დიდი ოჯახების დაშლის მიზეზები. ოჯახი დღეს: ეკონომიკურ-ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების საფუძველზე, დაახლოებით XXს. მეორე მეოთხედიდან დაშლილი დიდი ოჯახების დღევანდველი სახეა ოჯახთა, ოჯახს შიგნით მიღებული ინდივიდუალობა და მაინც სხვაზე დამოკიდებულება, მხოლოდ პიროვნულის/"გვარის არც ერთ უხუცესს არ უნდოდა ხელიდან გაეშვა მონადირე, თუ ხელოსანი, თუ... ჩვენ ცინდელიანების წინაპარი მაითხი ყოფილა. ოჯახების ერთად ცხოვრების, იყო ორმოცსულიანი ოჯახები, მიზანიც და მიზეზიც იყო მხოლოდ ძლიერება ფიზიკურ-ეკონომიკური. თემის საქმე კეთდებოდა ერთობით"; "ინდივიდუალური ოჯახები რომ ღონიერია კარგია, მაგრამ რითი? ქალაქში, სადმე საკუთარი საცხოვრისის გარეთ წარმოებული სხვადასხვა საქმიანობით. შედეგად მეურნეობა მოიშალა, სოფელი დაიცალა. ბევრი და სხვათა აზრის მიზეზით სხვასთან არცხოვრების სურვილი ვერაფერი ხეირია. ცალკე ცხოვრობს და შენ თავს გარჩენინებენ. სკამ იცის როდის უნდა გაიყოს. მას ხელს ვერავინ შეუწყობს, ვერც უკარნახებს. ისეა ოჯახიც" (მთხრობელი, კლ. ცინდელიანი, ნაკრა, ივლისი, 2017).

საცხოვრისის ტიპი: მახასიათებლები: უნივერსალიზმით ასახული, გარემომცველი სამყაროსგან შექმნილი, ქართველური იდენტობისათვის დამახასიათებელი კულტურული ტრადიციების ნიშნები, სამეურნეო და ზოგადყულტურული ერთობლიობა; სოციურის შეკრულობისათვის, ეკონომიკური ძლიერებისათვის, თავდაცვისათვის (იგულისხმება ბუნებრივი, გარე ფაქტორები და ცხოვრებისეული საჭიროებები - ხაზი ჩვენია) ვარგის-მოსახერხებელი სამყოფის შინაარსი თავსებადობაა²¹. "ორსართულიან მაჩუბიან სახლს სამყოფი გვერდზე ჰქინდა მოდგმული. მაჩუბი, დარბაზი და სამყოფი ტემპერატურის რეგულირებისათვის გამოყოფილი იყო ჯერ ფიცრით, მერე იატაკით" (მთხრობელი, კლ. ცინდელიანი, ნაკრა, ივლისი, 2017). დღეს ორ ან სამსართულიანი, ძველებური ორნამენტებით გამშვენებული, ყავარიანი საცხოვრისი ძირითადად სოფლისათვის საჭირო სამეურნეო დანიშნულების შენობა-ნაგებობებადაა გაღაეცეული.

სოციალური გენდერი ტრადიციულად და დღეს: გენდერი -

არა მხოლოდ სქესთან მიმართების, სოციალურ-რელიგიურ-ნორმების, სოციალური ინსტიტუტების (ოჯახი, ნათესაობა, მოყვრობა...), ცხოვრების მოთხოვნილებების, განათლების, ზოგადად ურთიერთობათა მომწესრიგებელი. საქართველოში ქალთა უფლებების ტრადიციულად ჩლვევის ხელოვნურად აწეული თემის მოგონილობის დასასაბუთებლად განსაკუთრებით დავინტერესდით სქესთან მიმართების, სამართლებრივი ნორმის, სოციალური ინსტიტუტების, თემის ცხოვრების წესის მოწყობის თემით. ყურადღება მიიქცია სვანი ქალის მდგომარეობაზ ოჯახსა და თემში. დასტურდება განსაკუთრებით ქალის პატივისცემისთვის მუდმივი ბრძოლა, დაცვა და მხარდაჭერა, მისი თემთან "საქმის გასარჩევად არ გაშვება, თუმცა ყოფილა ასეთი შემთხვევებიც განსაკუთრებული საჭიროებისას. ქალები მახვშებიც იყვნენ, მაგალითად **მესე ჩეგიმიანი** და **დადამესე ცინდელიანი**". **შდრ.**: რ. გუჯეგიანს დამოწმებული აქვს ა. დავითიანის საარქივო მასალა, რომლის მიხედვითაც დადიშებულიანთა ორი მოქიშპე შტოს - ეცერისა და ფარის სამთავრო სახლების შერიგება მხოლოდ ქალთა მოციქულებმა შეძლეს (იხ., რ. გუჯეგიანი, 2008, გვ. 25). მსგავსი მასალა დავადასტურეთ უშგულშიც; კმაყოფილებით და ამაყალ გიყვებინაც "ოჯახობის ძლიერების გარანტი ქალის/ **დიხსალის-ს** შესახებ. რომ "დიხსალი" მარტო საშინაო საქმის მკეთებელი არაა. იგი ცხოვრების წარმმართველია. რომ ისეთი ქუდდასხურული ხარ, როგორი დიხსალიც გყავს"; "თავრარში სალოცავი სახლში ყველას რომ ჰქონდა, უშვებდნენ მოსამშობიარებლად ქალს პატრონთან ერთად და არა საღმე სხვაგან"; "ქალის შრომაც და მამაკაცისაც მოსულისთვის მძიმეა. მერე საუბრობენ, რომ სვანი იძულებულია შეეჩიოს გაჭირვებას და ეს მოდის უფრო საშუალო ასაკის მერეო. ჩევენ შეჩვეულები ვართ ასაკის მიხედვით საქმე-მიმართებასთან დამოკიდებულებას. არც კაცს და არც ქალს კრიზისი ცხოვრების ადგილობრივი წესიდან გამომდინარე არ ჰქონია. მუშაობა მსუბუქი არსალა. აქაურებს გაცნობიერებული გვაქვს საკუთარი მოვალეობები, ულლის წევის ვალდებულება. ამიტოც გვიადვილდება. ასეა ალბათ ყველგან"; "როგორი ლირსება ქალი გყავს ისეთი კაციც ხარ. ნათქვამია: სვანური ქუდის, ნამუსის ქუდის შემოქმედო. დიდება შენდა ქალო ქართველო"; "ქალადამიანობით სვანები მიცვალებულს სცემენ პატივის. სულის მსახურებისას ნიშნად პატივისცემისა ქალი იმუხლება. სუფრასთან სულის პატივის მიგების ხსოვნის სადღეგრძელოს დროს მჯდომარე ქალი ფეხზე არ დადგება. ქალი ხარ და მჯდომარეს შეგიძლია ხსოვნის შეთვლა"; "**ლაგნაუი ლიგნე** - თანასწორობაა. რაც შენთვის არ გინდა არც სხვას, მით უფრო ქალს არ უნდა აკადრო, თუ კაცი ხარ"; "ქალის სიტყვას მკვლელობები აუცილებია"; "**თავი სახლის** ორი განმარტება გვაქვს. ნიშნავს მამის სახლს, რადგან იქ დავიბადე, ბაგშვობა გავატარე, მოგონებები მაქვს. მთავარი თავი

²¹ "ლეგესაც შეხვდებით სვანეთში კოშეების მშენებლობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ლეგენდას. რაც ამ ლეგენდებს აერთიანებთ, ესაა რწმენის სიმტკაცე, თაღაცვის შეძლების, ერთობილი ძლიერების შექმნა-შენახვის აღგილის, მისი რწმენა, რომ კაშკი ქვეყნის მთლიანობის შენარჩუნების სიმბოლო, სამყაროს ცენტრია. და თუ ის, ლმერთმა არ ქნას და, ჩამოიშალა ცედის ნიშანია. მისი დანგრევა მხოლოდ შინაურ აშლილობას და ამ საფუძველზე მისდომი უბატივცემულობა-უყურადღებობას შეუძლია, ეს კი ქვეყნისთვის არაა კარგის მომასწავებელი. კაშკი რატომ უნდა დაინგრეს? დროით ხომ გამოიცადა, რომ გიცას ბუნების სტიქიდანაც კი. ამიტომ მიაქციე ყურადღება" (მთხობელი, შ. ანსიანი, ნაკრა. ივლისი, 2017).

სახლი ჩემ მიერაა შექმნილი მეუღლესთან ერთად, ჩემი ქმრის და შვილების სახლი“; ”კაცი ყველაფერს რწმენით უნდა ხვდებოდე. ღმერთსაც ხომ არავინ შეხვედრია ფიზიკურად? დალიც მოჩვენებაა. მეუღლეს არ უღალატებ და კვდები ქამერდეს შენახვედრი. ანუ, ოჯახისთვის, მეუღლისთვის უღალატობის ნებისყოფა იზრდება“; ”დღეს ვიღაც იტყვის ქალის უფლება ირლვევა გათხოვებისას მიწას რომ არ აძლევენ. ვისაც მიშვავს, მიწა, ანუ ოჯახის რჩენის თავი უნდა ჰქონდეს. მიწა სოფელს, მის მკვიდრს უნდა დარჩეს. არ უნდა გასხვისდეს. ისე თუ საშუალება ჰქონდა, უყიდდა მიწას იქ, სადაც გათხოვდა. ან კიდევ შვილი, რომ არ ეყოლებოდათ, მეორე ქალს მოიყვანდნენ პირველი მეუღლისავე ნებითო. არაა კარგი, მაგრამ მუშა ხელი, ვაჟების და გოგონების სიმრავლე იყო საჭირო. დღეს არც ცოლი კითხულობს და ისე შეუძლია გათხოვდეს, ქმარს გაშორდეს და შვილები თუ დარჩა, მას არჩენინოს, მოაწესრიგებინოს ყოფითი პრობლემები და კაცსაც შეუძლია მეორე ცოლი მოიყვანოს. და ამას საკუთარი უფლების შესრულებას ეძახიან (მთხრობელები: დ. ცინდელიანი. ზ. ჭავალაუა, ლახამულა; ტ. ცინდელიანი, ნაკრა; მ. ქალდანი, ნაკრა. მ. ცინდელიანი, ნაკრა, ივლისი 2017). დაპირისპირებულ მხარეთა შერიგების მიზნით ქალის გათხოვების ჩვენთვისაც მიუღებელ შემთხვევას სეანი ახალგაზრდა ქალებიც კი, ერთეული შემთხვევების გარდა არ აპროტესტებენ. ”თანაც ეს მაშინ ხდებოდა, თუ კაი ჯიში გაგრძელდებოდა. ანუ, ქალს მიათხოვებდნენ დაპირისპირებული კარგი ჯიშიდან, ან კარგ ჯიშში. ერთმანეთის ამოწყვეტას არ ჯობია?“ ასეთი ახსნით გიყვებიან არა მხოლოდ ნაკრასა და ლახამულაში (მთხრობელი ფ. გულედანი. ნაკრა, ივლისი 2017); ”ქალის უფლებას და თავისუფლებასაც ის განსაზღვრაუს რა დამკიდიბულებას აგებს თავად, რა ავ-კარგი აქვს“ (მთხრობელი რ. ცინდელიანი, ნაკრა, ივლისი, 2017).

ქორწინება-ქორწილის დაკრძალვა-გლოვის ტრადიციები:

შეცვლილია არა მარტივად შესასრულებელი, ზოგადქართული, განვითარების დიდ და რთულ გზაგამოვლილი ქორწინება-ქორწილის, დაკრძალვა-გლოვის ტრადიციები. ”ალარ გეხვდება ადამიანის უფლების მაიგნორირებელი აკვანში დანიშვნის, სხვა რეგიონიდან მეუღლის არ მოყვანის, ქვრივის მაზლზე დაქორწინების ერთეული შემთხვევებიც კი. გაიშვიათდა ქალის მოტაცებაც და კარგია, მაგრამ ქორწინებას დღეს ვერაფერს ვერ შევადარებ იმიტომ, რომ მილიონჭერ იყრებიან ყველაფრის გათვალისწინების გარეშე შექმნილი ოჯახები“; ”ქელებს უფრო მეტად იტყვიან მეორმოცე დღეზე. ადამიანის სულის ზეცაში გადასახლდება, მაგრამ მიუღებელია, რომ გაცილების გამრავალფეროვნებული ტრაპეზობა გაქელებდა და ლამის ვზეიმობთ“ (მთხრობელი ე. ქალდანი, ნაკრა, ივლისი 2017); ექსპედიციის მიმდინარეობისას დავადასტურეთ მიცვალებულისთვის გამოყვანის დროს ოჯახის სასურველი ქალბატონის თეთრი მანლილით დაზვედრის შესახებ. ”ქალს ოჯახი ირჩევს. შაოსანიც არჩევის შემთხვევაში ვალდებულია თეთრი თავსაბურავით დახვდეს, რადგან გარდაცვლილის მიწიერში დარჩენილი ოჯახი თეთრი და ბედნიერი იყოს“ (მთხრობელები: კლ. ანსიანი, ზ. გაბულდანი, ნაკრა, ივლისი, 2017)²².

²² შდრ.: ლეჩხუმის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მიმდინარეობისას ღვირიშში ჩაწერილი მასალა: ”ქორწილში ვიყავი და ქელებში ბური ვჰამეო. ანუ ქორწილის სუფრასაც არ უზდება გქელებება საზღვარდაუდებელი ღრეობა“.

ჩვეულებითი სამართალი: რწმენა-რელიგიურობაზე მიბმული სკანური, "ყველაზე ჰუმანური და სამართლიანი სამართალი" დანაშაულის აღმოფხვერის და სამართლიანობის დამკვიდრების გზებსა და საშუალებებს ინახავს. სახელმწიფო სამართალთან შედარებით სკანური სამართლის ეფექტურობის განმსაზღვრელი სამართლიანი გადაწყვეტილებაა. სკანური სამართალი დაცულია მიკრობებისგან. შურისძიებით ჩადენილ ახალ-ახალ დანაშაულთა თავიდან აცილებაზე ზრუნვა ხალხური სასამართლო პროცესის მთავარი მექანიზმია: "ზატს რომ მოგაძლევენ, თუ მართალი ხარ აიღებ" (მთხრობელი ნ. ქალდანი, ნაკრა, ივლისი, 2017), თუმცა ნაკრა-ლახამულას მასალებით იჩვევება, რომ "საუბარს ვერ გატელავდნენ თემის კაცებიც კი იმ შემთხვევაში, როცა სამაგიერო უნდა გადახდილიყო ქალის გულისთვის" (მთხრობელები მ. ცინდელიანი და მ. საბანიძე. ლახამულა. ივლისი, 2017).

სგანური ფოლკლორი: ზეიადი ბუნების შესაბამისი ყოფის, ისტორიისა და კულტურის შემადგენელი, ნაწილი სამხმიანი მუსიკალური ფოლკლორი გამორჩეულია: რიტმული სიმკვეთრით, სახეებით, ლაშქრობა-ომებისადმი, ომის გმირებისადმი, რელიგიური რწმენებისადმი, ნადირობის ქალღმერთ დალის და მის მოწინააღმდეგებთა გმირობებისადმი მიძღვნით. ჩავიწერეთ რამდენიმე ზღაპარი, ლექსი, თქმულება. "თამაშობანი, რომლითაც დღეს სვანეთშიც ბავშვები აღარ იზრდებიან, ერთობიან".

სვანეთის ტურისტული პროდუქტი: შეიძლება ისაუბრო სვანეთში, ტურიზმის სფეროში დღეს გამოვეთილ ტენდენცია-მახასიათებლებზე, ტურიზმის როლზე ქვეყნისთვის: 1. ტურიზმი სიამოვნებისთვის და საქმისთვის; 2. მასპინძლობის ინდუსტრიის პირდაპირპრობორული კომფორტი. სტუმართმოყვარეობა ტურიზმის მასტიმულირებელი;

3. მიღებობით, "ჩემი ვალია" მართული ეთიკა, მორალი, სამართლიანობა, უსაფრთხოება; 4. ღამის გატარების საშუალება რომელიმე მონახულების ადგილის კოლექტიურ ან კერძო განთავსების ობიექტში. 5. კულტურული ურთიერთობებით სხვადასხვა ასასის, რწმენის, ეროვნებისა და მსოფლმხედველობის ადამიანების დაახლოება; 6. ტურიზმი და მეორადი შემოსავალი.

გარემო და შინაგანი ბუნების, დროის და რელიგიურ-კულტურული ცხოვრების დონის, საზოგადოებრივი მოწყობის წესის შესაბამისი აღზრდის სისტემა სვანეთშიც ფიზიკურ და სულიერ აღზრდას ემსახურებოდა. "შინაგან შეადგენდა: სათნოება, სიბრძნე, ზრდილობა და ცოდნა. რწმენა სათნოების საფუძველია. ეს შედეგი რომ დადგეს, ბავშვი ჯერ მშობლიური, ქართული თვითშეგნების, ენის მიერ შენახული სიბრძნის სამყაროში უნდა ჩამოყალიბდეს, საუცუნების მანძილზე შექმნილ ეროვნულ ტრადიციებზე უნდა აღაბტირდეს" (მთხრობელები: როდამ და ფრეჭერ გვარმიანები. ივლისი, 2017).

დასკვნის სახით: დღევანდელი სკანური მემკვიდრეობის საფუძველზე შესაძლოა გაირკვეს ეთნოსის ძირითადი მახასიათებლების, იდენტობის, კუთხურეთნოგრაფიული თავისებურებების, კულტურული თვითორგანიზაციის ფორმების, კოლექტიური ქცევისა და ურთიერთქმედებების თავისებურებების, პიროვნებისა და სოციალური გარემოს ურთიერთკავშირისა და სხვა საკითხების

²³ შდრ.: სვანეთში სადღეგრძელოში გისურვებენ "თეთრ სიბერეს"

შესახებ. ხალხური წეს-ჩვეულებების, რიტუალების ტრადიციული ნორმების ეპოლუციური გზა ადასტურებს, რომ წესისმიერ მათგანს შინაარსის, სულიერების, პრაქტიკულობის, გამოცდილებით აქვს კავშირის შესაძლებლობა თანადროულ უცხო კულტურებთან; მოძიებული ქართველთა წარსულის, თანამედროვე სოფლის პრობლემებისა და მომავლის ამსახველი მასალის საინტერესოობა გამომდინარეობს პრაქტიკულ-გამოყენებითი მნიშვნელობიდან. იგი ხელს შეუწყობს ქართული ეთნიკური ცნობიერების, მენტალობის შენარჩუნებას, სწორ რეფორმირებას. **შდრი:** კარგია ჩვენი, საზოდავო სურვილი, იმედი იმის, რომ ტრადიციები არ მოვდება, არ გადასხვაოვრდება. მიგვჩინია, რომ ტრადიციამ შინაარსი დროსთან მიმართებაში შეიძლება იცვალოს, თუნდც წიგნიერი ცოდნის გავლენით, მაგრამ, როცა ცნობილი გახდება ამა თუ იმ ტრადიციასთან დაკავშირებული საწესო რიტუალის წარმოშობის მიზეზ-საფუძვლის შესახებ, მივხვდებით, რომ არ უნდა მოვდეს. ტრადიციებს სოციუმის შეკვრის ფუნქციაც ჰქონდა. უმთავრესი საფუძველი ნებისმიერი საწესო რიტუალისა რწმენა იყო. ანუ ტრადიციის სიკვდილს გვგონია, რომ გამოიწვევს რწმენის ნაკლებობა, რაც საზოგადოების მარცხის საფუძველია (მთხრობელი: მ. საბანიძე. ლახამულა. ივლისი, 2017).

დამოწმებული ლიტერატურა

- 3. ბარდაველიძე, 1941** - ვ. ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ლვთაება ბარ-ბარ-ბარ), თბ., 1941.
- 4. გუჯეგიანი, 2008** - რ. გუჯეგიანი, ქართველ მთიელთა მენტალობის ისტორიიდან, თბ., 2008.
- ლ. დადუანი, 1973** - ლ. დადუანი, სვანეთის ჩვეულებანი, "ეთნოგრაფიული წერილები სვანეთზე", 1973.
- ღეკანოზი იოანე მარგარითაშვილი, 2016** - ღეკანოზი იოანე მარგარითაშვილი, ეთნოგრაფიული მემკვიდრეობა, 2016.
- ს. გარდოსანიძე, https://www.facebook.com/permalink.php?story_fbid=18-49651378683688&id=100009165324722** - ს. ვარდოსანიძე, გრიგოლ რობაჭიძის წერილი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ეფრემ II-საღმი. https://www.facebook.com/permalink.php?story_fbid=1849651378683688&id=100009165324722
- 3. თოფურია, მ. ქალდანი, 2000** - ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბ., 2000.
- რ. თოფჩიშვილი, 2012** - რ. თოფჩიშვილი, კავკასიის ეთნოლოგია, თბ., 2012.
- რ. თოფჩიშვილი, 2008** - რ. თოფჩიშვილი, ქართველთა ეთნოგენეზისისა და ეთნიკური ისტორიის პრობლემები, თბ., 2008.
- დ. მუსხელიშვილი, 1980** - დ. მუსხელიშვილი, ფეოდალიზმის ხანის საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციისათვის (IV-Vსს), მაცნე, ისტორიის... სერია N2, თბ., 1980.

ბ. ნიუარაძე, 1973 - ბ. ნიუარაძე, ეთნოგრაფიული წერილები სვანეთზე, 1973.

საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია, 2010 - საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია, რ. თოფჩიშვილის საერთო რედაქციით, თბ., 2010.

საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, ტომის რედაქტორი შ. გესხია, თბ., 1973.

სვანეთი, ქართული კულტურის სავანე, 2008 - რ. გუჯეჭიანი, საეკლესიო მიწები სვანეთში, "სვანეთი ქართული კულტურის სავანე", თბ., 2008.

ივ. ჯაგახიშვილი, 1982 - ივ. ჯაგახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. I, ობზულებანი თორმეტ ტომად, ტ. V, თბ., 1982.

ს. ჯანაშია, 1959 - ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორიის უძველესი ქრონოლოგიდან ენობრივი მასალების მიხედვით, შრომები, ტ. III, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბ., 1959.

DAVIT SHAVIANIDZE

ETHNOGRAPHIC EXPEDITION OF NAKRA-LAKHAMULA

Materials of 2017 ethnographic expedition of Nakra –lakhamula are one of the original sources to study the history of ethnicity of Georgians, their traditions and agricultural relations, also the influence of modern life on it. We can explore:

1. About the resistance of Svanetian people against the invasion of “tatars” (that’s the name of enemy for Svanetian people) and their relations with North Caucasians.

2. Georgian Self-consciousness, Native Georgian domestic speech. “People of Svaneti used to speak Georgian language even in times of formation of the country. Svanetian language is precious also for other parts of Georgia since it conveys large part of our history”.

3. *Sepi* and *Lankvab* -the part of Svanian life from traditional and modern perspectives. *Sepi* is a place associated with traditions, friendly relations, sacral values. The meaning of *Lankvab* is similar to *Sepi*, it’s the place for meeting and discussions.

4. National-traditional forms of farming, new economic relations of modern agriculture, faith-religiousness, the main sign of mentality of a Georgian farmer.

5. “Outer world replete with religious beliefs, evil forces “. It’s proved that traditions conveying the fear and owe towards the God have the function of retaining old Georgian traditional behaviors and attitudes, old way of living.

-
- 6. The proper names and territorial-neighboring communities;
 - 7. Reasons for diminishing nuclear families, a modern family portrait.
 - 8. Types of housing
 - 9. Traditional and modern models of a social gender
 - 10. Marriage-wedding and funeral-mourning traditions
 - 11. Traditional model of justice
 - 12. Svanetian folk culture
 - 13. Svanetian touristic product;
 - 14. The environment and the system of raising the future generations in accordance with the religious and cultural life and social regulations.

Evolutionary development of folk habits, rituals and traditional norms correspond to the same components of foreign cultures. Modern retrospection of ancient cultural values will contribute for retaining ethnic Georgian introspection and the right formation of the national thought.

ლელა შათირიშვილი

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული დაღვეულიანისეული სახარების ფრაგმენტები

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების (H) მუზეუმსა და ახალ ფონდში (Q) დასტურდება ორი ფრაგმენტი, რომლებიც შეიცავენ ნაწყვეტებს ლუკას სახარებიდან. პალეოგრაფიული ნიშნებით ორივე ფრაგმენტი კლასიკურ პერიოდს, კერძოდ, XII – XIII სს. უნდა განეკუთვნებოდეს; მათგან ერთი ნაწილი 3 ფურცელს შეიცავს, ხოლო მეორე — უფრო მეტს, 9 ფურცელს. ეტრატზე შესრულებული ეს ტექსტი ერთი კოდექსის ნაწილებს უნდა წარმოადგენდეს, თუმცა დღემდე ცენტრის ორ სხვადასხვა ერთეულად ორ სხვადასხვა კოლექციაშია დაცული.

ფრაგმენტებით ჩვენი დაინტერესება თავდაპირველად გამოიწვია კალისტრატე ცინცაძის 1934 წლით დათარიღებულმა ერთი წერილის პირმა, რომელსაც იგი აკ. შანიძეს უგზავნის (ზეც., კ. ცინცაძის არქ. N108). კათალიკოსი მეგლევარს სწერს ერთი სახარების ისტორიას, რომლის მსგავსი აღბათ სხვა ქართულ ხელნაწერსაც შეხვედრია. ხელნაწერი ყოფილა სვანეთის მთავრის, დადეშექლიანის, წიგნსაცავის საკუთრება. წერილში ვკითხულობთ: “გიგზავნით... პერგამენტის სამ ფურცელს, რომელიც შეიცავს ლუკას სახარებიდან 14, 34, - 16, 29 თავს. ეს ფურცელები მომიტანა ალექსი ეპისკოპოზმა (გერსამიმ) სვანეთიდან: რევოლუციის დასაწყისში ხალხი შესულიყო დადიშექლიანთა ეცერის სასახლეში და იქიდან, სხვათა შორის, გამოიტანა “ტყავის წიგნი”, რომელიც მამაკაცებს დედაკაცებისათვის დაეთმოთ. უკანასკნელი წიგნი გაენაწილებინათ ურთიერთშორის სამ-სამ ფურცლობით. როგორ მოიხმარეს დანარჩენებმა საკუთარი ნაწილები, არ ვიცი, მაგრამ ერთს თავისი მიურთმევია ყოვლადსამღვდელო ალექსისათვის. მესამე ფურცელს ეტყობა, რომ პალიმპსესტია, პირველზე კი ვერაფერი შეამჩნიეს ჩემმა თვალებმა. თვით ტექსტი საინტერესოა: გადამწერს უღალატნია გიორგი მთაწმიდელის ანდერძისათვის... მას შეუცვლია ზოგიერთი სიტყვები და არა უჭეროდ... მაგრამ არის არასასურველი ცვლილებაც... ხელნაწერს თავის დროზე გადასცემთ მუზეუმს”.

უნდა აღინიშნოს, რომ 1934 წლისთვეს ჯერ კიდევ არ იყო გამოცემული მეცნიერულად შესწავლილი და კრიტიკულად დადგენილი ტექსტი სახარებისა, არ იყო შესწავლილი ქართული ოთხთავის თარგმანის ისტორია, ამიტომ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, თავადაც მეცნიერება და მეცნიერმა, კარგად უწყოდა, რა მნიშვნელობა ენიჭებოდა იმის გარკვევას, თუ რა ტექსტობრივი ურთიერთობაა თითოეულ ფრაგმენტსა და სრულ კოდექსს შორის.

აღნიშნულ ფრაგმენტს მივაკვლიერ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის Q (ახალ) ფონდში. როგორც აღწერილობაშია მითითებული (აღწერილობა, 1958, გვ. 223-223), ფურცელები 1942 წლამდე ინახებოდა ლიტერატურის ინსტიტუტის

ხელნაწერ კოლექციაში, შემდეგ გადაეცა მუზეუმის პალეოგრაფიის განყოფილებას, 1958 წელს კი გახდა ხელნაწერთა ინსიტიტუტის კოლექციის ნაწილი. ფრაგმენტები XII-XIII ს. -ითაა დათარიღებული, ფურცლების ზომა 20X25 სმ.-ია. ეტრატი დალაქავებულია, 1-2 ფფ. არშიის ჩამოუჭრელად არის მოღწეული, მესამე კი ცალკეა. კ. ცინცაძე აღნიშნავდა, რომ ფ. 3 არის პალიმფსესტი, დანარჩენებზე კი ვერაფერი გაარჩია. 3 r-v საგულდაგულოდა გადარეცხილი, თუმცა ქვედა ფენის დათარიღება მაინც შესაძლებელია. იგი X საუკუნეზე აღრეული არ უნდა იყოს. ამ მოსაზრების გამოთქმის საშუალებას იძლევა მე-3 ფურცლის გადანაცემზე გადაურეცხავად შერჩენილი მთავრულით შესრულებული გრაფემები, რომელთა მეშვეობით სიტყვების აღდგენა ან ამოცნობა ვერ ხერხდება.

კ. ცინცაძის ცნობამ ხელნაწერის სამ-სამ ფურცლობით დანაწილების შესახებ გაგვიჩინა აზრი, რომ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდი გადაგვესინჯა მსგავსი ნაწილების მოძიების მიზნით. განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია დაცულმა 9 ფურცელმა, რომლებიც თავმოყრილია H 1445, ანუ საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების კოლექციაში (აღწერილობა, 1948, 378). ლუკას სახარების ეს ფრაგმენტები 1919 წელსაა შესული საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმში. ფურცლებს კიდევები ჩამოჭრილი აქვს, ამიტომ არ ემთხვევა Q-783-ის ზომებს. ეტრატი ჩაშავებული და დაზიანებულია, მაგრამ ტექსტის ამოკითხვა ხერხდება. 1-6 ფფ. ერთი ხელნაწერიდან უნდა იყოს, ხოლო 7-8-9 ფფ., მართალია, წარმოადგენენ ლუკას სახარებიდან ნაწყვეტებს, მაგრამ სხვა ხელნაწერიდან. 1-6 ფურცლიდან სამი პალიმფსესტია (დ. ჩიტუნაშვილი, 2017, გვ. 132-133). მესამე ფურცლის ქვედა ტექსტი ხამეტია.

უპირველეს ყოვლისა, განვიხილოთ ის მსგავსებანი, რომელთა საფუძველზე Q-783-ისა და H-1445-ის საერთო წარმომავლობა უკველი ხდება. გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ტექსტის ასოთა მოხაზულობას. თვალის შევლებაც კი საკმარისია იმაში დასარწმუნებლად, რომ ორივე ფრაგმენტი ერთი გადამწერის შესრულებულია. ორივე ფრაგმენტში ყურადღებას იქცევს “და” კავშირის დაწერილობა, როდესაც დონი საზედაო ასოდ არის გამოყენებული. ეს ასო იმის მიხედვით, საკითხავს იწყებს თუ მუხლს, ხან ტექსტის მელნითაა შესრულებული, ხან – სინგურით, მაგრამ ორივე შემთხვევაში დონის მუცელს აქვს მსხლისებური, ოვალური, ფორმა, თუ დ-ონი ტექსტის მელნით წერია, მაშინ ა-ნი მის მუცელშია ჩასმული, თუ დონი სინგურით არის შესრულებული, ა-ნი მის გასწვრივ სტრიქონზე წერია ტექსტის მელნით (სწორედ ამ გარემოებამ მიგვაქცევინა ყურადღება H-1445-ზე).

ლუკას სახარების კითხვისას კიდევ ერთხელ დავრწმუნდებით, რომ ეს ფურცლები ერთი ხელნაწერიდან მომდინარეობენ. H-1445 ფრაგმენტი შეიცავს ლუკას სახარების შემდეგ თავებს: 11, 39-12, 4; 12, 14-13, 31-32; 13, 32-14, 34; 16, 29-17, 21; 18, 10-18, 32. ამ თავებში გაბმული ტექსტი მოთავსებულია: 1rv, 2rv, 5rv, 6rv-ზე. გაბმული ტექსტის ბოლო სვეტი მთავრდება 14, 35 მუხლის მეორე სიტყვაზე: “არცა ქუეყანასა”, ხოლო ამ ტექსტის გაგრძელებას, ანუ მომდევნო სიტყვებს: “არცა სკორესა”... უკვე ვხდებით Q-783-ის 1r-ს საწყის სიტყვებად. ფრაგმენტის გაბმული ტექსტი წყდება 3 v-ზე, 16, 29-ზე სიტყვით

"წინაწარმეტყუელნი" და 16, 29-ის ტექსტი გრძელდება H-1445-ის 3r-ზე. გამოდის, რომ კ. ცინცაძისეული ფრაგმენტი H-1445-ის შუა ნაწილს წარმოადგენს.

ინტერესს აღძრავს ამ ორი ფრაგმენტის თავისებურებათა გარკვევა. საყოველთაოდაა ცნობილი სახარების ქართული თარგმანის რამდენიმე რედაქცია, რომელთაგან ბოლო, გიორგი მთაწმიდელისეული თარგმანი, კანონიკურია. მთარგნელი დაბეჭითებით მოითხოვს, მისი თარგმანი დაიცვან გადამწერებმა, არც სხვათა თარგმანებში გარიონ და არც სიტყვები შეცვალონ, თუმცა. როგორც ჩანს, გადამწერები ამას ყოველთვის ვერ ასრულებდნენ. ეს ფრაგმენტებიც ამისი მაგალითია. სავარაუდოდ, კალიგრაფს ხელთ ჰქონია დედნად ისეთი პირი, რომელშიც უხვად უნდა ყოფილიყო ძველი წაკითხვები (ც. შანიძე, 1945, გვ. 235; 252; 253). მაგ.:

ლუკა 11, 40: H-1445: მანცა შინაგანი შექმნა

ძველი: მანცა შინაგანი შექმნა

ახალი: მანცე შინგანი შექმნა.

ლუკა 15, 17: Q-783: განიზრახა თავსა თვალსა

ძველი: განიზრახა თავსა თვალსა

ახალი: მოვეგო თავსა თვალსა.

ლუკა: 15, 23: Q-783: მოიბთ ზუარაკი მსუქანე

ძველი: მოიბთ ზუარაკი მსუქანე

ახალი: მოიბთ ზუარაკი ჭამებული.

ფრაგმენტებში ბევრი ცვლილებაა, ყველა განსხვავების ჩვენება ამ შემთხვევაში შორს წაგიყვანდა, ამიტომ მხოლოდ ზემოთ მოყვანილი მაგალითებით დავკმაყოფილდებით. არსებულ ცვლილებათა საფუძველზე უნდა ვიფიქროთ: მიუხედავად იმისა, რომ სახარება XII-XIII სს.-შია გადაწერილი, როცა გიორგი მთაწმიდელისეული რედაქცია იყო უბირატესი, არ გამოვრიცხავთ, რომ გადამწერმა ძველი ტექსტი გამოიყენა.

ტექსტს ძალიან საინტერესო ერთი ფურცელი აქვს. ეს არის ხანმეტი პალიმფსესტი, რომელიც H-1445 ფრაგმენტის მესამე ფურცელს წარმოადგენს. აღნიშნული პალიმფსეტი გამოიკვლია ს. სარჯველაძემ. ამ პალიმფსესტური ფრაგმენტის ქვედა უნის ტექსტებს იცნობდა და განიხილავდა პავლე ინგოროვა. ფურცლის ქვედა ფენა ნაწერია მეტად მსხვილი ასომთავრულით. იგი უნდა დათარიღდეს არა უგვიანეს VII საუკუნისა. ტექსტი წარმოადგენს იოანეს სახარების მე-20 თავის 19-25 მუხლების საკითხავს. საკითხავი იოანეს სახარებიდან დასტურდება ხანმეტი, ლატალის, კალის და სინის ლექციონარებში. საკითხავი აღვსების, ანუ აღფორმის დღესასწაულზე იყითხებოდა. ს. სარჯველაძის მიერ ამოკითხულ პალიმფსესტის ამ მონაცემთში ხუთი ხანმეტი ზმის ფორმა დასტურდება: ხიყო, ხიყვნეს, ხესმა, ხრქუა და შთაბერა. ხელნაწერის მეორედ გამოყენებისას ჩამოჭრილია მეორე სვეტის მარჯვენა ნაწილი, რომელშიც პირველ-მეორე სტრიქონებზე აღდგება კიდევ ერთი ხანმეტი ფორმა — ხუჩუნა.

პირველი სვეტის დღეს არსებულ მე-8 სტრიქონზე მკვლევარი აღადგენს ზმას — ხიყვნეს (ს. სარჯველაძე, 2009, გვ. 215-228).

ამრიგად, დადეშქელინისეული სახარების არსებული ფრაგმენტები Q783 და H1445 საინტერესო სურათს ქმნიან თავიანთი წარმომავლობით. ერთი რამ უდავოა: ჩვენ მიერ განხილული ფრაგმენტებიდან ერთი მეორის ნაწილია, აგსებს H-1445-ს და წარმომავლენის უქმნის მკითხველს დადეშქელინის ბიბლიოთეკაში საუკუნის წინ დაცულ სახარებაზე, რომელიც სულიერი საზრდო უნდა ყოფილიყო თავისი მფლობელისა და მისი ოჯახის წევრებისათვის.

დამოწმებული ლიტერატურა

აღწერილობა, 1948 — ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფ. მუზეუმის ხელნაწერების (ჩელექცია), პ. კეკელიძის საერთო რედაქციით, ტ. III, თბ., 1948.

აღწერილობა, 1958 — ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. II, თბ., 1958.

ს. სარჯველაძე, 2009 — ს. სარჯველაძე, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ორი ხანმეტი პალიმფსესტური ფრაგმენტის შესახებ, ენათმეცნიერების საკითხები 1-2, 2009.

აკ. შანიძე, 1945 — აკ. შანიძე, ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, თბ., 1945.

დ. ჩიტუნაშვილი, 2017 — დ. ჩიტუნაშვილი, ლ. ქაჯაია, ხ. გაფრინდაშვილი... ქართული პალიმფსესტი ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, კატალოგები, ტექსტები, აღბომი, თბ., 2017.

ხეც ცინცაძის არქივი — ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კალისტრატე ცინცაძის არქ. N108.

LELA SHATIRISHVILI**FRAGMENTS OF THE GOSPEL FROM THE PRIVATE ARCHIVE OF
DADESHKELIANI KEPT IN THE NATIONAL CENTRE
OF MANUSCRIPTS**

The collection of the museum and a new fund (Q) of the former historical ethnographic society (H) of the Georgian national centre of manuscripts keep the two fragments on parchment from Gospel of Luke (10-12th centuries). The interest to them was aroused by the copy of the letter sent by Kalistrat Tsintsadze to Akaki Shanidze in 1943, concerning the Gospel taken apart into three papers each from the palace of Dadianis' in the 1910s.

Among the reconsidered fragments of the existing Gospels the attention was focused on Q-783, and the exploration for finding similar parts revealed 6 pages of the same Gospel, enclosed under H-1445. The fragments were identified on the basis of the paleographical and textological factors. Q-783 appears to be the central part of H-1445.

Parts of the paper fragments are palimpsests. The lower layer of the three belongs to the 10th century, and that of the fourth is a “khan-meti” („khan“-prevailed) text of the 7th century, including the scripture of the articles 19-25 of Chapter 20 of John.

The copy used as an original one is replete with old scripts. The fragments attract attention in codicological and textological respects.

ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის წელიწლეული
ANNUAL OF KUTAISI PUBLIC LIBRARY

IX

2017

რევაზ შეროზია

**სვანერ და მეგრულ-ლაგურ მეტყველებები ძირის
ერთიანობისა და საქონისათვის**

ქართველური საისტორიო მწერლობის მიხედვით ბოლო 24 საუკუნის მანძილზე ქართველი ერი მთლიანობას ინარჩუნებდა ძნელბედობის პირობებშიც, გამამთლიანებელი კი ენობრივი სისტემა იყო, მიუხედავად მისი სამეტყველო რეალიზების მრავალფეროვნებისა. ახალი წელთაღრიცხვის პირველივე საუკუნიდან ერის ერთიანობას ასევე იცავდა ჩვენში დამკვიდრებული ქრისტიანული რელიგია.

ქართველური საეკლესიო და საერო მწერლობის ენისა და მემატიანების მონათხრობთა ანალიზი საშუალებას გვაძლევს გარკვეული დასკვნები გამოვიტანოთ. უპირველესად ეს გულისხმობს ენობრივი სისტემის სტრუქტურულ ნაწილთა სახეცვლილად გამოყენების საკითხს სხვადასხვა ქართველურ მეტყველებში. უფრო სწორად ამ ცვლილებების კვალიფიცირებას.

გასული საუკუნის მანძილზე ქართველმა და უცხოულმა ენათმეცნიერებმა დიდი და საინტერესო მუშაობა ჩაატარეს. თუმცა, არაიშვიათად დასკვნები კეთდებოდა თეორიული მოსაზრებების მიხედვით და არა სათანადო ლინგვისტური მასალის გათვალისწინებით. რამდენიმე მაგალითის დასახელებაც საკმარისია: 1. არ იყო შესწავლილი ლაზური და მეგრული მეტყველებები და ისე გამოცხადდა ისინი სხვადასხვა ენობრივ ერთეულებად 2. ასევე, სვანური მეტყველება დასახელდა ისინია რიგის ენად და დაუბირისპირდა მეგრულს, როგორც შიშინა რიგის ენას. 3. გ. დეეტერსის სქემა შემუშვდა ისე, რომ სანახევროლაც არ იყო შესწავლილი დიალექტური მონაცემები. 4. ისტორიკოსებმა ენობრივი მასალის გაუთვალისწინებლად მე-10 საუკუნემდელი დასავლეთ საქართველოს საეკლესიო (და საეროც) ენად ბერძნული გამოაცხადეს, რომელიც თურქები მერე შეიცვალა “ქართიზაციის” შედეგად. სინამდვილეში კი დასავლეთ საქართველო იცავდა ქართველურ ენასა და ამ ენობრივი “შოთლხედვით” შექმნილ თუ შესაქმნელ კულტურას. საუკუნეების განმავლობაში სვანეთი და სამეგრელო-ლაზეთი იყო თავშესაფარი ყოველივე ქართველურისა.

არნ. ჩიქობავს დაბირისპირება გ. დეეტერსის სქემისადმი მოულოდნელი არ ყოფილა. მან კარგად დაინახა სვანური და ზანური მეტყველებების უფრო ჟეტი სიხლოვე, ვიდრე სვანური და ქართული მეტყველებისა, ან ზანურისა და ქართულისა. მიუხედავად ამ სწორი თვალსაზრისის არსებობისა, ეტიმოლოგიური ძიებების დროს მკვლევრები გ. დეეტერსის სქემას მისდევდნენ. ამან წარმოშვა საკმაო რაოდენობის ცდომილებები კონკრეტულ ძირებთან მიმართებაში. ასევე, თეორია “ქართული-ზანური” და “საერთოქართველური” დონეების არსებობისა. ამ თეორიის უარსაყოფად იქმარებდა უძველესი ბრუნვის, ნათესაობითის ნიშნის თანხმოვანი ნაწილის გახსენება სვანურსა და მეგრულ-ლაზურში.

მხოლოდ ერთი ლექსიკონის, ვ. თოფურიას და მ. ქალდანის მიერ შედგენილის, მიხედვით, სვანურსა და მეგრულ-ლაზურ მეტყველებებს შორის

ერთგვარი გახმოვანების სამასზე მეტი ძირი გამოვლინდა. სამუშაო ჭერ დასრულებული არ არის, მაგრამ არსებული მასალის ანალიზი სავსებით ადასტურებს არნ. ჩიქობავას თვალსაზრისს.

ქვემოთ წარმოვადგენთ მასალის ნაწილს. ძირები დაყოფილია სამ ჭვეულად:

1. როცა მკვლევართა მიერ სვანური ფორმებიც არის მოხმობილი;
2. როცა სვანურის (ზოგჯერ მეგრულ-ლაზურის) მონაცემები არ ჩანს;
3. როცა სვანური ძირი ნასესხობად არის გამოცხადებული. პირველი ჭვეულის მასალა ამჯერად არ იქნება განხილული. შევეხები მეორე და მესამე ჭვეულის ფორმებს.

ეტიმოლოგიურ ლექსიკონებში მეორე ჭვეულის ძირთა არქონა ორი მიზეზით შეიძლება აიხსნას: 1. მკვლევარი მათ არ იცნობს ან: 2. ისინი ნასესხობად არის მიჩნეული. თუმცა, ამ შემთხვევაში საჭირო იყო ამის აღნიშვნა:

ააწოლი(ლნტ.) - ზვინს ადგამს ხეზე. ამავე ძირისა უნდა იყოს ტოპონიმი **ჰაწუ ალი** - სათიბი, საზვინე ადგილი. ხოლო მისი გაფშვინვიერებული ვარიანტი ჩანს **ხ-ანცელი, ხ-ანცო ლე** - აგებს, წამოაცვამს, აასხამს. **ანწალა** დამოწმებული აქვს სულხან-საბას: “(ბალ.) წვრილი ბრჩა მაღალი”. ხოლო **ბრჩა**, მისივე განმარტებით, არის “ერთბამად ძნეული მდგარი. ნ.ზვინი”. **ანწალა** დასტურდება მეგრულ მეტყველებაშიც და იმავე აღნიშნავს, რასაც სვანურში.

ანტუუ - ყლაპაკს. შესატყვისი ფორმაა მეგრულში **ტყვილუნს** - ფიდი ლუქმებით, მაღიანად ჭამს. ქართულ მეტყველებაში მას ფუძედრეკადი **ტყვილებს-ტყვილიბა** ზმნა შეესაბამება.

აწკოტე/აწკგბე, ოთწატ - აწყობს (შეშას, ქვებს ერთმანეთზე). მეგრულში საქმის სუფთად, ლამაზად შესრულება აღინიშნება **წკანტ** ძირით, - წკანტუნს გულმრმდგინედ, სუფთად აკეთებს.

ამავე რიგის ფორმებია: **გარჯლარ** - ტკიბა, მეგრული **გგრჯლი; გგრდლა** **ბ** - **ბალლინჯო, მეგრული გგრდლი; გა ჭა** - გაძლება, ამტანობა, მეგრული **აჭდო გაჭით** - აჩქარებულად, მაგრამ ქოშინით სიარული. ძირი აქ ჭ უნდა იყოს, რაც სალიტერატურო **ჭირ** ძირიან ფორმებში გვაქვს (გაჭირვება). **გ ა უ** - ზარალი (ნათესისა), მეგრული **გავ-ალი** ამავე მნიშვნელობისაა. **გამ-** სამაგიერო, შედგენილობითა და მნიშვნელობით მეგრული (თიშ)გამათ ფორმის იდენტურია, რაც სალიტერატუროს **გამო** თანდებულის ფარდია. **ლი-ჩაჩე-** დაფშვნა ფუძეში **ჩაჩ** ძირი გამოიყოფა, რომელიც მეორდება მეგრულშიც. შეპირისპირება **ნა-მცუეცი(ნა-მ-ცეცი-ი)**: **ჩაჩ-უ-ა** ცეხვა გ. კლიმოვს ექუთვნის, რასაც ჰ. ფერნიხი და ზ. სარჯველაძე იზიარებენ. შეპირისპირებაში სვანური ფორმა არ ჩანს. გარდა ამისა, **ჩაჩ** ძირს ქართულ მეტყველებაში **ჩეჩ-გ-ა** შეესატყვისება, ხოლო სალიტერატურო **ცუცი** ძირს მეგრულის **ცვაც-უ-ა** უპიროსპირდება (**ცვაცუნს** მცირედ, ნამცეცად ჭამს).

მეორე რიგის მსგავსი მაგალითები საკმაოდ ბევრია. საყურადღებოა, რომ მათ შორისაა ნაცვალსახელური **მინ** - თვითონ, ისინი, ზმნისართული **თაგ - თაგდ** - აქა - იქ, **ეშ** - ისე, **ეში - აშ** - აქეთ - იქით, **ეში - ეში** მაინცდამაინც ფორმები, რომლებიც მსგავსად გამოიყენებიან მეგრულში.

მესამე ჭვეულის მცირე ნაწილი ძირებისა ქართულიდან ნასესხებად არის მიჩნეული, აბსოლუტური უმრავლესობა - კი მეგრულიდან. ეს ფაქტიც მიუთითებს სვანურ-ზანურის ერთგვარობაზე. რას ნიშნავს “ნასესხები” ერთი ენობრივი სისტემის ფარგლებში?! მაგალითად, ერთი მცენარის სახელწოდება გვიმრა,

გვიმარა, გუ იმბრა ფორმებით არის მოცემული. ახსნა კი ასეთია: “ქართული გუ იმრა ფუძის შესატყვისი შესაძლოა იყოს მეგრული გვიმრა. გიუმრა/გუამრა ფორმები მეგრულში ქართულიდანაა შეთვისებული. სვანური გუ იმბრა, გურიმბ ქართულიდან ნესესხები ჩანს” (ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, 2000, გვ. 144).

სვანურში ასევე ნასესხობად არის ჩათვლილი **ბგრგნი**, ოღონდ, ამჯერად მეგრულიდან (იქვე, გვ. 116) - ბურგონი ბრაგუნი, ხმაური. ასეთი მაგალითები ბევრია. კითხვა დაისმის: რა უშლის ხელს მსგავსი ფორმების საერთოქართველურ მონაცემებად კვალიფიცირებას? ან რამდენად მართებულია, როცა აღნიშნულ უმოთხვევებს ფანჯარა ტიპის ნასესხობებს ვუტოლებთ? საკითხი დაფიქრებას მოითხოვს.

დასკვნის სახით კი უნდა ითქვას: ჩვენს ხელთ არსებული საენათმეცნიერო ნაშრომების, საეკლესიო და საერო ლიტერატურის, მემატიკანეთა მონათხრობების შეჯერებული ანალიზი საშუალებას მაძლევს, ვილაპარაკო ქართველთა ერთ ენობრივ სისტემასა და მის ორ ძირითად სამეტყველო ვარიანტზე - დასავლურ ქართველურსა და აღმოსავლურ ქართველურზე. ქართველი ერის სააზროვნო ენობრივი სისტემის სხვაგვარ დაყოფას, ვფიქრობ, არც ლინგვისტური და არც ისტორიულ-კულტურული საფუძველი გააჩნია.

დამოწმებული ლიტერატურა

სულხან-საბა ორბელიანი, 1966 – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, 1966.

ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, 2000 – ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, 2000.

R. SHEROZIA

ON THE ISSUE OF STEM INTER-RELATIONS IN SVANETIAN AND MENGRELIAN-LAZI SPEECHES

The article deals with the issue of stems of Kartvelian languages on the data of Svanetian-Mengrelian-Lazi speeches. It offers the analyses of mistakes made while etymological researches.

ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის წელიწლეული
ANNUAL OF KUTAISI PUBLIC LIBRARY

IX

2017

იზა ჩანტლაძე
თამარ მელაძე

**სვანეთის მიზონებები მავლევარი
(ევლობა პოეზიისა – გუგუშვილი)**

აყადემიკოსი **ნიკო მარი** სულ ოთხერ (1910-1914წ.) ესტუმრა სვანეთს, მაგრამ მომავალ თაობებს დაგვიტოვა არა მარტო უბრწყინვალესი ნაშრომები ქართველურ ენათა და ქართული კულტურის შესახებ (**სამწუხაროდ, ზოგი მათგანი დღემდე დაუსტამბავიც კია!**), არამედ უდიდესმა მეცნიერმა შექმნა შესანიშნავი ეთნოლინგვისტური სკოლა უნიჭიერეს ქართველოლოგთაგან. საკმარისია გავიხსენოთ კარპეზ დონდუას, იოსებ ყიფშიძის, იოსებ მეგრელიძის, შოთა ძიძიგურისა და მოსე ჭანაშვილის ღვაწლი (არც ამ უკანასკნელის „ქართველური სიტყვარია“ გამოქვეყნებული, რომლის ხელნაწერიდან ამოკრებილი მნიშვნელოვანი ეტიმოლოგიები დიდი ხანა გაზიარებულია ცნობილ სპეციალისტთა მიერ), რომ ნათელი წარმოდგენა შეგვექმნას მის მოწაფებზე, მიუხედავად ზოგი წინააღმდეგობრივი თვალსაზრისისა.

„სვანეთში ყოფნისას დანარჩენი სამყაროდან მაშორებდა არა მარტო კავკასიის მაღალი ქედები, მნელად გადასასვლელი ულელტეხილები და ლრმა ხეობები, არამედ კულტურის ათასწლეულები... თავს ვგრძნობდი „ურარტულთა“ ეპოქის წარმართული კულტურის ატმოსფეროში“ – წერდა ნ. მარი ("Из поездок в Сванию", С.-Пб., 1913). საოცრად შეზღუდული დროის პატრონმა ცხენით მოიარა „კავკასიის შვეიცარია – ღარიბი, მაგრამ რელიგიური დღესასწაულებით აღსასე სვანეთი“ და ზოგერ ამხედრებულიც კი აფიქსირებდა ძველ ხალხურ სიმღერებს, ძვირფასი წუთები რომ არ დაეკარგა. ის ძალიან დაუახლოვდა თავის უერთგულეს მასპინძლებს – ყოველთა სვანთა ეკლესიების ნეტარ მამად შერაცხულ ბლალობინს ბესარიონ ნიუარაძეს (ზემო სვანეთი) და სოფელ სასაშის (ქვემო სვანეთი) მღვდელს არსენ ონიანს, რომლებიც იმხანად თავიანთ მიერვე დაარსებულ ოთხლასიან სკოლებში მასწავლებლობდნენ (ნ. მარის სვანეთში ყოფნის დროს ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილი ქართულადაც ვერ მეტყველებდა, რუსულის მცოდნე კი სანთლით იყო საძებარი).

დიდმა მეცნიერმა უმძიმეს პირობებში მოახერხა ა. ონიანის ეთნოგრაფიული ჩანაწერების, სვანური სიმღერების, ზღაპრების, იგავარაკების, შელოცვებისა და მცირე ბოტანიკური ლექსიკონის გამოცემა 1917 წლის რევოლუციური ცეცხლისასან აელვარებულ პეტროგრადში, მაგრამ ბ. ნიუარაძის მიერ 1879-1884 წლების მანძილზე შეკრებილი სიმღერების ტექსტებს, რომელთა გამოცემასაც თავის აკადემიკოს 1914 წლის აგვისტოში შეპარდა რუსეთის საიმპერატორო აკადემია, ჩვენ ვერსად მივაკვლიერ (შესაბამისი ხელნაწერი რექტორის – ნ. მარის ჩასწორებებითურთ ახლაც დაცულია პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში).

ასე რომ, ჩვენ დიდ ვალში ვართ ნ. მარისა და მისი მოწაფეებისა თუ საგანი მასპინძლების წინაშე. ერთ-ერთი მათგანია პეტროგრადის უნივერსიტეტის ეთნოგრაფიის სპეციალობის სტუდენტი ევდოქია კოშევნიკოვა, რომელიც მასწავლებლის ჩევითა და მისივე ნაჩუქარი ფოტოაბარატით საწარმო-საველე პრაქტიკის გასავლელად 1927 წლის ზაფხულს გაემგზავრა სვანეთში, რაღაც 6. მარს უთქვების: თუ გრძადა, ნამდვილი ეთნოლოგი გახდე, აუცილებლად უნდა წახვიდე სვანეთში და სვანური ენაც ისწავლოო. ორიენტალისტი მამის, მანჯურიის დესპანის — ინოკენტი კოშევნიკოვის ქალიშვილს, რაღა თქმა უნდა, შეეძლო ფუფუნებაში ეცხოვრა, მაგრამ დამხედური ხალხის უძველესმა ტრადიციებმა, გულლია სტუმართმოყვარეობამ და არაერთმა უფაქიზესმა ეთნოგრაფიულმა ადათ-წესმა საოცრად მოხიბლა ევროპული სტილის ქალაქებში აღზრდილი გოგონა და უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მან თხოვნით მიმართა ჩექტორს სუბსიდიების გამოხატოფად სვანეთში ერთწლიანი გიგლინებისთვის.

...აქვე გავინისენებთ ერთ ფაქტსაც: ჩვენი თაობის სტუდენტებს, ასპირანტებსა და მეცნიერ-თანამშრომლებს მხოლოდ ერთი თვით გვიშვებდნენ ველზე სამუშაოდ (სახელმწიფოს მეტი სახსრები არ ჰქონდა!), აგადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა (ჩვენი უსაყვარლესი მოძღვართმოძღვარი და აკადემიკოს ნიკო მარის უდიდესი დამფახებელი, მიუხედავად ზოგადლინგვისტურ და ეტიმოლოგიურ პრობლემებში აზრთა დიდი წინააღმდეგობისა) კი სულ წუხდა: ნეტავ შეიძლებოდეს ყოველ წელს სვანეთში 11 თვეს მუშაობდეთ, ხოლო ინსტიტუტში მხოლოდ ერთ თვეს და არა ისე, როგორც ახლა ხდებაო... .

კვლავ დაადგა ევდოკია სვანეთის უშუქო, საშიშ, ნარეკლიან გზას და ამჯერად ხან იფარ-უშებულში, ხან მესტია-მულაბში და ხანაც ლატალ-ბეჩოში ცხოვრობდა. სვანებმა ისე შეიყვარეს კლიმატურად ცივი ქვეყნიდან ჩამოსული საოცრად თბილი გოგონა, რომ მას სახელად დანა („ქალიშვილი, გოგო“) შეარქვეს და ასეც იხსენებდნენ გარდაცვალებამდე (1970).

ევდოკია (დანა) კოშევნიკოვამ დაგვიტოვა სხვადასხვა უამრავი ტექსტი (12000 ფურცელი) და ეთნოგრაფიული ყოფის ამსახველი არაჩვეულებრივი ფორმამასალა (3 ალბომი). მათზე, ძირითადად, წარმოდგენილია: სვანური რელიგიური დღესასწაულები, ზღაპრები, ძველი ხალხური სიმღერები, სხვადასხვა ლექსიკური ერთეულები, სახელისა თუ ზმის პარადიგმები.. ზოგჯერ ტექსტები თარგმნილიცაა (ხან რუსულად, ხანაც ქართულად). ჩანაწერები გარდასული ყოფის ამსახველ არაერთ მონაცემს გვაწვდიან. მეტად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ყველაფერი, რაც მათშია მოთხრობილი, უშუალოდ ეთნოლინგვისტის თვალწინ ხდებოდა და მოქმედების პროცესში ფიქსირდებოდა. მასალები შეკრებილია საქმის ლრმა ცოდნით, კეთილსინდისიერებით, მაღალნიჭიერებით, რაც მათ ლირებულებას განუსაზღვრელს ხდის.

ქალბატონი ევდოკია წლების მანძილზე ცხოვრობდა სვანეთში და ახლადდაარსებული (1936წ.) მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელიც კი გახლდათ. აქვე დაოჭახდა კიდეც – ცოლად გაჰყვა თბილისელ გეოლოგს ივანე გუგუშვილს და საბოლოოდ საქართველოს დედაქალაქში დასახლდა.

დინა კოუევნიკოვა 1927 წელს ცხოვრიბდა სოფელ ნაკიფარში, კესა და ბესარიონ პირველების ოჯახში. ეს ის კესა პირველია, რომლისგანაც 1926 წელს ვარლამ თოფურიამ ჩაიწერა თამარ მეფისადმი მიძღვნილი საგალობლის (**თამარ დედფილი**) ყველაზე ვრცელი ვარიანტი და ორი ზღაპარი (სამივე ტექსტი გამოქვეყნებულია “სვანური პოეზიისა” — გვ. 4 და “სვანური პროზაული ტექსტების” — გვ. 198-199 პირველ ტომებში). მოსალოდნელია, რომ ქალბატონი ევდოქია კარგად იცნობდა ბატონ ვარლამს. მას ეგნატე გაბლიანისგანაც აქვს ჩაწერილი ზღაპარები და, რაც მთავარია, ახლო ურთიერთობა ჰქონია მიხეილ კალატოზიშვილის ფილმის **ჯიბ შეჟანთე** (“მარილი სვანეთში”) სცენარის ავტორთან სერგეი ტრეტიაკოვთან. ამიტომ შესაძლებელია, ის ამ ფილმის ეთნოკონსულტანტიც იყო და ე.წ. “მასიურ სცენებშიც” მონაწილეობდა, როგორც მსახიობი.

იმ დროისათვის ითარში რუსული ენა იცოდა მხოლოდ იქაური ოთხწლედის მასწავლებელმა გერასიმე გულბანმა, რომელმაც 1923-24 წლებში აკაკი შანიძის დავალებით ჩაწერა სხვადასხვა სვანური ტექსტი 198 გვერდის მოცულობით (დღემდე გამოუცემელია და ინახება საქართველოს სახელმწიფო არქივის შანიძისეულ ფონდში). მისგან ვ. თოფურიასაც და ე. კოუევნიკოვასაც ჩაწერილი აქვთ ერთი და იმავე სიმღერის (**უშეულას გახდეუაუარე** “უშეულში ახალგაზრდები”) ტექსტი, რაც იძლევა შესაძლებლობას ფიქსაციის დროის ერთი წლის ხანგრძლივობით დაშორებული ვარიანტების ურთიერთშედარებისა.

როგორც ჩანს, ზოგჯერ ძველ სვანურ სიმღერებს ქალბატონი ევდოკია ხელით იწერდა მათი შესრულების დროსაც, რის გამოც მან შენიშვნა მიიღო ჩვენი სასიქადულო კომპოზიტორის — ლიმიტრი არაყიშვილისაგან. ნ. მარის მოწაფე 1926-1947 წლებში (პერიოდულად!) მუშაობდა სვანეთში, მაგრამ ვერასძროს მოიპოვა სიმღერის ჩამწერი ვერანაირი ტექნიკური საშუალება, თუმცა მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ე. კოუევნიკოვას მხედველობიდან არ გამორჩენია მხოლოდ მუსიკალური რიტმის დასაცავად შექმნილი (თუმცა ცოცხალი მეტყველებისთვის სრულიად განსხვავებული ფორმით ცნობილი) ლექსემებიც კი: **აბიკარი** (“აბჭარი”), **ზურიჩია** (“ზური-მეორის რეინის ქული”), **ატილასი** (“ატლასი”), **ხეშინაური** (“ხექთარი”), **გარიგლიტზ** (“მარგალიტის”), **ზექიმარი** (“ზაღები”), **ლუნიქთოუე** (“მონქროვილი”), **ლგშიგ’პდე** (“მოკედილი”) და ა.შ.

მასალები ევდოკია კოუევნიკოვას სვანეთში საუკუნის წინანდელი მოღაწეობის შესახებ 1987 წლიდანად დაცული სიმონ ჭანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქივში. ნიკო მარის მოწაფის ლვაწლს თავის დროზე გარკვეული შეფასება მიეცა “ეთნოლოგიური ძიებანის” II ტომში (2003წ.) ეთნოგრაფიის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომლის მანანა ხიზანიშვილის სტატიის სახით (გვ. 195-200). 2017 წლის 2 ნოემბრიდან 2018 წლის 15 თებერვლამდე მესტიაში, სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩომ და საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა მოაწყვეს ედუარდ შერიფ კურტისისა (ჩრდილოეთ ამერიკის აბორიგენი მოსახლეობის კულტურის გამოჩენილი მკვლევარი) და ევდოკია კოუევნიკოვას ნამუშევართა გამოფენა “შიწიერი და საკრალური სამყარო”, რომელსაც გამოეხმაურნენ Liverpress.ge თავის WS-ზე და გაზეთი “კვირის პალიტრა” (18-24 დეკემბერი, 2017წ.).

რაც შეეხება ზემოაღნიშნული მასალების ლინგვისტურ ანალიზს, სამწუხაროდ, ჯერჯერობით სრულიად არაფერია გაკეთებული. ე. კოუენიკოვას არქივის მხოლოდ რამდენიმე დოკუმენტის გაცნობის შემდგომ თავი იჩინა სვანური ტექსტების ტრანსლიტერაციის ერთმა საკითხმა, ამიტომ ამჯერად მარტოოდენ მასზე ვიმსჯელებთ:

აკაკი შანიძე და ნიკო მარი ვერ შეთანხმდნენ საუმლაუტო პოზიციაში მყოფი ა ხმოვნისა და მის წინამდებარე უკანაენისმიერ თანხმოვანთა ტრანსლიტერაციის თაობაზე, ანუ იმის შესახებ, თუ რომელი დაწერილობა იქნებოდა ზუსტი ფონოლოგიური თვალსაზრისით — **გჟა** (“დანა”), **ქჟა** (“კანაფი”), **ხერსეჭან** (“არჩვი”) /**გჟაჩ**, **ქჟან**, **ხერსეჭან** თუ **გჟა**, **ქჟა**, **ხერსეჭან**.

6. მარმა თავის “Извлечение изъ сванско-русского словаря”- ში (Петроградъ, 1922) უკანაენისმიერ ფონემათა შემცველი 15 ლექსემა გაანალიზა (სხვადასხვა გრამატიკული თუ დერივაციული ფორმით!), მაგრამ არსად გამოუყენებია უმლაუტის სიმბოლო (ორი წერტილი), სამაგიროდ, ყველგან აღნიშნა იოტაცია (**ა** გრაფემა **გჟა** - ს მომდევნო პოზიციაში), ა. შანიძემ კი — პირიქით, მხოლოდ უმლაუტი გვიჩვენა (გუტურალთა შემდეგ პალატალი **ჸ**-ნის წინ იოტაცია ყველგან და ყოველთვის თავისთავად და უთუოდ იგულისხმებაო — “უმლაუტი სვანურში”, 1925/1981, გვ. 324), ნ. მარს კი “კურნაჭის დაწურვა და აქლემის შთანთქმა” უსაყვედურა. ჩვენ ადრე (ი. ჩანტლაძე 2012, გვ. 56) შევეხეთ ამ საკითხს და დავიკავეთ ერთგვარად შემრიგებლობითი (ამასთანავე, გარკვეულ ფონოლოგიურ მოვლენათა უფრო ზუსტად ამსახველი) პოზიცია — ალვნიშნეთ როგორც პალატალიზაცია, ისე იოტიზაცია, ოლონდ, რაკილა პირველი მათგანი ამ შემთხვევაში წამყვანი პროცესია (სწორედ ის იწვევს უკანაენისმიერ თანხმოვანთა იოტიზაციას!), ამიტომ პირველ რიგში უნდა წარმოვადგინოთ უმლაუტი, იოტიზაცია კი გამოვხატოთ **გჟა** ფონემათა თავზე (მარჯვნივ, - **ჸ** - მდგ!) **ა** სიმბოლოს (საერთაშორისო ტრანსკრიფციით **ჸ**) დასმით, მით უფრო, რომ ევროპელი და ამერიკელი ეთნოლინგვისტები სწორედ ამ ხერხს გვთავაზობენ. სიამოვნებით გვინდა ალვნიშნოთ, რომ ე. კოუენიკოვაც თურმე ასე იქცეოდა, თუმცა თავისი მასწავლებლისგან განსხვავებულად (**ლგშეჭან** “მოჭედილი”, **უილაახაგ ჸნე** “მიადგნენ”, **ხოგ ჸნდა** “უდგამდა”, **სგვმშეხანი** “შიგნიდანაც”... უფრო ხშირად უწერტილო რუსული ა. რომელიც მაშინდელი ორთოგრაფიით **ოთტას** შეესაბამება, უკანაენისმიერი თანხმოვნის მარჯვნივ კი არის დასმული, ოლონდ — დაბლა: **ტაბგაჟა** “მაგიდები”, **გ,ჟა** “დანა”, **გ,ჟარგლის** “ლაპარაკობენ”, **ლილმესგაჟლი** “ცეცხლის ნოება”,... ზოგჯერ ქალბატონი ევლოვია პალატალური **ჸ** ხმოვნის წინა პოზიციაში მდებარე ნარნარა **ლუსაც** უკეთებს ა სიმბოლოს სილბოს აღსანიშნავად (**ლ,ჸნშან** “სანიშნო, ნიშანი”, **ლიცინგილ, ჸლ** “მეზღაპრეობა”...), რაც აშკარად მასწავლებლის წინასწარი იმსტრუქტაჟისა თუ მისი ლექციების დიდი ყურადღებით მოსმენის შედეგია. იშვიათად, მაგრამ მაინც, ნ. მარიც იყენებს ანალოგიურ ხერხს პალატალური ხმოვნის წინა პოზიციაში (**კალმურ** “дикий кабань” შედრ. **კალმურ** – Извлечение..., გვ. 16).

როცა ე. კოუენიკოვა სვანეთში მუშაობდა, ამ დროისათვის გამოქვეყნებული არ გახლდათ სვანეთისა და სვანური ენისაღმი მიძღვნილი ნ.

e

№

უ

მარის ყველა ნაშრომი; უფრო მეტიც, მისი “Сванские глаголи” (1911, გვ. 1-1517), “Грамматика сванского языка сравнитель-но с языками сибирянской группы” (1912, გვ. 1-481) და “Русско-сванский словарь” (1916, გვ. 1-96) დღემდე ხელუხლებლად დევს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სანკტ-პეტერბურგის განყოფილების არქივში (ფონდი 800).* გარდა ამისა, ვფიქრობთ, რომ მან, ბ. ნიუარაძესა და ა. ონიანთან ერთად, შეაღგინა დიდი სვანურ-რუსული ლექსიკონიც, სხვა შემთხვევაში თავის 39 გვერდიან ნაღვაში “Извлечение”—ს ვერ დაარქმევდა... ისიც გასაოცარია, რომ ვ. თოფურიამ თავისი სადოქტორო დისერტაციის დაცვის დროს, 1935 წლის 5 აგვისტოს, შესავალ სიტყვაში შემდეგი რამ თქვა: “აკად. ნიკო მარის, სვანურის კარგ მცოდნეს და მისთვის დიდი ამაგის დამდებს ტექსტების გამოქვეყნებით, ლექსიკონის შედგენითა და სახელმძღვანელო წერილების დახმატებით, გრამატიკული მიმოხილვა არ მოუცია” (ვ. თოფურია, 2002, გვ. 296).

აუცილებელია ევდოკიას კოჟევნიკოვას ტექსტობრივი და ფოტომასალების გამოწვლილვით შესწავლა ეთნოლინგვისტური თვალსაზრისით, მით უფრო, რომ მას ერთ-ერთი სამეცნიერო საბჭოს წინაშე 1951 წელს საღისერტაციო თემის შერჩევა-დამტკიცებაც კი უთხოვია თბილისში, თუმცა სულაც არაა გასაკვირი, რომ ბედმა არ გაულიმა — 1950 წლის 9 მაისს საენათმეცნიერო დისკუსია უკვე ჩატარებული იყო მოსკოვში და აკადემიკოს ნიკო მარის მოწაფეებს მუშაობის შესაძლებლობა შეეზღუდათ.

ჩვენი მოვალეობაა ღირსეულ წინაპართა ღვაწლის ჯეროვანი დაფასება — მათი ნაშრომების პუბლიკაციაზე ზრუნვა.

დამოწმებული ლიტერატურა

- ა. ბიჭიკაშვილი, მ. ბაბუნაძია, 2004** — ი. ბიჭიკაშვილი, მ. ბაბუნაძია, აკადემიკოს ნიკო მარის ნახეჭდი ბიბლიოგრაფია, თბ., 2004.
- ვ. თოფურია, 2002** — ვ. თოფურია, შრომები, თ. II, თბ., 2002.
- 6. მარი, 1822** - Н. Я. Mapp, Извлечение изъ сванско-русского словаря, Петроград, 1822.
- 6. მარი, 1913** - Н. Я. Mapp, Из поездок в сванию, Христианский Восток, т. II, вып. I, С.-Пб., 1913.
- ა. შანიძე, 1925** — ა. შანიძე, უმლაუტი სვანურში, “არილი” — ივანე ჯავახიშვილისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კრებული, ტფ., 1925.
- ო. ჩანტლაძე, 2012** — ი. ჩანტლაძე, ქართველური ლექსიკის ისტორიიდან, თბ., 2012.
- მ. ხიზანიშვილი** — მ. ხიზანიშვილი, ევდოკია კოჟევნიკოვა და მისი ეთნოგრაფიული ჩანაწერები, ეთნოლოგიური ძიებანი, II, თბ., 2003.

*ულრეს მადლობას მოვახსენებთ ბატონ იოსებ ბიჭიკაშვილს შესაბამისი ცნობების მოწოდებისათვის.

IZA CHANTLADZE, TAMAR MELADZE

THE FORGOTTEN RESEARCHER OF SVANETI (EVDOKIA KOJHEVNIKOVA-GUGUSHVILI)

Academican Nicholas Marr visited Svaneti four times (1910-1914), but he left not only the works about Georgian languages and culture, but he founded the ethno-linguistic school together with talented Georgian philologists. We can recall Karpez Dondua, Ioseb Kipshidze, Ioseb Megrelidze, Shota Dzidziguri, Mose marjanishvili (“Kartveluri Sityvari” written by the latter is not published, but the manuscripts taken from this work have long been shared by the famous specialists), to have the clear understanding on his students.

“During my travel in Svaneti I was distanced from the other parts of the world not only by high mountains, harsh ranges and deep valleys of Caucasus but the decades of culture ... I felt in the atmosphere of the pagan culture of “Urartu” epoch” - was written by Marr. (“Из поездок в Сванию”, С.-Пб., 1913). Despite being very short in time, he managed to travel “ Switzerland of Caucasus - Svaneti, poor but rich with religious celebrations” on a horse back, he even fixed the old folk songs while being on the horseback, in order not to lose the precious time.

He became very close to his hosts - blagochen Besarion Nijaradzethe - father of the Svanetian churches and the priest Arsen Oniani who were teaching in junior schools founded by themselves (in the times of N. Marr the part of locals couldn’t speak Georgian, not to mention Russian, Russian language speakers were very rare).

The significant scholar managed to publish the ethnographic notes of A. Oniani, also the Svanetian songs, tales, parables, incantations and small botanical dictionary in Petrograd 1917 which was in flames of revolution in that period, but we didn’t find the song lyrics collected by B. Nijaradze during 1879-1884 which was about to publish, as promised by the Russian imperial academy. (The relevant manuscript corrected by its editor N. Marr is still kept in St. Petersburg institute of oriental arts.

So we are in debt of N. Marr and his students or Svanetian hosts. One of them is Evdokia Kojhevnikova, student of the faculty of ethnography at Petrograd university, she went to Svaneti in 1927 for enterprise-field practice with the advice of her teacher and with his present - photo camera, as N. Marr said if she wanted to become the real ethnologist she should have go to Svaneti and study the language as well.

ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის წელიწლეული
ANNUAL OF KUTAISI PUBLIC LIBRARY

IX

2017

მერაბ ჩუხუა

-უშ-/შუ მარპერიანი მოქმედებითი ბრევზის აღგილისათვის სვანერში

სვანური ინსტრუმენტალისი ფუნქციით არ განსხვავდება სხვა ქართველური შესატყვისებისაგან, ამ ბრუნვის გამოყენება ძირითადად უკავშირდება მოქმედების იარაღის გამოხატვას.

ხმოვნის მომდევნო პოზიციაში სვანური მოქმედებითის ნიშანი -უშ ან -შუშუ (ალბათ, ასიმილაციით) ალომორფებითაა წარმოდგენილი: დინა-უშ (გზ. დინ-ოშ) “ქალიშვილით”, მაგრამ ხოხრა-უშუ “უმცროსით”. სხვა ზედსართავებში საყრდენ ფუძეს -ამ- ართულებს: ხოლო — *ხოლა-ამ-უშ →ხოლა-ამ-უშ “ცუდით”, ხოშა — *ხოშა-ამ-უშ → ხოშამ-უშ “უფროსით”...

თანხმოვნის მომდევნო პოზიციაში მოქმედებითი ბრუნვა, ჩვეულებრივ, -უშ თანმიმდევრობით გამოიხატება, თუმცა შეუძლებელი არ ჩანს შებრუნებული წყობის -უშ ალომორფის თავისუფალი მონაცვლეობაც; შდრ.: ჟპნ-უშ // ჟპნუშ “ხარით”, ბერგ-უშ // ბერგ-უშ “თოხით” (ალ. ონიანი 1998, გვ. 84; თ. შარაძენიძე 1961, გვ. 222).

რა წარმოშობისაა მოქმედებითი ბრუნვის -უშ/-უშ ნიშანი სვანურში?

ზოგი ავტორის აზრით, მოქმედებითი ბრუნვის ეს ფორმანტები ორი სხვადასხვა ნიშანის შერწყმის გზით არის მიღებული, კერძოდ, მიცემითისა და ნათესაობითის — ფუძე -უ (მიც. ბრ. 6.) + -შ (ნათ. ბრ. 6.) (ვ. თოფურია, 1944, გვ. 344; ზ. ჭუმბურიძე, 2007, გვ. 94-95). ამგვარი შესაძლებლობა სვანურისათვის არ ჩანს ბუნებრივი, ვინაიდან -უ-ს მომდევნო პოზიციაში თ-ს (resp. -ოშ) დაკარგვა სვანურის ფონეტიკას არ ახსიათებს. ამგვარი პროცესი უფრო ხმოვნის მომდევნო პოზიციაში ჩანს შესაძლებელი, ისიც არა ყველა დიალექტში. ასე რომ, აქ წარმოდგენილი ახსნა ვერ იქნება დამაკმაყოფილებელი.

უპერსპექტივოდ გვესახება ნათესაობითი ბრუნვის გავრცობილი სახეობისაგან — თ-შ+ა → -იშუ → -შუ-უშ დაშვებაც. მიუხედავად იმისა, რომ ა → უ ბუნებრივია სვანურში, ვერ ვხედავთ კვლავ -ი ხმოვნის გაუჩინარების საფუძველს და ა.შ.

ვერც იმას ვივარაუდებთ, რომ სვანური უ აქ ქართულ-ზანური თ-ს კანონზომიერი უდ/უტ რთული რეფლექსის გამარტივებული სახეობა იყოს შდ/უტ → უ. ამ დაშვებით აუხსნელი დაგვრჩება უ სეგმენტი, რომელიც ხან წინ, ხანაც მომდევნოდ სტაბილურია. სამეცნიერო ლიტერატურაში ამგვარ დაშვებას სპეციალური ნაშრომიც მიეძღვნა. გამოთქმულია ორიგინალური მოსაზრება იმის შესახებ, რომ სვანური ინსტრუმენტალისისეული -უ ნათესაობითის ბრუნვის ნაშთი კი არ არის, არამედ ოდინდელი შდ კომპლექსის გამარტივების შედეგია — უ → უ, რომელიც ქართულ-სვანურ ბეგრათშესატყვისობათა სისტემაში თ-ს ადგილს იკავებს (თაგვ-უდუგ...). ავტორის აზრით, ასეთი ვარაუდი საშუალებას იძლევა, თვალი მივადევნოთ იმ ცვლილებებს,

რომლებიც მოქმედებითი ბრუნვის ფორმანტმა განიცადა სვანურში იმ პირობით, რომ ამგვარი წარმომავლობის ინსტრუმენტალისი ეყრდნობა მიცემითი ბრუნვის ფუძეს, ანუ: *-უშ+შდ→უშ//შტ. უ-ს წარმოჩენა სვანური ბრუნების ყველა ტიპში არის შედეგი შემდგომი განზოგადებისა (გ. თოფურია, 1977, გვ. 113). მაგრამ აქვე ჩნდება მოქმედებითისეული ० ხმოვნის პრობლემა, რომლის დაკარგვის დაშვება, თანაც უკვალოდ, სვანურში შეუძლებელია (შდრ., გ. თოფურია, 1977, გვ. 113); ამდენად სვანური ფონეტიკა (და არც მორფოლოგია) არ იძლევა იმის საფუძველს, რომ მოქმედებითის -უშ//-შტ ფორმანტი ქართულ-ზანური - ით-ის თუნდაც რთულ შესატყვისად მივიჩიოთ. უპრიანი ჩანს, ვეძებოთ სხვა გზა -უშ//-შტ ბრუნვის ნიშანთა გენეზისის დასადგენად.

ჩვენი დაკვირვება ამ ვითარებაში ეყრდნობა სასესხით განსხვავებულ მიღვომას; ვფიქრობთ, სვანური -უშ//-შტ მორფების შესადარი (შესატყვისი) ქართულ-ზანურმა დაკარგა, მხოლოდ სვანური ინახავს საერთოქართველური ფუძე-ენიდან მომდინარე ბრუნვის ნიშანს, რომელიც ქართულ-ზანურში სხვა ბრუნვას შეეწყო. ამგვარი მიღვომის მართებულობას ამტკიცებს მონათესავე იბერიულ-კავკასიურ ენათა მასალა, სადაც ნათლად წარმოჩნდება სვანური -უშ//-შტ ფორმანტების კანონზომიერი ფუნქციურ-მატერიალური შესატყვისები. ასეთი ჩანს, უპირველეს ყოვლისა, ბასკური ენის ინსტრუმენტალისი; შდრ.:

სახ. გისონ-ა
ერგ. გისონ-ა-ქ
ინსტ. გისონ-ა-ს “კაცით”

სვანურ-ბასყურის შესატყვისი გამოჩნდება დალესტნურ ენათა მოქმედებითშიც, შდრ., დიდოური ენებიდან ხვარშიული: ტუკ “დანა” — ტუკა-ჲ “დანით”, ოგ “ნაჯახი” — ოგ-მო-ჲ “ნაჯახით”...

უფრო ადრე ბასკურზე მსჯელობისას ჸ. შუხარდტი მიუთითებდა, რომ იბერიული (ესპანეთის არქაულ ენას — მეტად აგლუტინაციურს) ბრუნება ფარავს ბასკურ სისტემას (ჟ. დიუმეზილი, 2015, გვ. 160, შენიშვნა 1), შდრ.:

ბასკური	იბერიული	ბრუნება
ერგატივი	-ქ	-ც (=ქ)
ინსტრუმენტი.	-ს	-ს (-ჲ)

ვერ გავიზიარებთ ჸ. დიუმეზილის მსჯელობას იბერიულ-კავკასიურ ენათა მიცემითის, აბლატივისა და ნათესაობითის -ს მარკერების ერთიანი წარმოშობის შესახებ. სხვადასხვა წარმოშობის ფორმანტებია, აქ მატერიალური დამთხვევა შემთხვევითი ჩანს (შდრ., ჟ. დიუმეზილი, 2015, გვ. 163). ჩვენი აზრით, ინსტრუმენტალისის -ს/-ჲ/-შ/-შტ- ალომორფები დამოუკიდებელ ბრუნვას ქმნიან, რომელთაც დაემატებათ ატრიბუტული -ს აფხაზურში, ინსტრუმენტალისი -ს რუთულურში, რომელთაც აგრეთვე პალეოკავკასიური წარმომავლობა ახასიათებთ.

გამომდინარე ყოველივე ზემოთქმულიდან, შეიძლება დავასკვნათ, რომ სვანური -უშ//-შტ ინსტრუმენტალისი ფუძეენური წარმოშობისაა და მას საერთოქართველურში *-სუ CV ტიპის სტრუქტურა ჰქონდა: *-სუ→*-შუ→-უშ//-შტ, ანუ უ → შ საკუთრივ სვანური ფონეტიკური პროცესი ჩანს. ენაში მოქმედი რედუქციის შედეგი.

დაბოლოს, სვანური (resp. საერთოქართველური) მოქმედებითი ბრუნვის ნიშნის გახმოვანების დადგენის თვალსაზრისით, გადამწყვეტი მნიშვნელობისა შეიძლება გახდეს ძველი ცივილიზაციის ცნობილი ენის — ხათურის მონაცემები, რომელშიც ინსტრუმენტალისს ნიშნებად **-ქუ,-d(u)||-t(u)** ალომორფებს გამოყოფენ (ლ. კოჭლამაზაშვილი, 2016, გვ. 32-42); ოლონდ, ჩვენი დაკვირვებით, **-d(u)||-t(u)** ბოლოსართები გენეტიკურად არ უკავშირდება **-ქ** ნიშანს. არა, მიუხედავად ერთიანი გახმოვანებისა და ფუნქციური თანხვედრისა, ხათური ენის მოქმედებითი ბრუნვის **-ქ u და -d(u)||-t(u)** მარკერები განსხვავებულ წარმომავლობას ვარაუდობენ. კერძოდ, **-ქ**, როგორც აღვნიშვნეთ, სვანური **-ჭუ/-შუ** ვარიანტების ფონეტიკურ-ფუნქციური შესატყვისა, ხოლო **-d(u)||-t(u)** ქართულ-ზანური **-თ/-თენ** მოქმედებითი ბრუნვის ნიშნებს შეეფარდება.

ამდენად, დასკნის სახით შეიძლება ითქვას, რომ პალეოკავკასიურ ფუძე-ენას ბრუნვათა სისტემაში ახასიათებდა **-ხ-თანხმოვნიანი ინსტრუმენტალისი**, რომელიც **უ** ხმოვნით იყო გართულებული ხათურსა **[- ჟუ]** და საერთოქართველურში **[*-ხუ]**. ამ უკანასკნელის რედუცირებულ რეფლექსად მიიჩნევა თანამედროვე სვანური ენის მოქმედებითი, რომელიც **-ჭუ/-შუ** ვარიანტებითაა წარმოდგენილი.

დამოწმებული ლიტერატურა

ქ. დიუმეზილი, 2015 - ქ. დიუმეზილი, შესავალი ჩრდილო-კავკასიურ ენათა შედარებით გრამატიკაში (მთარგმნელი პროფ. რ. ჯანაშია), თბ., 2015.

გ. თოფურია, 1977 - გ. თოფურია, მოქმედებითი ბრუნვის ისტორიისათვის სვანურში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, №3, თბ., 1977.

გ. თოფურია, 1944 - გ. თოფურია, ბრუნების სისტემისათვის სვანურში სხვა ქართველურ ენათა ბრუნებასთან მიმართებით (წინასწარი ცნობა), სმამ, ტ. V, №3, თბ., 1944.

ლ. კოჭლამაზაშვილი, 2016 - ლ. კოჭლამაზაშვილი, ხათური ენის სტრუქტურის საკითხები, თბ., 2016.

ალ. ონიანი, 1998 - ალ. ონიანი, სვანური ენა, თბ., 1998.

თ. შარაძენიძე, 1961 - თ. შარაძენიძე, ორთუმიანობის ერთი ტიპის შესახებ სვანურ ენათა ბრუნებაში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. II, თბ., 1961.

ზ. ჭუმბურიძე, 2007 - ზ. ჭუმბურიძე, სვანური ენა, თბ., 2007.

MERAB CHUKHUA

TOWARDS THE PLACE OF INSTRUMENTAL CASE WITH -Š W-WŠ MARKERS IN SVAN

The article presents the view on lost of correspondence of Svan Instrumental case morpheme *-š w/wš* in Georgian-Colchis. Only Svan preserves a case marker of Common Kartvelian parent-language origin that merged with other case in Georgian-Colchis. Rightness of such a approach is approved by the material of kindred Iberian-Caucasian languages, which clearly demonstrates functional-material correspondences of Svan *-š w/wš* markers.

In terms of determining the devoicing of Svan (resp. CommonKartvelian) Instrumental case marker the decisive and significant role can be imposed on well-known language of old civilization language Hattic, in which an Instrumental marker *-š u* allomorph is singled out.

მუთაისის საჭარო გიბლიოთეპის წელიწლები
ANNUAL OF KUTAISI PUBLIC LIBRARY

IX

2017

ემზარ ჭანტურიძე

რესეპტის კოლეციალური პოლიტიკა და 1875–1876 წლების შეიარაღებული აჯანყება სვანეთში

1801 წელს, ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შეყვანის შემდეგ, ცარიზმი აქტიურად შეუდგა საქართველოს დანარჩენი პოლიტიკური ერთეულების შეერთებისათვის პრაქტიკული ღონისძიებების განხორციელებას. იმპერიის მესვეურთა ჩანაფიქრით ეს “ნებაყოფლობითი” შეერთება უნდა განხორციელებულიყო ძალის გამოყენების გარეშე. XIX ს. პირველ ნახევარში სამეგრელოს, გურიისა და აფხაზეთის სამთავროები ავტონომიის უფლებით შევიდნენ იმპერიის შემადგენლობაში. ცარიზმი კარგად აცნობიერებდა, რომ ავტონომიის მქონე სამთავროების არსებობა არ იძლეოდა რუსიფიკატორული პოლიტიკის თავისუფლად განხორციელების საშუალებას აღნიშნულ რეგიონში. საიმპერიო ხელისუფლებას თავიდანვე წინასწარ ჰქონდა განზრახული სამთავროების, თუნდაც ფორმალური დამოუკიდებლობის გაუქმება და ამისათვის შესაბამის მიზეზებსა და ღროს ელოდა. ე. ორგონიკიძის განმარტებით, “ცალკეული პოლიტიკური ერთეულების არსებობა (თუნდაც ავტონომიური ერთეულების სახით — ე. ჭ.) ცარიზმის მიერ დასახული კურსის გატარებისათვის ხელისშემშლელ ფაქტს წარმოადგენდა, მით უმეტეს, რომ ამ სამთავროებისათვის რუსეთის ხელისუფლების მიერ დაკისრებული მისია ამოწურული იყო...” (ე. ორგონიკიძე, 1970, გვ. 217).

სამთავროების ავტონომიური უფლებების თანდათანობითი შეზღუდვით, რუსეთის საიმპერიო კარმა მოამზადა ნიადაგი მათი სრული გაუქმებისათვის. გურიის, სამეგრელოსა და აფხაზეთის მთავართა მიერ რუსეთის ხელისუფლებისადმი გამოჩენილ ერთგულებას უკვე არავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. მას შემდეგ რაც ცარიზმმა განიმტკიცა პოზიციები მთელ კავკასიაში, გურიის, სამეგრელოსა და აფხაზეთის მთავრები აიძულა “ნებაყოფლობით” უარი ეთქვათ თავიანთ უფლებებზე. სამთავროების იმპერიის შემადგენლობაში შეყვანისანავე ცარიზმი აქტიურად შეუდგა იქ თავისი კოლონიალური პოლიტიკის სრულად განხორციელებას, რასაც ხშირად მოპყვებოდა აჯანყებები (1804, 1812, 1819-1820, 1842, 1857, 1875-1876). წინამდებარე სტატიაში წარმოვადგენთ ზემო სვანეთის 1875-1876 წლ. გლეხთა შეიარაღებული აჯანყების პერიპეტიებს (დაწყების მიზეზები, მსვლელობა და შედეგები).

დასავლეთ საქართველოს იმპერიის შემადგენლობაში შეყვანისა და იქ რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ ხელისუფლებამ დაიწყო მოქმედება ზემო სვანეთში რუსული მმართველობის დასამყარებლად, რაც განხორციელდა კიდეც 1853-1857 წლებში.

ზემო სვანეთში 1859-1869 წლებში ერთიანი საბოქაულოს შემოლების შემდეგ ცარიზმი აქტიურად შეუდგა ადგილობრივი მოსახლეობის გარუსების პოლიტიკის დაჩქარებულად გატარებას. ამ მიზნის განხორციელების ერთ-ერთ სამუალებად მიიჩნიეს სვანებისათვის რუსული ანბანის საფუძველზე სვანური ანბანისა და სვანურ-რუსული ლექსიკონის შედგენა. ამის განხორციელება ჭერ დაევალა ცნობილ ეთნოგრაფსა და ნუმიზმატიკოს ბარტოლომეის, ხოლო შემდეგ

ენათმეცნიერსა და ეთნოგრაფს პ. უსლარს. რუსული ანბანით სვანური დამწერლობის შემოღებისა და რუსულად სწავლების სასარგებლო აგიტაციის გაწევა სვანეთში დაავალეს ქუთაისის გიმნაზიის მასწავლებელს ალ. სტოინოვს, რომელიც შემდეგ ამავე გიმნაზიის დირექტორი გახდა (გ. გასვიანი, 1979, გვ. 86). იმ ერთისათვის მათი ეს განზრახვა განუხორციელებელი დარჩა, მაგრამ შესაბამისი მომენტისათვის ჩანაფიქრის ასრულებას კვლავ შეეცდებოდნენ.

ზემო სვანეთის ერთიანში საბოქაულომ ფუნქციონირება დაიწყო 1869 წლიდან. საწყის ეტაპზე საბოქაულოს სამოხელეო აპარატს მთავრობა ხელფასს ბიუჯეტიდან უხდიდა. მაგრამ XIX საუკუნის 60-იანი წლების შუა ხანებიდან რუსეთის იმპერიაში ფინანსური და ეკონომიკური კრიზისი დაიწყო, რომელიც იმავე საუკუნის 70-იან წლებში კიდევ უფრო გამწვავდა. ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება სამოხელეო აპარატის შესანახი თანხა ამოელოთ ახალი გადასახადების შემოღებით. მთავრობას ამის გაცხადების შეეშინდა მოსახლეობის მიერ უკმაყოფილების გამოვლენისა და მისი შედეგების გამო, ამიტომ გამოცხადდა ადგილობრივი მაცხოვრებლების კუთვნილი მიწების მხოლოდ აზომვის შესახებ. მოსახლეობამ მაშინვე იქნება, რომ ეს მოსაწავებდა ახალი გადასახადების შემოღების წინა პირობას. სიტუაციაში გარკვევისათვის ლატალისა და მულახის საზოგადოების ინიციატივით კალის საზოგადოების სოფელ ლალხორში 1875 წლის ივნისის დასაწყისში გაიმართა მთელი ზემო სვანეთის მოსახლეობის საერთო ყრილობა, სადაც განხილული იქნა ხელისუფლების მოსალოდნელი ქმედება. შეიმუშავეს სამოქმედო გეგმა, რომლის თანახმად, საჭიროების შემთხვევაში, მოსახლეობას წინააღმდეგობა უნდა გაეწია ხელისუფლებისათვის ახალი გადასახადების შემოღებასთან დაკავშირებით. ნ. ნიკოლაძის განმარტებით, ეს იყო თავდაცვის ველური აფეთქება (ნ. ნიკოლაძე, 1964, გვ. 508)

თავდაპირველად ხელისუფლებასთან მშვიდობიანი მოლაპარაკების მიზნით ყრილობამ აირჩია ათყაციანი დელეგაცია სოფელ მულახის მამასახლისის ყასბულათ შერვაშიძის მეთაურობით. ლეჩესუმის მაზრის უფროსის (რომელსაც ადმინისტრაციულად ექვემდებარებოდა ზემო სვანეთიც) გრინევსკისა და ზემო სვანეთის მაშინდელი ბოქაულის თ. ჯორჯაძის გაზვიადებულმა ინფორმაციამ ზემო სვანეთში გლეხთა აჯანყების შესხებ შესხვოთა ქუთაისის გუბერნიის ხელმძღვანელობა, სამეფო კარი და მეფისნაცვალი მიხეილ რომანოვი (1863-1881 წ.). ამ უკანასკნელის გადაწყვეტილებით, ზემო სვანეთში გაიგზავნა სადამსჯელო ქსელიცა ქუთაისის ვიცე-გუბერნატორის მალაფევის საერთო ხელმძღვანელობით, ხელო პოლიციისა და სამხედრო ქვედანაყოფები გვერდალ ციტოვიჩის მეთაურობით. მათ მიეცათ დავალება — გაერკვიათ მდგომარეობა, ჩაეხშოთ გლეხთა წინააღმდეგობა და მოთავეები მკაცრად დაესახათ.

ექსპედიცია ზემო სვანეთისკენ დაიძრა 1875 წლის 8 ივნისს. ათში უკვე ცაგერში დაბანაკდნენ. ყრილობის მიერ არჩეული დელეგაცია ყასბულათ შერვაშიძის მეთაურობით 14 ივნისს ცაგერში შეხვდა ვიცე-გუბერნატორს. შეხვედრაზე მალაფევს მოახსენეს სვანეთის მოსახლეობის უკმაყოფილების მიზეზი — ახალი გადასახადების შემოღების მცდელობა, ადგილობრივი მოხელეების თვითნებობა, ძალმომრეობა და წინა წლებში შემოღებული ბეგარა-გადასახედები. მალაფევისათვის მიუღებელი აღმოჩნდა დელეგაციის მიერ წამოყენებული პრეტენზიები. ამდენად შეხვედრა უშედეგოდ დამთავრდა. მალაფევმა მიიღო გადაწყვეტილება, სიტუაციის გარკვევის საბაზით, სამხედრო ნაწილებთან ერთად

ზემო სვანეთში გადასულიყო და ადგილზე ემოქმედა. მისი ჩანაფიქრით, იმ ეტაპისათვის აუცილებელი იყო მოსახლეობის დაშოშმინება და მათი სახლებში დაბრუნება, რითაც მიეცემოდათ თავისუფალი მოქმედების საშუალება ძალის გამოყენების ჩათვლით.

19 ივლისს სადამსჯელო ექსპედიცია ლატვიარის ქედის გავლით სოფელ კალაში ჩავიდა. მალაფევსა და აჯანყებულებს შორის მოლაპარაკება ორ დღეს გაგრძელდა. ვიცე-გუბერნატორმა უარყო გავრცელებული ხმები ახალი გადასახადების შემოლების შესახებ, რომ ის თითქოს სვანეთში მშვიდობიანი განზრახვით იყო მოსული, ხოლო სამხედრო ნაწილებთან ერთად მოსულის მიზანი მხოლოდ სიტუაციის გარკვევა და წესრიგის დამყარება ყოფილა. მალაფევმა დემაგოგიური დაპირებებით დაარწმუნა შეკრებილი მოსახლეობა თავის “მშვიდობისმოყვარეობაში”, ამიტომ თემის წარმომადგენლებმა მიიღეს გადაწყვეტილება ექსპედიციის ბეჩისკენ გატარებისა და სახლებში დაბრუნების შესახებ.

23 ივლისს ექსპედიცია ლატალისკენ დაიძრა. მალაფევი გზადაგზა აგროვებდა და აზუსტებდა ინფორმაციას აჯანყების აქტიური მონაწილეებისა და ხელმძღვანელების შესახებ. ჩევული დემაგოგის წყალობით, მან ლატალშიც შეძლო დაერწმუნებინა მოსახლეობა თავის “მშვიდობიან” განზრახვაში, ამიტომ შეიარაღებული გლეხობა, როგორც კალაში, აქაც სახლებში დაბრუნდა. ვიცე-გუბერნატორს საშუალება მიეცა გენერალ ციტოვიჩის სამხედრო ნაწილებთან ერთად 24 ივლისს სოფელ ბეჩიში დაუბრკოლებლად შესულიყო (ზ. ნიჟარაძის მიხედვით 23 ივლისს). მალაფევმა ბეჩიში დაბანაკებისთანვე დაუყოვნებლივ დაიწყო გამოძიება. ზემო სვანეთის ბოქაულმა ჭორჭაძემ მას წარუდგინა 36 კაცისაგან შემდგარი სია, რომლებიც თითქოს აჯანყების დამწყებიც და ხელმძღვანელებიც იყვნენ. ამ ამბების უშუალო თვითხილველის, ბესარიონ ნიჟარაძის (ლექსუმის მაზრის უფროსის გრინეგსის მიერ თარჯიმნად იყო მიწვეული) მიერ, თავისუფალი სვანის ფსევდონიმით გაზეთ “ივერიის” რამდენიმე ნომერში დაბეჭდილ სტატიაში “სვანეთის აღელვება” აღნიშნულია, რომ გუბერნატორს (ვიცე-გუბერნატორი მალაფევი — ე. ჭ.) ადგილობრივა პოლიციაშ წარუდგინა დასაპატიმრებელი სვანეთის აჯანყების მოთავეების 16 კაციანი სია. სიაში შეიყვანეს ძირითადად ის პირები, რომლებიც ყრილობაზე სიტყვით გამოღიოდნენ და მოითხოვდნენ მთავრობის განზრახვისათვის წინააღმდეგობის გაწევას იმ შემთხვევაში, თუ მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდებოდა. ზოგიერთი ისეთიც კი იყო სიაში შეტანილი, რომლებიც სვანებს ურჩევდა არ გამოეყენებინათ იარაღი და მხოლოდ მოლაპარაკების გზით ცდილიყვნენ სიტუაციის მოგვარებას. ასეთები იყვნენ თვით ყაბულათი და ბიტი იოსელიანი (თავისუფალი სვანი, სვანეთის აღელვება. გაზ. “ივერია” 1892, № წ., 133).

გამოძიების პროცესში 100-ზე მეტი ადამიანი დაკითხეს. დადგინდა, რომ ხალხის აჯანყების მიზეზი იყო გავრცელებული ხმები ახალი გადასახადებისა და სამხედრო ვალდებულების შემოლების შესახებ. მალაფევმა ყველაფერი უარყო. გ. გასვიანის მოსაზრებით, ვიცე-გუბერნატორმა ყველაზე უკეთ იცოდა, რომ სვანეთში ახალი გადასახადები და სხვა ვალდებულებები უნდა შემოლებულიყო და ეს ადგილობრივმა აღმინისტრაციამ გაავრცელა, მაგრამ ეს რომ ოფიციალურად გამოაშეარავებულიყო, ნათელი გახდებოდა, თუ ვინ გასცა განკარგულება...ამიტომ გუბერნატორმა ყოველივე გულუბრყვილობას, ცრუ ხმებს და სვანების ამბოხებისაკენ მიღრეკილებას დაბრალა (გ. გასვიანი, 1979,

გვ. 114). სვანეთის ბოქაულის თ. ჯორჯაძის დასმენითა და ტენდეციური გამოძიებით მალაფეევმა, აბსურდული ბრალდებით, დამნაშავედ მიიჩნია და სამართალში მისცა 16 კაცი: მამა-შვილი ყასბულათ და ყანსავ შერვაშიძეები, გინადრულ ფარგიანი, სვინჩი ჭაფარიძე, შახუბათ ქურდიანი, ბესო გოშთელიანი, ბითი იოსელიანი, მაბილა და ბექა ფილფანები, თაისავ კვანჭიანი, ბექმურზა წვირიბიანი, გურმაჩ გასვიანი, ჩარგაზ ჭოხაძე, ბაჭუ გირგვლიანი, მურათბი ჩართოლანი, ბაბი ნავერიანი (გ. გასვიანი, 1979, გვ. 120; ა. კ-ლი, 1945, გვ. 150-153; ბ. ნიუარაძე, 1964, გვ. 189). ამათგან დამნაშავედ მიჩნეული 16 პირიდან ბექოში მალაფეევთან არ გამოცხადდა 4: შახუბათ ქურდიანი, გურმაჩ გასვიანი ჩარგაზ ჭოხაძე და ედავ გირგვლიანი. ეს უკანასკნელი, მართალია, ზემოთ აღნიშნულ სიაში არ იყო შეევანილი, მაგრამ დამნაშავედ მაინც ცნეს. ამიტომ ექსპედიციის უკან დაბრუნებისას, ვიცე-გუბერნატორის განკარგულებით, 30 ივლისს ედავ გირგვლიანი სოფელ ლატალში, მისსავე საცხოვრებელ ბინაში დააკავეს, ქავზა და ბაჭუ გირგვლიანებთან ერთად, ძალის გამოყენებით. სამივე, დანარჩენ დაპატიმრებულებითან ერთად, ქუთაისის ციხეში ჩასვეს.

მალაფეევის და გუბერნიის პროკურორის განზრახვით საგამოძიებო უწყება შეეცადა აჯანყების მეთაურებად მიჩნეული ზოგიერთი პირისათვის: მამა-შვილ შერვაშიძეებისათვის, გურმაჩ გასვიანის, ჩარგაზ ჭოხაძის, შეუბათ ქურდიანისა და თაისავ კვანჭიანისათვის დანაშაულის დასამმიმებლად დამატებით რაიმე ბრალდება წარედგინათ, მაგრამ მათი მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. ამის შესახებ თვით მალაფეევი აღნიშნავს მეფისნაცვლისათვის 1875 წლის 24 სექტემბერს გაგზავნილ წერილში: "Сообщением от 5 сентября прокурор уведомил меня, что никто из указанных мною лиц под судом не состоит... На это прокурор объяснил, что, не найдя в делах своей канцелярии никаких указанный о нахождении означенных лиц под следствием..." (ა. კ-ლი, 1945, გვ. 154). აქვე გვინდა აღვნიშნოთ მალალი რანგის რუსი მოხელეების ცინიკური დამოკიდებულება აღნიშნული საკითხის მიმართ. ვიცე-გუბერნატორის განცხადებით, იმ შემთხვევაშიც კი თუ დამნაშავედ მიჩნეულ პირებს ბრალდებები არ დაუმტკიცდებოდათ, ისინი მაინც უნდა გაესახლებინათ სვანეთიდან, როგორც მთავრობისათვის არასასურველი პირები (იქვე, გვ., 154; გ. გასვიანი, 1979, გვ. 118). რა მიზეზით უნდა გაესახლებინათ ისინი, ამის განმარტებაზე თავი არავის შეუწუბებია. 1875 წლის სექტემბრის შუა რიცხვებისათვის დაპატიმრებულთაგან ოთხი: გირგვლიანი, იოსელიანი, კვანჭიანი და ნავერიანი უკვე გარდაცვლილები იყვნენ. ბესარიონ ნიუარაძის მიხედვით, გარდაცვლილთა შორის მოიხსენიება ასევე ყასბულათ შერვაშიძეც (ბ. ნიუარაძე, 1964, გვ. 192).

მდგომარეობის შემდგომი გართულების თავიდან აცილების მიზნით, მალაფეევი 1875 წლის 24 სექტემბერს მეფის ნაცვალთან გაგზავნილ წერილში ითხოვდა აჯანყებაში მონაწილე პირების სასწრაფოდ ჯერ თბილისის ციხეში გადაყვანას, შემდეგ კი საქართველოდან სხვადასხვა ვალით გასახლებას. იმავე წლის 21 ოქტომბერს მთავარმართებელმა მიხეილ რომანოვმა დააკმაყოფილა მისი თხოვნა ბრალდებულებად მიჩნეული პირების საქართველოდან რუსეთის სხვადასხვა გუბერნიებში გასახლების შესახებ (ა. კ-ლი, 1945, გვ. 155). ამით დამთავრდა 1875-1876 წლების სვანეთის გლეხთა აჯანყების პირველი ეტაპი.

როგორც უკვე აღინიშნა, ქუთაისის ვიცე-გუბერნატორთან დაკითხვაზე დაბარებულ პირთაგან არ გამოცხადდა 3: გასვიანი, ქურდიანი და ჭოხაძე.

ამის გამო ხელისუფლებამ 1875 წლის ივლისის ბოლო რიცხვებიდან ისინი ქებნილად გამოაცხადა. მათი დაპატიმრება დაევალა ლეჩეშმის მაზრის უფროსს გრინევსკის. მიუხედავად მთელი წლის მანძილზე გატარებული ღონისძიებებისა სოფელ ხალდეს მცხოვრებთა აქტიური მხარდაჭერის შედეგად, გრინევსკიმ და სვანეთის ახალმა ბოქაულმა მიქელაძემ ვერც 1876 წელს შეძლეს აღნიშნული პირების დაპატიმრება. ეს გახდა ახალი საღამსჯელო ექსპედიციის მოწყობის მიზეზი ზემო სვანეთში.

1876 წლის 31 ივლისს გრინევსკი, მაიორ ლეუსის, სვანეთის ბოქაულის მიქელაძის, ბოლიციელებისა და ჯარისკაცების თანხლებით, ღმამაშავედ მიჩნეული, ქებნაში მყოფი პირების: შ. ქურდიანის, გ. გასვიანის და ჩარგაზ ჭობაძის დასაკავებლად დაიძრა სოფელ ხალდესკენ.

თავდაპირველად სამხედრო ექსპედიცია შევიდა მულახის თემის სოფელ მურშევლში ერთ-ერთი ბრალდებულის შ. ქურდიანის შესაპყრობად, მაგრამ მის ნაცვლად დააკავეს მისი ორი ვაჟი, რომლებიც თან წაიყვანეს. მაზრის უფროსმა სოფელ ხალდეში შესვლა ვერ გახდა, რადგან იცოდა, რომ იქ მაცხოვრებელი ორმოცამდე შეიარაღებული მამაკაცი მზად იყო დაეცვა თანასოფლელებიც და საკუთარი თავიც (ა. კ-ლი, 1945, გვ. 156). კალაში დაბანაკებულმა გრინევსკიმ ულტიმატუმი წაუყენა ხალდის მაცხოვრებლებს, გადაეცათ მათვის გასვიანი და ჭობაძე. მიუხედავად მუქარისა, სოფელმა უარი განაცხადა ამ მოთხოვნის შესრულებაზე. მოლაპარაკება უშედეგოდ დასრულდა. მაზრის უფროსმა და მაიორმა ლეუსმა გადაწყვიტეს სოფელ ხალდეს მაცხოვრებლების მკაცრად დასჭა. 1 აგვისტოს გაიცა განკარგულება, სოფელში შესულიყვნენ და დაებატიმრებინათ ძებნილები. მაიორ ლეუსის ბრძანებით, ჯარისკაცებმა ალყა შემოარტყეს სოფელს. ხალდელებმა კიდევ ერთჯერ სცადეს მოლაპარაკების გზით მოეგვარებინათ კონფლიქტი. მომხდეურებთან გააგზავნეს ასაკოვანი ძმები გეგი და გიორგი გასვიანები. (რუსულენოვან დოკუმენტებში გეგი და გიორგი გასვიანები მოიხსენებიან კოსტლიანი-ებად. იხ. ა. კ-ლი, 1945, გვ. 157, 161). ორივეს სრულიად უმიზეზოდ, ლეუსის ბრძანებით თავს დაესხნენ ჯარისკაცები კოტლიაროვი და პევნევი. თავდასხმისას გიორგი გასვიანი მოკლეს, ხოლო დაჭრილმა გეგი გასვიანმა თავდაცვის დროს ერთი ჯარიკაცი მოკლა, მეორე კი დაჭრა, შემდეგ ისიც ხიშტით განგმირეს (გ. გასვიანი, 1979, გვ. 132). ბ. ნიუარაძის გადმოცემით, დაჭრილმა გეგი გასვიანმა სამი ჯარისკაცი მოკლა, შემდეგ ისიც მოკლეს (ბ. ნიუარაძე, 1964, გვ. 196-197).

რუსი სალდაფონების მიერ ჩადენილი ამ სიმხეცის შემდეგ სიტუაცია უკონტროლო გახდა. გამწარებული მოსახლეობასა და სამთავრობო ძალებს შორის მომხდარი შეტაკებისას მოკლული იქნა მაიორი ლეუსი, სოფელ კალის მამასახლისი მარგველანი და რამდენიმე ჯარისკაცი. ცოცხლად გადარჩენილმა ადგილმდებარეობის უცნობმა, უმეთაუროდ დარჩენილმა ჯარისკაცებმა პანიკით მოცულებმა, დაიწყეს გაქცევა. სიბნელეში რამდენიმე ჯარისკაცი უფსერულში გადაიჩეხა. პირველივე შეტაკების დროს ცოცხლად გადარჩენილმა მაზრის უფროსმა გრინევსკიმ, ექიმმა ბელსკიმ, სასამართლოს ბოქაულმა ასათიანმა, გამცილებელმა დევლეთ პირველმა, დაჭრილმა, სვანეთის ბოქაულმა მიქელაძემ და კიდევ რამდენიმე პირმა მოახერხეს ერთ-ერთი ხალდელის, ე. ჭობაძის სახლის დამხმარე ნაგებობაში - ბოსელში დამალვა. ხალდელებმა მალევე იპოვეს

დამალულები და ყველანი დახოცეს. რაც შეეხება თარჯიმანს, ბ. ნიუარაძის გადმოცემით, ერთ-ერთმა ხალდელმა თავის კოშკში დამალა და ამით სიკვდილს გადაარჩინა. უმაღლერმა თარჯიმანმა სასამართლოში მიცემულ ჩვენებაში თავისი მხსნელი დაადანაშაულა კოშკში მოსაკლავად შემამწყვრიაო. ამისათვის მას სასამართლომ მადლობის ნაცვლად სიკვდილის განაჩენი გამოუტანა, რომელიც შემდეგ ვითომ ჰქონებით, მეფისნაცვალის გადაწყვეტილებით, კატორლით შეუცვალეს (ბ. ნიუარაძე, 1964, გვ. 197). ბ. ნიუარაძე არც უმაღლერი თარჯიმისა და არც მისი მხსნელის გვარს არ ასახელებს. მათი გვარები მოხსნილია მხოლოდ 1876 წლის 27 ნოემბერს ქუთაისში გამართულ სასამართლოს მიერ მიღებულ საბრალდებო აქტში. თარჯიმის გვარ-სახელია იოსებ ბაქრაძე, ხოლო მისი მხსნელის, გვი ჩოფლიანი (ა. კ-ლი, 1945, გვ., 156, 158).

სოფელ ხალდის მაცხოვრებლებს გაცნობიერებული ჸქონდათ, რომ 1 აგვისტოს განვითარებული მოვლენების დროს მათი ქმედება დაუსხელი არ დარჩებოდა. ამიტომ მეორე დღიდანვე დაიწყეს მზადება წინააღმდეგობის გასაწევად. 16 აგვისტომდე ხალდელებმა სოფლის მისადგომები გაამაგრეს და დაელოდნენ ხელისუფლების რეაგირებას. აღნიშნული მოვლენების შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე მეფისნაცვალმა მ. რომანოვმა მყისიერად მიიღო გადაწყვეტილება სოფლის მოსახლეობის სამაგალითოდ დასჯის შესახებ. მათ წინააღმდეგ გაიგზავნა დიდი სადამსჯელო ექსპედიცია, რომელშიდაც შედიოდა პოლიციისა და რეგულარული არმიის ქვედანაყოფები გენერალ ციტოვიჩის ხელმძღვანელობით. სულ ათასამდე კაცი. 19 კომლიანი ხალდესათვის ეს დიდი ძალა იყო. გარდა ამისა, აფხაზეთსა და ყაბარდოში განლაგებული სამხედრო შენაერთების მეთაურებს მიეცათ მითითება, საჭიროების შემთხვევაში, ხალდეში გაეგზავნათ სამხედრო ქვედანაყოფები. გენერალმა ციტოვიჩმა იმპერატორ ალექსანდრე II-ისგან (1856-1881 წწ.) მიიღო ბრძანება: მოესპონ აჯანყებულთა ბუდე და მისი მონაწილეები დაესაჭათ იმდაგვარად, რომ ეს ყველასათვის ჰქონის სასწავლებელი და მაგალითი ყოფილყო (გ. გასვიანი, 1979, გვ. 135). აქვე გვინდა აღნიშნოთ, რომ იმპერიის დიდ მოხელეთა უმეტესობასაც ასეთივე შეხედულება ჸქონდათ ხალდეში მომხდარ აჯანყებასა და მასში მონაწილეთა მიმართ. ყველა მოითხოვდა აჯანყებაში მონაწილეთა სასტიკ დასჯას და სოფელ ხალდეს მიწასთან გასწორებას, რათა დაშინებულ მოსახლეობას აღარასდროს გაეხედა რაიმე წინააღმდეგობის გაწევა. აღნიშნული მოსაზრებები დაცულია როგორც სამოქალაქო, ასევე სამხედრო ბირთა მიმოწერაში. რამდენიმეს აქვე მოვიტანთ თარგმანის გარეშე. კავკასიის ოლქის სამხედრო შტაბის მიხედვით, "Согласно воли е. И. В. Главнокомандующего армиию, сел. Халде подлежало совершенному уничтожению; не только стены и башни, но также сакли и все вообще хозяйственные постройки должны были быть преданы полному разрушению" (ა. კ-ლი, 1945, გვ. 207-208). მიღიუტინის ცნობის მიხედვით, "Войска посылаются в Халде для предания этого селения разрушению" (ა. კ-ლი, 1945, გვ. 136).

აჯანყებულთა წინააღმდეგ გაგზავნილი სამხედრო ძალების მობილიზაცია დამთავრდა 1876 წლის 19 აგვისტოს. ხოლო 21 აგვისტოს გენერალ ციტოვიჩის ბრძანებით დაიწყო შეტევა ხალდეს დამცველების წინააღმდეგ. შეტევაში ასევე გამოყენებული იქნა არტილერია. დამცველთა რიგები მოითვლიდა სულ 40 მეორას. მიუხედავად სამთავრობო ძალების დიდი რიცხობრივი უბირატესობისა,

აჯანყებულებმა თითქმის ერთი კვირის მანძილზე (21-28 აგვისტო) შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწიეს რუსთა სამხედრო და საბოლიციო შენაერთებს. მხოლოდ მას შემდევ რაც საბრძოლო მასალა გამოელიათ, ხალდეს დამცველთა ერთმანაშილმა, 28 აგვისტოს ღამით, გაარღვია ალყა და მთებს შეაფარა თავი. 28 აგვისტოს დილით სამხედრო და პოლიციის ქვედანაყოფებმა მთელი სოფელი დაიკავეს და შეუდგენ წინასწარ განზრულის განხორციელებას: აჯანყებულები მკაცრად უნდა დასჭილიყვნენ, ხოლო სოფელი ხალდე მიწასთან უნდა გასწორებულიყო. 20-31 აგვისტოს, ციტოვიჩის ბრძანების თანახმად, ჩანაფიქრი აღასრულეს. გარდა პატარა ეკლესისა, სოფელში ყველა ნაგებობა საძირკვლამდე იქნა დანგრეული, მათ შორის 11 კოშკი. 1877 წლის 31 მაისს მთავარ შტაბში გაგზავნილ პატაკში დაუფარავადაა აღწერილი მათ მიერ ხალდეში ჩადენილი ბარბაროსობა: "При этом штурме две башни внутри были сожжены вместе с своими защитниками..." "По взятии сел Халде немедленно было приступлено к систематическому уничтожению его, так что 1 сентября все 11 башен и другие постройки, за исключением находившейся в этом селении часовни были разрушены до основания..." (ა. კ-ლი, 1945, გვ. 209). ბ. ნიუარაძის გადმოცემით, "შთელი ჯარი სოფლად შევიდა. ქვიტკირები (ქვით ნაგები შენობები - ე. ჭ.) ლალუმით დაანგრიეს, ხის შენობანი ცეცხლით დასწვეს. ცეცხლი წაუკიდეს, აგრეთვე, მოსამკელ ყანებსაც..." (ბ. ნიუარაძე, 1964, გვ. 198, გაზ. "ივერია" 1892, №141).

1876 წ. ნოემბერში ქუთაისში გამართული სამხედრო-საველე სასამართლოს განახენით, 22 ბრალდებულიდან უმეტესობას მიესაგა საკატორო სამუშაოები, მათგან 4-ს უვადოდ, ნაწილს სხვადასხვა ვადით, ბრალდებულთა ერთი ნაწილი რუსეთის სხვადასხვა გუბერნიებში გადასასახლეს (ა. კ-ლი, 1945, გვ. 205-206). ბ. ნიუარაძის გადმოცემით, გასამართლებული ხალდელებიდან "სამს სიკვდილი გადაუწყვიტეს, მაგრამ ნამესტნიერი შუამდგომლობით ებატიათ და კატორლაში გაიგზავნენ. დანარჩენი 33 კაცი სამუდამოდ გადასასახლეს რუსეთის სხვადასხვა გუბერნიებში" (ბ. ნიუარაძე, 1964, გვ. 199, ასევე, თავისუფალი სვანი, სვანების აღელვება გაზ. "ივერია", 1892, №141). განსხვავებული რიცხვი აქვს დასახელებული ე. გაბლიანს. მისი ინფორმაციით, 55 ხალდელი იქნა ციმბირში გადასასახლებული (ე. გაბლიანი, თავისუფალი სვანეთი, 1927, გვ. 55). გადასასახლებულებიდან მხოლოდ ორმა - ჩრთა ჩრთლიანმა და მომი ჩეგიანმა, შეძლო წლების შემდეგ სამშობლოში დაბრუნება (გ. გასვიანი, 1979, გვ. 184).

ხალდეს დამცველთა გმირული ეპოქა მარცხით დამთავრდა. აჯანყებულ გლეხობას დაუბირისპირდა დას. საქართველოში განლაგებული სამხედრო და პოლიციის ქვედანაყოფები. მცირერიცხოვანი, ცუდად შეიარაღებული გლეხობა პირისპირ აღმოჩნდა კარგად შეიარაღებულ და მრავალრიცხოვანი სამთავრობო ძალების წინაშე. 1875-1876 წლების გლეხთა აჯანყება სვანეთში არა მარტო სოციალური, არამედ ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგაც იყო მიმართული. აჯანყება არაორგანიზებული და სტიქიური ხასიათის იყო, ამიტომ 1876 წლის აგვისტოს მოვლენების დროს მთელი იმპერიის წინააღმდეგ მებრძოლი აღმოჩნდა მხოლოდ ერთი, პატარა, მცირერიცხოვანი, 19 კომლიანი სოფელი. ამდენად ეს აჯანყება მარცხისათვის იყო განწირული. სვანეთში განვითარებულ მოვლენებს დიდი გამოხმაურება მოჰყვა არა მარტო საქართველოში არამედ მის ფარგლებს გარეთაც. მიუხედავად მარცხისა, მას ღირსეული ადგილი უკავია ქართველი ერის თავისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიაში.

დამოწმებული ლიტერატურა

- ა. ქ-ლი, გლეხთა შეიარაღებული აჯანყება სვანეთში 1875-1876**
წწ. საისტორიო მოაშენება, 1945, ნაკ. I.
- ბ. გაბლიანი, 1927** - ე. გაბლიანი, თავისუფალი სვანეთი. თბ., 1927.
- ც. გაბლიანი, 1925** - ე. გაბლიანი, ძველი და ახალი სვანეთი. თბ., 1925.
- გ. გასვიანი, 1979** - გ. გასვიანი, დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიის საკითხები. თბ., 1979.
- გ. გასვიანი, 1973** - გ. გასვიანი, დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან. თბ., 1973.
- “ივერია , 1892** - თავისუფალი სვანი, სვანეთის აღელვება. გაზ. “ივერია”, თბ. 1892, №133, 141.
- ნ. ნიკოლაძე, 1964** - ნ. ნიკოლაძე, თხზ. ტ. IV, თბ., 1964.
- ბ. ნიუარაძე, 1969** - ბ. ნიუარაძე, სვანების აღელვება 1875-1876 წწ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები. თბ., 1964.
- ე. ორჭონიგიძე, 1970** - ე. ორჭონიგიძე, სამთავროების გაუქმება. საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. V, თბ., 1970.

EMZAR TCHANTURIDZE

GEORGIAN COLONIAL POLICY AND 1875-1876 ARMED REBELLION IN SVANETI

Abolishment of Kartl-Kakheti kingdom in 1801 and its incorporation with the Russian Empire was the precondition of their occupation, which was the abuse of 1783 Georgievsky agreement.

The article discusses the aggressive politics of tsarism held in Georgian after 1801 and converting the political units of our country into ordinary administrative units of the empire. The political disharmony of different regions of Georgian enabled tsarism to deprive the territories of Georgia thoroughly. The article highlights the anti-Georgian character of Russian colonial character (asigning Russian management unacceptable for Georgians, conducting the law cases in Russian, Russification of the schools, endeavor of inserting Russian alphabet it the peripheral regions of Georgia...) and the destructive results of this politics. Georgian people never gave up the resistance against the Russian oppression and responded it with different cases of rebellion which were destroyed with abrupt policy. One of the case was 1875-1876 armed rebellion in highlands of Svaneti. The article describes the reasons of the rebellion, its process and tragic end on the basis of the official documents, scientific researches and articles.

ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის წელიწლები
ANNUAL OF KUTAISI PUBLIC LIBRARY

IX

2017

ლუიზა ხაჭაპურიძე
რამაზ ხაჭაპურიძე

ერთი სვანერი ლეგენდისათვის “წყალი”
(ბერი - 2015 წლის ექსპედიციის მასალების მიხედვით)

წყალი მიჩნეულია ქვეყნიერების საწყისად, სიცოცხლის მომნიჭებლად. წყლის სიმბოლიკაც საკმაოდ მდიდარია ქრისტიანობაში. “წყალი ცხოველსმყოფელი” — ამ გავრცელებული გამოთქმით ბიბლიისა თუ ქრისტიანულ ლიტერატურაში ხშირად ვხვდებით იმ წყალს, რომელიც ღვთაებრივი ენერგიის მატარებელია, მარადიული სიცოცხლის მომნიჭებელია.

სამყაროს დასაწყისი წყალია, სახარების დასაწყისი კი — იორდანის მდინარე. ფარაონისგან ისრაელის განთავისუფლება განხორციელდა ზღვის მეშვეობით და სამყაროს ცოდვათაგან განთავისუფლება აღესრულება წყლისა და ღვთის სიტყვის მეშვეობით.

კველგან, სადაც ღმერთი თავის ალთქმას დებს, იქვე გვევლინება წყალიც. ნოესთან მან ალთქმა წარლვნის შემდეგ დადო. ელიას ამაღლებაც არ მომხდარა წყლის გარეშე, რადგან თავდაპირველად იგი მდინარეში გადის და შემდეგ მაღლდება ზეცად. მღვდელმთავარიც თავდაპირველად განიბანება და შემდეგ იწყებს მსახურებას. “აარონიც ჭერ განიბანა, შემდეგაც იქნა დადგენილი მღვდელმთავრად” (კირილი, 1991, გვ. 32). ნათლობის წყალი უფლის ქმედების გამომხატველია, რომელიც ადამიანს წმენდს და ასუფთავებს სულიერი ჭუჭყისგან. ნათლობა ერთგვარი სიმბოლოა ახალი ადამიანის შობისა, რადგან “როგორც ჩვილი იბადება წყლით სავსე დედის მუცლიდან, ასევე ნათლობის წყლიდან ამოსული ადამიანი იბადება ხელმეორედ, ანუ სულიერად” (დ. გავინი, 2004, გვ. 265). ბერძნული სიტყვა **ბაპტისმა**, ვერდეტიმუმ რომელიც ხშირად სხვადასხვა ენაზე ითარგმნება როგორც “ნათლობა”, სიტყვასიტყვით ნიშნავს “დაფლვას”, წყალში დაფლვას. არსებობს ასევე კიდევ ერთი წესი წყლის სიმბოლოსა და ეკლესიაში მის პრაქტიკულ გამოყენებასთან დაკავშირებით: მღვდელი საღვთო ლიტურელიის წმინდა შესაწირავამდე ხელებს იბანს სიტყვებით: “დაგიბანე ხელნი ჩემნი უბრალოებითა”; ასევე რომის კათოლიკურ ეკლესიაში მორწმუნენი ტაძარში შესვლისას მარჯვენა ხელის თითებს სპეციალურ თასში ჩასმულ ნაკურთხ წყალში ჰყოფენ და პირჯვარს გამოისახავენ¹.

იაპონურ სინტოისტურ რელიგიაშიც, “სასულიერო პირები ღვთისმსახურების წინ განბანვის რიტუალს მიმართავენ” (რ. ელვუდი, 2007, გვ. 474). ამ რიტუალს არა მხოლოდ სასულიერო პირები აღასრულებენ, არამედ რიგითი მორწმუნენიც ტაძარში შესვლისას მარჯვენა ხელის თითებს სპეციალურ თასში ჩასმულ ნაკურთხ წყალში ჰყოფენ და პირჯვარს გამოისახავენ.

¹ შდრ.: ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში დაკრძალვილან შინ დაბრუნებული ადამიანები, სანამ სახლში შევიდოდნენ ღვინოგარეულ წყალში ღაიბანდნენ ხელებს.

სინტოისტურ ტაძართან არის ხელების დასაბანი წყლის ავზი. სინტოიზმში წყალს ცალკე ღვთაებაც კი ჰყავს. ანალოგიური ტრადიცია ისლამშიც გვხვდება. ყოველ მეჩეთში აუცილებლად უნდა იყოს გამავალი წყალი განბანვისთვის.

წყალში განბანვის რიტუალის აღსრულების საქმაოდ მტკიცე ტრადიცია არსებობს, აგრეთვე, იუდაიზმშიც მნიშვნელოვანი მოვლენების წინ (ლვოსმსახურება, ქორწილი და სხვა).

ბუდიზმში არსებობს თხუთმეტამდე პარალელი სახარებისეულ ეპიზოდებთან. ამ პარალელებზე საუბრობს ედვარდ ტომასი თავის ნაშრომში. მათგან ერთ-ერთი საინტერესო შემთხვევა უკავშირდება პეტრე მოციქულის წყალზე სიარულის მსგავს მოვლენას (მათ. 14:28). ბუდიზმში 190-ე ჯატაკაში მოთხოვდილია, თუ როგორ გაიარა წყლის ზედაპირზე მედიტაციაში მყოფმა ბუდას ერთმა მოწაფემ, თუმცა მდინარის შუა ნაწილში ტალღების დანახვისთანავე წყალში ჩაძირვა დაიწყო (ე. ტომასი, 2003, გვ. 153).

ჩინეთის სინკრეტულ რელიგიურ ტრადიციაში არსებობენ წყლის მმართველი დრაკონები, რომლებიც პასუხისმგებელნი იყვნენ ქვეყანაში წყლის რეჟიმზე, გვალვებსა და წყალდიდობებზე. რელიგიათმცოდნე ლ. ვასილიევის თანახმად, “დრაკონი ჩინეთში ყოველთვის ითვლებოდა არა მხოლოდ წყლის მმართველად, არამედ წმინდა ცხოველად, გარკვეულწილად ჩინეთის იმპერატორისა და ზოგადად, ჩინეთის სიმბოლოდ” (ლ. ვასილიევი, 1998, გვ. 203).

ინდუისტურ და ვედურ მითოლოგიაში ცნობილი ცეცხლის ღმერთი — აგნიც წყალშია დაბადებული და მთავარი ინდუისტური ღვთაება — ბრაჟმაც და სამყაროც წყალში შეიქმნა.

რელიგიებსა და მითებში წყლის სემანტიკაზე მსჯელობისას არ შეიძლება ყურადღების მიღმა დარჩეს მითი საყოველთაო წარლვნის შესახებ. წარლვნის გილგამეშისეული ვერსია საკმაოდ ახლოს დგას ბიბლიურ თხრობასთან.

მსოფლიოს ხალხთა მითებისა თუ რელიგიების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ წყალი უმნიშვნელოვანესია ადამიანისა და სამყაროს არსებობაში.

არაერთი გამოკვლევა გვაქვს როგორც მსოფლიო ხალხთა, ასევე ქართულ ფოლკლორში გველის, როგორც ადამიანთა მოდგმის მტრის შესახებ. მრავალი შელოცვა არსებობს გველის ნაკტენისაგან განსაკურნებლად, თუ მისი თავდასხმის თავიდან ასაცილებლად (მაგ., გველის გაქვავების შელოცვა). მთის რაჭაში ჩაწერილი გადმოცემების თანახმად, თუ კაცს გველი უკბენდა, მას წყალი უნდა გადმოვლო, რომ ქვეწარმავალი სახლამდე არ გამოდენებოდა, ხოლო თუ ამას ვერ მოახერხებდა და გზად წყალი არ შეხვდებოდა, ახლობელი კაცები იარაღით ხელში დარაჭობდნენ მის საცხოვრისს, გველი შხამის დასაბრუნებლად არ მოვიდეს და დაკბენილი არ მოკლასო (ს. რეხვიაშვილი, 1971, გვ. 158-159).

2015 წელს ექსპედიციის დროს ზემო სვანეთის სოფელ ბეჩოში და 2014 წელს ქვემო სვანეთის სოფ. ჟახუნდერში ჩაწერილი მასალების მიხედვით, წყალი გვევლინება გველის ნაკტენისაგან განსაკურნებლად. გადმოცემის თანახმად, ასეთ შემთხვევაში წყალზე გადავლა, წყლის გადალახვა ერთგვარი შრატის ფუნქციას ასრულებს.

საკუთრივ ღეგენდა ასეთია:

სვანური ღეგენდა წყალზე:

“წყალი ყველაზე მნიშვნელოვანია ადამიანისთვის, იმიტომ კი არა, რომ წყლის გარეშე ვერ გავძლებთ, იგი კაცის მხსნელიცაა. ბაბუაჩემი მიყვებოდა და

მეც მწამს, ტყეში რომ ხარ, ან შეშაზე, ან სანადიროდ, ხან რაზე, ხან რაზე, შეიძლება გველი შეგვეფეთოს, თუ გიყბინა უნდა ეცალო საჩქაროდ სახლისკენ წამოხვიდე, მარა იმ გზით, სადაც წყალია, წყალი უნდა გაღმოიარო, უნდა გადაახტე რუს მაინც, რომ არ მოიწამლო და უბედურება არ დაგემართს. ამ დროს გველი ფეხდაფეხ მოსდევს კაცს და უნდა მთლიანად დაისაკუთროს, სისხლი მოუწამლოს. ბაბუა მეუბნებოდა, გამოდექნებულმა გველმა ბალახს უთხრა: კაცი ხომ არ გინახავს? - ბალახმა უთხრა - აგერ გაიარაო, მერე ხეს უთხრა: - კაცი ხომ არ დაგინახავს? - ხემაც იქეთკენ წავიდაო და წყალს რომ მიადგა და იგივე ჰეკითხა, წყალმა უთხრა: არ ვიცი, ახლა ჩამოვიარე და არავინ დამინახავსო. ამიტოა, რომ თუ გინდა, გველის ნაკენმა არ მოგწიმლოს, წყალი უნდა გაღმოიარო, ან წყალში გახვიდე ან გადაახტე, რომ წყალმა შენ ფეხვეშ გაიაროს. ასიანია ეს, არაფერი დაგემართება. სასწაულია წყალი, დიდი საიდუმლოებაა” (მთქმელი რამაზ ავთანდილის ძე ხორგუანი, 55 წლის, 2015 წლის 23 ივნისი, ბერი²)³.

ადამიანთა აწმენით, გველი წყალში შესვლისას შხამს ნაპირზე ტოვებს და წყალში თუ ადამიანს უკბინა, მომწამლავი არაა, რადგან უშსამოა. ზოოლოგთა მტკიცებით, ეს ცრულწმენაა და იგი წყალშიც ისევე იკბინება, როგორც ხმელეთზე. შესაძლოა, ეს მოსაზრება ერთგვარად ბიბლიასაც უკავშირდებოდეს, რადგან, ქრისტიანული იკონოგრაფიის მიხედვით ნათლისღების დროს იორდანეში მდგომი მაცხოვარი ქუსლით გველს სრესს.

ჩვენ მიერ მოძიებული თქმულება კიდევ ერთხელ ადასტურებს წყლის ცხოველმყოფელ ძალას, მაგრამ დღემდე იგი, როგორც გველის ნაკენისაგან გასათავისუფლებელი ერთგვარი წამალი, გამძველებულ შელოცვასა თუ გაღმოცემაში ვერ დავადასტურეთ.

დამოწმებული ლიტერატურა

ბიბლია, საქართველოს საპატრიარქო, თბ., 1989.

დ. გავინი, 2004 - Gavin D'Costa. Church and Sacraments // The Blackwell Companion to Modern Theology. Blackwell Publishing Ltd, 2004.

რ. ელვუდი, 2007 - Ellwood, Robert (Ed.). The Encyclopedia of World Religions, Revised Edition, 2007.

ლ. ვასილიევი, 1998 - Васи́лев Л. С. История Религии Востока. М., 1998.

ზ. თანდილავა, 1996 - ზ. თანდილავა, წყლის კულტი და ქართული ფოლკლორი / რედ.: დ. ხახუტაიშვილი, ბათ., 1996.

² აღნიშნული ლეგენდა, აგრეთვე, ჩავიწერეთ სოფელ უახუნდერში 2014 წლის ექსპედიციისას.

³ წყლის გადავლის მერე გველის ნაკენს მხოლოდ ჩამობანენ საპნით, დაადებენ მსხლის დაღმუშებილ ფოთოლს და შეახვევენ. შელოცვას ალარ ამბობენ, რადგან წყლიდან გაწენდილად თვლიან.

- დ. თინიკაშვილი, ზ. ჯაში, 2010** - დ. თინიკაშვილი, ზ. ჯაში, მსოფლიო
რელიგიები. სახელმძღვანელო უფროსკლასელთათვის. თბ., მშვიდობის,
ფემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, 2010.
- კირილი, 1991** - Кирилл Иерусалимский. Поучения Огласительные и
Тайноводственные. М., 1991.
- ს. რეხვიაშვილი, 1971** - ს. რეხვიაშვილი, სიბრძნე აჩვენეს გველადა,
ჟურნ. „შნათობი”, №9, თბ., 1971.
- თ. ტომასი, 2003** - Томас, Эдвард. Будда. История и Легенды, М., 2003.
[https://semioticsjournal.wordpress.com/tag/
%E1%83%AC%E1%83%A7%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98/](https://semioticsjournal.wordpress.com/tag/%E1%83%AC%E1%83%A7%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98/)

LUIZA KHATCHAPURIDZE, RAMAZ KHATCHAPURIDZE

ABOUT THE ONE SVANETIAN LEGEND “WATER” (BECHO - ACCORDING TO THE MATERIALS OF 2015 EXPEDITION)

Water is considered as a starting point of the world, as a nuisance of life. The symbolic of the water is also rich in almost every religion: Judaism, Buddhism, Christianity, Islam. The majority of the world myths the life started in the water. That's the reason of the existence of mythic gods of water.

According to the material written during the expedition in Svaneti in 2015 the water is considered as a healer from the snake bite, according to the verbal saying, crossing the water in this case has the function of injection.

According to a legend the man was left alone by everyone - a tree, grass, bush, flower, they taught the snake the way towards a man, but the water didn't betray him, telling as if she had passed by at the given moment and hadn't seen a man. So, if a snake bites a man, he should cross the water and will survive from poisoning.

This legend again proves the lifesaving power of the water, but we didn't find the proof of using it as a kind of medicine savior from the snake bite used in verbal sayings or local prayers.

ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის წელიწლები
ANNUAL OF KUTAISI PUBLIC LIBRARY

IX

2017

მანანა ზიზანიშვილი
ნინო წერედიანი
მადონა ჩამგელიანი

**უცნობი საარქივო მასალა საქართველოს ეროვნული
მუზეუმის ითხობრავის ფონდის**

“სვანეთის ეთნოგრაფიული სინამდვილე უშრეტელი წყაროა, ვინც ამ სინამდვილის შესწავლის საქმეში თავის წვლილს, დიდსა თუ მცირეს შეიტანს, ჩვენგან მისალმების ღირსია, მით უფრო, თუ ის ეროვნებით ქართველი არ არის“ – ეს სიტყვები ქართული ეთნოლოგიური სკოლის ფუძემდებელმა ბატონმა გიორგი ჩიტაიამ, ევდოკია კოშევნიკოვას მისამართით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის სხდომაზე წარმოთქვა, როდესაც მოისმინეს ეთნოლოგ ევდოკია (დინა მას სვანეთში მცხოვრების დროს შეარქვეს სვანებმა) კოშევნიკოვა-გუგუშვილის საანგარიშო მოხსენება “სვანეთში ჩატარებული ეთნოგრაფიული სამუშაოების” შესახებ. სხდომა შედგა 1951 წლის 3 აპრილს. (დ. კოშევნიკოვა, 1951, გვ. 4). ბევრად ადრე კი იყო რთული და შრომატევადი, თუმც საინტერესო და ნაყოფიერი, ხანგრძლივი (1927-35წწ. 1942-45წწ.) ცხოვრება და მოლვაწეობა სვანეთის მიუგალ სოფლებში.

ცნობილია, რომ ქართველი საზოგადო მოლვაწეები და მეცნიერები ეთნოგრაფიული მასალის შეგროვებასა და კვლევას განსაკუთრებულ, წყაროთმცოდნეობის მნიშვნელობას ანიჭებდნენ. “ამგვარ შესწავლასა და გამოკვლევას მოაქვს სასარგებლო და კეთილი ნაყოფი, მხოლოდ ამნაირის შესწავლით და გამოკვლევით შეიძლება ყოველმხრივ შევიგნოთ ხალხის წარსული და აწყმო, იმისი ავი და კარგი, იმისი წადილი და საჭიროება“ – წერდა ილია ჭავჭავაძე (ილ. ჭავჭავაძე, 1955, გვ. 192). სწორედ ასეთ “სასარგებლო საქმანობას“ მოჰკიდა ხელი გასული საუკუნის ოცდაათიან წლებში პეტერბურგის უნივერსიტეტის კურსადმთავრებულმა, ნიკო მარის სტუდენტმა ევდოკია (დინა) კოშევნიკოვამ (სურ. 1). ჩვენი მიზანია, მოკლედ მიმოვიხილოთ და საზოგადოებას გავაცნოთ დინა კოშევნიკოვა-გუგუშვილის მიერ სვანეთში შეკრებილი ეთნოგრაფიული და ვიზუალური მასალა (ხელნაწერები, ფოტოები, ჩანახტები), რომელიც დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის, სიმონ ჭანაშიას საქართველოს მუზეუმის, ისტორიისა და ეთნოგრაფიის კოლექციებში. ეს მასალა ჭეშმარიტად ძვირფას და სანდო წყაროს წარმოადგენს ქართული ეთნოკულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის.

სვანეთის შესახებ დიდძალი სამეცნიერო ლიტერატურა არსებობს. საქართველოს მთანეთის ამ გამორჩეული კუთხის ისტორიასა და ეთნოგრაფიაზე განსაკუთრებით ბევრი დაიწერა XIX-XX სს.-ის პირველ ნახევარში, როგორც ქართველი, ისე უცხოელი მკვლევრების მიერ. ამ პერიოდის უცხოელ ავტორთა ნაშრომები ხშირად ზერელ და ტენდენციურია; კვლევისას ისინი სვანების

კარჩაკეტილობასა და პირველყოფილი გვაროვნული საზოგადოების გაღმონაშოთებზე აკეთებდნენ აქცენტებს. დინა კოუენიკოვა იყო პირველი არაქართველი, ვინც ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა (22 წლის) დასახლდა ზემო სვანეთში, შეისწავლა სვანური და სვანურ ენაზე (ქართული, იშვიათად რუსული და ნიკო მარისეული ანალიტიკური ანბანით) თემატურად მრავალფეროვანი და მდიდარი ეთნოგრაფიული მასალა ჩაიწერა, თუმცა სხვაგვარად არც შეიძლებოდა მომხდარიყო, რამეთუ მისი მოძღვარი აკადემიკოსი ნიკო მარი იყო და საქართველოსა და სვანეთის სიყვარულიც მისგან პქონდა ნასწავლი. მან, გაჭირვებისა და მრავალი დაბრკოლების მიუხედავად, იმუშავა ზემო სვანეთის თითქმის ყველა საზოგადოების (ცხემარი, ბეჩო, ლატალი, ლენჯერი, მესტია, მულახი, იფარი, ხალდე, კალა, უშგული და სხვ.) სოფლებში. ჩანაწერები, რომლებიც ეხება გასული საუკუნის 20-40-იანი წლების სვანეთის საზოგადოებრივი და საოჯახო ურთიერთობების, ჩვეულებითი სამართლის, რელიგიის, მიცვალებულთა დაკრძალვისა და სულის ხსენების, სოციალ-ეკონომიკური ხასიათის საკითხებს, მოწმობს, თუ რამდენად ფართო იყო მისი ინტერესების სფერო.

დინა კოუენიკოვა ერთ საზოგადოებაში შეკრებილ მასალას ამოწმებდა და აჭერებდა სხვადასხვა თემსა და სოფელში ჩანაწერებს. ენის ცოდნა და ეთნოგრაფიული ფაქტებისადმი სწორი თვალსაზრისი მას საშუალებას აძლევდა, გამოევლინა სვანების ყოფისა და სულიერი კულტურის სპეციფიკური ნიშნები. რაც დრო გადის, მით უფრო მატულობს დინა კოუენიკოვას ეთნოგრაფიული მასალის ღირებულება, რადგან ტრადიციული წეს-ჩვეულებების უმეტესობა, რომლებიც ჩანაწერებშია აღწერილი და თავმოყრილი, თითქმის გამჭრალია და მათი მცოდნეც ცოტალა დარჩენილი. იმ დროს კი, როცა დ. კოუენიკოვა ცხოვრობდა და მუშაობდა, სვანეთში ხალხური ყოფა-ცხოვრება ჯერ კიდევ არქაული ყოფის ელემენტებით იყო გაფერებული. ამდენად მის ჩანაწერებში დამოწმებულია უკვე გამჭრალი და მივიწყებული ყოფითი რეალიები. იგი ინტერესდება ფოლკლორითა და ჩვეულებითი სამართლის საკითხებით – ჩაწერილი აქვს სიმღერების ტექსტები, ლექსები, თქმულებები, შელოცვები, სიზმრების ახსნა, ხალხური გართობა-თამაშობები, მონადირეობა და სანადირო წეს-ჩვეულებები. დაფიქსირებული აქვს ცნობები მოსისხლეთა და სხვა მოდავეთა შესახებ. გარდა სულიერი კულტურისა, მის საველე ჩანაწერებში ამოიკითხავთ ცნობებს სამეურნეო საქმიანობასა (მიწათმოქმედება, მესაქონლეობა) და მასთან დაკავშირებული მაგიური ქმედებების, სევალისა და დენთის დამზადების წესების შესახებ. მის აღწერილობებში არ არის მხოლოდ მშრალი გადმოცემა, არამედ ყოველდღიური, უშუალო დაკვირვებაა მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებაზე. მასალის შეკრებისას, რომელსაც უშუალო გამოკითხვისა და დაკვირვების გზით აგროვებდა, ხშირ შემთხვევაში, უთითებდა მთხრობელის ვინაობას, ახდენდა ფაქტების კვლევასა და გააზრებას, რომელიც შესაძლოა ყოველთვის არ იყოს ახლოს მეცნიერულ ჰეშმარიტებასთან, თუმცა და მკვლევარისთვის მნიშვნელოვანია მათი გათვალისწინება.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ წეს-ჩვეულებას დინა კოუენიკოვა დაწვრილებით იწერდა, ზოგიერთის მიმართ კი მოკლე აღწერილობითი მასალით შემოიფარგლებოდა. შეკრებილი მასალის დიდი ნაწილი მიცვალებულთან

დაკავშირებულ ადათ-წესებსა და სვანურ ხალხურ დღესასწაულებს ეძღვნება. პეტერბურგის უნივერსიტეტის ეთნოგრაფიის სექტორისთვის გაგზავნილ 1928 წლის სამუშაო ანგრიშში დინა კოუევნიკოვა წერდა, რომ უძველესი რელიგიური მსოფლმხედველობის შესწავლისათვის სასწრაფო და მნიშვნელოვანი იყო სვანების ყოველდღიურ ყოფაში ჯერ კიდევ შემორჩენილი წინაპართა კულტისა და ხალხური დღესასწაულების შესხებ მასალის შეგროვება. ამსთვის კი იგი სამივლინებო დღეების გაგრძელებასა და დაფინანსებას ითხოვდა (დ. კოუევნიკოვა, 1928, გვ. 2). ახალგაზრდა ეთნოლოგის ამ საკითხებით დაინტერესება, ალბათ, იმითაც იყო გამოწვეული, რომ როული შინაარსისა და მდიდარი ინფორმაციის მატარებელ სვანურ ხალხურ დღესასწაულებში ყველაზე კარგად ვლინდება ძელი სარწმუნოებრივი ელემენტების თანაარსებობა ქრისტიანულ რელიგიისთან. დღესასწაულები შეიცავდა სხვადასხვა მაგიურ ქმედებებსა და წეს-ჩვეულებებს, რომლებიც მიძღვნილი იყო წინაპართა და ნაყოფიერების კულტისადმი, მეურნეობის, უხვი მოსავლის დაბევებისა და ოჯახის კეთილდღეობისადმი. დინა კოუევნიკოვამ ზემო სვანეთში 140-მდე საეკლესიო, სათემო და საოჯახო დღესასწაული აღწერა, ჩაიწერა და მნიშვნელოვანი მომენტები ფირზე აღმცენდა. მხოლოდ ლატალის თემში ზამთრის ციკლის 36 კალენდარული, აგრარული დღესასწაული აქვს ჩაწერილი, საგაზაფხულო — 33, ზაფხულისა და შემოდგომის — 28 (სურ. 2). ალანიშნავია, რომ მან ისეთი დღესასწაულებიც დააფიქსირა, რომელთა შესახებ მანამდე ცნობები არ მოიპოვებოდა. მაგალითად, საოჯახო და საგვარეულო დღესასწაულები ლატალსა და ბექოში, სადაც დასტურდება ღვთაებისადმი მიწის შეწირვის ჩვეულება. ოჯახის საკუთრებაში არსებული ყანის ან სათიბის შუა ან კიდეებში ღვთაებისათვის შოზომილ-შეწირულ მიწას, რომელსაც არ ამუშავებდნენ (აღვეთილი) ლალცხატს უწინდებდნენ (ცხატულცხატ სოლივით ჩასობილი, ჩარჭობილი). ლალცხატს თავდაპირველად ერთი კვ. მეტრი იყო და შემდეგ მას, საჭიროებისამებრ, ყოველწლიურად ემატებოდა თითო ხნული, შესაბამისად, იზრდებოდა მისი ფართობი. ეწირებოდა ხოშა ღერბეთს, ფუსდ დამბადებელს, ლამარიას თარინგზელს, არ ეწირებოდა ჯგურჟსა და ბარბალს. შეწირვის მიზანი ყოველგვარი სწორულებისგან დაცა, დარ-ავდრის და კეთილდღეობის დაბევება იყო. ლატალში არ მოიძებნებოდა ოჯახი, რომელსაც არ ჰქონდა ლალცხატი. თუ ოჯახი შეძლებული იყო, მას რამდენიმე ლალცხატი ჰქონდა წმინდანების სახელზე შეწირული, სალოცავ დღეებსაც მათთვის გაანაწილებდნენ და რიგის მიხედვით ალავლენდნენ ლოცვებს. შეწირულ მიწას უვლიდნენ, ასუთავებდნენ — დანაგვინება რისხვის მიზეზად და მკრეხელობად ითვლებოდა. იმდენად დიდი იყო ლალცხატის მიმართ კრძალვა და შიში, რომ ოჯახში თუ ვინმე ავად გახდებოდა, ლალცხატის გაბინძურებასა და წესის არასწორად შესრულებას აბრალებდნენ და ხელმეორედ ალავლენდნენ ლოცვებს — ადამიანის ზომის მიწას კვლავ მოზომავდნენ და ლიდბაშს მოაწყობდნენ; ასეთ შემთხვევაში საკლავსაც კი სწირავდნენ. ლოცვებს ძირითადად ერთი გვარის ქალები ალავლენდნენ, რომლებიც თავ-თავიანთ ლალცხატზე აწყობდნენ ლიდბაშის (ლია ცის ქვეშ ლოცვის გამართვა, სალოცავი კვერების გამოცხობა და შეწირვა, “დაბ”-ყანა). მისი გამართვა ნებისმიერ დროს შეიძლებოდა, თუმც უმეტესად უფლიში ერისას, კვირაცხოვლობის მომდევნო დღეებში ეწყობოდა. ლიდბაშისას

მოაწყობდნენ კა-კერას და აცხობდნენ ხმიადს ან ხორციან და ყველიან ლემზირებს. ლემზირს სანთელთან, საკედელსა და ზედაშესთან ერთად პირველად აღუვლენდნენ იმ წმინდანს, რომლის სახელზეც იყო მიწა (ლალცხატ) შეწირული, შემდეგ სნეულის ჯანმრთელობისთვის დაილოცებოდნენ, მესამე ლემზირს კი ადამიანთა და საქონლის ავი ზნისა და ავი თვალისგან დაცვისთვის სწირავდნენ. ლინა კოუევნიკოვას ცნობით, ზოგ შემთხვევაში ლიდბაშში ქალები ჩუბავ ლიმზირსაც (ქვევით, მიწისკენ ვედრება) აღავლენდნენ ლამარიას სახელზე ისეთივე წესით, როგორც მაჩუბში კერასთან, მამაკაცებისგან მალულად. ლიდბაში ზოგადად ქალების საწესო ლოცვაა, ესაა მსახურების სისტემა, სადაც მხოლოდ ქალები მონაწილეობდნენ. ადგილი, სადაც ლიდბაში სრულდებოდა, ლალცხატის გარდა, შესაძლოა ყოფილიყო ნატაძრალი, წმინდა ადგილი, წმინდა ხე ან გორაკი. ლალცხატში მამაკაცებიც ასრულებდნენ ლოცვასა და მსხვერპლ შეწირვას. დ. კოუევნიკოვას ჩაწერილი აქვს დღესასწაული სიკურო (სიკურორაკი), რომელიც ლატალში იმართებოდა უფლიშის მეორე დღეს (სურ. 3). ამ დღეს ერთი ლასკარის (სადღესასწაულო გაერთიანება ერთი ან რამდენიმე მონათესავე გვარისა სამეზობლოში) მამაკაცები იყრიბებოდნენ გორაკზე, სადაც ფუსნაბოასდიშის სახელზე შეწირული ყანა – ლალცხატი მდებარეობდა. ხარება დღეს ლასკარში შენაგროვები ფულით ნაყიღი ხორცი, არაყი, გამომცვარი კვერები (ლესკარ) აპქონდათ და ცისკვე ხელაპყრობილნი ლერთს კარგ ამინდსა და დარავდარს ევედრებოდნენ. მამაკაცების მიერ სიკურო დღეს ლალცხატში აღვლენილი ლოცვა და ამინდის გამოსაწვევი მაგიური ქმედებები (ქალების ლიდბაშისგან განსხვავებით) სამიწათმოქმედო მეურნეობასთან იყო დაკავშირებული და ბარაქიანი მოსავლის დაბევებას ემსახურებოდა. ბალსქვემოთ, ბექოში ჩაწერილი ცნობებით, მუჭობ ლადედ-ის დღესასწაულზე, რომელიც ამაღლების მომდევნო კვირას მთავარანგელოზისადმი შეწირულ მიწაზე-ლალცხატში იმართებოდა, იყრიბებოდნენ ერთი გვარის კაცები, ქალები და ბავშვებიც. მსხვერპლ შეწირვა და ლოცვა აღესრულებოდა გულა გაბრიელ მთავარანგელოზისადმი – ავი თვალის წინააღმდეგ, ნებისმიერი ავაღმყოფობისა და განსაკუთრებით სულიერად დაავადებულების გამოწანმრთელებისთვის. ლალცხატის გარდა, დ. კოუევნიკოვა საღვთო მიწებად ლაგუზის და ლალკანსაც მოიხსენიებს. შესაბამისად, ისინი საკრალურ გეორგაფიულ სივრცედ მოიაზრება. ლაგუზ ყანაა, სადაც წმინდა ხორბალი გუზი არის დათესილი და მოწეული, რომლისგანაც ცხვებოდა შესაწირი სარიტუალო პურები. ლალცხატის მსგავსად ლიდბაში ლაგუზშიც ტარდებოდა. რაც შეეხება ლალკანს, ეს არის სათიბი, რომლის თივასაც სოფელი, სასოფლო დღეობისთვის (უფლიშ) არჩეული ხარის გაზრდა-გასუქებას ახმარდა. ლაჯანს თიბავდა მთელი სოფელი და მიჰქონდათ იმ ოჯახში, სადაც ხარი იკვებებოდა. მემინდევრეობასთან დაკავშირებული აგრარული დღესასწაულები და რწმენა-წარმოდგენები სვანეთში სამიწათმოქმედო კულტურის სიძველესა და განვითარებულობაზე მიუთიოებს.

სვანეთში წლიური ციკლის თითქმის ყველა დღესასწაული მიცვალებულის სულებისათვის პატივის მიგებასა და მსხვერპლ შეწირვას მოიცავდა. დ. კოუევნიკოვას საინტერესო ცნობები აქვს დაფიქსირებული მიცვალებულის სულთან დაკავშირებულ დღესასწაულებზე და იმ ხარჯებთან დაკავშირებით, რასაც ასრულებდნენ ცოცხალი ადამიანები საკუთარი საიქიოს უზრუნველყოფის მიზნით

(ლიფანალის ციკლი, კათხტაბჭე, ლუხორი, ლაგუანი, ბპცხი). კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით (მამაკაცის, ქალის, მოუნათლავი ბავშვის), აღწერილი და გადაღებული აქვს გლოვის, დატირების, გარდაცვლილის სულის ამოყვანის რიტუალები. რიგ შემთხვევაში იგი არ ითარგლება მხოლოდ აღწერილობით, ცდილობს, ახსნას და გამოიკვლიოს ესა თუ ის მოვლენა. თავის ჩანაწერებსა და კვლევას, როგორც ჩანს, ანგარიშის სახით ყოველწლიურად აგზავნიდა პეტერბურგის (მაშინდელი ლენინგრადი) უნივერსიტეტში. ჩვენს ხელთ არსებულ, 1931 წლის საანგარიშო წერილში იგი განიხილავს ყველა დროის მკვლევარისთვის საინტერესო და რთულ თემას, რომელიც ეხება სვანებისათვის სათაყვანებელი და გამორჩეული წმინდანის ჯგრისგის სემანტიკის, ფუნქციის კვლევას (დ. კოჟევნიკოვა, 1931, გვ. 6). დინა არ ღალატობს თავისი პედაგოგის, აკად. ნიკო მარის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სვანურ ჯგრის და მეგრულ ჯგრეს წმინდა გიორგის სახელთან არ აქვთ გენეტიკური კავშირი. როგორც ცნობილია, აკად. ნიკო მარი რელიგიური და ლინგვისტური კვლევებით ამ წმინდანებს იაფეტურ წარმართულ ღვთაებას, წმინდა მუხას (მრ. რიცხვში) უკავშირებდა. (მ. მარი, 1938, გვ. 233). დიდი მეცნიერისგან განსხვავებით, დინა კოჟევნიკოვა სვანური ეთნოგრაფიული, ფოლკლორული და ლინგვისტური მონაცემების საფუძველზე, მიღის იმ დასკვნამდე, რომ ჯგრის არის წინაპართა კულტთან დაკავშირებული, სვანების უჯველესი ღვთაება. მისივე აზრით, წმინდა გიორგის სახელზე აგებული ეკლესიების ადგილას თავდაპირველად მიცვალებულთა სულების სამყოფელი და ამ ღვთაების სამლოცველოები უნდა ყოფილიყო; საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქრისტიანულ ეკლესიათა დიდი ნაწილი წარმართულ სამლოცველოთა ადგილზეა აშენებული; შესაბამისად, ქრისტიანული ეკლესიები და წმინდანები სამლოცველოებსა და ღვთაებებს ჩაენაცვლნენ და მათი ფუნქციების თანაზიარნი გახდნენ (მ. მაკალათია, 1977, გვ. 26). მკვლევარი წმინდა მუხის თაყვანისცემისა და ჯგრის შორისაც ავლებდა პარალელს, იმოწმებდა რა ფარის თემში ჩაწერილ გადმოცემას, რომლის მიხედვითაც ფარის წმინდა გიორგის ეკლესის მახლობლად მდგარ წმინდა მუხის ტოტებზე აღამიანი-ლმერთის-ჯგრის შიგნეული იყო ჩამოკიდებული. ერთ დღეს ქრისტემ და მთავარანგელოზმა გადაწყვიტეს ჯგრაგის დასხა. მიუხედავად იმისა, რომ გაჭირვებულების მოსარჩევე იყო და ყველას ეხმარებოდა, ღმერთებს ეურჩებოდა და თავნებობდა. მძინარე ჯგრის გულ-ღვიძლი ამოაცალეს და მუხაზე ჩამოკიდეს, თავად კი ზეცაში აიყვანეს, გვერდზე მოისვეს და ღმერთად აქციეს. ხალხის რწმენა-წარმოდგენებით, ამ დღის მერე დაკანონდა თურმე სამსხვერბლო ცხოველის გულ-ღვიძლის ღმერთებისთვის შეწირვა. ფარშივე ჩაწერილი მასალის მიხედვით, ალდოგმის მომდევნენ ორშაბათ დღეს (ლიკვარი დომდულ) წმინდა მუხასთან იკრიბებოდნენ მიცვალებულების ოჯახის წევრები და შესაწირი საკურთხით ჯგრის თვითანთი მიცვალებულების სულების შენდობასა და ცოცხლების კარგად ყოფნას შეავეღრებდნენ (სურ. 4). ასეთივე თქმულება ჯგრის ზე ჩაწერილი აქვს აკად. აკაკი შანიძეს ლენჯერის თემში (აკ. შანიძე, 1978, გვ. 88). თავისი მოსაზრების გასამყარებლად დინა კოჟევნიკოვამ სვანური ენის ლექსიკური მონაცემებიც გამოიყენა. კერძოდ ახსნა “ჯგრ” (კურთხეული, წმინდა) ფუძისგან წარმოებული სულთან დაკავშირებული შემდეგი ტერმინები: ლი-ჯგრ-ი (მიცვალებულის სულისთვის საკურთხის წაღმა), ნა-ჯგრ-უნ (საკურთხი-

არაყი, საჭმელი, ტანსაცმელი), ჟეშ- გგგრ-ან (მიცვალებულის სულის ცხენი და მხედარი), ქალების სალოცავი მულახის თემში მუჟალში - გვერ-ან, სადაც მხოლოდ ქალები დადიოდნენ და წმ. ბარბარესა და ლამარიას სახელზე ჩუბავ ლიმზირსა (ქვევით ლოცვა) და გიმ ლიმზირს (მიწის ლოცვა) აღასრულებდნენ, გვგრ-ვან - ეკლესია იფარში, აქ მხოლოდ მამაკაცები აღავლენდნენ ლოცვებს. ამ თემასთან დაკავშირებით საინტერესოდ გვეჩვენება ეთნომუსიკოლოგების მიერ ჩატარებული კვლევა, იმის შესახებ, რომ სვანური ზარი, რომელიც მიცვალებულთა უძველესი საკულტო საგალობელია, სვანურ ჰიმნურ საგალობელთა შორის ყველაზე ახლოს დგას 'ჯგრგვიშ'-თან, რომელიც ერთადერთია მგლოვიარის ოჯაში გლოვის დროს რომ ითქმება (ნ. მეავანაძე, 2017, გვ. 180). ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში წმინდა გიორგის ბუნებისა და ფუნქციის შესახებ აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ბოლოდროინდელი კვლევებით დადგენილია, რომ ქრისტიანული წმინდანი არქაული ხანის ბევრ ელემენტს შეიცავს და მისი ფორმირება სხვადასხვა რელიგიურ-მითოსურ პერსონაჟთა შერწყმით უნდა მომზდარიყო. ქართველი ხალხის რწმენით, წმინდა გიორგი მრავალფეროვანი ბუნების და ფუნქციის მატარებელი მხედარია - არის ქუდოსანი, თეთროსანი, მოისარი, მეხმატყორცნელი (ნ. აბაკელია, 1985, გვ. 145), მფარველი და მხსნელია მონადირეთა, სნეულთა, მეფუტკრეობის, მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის. მასში გაერთიანებულია ხალხური რწმენა-წარმოდგენები ციურ მნათობთა, ნადირთლვთაების, დარ-ავდრის მომნიჭებლის, წინაპართა კულტის შესახებ.

საქართველოს მთიანეთის კუთხეებს შორის სვანეთში ყველაზე ღრმად იყო შეჭრილი ქრისტიანობა, რომელიც ადრე შუა საუკუნეებშივე გავრცელდა. აქ შემორჩენილი დარბაზული ტიპის მცირე ზომის ეკლესიები (IX-Xს.) საკრალურ სივრცეს და, ამავე დროს, განძსაცავსაც წარმოადგენდა. სვანეთის ეკლესიებში დაცული იყო ქრისტიანული ხელოვნების უნიკალური ნიმუშები, წმინდანების გამოსახულებიანი ხატები. ჩანაწერებიდან და ფოტოებიდან ირკვევა, რომ დინა კოუევნიკოვა ქრისტიანული ხელოვნებითაც ინტერესდებოდა, სისტემატურად დადიოდა ეკლესიებში და ფირზე აღბეჭდავდა იქ დაცულ საგანძურს. გადალებული აქვს ეცერის მთავარანგელოზის ეკლესიის კარები, წმ. კვირიკეს ეკლესია კალაში, ნაკიფარისა და სეტის წმ. გიორგის ეკლესიები და იქ დაცული საგანძური. როგორც ჩანს, ეს მისი სამსახურებრივი მოვალეობაც იყო, რადგანაც იგი ახლადდაარსებული სვანეთის მუზეუმის (1936წ.) მეცნიერ-თანამშრომლადაც ირიცხებოდა და ახლო ურთიერთობა ჰქონდა მის პირველ დირექტორთან ეგნატე გაბლიანთან, რომლისგანაც ეთნოგრაფიული მასალაც აქვს ჩაწერილი. მის არქივში ინახება ჩანაწერი, საღაც ერთი წლის სამუშაო-სამუზეუმო კოლექციების ინვენტარიზაცია, ექსპონატების მოძიება, მოვლა-მოწესრიგება, მათი შერჩევა საექსპოზიციოდ, ახალი ექსპოზიციის მოწყობა — თვეების მიხედვით (დაწყება-დამთავრება) აქვს გაწერილი (დ. კოუევნიკოვა, 1935, გვ. 7). წერილში "К вопросу о сванских священниках" ლინა ეხება სვანეთის, კერძოდ იფარის ეკლესიებში მომსახურე სასულიერო პირებსა და საეკლესიო მღვდელმსახურებას. ჩაწერილი მასალით ირკვევა, რომ რევოლუციამდე და მას შემდგომაც მარტო იფარის თემში 12 მღვდელი მსახურობდა, მათ შორის ოთხი თავისუფლად კითხულობდა ქართულ ლიტერატურის წიგნებს, დანარჩენები კი გალობდნენ და ლოცვებს ზეპირად აღასრულებდნენ (სურ. 5).

ჩვენთვის განსაკუთრებით ფასეულია დინა კოჟევნიკოვას მიერ გადაღებული ფოტოსურათები და მისივე ხელით შესრულებული ჩანახატები. ესაა უნიკალური ვიზუალური მასალა, რომელიც სილრმისეულ ინფორმაციას ინახავს სვანეთის ეთნოკულტურული მემკვიდრეობის შესახებ. ვერა ბარდაველიძემ დინა კოჟევნიკოვას ფოტოსურათები მეტად საინტერესოდ და მნიშვნელოვნად მიიჩნია, „რადგან მთხე ფიქსირებული ბევრი მოშენტი უკვე გამჭრალია ყოფილან და ისინი ამ ფოტოებმალი შემოინახა“ (დ. კოჟევნიკოვა, 1951, გვ. 5). ფოტოსურათები რეალისტურია და არაა დადგმული, რამდენადაც იგი თავად იყო მონაწილე იმ საწესო რიტუალებისა თუ შრომითი პროცესებისა, რომლებიც ფოტოებზეა აღბეჭდილი.

დინას ცხოვრება და მოღვაწეობა სვანეთში დაემთხვა საბჭოთა ხელისუფლების გარიურაქს. ეს ის პერიოდია, როდესაც მიზანდასახული ბრძოლა მიდიოდა სულიერი კულტურის განადგურებისაკენ, ხდებოდა ხალხურ დღეობათა აკრძალვა, საკულტო ობიექტებისა და კულტის მსახურთა ფიზიკური განადგურება. თუმც საქართველოს მთის მოსახლეობაში და მათ შორის სვანებშიც მყარად იყო დაბუდებული ეროვნული თვითშეგნება, ტრადიციული ძალა და მუხტი, რამაც შემოგვინახა და გადაარჩინა ქართული ეთნოკულტურა. მიუხედავად იდეოლოგიური წერისა, დინა ახერხებდა და აგრძელდა მასალას რელიგიური თემატიკის გარშემო. ათეისტური რწმენა, რომელიც იმხანად ქვეყნად დამყარდა, მცირე დოზით მისმა ჩანაწერებმაც შემოინახა. მაგალითად მოცემული აქვს ცნობები, თუ როგორ უკრძალავს კომეკშირელი შეილი დედას შინ მღვდლის მოყვანასა და მამისთვის წესის აგების რიტუალის შესრულებას, ლაგვანის გადახდას, როგორ ეწიხაალმდეგებიან პარტიის წევრი ახალგაზრდები სასოფლო და საოჯახო დღესასწაულების გამართვას.

ეთნოგრაფიული მასალის შეგროვების პარალელურად, დინა კოჟევნიკოვა აქტიურ მონაწილეობას იღებდა ადგილობრივი მოსახლეობის საზოგადოებრივ ცხოვრებაში — ესწრებოდა სასოფლო კრებებსა და თავერილობებს, ასწავლიდა ბაგშვებს წერა-კითხვას, არჩევდა კოოპერატივის საქმეებს. თავის წერილებში იგი ეხება განათლების, ქალთა სოციალური მდგრადრეობის, ეკონომიკის, ჯანმრთელობის, მშენებლობის და სხვა საჭირობროო საკითხებს. პარალელურად ალწერა და ფოტოებზე აღბეჭდა საბჭოთა სვანეთის ახალი ყოფა — ოქტომბრის რევოლუციის ათი წლისთავისადმი მიძღვნილი ლონისძიება, ფილიპე მახარაძის სტუმრობა სვანეთში, ქალთა უფლებების დაცვისა და ჰიგიენისადმი მიძღვნილი ლონისძიებები, ჭრა-კერვის სკოლა მესტიაში და სხვა.

დინა კოჟევნიკოვას ხელნაწერების გაცნობისას, ჩნდება კითხვები: ასეთი კვალიფიკაციისა და განათლების მქონე ეთნოლოგმა, რომელმაც დიდხანს და ნაყოფიერად იმუშავა სვანეთში, რატომ სისტემაში არ მოიყვანა, არ დაამუშავა და გამოიკვლია ის, რის ჩაწერასაც ახდენდა, რატომ არ იყენებდა შედარებისთვის საქართველოს სხვა კუთხეებისა და კავკასიის ხალხთა პარალელურ მასალას, ენობრივ მონაცემებს. იცნობდა თუ არა იგი იმ პერიოდის ქართულ სამეცნიერო პუბლიკაციებს? როგორც ირკვევა, დ. კოჟევნიკოვა სამეცნიერო ხასიათის გამოკვლევებს ლენინგრადში აგზავნიდა. დინა კოჟევნიკოვას ქალიშვილის, ქალბატონ ელენე გუგუშვილის დაბმარებითა და შუამდგომლობით პეტერბურგის ეთნოგრაფიის მუზეუმის არქივში მივაკვლიერ ერთ-ერთი სტატიის ხელნაწერს

“Материалы о религиозных верованиях Сванов”. ვიმედოვნებთ, რომ შემდგომში შევძლებთ საარქივო მასალის დამუშავებასა და შესწავლას. ქართული სულიერი კულტურის უდიდესმა მკვლევარმა ვერა ბარდაველიძემ, რომელმაც საბაზისო შრომები მიუძღვნა სვანეთის ეთნოკულტურულ მემკვიდრეობას, ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო სხდომაზე, 1951 წელს, დინა კოუევნიკოვას მისამართით რამდენიმე შენიშვნა გამოთქვა. შენიშვნები ძირითადად ეხებოდა მასალის შეკრებისა და კვლევის მეთოდოლოგიას. ჩანაწერებში არ ჩანდა მკვეთრი დიფერენციაცია დღეობებსა და სხვა წეს-ჩვეულებებს შორის, მართალია მისთვის, ცოცხალ სინამდვილესა და ყოფაზე დაკვირვება მუშაობის მთავარი ხერხი იყო, მაგრამ იმის გამო, რომ ხალხური დღესასწაულები და წეს-ჩვეულებები რთული ფენომენია და უძველესი მსოფლიხედველობის მრავალ დანალექს შეიცავს, საკმარისი არ არის, იმის აღწერა, რასაც თვალით ვხედავთ, მას ადგილზევე უნდა მოეხდინა მასალის კვლევა და შეჯერება, სხვადასხვა ეპოქების შრეებისა და დანალექების გამიჭვნა, რათა აღედგინა ჩვეულებათა უფრო ძველი სახე. ვერა ბარდაველიძე, აკად. გიორგი ჩიტაიასთან ერთად, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მეცნიერული და საველე-კვლევითი სამუშაოების სწორ წარმართვასა და საჭირო მეთოდოლოგიის შემუშავებას. გასული საუკუნის 30-იან წლებში ვერა ბარდაველიძემ შეიმუშავა საველე ეთნოგრაფიული მასალის მოპოვების ერთიანი პროგრამა-კითხვარი, რომლის საფუძველზეც წლების განმავლობაში ხდებოდა ეთნოგრაფიული მასალის მოპოვება და სისტემიტიზაცია (ვ. ბარდაველიძე, 1988, გვ. 12). როგორც სხდომის ოქმიდან ირკვევა, დინა კოუევნიკოვას არც ამ პროგრამა-კითხვარის გაცნობის საშუალება მიეკა. სამწუხაროდ, როგორც თავად აღნიშნავდა, გარკვეული მიზეზების გამო, იგი მოსწყდა სამუშაოს და ველარ გააგრძელა... ამის ერთ-ერთი მიზეზი, როგორც ქალბატონი იზა ჩანტლაძე აღნიშნავს, შესაძლებელია, ნიკო მარის მოწაფეობაც ყოფილიყო (ი. ჩანტლაძე, 2018, გვ. 12).

სვანეთის ისტორია და ეთნოკულტურული მემკვიდრეობა აქტუალურია დღესაც და ბევრი ქართველი თუ უცხოელი მეცნიერის კვლევის საგანს წარმოადგენს. “თუ თანამედროვე ეთნოლოგია...ნახევარი საუკუნის მანძილზე გასაოცრად დაწინაურდა, ეს იმ გარემოებების შედეგია, რომ მის განკარგულებაშია საუცხოო ეთნოგრაფიული აღწერილობები. ჩვენი ეთნოლოგიური მეცნიერება უპირველეს ყოვლისა სწორედ ასეთ აღწერილობებს საჭიროებს” – წერდა აკად. გ. ჩიტაია (გ. ჩიტაია, 1926). წინა საუკუნეების ეთნოგრაფიული ჩანაწერებისა და ახალი მონაცემების დინამიკაში შესწავლა-შედარება საუკეთესო საშუალებაა ისტორიულ-ეთნოგრაფიული და ინტერდისციპლინარული კვლევებისათვის, რათა ფარდა აქხალოს ჭერ კიდევ ამოუცნობსა და სალავო საკითხებს. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა ჩანაწერების არქივის სისტემტიზაციაზე, იდენტიფიცირებასა და დიგიტალიზაციაზე, რაც საქმაოდ რთული, შრომატევადი და ხანგრძლივი პროცესია. იმედი გვაქვს, რომ დინა კოუევნიკოვას ეთნოგრაფიული ჩანაწერები ხელმისაწვდომი გახდება სვანეთის ეთნოგრაფიითა და კულტურით დაინტერესებულ მკვლევართა და საზოგადოების ფართო წრისათვის.

დამოწმებული ლიტერატურა

- 6. აბაკელია, 1985** — ნ. აბაკელია, ქრისტიანული წმინდანები დასავლურ ქართულ რწმენა-წარმოდგენებში, მაცნე, თბ., 1985.
- 3. ბარდაველიძე, 1988** — ვ. ბარდაველიძე, ქართველი ხალხის სულიერი ყოფა და კულტურა (პროგრამა-კითხვარი), თბ., 1988.
- 9. კოუევნიკოვა, 1928** — ე. კოუევნიკოვა, არქივი, отчет о работе Д. И. Кожевниковой из верхней свании, тб., 1928.
- 9. კოუევნიკოვა, 1935** — ე. კოუევნიკოვა, არქივი, План карта научного сотрудника Верхне Сванетского Краеведческого Музея Д. Кожевниковой, тб., 1935.
- 9. კოუევნიკოვა, 1951** — ე. კოუევნიკოვა, არქივი, ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო სხდომის ოქმი, თბ., 1951.
- 9. მაკალათია, 1977** — მ. მაკალათია, წარმართული ხასიათის ზოგიერთი საკულტო ძეგლი სვანეთში, კრ. სვანეთი, თბ., 1977.
- 5. მარი, 1938** — Н. Я. Mapp, О языке и истории абхазов, М., 1938.
- 6. მუავანაძე 2017** — ნ. მუავანაძე, სვანური საკულტო რიტუალის მუსიკოლოგიურ-ანთროპოლოგიური ასპექტები, დისერტაცია, ხელნაწერი, თბ., 2017.
- სვანური ენის ქრესტომათია, თბ., 1978.**
- ი. ჩანტლაძე, 2018** — ი. ჩანტლაძე, ნიკო მარის სკოლა სვანეთში, არნ. ჩიქობავას 120 წლისთავისადმი მიძღვნილი სესია, თბ., 2018.
- გ. ჩიტაია, 1926** — გ. ჩიტაია, ქართული ეთნოლოგია, მიმომხილველი, თბ., 1926.
- ილ. ჭავჭავაძე, 1955** — ილ. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ.4, თბ., 1955.

ილუსტრაციები:

1. ევდოკია კოშევნიკოვა-გუგუშვილი (1905-1975).
2. ანალი წლის დილა, ზომხა, ლატალის თემი, 1927 წ.
3. ფლესასაწული “სიკუობ” ლალცხატუში, ლატალის თემი 1931წ.
4. საკრალური მუხა, ფარის თემი 1931წ.
5. ნათლისლება, განცხდა, ლატალის თემი, 1931 წ.



სურ.1



სურ.2.



სურ.3.

**MANANA KHIZANISHVILI, NINO TSEREDIANI,
MADONA CHAMGELIANI**

**ETHNOGRAPHIC STUDY OF SVANETI (RECORDINGS OF
EVDOKIA KOZHEVNIKOVA)**

Georgian national museum, Simon Janashia museum of Georgia preserves ethnographic records and visual material, photographs and drawings of household items performed by ethnologist Evdokia Kozhevnikova – a graduate of St. Petersburg University and a student of Nicholas Marr.

Her works hold some of the most exclusive data about ethnographic lifestyle of the Svan people during the 1920s-1940s. The theme of her recordings is diverse and includes religious festivals and magic mastery, folklore, folk law, hunting, funeral and mourning traditions, parenting rules, etc. In addition to describing the events, Evdokia in some cases tries to analyze and study the particular stories.

The ethnographic data of Evdokia Kozhevnikova is especially relevant and important today, as the elements of ethno-cultural heritage are gradually disappearing and being forgotten. Therefore, the photographs and other recordings which illustrate the way of life of the Svan people are extremely valuable.

The aim of this article is to introduce the scholars and all the interested people to the ethnographic records of Dina Kozhevnikova-Gugushvili – a lady, insanely in love with Svaneti, and to reveal her interesting analysis regarding some issues, including St. George, and sacrifice traditions to the deity of the land.

შუთაისის საჯარო გიბლიოთეკის წელიწლეული
ANNUAL OF KUTAISI PUBLIC LIBRARY

IX

2017

მზია ხოსიტაშვილი

საბიბლიოთეკო წყაროების გამოყენება სვანეთის ტურისტულ მარკეტინგში

საქართველოს ტურიზმის ეროვნული აღმინისტრაციის ბოლოდროინდელი კვლევის თანახმად, საქართველოში ტურიზმის სფერო სწრაფი ტემპით ვითარდება. ოფიციალური მონაცემების მიხედვით, 2017 წლის იანვარ-ოქტომბერში საქართველოს ეჭვია 6 430 824 საერთაშორისო მოგზაური, 2016 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 18,8%-ით მეტი. მთლიანი რაოდენობიდან ტურისტების რიცხვმა, რომლებმაც 24 საათი და მეტი დაჲყვეს საქართველოში, 3 042 907 შეადგინა, 28%-ით მეტი, ტურიზმილან მიღებულმა შემოსავალმა 2017 წელს 2 მილიარდ 700 მილიონ ლირარამდე შეადგინა. ტურიზმის სექტორის ზრდის მიხედვით, საქართველო ერთ-ერთი მოწინავე ქვეყნაა და ამ მხრივ ჩვენი ქვეყნის მაჩვენებელმა მსოფლიო ტურიზმის ზრდის მაჩვენებელსაც კი გაუსწრო.

ამ მონაცემებზე დაყრდნობით და ტურიზმის, როგორც ეკონომიკის ყველაზე პრიორიტეტული და დინამიურად განვითარებადი დარგის, ხელშეწყობისთვის მთავრობა, ინფრასტრუქტურის მოწესრიგების გარდა, ყურადღებას ამავილებს მიზნობრივ და პოტენციურ ბაზრებზე შარკეტინგული აქტივობების ზრდაზე. მარკეტინგის სწორი სტრატეგია ხელს შეუწყობს ქვეყნის ცნობადობის გაზრდას, ქვეყანაში მეტი ტურისტის და, შესაბამისად, მეტი უცხოური ვალუტის მოზიდვას. მარკეტინგის არსილან გამომდინარე, ბაზარზე მთავარია ქცევის სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავება. მარკეტინგის მიზანი პირველ რიგში მომხმარებლისა და მთლიანად საზოგადოების ინტერესებია, ბაზრის მოთხოვნის დროული ამოცნობა და საკუთარი ქცევის სტრატეგიის შექმნაა საზოგადოებისა და გარემოს მოთხოვნების გათვალისწინებით.

მარკეტინგის სტრატეგია ითვალისწინებს ბაზრის სეგმენტაციას, მიზნობრივი აუდიტორიის შერჩევას, ტაქტიკის შემუშავებას, ბიუჯეტის განსაზღვრასა და დასახული გეგმის შესრულებაზე კონტროლს. ტურისტული პროდუქტი იქმნება სხვადასხვა გემოვნებისა და საჭიროების მქონე ადამიანებისთვის, ამიტომ მარკეტინგული პროდუქტის მომხმარებლის დასადგენად აუცილებელია ტურისტული სფეროს სეგმენტაცია. სეგმენტირება შემდეგი კრიტერიუმებით ხდება:

გეოგრაფიული: 1. ბინადრობის ქვეყნის მიხედვით (შიდა, შემომავალი და გამავალი ტურიზმის მიხედვით; 2. ტურისტული მოგზაურობა გეოგრაფიული მიზნების მიხედვით (დედამიწის, ქვეყნის, რეგიონის, ქალაქის ნაწილის); 3. რეკრეაციული ზონების მიხედვით;

სოციო-დემოგრაფიული - ასაკი, სქესი, ტურისტების პროფესია, ოჯახის ტიპი, ეროვნება, რელიგიური მიწამის, ოჯახის შემოსავალი, ფულადი სახსრების არსებობა;

ტურისტული ქცევის ფსიქოგრაფიული კრიტერიუმები - მოგზაურობის მოტივი, ტურისტის ფსიქოლოგიური პორტრეტი, მოგზაურობის ორგანიზაცია და ფორმა, გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებანი, განთავსების საშუალებები, ცხოვრების წესი, თავისუფალი დროის უბირატესობები, სტერეოტიპები ტურისტული პროდუქტის მოხმარებაზე.

მოტივაციის (მოგზაურობის მიზნის) მიხედვით განასხვავებენ: საქმიან, სპორტულ, საკურორტო, გამაჭანსაღებელ, სათავგადასავლო, გასართობ, საგანმანათლებლო, შემეცნებით, ეგზოტიკურ, ჰობი-ტურებს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ საქმიანი ტურიზმი შეიძლება ერწყმოდეს შემეცნებითს, სპორტულ-რეკრეაციულს და ა. შ.

ცხოვრების წესის მიხედვით გამოყოფენ ტურისტების შემდეგ კატეგორიებს:

თავის თავში ჩაკეტილი განცხრომის მაძიებელს - კმაყოფილებას ექებს სუფთა ჰაერზე სხვადასხვა აქტივობებით: თევზაობით, ნადირობით, უყვარს სპორტული თამაშებები, ამავე დროს კარგი გადამხდელია.

აქტიურ და მიზანმიმართულ პიროვნებას - პიროვნება მუდმივად ექებს ახალ შეკრძნებებს, ბენებით ექსტრემალია.

საქმიანი წრეების წარმომადგენელი - შეძლებულია, იგი ძვირადლირებული დასვენების მომხმარებელია, უბირატესობას ანიჭებს მცირე მანძილზე გადაადგილებას.

ლურჯ საყელოებს - ცხოვრობენ პატარა ქალაქებში ან დიდი ქალაქების შემოგარენში. უბირატესობას ანიჭებენ კარვებში დასვენებას ოჯახთან ერთად. უყვართ ნადირობა და თევზაობა.

ტრადიციულ შინაყდას - ცდილობს თითოეული დახარჯული ფულის ერთეულიდან მაქსიმალური სარგებელი მიიღოს, თავს არიდებს ყველაფერს, რაც დაკავშირებულია რისკთან.

ტურისტული მოთხოვნის სეგმენტაციას აქვთ უსასრულობამდე ზრდის ტენდენცია ადამიანის გართულებული მოთხოვნებისა და საზოგადოების ცხოვრებაში დასვენებისა და ტურიზმის მზარდი მნიშვნელობის გამო. სწორედ ამ ფსიქოლოგიური და სოციალური, ასევე ფინანსური, ფაქტორების გათვალისწინებით ხდება ტურისტული პროდუქტის შეთავაზება და მოთხოვნათა დაკავილება.

news-caf.gipa.ge-ს მიერ საქართველოში არსებულ ტურისტულ კომპანიებში ჩატარებული გამოკითხვების შედეგად აღმოჩნდა, რომ საქართველოში მთის მოყვარულთათვის სვანეთი ყველაზე მიმზიდველ ადგილს წარმოადგენს. სვანეთი საქართველოს ტერიტორიის 10.6 % მოიცავს. ზომიერი კლიმატი, ბუნებრივი სილამაზე და დაცული ფაუნა ზამთრისა და ზაფხულის ტურიზმის განვითარების საშუალებას იძლევა. სვანური სოფლები, და მთლიანად სვანეთი, წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს როგორც ჩვეულებრივ მნახველზე, ასევე უშბის, თეონულდის, შხარასა და შხელდას მწვერვალების დაპყრობაზე მეოცნებე ალპინისტებზე. მესტია და უშგული განსაკუთრებულად აღაფრთოვანებს ტურისტებს.

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის 2014-2020 წლ. განვითარების სტრატეგია ითვალისწინებს ტურისტული პოტენციალის პერიოდულ შესწავლას, ტურიზმის სხვადასხვა სახეების განვითარების ხელშეწყობასა და პოპულარიზაციას;

რეგიონში მრავალფეროვანი ტურისტული მარშრუტების შემუშავება-განახლებას; სანახაობების, რეკრეაციული ცენტრების, ეკოლოგიური მარშრუტების, თავშესაფრების, კულტურულ-ისტორიული ლირსშესანიშნაობების, ეთნოგრაფიული კოლექციების, სახვითი ხელოვნების ცენტრების, ტრადიციული ფესტივალების, ბაზრობების და სხვ. ტურისტული პაკეტის ვიზუალური დამუშავების მხარდაჭერას; ადგილობრივი ნატურალური პროდუქტებისა და ადგილობრივი წარმოების პოპულარიზაციას; სხვადასხვა სახისა და მასშტაბის ტრადიციული სპორტული ღრეულების, შეჯიბრებების, ფოლკლორული ფესტივალების, ოლიმპიადების მოწყობა-განვითარების ორგანიზებას;

მთავრობის მიერ შემოთავაზებული პროგრამის მიხედვით ტურიზმის პოლიტიკაში ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულება იქნება საქართველოს გადაქცევა ოთხი სეზონის ტურისტულ ქვეყნად, რაც უზრუნველყოფს ტურიზმიდან ახალი შემოსავლების მიღებასა და წლის განმავლობაში მათ სტაბილურ განაწილებას; სხვა მნიშვნელოვან პუნქტებთან ერთად, ხელი შეეწყობა ტურიზმის სხვადასხვა ტიპის განვითარებას;

სვანეთის ტურისტული პოტენციალის ასამაღლებლად მნიშვნელოვანია რეგიონში ტურიზმის საინფორმაციო ცენტრების შექმნა და კეთილმოწყობა; ტურისტული მომსახურების ობიექტებში მომსახურე პერსონალის პროფესიული განათლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამების განხორციელება. გიდების და სექტორში დასაქმებული სხვა სპეციალიზირებული პერსონალის მომზადება-გადამზადების ხელშეწყობა; გიდის კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვა, დახმარება საჭირო ლიტერატურით.

სვანეთის ტურიზმში შესაძლებელია ახალი მიმართულებების ათვისება. ესენია:

გადამფრენ ჩიტებზე დაკვირვების; ფოტოგადაღებები; ფოტოხაფანგები; სამონადირეო; ალპინიზმი; ექსტრემალური; სამონადირეო ტურიზმი; შემოქმედებითი, ხალხურ რეწვასთან დაკავშირებული;

განსაკუთრებით გამოვყოფით ფრინველებზე (გადამფრენ) დაკვირვებას “bird watching”, ეკოტურიზმის მიმართულებას, რომელიც ბოლო წლებში პოპულარულია ევროპალ ტურისტებში. მათი ამოცანაა, რაც შეიძლება ფრინველების მოცულობითი პირადი კოლექცია შეიქმნან. ტურისტები ერთმანეთს ეჯიბრებიან მათ მიერ დაკვირვებული ფრინველების რაოდენობაში და აქტიურად უზიარებენ ერთმანეთს ფოტოებს სოციალურ ქსელებში. ამასთან, ტურისტები არა მხოლოდ ფოტოს უღებენ, არამედ აკვირდებიან და აღწერენ მათვის დამახასიათებელ ქცევას ბუნებრივ პირობებში. არიან ისეთი რეკორდშენები ე.წ. “ბერდვოჩერები”, რომელთა დაკვირვების სიაშიც 5000-მდე ფრინველია.

ფრინველებზე დაკვირვებას (“ბერდინგს”) მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ტურისტულ ინდუსტრიაში, ქმნის პირდაპირ და არაპირდაპირ ეკონომიკურ სარგებელს მრავალი ქვეყნისთვის. “გადამფრენი ფრინველების შენარჩუნება რთული ამოცანაა, რომელიცაც თავისი მიგრირების პროცესში ისინი გადაკვეთენ რამდენიმე ქვეყანას საკუთარი იურისდიქციებით და ბუნების დაცვის სტრატეგიებით”. ამდენად დაკვირვების პროცესში ტურისტებს მათი გადარჩენის მისიაც ეკისრებათ. გადამფრენი ფრინველების დაცვის კამპანიის გაძლიერებისათვის 12-13 მაისს აღნიშნავენ გადამფრენი ფრინველების საერთაშორისო დღეს.

გარემოს დაცვის გაეროს პროგრამაში აღნიშნულია, რომ გლობალური მასშტაბით შემოსავლები ეკოლოგიურ ტურიზმში დაუჭერებლად სწრაფი ტემპებით იზრდება და ამ თვალსაზრისით ფრინველებზე დაკვირვებას სასიხარულო პერსპექტივები აქვს. მხოლოდ ამერიკაში, ხელისუფალთა შეფასებით, ფრინველებსა და ველური ბუნების სხვა წარმომადგენლებზე დამკვირვებლებს წელიწადში 32 მილიარდი ლოლარი შემოაქვთ შემოსავლის სახით. ეს თანხა შეესაბამება კოსტა-რიკის მთლიან ეროვნულ შემოსავალს. შოტლანდიაში დაითვალის, რომ ტურისტებმა ერთ წელიწადში (2012) დახარჯეს 8-12 მილიონი დოლარი იმაზე, რომ დაენახათ თეთრბოლობიანი არწივი კუნძულ მალიზე. ამ ქვეყანაში 4% ყველა სამუშაო აღგილისა დაკავშირებულია ველური ბუნების ტურიზმის სფეროსთან.

ღონისძიებები, რომლებიც ეძღვნება გადამფრენ ფრინველებს, იმართება 70 ქვეყანაში, მოიცავს ფრინველების ფესტივალს, საგანმანათლებლო სამუშაოებს, ბუნების დაცვის პროექტებს, ტურებს, რომლებიც ეძღვნება ფრინველებზე დაკვირვებას. ამ ღონისძიებების ორგანიზებაში მონაწილეობს ასობით მოხალისე და ორგანიზაცია.

როგორც ვიცით, აჭარაში უკვე დანერგილია ტურიზმის ეს სახეობა; ცნობილია, რომ აქ არის მტაცებელი ფრინველების სამიგრაციო დერეფანი. შეიძლება თუ არა მისი განვითარება სვანეთში?

საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილია მიმოფრენის ორი უმთავრესი გზა, პირველი და ყველაზე დიდი, შავი ზღვის სანაპირო საჰაერო გზაა, რომელიც ჩრდილოეთიდან - სამხრეთით და პირუკუ მიემართება. ამ გზით მიფრინავს ფრინველთა სხვადასხვა სახეობის უდიდესი რაოდენობა.

საქართველოს მეორე საჰაერო გზა მდებარეობს კავკასიონის მთავარ ქედზე, იგი იწყება ქალაქ ვლადიკავკაზის მხრიდან მდინარე თერგის დინების გასწვრივ, გადადის ჯვრისა და გუდაურის უღელტეხილებზე, მიემართება თეთრი და შავი არაგვით, ჩადის მდინარე მტკვარზე და მიშყვება ამ მდინარის დინებას სამხრეთ-აღმოსავლეთით.

როგორც პირველ, ისე ამ გზაზედაც მიმოფრენენ მწყერები, მათი მუდმივი თანამგზავრები კვირიონები, ტყის ქათმები, სხვადასხვა სახის იხვები, რუხი ბატები, სავათები, სარსარაკები, წეროები და სხვა გადამფრენი ფრინველები.

გარდა დასახელებული გზებისა, საქართველოს ფარგლებში კავკასიონის ქედის უღელტეხილებთან რამდენიმე აღგილას არსებობს გადაფრენის მეორეხარისხოვანი გზებიც. ეს უღელტეხილებია სანწა, გრიზბა, ქლუხორი, ბალყარეთიდან სვანეთში გაღმოსავლელი “ტვიბერი” და “მესტია”, რომლებისკენაც ფრინველები მიმოფრენენ მდინარეების ჩერეკისა და ენგურის დინებათა გზით.

საქართველოს მთავრობისა და სამხარეო აღმინისტრაციის მიერ ტურიზმის სფეროში შემოთავაზებული მიმართულებების მიხედვით ადგილობრივი მოსახლეობისათვის იქმნება ხელსაყრელი პირობები მასში მონაწილეობისა და ახალი ტურისტული პროდუქტის შეთავაზებისთვის, ოჯახური სასტუმროების გაფართოებისა და მონადირის ქოხების მოწყობისთვის. მთავრობის მიერ ტურიზმის სფეროში დამწყები ბიზნესებისთვის (საოჯახო სასტუმროები, ტურობერატორები და სხვ.) ხელსაყრელი პირობებით ფინანსური კაპიტალის (შეღავათიანი სესხები, გრანტები) ხელმისაწვდომობის წახალისებაა გათვალისწინებული.

სამხარეო აღმინისტრაციის გეგმის რეალიზებისთვის უდიდესი მნიშვნელობა ექნება საბიბლიოოთეკო წყაროების გამოყენებასაც. აღგილობრივი მოსახლეობა უმეტესწილად გადაუმოწმებელ ინფორმაციებსა და ხალხში არსებული გადმოცემების მიხედვით უყვება ტურისტს ამა თუ იმ ტრადიციაზე, ძეგლზე, მაშინ, როდესაც მხოლოდ სვანეთში 75 მოქმედი ბიბლიოთეკაა: ცაგერის რაიონის სოფლებში - 41, 19 ლენტეხის და 15 მესტიის მუნიციპალიტეტში. გიდებისა და საოჯახო ტურისტულ ბიზნესში დასაქმებულებს შეუძლიათ ისარგებლონ არსებული ფონდებით და გამოიყენონ საქმიანობაში. მხოლოდ ეროვნულ ბიბლიოთეკას 3002 ჩანაწერი აქვს სვანეთზე. როგორც ზემოთ აღნიშნეთ, განსხვავებული მიზნობრივი ჭგუფები სხვადასხვაგვარ მიღვომას მოითხოვენ, ტურისტულ პროდუქტზე, ძეგლსა თუ ტრადიციაზე, ეროვნულ სპორტულ ღონისძიებასა და წეს-ჩვეულებაზე კი ინფორმაცია უნდა იყოს ამომწურავი და შესაბამისი ინტერესების გათვალისწინებით მიწოდებული. ამასთან ალსანიშნავია, რომ გაიზარდა შიდა ტურიზმის მოყვარულთა რიცხვიც, რაც საგანმანათლებლო თვალსაზრისით ქვეყნისთვის მეტად მნიშვნელოვანია.

ლაშერობის მოყვარულები სიამოვნებით მოისმენდნენ საღამოს კოცონთან სვანურ მითებს და ლეგენდებს, რომლებზეც დაუსრულებლად შეიძლება საუბარი, თუ გამოიყენებენ ზურაბ კიკაძის ნაშრომს ქართული მითოლოგია. [რედ.: მიხეილ ქურდიანი]. - ქუთაისი. 1996.

კიკაძე, ზურაბ. ქართული მითოლოგია / ზურაბ კიკაძე; [სარედ. კოლ.: ზაზა აბზიანიძე, ლევან თაქთაქიშვილი, ზაქარია მაჩიტაძე და სხვ.]. - [თბ.] 2007. - 267 გვ.

კიკაძე, ზურაბ. ქართული ხალხური ეპოსი. - თბ.: ლოგოს-პრესი, 2001. - 136გვ. (თსუ-ს ფოლკლორისტიკის კათედრის შრომები).

თოფჩიშვილი, როლანდ. ქართული ფოლკლორი // საქართველოს ეთნოლოგია / როლანდ თოფჩიშვილი. - თბილისი, 2008. გვ. 287.

ონიანი, ოთარ. წმინდა გიორგის კულტი სვანურ ზეპირსიტყვიერებაში // საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „დიდაჭარობა“, ხულო-დიდაჭარა, 2009 წლის მაისი: (მასალები) / „დიდაჭარობა“, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია (2009, ხულო-დიდაჭარა). - თბ., 2009. - გვ. 262-264.

ონიანი, ოთარ. კულტურული გმირის პრობლემა ქართულ ფოლკლორში: (სვანური მასალების მიხედვით) / ოთარ ონიანი; [რედ. ზურაბ კიკაძე]; შოთა რუსთაველის სახ. ქართ. ლიტ. ინ-ტი. - თბ.: უნივერსალი, 2009.

ქურდოვანიძე, თეომურაზ. ქართული ფოლკლორი / თეიმურაზ ქურდოვანიძე; [რედ.: ზურაბ კიკაძე]. - თბილისი: მერანი, 2001. - 331 გვ.

ხალხური პოეზიის ანთოლოგია / შედგენილი ზურაბ კიკაძისა და ტრისტან მახაურის მიერ; [რედ. მერაბ ლალანიძე; თენგიზ მირზაშვილის ნახ.]; [ქართ. წიგნის მხარდაჭერის ფონდი]. - თბილისი: მემკვიდრეობა, 2010. - 352 გვ.

ონიანი, შ. “სიბრძნე სიცრუის” ზოგიერთი არაკი სვანურ ზეპირსიტყვიერებაში /შ. ონიანი // სულხან-საბა ოჩბელიანი, 1658-1958: საიუბილეო კრებული / საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. - თბილისი, 1959. - გვ. 203-213.

ონიანი, ოთარ. ნადირთ ღვთაებები სვანურ ფოლკლორში / ოთარ ონიანი // ფოლკლორისტთა სამეცნიერო კონფერენციის მასალები, 51: ეძღვნება

ალექსანდრე ხახანაშვილის 150 წლისთავს, 2014 წლის 4 ივნისი / ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი. - თბილისი, 2014.

ଶିଳ୍ପିଙ୍କାଳୀ, ତିନା. ସ୍କ୍ରିପ୍ଟମାର୍କୋରି ଦ୍ୱାରା ଲାଗୁ ହେଲା ଏକ ଚାରି ଅଧିକାରୀଙ୍କ ପରିବାରର ଜୀବନର ଚିତ୍ରଣ । ତିନା ଶିଳ୍ପିଙ୍କାଳୀ । - ବିଲାପିନ୍ଦା, 2009. ପୃ. 121-159. ଏହାରେ ମହାକାଵ୍ୟାଳୀର ମହାକାଵ୍ୟାଳୀର ପରିବାରର ଜୀବନର ଚିତ୍ରଣ ଦ୍ୱାରା ଆମରିକା ଯେଉଁ ଏକ ଅଧିକାରୀଙ୍କ ପରିବାରର ଜୀବନର ଚିତ୍ରଣ ।

ნადირობის წეს-ჩვეულებების შესახებ საინტერესო მასალის მომზადება შეიძლება კრებულით “ქართველთა მითო-რელიგიური წარმოდგენები და მათი სოციალური არსი” (სამონადირეო წეს-ჩვეულების მიხედვით). აქვეა მ. ზურაშვილის სტატია „ნადირობასთან დაკავშირებული რიტუალები“. - თბ., 2009. გვ.15-62. აქ გვხდება ტაბუირებული სიტყვები; ნადირობის მომზადების პროცესში მიღებული სავალდებულო აკრძალვები და მონადირის სიწმინდის ნორმები; კერა და სამონადირეო რიტუალი; შეწირვის ფორმები; ნადირის ძვლის დაცვის ჩვეულება.

აგრეთვე: **ზურაშვილი, მაა. ნადირობა სოციალურ სიმბოლიკაში.** მონადირე - რჩეული - მეცნე ნადირობა ქართულ სოციალურ სიმბოლიკაში. მონადირის გარე სამყარო, მფარველი ქარღმერთი, მიცვალუბულის კულტი ქართული ხალხური წარმოდგენების მიხედვით.

ელდარ ნადირაძეს “ტოტემიზმი”, თბილისი, 2008. ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დაფიქსირებული ცხოველებისადმი თაყვანისცემა სკანერის (მგელი) და ხევის (ალალი გველი) მაგალითებზე.

ელდარ ნადირაძის „მაგი“ // მსოფლიოს რელიგიები. თბილისი, 2008. წარმოდგენილია მაგიურ-რელიგიური ქმედების რიგის კომპლექსები შემონახული საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში. მაგიური შელოცვების ტექსტები ქართულ ფოლკლორში. სამონადირეო მაგია სვანეთში.

სარდინი, გაკა სევანური სამონადირეო სიმღერები // ტრადიციული მრავალხმიანობის მეოთხე საერთაშორისო სიმბოზიუმი: მოხსენებები, 15-19 სექტემბერი, 2008, ობილისი, ობ., 2010. - გვ. 216-227. - ტექსტი ქართ. და ონგლ. ენა. განხილულია ნადირობისაღმი მიძღვნილი სევანური სიმღერა-ფერხულების კლასიფიკაცია სამონადირეო ჩრდილოეთი აზიანა-წარმოდგენებისა და წეს-ჩვეულებების ჭრილში.

ალბინიზმის განვითარებასა და ცნობილ ალბინისტებზე:
ჭილაძე, ოთარ. სიტყვა მიხეილ ხერგიანზე // წინ მარადისობაა! / ო.
ჭილაძე. - თბ., 2009. - გვ. 124-125. მთამსვლელის გახსენება.

ჭავარიძე, ივანე, // მყინვარწვერილან ევერუსტამდე (1923-1991 წწ.) / ი. ჭავარიძე. თბ., 2010. კრებულში სხვადასხვა ავტორების მიერ მოთხოვნებისა საქართველოს ალპური კლუბის დაარსების ისტორიაზე, ცნობილ მთამსვლელებსა და მეკლეულრებზე, საქართველოს ალპური კლუბის ხელმძღვანელებზე,

გეოგრაფიულ საზოგადოებაზე; სხვადასხვა ალპინისტურ ბანაკებზე; სამთო მომზადების სკოლაზე; მოცემულია ქართული ალპინიზმის ისტორია და ქართველ ალპინისტთა ბიოგრაფიები; ქართველ მთამსვლელთა თავგადასავლები; საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში ქართველ მთამსვლელთა გამარჯვებებზე 1950-1983 წწ.; ჩანახატი ლეგენდარულ მთამსვლელ ქალზე აღექსანდრა ჭაფარიძეზე. მთამსვლელობის ისტორია და მომავალი.

სგანური სიმღერების და ცეკვების შესახებ:

თოფჩიშვილი, როლანდ. ხალხური სიმღერები და ცეკვები // საქართველოს ეთნოგრაფია / ეთნოლოგია / ივანე ჭავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგ. ინ-ტი. - თბ., 2010. - გვ. 658-662.

სგანური საოჯახო ყოფის ამსახველი:

ფუტკარაძე, ტარიელ. სვანები: საცხოვრისი, დედაენა, ღიალექტები // სვანეთის ისტორიის ფურცლები / საქ. საპატრიარქოს წმ. თამარ მეფის სახ. სასწ. უნ-ტი. - თბ., 2011. - გვ. 41-50.

ეთნოგრაფიული მასალა // სვანეთის ისტორიის ფურცლები / საქ. საპატრიარქოს წმ. თამარ მეფის სახ. სასწ. უნ-ტი. - თბ., 2011. - გვ. 199-200.

გუჯეგიანი, როზეტა. ქართველ მთიელთა მენტალობის ისტორიიდან. თბ., 2008.

გუჯეგიანი, როზეტა. “კვირია” სვანეთის ტრადიციულ ყოფაში // სვანეთის ისტორიის ფურცლები / საქ. საპატრიარქოს წმ. თამარ მეფის სახ. სასწ. უნ-ტი. - თბ., 2011. - გვ. 62-69.

დვალი, ირაკლი. სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული საკითხები / / სვანეთი და სვანები / ირაკლი დვალი, გივი ქურდიანი. - თბ., 2014. გვ. 35-52

თოფჩიშვილი, როლანდ. საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები // საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია / ივანე ჭავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლ. ინ-ტი. - თბ., 2010. - გვ. 106-153.

თოფჩიშვილი, როლანდ. ქართველთა ხასიათი // საქართველოს ეთნოგრაფია / ეთნოლოგია / ივანე ჭავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლ. ინ-ტი. - თბ., 2010. - გვ. 248-259.

თოფჩიშვილი, როლანდ. ზეპირი ისტორიული წყაროები // ეთნოსტორიული ეტიუდები: წ. 1 / როლანდ თოფჩიშვილი. - თბ., 2005. - გვ. 257.

2017 წელს საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის დაფინანსებით გამოვიდა ეურნალი ველური ბუნება, სადაც საინტერესო ცნობების მოძიება შეიძლება სამკურნალო ეკოლოგიის, სამონადირეო ტურიზმის, სანაღირო იარაღისა და ა.შ. შესახებ.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მუნიციპალურ ბიბლიოთეკებს დიდი დამატების გაწევა შეუძლიათ ტურიზმით დაინტერესებული ან საოჯახო სასტუმროების ბიზნესში დასაქმებული ადგილობრივი მცხოვრებლებისთვის ახალი ტურისტული პროდუქტის შექმნასა და მიმზიდველად წარმოჩენაში.

დამოწმებული ლიტერატურა

სამეცნიერო-ზემო სვანეთის განვითარების სტრატეგია 2014-2020 წწ.
<http://droa.ge/wp-content/uploads/2017/09/>

საქართველოს 2018 წლის ბიუჯეტი სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები. <http://www.parliament.ge>

საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025.

<http://www.economy.ge/uploads/ecopolitic/turizmi>

І аðе åðе í а â ðóðе ñòè ðåñé î ì áè çí åñå. <http://tourfaq.net/marketing/marketing-v-turisticheskom/>

І àáë þ äái è å çà i òè öäì è ... <http://www.un.org/russian/news/ru/print.asp?newsid=17487>

MZIA KHOSITASHVILI

USING LIBRARY MATERIALS IN TOURISTIC MARKETING OF SVANETI

Tourism is one of the priorities and developing field of economy, which is proved by the amount of visitors and locals participating in domestic tourism. Foreign visitors who love mountaineering admire Svaneti. Government of Georgia and regional administration of Samgelo -Zemo Svaneti considers the following steps to support the strategic development of tourism: support to agricultural field, maintenance of architectural buildings, arranging the roads leading towards them, arrangement of tourism infrastructure, developing interest towards tourism among the locals, creating new touristic routes and products, supporting the manufacture of local crafts and souvenirs and improving the service of guides. Besides, the government drew attention on increasing of marketing activities in the field of tourism.

According to the recommendation of the world tourism organization the basic function of touristic marketing is to establish contact with the consumers, which simplifies dividing the touristic market into segments. Division into segments support considering the interest of a concrete consumer, creates a new touristic product and improves the quality of a service. Accordingly, all of these are reflected on the amount of visitors and income.

The level of education of guides and hosts, their broad horizon of thinking and the knowledge of culture and history of Georgia, have a big influence in terms of creating the interesting image of the country. Municipal libraries have the capacity of supporting the guides and other individuals from the tourism industry by offering the relevant information and literature.

The article contains the works of the Georgian scientists and travellers, which describe the origin and character of Georgians, history of Svaneti, verbal sayings, hospitality, hunting habits, traditions, rituals, legends and myths, histories about the alpinists, flora and fauna of Svaneti.

ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის წელიწლები
ANNUAL OF KUTAISI PUBLIC LIBRARY

IX

2017

საინტერესო ლერნები

INTERESTING LETTERS

**ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის წლიური განცხადები
ANNUAL OF KUTAISI PUBLIC LIBRARY**

IX

2017

ელენე გაბლიანი ეგნატე გაბლიანის შესახებ*

არიან აღამიანები, მსწრაფლწარმავალი, მედინი დროის საცეცებს რომ გადაურჩებიან და თავიანთი ნაღვაწ-ნაამაგარით უკვდავებას იხვეჭენ, მათი სახელი ისეთი მყიფე არ აღმოჩნდება, დრომ მტვრად აქციოს ან დავიწყების ბალაზით დაფაროს. პირიქით, სწორედ დრო აქცევს მათ მყარ და ფასეულ ლირებულებად. საბედნიეროდ, საქართველო ამგვარ აღამიანთა სიმცირეს არ უჩივის; უამრავ აღამიანს დავასახელებთ, თავიანთი ცხოვრებითა და შემოქმედებით გამორჩეულს, ღირსეულს, სახელოვანს, პატივმისაგებს, ჩვენი თაყვანისცემის ღირსს.

ბედნიერი ვარ, რომ ამგვარ გამორჩეულ აღამიანთა რიგებში ვიგულვებ ჩემს დიდსა და სახელოვან წინაპარს, სვანეთის უდიდეს მწესა და ქომაგს, ამაგდარსა და დამაშვრალს მისთვის - ეგნატე გაბლიანს, რომელსაც ეძღვნება დღევანდელი კონფერენცია. სერვანტესი ამბობდა: “ისტორია ჩვენი საქმეების საგანძურია, წარსულის მოწმეა, მაგალითი და სწავლებაა აწყოსათვის, სიფრთხილეა მომავლისათვისო”. თუ ისტორიის სამზერიდან გადავხედავთ ეგნატე გაბლიანის მოღვაწეობას, ნათელი გახდება, მისი ნამოღვაწარიდან რამდენი რამ დარჩა დღემდე ღირებული, წარუვალი და დაუძველებელი.... რამდენი რამ უკეთებია პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის კურსდამთავრებულს: იბრძოდა კალმით. სწორედ რომ ბრძოლის უინი, უნარი და ძალა სჭირდებოდა იმდროინდელ პრესაში სვანეთის საჭირბოროტო საკითხების გაშუქებას და მავანთა ყურადღების მიპყრობას სვანეთის პრობლემებისადმი. მკვლევრის გულმოდგინებით იკვლევდა სვანეთის ყოფას, ფოლკლორისტის ენთუზიაზმით აგროვებდა სვანური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს, ორგანიზაციული ნიჭიც გამოავლინა სვანეთის ეთნოგრაფიულ-ისტორიული მუზეუმის დაარსებისა და მისი პირველი დირექტორობის უამს, ზუგდიდი-მესტიის საავტომობილო გზისა და მესტიის აეროპორტის დაარსების ინიციატორიც ყოფილა... ადვილი წარმოსადგენია, რა დიდი ძალისხმევა სჭირდებოდა ამ მრავალხრივ, არც თუ იოლ საქმიანობას, მით უმეტეს, თუ იმასაც დავამატებთ, რომ ეგნატე გაბლიანი აქტიური და თვალსაჩინო მოღვაწე იყო 1921-1924 წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა, ერთ-ერთი ლიდერი 1924 წლის სვანეთის აჭანყებისა, მონაწილე 1924 წლის აგვისტოს აჭანყების მომზადებისა... არ დარჩენილა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ეროვნული საქმე იმ ეპოქაში, ეგნატე გაბლიანის მონაწილეობის გარეშე რომ ჩაევლო. წერდა, იკვლევდა, ეძებდა, აგროვებდა, აქვეწყებდა, ამზადებდა, აარსებდა, მონაწილეობდა, იწყებდა, ამთავრებდა... “სიტყვა საქმიანი” ჰქონდა და “საქმე სიტყვიანი”. შიგადაშიგ იჭერდნენ, ჩეკისტები სჯიდნენ, აპატიმრებდნენ, თავისუფლებას უზღდუდავდნენ... ის კი მანც აგრძელებდა - წერდა, იკვლევდა, იბრძოდა, იქმოდა, თავისუფალ, განათლებულ, ზემალალ ქვეყანას ეტრიფოდა

* ფოთის კოლხური კულტურის მუზეუმის დირექტორი, ეგნატე გაბლიანის ნათესავი.

და ყველაფერს აკეთებდა ამისთვის. 1937 წელს კი შეეწირა კიდევ ამ მიზანს - დახვრიტებს. თუმცა ვერც ფიზიკურმა სიკვდილმა, ვერც არყოფნის რვა ათეულმა წელმა ვერაფერი დააკლო მის სახელს და, ალბათ, კიდევ დიდხანს ვერ დააკლებს, ვიდრე მის დანატოვარს თქვენნაირი გულშემატკივარი ეყოლება, მის ღვაწლს - დამფასებელი და მის საქმეებს - პატივის მიმგები.

მე, ჩემი დიდი წინაპრის ნაღვაწის დამფასებლებს, მაღლობას ვიხდით და ვამაყობ არა მარტო მისი დანატოვარით, არამედ იმითაც, რომ საქართველოშ დღეს იცის თავისი დიდი შვილების ფასი, რისი დასტურიცაა დღევანდელი კონფერენცია.

ELENE GABLIANI ABOUT EGNATE GABLIANI*

There are people who survive the time turnover and gain the immortality with their works. Their names are converted into stable values by the time. Fortunately, this kind of people abound in Georgia, there are number of people distinctive with their life and works.

My famous ancestor Egnate Gabliani is among this highly valued people. Here is saying by Cervantes: "History is the treasure, witness of the past, example and study for the present, caution for the future". If one looks at the life and work of Egnate Gabliani, it will be clear that majority of his works are still valuable, ageless. Exploits gained by the graduate of the Faculty of Oriental Cognition at St. Petersburg university are numerous: He highlighting the urgent issues of Svanetia in the press of that time, trying to attract the attention of relevant officials to the problems of Svanetia. He was exploring the living existence of Svans, collected the verbal art, he organized the foundation of Svaneti ethnographic-historic museum and was its first director, he was also the initiator of founding the Zugdidi-Mestia motorway and airport of Mestia.

It's easy to conceive how difficult this diverse work is. Also, we should add that Egnate Gabliani was active and noticeable participant of the 1921-1924 national movement, one of the leaders of 1924 Svaneti rebellion, also one of the organizers of it. Egnate Gabliani was the participant of any more or less important national issue of his epoch. He used to write, research, collect, publish, prepare, found, starts, finish ... his words were converted into action and his actions were verbally explicated. Time by time he was arrested by *cheka* members but he was still persisting to continue his job. He was executed in 1937 by communists, but death didn't defeat his image, he will stay victorious till there are people who respect his exploits.

I'm grateful to people who value the exploits of my ancestor and I'm proud not only for it but also I'm glad that Georgian society appreciates the famous public men, today's conference is the proof of it.

*Director at the Colchian Culture Museum of Poti, relative of Egnate Gabliani

კომპიუტერული უზრუნველყოფა - ძეთევან ბაძრაძე

გარეკანის დიზაინი - ბეჭა ლაჟავა

